
TOP თრილერი
ტომ რობ სმიტი
ბავშვი
44
შეამოწმე ისინი, ვისაც ენდობი

საბჭოთა კავშირი

უკრაინა

სოფელი ჩერვოი 1933 წლის 25 იანვარი

ახლა, როდესაც მარიამ გადაწყვიტა, მომკვდარიყო, მის კატას საკუთარი თავის რჩენა თვითონ მოუწევდა. ისედაც წარმოუდგენლად დიდხანს ზრუნავდა მასზე. სოფელში ჯერ ვირთხები და თაგვები გაწყდა. მოსახლეობამ ყველა მათგანი დაიჭირა და შესანსლა. მალე შინაური ცხოველებიც გაქრა. მხოლოდ ერთი გადარჩა - სწორედ ეს კატა, მისი თანამგზავრი, რომელსაც გულმოდგინედ უმალავდა მეზობლებს. რატომ არ მოკლა? გვერდით ცოცხალი არსება სჭირდებოდა, ვინც ეყვარებოდა, ვისზეც იზრუნებდა, ვისი გულისთვისაც სიცოცხლეს ჩაებღაუჭებოდა. პიროზაც კი დადო - იმ დღემდე ვაჭმევ, სანამ ჩემთვის ერთი ლუკმა მაინც მექნებაო. და, აჰა, ეს დღეც დადგა. მანამდე უკვე დაჭრა ჩექმები წვრილწვრილ ზოლებად და ჭინჭარსა და ჭარხლის თესლთან ერთად მოხარშა. ჭიაყელებიც ამოთხარა მიწიდან, ხის ქერქიც გადაღეჭა. დღეს დილით კი, შიმშილისგან გახელებული, სამზარეულოს ტაბურეტის ფეხის ლოდნას შეუდგა. იქამდე ღიღნა, სანამ ღრძილები არ დაისისხლიანა. ამის დანახვაზე კატა საწოლქვეშ შეძვრა და გამოსვლაზე სასტიკი უარი განაცხადა, ქალი მუხლებზე დაეშვა და ალერსიანი ხმით ცდილობდა მის გამოტყუებას, მაგრამ ამაოდ დაშვრა. სწორედ მაშინ გადაწყვიტა, მომკვდარიყო - ახლა ხომ აღარც საჭმელი ჰქონდა და აღარც საყვარელი არსება ჰყავდა.

მარია დაღამებას დაელოდა და სახლის კარი მხოლოდ შემდეგ გააღო. მისი აზრით, კატას სიბნელეში მეტი შანსი ჰქონდა, ტყემდე სხვებისგან შეუმჩნევლად მიეღწია. რომელიმე მეზობელს მისთვის თვალი რომ მოეკრა, მასზე ნადირობა გაჩაღდებოდა. ახლაც, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ყოფნისას, იმის გაფიქრებაზეც კი, რომ მის საყვარელ არსებას საფრთხე ემუქრებოდა, ტკივილისგან გული ეკუმშებოდა. თავს იმით იმშვიდებდა, რომ კატის დანახვას სოფელში არავინ ელოდა. მამაკაცები მიწის ბელტებს ღეჭავდნენ - ეგებ შიგ ჭიანჭველები ან მწერების ჭუპრები

ვიპოვოთო, ბავშვები ნეხვში იქექებოდნენ მოუნელებელი მარცვლების აღმოჩენის იმედით, ქალებს კი ყოველი გამოხრული ძვლისთვის ნამდვილი ომი გაეჩაღებინათ. ვინ წარმოიდგენდა, რომ მისი კატა ჯერაც ცოცხალი იყო.

***

პაველი თვალებს არ უჯერებდა. უშნო, გაძვალტყავებულ, მწვანეთვალება, შავ, ლაქებიანი ბეწვით დაფარულ პატარა ცხოველს ხედავდა. აშკარად კატა იყო. ბიჭი ტყეში ფიჩხს აგროვებდა, როდესაც შეამჩნია, როგორ გამოიძურწა ცხოველი მარია ანტონოვნას სახლიდან, თოვლით დაფარული გზა გადაჭრა და ტყისკენ გავარდა. სუნთქვაშეკრულმა მიიხედ-მოიხედა. მის გარდა კატა ვერავის შეემჩნია. ირგვლივ სულიერი არ ჭაჭანებდა; მეზობლების სახლებიდან შავად, პირქუშად იმზირებოდნენ ფანჯრები. მხოლოდ ზოგიერთი საკვამურიდან ამოსული კვამლის წვრილი ზოლები მეტყველებდა, რომ აქ სიცოცხლე ჯერაც არ ჩამკვდარიყო. კაცი იფიქრებდა, ძლიერმა თოვამ მთელ სოფელს თეთრი, სქელი საბურველი გადააფარაო. თოვლი თითქმის ხელუხლებლად იდო: იშვიათად თუ მოჩანდა სადმე კვალი, გატკეპნილ ბილიკზე ხომ ლაპარაკიც არ ღირდა. დღისით ისეთივე სამარისებური სიჩუმე იდგა, როგორიც ღამით. არავინ დგებოდა სამუშაოზე წასასვლელად. არც ბიჭის მეგობრები გამოდიოდნენ გარეთ სათამაშოდ, ყველანი შინ რჩებოდნენ. ოჯახების უმრავლესობა საწოლში იწვა და ჩავარდნილი თვალებით უაზროდ მისჩერებოდა ჭერს. უფროსები ბავშვებს დაემსგავსნენ, ბავშვები კი - დიდებს. საჭმლის მოძებნის თავიც კი აღარავის ჰქონდა. ამ ვითარებაში კატის გამოჩენა ნამდვილი სასწაული იყო - ეს არსებები ყველას გადაშენებული ეგონა.

პაველმა თვალები დახუჭა და სცადა, გაეხსენებინა, როდის ჭამა უკანასკნელად ხორცი. როგორც კი გაახილა, პირიდან ნერწყვი უხვად წამოუვიდა. ხელისგულის ზურგით მოიწმინდა, შეგროვებული ფიჩხი ძირს დაყარა და აღელვებული გაიქცა შინისკენ, რათა ეს სასიხარულო ამბავი ოქსანასთვის, თავისი დედისთვის ეხარებინა.

***

შალის საბანში გახვეული ოქსანა იჯდა და ჩამქრალი თვალებით იატაკს დასცქეროდა. არ ინძრეოდა, ენერგიას უფრთხილდებოდა, გამუდმე-

ბით იმაზე ფიქრობდა, ოჯახი როგორ გადაერჩინა. ეს აზრი არათუ დღისით, ღამით, ძილშიც კი არ ასვენებდა. ადამიანთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს მიეკუთვნებოდა, ვინც ჯერაც არ დანებებულიყო. არც არასდროს დანებდებოდა, სანამ ორივე ვაჟიშვილი გვერდით ჰყავდა, მაგრამ მხოლოდ შეუპოვრობა არ კმაროდა, სიფრთხილე და წინდახედულობა უნდა გამოეჩინა - წარუმატებელი წამოწყება ორგანიზმის სრულ გამოფიტვას გამოიწვევდა, გამოფიტვა კი - გარდაუვალ სიკვდილს. რამდენიმე თვის წინ ნიკოლაი ივანოვიჩმა, მისმა მეზობელმა და მეგობარმა, სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, სახელმწიფო მარცვალსაცავში შეღწევა გადაწყვიტა. უკან აღარ დაბრუნებულა. მეორე დილით ნიკოლაის ცოლი და ოქსანა მის მოსაძებნად წავიდნენ. გზის პირას მიაგნეს: გულაღმა იწვა, გაძვალტყავებულს მუცელი გაჰბეროდა - სიკვდილის წინ უმი მარცვლეულით ამოევსო. სანამ ცოლი ქმარს დასტიროდა, ოქსანამ ცხედრის ჯიბეებში ჩარჩენილი მარცვლები ამოკრიფა და შუაზე გაყო. სოფელში დაბრუნებულმა ქვრივმა გულუბრყვილოდ უამბო მეზობლებს, რაც მოხდა, მაგრამ სიბრალულის ნაცვლად დაუფარავ შურს გადააწყდა, ვინაიდან თანასოფლელებს თვალწინ მხოლოდ ის ერთი მუჭა მარცვალი ედგათ, მას რომ ერგო წილად. ოქსანამ ქვრივს პატიოსანი, გულწრფელი სულელი უწოდა, ვინაიდან ამ საქციელით ორივენი დიდი საფრთხის წინაშე დააყენა.

მოგონებები ფეხების ბრაგაბრუგმა გააწყვეტინა. სოფელში აღარავინ დარბოდა, თუ ამას განსაკუთრებული მნიშვნელობის სიახლე არ მოითხოვდა. შეშინებული ქალი წელში გაიმართა. ოთახში პაველი შემოვარდა და აქოშინებულმა მიაყარა: - დედა, კატა დავინახე.

ოქსანამ ნაბიჯი წინ გადადგა და შვილს ორივე ხელი ჩაავლო: უნდა დარწმუნებულიყო, რომ არ ბოდავდა - შიმშილი ათასგვარ ტრიუკს აკეთებინებდა ხალხს, მაგრამ მსგავსი ვერაფერი შეამჩნია. მართალია, ბიჭს მხოლოდ ათი წელი შესრულებოდა, მაგრამ მახვილი მზერითა და სერიოზული გამომეტყველებით უკვე კაცს ჰგავდა. გარემოებათა გამო, ბავშვობაზე უარის თქმა მოუხდა. მამა ცოცხალი აღარ ჰყავდა, ყოველ შემთხვევაში, მათთვის მკვდარი იყო. იგი კიევში გაემგზავრა საჭმლის შოვნის იმედით და მას შემდეგ აღარავის უნახავს. პაველი ყოველგვარი ახსნა-განმარტებისა და ნუგეშისცემის გარეშე მიხვდა, რომ მამა აღარ დაბრუნდებოდა. ახლა ოქსანა უფროს შვილზე ისევე იყო დამოკიდებული, როგორც ბიჭი - მასზე. ისინი თანამოაზრეები გახდნენ და პაველმა დაიფიცა, რომ

იქ მიაღწევდა წარმატებას, სადაც მამამისმა მარცხი განიცადა - ოჯახს აუცილებლად გადაარჩენდა.

ოქსანამ შვილს ლოყაზე ხელი მოუსვა: - დაჭერას მოახერხებ?

ბიჭმა ამაყად გაიღიმა: - პატარა ძვალი თუ მაინც მექნება, კი.

ტბორი გაყინული იყო. ოქსანამ შესაფერისი ქვის მოსაძებნად ხელები თოვლში მოაფათურა.

შეეშინდა, ხმაურს მეზობლების ყურადღება არ მიეპყრო, ამიტომ ქვა თავსაფარში გაახვია და ისე სცადა ყინულის ამოტეხა. შემდეგ იგი გვერდზე გადადო, გულში პირჯვარი გადაიწერა და ხელი შავ, ყინულივით ცივ წყალში ჩაყო. სიცივისგან ჩუმი შეძახილი აღმოხდა. უნდა ეჩქარა, თორემ რამდენიმე წამში თითები გაუშეშდებოდა. ფსკერს შეეხო, მაგრამ იქ მხოლოდ შლამი დახვდა. ნეტავ სად გაქრა? ოქსანა აფორიაქდა. იგი მუხლებზე დაეშვა, ხელი თითქმის მხრამდე ჩაყო წყალში და გაშმაგებით შეუდგა ძებნას. თითებს თითქმის ვეღარ გრძნობდა. უეცრად შუშას შეეხო. შვებით ამოისუნთქა, ბოთლს ხელი ჩაავლო და წყლიდან ამოიღო. კანი მიცვალებულივით გალურჯებოდა, მაგრამ ახლა ეს სულ არ ადარდებდა, რადგან იმას მიაგნო, რასაც ეძებდა - ფისით დაბეჭდილ ბოთლს. შლამისგან გაწმინდა და მიაშტერდა. შიგნით პატარა ძვლები მოჩანდა.

შინ დაბრუნებულმა ნახა, რომ პაველს ცეცხლი დაენთო. ფისი ალზე მოატარა. იგი გაცხელდა და ნაკვერცხლებზე დაიწყო წვეთა. სანამ ელოდებოდნენ, პაველმა დედის სიცივისგან გალურჯებულ კანს მოჰკრა თვალი და სისხლის მიმოქცევის აღსადგენად მისი ხელის ზელას შეუდგა. შვილი, ჩვეულებისამებრ, დედაზე ზრუნავდა. როდესაც ფისი მთლიანად გადნა და ჩამოიღვენთა, ოქსანამ ბოთლი გადმოაპირქვავა და შეანჯღრია. ყელში რამდენიმე ძვალი გაიჭედა. ამოიღო და შვილს გაუწოდა. პაველმა ისინი ყურადღებით შეათვალიერა, ფრჩხილითაც მოფხიკა და კიდეც დაყნოსა. ბოლოს ერთი ცალი აირჩია და წასვლა დააპირა, მაგრამ დედამ შეაჩერა და უთხრა: - ძმაც წაიყვანე.

პაველმა ეს შეცდომად მიიჩნია. მისი უმცროსი ძმა ნელი და მოუქნელი იყო. გარდა ამისა, კატა თავისად მიაჩნდა. მან ის პირველმა შეამჩნია, მაშასადამე, დაჭერითაც თვითონ უნდა დაეჭირა. გამარჯვება მას უნდა მოეპოვებინა, მაგრამ დედამ ხელში მეორე ძვალიც ჩაუდო.

- ანდრეიც წაიყვანე.

***

ანდრეის თითქმის რვა წელი შესრულებოდა. უფროსი ძმა ძალიან უყვარდა. გარეთ იშვიათად გადიოდა, დროის უმეტეს ნაწილს უკანა ოთახში ატარებდა, სადაც სამივენი იძინებდნენ, და გატაცებით ეთამაშებოდა თავის თავს კარტს. კარტი მამას გაეკეთებინა - ქაღალდისგან გამოეჭრა, ერთმანეთზე რამდენიმე ფენად დაეწყო და დაეწებებინა. ეს მისი გამოსამშვიდობებელი საჩუქარი იყო კიევში გამგზავრებამდე. ანდრეი კვლავაც ელოდა მის დაბრუნებას. არავის უთქვამს, ლოდინს აზრი აღარ აქვსო. როგორც კი მამა მოენატრებოდა, მაშინვე კარტს აჭრიდა და იატაკზე ფერებისა და ზრდადობის მიხედვით აწყობდა. მტკიცედ სჯეროდა, რომ თუ მთელ დასტას დააწყობდა, მამა აუცილებლად დაბრუნდებოდა. განა ამიტომ არ აჩუქა წასვლის წინ? რა თქმა უნდა, ანდრეის ყველაზე მეტად ძმასთან ერთად თამაში უყვარდა, მაგრამ პაველს ამისთვის დრო აღარ რჩებოდა, სულ რადაცას საქმიანობდა, დედას ეხმარებოდა. მხოლოდ ზოგჯერ თუ დასთანხმდებოდა ხოდლმე, ისიც საღამოს, დაწოლის წინ.

ოთახში პაველი შემოვიდა. გახარებულ ანდრეის გაეღიმა, იმედოვნებდა, რომ ძმა მასთან ითამაშებდა, მაგრამ იგი მის გვერდით ჩაცუცქდა და კარტის შეგროვებას შეუდგა.

- მერე ვითამაშოთ, ახლა კი უნდა წავიდეთ. სად არის შენი ფეხსაცმელი?

ანდრეიმ ძმის შეკითხვა ბრძანებად ჩათვალა, საწოლქვეშ შეძვრა და თავისი ჯღანები გამოიღო: ტრაქტორის ბორბლის სალტისგან გამოჭრილი ორი ზოლი. თუ მათზე ნაჭრებს დააფენდით და ფეხზე თოკით მიიმაგრებდით, შინნაკეთი ჩექმის მსგავსს მიიღებდით. პაველი ძმას თოკის მაგრად შეკვრაში მიეხმარა, თან აუხსნა, რომ დღეს საღამოს ხორცს შეჭამდნენ, თუ ანდრეი ყველაფერს ზუსტად ისე გააკეთებდა, როგორც თვითონ ეტყოდა.

- მამა ბრუნდება?

- არა, მამა არ ბრუნდება.

- დაიკარგა?

- ჰო, დაიკარგა.

- აბა, ხორცს ვინ მოგვიტანს?

- ჩვენ თვითონ ვიშოვით.

ანდრეიმ იცოდა, რომ მის ძმას ნადირობა ეხერხებოდა. მასზე მეტი ვირთხა სოფელში არავის დაეჭირა. ახლა კი მან პირველად მიიწვია ანდრეი ასეთი მნიშვნელოვანი დავალების შესასრულებლად.

გარეთ რომ გავიდნენ, ანდრეი ძალიან ფრთხილობდა, რათა თოვლში არ წაქცეულიყო.

ბორძიკით მიდიოდა, რადგან ირგვლივ ყველაფერი ბუნდოვნად მოჩანდა. მკაფიოდ მხოლოდ მაშინ ხედავდა, თუ ნივთს თვალებთან ახლოს მიიტანდა. თუ ვინმეს შორს მყოფი ადამიანის დანახვა შეეძლო, - ანდრეის იგი მხოლოდ გაურკვეველ ლაქად ეჩვენებოდა, - ანდრეი ამას მიაწერდა ჭკუას, გამოცდილებას ან სხვა თვისებას, რომელიც დროთა განმავლობაში აუცილებლად უნდა შეეძინა. მტკიცედ გადაეწყვიტა, დღეს არ დაცემულიყო და თავი არ გაემასხარავებინა. ისე მოიქცეოდა, რომ ძმა მისით იამაყებდა კიდეც. ეს ხორცის ჭამის პერსპექტივაზე უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნდა.

პაველი ტყის პირას შეჩერდა და დაიხარა, რათა თოვლზე დატოვებული კატის კვალი უკეთ გაერჩია. ძმის ეს უნარი ანდრეის ყოველთვის აღაფრთოვანებდა. ჩაიცუცქა და სუნთქვაშეკრული მიაცქერდა, როგორ შეეხო პაველი ერთ-ერთი თათის ნაკვალევს. თვითონ ანდრეის არც კვალის წაკითხვა ეხერხებოდა და არც - ნადირობა.

– კატამ აქ გაიარა?

პაველმა თავი დაუქნია და ტყეს გახედა.

ძმის მიბაძვით, ანდრეიმაც გადაუსვა თითის წვერი კვალს და იკითხა: - ეს რას ნიშნავს?

- კატა მსუბუქია, ეს კი ნიშნავს, რომ ცოტა საჭმელი შეგვხვდება, მაგრამ თუ მშიერია, სატყუარაზე უფრო ადვილად წამოვაგებთ.

ანდრეიმ მიღებული ინფორმაციის გადამუშავება სცადა, მაგრამ თავში ყველაფერი ერეოდა.

- ძმაო, სათამაშო კარტი რომ იყო, რომელს აირჩევდი? ტუზს თუ ბაბუას, ყვავს თუ ჯვარს?

პაველმა ამოიოხრა. ანდრეიმ ეს საყვედურად მიიჩნია, გული დასწყდა და იგრძნო, რომ თვალებზე ცრემლები მოადგა.

- გიპასუხებ, თუ დამპირდები, რომ კრინტს აღარ დაძრავ.

- გპირდები.

- კატას ვერ დავიჭერთ, თუ ენას არ გააჩერებ და დააფრთხობ.

- წყნარად ვიქნები.

- ვალეტად ყოფნას ვამჯობინებდი, ხმლით შეიარაღებულ რაინდად. ახლა კი, როგორც დამპირდი, ხმა აღარ გაიღო.

ანდრეიმ თავი დაუქნია. პაველი წამოდგა. ძმები ტყეში შევიდნენ.

დიდხანს მიაბიჯებდნენ ერთად - ანდრეის მოეჩვენა, რომ მრავალი საათი გავიდა, თუმცა დროის შეგრძნება, ისევე, როგორც მხედველობა, საგრძნობლად დასუსტებოდა. მთვარით განათებულ თეთრ საფარზე უფროსი ძმა ადვილად მისდევდა კვალს. ანდრეი ასე ღრმად ტყეში არასდროს შესულა. ზოგჯერ სირბილიც უხდებოდა, რათა პაველს არ ჩამორჩენოდა. ფეხები სტკიოდა. მუცელიც. კიდეც სციოდა და კიდეც შიოდა. მართალია, შინაც არ ჰქონდათ საჭმელი, მაგრამ იქ ფეხები მაინც არ აწუხებდა. თოკი, რომლითაც ნაჭრები რეზინზე მიემაგრებინა, მოშვებოდა და ქუსლებქვეშ თოვლს გრძნობდა. ვერ ბედავდა ძმისთვის ეთქვა, რომ ცოტა ხნით შეჩერებულიყვნენ, რათა თოკი მოეჭირა. აკი დაჰპირდა, რომ ხმას არ ამოიღებდა. მალე თოვლი გადნებოდა, ნაჭრები დასველდებოდა და ფეხები მოეყინებოდა. უსიამოვნო ფიქრებისთვის თავის დასაღწევად ანდრეიმ ახალგაზრდა ხეს ტოტი მოატეხა და ქერქის ღეჭვას შეუდგა, კბილებით ანაწევრებდა უხეშ მასას, ღრძილებსა და ენას რომ უკაწრავდა. უფროსები ამბობდნენ, ქერქის ფაფა შიმშილს კლავსო. სჯეროდა მათი. რწმენა ძალიან სჭირდებოდა.

მოულოდნელად პაველმა ხელით გაჩერება უბრძანა. ანდრეი გაშეშდა. ქერქისგან კბილები გაყავისფრებოდა. პაველი ჩაცუცქდა. ანდრეიმაც მას მიჰბაძა და ტყეს ჩააშტერდა იმის იმედით, რომ იმას დაინახავდა, რაც ძმამ შეამჩნია. თვალები მოჭუტა, რათა ხეების ბუნდოვანება შეემცირებინა.

პაველი კატას მისჩერებოდა. არც პატარა ცხოველი აცილებდა მწვანე თვალებს. რაზე ფიქრობდა? რატომ არ გარბოდა? შესაძლოა, მარიას სახლში ყოფნისას ადამიანების შიში გაჰქრობოდა. პაველმა დანა ამოიღო, თითი ოდნავ გადაისერა და დედის მიერ მიცემულ ქათმის ძვალზე სისხლის ერთი წვეთი დააწვეთა. იგივე გააკეთა ანდრეის სატყუარაზეც - ვირთხის გაჭყლეტილ თავის ქალაზე - კვლავ თავისი სისხლი წაუსვა: ეშინოდა, ძმას არ დაეყვირა და კატა არ დაეფრთხო. ძმები სიტყვის უთქმელად სხვადასხვა მხარეს გაემართნენ. პაველმა ჯერ კიდევ სახლში ყოფნისას აუხსნა ანდრეის დაწვრილებით ყველაფერი, ასე რომ, ახლა სათქმელიც არაფერი ჰქონდა. ისინი ერთმანეთს დასცილდნენ, კატა შუაში მოიქციეს და ძვლები თოვლზე დააწყვეს. პაველმა სწრაფად გახედა ძმას იმაში დასარწმუნებლად, რომ იგი უშეცდომოდ მოქმედებდა.

ანდრეიმ, როგორც ასწავლეს, ჯიბიდან თოკი ამოიღო. მის ერთ ბოლოზე პაველს ყულფი გაემზადებინა. ანდრეის მასში ვირთხის თავის ქა-

ლა უნდა მოეთავსებინა. ეს რომ გააკეთა, უკან დაიხია, რამდენადაც ამის საშუალებას თოკი აძლევდა, და თოვლზე მუცლით გაწვა. იწვა და ელოდა. მხოლოდ ახლა, მიწაზე მიხვდა, რომ სატყუარას თითქმის ვერ ხედავდა. იგი გადღაბნილ ლაქად ქცეულიყო. ანდრეი შეშინდა. ახლა იმის იმედიდა ჰქონდა, რომ კატა ძმის მხარეს აირჩევდა. პაველს არაფერი შეეშლებოდა და კატას დაიჭერდა, შემდეგ კი შინ დაბრუნდებოდნენ და საჭმელს მადიანად შეექცეოდნენ. შიშისა და სიცივისგან ხელები აუკანკალდა. სცადა, თავს მორეოდა, მაგრამ სწორედ მაშინ შეამჩნია, რომ შავი ლაქა მისკენ დაიძრა.

ანდრეის სუნთქვისგან მის სახესთან თოვლმა დნობა დაიწყო. ყინულივით ცივმა წყალმა ტანსაცმელი დაუსველა. საოცრად უნდოდა, კატა ძმის ხაფანგისკენ დაძრულიყო, მაგრამ როდესაც ლაქა მოუახლოვდა, საბოლოოდ გაცხადდა, რომ კატას მისი სატყუარა აერჩია. თუ კატის დაჭერას მოახერხებდა, პაველი მას, რასაკვირველია, შეიყვარებდა, კარტსაც ეთამაშებოდა და აღარასოდეს გაუბრაზდებოდა. ამგვარმა პერსპექტივამ ბიჭს სიამოვნება მოჰგვარა და შიში სიხარულის მოლოდინით შეეცვალა. დიახ, სწორედ იგი დაიჭერს კატას, შემდეგ კი მოკლავს და დაამტკიცებს, რომ მასაც შეუძლია რაღაც. რა უთხრა ძმამ?

გააფრთხილა, რომ თოკი დროზე ადრე არ მოექაჩა. თუ ცხოველი დაფრთხებოდა, მთელი შრომა წყალში ჩაეყრებოდათ. ამ მიზეზით და კიდევ იმის გამო, რომ კატის ადგილმდებარეობას ზუსტად ვერ ხედავდა, ანდრეიმ დალოდება გადაწყვიტა, რათა შეუცდომლად ემოქმედა. თითქმის ხედავდა შავ ბეწვსა და ოთხ თათს. კიდევ ცოტა ხანს დაელოდებოდა, სულ ცოტა ხანს... ძმის სისინი შემოესმა: - მიდი!

ანდრეი პანიკამ მოიცვა. წარსულში ხშირად სმენოდა ეს კილო, რაც იმას ნიშნავდა, რომ რაღაც ისე ვერ გააკეთა. თვალები მოჭუტა და დაინახა, რომ კატა მისი ყულფის შუაგულში იდგა. თოკი დაქაჩა, მაგრამ უკვე ძალზე გვიან იყო - ცხოველმა განზე გახტომა მოასწრო.

ყულფს მხოლოდ სიცარიელე შერჩა. ანდრეი კი ჯიუტად განაგრძობდა ქაჩვას, სასოწარკვეთილს ჯერაც ჰქონდა იმედი, რომ თოკის ბოლოზე რაღაც სასწაულით კატა აღმოჩნდებოდა. აი, ხელზე ცარიელი ყულფი შეეხო და სახეზე სირცხვილის ცხელი სიწითლე მოედო. ბრაზმორეულს საოცრად მოუნდა, წამომხტარიყო, კატას დასდევნებოდა, დასწეოდა, გაეგუდა და თავი გაეჩეჩქვა. მაგრამ არც კი განძრეულა, ვინაიდან თოვლში გაწოლილ, განაბულ ძმას მოჰკრა თვალი. თვითონაც ასე მოიქცა - ანდრეი ხომ

ყველაფერში პაველს ჰბაძავდა. თვალები კიდევ უფრო მოყუტა, მზერა დაძაბა და, როგორც იქნა, გაარჩია, რომ გადღაბნილი შავი ლაქა ძმის ხაფანგისკენ მიიწევდა.

კატის ბრიყვული საქციელის დანახვაზე პაველს ბენტერა უმცროს ძმაზე გაბრაზება აღფრთოვანებით შეეცვალა. ზურგის კუნთები დაეჭიმა. კატა აშკარად სისხლის სუნზე მოდიოდა, სიფრთხილეს შიმშილმა სძლია. დაინახა, როგორ გაირინდა ცხოველი, წინა თათი ასწია და მას მიაჩერდა. პაველმა სუნთქვა შეიკავა, თითები თოკს მოუჭირა. ელოდებოდა და გულში კატას მორიგი ნაბიჯის გადადგმისკენ მოუწოდებდა.

მიდი. მიდი. მიდი.

კატამ ისკუპა, პირი დააღო და ძვალს ჩააფრინდა. პაველმა დრო ზუსტად გათვალა და თოკი დაქაჩა. ხაფანგში ცხოველის წინა თათი გაება. პაველი წამოხტა და ყულფის დასავიწროებლად თოკი უფრო მძლავრად მოზიდა. კატამ გაქცევა სცადა, მაგრამ მახეს თავი ვეღარ დააღწია. ბიჭმა ერთხელაც დაქაჩა და ცხოველი მიწაზე წააქცია. ტყეში ისეთი კივილი გაისმა, თითქოს ურჩხული გააფთრებით იბრძოდა სიცოცხლის გადასარჩენად, თოვლის კორიანტელს აყენებდა, სხმარტალებდა, თოკის გადაღრღნას ცდილობდა. პაველს შეეშინდა, თოკი არ გაწყდესო - ის ხომ ძველი და გაცვეთილი იყო. მაგრამ როდესაც მიახლოება სცადა, კატა უკან გადახტა და ხელი არ მოაკიდებინა. პაველმა ძმას დაუძახა: - მოკალი!

ანდრეი ჯერაც გაუნძრევლად იწვა - ემანდ კიდევ ერთი შეცდომა არ დავუშვაო, მაგრამ ახლა უთხრეს, რაც უნდა გაეკეთებინა. იგი წამოხტა და წინ გაქანდა, ფეხი რაღაცას წამოჰკრა და პირქვე დაეცა. თავი ასწია და ცხვირწინ მოსისინე, დორბლმორეული კატა დაინახა. თუ თოკი გაწყდებოდა, კატა გაიქცეოდა და ძმა სამუდამოდ შეიძულებდა. კვლავ მოესმა პაველის ხრინწიანი, სასოწარკვეთილი ხმა: - მოკალი! მოკალი! მოკალი!

ანდრეი გაჭირვებით წამოდგა, ბრმასავით გადადგა წინ ნაბიჯი და მთელი ტანით დააწვა გაშმაგებულ ცხოველს. იმედოვნებდა, რომ თავისი სიმძიმით გაჭყლეტდა, მაგრამ იგრძნო, როგორც ბორგავდა კატა და ჯვალოსგან შეკერილ მის პალტოს ფხოყნიდა. ხელებგაფარჩხულმა ანდრეიმ, აქაოდა, მსხვერპლი არ გამექცესო, ვედრებით გახედა ძმას და თვალებით დახმარება სთხოვა.

- ჯერაც ცოცხალია!

პაველმა მასთან მიირბინა, დაიჩოქა და ხელი უმცროსი ძმის მუცელქვეშ შეყო, მაგრამ თითები პატარა ცხოველის დაღებულ პირზე მოუხვდა. კატამ უკბინა. პაველმა ხელი ინსტინქტურად უკან დასწია, ჭრილობიდან წამოსულ სისხლს ყურადღება არ მიაქცია, ფორთხვით გადაინაცვლა მეორე მხარეს, ამჯერად ორივე ხელი შეაცურა ძმის მუცელქვეშ, კატას კუდში სწვდა და ზურგის გავლით ცალი ხელი თანდათანობით წაიღო საცოდავი ცხოველის თავისკენ, რომელიც აქედან თავდასხმას აშკარად არ ელოდა.

ანდრეი კვლავინდებურად არ ინძრეოდა, გრძნობდა, რა გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა მისი სხეულის ქვეშ, როგორ მიიწევდა ძმის ხელი მსხვერპლის თავისკენ. ეს უკანასკნელი მიხვდა აღსასრულის მოახლოებას და შიშისგან ჭკუაზე შეშლილი, რასაც კი მოიხელთებდა, თოვლი იქნებოდა თუ პალტო, ყველაფერს პირს ავლებდა. ანდრეი მუცელზე მის ბიძგებსაც გრძნობდა. მან ძმას მიჰბაძა და შეჰყვირა: – მოკალი! მოკალი! მოკალი!

პაველმა კატას კისერი მოუგრიხა. რამდენიმე წამი ძმები გაუნძრევლად იწვნენ და მძიმედ სუნთქავდნენ. პაველმა თავი ანდრეის ზურგზე დაადო. ორივე ხელით კვლავაც კატას ჩაჰფრენოდა. ბოლოს ხელები გამოიღო და წამოდგა. ანდრეი თოვლში იწვა და განძრევას ვერ ბედავდა.

- ადექი.

ახლა წელში გამართვაც შეეძლო. ძმის გვერდით დადგომა. ამაყად თავაწეული დგომა, რადგან იმედი არ გაუცრუა. არ უღალატა. ძმას ხელი მოჰკიდა და წამოდგა. პაველი კატას უმისოდ ვერ დაიჭერდა. თოკი აუცილებლად გაწყდებოდა, კატა კი გაიქცეოდა. ანდრეის გაეცინა, წაიცეკვა კიდეც. ასე ბედნიერი არასდროს ყოფილა. ახლა ნამდვილი ძმები იყვნენ. პაველი გადაეხვია, შემდეგ ორივე მათ ფეხებთან დაგდებულ უსულო არსებას დააცქერდა - პატარა, გაძვალტყავებულ, თოვლში სანახევროდ ჩაფლულ კატას.

ახლა ნანადირევი სოფელში ისე უნდა შეეტანათ, რომ ვერავინ ვერაფერს მიმხვდარიყო ასეთი ნადავლის გულისთვის თანასოფლელებს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღდებოდა. იქნებ გაიგონა კიდეც ვინმემ ცხოველის სასოწარკვეთილი ჩხავილი. მართალია, ტომარა, რომელშიც კატის გახვევა შეიძლებოდა, არ წამოუღიათ, გონებაგამჭრიახმა უფროსმა ძმამ მალე მიაგნო გამოსავალს: იგი ფიჩხში უნდა დაემა-

ლათ. თუ გზაში ვინმე შეხვდებოდათ, ეტყოდნენ, რომ ფიჩხს აგროვებ-დნენ. ეს ეჭვს არავის აღუძრავდა. პაველმა კატა ასწია.

- ფიჩხში ჩავმალავ, რომ არავინ შეამჩნიოს, მაგრამ თუ მართლა ამ საქმეზე ვიყავით წამოსულნი, შენც უნდა გეჭიროს ხელში რაიმე.

ძმის ლოგიკამ ანდრეიზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა - თვითონ ამას ვერაფრით მოიფიქრებდა. ფიჩხის შეგროვებას შეუდგა. მიწაზე თოვლის სქელი ფენა იდო და მის ქვეშ ჩამოცვენილი ტოტების გარჩევა ძნელი იყო. შიშველი ხელების ცეცებით უნდა მიეგნო. ყოველი ცდის შემდეგ ხელისგულები სასწრაფოდ პირთან მიჰქონდა და იორთქლავდა. მალე ცხვირიდან წვინტლი წამოუვიდა, ნაწილი ზედა ტუჩზე დაუგროვდა. მაგრამ დღეს, ასეთი წარმატების შემდეგ, ეს სულ არ აწუხებდა. მამის საყვარელი სიმღერაც კი წამოიწყო და ისე განაგრძო თოვლში ხელების ფათური.

ფიჩხი მართლა ცოტა იყო. ცალ-ცალკე მოუწევდათ ძებნა. პაველი ძმას ოდნავ დაშორდა და შორიახლოს თვალი მოჰკრა წამოქცეულ ხეს, რომელსაც ტოტები სხვადასხვა მხარეს გაეფარჩხა. აჩქარებით გაემართა იქით, კატა თოვლზე მიაგდო, რათა ხელები გაეთავისუფლებინა და დაუბრკოლებლად შესდგომოდა მუშაობას. აქ ბევრი ტოტი იყო, ორივეს ეყოფოდა. პაველმა მიიხედ-მოიხედა. ანდრეის ეძებდა. დაძახებაც დააპირა, მაგრამ ენას მაშინვე კბილი დააჭირა - ზურგს უკან ხმაური მოესმა. სწრაფად შეტრიალდა. მის წინ ხშირი, უღრანი ტყე მოჩანდა. თვალები დახუჭა და ყური მიუგდო: ხრაშახრუში გაიგონა. თოვლში ვიღაც მოდიოდა. ხმა სულ უფრო ხმამაღლა და ახლოს ისმოდა. ბიჭს სისხლში ადრენალინი მოუზღვავდა. თვალები გაახილა და დაინახა, რომ სიბნელეში კაცი მორბოდა. ხელში მსხვილი და მძიმე ტოტი ეჭირა. პირდაპირ მისკენ აეღო გეზი. მაშასადამე, გაიგონა, როგორ კლავდნენ კატას და ახლა ნადავლის წართმევას აპირებდა, მაგრამ პაველი ამას ვერ დაუშვებდა - დედას შიმშილით სიკვდილისთვის ვერ გაწირავდა. იქ უნდა გაემარჯვა, სადაც მამამისმა მარცხი იწვნია. პაველმა კატის დამალვა გადაწყვიტა და სასწრაფოდ მიაყარა თოვლი.

- ჩვენ ფიჩხს...

ტყიდან გამოვარდნილი კომბალმოდერებული კაცის დანახვაზე პაველს ხმა ჩაუწყდა როდესაც მის გატანჯულ სახესა და ველურ მზერას მოჰკრა თვალი, ბიჭი მიხვდა, რომ უცნობს კატა კი არა, თვითონ იგი სჭირდებოდა.

პაველმა პირი გააღო თუ არა, თავში მსხვილი ტოტი მოხვდა. ვერაფერი იგრძნო, მხოლოდ იმას მიხვდა, რომ რატომღაც ფეხზე აღარ იდგა. ცალ მუხლზე დაიჩოქა, თავი მხრისკენ დაუშვა და თვალები ასწია, რომლებიც ჭრილობიდან გადმოღვრილი სისხლით ევსებოდა. დაინახა, როგორ აღმართა კაცმა კომბალი მეორე დარტყმისთვის.

***

ანდრეიმ ღიღინი შეწყვიტა. პაველმა ხომ არ დაუძახა? ჯერ ცოტა ფიჩხი შეეგროვებინა, ყოველ შემთხვევაში, მათი გეგმისთვის არასაკმარისი. არ უნდოდა, ძმას კვლავაც ესაყვედურა, განსაკუთრებით ახლა, როცა თავი ასე ისახელა. წელში გასწორდა და თოვლიდან ხელები ამოიღო. თვალებმოჭუტულმა გახედა ტყეს, მაგრამ ახლოს მდგარი ხეებიც კი გადღაბნილ ლაქებად ეჩვენებოდა.

- პაველ!

ხმა არავინ გასცა. ერთხელაც დაუძახა ძმას. იქნებ ეს ასეთი თამაში იყო? არა, პაველს თამაში აღარ უყვარდა. ანდრეი იქით გაემართა, სადაც ძმას დაშორდა. კვლავაც ვერაფერს ხედავდა. სულელურად იქცეოდა. მას კი არა, პაველს უნდა მოეძებნა იგი. რაღაც ისე არ იყო. კიდევ დაუძახა ძმას, ამჯერად უფრო ხმამაღლა. რატომ არ პასუხობდა? ანდრეიმ პალტოს უხეში სახელოთი ცხვირი მოიწმინდა, თან ფიქრობდა, პაველი მორიგ გამოცდას ხომ არ მიწყობსო. როგორ მოიქცეოდა მის ადგილას უფროსი ძმა? თოვლში მის კვალს გაჰყვებოდა. ანდრეიმ ფიჩხი გადაყარა, მუხლებზე დაეშვა და თოვლს დააკვირდა. საკუთარი ნაკვალევი რომ აღმოაჩინა, გაჰყვა და მალე იქ მივიდა, სადაც ის და პაველი ერთმანეთს დაშორდნენ. გული სიამაყით აღევსო, ეს რომ მოახერხა. თუ წამოდგებოდა, კვალს ვეღარ დაინახავდა, ამიტომ ოთხით განაგრძო სვლა, როგორც ძაღლი მიჰყვება ხოლმე სუნს.

აი, მიაღწია წამოქცეულ ხესაც, რომლის გარშემოც გაფანტული ტოტები და კვალი მოჩანდა - მათ შორის ზოგიერთი დიდი და ღრმა იყო. თოვლს რატომღაც წითელი ფერი დასდებოდა. ანდრეიმ ცალი ხელით მოხვეტა ეს მასა და თითებით მანამ ზილა, სანამ იგი სისხლად არ გადაიქცა.

- პაველ!

ანდრეი შეუჩერებლივ ყვიროდა. მალე ხმა ჩაუწყდა და ატირდა. უნდოდა, ძმისთვის ეთქვა, რომ მისი წილიც წაეღო. თვითონ მხოლოდ ძმის

დაბრუნება სურდა. ტყუილუბრალოდ გაისარჯა. პაველმა იგი მიატოვა და მარტო დატოვა.

***

ოქსანა პატარა ტომარაში ჩაყრილ დანაყილ სიმინდის ღეროებს, ნაცარქათამასა და კარტოფილის გამხმარ ნაფცქვენს ღუმლის ქვედში ინახავდა. ინსპექციის დროს იქ ყოველთვის ცეცხლს ანთებდა ხოლმე. შემმოწმებლებს, რომელთა მოვალეობა იმის დადგენა იყო, ვინმე მარცვლეულს ხომ არ მალავდა, აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ ცეცხლის უკან შემძვრალიყვნენ. ისინი ქალს არ ენდობოდნენ - იგი ხომ ჯანმრთელი ჩანდა, არადა, ყველა ავადმყოფობდა. თითქოს იმასაც კი დანაშაულად უთვლიდნენ, რომ ამდენი ხანი სული უფლისთვის არ მიებარებინა. მაგრამ სახლში ვერაფერს პოულობდნენ და ამიტომ მისთვის ვერც კულაკის, მდიდარი გლეხის, იარლიყის მიწებებას ახერხებდნენ. დახვრეტის ნაცვლად ნელი სიკვდილისთვის გაწირეს. ოქსანამ იცოდა, რომ მათ აშკარად ვერ დაუპირისპირდებოდა. რამდენიმე წლის წინ, როდესაც გამოაცხადეს, ეკლესიის ზარი გადასადნობად უნდა ჩამოვხსნათო, მან სოფელში წინააღმდეგობის ჯგუფი შექმნა. ოქსანა და კიდევ ოთხი ქალი სამრეკლოში ჩაიკეტნენ, განუწყვეტლივ რეკავდნენ ზარს და მისი ჩამოხსნის საშუალებას არავის აძლევდნენ. ოქსანა გაჰყვიროდა, ზარი ღმერთს ეკუთვნისო. შეეძლოთ, იმ დღესვე მოეკლათ, მაგრამ ჯგუფის ხელმძღვანელმა ქალები დაინდო. როდესაც კარი შეანგრიეს, მან განაცხადა, რომ მხოლოდ ამ ზარის წაღება ჰქონდათ ნაბრძანები, რადგან ქვეყანას მრეწველობის ასაღორძინებლად ლითონი სჭირდებოდა. ამის საპასუხოდ ოქსანამ ფეხებთან დაუფურთხა. მოგვიანებით, როდესაც სახელმწიფო გლეხებისგან პროდუქტის ჩამორთმევას შეუდგა, რასაც იმით ხსნიდა, რომ ყველაფერი მას ეკუთვნოდა, ოქსანა უფრო წინდახედულად მოიქცა. გადაწყვიტა, აშკარად დაპირისპირების ნაცვლად, გარეგნულად მორჩილება გამოეხატა, წინააღმდეგობა კი ფარულად გაეწია.

დღეს მის ოჯახში ზეიმი იქნებოდა. მან თოვლი გაადნო, წყალი აადუღა და შიგ სიმინდის დანაყილი ღეროები ჩაყარა. ბოთლში დარჩენილი ძვლებიც დაამატა. კერძის მომზადების შემდეგ ძვლებს ფქვილისთვისაც დანაყავდა. ცხადია, ოქსანა ხვდებოდა, რომ მოვლენებს წინ უსწრებდა. პაველი ნადირობიდან ჯერაც არ დაბრუნებულიყო, მაგრამ მის წარმატებაში ეჭვი არ ეპარებოდა. ღმერთმა მას განსაცდელი კი მოუვლინა, მაგ-

რამ დამხმარედ ვაჟიშვილიც მისცა. კატა რომ ვერ დაიჭიროს, მაინც არ გავუბრაზდებიო, გაიფიქრა მან. ტყე დიდი იყო, ცხოველი - პატარა, ბრაზი კი ძალ-ღონეს ფუჭად დაახარჯვინებდა. მართალია, ნაწილობრივ შეემზადა იმედგაცრუებისთვის, სიხარულნარევ მღელვარებას გრძნობდა იმის გაფიქრებაზე, რომ დღეს ვახშმად ხორცი და კარტოფილის ბორშჩი უნდა ჰქონოდათ.

კარში თოვლში ამოგანგლული ანდრეი გამოჩნდა. სახე დაჰკაწროდა, ცხვირიდან სისხლიანი წვინტლი სდიოდა. ჯღანები სულ დაშლოდა და შიშველი თითები გარეთ გადმოჰყროდა. ოქსანამ შვილთან მიირბინა.

- შენი ძმა სადაა?

- მიმატოვა.

ანდრეი ატირდა. არ იცოდა, სად გაქრა მისი ძმა. ვერ ხვდებოდა, რა მოხდა, ვერაფერი აეხსნა. მხოლოდ იმას გრძნობდა, რომ დედა შეიძულებდა, რომ დამნაშავე აღმოჩნდებოდა, თუნდაც ყველაფერი სწორად გაეკეთებინა, თუნდაც დადასტურებულიყო, რომ უფროსმა ძმამ მიატოვა.

ოქსანას სუნთქვა შეეკრა. ანდრეის ხელი ჰკრა, ქოხიდან გარეთ გავარდა და ტყეს გახედა. პაველი არსად ჩანდა. შესაძლოა, დაეცა და რამე დაიშავა. შესაძლოა, დახმარება სჭირდებოდა. კვლავ სახლში შებრუნდა, რათა პასუხი მოეთხოვა, მაგრამ დაინახა, რომ ანდრეი ქვაბთან იდგა, პირში კოვზი ედო. ბავშვმა დამნაშავე, სულელური გამომეტყველებით შეხედა დედას, რომელმაც შეამჩნია, რომ შვილს პირიდან კარტოფილის სუპის ნარჩენი ეღვრებოდა. საშინელი ბრაზი დაეუფლა დაღუპული ქმრისა და დაკარგული ვაჟიშვილის გამო, ანდრეის მივარდა, წააქცია და ხის კოვზი ყელში ჩასთხარა.

- როცა ამოვიღებ, ყველაფერს მომიყვები, რაც მოხდა.

მან კოვზი ამოიიო, მაგრამ ანდრეი მხოლოდ ახველებდა და ტიროდა. ვერ ლაპარაკობდა. ხველასა და ტირილს განაგრძობდა. ქალმა მკერდში მუშტები დაუშინა. მხოლოდ მაშინ შეჩერდა, როდესაც შეამჩნია, რომ ბორშჩი საცაა ადუღდებოდა და გადმოვიდოდა. წამოდგა და ქვაბი ცეცხლიდან გადმოიღო.

იატაკზე გაწოლილი ანდრეი სლუკუნებდა და კვნესოდა. ოქსანამ მას ზევიდან დახედა. იგრძნო, რომ ბრაზი უნელდებოდა. ბიჭი ხომ ძალზე პატარა იყო. უფროსი ძმა უსაზღვროდ უყვარდა. ქალი დაიხარა, შვილი წამოაყენა და სკამზე დასვა. შემდეგ საბანი მოახურა და თეფშზე ბორშჩი დაუსხა, იმაზე გაცილებით ბევრი, ვიდრე ჩვეულებრივ უსხამდა. სცადა,

თვითონ ეჭმია კოვზით, მაგრამ ბიჭი პირს ჯიუტად არ აღებდა. დედას არ ენდობოდა. ოქსანამ კოვზი გაუწოდა. ანდრეიმ ტირილი შეწყვიტა და ჭამას შეუდგა. თეფში ძალიან სწრაფად დაცარიელდა. მან კიდევ დაუსხა ბორშჩი და უთხრა, რომ ნელა ეჭამა. ანდრეიმ მის სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია და მეორე ულუფასაც თვალის დახამხამებაში გაუსწორდა. ოქსანამ ძალიან მშვიდად და ხმადაბლა სთხოვა, მოეყოლა, რაც მოხდა, შემდეგ კი უსმენდა, როგორ ჰყვებოდა იგი თოვლზე დაღვრილი სისხლის, გაფანტული ფიჩხის, ძმის გაუჩინარებისა და დიდი ნაკვალევის შესახებ. ოქსანამ თვალები მაგრად დახუჭა.

- შენი ძმა მკვდარია. იგი შესაჭმელად წაიყვანეს, გაიგე? როგორც თქვენ ნადირობდით კატაზე, ისე ვიღაც ნადირობდა თქვენზე. მიხვდი?

ანდრეი დუმდა და დედის ლოყებზე ჩამოგორებულ ცრემლებს შესცქეროდა. კაცმა რომ თქვას, ვერაფერს ხვდებოდა. დაინახა, როგორ ადგა დედა და ქოხიდან გავიდა, შემდეგ მისი ხმა მოესმა და კართან მიირბინა.

თოვლში მუხლებზე დაჩოქილი ოქსანა სავსე მთვარეს შესცქეროდა და ერთსა და იმავეს იმეორებდა: - გევედრები, უფალო, დამიბრუნე შვილი.

ახლა მისი ვაჟიშვილის შინ დაბრუნება მხოლოდ ღმერთს შეეძლო. არადა, ქალი ძალიან ცოტას სთხოვდა. ნუთუ ღმერთს ასეთი ცუდი მახსოვრობა ჰქონდა? ოქსანამ ხომ საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩაიგდო, როდესაც მისი ზარის გადარჩენას ცდილობდა. სანაცვლოდ კი მხოლოდ შვილის, მისი ცხოვრების აზრის დაბრუნებას სთხოვდა.

გარეთ რამდენიმე მეზობელმა გამოიხედა. ისინი ოქსანასკენ იყურებოდნენ და მისი ტირილიც ესმოდათ, მაგრამ ამგვარ მწუხარებას ისე მისჩვეოდნენ, რომ მალე ყველანი თავ-თავიანთ სახლებს დაუბრუნდნენ.

ოცი წლის შემდეგ

მოსკოვი

1953 წლის 11 თებერვალი

თოვლის გუნდა ჟორას კეფაში მოხვდა. ბიჭი ამას არ ელოდა. წვრილმა შხეფებმა ყურები ამოუვსო. უკნიდან უმცროსი ძმის სიცილი შემოესმა, ხმამაღალი სიცილი - პატარა თავისი ზუსტი, თუმცა შემთხვევითი და ერთადერთი იღბლიანი გასროლით ამაყობდა. ჟორამ პალტოდან ყინულის ნამცეცები ჩამოიფერთხა, მაგრამ ნაწილი საყელოს შიგნით ჩაუცვივდა. ისინი დადნა, ზურგზე დაეშვა და ლოკოკინასავით ცივი კვალი დატოვა.

არკადის ვერაფრით დაეჯერებინა უფროსი ძმის ასეთი უდარდელობა, - პერანგიდან თოვლს იფერთხავდა, ნაცვლად იმისა, მეტოქისთვის სამაგიერო გადაეხადა, - თუმცა მისთვის ბოძებული დროით სრულად ისარგებლა და მარჯვედ შეუდგა ახალი თოვლის გუნდის კეთებას: ძალიან დიდი სასროლადაც მოუხერხებელი იყო, ნელაც მიფრინავდა და მისი აცილება დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა. სწორედ აქ უშვებდა შეცდომას - დიდ გუნდებს ძალიან დიდხანს აკეთებდა. სასურველი გამანადგურებელი დარტყმა არაფრით გამოსდიოდა: ისინი ან ჰაერშივე იშლებოდა საკუთარი სიმძიმისგან და უფროს ძმამდე ვერ აღწევდა, ან თუ აღწევდა, ძალა არ ჰქონდა და ჟორა მათ ადვილად იჭერდა. ძმები ხშირად და დიდხანს გუნდაობდნენ. ზოგჯერ მათ სხვა ბავშვებიც უერთდებოდნენ, მაგრამ უმეტესად ერთმანეთთან თამაშით კმაყოფილდებოდნენ. თამაში ძალდაუტანებელი გართობით იწყებოდა, მაგრამ ყოველ ტყორცნასთან ერთად დაძაბულობა მატულობდა. არკადი ვერასდროს იგებდა, თუკი გუნდაობისას გამარჯვებულის გამოვლენა საერთოდ შესაძლებელია. მას მუდამ აცვიფრებდა უფროსი ძმის სროლის ძალა და სისწრაფე. თამაში ყოველთვის ერთნაირად მთავრდებოდა: იმედგაცრუებით, მარცხით, განაწყენებით, ან უფრო უარესით - ცრემლებითა და სამარცხვინო გაქცევით. არკადის საკუთარი თავი სძულდა იმის გამო, რომ მუდმივად აგებდა, მაგრამ უფრო

მეტად იმიტომ, რომ ამას ძალიან განიცდიდა. თუმცა გუნდაობაზე უარს მაინც არ ამბობდა - მტკიცედ სწამდა, რომ, ადრე თუ გვიან, ყველაფერი შეიცვლებოდა და აუცილებლად გაიმარჯვებდა. სწორედ ასეთი დღე დადგა დღეს. მას შესანიშნავი შანსი მიეცა: მიეპარა, მაგრამ არც ძალიან ახლოს - უნდოდა, გუნდა წესების სრული დაცვით ეტყორცნა. მიბჯენით სროლა არ ითვლებოდა.

ჟორამ ძალზე გვიან შეამჩნია მისკენ წამოსული თეთრი ბურთი, არც ძალიან დიდი, არც ძალიან პატარა, სწორედ იმ ზომის, როგორსაც თვითონ აკეთებდა. ვეღარაფერი მოასწრო. ხელები ზურგს უკან ჰქონდა. უნდა ეღიარებინა, რომ მისი პატარა ძმა სწრაფად ოსტატდებოდა.

გუნდა ცხვირში მოხვდა და თვალები და პირიც ამოუვსო. სასწრაფოდ უკან დაიხია. იგრძნო, როგორ გადაეკრა სახეზე თეთრი ქერქი. ბრწყინვალე ტყორცნა გამოვიდა - თამაში დასრულდა. დღეს იგი უმცროსმა ძმამ დაამარცხა, რომელსაც ჯერ ხუთი წელიც არ შესრულებოდა. მხოლოდ ახლა, პირველი წაგების შემდეგ, გააცნობიერა სრულად გამარჯვების მნიშვნელობა. არკადი კვლავ იცინოდა - იცინოდა მთელი გულით, თითქოს სახეში გუნდის მორტყმა ამქვეყნად ყველაზე სასაცილო სანახაობა იყო. ჟორამ გაიფიქრა, რომ, არკადისგან განსხვავებით, თვითონ ასეთ აღფრთოვანებას არასდროს გამოხატავდა, არასდროს ხარხარებდა და არც, შეძლებისდაგვარად, მეტი სიამოვნების მიღებას ცდილობდა. მისი უმცროსი ძმა დამარცხებას ხომ ვერ იტანდა, მაგრამ ვერც გამარჯვება შეერგო ღირსეულად. ბიჭისთვის ჭკუა უნდა ესწავლებინა და ღრუბლებიდან მიწაზე დაეშვა. მან ერთადერთი თამაში მოიგო, ისიც შემთხვევით, რამდენიმე ასეული კი, თუ ათასეული არა, წააგო. და ახლა ისე იქცეოდა, თითქოს ანგარიში გათანაბრდა. ან უფრო მეტიც - თითქოს მასზე უკეთესი იყო. ჟორა ჩაცუცქდა, ხელები თოვლში ღრმად ჩაყო, ყინულის ფენამდე ჩააღწია და თოვლს გაყინული ტალახი, ბალახი და კენჭებიც ამოაყოლა.

როდესაც არკადიმ დაინახა, რომ უფროსი ძმა მორიგ თოვლის გუნდას აკეთებდა, პირი იბრუნა და გაიქცა. ეს რევანში იქნებოდა - კარგად დაგუნდავებული და მთელი ძალით ნასროლი. სულაც არ აპირებდა დგომასა და ლოდინს, სანამ გუნდა არ მოხვდებოდა. თუ გაქცევას მოასწრებდა, არაფერი მოუვიდოდა. შესანიშნავად გაკეთებული და ზუსტად ნასროლი გუნდაც კი მხოლოდ განსაზღვრულ მანძილზე იფრენდა, შემდეგ მიწაზე დაეცემოდა, თუ მანამდე ჰაერში ნაწილებად არ დაიშლებოდა. რომც მოხ-

ვედროდა, ასე შორიდან ნასროლი ისეთს ვერაფერს დაუშავებდა, მის შესაქმნელად დახარჯული შრომა რომ აენაზღაურებინა. თუ გაიქცეოდა, პირველობა მაინც მას დარჩებოდა. არ უნდოდა, გამარჯვება მისთვის დამარცხებად ქცეულიყო, უფროსი ძმის ზუსტი სროლების სერიას დღევანდელი სიამოვნება ჩაემწარებინა. არა, ახლა მთავარი გაქცევა და გამარჯვების აღნიშვნა იყო და ამით - თამაშის დამთავრებისაც. ხვალამდე მაინც დატკბებოდა ამ გრძნობით. მერე, ალბათ, ისევ წააგებდა, მაგრამ ეს ხვალ იქნებოდა. დღეს კი გამარჯვებას იზეიმებდა.

არკადიმ გაიგონა, როგორ დაუძახა ძმამ. სირბილის შეუწყვეტლივ, გაღიმებულმა თავი მისკენ მიაბრუნა, დარწმუნებულმა, რომ აღარაფერი ემუქრებოდა.

ეს სახეში მუშტის დარტყმას ჰგავდა. თავი უკან გადაუვარდა, მთელი სხეულით ჰაერში აიჭრა და რამდენიმე წამი იფრინა. როდესაც ტერფებით მიწას შეეხო, ფეხები მოეკეცა და პირქვე დაეცა. ისე დარეტიანდა, ხელებიც არ გაუშვერია წინ. ცხვირ-პირით თოვლში ჩაეფლო. ერთხანს გაუნძრევლად იწვა, ვერ გაეგო, რა მოხდა. პირი ტალახით, ნერწყვითა და სისხლით გავსებოდა. ცალთითა ხელთათმანი ტუჩებთან ფრთხილად მიიტანა. კბილები უხეში და ხორკლიანი მოეჩვენა, თითქოს ზედ სილა დაჰყროდა. შუაში ხვრელი გასჩენოდა. კბილი აკლდა. ატირებულმა თოვლზე დააფურთხა და მის მოსაძებნად ხელები მოაფათურა. ახლა რატომღაც სხვაზე არაფერზე ფიქრობდა, მხოლოდ ეს აღელვებდა. კბილი აუცილებლად უნდა ეპოვა. სად უნდა წასულიყო? მაგრამ თეთრ თოვლზე არკადიმ ვერაფერს მიაგნო. კბილი დაიკარგა. ტკივილი ისე არ აწუხებდა, რამდენადაც ბრაზი ახრჩობდა ასეთი უსამართლობის გამო. ნუთუ ერთხელ მაინც არ იყო მოგების ღირსი? მან ხომ სამართლიანად გაიმარჯვა. რატომ უჭირდა ძმას ამასთან შეგუება?

ამასობაში ჟორამაც მოირბინა. როგორც კი გატყორცნა ტალახისგან, ყინულისა და კენჭებისგან გაკეთებული გუნდა, მაშინვე ინანა თავისი საქციელი. ძმას დაუძახა, რათა გაეფრთხილებინა, განზე გაიწიეო, მაგრამ არკადი შემობრუნდა და ნასროლი სახეში მოხვდა. ისე გამოვიდა, თითქოს ყველაფერი განზრახ მოაწყო, ნაცვლად იმისა, რომ გუნდის თავიდან აცილებაში დახმარებოდა. მიახლოებისთანავე, თოვლზე სისხლს მოჰკრა თვალი და კინაღამ გული აერია. ეს მისი ნახელავი იყო. თამაში, რომელიც ასე სიამოვნებდა, ისევე, როგორც ყველაფერი სხვა, საშინელებად გადააქცია. ვითომ რა დაშავდებოდა, უმცროს ძმას ერთხელ მაინც რომ

მოეგო? რევანშს მომდევნო დღეებში აიღებდა, ახლა კი სირცხვილისგან იწვოდა.

ჟორა არკადის გვერდით მუხლებზე დაეცა და გაუბედავად დაადო მხარზე ხელი, მაგრამ უმცროსმა ძმამ, უარის ნიშნად, მხარი შეათამაშა და მას გაწითლებული და აცრემლებული თვალები მიაპყრო. დასისხლიანებული პირით პატარა ნადირს ჰგავდა. არაფერი უთქვამს. სახე სიბრაზისგან დაღრეჯოდა. გაჭირვებით წამოდგა. აქეთ-იქით ქანაობდა.

– არკადი...

პასუხად ბიჭმა პირი დააღო და ატირდა. ცხოველურ ხმებს გამოსცემდა. ჟორა მხოლოდ ერთიანად დასვრილ კბილებს ხედავდა. არკადი შეტრიალდა და გაიქცა.

- მოიცადე, არკადი!

მაგრამ უმცროსი ძმა არ დაელოდა - არ შეჩერდა, არ მოისურვა უფროსი ძმის ბოდიშის მოსმენა. თავქუდმოგლეჯილი გარბოდა. შიგადაშიგ ენით წინა კბილებს შორის გაჩენილ ხვრელს ისინჯავდა. როდესაც ენის წვერით გასისხლიანებულ ღრძილებს ეხებოდა, იმედოვნებდა, რომ ძმას ვეღარასოდეს ნახავდა.

14 თებერვალი

ლევი მრავალბინიან, რამდენიმესართულიან, ბეტონით აშენებულ ნაცრისფერ, თვრამეტ ნომერ სახლს მისჩერებოდა. ჯერ არ მოსაღამოებულიყო, მაგრამ უკვე ბნელოდა. მთელი დღე უსიამოვნო და უაზრო საქმეს გადაჰყვა. მილიციელის პატაკის თანახმად, ოთხი წლისა და ათი თვის ბიჭი რკინიგზის ლიანდაგებში მკვდარი იპოვეს. ბავშვი შპალებში გვიან საღამოს მარტო თამაშობდა და სამგზავრო მატარებელმა გაიტანა. ბორბლებმა მისი სხეული ორად გადაჭრა. 21:00-ზე ხაბაროვსკისკენ გასული შემადგენლობის მემანქანემ პირველივე სადგურზე შეატყობინა შესაბამის სამსახურს, რომ იაროსლავის ვაგზლიდან გასვლისთანავე, ლიანდაგებში ვიღაც თუ რაღაც შენიშნა. ჯერჯერობით, ვერ დაედგინათ, როგორ ჩაუვარდა ბიჭი მატარებელს. შესაძლოა, მემანქანე სიმართლეს ბოლომდე არ ამბობდა, მაგრამ შემდგომ გამოძიებას აზრი არ ჰქონდა: მოხდა ტრაგიკული, უბედური შემთხვევა, რომელშიც ბრალი არავის მიუძღოდა. საქმე უნდა დაეხურათ.

ჩვეულებრივ ვითარებაში საჭირო არ გახდებოდა მასში МГБ-ს, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს, პერსპექტიული და სამსახურებ-

რივ კიბეზე თავდაჯერებით ამავალი ლევ სტეპანოვიჩ დემიდოვის ჩართვა. ისეთი რა უნდა გაეკეთებინა? ბიჭის დაღუპვამ საშინელი დარტყმა მიაყენა მის მშობლებსა და ნათესავებს, მაგრამ, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ბავშვების გაუფრთხილებლობა, თუ ეს მხოლოდ ქცევას ეხებოდა და არა ენას, სახელმწიფო უშიშროების ინტერესის სფეროს არ განეკუთვნებოდა. მაგრამ აღნიშნულ შემთხვევაში საქმე მოულოდნელად გართულდა. ბიჭის მშობლების მწუხარებამ არასასურველი ფორმა მიიღო. ისინი არ აღიარებდნენ, რომ მათი ვაჟიშვილი (ლევმა პატაკში ჩაიხედა - ბიჭს არკადი ფიოდოროვიჩ ანდრეევი ერქვა) საკუთარ გაუფრთხილებლობას ემსხვერპლა. ამტკიცებდნენ, რომ ბავშვი მხეცურად მოკლეს. ცხადია, არ იცოდნენ, ეს ვინ, როგორ და რატომ ჩაიდინა, მაგრამ შესაძლო გონივრულ ახსნა-განმარტებებს ახლოს არ იკარებდნენ და ემოციას, გრძნობას აჰყოლოდნენ. შეიქმნა რეალური საფრთხე, რომ ისინი თავიანთ სიმართლეში გულუბრყვილო ადამიანებს დაარწმუნებდნენ: მეზობლებს, მეგობრებსა და ნაცნობებს, ერთი სიტყვით, ყველას, ვინც არაკეთილგონიერებას გამოიჩენდა და მათ მოუსმენდა.

ვითარებას ისიც ართულებდა, რომ ბიჭის მამა, ფიოდორ ანდრეევი, МГБ-ს უმცროსი ოფიცერი და ამასთან, ლევის ერთ-ერთი ხელქვეითი იყო. ნაცვლად იმისა, თავი ხელში აეყვანა, თავისი უაზრო მონაჩმახის გასამყარებლად ამ ორგანიზაციის ავტორიტეტის მოშველიება სცადა, დასაშვები ზღვარი გადალახა და გრძნობა გონებაზე მაღლა დააყენა. რომ არა ამ საქმეში არსებული შემამსუბუქებელი გარემოებანი, ლევი მისი დაპატიმრების ბრძანებასაც გასცემდა. ერთი სიტყვით, საგანგაშო ვითარება შეიქმნა, რის გამოც ლევმა რეალური, მნიშვნელოვანი პრობლემები გვერდზე გადადო და მთელი დღე ამ საქმის გამოსწორებას დაუთმო.

ლევს ფიოდორთან მოსალოდნელი დაპირისპირება გულზე სულაც არ ეხატებოდა, ამიტომ აუჩქარებლად ადიოდა კიბეზე და იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ მოხვდა აქ, ამ ორგანიზაციაში, რომელიც ხალხის განწყობას თვალყურს ადევნებდა. არასდროს უოცნებია სახელმწიფო უშიშროებაში მუშაობაზე, მაგრამ ეს კარიერა არმიაში მისი სამსახურის ლოგიკურ გაგრძელებად იქცა. დიდი სამამულო ომის დროს იგი ომსბონ-ში - განსაკუთრებული დანიშნულების მოტომსროლელთა ბრიგადაში გაიწვიეს. მესამე და მეოთხე ბატალიონები, ძირითადად, ფიზკულტურის ცენტრალური ინსტიტუტის სტუდენტებით დაეკომპლექტებინათ, სადაც თვითონაც

სწავლობდა - მომავალ მებრძოლებს კარგი ფიზიკური მონაცემების მქონე ახალგაზრდებს შორის არჩევდნენ. შემდეგ ისინი გადასამზადებლად გაამწესეს მიტიშჩიში, მოსკოვის ჩრდილოეთით მდებარე სავარჯიშო ბანაკში, სადაც ხელჩართული ბრძოლის წესებს, ყველა სახის იარაღის მოხმარებას, დაბალი სიმაღლიდან პარაშუტით ხტომასა და ასაფეთქებელი ნივთიერებების გამოყენებას ასწავლიდნენ. ბანაკი ენ-კა-ვე-დეს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, ანუ შინსახკომს ექვემდებარებოდა - ასე უწოდებდნენ სახელმწიფო უშიშროებას, სანამ იგი სამინისტროდ არ გარდაიქმნა. ბატალიონებსაც უშუალოდ შინსახკომი ხელმძღვანელობდა და არა არმიის სარდლობა, რამაც მათ მიერ შესასრულებული დავალებების ხასიათზეც მოახდინა ზეგავლენა. ისინი მტრის ზურგში გადაჰყავდათ ინფრასტრუქტურისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა გასანადგურებლად, ინფორმაციის შესაგროვებლად და მაღალი თანამდებობის პირთა სალიკვიდაციოდ. ერთი სიტყვით, ნამდვილი დივერსანტები იყვნენ.

ლევს მოსწონდა ოპერაციების ჩატარებისთვის მინიჭებული დამოუკიდებლობა, თუმცა კეთილგონიერებას იჩენდა და ამ აზრს არავის უმხელდა. სიამოვნებდა ის ფაქტი თუ ილუზია, რომ საკუთარ ბედს თვითონ წყვეტდა. წარმატება წარმატებას მოსდევდა. შედეგად, სუვოროვის მეორე ხარისხის ორდენით დააჯილდოეს. მისმა გაწონასწორებულობამ, სამხედრო ოსტატობამ, სასიამოვნო გარეგნობამ და, რაც მთავარია, საკუთარი ქვეყნისადმი ურყევმა და გულწრფელმა რწმენამ „გარეკანის ჭაბუკად“ აქცია, - პირდაპირი მნიშვნელობით, - როდესაც საბჭოთა ჯარები გერმანელების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებს ათავისუფლებდნენ, მას და სხვადასხვა დივიზიის რამდენიმე ჯარისკაცს ალმოდებული გერმანული ტანკის ფონზე გადაუღეს სურათი: იდგნენ, ავტომატები ზევით აეწიათ, სახეზე გამარჯვებულის ღიმილი დასთამაშებდათ, გარშემო კი მტრის დაღუპული მებრძოლები ეყარნენ. შორს გადამწვარი სოფელი მოჩანდა. ნგრევა, სიკვდილი და მოზეიმე ღიმილი - მხარბეჭიანი ლევი თავისი საუცხოო კბილებით ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყო. რამდენიმე კვირის შემდეგ ფოტოსურათი გაზეთ „პრავდის“ პირველ გვერდზე დაბეჭდეს. ახლა ლევს უცნობებიც ცნობდნენ, სამხედრო თუ სამოქალაქო პირები - ყველას სურდა მისთვის, გამარჯვების სიმბოლოსთვის, ხელი ჩამოერთმია და გადახვეოდა.

ომის დამთავრების შემდეგ ლევი ომსბონი-დან შინსახკომის შტატში გადაიყვანეს. წინსვლა ლოგიკური ჩანდა. ზედმეტი შეკითხვების დასმა არ

უყვარდა: ამ გზაზე უფროსმა ამხანაგებმა დააყენეს და ისიც ამაყად თავაწეული მიუყვებოდა მას. რაც უნდა მოეთხოვა მისგან სამშობლოს, ყველაფერს სიხარულით დასთანხმდებოდა. ერთხელ უბრძანეს და არქტიკულ ტუნდრაში, კოლიმაში მდებარე გულაგის ერთ-ერთი ბანაკის ხელმძღვანელობა დაავალეს. ცხოვრებაში მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებდა: ერთგულება სამშობლოსადმი, ქვეყნისადმი, რომელმაც ფაშიზმი დაამარცხა, ქვეყნისადმი, სადაც განათლება და სამედიცინო მომსახურება უფასო იყო, ქვეყნისადმი, რომელიც მთელი მსოფლიოს გასაგონად ლაპარაკობდა მუშათა კლასის უფლებებზე, რომელმაც მამამისს - საბრძოლო მასალების დამამზადებელი ქარხნის კონვეიერის მუშას - მაღალკვალიფიციური ექიმის შესაფერისი ხელფასი დაუნიშნა. მართალია, ზოგჯერ სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში სამსახური არ სიამოვნებდა, ხვდებოდა, რომ ეს აუცილებელი იყო შიგა და გარე მტრებისგან რევოლუციის დასაცავად, მათგან, ვინც მისი საფუძვლის მორყევას ცდილობდა, ვისაც მათი ყოველი წარუმატებლობა ახარებდა. მტრების დასამარცხებლად ლევი საკუთარ სიცოცხლესაც არ დაიშურებდა, ამისათვის ის სხვების სიცოცხლესაც უყოყმანოდ გაწირავდა.

მაგრამ ახლა ვითარება მისგან გმირობას არ მოითხოვდა, არც სამხედრო მომზადება გამოადგებოდა რამეში. აქ მის წინ მტერი კი არა, კოლეგა, მეგობარი, მწუხარებით განადგურებული მამა იდგა. МГБ-ს წესებს არავინ შეცვლიდა და მგლოვიარე მამა საქმეში ფიგურირებდა. ლევს სიფრთხილე მართებდა. იმ გრძნობას არ უნდა აჰყოლოდა, რომელმაც ფიოდორი ლამის დააბრმავა. ეს ისტერია კარგ ოჯახს საფრთხეს უქმნიდა. თუ ზომებს არ მიიღებდა, მკვლელობის შესახებ აგორებული უსაფუძვლო ჭორები ცომივით გაფუვდებოდა, ხალხში გავრცელდებოდა, მათ შეშფოთებას გამოიწვევდა და ჩრდილს მიაყენებდა ახალი საზოგადოების ფუნდამენტურ პრინციპს:

ჩვენთან დამნაშავეობა არ არსებობს.

სხვათა შორის, ამის ცოტას თუ სჯეროდა. ჯერ კიდევ ბევრი იყო ლაქა: გარდამავალ პერიოდში ცხოვრობდნენ, იდეალურობამდე ბევრი აკლდათ. როგორც МГБ-ს ოფიცერს, ლევს ლენინის ნაშრომები უნდა შეესწავლა. თუმცა ეს ყველა მოქალაქეს ევალებოდა. მან იცოდა, რომ ისეთი სოციალური უკიდურესობა, როგორიც დამნაშავეობა იყო, სიღარიბისა

და გაჭირვების შემცირებასთან ერთად თანდათან გაქრებოდა, მაგრამ ჯერ ეს მწვერვალი არ დაეპყროთ. თუმცა შიგადაშიგ ქურდობა კვლავაც ხდებოდა, გადამეტებული სმა ჩხუბსა და ძალადობას იწვევდა, ურკებიც - კრიმინალური ბანდებიც არსებობდნენ, ადამიანებს უნდა ერწმუნათ, რომ ახალი, უკეთესი სამყარო ყალიბდებოდა. ასეთ ვითარებაში მომხდარისთვის მკვლელობის დარქმევა უკან გადადგმულ გიგანტურ ნაბიჯს ნიშნავდა. თავისი უშუალო ხელმძღვანელისგან, მაიორ კუზმინისგან, ლევმა იცოდა 1937 წლის ტრიბუნალების შესახებ, როდესაც სტალინმა განაცხადა, რომ ბრალდებულებმა რწმენა დაკარგეს.

პარტიის მტრები მხოლოდ საბოტაჟს, შპიონაჟსა და მავნებლობას კი არ ეწეოდნენ, მათ ეჭვი ეპარებოდათ პარტიის ხაზის სისწორეში, ახალი საზოგადოების შექმნის შესაძლებლობაში. ამ წესის შესაბამისად, ფიოდორი, ლევის მეგობარი, მართლა ხალხის მტრად იქცა.

ლევის ამოცანა ის იყო, რომ ჩანასახშივე მოესპო დაუსაბუთებელი სპეკულაცია ამ თემაზე და ოჯახი უფსკრულისთვის გაერიდებინა. მკვლელობის შესახებ საუბარი დრამატულ ეფექტს იწვევდა, განსაკუთრებით მგრძნობიარე ხალხში. თუ საქმე აქამდე მივიდოდა, მას სისასტიკის გამოჩენაც მოუწევდა: ბიჭმა შეცდომა დაუშვა, რამაც მისი სიცოცხლე შეიწირა. ამ გაუფრთხილებლობას ახალი მსხვერპლი არ უნდა მოჰყოლოდა. შესაძლოა, ეს არც დასჭირვებოდა - საქმე აქამდე არ მისულიყო. იქნებ წყნარად, მშვიდობიანად მოეგვარებინა ყველაფერი. მოთმინება მართებდა. მშობლები და ნათესავები ახლა საღად ვერ აზროვნებდნენ. მათთვის ფაქტები უნდა გადმოელაგებინა. მუქარასა და დაშინებას არ აპირებდა, ყოველ შემთხვევაში, თავიდან მაინც. მოვიდა, რათა დახმარებოდა, რათა მათთვის რწმენა აღედგინა.

ლევმა დააკაკუნა. ფიოდორმა კარი გაუღო. ლევმა თავი დახარა.

- გულწრფელად თანაგიგრძნობ მომხდარის გამო.

ფიოდორმა უკან დაიხია და ლევს გზა დაუთმო.

თავისუფალი ადგილი არსად ჩანდა. ოთახი ხალხით იყო სავსე. გეგონებოდათ, სოფლის კლუბში კრება გამართულაო. ხანდაზმულებიც იყვნენ და ბავშვებიც. როგორც ჩანს, მთელ სანათესავოს მოეყარა თავი. დიდი გამჭრიახობა არ სჭირდებოდა კაცს იმის მისახვედრად, თუ როგორ დუღდა და გადმოდუღდა აქ გრძნობა და ემოცია. უეჭველია, ყველანი არწმუნებდნენ ერთმანეთს, რომ პატარა ბიჭის სიკვდილში იდუმალი ხელი ერია. ასე უფრო უადვილდებოდათ უბედურებასთან შეგუება. არც იმის

გამორიცხვა შეიძლებოდა, რომ დანაშაულის შეგრძნება ტანჯავდათ: რატომ არ ვასწავლეთ ბიჭს, რომ რკინიგზის ლიანდაგებისგან თავი შორს დაეჭირაო. ლევმა შეკრებილებს შორის რამდენიმე ნაცნობსაც მოჰკრა თვალი - ფიოდორის სამსახურის ამხანაგებს. აშკარად უხერხულობას გრძნობდნენ იმის გამო, რომ ლევი მათ აქ ხედავდა. არ იცოდნენ, რა გაეკეთებინათ, როგორ მოქცეულიყვნენ, თვალს არიდებდნენ. სიამოვნებით წავიდოდნენ, მაგრამ ვერც ამას ახერხებდნენ. ლევი ფიოდორს მიუბრუნდა.

- იქნებ ერთი-ერთზე გველაპარაკა?

- არა, ეს ჩემი ოჯახია. მათ საკუთარი ყურით სურთ იმის მოსმენა, რასაც შენ იტყვი.

ლევმა ოთახს თვალი მოავლო - ოცამდე წყვილი თვალი მისჩერებოდა. უკვე ხვდებოდნენ, რის თქმასაც აპირებდა და ეს არ მოსწონდათ. ბრაზობდნენ პატარა ბიჭის დაღუპვის გამო და საკუთარ ტკივილს ამ გზით გამოხატავდნენ. ლევი უნდა შეჰგუებოდა იმას, რომ ჯავრს მასზე იყრიდნენ.

- შვილის დაკარგვაზე მეტი უბედურება რა უნდა იყოს. შენი კოლეგა და მეგობარი ვიყავი, როდესაც ცოლთან ერთად ბავშვის დაბადების დღე აღნიშნე. ისიც მახსოვს, როგორ მოგილოცეთ, ახლა კი გული მწუხარებით მევსება, თქვენი ნუგეშისცემა რომ მიწევს.

ლევი ცოტა მშრალად, მაგრამ გულწრფელად ლაპარაკობდა. მის სიტყვებს დუმილი მოჰყვა. ლევი საგანგებოდ არჩევდა სიტყვებს.

- არასოდეს გამომიცდია შვილის დაღუპვით გამოწვეული უბედურება. არ ვიცი, თქვენს ადგილას როგორ მოვიქცეოდი. ალბათ, ვინმეს დადანაშაულება მომინდებოდა, ვინმეს მიმართ სიძულვილის გამოვლენა, მაგრამ მთელი პასუხისმგებლობით უნდა გითხრათ, რომ არკადის სიკვდილში ყველაფერი გარკვეულია. პატაკი მოგიტანეთ. თუ მოისურვებთ, დაგიტოვებთ კიდეც. გარდა ამისა, დავალებული მაქვს, თქვენს ნებისმიერ შეკითხვას ვუპასუხო. თუ გაქვთ, რასაკვირველია.

- არკადი მოკლეს და გვინდა, რომ გამოძიებაში დაგვეხმაროთ. თუ პირადად თქვენ არა, MGB-მ მოახდინოს ზეწოლა პროკურორზე, რათა მან სისხლის სამართლის საქმე აღძრას.

ლევმა თავი დაუქნია, თითქოს დაეთანხმაო. მათი საუბარი ყველაზე უარესი შესაძლო სცენარით დაიწყო. მამა ჯიუტად იცავდა საკუთარ პოზიციას და ამაში სხვებიც მხარს უჭერდნენ. იგი სისხლის სამართლის

საქმის ფორმალურ აღძვრას მოითხოვდა, ურომლისოდაც მილიცია საქმეს არ გამოიძიებდა. შეუძლებელი სურდა. ლევმა კოლეგებს გადახედა. სხვებისგან განსხვავებით, ისინი ხვდებოდნენ, რომ წარმოთქმული სიტყვა - „მოკლეს“ - ყველას ჩირქს სცხებდა.

- არკადი ლიანდაგზე ჩავლილმა მატარებელმა გაიტანა. მისი სიკვდილი შემთხვევითობა იყო. საშინელი შემთხვევითობა.

- თუ ასეა, ტანსაცმელი რატომ არ ეცვა? ან პირი რატომ ჰქონდა მიწით სავსე?

ლევმა მოსმენილის გააზრება სცადა. შიშველი ბავშვი? ამგვარი რამ პირველად ესმოდა. მან პატაკი გადაშალა.

ბიჭი ჩაცმული იყო.

ახლა, როდესაც ეს ფრაზა წაიკითხა, ცოტა არ იყოს, უცნაურად მოეჩვენა. რატომ გაუსვეს ამას ხაზი? მაგრამ ფაქტს ვერსად გაექცეოდა - შავით თეთრზე ეწერა: „ბიჭი ჩაცმული იყო“. დოკუმენტს ბოლომდე გადაავლო თვალი:

ვინაიდან მატარებელმა ბიჭი განსაზღვრულ მანძილზე ათრია, მას პირში მიწა ჩაეყარა.

ლევმა პატაკი დახურა. ოთახში მყოფნი მის სიტყვას ელოდებოდნენ.

- თქვენი შვილი ჩაცმული იპოვეს. დიახ, პირში მიწა აღმოაჩნდა, მაგრამ შეჯახების შემდეგ მატარებელმა იგი განსაზღვრულ მანძილზე ათრია. სწორედ ამით აიხსნება აღნიშნული ფაქტი.

ამ დროს ხანდაზმული ქალი წამოდგა. წლების სიმძიმეს იგი წელში მოეხარა, მაგრამ მზერა კვლავინდებურად ბასრი ჰქონდა.

- ჩვენ სულ სხვა რამ გვითხრეს.

- ვწუხვარ, მაგრამ შეცდომაში შეგიყვანეს.

ქალი არ გატყდა. როგორც ჩანს, მტკიცედ სჯეროდა იმის, რასაც ამბობდა, თანაც ოჯახში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

- კაცი, რომელმაც ბიჭი იპოვა, ტარას კუპრინია, მეძველმანე. აქედან ორი ქუჩის დაშორებით ცხოვრობს. მან გვითხრა, რომ არკადი შიშველი

იყო, გესმით? არაფერი ეცვა. მატარებლის დაჯახება ასე ვერ გააშიშვლებდა.

- ცხედარი მართლაც კუპრინმა აღმოაჩინა. მისი განცხადება პატაკს თან ერთვის. იგი ამტკიცებს, რომ ბიჭი ლიანდაგებში ჩაცმული ეგდო. ამას არაორაზროვნად ამბობს. მისი სიტყვები შავით თეთრზე წერია.

– მაშ, ჩვენ რატომ გვითხრა სრულიად საპირისპირო?

- შესაძლოა, რაღაც აერია. არ ვიცი. მე მაქვს მისი ხელმოწერილი განცხადება, რომელიც პატაკს თან ერთვის. ვეჭვობ, საკუთარი სიტყვები უარყოს, ახლა რომ იგივე ვკითხო.

- თქვენ თუ ნახეთ დაღუპული ბავშვი?

ლევი ამ შეკითხვას არ ელოდა.

- მე ამ შემთხვევას არ ვიძიებ, მასზე სხვა მუშაობს, მაგრამ ასეც რომ იყოს, გამოსაძიებელი არაფერია. საშინელი უბედური შემთხვევა მოხდა. აქ თქვენთან დასალაპარაკებლად და წარმოქმნილი გაუგებრობის ასახსნელად მოვედი. შემიძლია, მთელი პატაკი თავიდან ბოლომდე წაგიკითხოთ.

- პატაკში სიცრუე წერია, - თქვა ხანდაზმულმა ქალმა.

ყველა დაიძაბა. ლევი დუმდა, სიმშვიდის შენარჩუნებას ცდილობდა. უნდა გაეგოთ, რომ კომპრომისი არ შედგებოდა. უნდა შეჰგუებოდნენ იმ ფაქტს, რომ მათი ბიჭუნა უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა. ლევი აქ მათსავე საკეთილდღეოდ მოვიდა. იგი ფიოდორს მიუბრუნდა, ელოდა, რომ ხანდაზმულ ქალს დააშოშმინებდა.

ფიოდორმა ნაბიჯი წინ გადმოდგა და თქვა: - ლევ, ჩვენ ახალი სამხილები გაგვიჩნდა, მათ შესახებ მხოლოდ დღეს შევიტყვეთ. იმ ბინაში მცხოვრებმა ქალმა, რომლის ფანჯრებიც რკინიგზის ლიანდაგს გადაჰყურებს, არკადი ვიღაც მამაკაცთან ერთად დაინახა. მეტი არაფერი ვიცით. ის ქალი ჩვენი მეგობრების წრეს არ ეკუთვნის. ერთმანეთს არასდროს შევხვედრივართ. მან გაიგო მკვლელობის...

– ფიოდორ...

- მან გაიგო ჩემი შვილის დაღუპვის შესახებ. და თუ ის, რასაც გვეუბნებიან, სიმართლეა, მას შეუძლია, აღწეროს ის კაცი. ამოიცნოს კიდეც.

- სად არის ეს ქალი?

- ახლა სწორედ მას ველოდებით.

- აქ უნდა მოვიდეს? ძალიან მაინტერესებს, რას იტყვის.

ლევს სკამი შესთავაზეს, მაგრამ მან ხელი აიქნია, ვიდგებიო.

ყველა დუმდა და კარზე დაკაკუნებას ელოდა. ლევმა ინანა, სკამზე უარი რატომ ვთქვიო. ამ სიჩუმეში თითქმის ერთი საათი მიილია, როდესაც, როგორც იქნა, დააკაკუნეს. ფიოდორმა კარი გააღო, თავი გააცნო და ოთახში შემოუშვა ოცდაათიოდე წლის ქალი, რომელსაც კეთილი სახე და დიდი თვალები ჰქონდა. ნერვიულობა ეტყობოდა - ამდენ ხალხს აშკარად არ ელოდა. ფიოდორმა მისი დამშვიდება სცადა: - ყველანი ჩემი მეგობრები და ნათესავები არიან. ნურაფრის გეშინიათ, - მაგრამ ქალი არ უსმენდა. იგი ლევს შესცქეროდა.

- მე ლევ სტეპანოვიჩი მქვია. МГБ-ს ოფიცერი ვარ. აქ ჩემს სამსახურებრივ მოვალეობას ვასრულებ. ვინ ბრძანდებით?

ლევმა ჯიბიდან ბლოკნოტი ამოიღო და სუფთა ფურცელზე გადაშალა. ცოტა ხნის შემდეგ თავი ასწია, რადგან ქალი დუმდა, მაგრამ არც ამან გამოიღო ნაყოფი. ის იყო, შეკითხვის გამეორებას აპირებდა, როდესაც ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით ნათქვამი მოესმა: - გალინა შოპორინა.

- რა დაინახეთ?

- დავინახე...

ქალმა ოთახს მზერა მოავლო და იატაკს ჩააშტერდა, შემდეგ ლევს შეხედა და კვლავ დადუმდა. ფიოდორმა ვეღარ მოითმინა და დაძაბული ხმით ჰკითხა: - მამაკაცი დაინახეთ?

- დიახ.

ფიოდორმა, რომელიც ქალის გვერდით იდგა და მას ლამის თვალებით ჭამდა, შვებით ამოისუნთქა. სტუმარმა განაგრძო: - ლიანდაგებში კაცი დავინახე - ალბათ, მუშა იქნებოდა... ფანჯრიდან მოვკარი თვალი.

ძალიან ბნელოდა.

ლევმა ფანქრის ბოლო ბლოკნოტზე დააკაკუნა.

- პატარა ბიჭთან ერთად იყო?

- არა, ბიჭის შესახებ არაფერი ვიცი.

ფიოდორს კინაღამ ყბა ჩამოუვარდა, შემდეგ კი სხაპასხუპით მიაყარა: - ჩვენ გვითხრეს, რომ დაგინახავთ მამაკაცი, რომელსაც ჩემი შვილისთვის ხელი ჩაევლო.

- არა, არა, არა, ეს ბიჭი არ იყო. მას ხელში ჩანთა ეჭირა. ვფიქრობ, შიგ ხელსაწყოები ეწყო. დიახ, დიახ. იგი ლიანდაგებში მუშაობდა, ალბათ, რაღაცას არემონტებდა. კარგად ვერ გავარჩიე, მხოლოდ თვალი

მოვკარი. აქ ნამდვილად არ უნდა ვიყო. ძალიან ვწუხვარ თქვენი შვილის დაღუპვის გამო.

ლევმა ბლოკნოტი დახურა.

- გმადლობთ.

- კიდევ უნდა დამკითხოთ?

სანამ ლევი პასუხის გაცემას მოასწრებდა, ფიოდორმა ქალს ხელკავი გამოსდო.

- თქვენ მამაკაცი დაინახეთ.

ქალმა ხელი გამოსტაცა, თვალი კვლავ ოთახს მოავლო და აღმოაჩინა, რომ ყველა მას მისჩერებოდა. იგი ლევს მიუბრუნდა.

- მოგვიანებით კიდევ უნდა დამელაპარაკოთ?

- არა, შეგიძლიათ მიბრძანდეთ.

გალინამ თავი ჩაღუნა და აჩქარებით გაემართა კარისკენ, მაგრამ სანამ სახელურს ხელს მოჰკიდებდა, ხანდაზმულმა ქალმა მიაძახა: - ასე ადვილად შეგაშინეს?

ფიოდორი მასთან მივიდა და უთხრა: - დაჯექი, თუ შეიძლება.

მოხუცმა თავი დაუქნია - ზიზღით თუ მოწონების ნიშნად.

- არკადი შენი შვილი იყო.

– ჰო.

ლევი ფიოდორის სახეს ვერ ხედავდა. უეცრად ძალიან მოუნდა იმის გაგება, თუ რას ეუბნებოდნენ ეს ორნი ერთმანეთს თვალებით, მაგრამ, ასე იყო თუ ისე, ხანდაზმული ქალი სკამზე დაეშვა. გალინამ შემთხვევით ისარგებლა და გარეთ შეუმჩნევლად გავიდა.

ლევს გაუხარდა ფიოდორის ჩარევა. იმედოვნებდა, რომ ერთმანეთს გაუგეს. ჭორების შეგროვება და გავრცელება სარგებლობას არავის მოუტანდა. ფიოდორი დაბრუნდა და ლევის გვერდით დადგა.

– აპატიეთ დედაჩემს, ძალიან ნერვიულობს.

- სწორედ ამიტომ მოვედი, რათა ვილაპარაკოთ და აქ ნათქვამი ამ ოთახის მიღმა არ გავიდეს, რათა ჩემი წასვლის შემდეგ მსგავსი საუბარი აღარ განახლდეს. თუ ვინმე შვილის შესახებ გკითხავს, არ უნდა უთხრა, რომ ის მოკლეს. იმიტომ კი არა, რომ გიბრძანებ, არამედ იმიტომ, რომ ეს ტყუილია.

- ჩვენ ყველაფერი გვესმის.

- ფიოდორ, მინდა, ხვალ დაისვენო. უფროსობა თანახმაა. თუ კიდევ შემიძლია შენთვის რამე გავაკეთო...

- გმადლობთ.

კართან ფიოდორმა ლევს ხელი ჩამოართვა.

- ყველანი აღელვებულები ვართ. გვაპატიე თავშეუკავებლობა.

- ამის შესახებ არავის ვეტყვი. როგორც გითხარი, ამით ყველაფერი უნდა დამთავრდეს.

ფიოდორს სახე გაუქვავდა. მან თავი დააქნია და გაჭირვებით წარმოთქვა სიმწრით სავსე სიტყვები: - ჩემი შვილი უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა.

ლევი კიბეზე დაეშვა. ღრმად სუნთქავდა. ოთახი და დამთრგუნველი ატმოსფერო უკან დარჩა. უხაროდა, რომ წამოვიდა, თან თავისი გაიტანა და საქმე დახურა. ფიოდორი კარგი კაცი იყო. როგორც კი შვილის სიკვდილს შეეგუებოდა, სიმართლეს უფრო ადვილად მიიღებდა.

ლევი შეჩერდა. უკნიდან ვიღაცის ფეხის ხმა მოესმა. შეტრიალდა. შვიდი თუ რვა წლის ბიჭი მიუახლოვდა.

- მე ჟორა მქვია. არკადის უფროსი ძმა ვარ. შეიძლება, დაგელაპარაკოთ?

- რა თქმა უნდა.

- ყველაფერი ჩემი ბრალია.

- რას გულისხმობ?

- ჩემი ძმის სიკვდილს: მე მას თოვლის გუნდა ვესროლე. კენჭებისა და ტალახისგან გაკეთებული. არკადის ძალიან ეტკინა, რადგან თავში მოხვდა. იგი გაიქცა. შესაძლოა, თავბრუ დაესხა და მატარებელი ამიტომაც ვერ შეამჩნია. პირში რომ მიწა აღმოაჩნდა, ესეც ჩემი ბრალია. მე მოვარტყი.

- შენი ძმა უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა. თავს ნუ იდანაშაულებ. კარგად მოიქეცი, სიმართლე რომ მითხარი, ახლა კი მშობლებთან დაბრუნდი.

- მათთვის ამის შესახებ არაფერი მითქვამს.

- ჰოდა, არც არის საჭირო, რომ იცოდნენ.

- ძალიან გამიბრაზდებიან... მაშინ არკადი უკანასკნელად ვნახე... ყოველთვის კარგად ვთამაშობდით. მერეც ვითამაშებდით, შევრიგდებოდით და კვლავაც ვიმეგობრებდით, დარწმუნებული ვარ, ახლა კი არაფერი შემიძლია, პატიებასაც ვერ ვთხოვ.

ლევი ბიჭის აღიარებას მოთმინებით ისმენდა. პატარას მიტევება სჭირდებოდა, ატირდა კიდეც. შეცბუნებულმა ლევმა თავზე ხელი გადა-

უსვა და იავნანასავით წარმოთქვა: - ამაში ბრალი არავის მიუძღვის.

სოფელი კიმოვო ას სამოცი კილომეტრი მოსკოვის ჩრდილოეთით
იგივე დღე

ანატოლი ბროდსკის სამი დღე-ღამე თვალი არ მოუხუჭავს. ისე დაიღალა, უბრალო მოქმედებაც კი მისგან ძალის უკიდურეს დაძაბვას მოითხოვდა. ახლა იდგა ფარდულის წინ, რომლის კარიც დაკეტილი იყო. იცოდა, რომ უნდა შეემტვრია, თუმცა ეს აზრი სიგიჟედ მიაჩნდა. ძალა აღარ შერჩენოდა. წამოთოვა. მან ღამის ცას ახედა. თავბრუ დაესხა. ბოლოს, როგორც იქნა, მიხვდა, სად იდგა და რა უნდა გაეკეთებინა. თოვლი სახეზე ეცემოდა. ფიფქებს ენა შეუშვირა და იგრძნო, რომ თუ როგორმე შიგნით არ მოხვდებოდა, აუცილებლად მოკვდებოდა. ყურადღება მოიკრიბა და კარს ფეხი მიარტყა. მხოლოდ ანჯამები შეირხა. კვლავ გაიმეორა დარტყმა. ფიცრების ჭრიალი მოესმა. ამ ხმებმა სიმხნევე შემატა, ძალა მოიკრიბა და ახლა საკეტს მისცხო ფეხი. ფიცარი გადასკდა და კარი გაიღო. ცოტა ხნით ზღურბლზე შეჩერდა, რათა თვალი სიბნელეს მისჩვეოდა. ფარდულის ერთ მხარეს, ბაკში, ორი ძროხა იდგა. მეორე მხარეს ჩალა და ხელსაწყოები ეწყო. გამზრალ მიწაზე რამდენიმე ტომარა დააფინა, პალტო ბოლომდე შეიკრა, ხელები ტანზე შემოიჭდო და თვალები დახუჭა.

***

მიხაილ ზინოვიევმა საძინებლის ფანჯრიდან დაინახა, რომ ფარდულის კარი ღია იყო. ქარი აქეთ-იქით აქანავებდა, შიგნით კი თოვლი იყრებოდა. შემობრუნდა. ცოლი ლოგინში იწვა და ეძინა. გადაწყვიტა, არ გაეღვიძებინა, უხმაუროდ მოიხურა ჯუბაჩა, ნაბდის ჩექმები ჩაიცვა და გარეთ გავიდა.

ამოვარდნილი ქარი მიწიდან მშრალ თოვლს ხვეტდა და მიხაილს სახეში აყრიდა. მან ხელი ასწია თვალების დასაფარად. ფარდულს რომ მიუახლოვდა, გაფარჩხული თითებიდან საკეტს გახედა და დაინახა, რომ გაეტეხათ, კარი კი ღია იყო. შიგნით შეიხედა და თვალი რომ მიაჩვია, - მთვარე არ ანათებდა, - ჩალაზე გაწოლილი მამაკაცის სილუეტი გაარჩია.

ჯერაც არ იცოდა, რას მოიმოქმედებდა, შევიდა, ფიწალი აიღო, მძინარეს მიუახლოვდა და იარაღი მუცელში დასარტყმელად ასწია.

ანატოლიმ თვალი გაახილა და საკუთარი სახიდან რამდენიმე სანტიმეტრში ვიღაცის დათოვლილი ჩექმების ჭვინტს მოჰკრა თვალი. ზურგზე გადაბრუნდა და მის თავზე მდგომ კაცს ახედა. ფიწლის ბასრი კბილები მის მუცელთან მუქარით ირხეოდა. ორივე მამაკაცი გაირინდა. პირიდან ორთქლი გამოსდიოდათ, რომელიც მაშინვე უკვალოდ ქრებოდა. ანატოლის თავის დაცვა არც უცდია. არც გვერდზე გაწეულა.

კარგა ხანს იდგნენ ასე გაშეშებულები. უეცრად მიხაილს საშინლად შერცხვა. ისე ამოიოხრა, თითქოს რაღაც უხილავი ძალა გულის კოვზში ეძგერა, ფიწალი შორს მოისროლა და მუხლებზე დაეშვა.

– მაპატიე, გთხოვ!

ანატოლი წამოჯდა. ადრენალინის მოზღვავებამ ძილი დაუფრთხო, მაგრამ სხეულის ყოველი უჭრედი სტკიოდა. ნეტავ რამდენ ხანს ეძინა? ცოტა, ძალიან ცოტა. პირი გაუშრა, ხმა ჩაეხრინწა.

- ვიცი, აქ არ უნდა მოვსულიყავი. შენთვის დახმარება არ უნდა მეთხოვა. შენ ხომ ახლა ოჯახი გყავს და პირველ რიგში მასზე უნდა იფიქრო, მე კი საფრთხეში ჩაგაგდე. ასე რომ, ბოდიში მე მაქვს მოსახდელი.

მიხაილმა თავი დააქნია.

- შემეშინდა. თავზარი დამეცა. მაპატიე.

ანატოლიმ თოვლსა და სიბნელეს გახედა. ახლავე ვერ წავიდოდა. დაიღუპებოდა. ცხადია, ვეღარც აქ დაიძინებდა, მაგრამ მას კვლავინდებურად სჭირდებოდა დასვენება და ჭერქვეშ ყოფნა, მიხაილი კი პასუხს ელოდა, ელოდა, რომ იგი აპატიებდა.

- ჩემი საპატიებელი არაფერი გჭირს. ბრალი არაფერში მიგიძღვის. შენს ადგილას მეც ასე მოვიქცეოდი.

- მაგრამ შენ ჩემი მეგობარი ხარ.

- მე ვიყავი შენი მეგობარი და მომავალშიც ვიქნები. მომისმინე: მინდა, ყველაფერი დაივიწყო, რაც დღეს მოხდა. დაივიწყე, რომ აქ მოვედი და დახმარება გთხოვე. მეც და საკუთარი თავიც ისეთად დაიმახსოვრე, როგორიც ოდესღაც ვიყავით. ყოველთვის საუკეთესო მეგობრად გამიხსენე. ეს ჩემთვის გააკეთე და მეც ამითვე გიპასუხებ. დილით გაიღვიძებ და ძველებურად განაგრძობ ცხოვრებას. გარწმუნებ, ვერავინ გაიგებს, რომ აქ ვიყავი.

მიხაილმა თავი ჩაქინდრა: იგი ტიროდა. დღევანდლამდე ეგონა, რომ მეგობრისთვის ყველაფერს გააკეთებდა, მაგრამ ეს ტყუილი გამოდგა. მისმა ერთგულებამ, სიმამაცემ და მეგობრობამ გამოცდას ვერ გაუძლო და პირველივე ჯერზე კვამლივით გაიფანტა.

როდესაც წუხელ მოულოდნელად ანატოლი ეწვია, გასაგები მიზეზების გამო, მიხაილი გაოცდა. ანატოლის იგი წინასწარ არ გაუფრთხილებია. მიუხედავად ამისა, გულთბილად, სიხარულით მიიღო, საჭმელ-სასმელი და თბილი ლოგინი არ დაიშურა. მასპინძლები მხოლოდ მას შემდეგ მიხვდნენ ამ მოულოდნელი სტუმრობის მიზეზს, როდესაც შეიტყვეს, რომ იგი ჩრდილოეთისკენ, ფინეთის საზღვრისკენ მიემართებოდა. მას კრინტი არ დაუძრავს იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო უშიშროების პოლიცია, МГБ ეძებდა. ამას თვითონ მიხვდნენ. იგი დევნილი იყო. როგორც კი ეს ფაქტი შეულამაზებლად გაისიგრძეგანეს, მათი გულთბილობა უკვალოდ გაქრა. სახელმწიფო დამნაშავეების ხელის შეწყობისა და დაფარვისთვის მოქალაქეს სიკვდილით დასჯა ელოდა. ანატოლიმ იცოდა ეს, მაგრამ იმედოვნებდა, რომ მეგობარი ასეთ რისკზე წავიდოდა. იმასაც კი ფიქრობდა, ჩრდილოეთ საზღვრამდე გამაცილებსო - МГБ-ს თანამშრომლები ხომ მხოლოდ მას ეძებდნენ და არა ორ კაცს. გარდა ამისა, ლენინგრადისკენ მიმავალ გზაზე მდებარე ქალაქებში, ტვერისა და გორკის ჩათვლით, მიხაილს სხვა ნაცნობებიც ჰყავდა. მართალია, იგი ძალიან ბევრს ითხოვდა, მაგრამ ოდესღაც ანატოლიმ მიხაილი სიკვდილს გადაარჩინა. სულაც არ მიაჩნდა, რომ ეს იყო ვალი, რომელიც მეგობარს მისთვის უნდა დაებრუნებინა, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ, მისი აზრით, მსგავსი დახმარება არასდროს დასჭირდებოდა.

მსჯელობის დროს გაირკვა, რომ მიხაილი ასეთ რისკზე წასასვლელად მზად არ იყო. საუბარში ხშირად მისი ცოლიც ერთვებოდა, ქმარი გვერდზე გაჰყავდა და რაღაცას ეჩურჩულებოდა. ამასთან, ანატოლის დაუფარავი სიძულვილით უყურებდა. ცხოვრება ყველაფერში უკიდურეს სიფრთხილესა და წინდახედულობას მოითხოვდა. ბოლოს და ბოლოს, ანატოლი ვერ უარყოფდა, რომ თავისი გამოჩენით უდიდესი საფრთხის წინაშე დააყენა თავისი მეგობრის ოჯახი, რომელიც ასე უყვარდა. თავდაპირველად, სულ სხვა რამის თხოვნას აპირებდა, ახლა კი განაცხადა, რომ მხოლოდ ღამის გათევა სურდა, დილით კი წავიდოდა და ვეღარასოდეს ნახავდნენ. რკინიგზის უახლოესი სადგურისკენ გაემართებოდა, საიდანაც მოვიდა. გარდა ამისა, შესთავაზა, საკეტი გაეტეხათ - თუ დაიჭერდნენ,

რაც ნაკლებად სავარაუდო იყო, ისინი იტყოდნენ, რომ არაფერი იცოდ-ნენ, რომ ფარდულში ქურდი შეიპარა. ანატოლის აზრით, სიფრთხილის ასეთი ზომები მასპინძლებს ცოტათი მაინც დაამშვიდებდა.

ანატოლიმ ვეღარ გაუძლო ატირებული მეგობრის ყურებას და მას მხარზე ხელი დაადო.

- შენ ბრალი არაფერში მიგიძღვის. ყველანი საკუთარი სიცოცხლის გადარჩენას ვცდილობთ.

მიხაილმა ტირილი შეწყვიტა, თავი ასწია და ცრემლები მოიწმინდა. მეგობრები მიხვდნენ, რომ ეს მათი უკანასკნელი შეხვედრა იყო და ერ-თმანეთს გადაეხვივნენ.

მიხაილმა პირველმა დაიხია უკან.

- შენ ჩემზე უკეთესი ხარ.

იგი ადგა და ფარდულიდან გავიდა, კარის მიხურვა არ დავიწყებია, თოვლიც კი მიაყარა, კვლავაც რომ არ გაღებულიყო. შემდეგ ქარს ზურგი შეაქცია და სახლისკენ წალასლასდა. ანატოლი რომ მოეკლა და ამის შე-სახებ განეცხადებინა, მის ოჯახს საფრთხე აღარ დაემუქრებოდა, ახლა კი ბედს უნდა მინდობოდა. მხოლოდ ლოცვა თუ უშველიდა. საკუთარი თავი მხდალად არასდროს მიაჩნდა, ომის დროს ყოველდღე სიკვდილ-სიცო-ცხლის ზღვარზე იდგა. ზოგიერთი ამხანაგი მამაცსაც კი უწოდებდა, მაგ-რამ ოჯახის გამო წუხდა, იცოდა, რომ მის სიკვდილზე უარესიც შეიძლე-ბოდა მომხდარიყო.

სახლში რომ შევიდა, ნაბდის ჩექმები და ჯუბაჩა გაიხადა და საძინებ-ლისკენ გაემართა. კარი შეაღო. ფანჯარასთან ქალს მოჰკრა თვალი. გა-ოცდა და შეშინდა კიდეც. მის ცოლს არ ეძინა - ფარდულისკენ იყურებო-და. ფეხის ხმის გაგონებაზე შემობრუნდა. ანატოლიმ მისი სუსტი ფიგურა შეათვალიერა. ვერ იჯერებდა, რომ მას სიმძიმის თრევა, შინაური საქონ-ლის მოვლა და თიბვაც კი შეეძლო. ოცდაოთხი საათის განმავლობაში მუშაობდა, რათა ოჯახი შიმშილით არ ამოწყვეტილიყო. სულ არ აინტე-რესებდა ის, რომ ოდესღაც ანატოლიმ მისი ქმარი სიკვდილს გადაარჩინა. არც მათი მეგობრობა და ურთიერთობა ადარდებდა. ერთგულება და მო-ვალეობის მოხდა მისთვის აბსტრაქტულ ცნებებს წარმოადგენდა. ანატო-ლი მათი ოჯახის უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას საფრთხეს უქმნი-და. სასტიკი სინამდვილისთვის თვალი უნდა გაესწორებინათ. ერთი სული ჰქონდა, ქმრის მეგობარი აქედან რაც შეიძლება სწრაფად და რაც შეიძ-ლება შორს წასულიყო. ახლა იგი - ერთგული მეგობარი, რომელიც ოდეს-

ღაც ნაზად უყვარდა და ძვირფას სტუმრად მიაჩნდა - მთელი არსებით სძულდა და მის სიკვდილს ნატრობდა.

მიხაილმა ცოლს აკოცა. ცივი ლოყა ჰქონდა. ხელზე შეეხო. ქალმა ქმარს სახეში შეხედა და ნამტირალევი თვალები შეამჩნია.

- ეზოში რას აკეთებდი?

მიხაილი მიუხვდა ცოლს. ქალი იმედოვნებდა, რომ ქმარმა ის გააკეთა, რაც აუცილებელი იყო - ოჯახი პირველ ადგილზე დააყენა და სტუმარი მოკლა. ეს სწორი საქციელი იქნებოდა.

- ფარდულის კარი ღია დაუტოვებია. მივხურე, ვინმეს რომ არ შეემჩნია.

მიხაილმა იგრძნო, როგორ მოუდუნდა ცოლს თითები, სახეზე კი იმედგაცრუება გამოეხატა.

იგი ფიქრობდა, რომ ქმარი სუსტი ადამიანი იყო. არც ცდებოდა. მან ხომ ვერც მეგობრის მოკვლა გაბედა და ვერც მისი დახმარება. კაცმა ქალის დამშვიდება სცადა.

- სანერვიულო არაფერია. არავინ იცის, რომ აქ იყო.

მოსკოვი იგივე დღე

დამტვრეული მაგიდა, გადაყირავებული საწოლი, დანაკუწებული მატრასი, გამოშიგნული ბალიშები, აყრილი იატაკის ფიცრები. მიუხედავად ამისა, ანატოლი ბროდსკის ბინის ჩხრეკა უშედეგოდ დასრულდა, არაფერი მიუთითებდა იმაზე, თუ საით აეღო მას გეზი. ლევი ბუხრის წინ ჩაცუცქდა და იქაურობის კვლევას შეუდგა. ფერფლს ჯერაც შეენარჩუნებინა წერილების ფორმა, რომლებიც დასტად დაეწყოთ და დაეწვათ. მან იგი პისტოლეტის ლულით ამოაბრუნა - იქნებ პატარა ნაგლეჯი მაინც გადარჩაო, მაგრამ ფერფლი მხოლოდ ჩამოიშალა. ყველაფერი ბოლომდე დამწვარიყო. მოღალატე გაიქცა. ამაში ბრალი მას, ლევს, მიუძღოდა. ამ მისთვის უცნობი ადამიანის მიმართ მან უდანაშაულობის პრეზუმფცია გამოიყენა. გადაწყვიტა, რომ ის დამნაშავე არ იყო - ასეთ შეცდომას მხოლოდ ახალბედა თუ დაუშვებდა.

დაე, ათი უდანაშაულო ადამიანი დაიტანჯოს, ვიდრე ერთი ჯაშუში ხელიდან დაუსხლტეს.

მან უგულებელყო მათი მუშაობის ფუნდამენტური პრინციპი: დანაშაულის პრეზუმფცია.

ლევმა პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო, მაგრამ ერთი აზრი მოსვენებას არ აძლევდა: მთელი დღე იმ უბედური შემთხვევისთვის რომ არ დაეთმო, რამაც ბავშვის სიცოცხლე შეიწირა, ანატოლი ბროდსკი ვერსად გაექცეოდა. ნათესავებთან შეხვედრები და საუბრები, სულელური ჭორების ძირშივე აღმოფხვრა МГБ-ს უფროს ოფიცერს არ შეეფერებოდა. ნაცვლად იმისა, რომ პირადად ეთვალთვალა ეჭვმიტანილისთვის, საკუთარი თავი ამ ოპერაციას ჩამოაშორა და ხელქვეითების პირადი პრობლემებით დაკავდა. ამაზე არ უნდა დათანხმებულიყო. გულუბრყვილობის გამო ჯეროვნად ვერ შეაფასა ის საფრთხე, რაც იმ ადამიანისგან, ანატოლი ბროდსკისგან, მოდიოდა. ეს ლევის პირველი სერიოზული შეცდომა იყო მას შემდეგ, რაც სახელმწიფო უშიშროების ორგანოს თანამშრომელი გახდა. კარგად იცოდა, რომ ოფიცრების უმრავლესობას მეორე შეცდომის დაშვების შესაძლებლობას არ აძლევდნენ.

თავდაპირველად ამ საქმემ არცთუ ძალიან დააინტერესა: ბროდსკი განათლებული კაცი იყო, ინგლისურად კარგად ლაპარაკობდა, უცხოელებთან ხშირი ურთიერთობა ჰქონდა. ამის გამო მათ, ალბათ, განსაკუთრებული სიფხიზლე უნდა გამოეჩინათ, მაგრამ, როგორც ლევმა დაასკვნა, ეს კაცი ყველასგან პატივსაცემი ვეტექიმი იყო იმ ქალაქში, სადაც მისი კოლეგების ჩამოსათვლელად ცალი ხელის თითებიც კმაროდა. ბოლოს და ბოლოს, ვინმესთან ხომ უნდა მიეყვანათ უცხოელ დიპლომატებს თავიანთი ძაღლები და კატები? ამასთან ბროდსკი წითელი არმიის რიგებში საველე ქირურგად მსახურობდა. მისი წარმომავლობა და განვლილი ცხოვრების გზა იოტისოდენა ეჭვს არ აღძრავდა. პირადი საქმის მიხედვით, ფრონტზე მოხალისედ წასულიყო და მიუხედავად იმისა, რომ, ფორმალურად, ექიმის კვალიფიკაცია არ გააჩნდა და მანამდე მხოლოდ ავადმყოფ და დაჭრილ ცხოველებს მკურნალობდა, რამდენიმე საველე ჰოსპიტალში მუშაობდა და ორჯერ ჯილდოზეც წარედგინათ. ეჭვმიტანილს, სავარაუდოდ, რამდენიმე ასეული ადამიანი ეყოლებოდა გადარჩენილი.

მაიორი კუზმინი მაშინვე მიხვდა მისი პროტეჟეს წუხილის მიზეზს. ომის დროს ლევი რამდენჯერმე თვითონაც იწვა საველე ჰოსპიტალში, ასე რომ, ეჭვმიტანილს ერთგვარ საბრძოლო ამხანაგად მიიჩნევდა. კუზმინმა მას შეახსენა, რომ სენტიმენტალობას შეეძლო ხელი შეეშალა სიმართლის დადგენაში. სწორედ მასში იყო საჭირო დაეჭვება, ვინც ყველა-

ზე საიმედო პიროვნების შთაბეჭდილებას ტოვებდა. ლევმა ეს შენიშვნა სტალინის სახელგანთქმული აფორიზმის გადათამაშებად აღიქვა: ენდე, მაგრამ შეამოწმე.

სტალინის სიტყვებს ასეთი ინტერპრეტირება მოუძებნეს: შეამოწმე ისინი, ვისაც ენდობი.

ვინაიდან მათ, ვინც ნდობას არ იწვევდნენ, არანაკლები გულმოდგინებით ამოწმებდნენ, ვიდრე მათ, ვინც ნდობით სარგებლობდნენ, ერთგვარი თანასწორობა მაინც დაცული იყო.

გამომძიებელს ევალებოდა, უდანაშაულობის ფენა გადაეფხიკა და მის ქვეშ დანაშაული აღმოეჩინა. თუ დანაშაულს ვერ აღმოაჩენდნენ, მაშასადამე, საკმაოდ ღრმად და გულმოდგინედ არ ფხეკდნენ. ბროდსკის შემთხვევაში მთავარი ის კი არ იყო, რომ უცხოელი დიპლომატები მას როგორც ვეტერინარს, ისე ხვდებოდნენ, არამედ შემდეგის გარკვევა: ეჭვმიტანილი იმიტომ ხომ არ გახდა ვეტერინარი, რომ უცხოელი დიპლომატები მას დაუფარავად შეხვედროდნენ? რატომ გახსნა საექიმო კაბინეტი ამერიკის საელჩოდან ფეხით რამდენიმე წუთის სავალზე? და რატომ მოხდა, რომ კაბინეტის გახსნისთანავე საელჩოს რამდენიმე თანამშრომელმა შინაური ცხოველები გაიჩინა? დაბოლოს, რატომ ითხოვდნენ უცხოელი დიპლომატების შინაური ცხოველები გაცილებით მეტ ყურადღებას რიგითი მოქალაქეების შინაურ ცხოველებთან შედარებით? კუზმინმა პირველმა შეამჩნია ამ ვითარების კომიკურობა და სწორედ ამან აღუძრა ეჭვი. ერთი შეხედვით სრულიად უწყინარი მოვლენა შესაძლოა შესანიშნავად მოფიქრებული შენიღბვა აღმოჩენილიყო. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ МГБ-ს თანამშრომლებს მასხრად იგდებდნენ. ამაზე სერიოზული დანაშაული სხვა რა უნდა ყოფილიყო.

ლევმა საქმე შეისწავლა, დამრიგებლის რჩევებიც გაითვალისწინა და გადაწყვიტა, ეჭვმიტანილის დაუყოვნებლივ დაპატიმრების ნაცვლად, მასზე თვალთვალი დაეწესებინათ. მისი აზრით, თუ ეს მოქალაქე ჯაშუში იყო, ჯერ უნდა გაერკვიათ, ვისთან ჰქონდა მას კავშირი, შემდეგ კი ყველანი ერთდროულად აეყვანათ. თავს არ უტყდებოდა, თორემ საკმარისი მტკიცებულებების გარეშე დაპატიმრება ზიზღს ჰგვრიდა. ეს თვისება მას მთელი თავისი პროფესიული კარიერის მანძილზე გაჰყვა, თუმცა, რასაკვირველია, ბევრი მოქალაქე ისე დაუპატიმრებია, რომ მხოლოდ მისი გვარი, მისამართი და ის იცოდა, რომ ვიღაცის ნდობას არ იმსახურებდა. ეჭვმიტანილის დანაშაული მასზე ეჭვის მიტანისთანავე დამტკიცებულად

მიიჩნეოდა, სამხილები კი გამოძიებისას ჩნდებოდა. მაგრამ ლევს მობეზრდა უტყვი პაიკის როლში ყოფნა, რომელსაც მხოლოდ სხვათა განკარგულებების შესრულება ევალებოდა. გადაწყვიტა, მის ხელთ არსებული ძალაუფლება გამოეყენებინა და სხვებს არ დამსგავსებოდა.

იგი გამომძიებელი იყო და ყველა წესის დაცვით უნდა ემოქმედა. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ, ადრე თუ გვიან, ანატოლი ბროდსკის მაინც დააპატიმრებდა. მას მხოლოდ მტკიცებულებები სჭირდებოდა - რეალური სამხილები, და არა გონებაჭვრეტითი ჰიპოთეზები. ერთი სიტყვით, სურდა, სუფთა სინდისით დაეპატიმრებინა.

ოცდაოთხსაათიანი თვალთვალის დროს ლევმა დღის ცვლა ითავა და ეჭვმიტანილს დილის რვა საათიდან საღამოს რვა საათამდე კუდში დასდევდა. სამი დღე ისე გავიდა, განსაკუთრებული ვერაფერი შეამჩნია. ეჭვმიტანილი მუშაობდა, სადილობდა, შინ ბრუნდებოდა. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, კეთილსაიმედო მოქალაქის შთაბეჭდილებას ტოვებდა. შესაძლოა, სწორედ აბსოლუტური უდანაშაულობის ამ შთაბეჭდილებამ მოუდუნა სიფხიზლე ლევს. ამიტომ, როდესაც დღეს დილით გაღიზიანებულმა კუზმინმა გამოიძახა, ფიოდორ ანდრეევთან დაკავშირებული ვითარების - ბიჭის დაღუპვისა და ატეხილი ისტერიკის შესახებ მოუყვა და სიტუაციის დაუყოვნებლივ მოგვარება უბრძანა, არ შესწინააღმდეგებია. ნაცვლად იმისა, თავისი დაეჟინა და განეცხადებინა, უფრო მნიშვნელოვანი საქმეები მაქვსო, უყოყმანოდ დაეთანხმა. ახლა, უკანა რიცხვით, საკუთარი საქციელი სულელურად მოეჩვენა. გული დასწყდა, რომ სანამ დაღუპულის ნათესავებს ესაუბრებოდა და ბავშვებს ამშვიდებდა, ეჭვმიტანილი, ის მოღალატე, გაიქცა და ლევი ქვეყნის სასაცილო გახადა. თანამშრომელი, რომელსაც მისი თვალთვალი დაავალეს, იდიოტივით მოიქცა - უჩვეულო ვერაფერი ნახა იმაში, რომ მთელი დღის განმავლობაში ვეტერინარს არავინ მიაკითხა. აგენტი მხოლოდ საღამოს აფორიაქდა და კაბინეტში კლიენტის სახით შევიდა. იქ კი აღმოაჩინა, რომ ჩიტი გაფრენილიყო და უკანა ოთახში ფანჯარა ღია დაეტოვებინა. ეჭვმიტანილს ნებისმიერ დროს შეეძლო მიმალვა, მაგრამ იგი, სავარაუდოდ, ჯერ კიდევ დილით გაიპარა, სამუშაოზე გამოსვლიდან სულ მოკლე ხანში.

როდესაც ეს ამბავი ლევს შეატყობინეს, კინაღამ ცუდად გახდა: დაუყოვნებლივ დაურეკა შინ მაიორ კუზმინს და შეხვედრა სთხოვა. ახლა მას ჰქონდა დანაშაულის დამამტკიცებელი საბუთი, რომელსაც დიდხანს ეძებდა, სამაგიეროდ, ეჭვმიტანილი აღარ ჰყავდა. მისდა გასაოცრად, უფ-

როსი კმაყოფილი ჩანდა - ეჭვმიტანილის საქციელმა კიდევ ერთხელ დაადასტურა მისი თეორია: მათ საქმეში უმთავრესი ყველას მიმართ უნდობლობა იყო. თუ უსაფუძვლო ბრალდება სიმართლის ერთ პროცენტს მაინც შეიცავდა, მასზე უარის თქმას, ჯობდა მთლიანად სამართლიანად მიეჩნიათ. ლევს უბრძანეს, რადაც უნდა დაგიჯდეს, მოღალატე დაიჭირეო. მისთვის არც ძილი შეიძლებოდა, არც ჭამა, არც დასვენება, სანამ ის კაცი საგამოძიებო იზოლატორში არ აღმოჩნდებოდა, სადაც, როგორც თვითკმაყოფილებით აღნიშნა კუზმინმა, ჯერ კიდევ სამი დღის წინ უნდა ყოფილიყო.

ლევმა ჩაწითლებული თვალები მოისრისა. მკერდში უსიამოვნო სიცივეს გრძნობდა. უკეთეს შემთხვევაში გულუბრყვილო ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, უარეს შემთხვევაში - არაკომპეტენტურის. მან სათანადოდ ვერ შეაფასა მოწინააღმდეგე და ახლა, მოულოდნელად, მისთვის უჩვეულო ბრაზი დაატყდა თავს, თანაც ისეთი, რომ გადაყირავებული მაგიდისთვის წიხლის მირტყმა მოუნდა. მაგრამ ლევმა სწრაფადვე მოთოკა თავი. მან კარგა ხანია, განცდათა დაოკება და სხვებისგან დამალვა ისწავლა. ოთახში რომელიღაც უმცროსმა ოფიცერმა შემოირბინა, რათა თავისი გულმოდგინება ეჩვენებინა და დახმარება შეეთავაზებინა. ლევმა ხელის აქნევით მოიცილა თავიდან. მარტო ყოფნა უნდოდა. შეეცადა, დამშვიდებულიყო და ფანჯარაში გაიხედა. გარეთ თოვდა და ქალაქს თეთრ საბურველში ახვევდა. ლევმა სიგარეტს მოუკიდა და ფანჯარას მიაბოლა. მაშასადამე, რა არ მოხდა ისე? სავარაუდოდ, ეჭვმიტანილმა დააფიქსირა, რომ მათი რომელიმე თანამშრომელი უთვალთვალებდა და მიხვდა, რომ მის თავზე შავი ღრუბლები გროვდებოდა და უნდა გაქცეულიყო. დოკუმენტების დაწვა იმას მოწმობდა, რომ საკუთარი ჯაშუშური საქმიანობისა და მისი ახლანდელი ადგილმდებარეობის დამადასტურებელი სამხილების მოსპობა სურდა. ლევს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ბროდსკის წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული ქვეყნიდან გაქცევის გეგმა, ახლა კი მას ამ ჩანაფიქრის ფრაგმენტი მაინც უნდა ეპოვა.

ვეტერინარის მეზობლად ხანდაზმული, სამოცდაათ წელს გადაცილებული ცოლ-ქმარი ცხოვრობდა ვაჟიშვილთან, მის ცოლსა და ორ ბავშვთან ერთად. ოროთახიან ბინაში ექვსსულიანი ოჯახი ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ახლა ექვსივენი სამზარეულოში ჩამწკრივებულიყვნენ, მათ უკან კი, დაშინების მიზნით, ერთ-ერთი უმცროსი ოფიცერი იდგა. ლევი ხედავდა - ყველა აცნობიერებდა, რომ უცხო ადამიანის დანაშაულ-

ში გარეულიყვნენ. შეშინებულები ჩანდნენ. ლევმა იმ აზრების განდევნა სცადა, რომლებსაც საქმესთან კავშირი არ ჰქონდა - მას ხომ ერთხელ უკვე ძვირად დაუჯდა სენტიმენტალობა - და მაგიდას მიუახლოვდა.

- ანატოლი ბროდსკი მოღალატეა. თუ ხელს შეუწყობთ, თუნდაც იმით, რომ არაფერს შემატყობინებთ, მის თანამზრახველებად გადაიქცევით. ახლა ჩვენი ქვეყნისთვის ერთგულების დამტკიცება მოგიწევთ, ჩვენ კი თქვენი დანაშაულის დამტკიცება არ დაგვჭირდება. მოცემულ მომენტში ის თავისთავად იგულისხმება.

ხანდაზმულმა მამაკაცმა, ბაბუამ, რომელსაც, ეჭვგარეშეა, თავის გადარჩენის მწარე გამოცდილება ჰქონდა, მაშინვე მოაღო პირი და რაც იცოდა, ყველაფერი თქვა. იგი ლევს ჰბაძავდა სიტყვების არჩევაში. განაცხადა, რომ დღეს დილით მოღალატე სამსახურში ჩვეულებრივზე ოდნავ ადრე გაეშურა, იმავე საკვოიაჟით, პალტოთი და შლაპით, როგორც ყოველთვის. ბერიკაცს არ სურდა, მისთვის გამოძიებასთან თანამშრომლობისთვის თავის არიდება დაებრალებინათ და თავისი ნააზრევის გადმოლაგებას შეუდგა მოღალატის სავარაუდო ადგილმდებარეობის თაობაზე. ლევი გრძნობდა, რომ ეს დროის დაკარგვა იყო და მეტი არაფერი. დასასრულ, მოხუცმა თქვა, რომ მისი ოჯახი, უკლებლივ ყველა წევრი, ბროდსკის არ ენდობოდა, ეზიზღებოდათ კიდეც, და რომ ერთადერთი ადამიანი, რომელიც მისდამი სიმპათიას გრძნობდა, იყო ზინაიდა მოროზოვა, რომელიც ერთი სართულით ქვემოთ ცხოვრობდა.

ზინაიდა მოროზოვა, სამოც წელს მიტანებული ქალი, ვერხვის ფოთოლივით თრთოდა, თუმცა ამაოდ ცდილობდა, ეს სიგარეტის მოწევისთვის დაებრალებინა. ლევმა დაინახა, რომ ის სტალინის ცნობილი სურათის იაფფასიანი რეპროდუქციის ახლოს იდგა, რომელიც ბუხრის თავზე ეკიდა. როგორც ჩანს, მიაჩნდა, რომ პორტრეტი დაიცავდა. ლევს მისთვის არც პირადობის მოწმობა უჩვენებია, არც საკუთარი გვარი უთქვამს - მაშინვე შეკითხვები მიაყარა, რათა თავგზა აებნია და სასურველი შედეგისთვის მიეღწია.

- რატომ გქონდათ კარგი დამოკიდებულება ანატოლი ბროდსკისთან, თუ დანარჩენ მეზობლებს იგი არ უყვარდათ და არც ენდობოდნენ?

მოულოდნელობისგან ზინაიდას სასულეში კვამლი გადასცდა. აშკარა ტყუილმა მას სიფრთხილე დაავიწყა.

- ამ სახლში ანატოლი ყველას უყვარდა. იგი კარგი ადამიანი იყო.

- ბროდსკი ჯაშუშია. თქვენი აზრით, ეს კარგია? ღალატს ზნეობრიობად მიიჩნევთ?

ზინაიდა ძალზე გვიან მიხვდა თავის შეცდომას და თავის მართლება სცადა: - მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ ჩუმი და თავაზიანი იყო.

ენის ბორძიკით წარმოთქმულ მსგავს დახასიათებას საქმესთან კავშირი არ ჰქონდა. ამიტომ ლევმა მას ყურადღება არ მიაქცია. ჯიბიდან ბლოკნოტი ამოიღო და დიდი ასოებით ჩაწერა ქალის წინდაუხედავად ნათქვამი სიტყვები.

ის კარგი ადამიანი იყო.

ლევს მკაფიოდ გამოჰყავდა ასოები, რათა ქალს დაენახა, რასაც წერდა: ეს წინადადება მისი ცხოვრებიდან მომდევნო თხუთმეტი წლის ამოშლას ნიშნავდა. მსგავსი სიტყვები სავსებით საკმარისი იყო იმისთვის, რომ ხელის შეწყობისთვის პასუხისგებაში მიეცათ. როგორც პოლიტპატიმარს, მას მკაცრი განაჩენი ელოდა. მისი ასაკის ქალებს გულაგში თავის გადარჩენის ძალზე მცირე შანსი ჰქონდათ. გამომძიებელს არც კი დასჭირდებოდა დამუქრება: ეს ყველამ ისედაც მშვენივრად იცოდა.

ზინაიდამ ოთახის კუთხეში გადაინაცვლა და სიგარეტი ჩააქრო, თუმცა ეს მაშინვე ინანა და აცახცახებული თითებით კოლოფიდან ახლის ამოღება სცადა.

- არ ვიცი, სად გაემგზავრა ანატოლი, მაგრამ იმას კი გეტყვით, რომ ოჯახი არ ჰყავს. ცოლი ომში მოუკლეს, შვილი ტუბერკულოზით გარდაეცვალა. იშვიათად თუ ესტუმრებოდა ვინმე. ჩემი აზრით, ვერც მეგობრებით დაიტრაბახებდა...

იგი გაჩუმდა. ანატოლი მისი მეგობარი იყო. ვინ მოთვლის, რამდენი საღამო გაუტარებიათ ერთად ვახშამზე, სმის დროს. ერთხანს, ქალი თავსაც კი ინუგეშებდა, იქნებ შევუყვარდეო, მაგრამ ანატოლის მისდამი მამაკაცური ინტერესი არასდროს გამოუხატავს. ცოლის დაკარგვას მისთვის მძიმე დაღი დაესვა. მოგონებებში წასულმა ზინაიდამ ლევს სახეში შეხედა, მაგრამ მისმა მზერამ კაცზე მცირედი შთაბეჭდილებაც ვერ მოახდინა.

- მინდა ვიცოდე, ახლა სად არის. არც მისი დაღუპული მეუღლე მაინტერესებს და არც შვილი. არც მისი ცხოვრების ისტორია, თუ ეს მის ახლანდელ ადგილმდებარეობას არ უკავშირდება.

ქალის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა - თავის გადასარჩენად ერთადერთი გზა რჩებოდა, მაგრამ შეძლებდა კი ეღალატა იმ მამაკაცისთვის, რომე-

ლიც უყვარდა? მისდა გასაოცრად, გადაწყვეტილების მიღება არ გასჭირვებია.

- ანატოლი გულჩათხრობილი ადამიანი იყო, მაგრამ ზოგჯერ მასაც მოსდიოდა წერილი.

თვითონაც გზავნიდა ხოლმე. ჩვეულებრივ, ფოსტაში მათ წაღებას მე მთხოვდა. ყველაზე ხშირად სოფელ კიმოვოში სწერდა ვიღაცას. როგორც ვიცი, ეს დასახლება ქალაქის ჩრდილოეთით მდებარეობს. ერთხელ წამოსცდა, რომ იქ მისი მეგობარი ცხოვრობს. იმ კაცის სახელი არ მახსოვს. სიმართლეს გეუბნებით. მეტი არაფერი ვიცი.

ზინაიდა დამნაშავე ადამიანის ხმით ლაპარაკობდა. მართალია, სახეზე ვნებათაღელვა არ ეტყობოდა, ლევი მიხვდა, რომ ქალმა თავისი ყველაზე დიდი საიდუმლო გაუმჟღავნა. ამიტომ ბლოკნოტიდან ამოხია ის ფურცელი, რომელზეც მამხილებელი ტექსტი ეწერა, და ზინაიდას გაუწოდა. ღალატის საფასური. ქალის თვალებში ლევმა ზიზღი დაინახა, მაგრამ ეს სულ არ ადარდებდა.

ახლა მას ხელთ მოსკოვის ჩრდილოეთით მდებარე მიყრუებული სოფლის სახელწოდება ჰქონდა - სუსტი და არასაიმედო ძაფი. თუ ბროდსკი მართლა ჯაშუში იყო, მას, ალბათ, ის ხალხი მალავდა, ვისზეც იგი მუშაობდა. МГБ-ში კარგა ხანია, ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ქვეყანაში უცხოელების მიერ კონტროლირებადი იატაკქვეშა კონსპირაციული თავშესაფრების ქსელი არსებობდა. ვარაუდი, რომ უცხოელებთან დაკავშირებული მოღალატე დახმარებისთვის თავის მეგობარს, კოლმეურნეს მიმართავდა, პროფესიონალი ჯაშუშის სტატუსს ეწინააღმდეგებოდა. მიუხედავად ამისა, ლევი დარწმუნებული იყო, რომ სწორედ იმ ძაფს მიაგნო, რომელსაც უნდა მიჰყოლოდა. მან შეუსაბამობებს ყურადღება აღარ მიაქცია: ამ კაცის შეპყრობა ევალებოდა, სხვა სამხილი არ ჰქონდა, ყოყმანი კი ერთხელ უკვე დაუჯდა ძვირად.

იგი აჩქარებით გაემართა ქუჩაში მდგარი სატვირთო მანქანისკენ და საქმის მასალების გადაკითხვას შეუდგა, რათა სოფელ კიმოვოსთან დაკავშირებულ რამე ინფორმაციას მაინც გადასწყდომოდა. ეს საქმიანობა მოადგილემ, ვასილი ილიჩ ნიკიტინმა, გააწყვეტინა.

ოცდათხუთმეტი წლის ვასილი ლევზე ხუთი წლით უფროსი იყო. თავის დროზე, МГБ-ს ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ოფიცრად მიაჩნდათ. ეს შეუბრალებელი და ჯიუტი კაცი მხოლოდ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ერთგულობდა. გულის სიღრმეში ლევს მტკიცედ

სწამდა, რომ ამ ერთგულებას საფუძვლად არა პატრიოტიზმი, არამედ კარიერიზმი ედო.

სწორედ თავისი კარიერის დასაწყისში გაითქვა სახელი ვასილიმ იმით, რომ დაასმინა ერთადერთი ძმა, რომელმაც სტალინი მსუბუქად გაჰკენწლა - როგორც ჩანს, ბელადზე რაღაც გაიხუმრა. იმ მომენტში ძმა თავის დაბადების დღეს აღნიშნავდა და ცოტა ნასვამი იყო.

ვასილიმ პატაკი გააშანშალა და ძმა ოცი წლით ჩააყუდეს. თავდაპირველად ამან ვასილის კარგი სამსახური გაუწია, მაგრამ სამი წლის შემდეგ მისმა ძმამ რამდენიმე გუშაგი და ექიმი მოკლა და ბანაკიდან გაიქცა. მისი დაჭერა დღემდე ვერ მოეხერხებინათ და ამ შემთხვევის ორაზროვნება ვასილის მძიმე ტვირთად აწვა. რომ არა მისი თავგამოდება გაქცეულის დასაჭერად, მის კარიერას წერტილი დაესმებოდა, მაგრამ გადარჩა - მხოლოდ საყვედური აკმარეს. ლევმა იცოდა, რომ ახლა, როდესაც აღარ ჰყავდა ძმა, რომლის დასმენასაც შეძლებდა, მისი მოადგილე სხვა გზებს ეძებდა უფროსების კეთილგანწყობის მოსაპოვებლად.

ვასილის ახლახან დაემთავრებინა ვეტერინარის კაბინეტის ჩხრეკა და კმაყოფილებას ვერ მალავდა. მან ლევს გაუწოდა დაჭმუჭნილი ფურცელი, რომელიც, როგორც თქვა, მოღალატის საწერი მაგიდის უჯრის უკანა კედლის იქით ჩავარდნილიყო. ისევე, როგორც ბინაში, დანარჩენი კორესპონდენცია დამწვარი აღმოჩნდა, მაგრამ სიჩქარეში ეჭვმიტანილს ამ წერილისთვის ყურადღება აღარ მიექცია. ლევმა სწრაფად გადაავლო მას თვალი. იგი ანატოლისთვის მეგობარს გამოეგზავნა, სწერდა, როცა მოგიხერხდება, მაშინ მესტუმრეო. მისამართი გადღაბნილიყო, სამაგიეროდ, ქალაქის დასახელება მოჩანდა მკაფიოდ - კიევი. ლევმა წერილი დაკეცა და მოადგილეს დაუბრუნა.

- ეს თავად ბროდსკიმ დაწერა და არა მისმა მეგობარმა. განზრახ დაგვიტოვა. უნდოდა, რომ გვეპოვა. კიევში გამგზავრება თავში აზრადაც არ მოსვლია.

წერილი ნაჩქარევად დაეწერათ, არათანაბარი, ცუდად მიმსგავსებული ხელწერით. ამ ბავშვური სატყუარას მთავარი დანიშნულება მისი წამკითხველის იმაში დარწმუნება იყო, რომ ის შეედგინა ბროდსკის მეგობარს, რომელსაც ანატოლი გაჭირვების ჟამს დაუფიქრებლად მიმართავდა დახმარებისთვის. მისამართიც განზრახ გაედღაბნათ, რათა გამომგზავნის პიროვნების დადგენა გაერთულებინათ და იმის მტკიცებულებაც

ვერ მიეღოთ, რომ წერილი გაეყალბებინათ. არც ის ადგილი იყო შერჩეული შემთხვევით, სადაც მას მიაგნეს - უჯრის უკანა კედლის იქით.

ვასილიმ შეპასუხება სცადა: - დანაშაული იქნება, თუ კიევის კვალს ბოლომდე არ მივყვებით.

მართალია, ლევს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ყალბ წერილთან ჰქონდათ საქმე, იგი მაინც დაფიქრდა, მართლა ხომ არ ჯობდა, თავის დაზღვევის მიზნით, ვასილი კიევში გაეგზავნა, რათა არავის დაებრალებინა, რომ იგი შეგნებულად არ აქცევდა ყურადღებას ნაპოვნ სამხილებს? მაგრამ ეს აზრი მალევე უკუაგდო - თუ ეჭვმიტანილის შეპყრობას ვერ მოახერხებდა, როგორც უნდა წაეყვანა გამოძიება, მისი კარიერა კრახით დასრულდებოდა.

იგი კვლავ საქმის მასალებზე გადაერთო. ჩანაწერების მიხედვით, ბროდსკი მიხაილ სვიატოსლავოვიჩ ზინოვიევთან, წითელი არმიიდან უმძიმესი მოყინულობის გამო დემობილიზებულთან მეგობრობდა. მაშინ იგი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იდგა, მოაჭრეს კიდეც რამდენიმე თითი, რის შემდეგაც კომისიამ სამხედრო სამსახურისთვის შეუფერებლად მიიჩნია. ოპერაცია ბროდსკიმ ჩაატარა. ლევმა სტრიქონებს თითი გააყოლა - მის ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილს ეძებდა.

კიმოვო ლევი თავისიანებისკენ შეტრიალდა და ვასილის მჟავე გამომეტყველება შეამჩნია.

- წავედით.

ოცდაათი კილომეტრი მოსკოვის ჩრდილოეთით 15 თებერვალი მოსკოვს იქით მდებარე გზები ყინულის ქერქს დაეფარა და მიუხედავად იმისა, რომ სატვირთო მანქანის ბორბლებზე საგანგებო ჯაჭვები ეკეთათ, საათში არა უმეტეს ოცდახუთ კილომეტრს გადიოდნენ. ირგვლივ ქარბუქი მძვინვარებდა და შიგადაშიგ ისეთი ძალით უტევდა მათ, თითქოს პირადად იყო დაინტერესებული, რომ ლევს დანიშნულების ადგილამდე არ მიეღწია. კაბინის თავზე მიმაგრებული მინასაწმენდები გააფთრებით ცდილობდნენ, საქარე მინაზე პატარა ადგილი მაინც გაესუფთავებინათ თოვლისგან. ხილვადობა ათ მეტრს არ აღემატებოდა, მაგრამ მანქანა მაინც ჯიუტად მიიწევდა წინ. ასეთ პირობებში მგზავრობა ლევის სასოწარკვეთილებაზე უფრო მიანიშნებდა.

ლევი ვასილისა და მძღოლის გვერდით იჯდა, მუხლებზე რუკა გადაეშალა და წინ გადახრილიყო. სამივეს ისე ეცვა, კაცი იფიქრებდა, გარეთ დგანანო: ფარაჯები, ხელთათმანები, ბეწვის ქუდები. ლითონის სახურა-

ვისა და იატაკის მქონე ფოლადის კაბინას მხოლოდ მოთუხთუხე ძრავიდან წამოსული ცხელი ჰაერი ათბობდა. თუმცა იგი ცოტათი მაინც იცავდა ავდრისგან შიგნით მყოფთ. აი, ძარაზე მჯდომი, თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული ცხრა აგენტი კი გაუსაძლის პირობებში მგზავრობდა. „ზის-151“ მარკის ბრეზენტგადაფარებულ მანქანაში ქარი და თოვლი თავისუფლად გადი-გამოდიოდა. ვინაიდან ტემპერატურა ზოგჯერ მინუს ოცდაათ გრადუსამდე ეცემოდა, ძარის უკანა ნაკვეთურში შეშის ღუმელს დგამდნენ და ჭანჭიკებით ამაგრებდნენ. ეს მახვილგონივრული გამოგონება მხოლოდ მის უშუალო სიახლოვეს მყოფთ ათბობდა. ჯარისკაცები ფარაჯებში იფუთნებოდნენ და წარამარა ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. ლევს თვითონაც არაერთხელ უმგზავრია ასე: ყოველ ათ წუთში ღუმელთან მყოფი წყვილი უხალისოდ უთმობდა ადგილს გვერდით მსხდომთ, თავად კი ბოლოში გადადიოდა. იმავდროულად, ყველა დანარჩენი ერთი ნაბიჯით უახლოვდებოდა სითბოს.

თავისი კარიერის განმავლობაში ლევმა პირველად იგრძნო, რომ მის ხელქვეითებში უკმაყოფილება მატულობდა. ამის მიზეზი მძიმე პირობები და უძილობა კი არ იყო, არამედ სრულიად სხვა რამ. სავარაუდოდ, მათი აზრით, თავისუფლად შეიძლებოდა ამ მგზავრობის თავიდან აცილება. შესაძლოა, უბრალოდ, არ სჯეროდათ, რომ ძაფი, სახელწოდებით „კიმოვო“, მათ საჭირო ადგილამდე მიიყვანდა. უწინ მას ხშირად მიუმართავს დახმარების თხოვნით თავისი ჯარისკაცებისთვის და მიუღია კიდეც იგი. დღეს კი მათ წინააღმდეგობასა და მტრულ განწყობას გრძნობდა. აქამდე ეს მხოლოდ ვასილის სჩვეოდა. ლევმა კვლავ სცადა ამ ფიქრების განდევნა. ახლა საკუთარი ავტორიტეტი ნაკლებად აღელვებდა.

თუ მისი თეორია სწორი იყო და ეჭვმიტანილი კიმოვოში იმყოფებოდა, ლევის აზრით, იგი გზას გამთენიისას გაუდგებოდა, თავის მეგობართან ერთად ან მარტო. ლევი რისკზე მიდიოდა, როცა ფიქრობდა, რომ სოფელში დროულად ჩავიდოდა. მან განგაში არ ატეხა ზაგორსკის, უახლოესი რაიონული ცენტრის, მილიციის ადგილობრივ განყოფილებაში, რადგან მიაჩნდა, რომ იქ მოყვარული, ნაკლებად დისციპლინირებული და ცუდად გაწვრთნილი თანამშრომლები მუშაობდნენ. მსგავს ოპერაციას ვერც МГБ-ს ადგილობრივ განყოფილებას ანდობდა. ბროდსკიმ იცოდა, რომ მას ეძებდნენ და არაფრისდიდებით არ დანებდებოდა, ბოლომდე შეეწინააღმდეგებოდა. არადა, ცოცხალი უნდა აეყვანათ. მის აღიარებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ამასთან, თავისი გაქცევით მან ლევი პირა-

დად შეურაცხყო. ამ უკანასკნელს ეჭვმიტანილთან თავისი ანგარიში ჰქონდა და საკუთარი ხელით სურდა მისი დაყერა. საქმე მხოლოდ შელახულ თავმოყვარეობას როდი ეხებოდა. და არც იმას, რომ მისი კარიერული წინსვლა ამ ოპერაციის წარმატებით დასრულებას უკავშირდებოდა. მარცხს გაცილებით მძიმე შედეგი მოჰყვებოდა. კვალიფიციური ჯაშუშის დაგვიანებით გამოვლენის გამო, ლევი შესაძლოა, საბოტაჟში დაედანაშაულებინათ. და თუ მის დაჭერასაც ვერ მოახერხებდა... ამაზე ფიქრსაც ვერ ბედავდა. ეჭვქვეშ მისი ერთგულება დგებოდა.

შეამოწმე ისინი, ვისაც ენდობი.

ამ წესს გამონაკლისი არ ჰქონდა, არც მისი მომგონისთვის და არც ცხოვრებაში გამომყენებლისთვის.

თუ ბროდსკი კიმოვოში არ დახვდებოდა, თუ ლევი ცდებოდა, ვასილი ერთ-ერთი პირველი იქნებოდა მათ შორის, ვინც ხალისით მისცემდა დაწვრილებით ჩვენებას იმის შესახებ, რომ მისმა უფროსმა ყურადღება არ მიაქცია პერსპექტიულ კიევურ კვალს. როგორც კი მისი პოზიციის დასუსტებას იყნოსავდნენ, სამმართველოს დანარჩენი თანამშრომლები ისე შეუტევდნენ, როგორც მტაცებელი ცხოველები წრეში მომწყვდეულ დაჭრილ მსხვერპლს, არაკომპეტენტურობაში დაადანაშაულებდნენ, ვასილი კი მისი მემკვიდრე გახდებოდა.

სახელმწიფო უშიშროების იერარქიაში ერთი ღამეც საკმარისი იყო, რათა ბედის ბორბალს უკუღმა დაეწყო ტრიალი. ასე რომ, მოღალატის ადგილმდებარეობას ორივე მათგანისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

ლევმა ალმაცერად გახედა თავის მოადგილეს, რამდენადაც ლამაზ, იმდენად საზიზღარი შესახედაობის ადამიანს - სასიამოვნო გარეგნობის ქვეშ დამპალი სული იმალებოდა: გმირის სახე და მშიშარას გული. მოხდენილ ფასადზე თითქოს უწვრილესი ბზარები მოჩანდა, განსაკუთრებით პირის კუთხეებში, ძლივს შესამჩნევი ღიმილი კი, თუ მათი სწორად გაშიფვრა შეგეძლოთ, შავბნელ ფიქრებზე მიანიშნებდა. ვასილიმ, როგორც ჩანს, იგრძნო, რომ თანამგზავრის ყურადღების ცენტრში მოხვდა, მისკენ შეტრიალდა და ოდნავ, ორაზროვნად გაუღიმა. აშკარად კარგად გრძნობდა თავს. ლევმა მაშინვე გაიფიქრა, სადღაც შეცდომა დავუშვიო.

მან რუკას დახედა. კიმოვო, სოფელი ათასზე ნაკლები მოსახლით, საბჭოთა კავშირის უკიდეგანო სივრცეში უმცირეს წერტილს წარმოადგენდა. ლევმა წინასწარ გააფრთხილა მძღოლი, რომ მხოლოდ საგზაო

ნიშნების იმედი არ ჰქონოდა. თუნდაც საათში თხუთმეტი კილომეტრის სიჩქარით ევლოთ, ასეთ სოფელს ისე სწრაფად ჩაუქროლებდნენ, სიჩქარის გადართვასაც ვერ მოასწრებდნენ. მიუხედავად ამისა, ლევი რუკაზე გზის აღმნიშვნელ დაკლაკნილ ხაზს თითს აყოლებდა და ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს საჭირო მოსახვევს გასცდნენ. ჯერაც ჩრდილოეთისკენ მიემართებოდნენ, არადა, დასავლეთისკენ უნდა ევლოთ.

ვინაიდან ასეთ ქარბუქში ადგილის მიხედვით ორიენტაცია პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, ლევმა მარტივად გამოთვალა და დაადგინა, რომ ჩრდილოეთის მიმართულებით რამდენიმე ზედმეტი კილომეტრი გაევლოთ. მძღოლს გადასახვევი გამორჩენოდა.

- უკან მოაბრუნე!

ლევმა შეამჩნია, რომ მისი ბრძანება არც ვასილის გაჰკვირვებია და არც მძღოლს. ამ უკანასკნელმა ჩაიბურტყუნა: - გზიდან გადასახვევი არ შეგვიმჩნევია.

- გავცდით. გააჩერე მანქანა.

მძღოლმა სიჩქარე თანდათანობით შეამცირა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად აწვებოდა სამუხრუჭე სატერფულს, რათა სრიალა ტრასაზე მანქანა არ მოცურებულიყო. ბოლოს მოახერხა და შეაჩერა. ლევი ქვევით ჩახტა და ხელით ანიშნა მძღოლს, როგორ მოეტრიალებინა ქარბუქში მანქანა იმის გათვალისწინებით, რომ ,ზის-151“ გზის მთელ სავალ ნაწილს იკავებდა. მათ თითქმის მოახერხეს ჩანაფიქრის განხორციელება, მაგრამ ბოლოს მძღოლმა, როგორც ჩანს, ლევის ნიშანს ყურადღება აღარ მიაქცია და მანქანა ძალზე სწრაფად და მკვეთრად დაძრა უკან. ლევი წინ გავარდა და კაბინის კარზე მუშტი დაუბრახუნა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

მარჯვენა უკანა ბორბალი გზის მიღმა აღმოჩნდა და ახლა უღონოდ ბრუნავდა ნამქერში. ლევი მიხვდა, რომ მძღოლს ამ საქმის ბევრი არაფერი გაეგებოდა და მრისხანება ოდნავ გაუნელდა.

გაახსენდა, რომ მანქანაც და მძღოლიც ვასილიმ შეარჩია. მან კაბინის კარი გამოაღო და ისე დაიღრიალა, ქარის ხმაც კი გადაფარა: - გადმოდი!

მძღოლი დაემორჩილა. ამასობაში სხვა ოფიცრებიც ჩამოხტნენ მანქანიდან ვითარების გასაცნობად და გამკიცხავი მზერა მიაპყრეს ლევს, რომელსაც ვერ გაეგო, რა იყო მათი უკმაყოფილების მიზეზი - ეს შეყოვნება, მგზავრობა თუ მისი ხელმძღვანელობა. მან ერთ-ერთ თავისიანს საჭესთან დაჯდომა უბრძანა, სხვები კი, ვასილის ჩათვლით, მანქანას მიაწვნენ.

ბორბალი დატრიალდა და დამხმარეებს ატალახებული თოვლი ფარაჯებსა და სახეზე შეასხა.

როგორც იქნა, ჯაჭვები გზის საფარს მოეჭიდა და მანქანა ღმუილით გაგორდა წინ. ლევმა შერცხვენილი მძღოლი ძარაზე გაგზავნა. ამგვარი შეცდომა სრულიად საკმარისი იყო, რომ მასზე წერილობითი პატაკი შეედგინა, რაც გულაგში მის გაგზავნას ნიშნავდა. ვასილი მძღოლს, ალბათ, ხელშეუხებლობას შეჰპირდა, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ ლევი მიზანს ვერ მიაღწევდა. ნეტავ კიდევ რამდენ მათგანს უნდა, რომ ოპერაცია ჩაფლავდესო, გაიფიქრა მან და ხელქვეითებში თავი სრულიად მარტო იგრძნო. რაღა დარჩენოდა? საჭეს მიუჯდა. თვითონ წაიყვანდა მანქანას. თვითონ იპოვიდა გზას. იქ მივიდოდა, სადაც უნდა მისულიყვნენ. ვეღარავის ენდობოდა. ვასილი მის გვერდით მოკალათდა, მაგრამ კეთილგონიერება გამოიჩინა და ხმა არ ამოუღია. ლევმა მანქანა დაქოქა.

მალე კიმოვოსკენ მიმავალ გზაზე გადაუხვიეს და დასავლეთისკენ გაემართნენ. ქარბუქი ჩადგა. წინ მკრთალად გამოანათა ზამთრის უფერულმა მზემ. ლევმა საშინელი დაღლილობა იგრძნო. მძიმე სატვირთო მანქანასა და ნამქერებთან ჭიდილმა ძალ-ღონე გამოაცალა. ხელები და მხრები ტეხდა, თვალები ეხუჭებოდა. ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში მიდიოდნენ, მინდვრებსა და ტყეებს უკან იტოვებდნენ. არცთუ ღრმა ხეობაში შევიდა და უეცრად სოფელს მოჰკრა თვალი: სახლების ნაწილი გზის გასწვრივ იდგა, ნაწილი - მისგან ოდნავ მოშორებით.

ყველა მათგანი ერთნაირად გამოიყურებოდა - სწორკუთხა ძელურები სამკუთხა სახურავებით, ისე, როგორც, ალბათ, ასი და ორასი წლის წინ იყო. ეს ძველ რუსეთს ჰგავდა: თემები წეროებით დასახლებული ღრმა ჭების გარშემო ჩნდებოდა. აქ ჯერაც ცოცხლობდა ძველებური თქმულებები, რომელთა თანახმადაც, სახლის პატრონს ფუძის ანგელოზის ძმა, ეზოს სული უნდა მოემადლიერებინა, რათა შინაურ საქონელს არაფერი დამართოდა. აქ მშობლები შვილებს ოჩოპინტრეებით აშინებდნენ, ეუბნებოდნენ, რომ თუ ცუდად მოიქცეოდნენ, ისინი მათ ხეებად გადააქცევდნენ. ეს მშობლები თვითონაც ისმენდნენ ბავშვობაში ამ ზღაპრებს და ჯერაც ვერ დაეხსნათ მათგან თავი: თვეობით კერავდნენ ტანსაცმელს მხოლოდ იმიტომ, რომ ის ტყის ნიმფებისა და ალებისთვის ეჩუქებინათ, რომლებიც ხეებზე ცხოვრობდნენ და თუ მოისურვებდნენ, წინდაუხედავ მგზავრს ღიტინით სიკვდილის პირას მიიყვანდნენ. ლევი ქალაქში გაი-

ზარდა და სოფლელებისთვის დამახასიათებელი მსგავსი ცრურწმენა მისთვის არაფერს ნიშნავდა. მაგრამ ვერაფრით გაეგო, რატომ ვერ ახერხებდა იდეოლოგიური რევოლუცია ამ პრიმიტიული, გლეხური ფოლკლორის დამარცხებას.

ლევმა სატვირთო მანქანა პირველივე ქოხთან გააჩერა. ფარაჯის ჯიბიდან ამოიღო სასმლის პატარა შუშა, რომელიც არასწორი ფორმის მონაცრისფრო-მოთეთრო კრისტალებით იყო სავსე, სუფთა მეტამფეტამინით - ნარკოტიკით, რომელიც ნაცისტებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა, იგი მას აღმოსავლეთის ფრონტზე მიმდინარე ბრძოლების დროს გადააწყდა, როდესაც მისი ქვეყნის არმია დამპყრობლებს ერეკებოდა და სამხედრო ტყვეებითა და მათთვის დამახასიათებელი ზოგიერთი ჩვეულებით მდიდრდებოდა. იგი ისეთ ოპერაციებში მონაწილეობდა, როდესაც დასვენებაზე ფიქრის დროც კი არ ჰქონდათ. აქაც იგივე ხდებოდა, იმ განსხვავებით, რომ მეტამფეტამინს МГБ-ს პოლიკლინიკის ექიმი უწერდა. ისიც სისტემატურად სვამდა მას, თუ წინ მორიგი უძილო ღამე ელოდა. ზოგჯერ ნარკოტიკი შეუცვლელი საშუალება იყო, თუმცა მისი მიღებიდან ოცდაოთხი საათის შემდეგ ორგანიზმი სრულიად იფიტებოდა და მასთან გასამკლავებლად ან ახალი დოზა სჭირდებოდა, ან თორმეტსაათიანი ღრმა ძილი.

გარდა ამისა, თანდათანობით გვერდითმა მოვლენებმაც იჩინა თავი: ლევი გახდა, სახეზე კანი დაეჭიმა, მეხსიერება გაუუარესდა - წვრილმანები და სახელები სწრაფად ავიწყდებოდა, წარსულის საქმეები ერთმანეთს ერწყმოდა და ბურუსს ქმნიდა. ჩანაწერებს აკეთებდა, რათა მნიშვნელოვანი არაფერი გამორჩენოდა. ახლა შეუძლებელი იყო იმის დადგენა, აქცია თუ არა იგი პარანოიკად ნარკოტიკის მიღებამ, რადგან პარანოია მძლავრ მხსნელად მოევლინა, სათნოებად, რომელსაც სათუთად მოვლა და გახარება სჭირდებოდა. თუ მეტამფეტამინი მას აძლიერებდა, მაშასადამე, ყველაფერი კარგად იყო.

რამდენიმე კრისტალი ხელისგულზე დაიყარა, ცოტა ხანს დაფიქრდა და კიდევ რამდენიმე მიამატა. ამაოდ ცდილობდა ზუსტი დოზის გახსენებას. დაასკვნა, რომ ბევრი ცოტას სჯობდა, კმაყოფილმა პირში გადაუძახა და მათარიდან, რომელიც ქამარზე ეკიდა, ერთი ყლუპი მიაყოლა. არაყმა ყელი აუწვა, მაგრამ ქიმიის მძაფრი გემო მაინც ვერ გააქრო, რის გამოც კინაღამ გული აერია. დაელოდა, სანამ უსიამოვნო შეგრძნება გაუვლიდა და ნელა მოავლო თვალი არემარეს. ყველაფერი ახალ თოვლს დაეფარა.

კმაყოფილი დარჩა. კიმოვოს გარშემო კაცი ვერსად დაიმალებოდა. რამდენიმე კილომეტრზე ყველაფერი ხელისგულივით ჩანდა.

ნაკვალევსაც ადვილად შეამჩნევდნენ.

არ იცოდა, რომელი სახლი იყო მიხაილ ზინოვიევისა. ვინაიდან გზის პირას გაჩერებულმა სამხედრო სატვირთო მანქანამ მოულოდნელობის ეფექტი ნულამდე დაიყვანა, ლევი კაბინიდან ჩამოხტა, პისტოლეტი ბუდიდან ამოიღო და უახლოესი ქოხისკენ გაემართა. მართალია, ამფეტამინს ჯერ მოქმედება არ დაეწყო, უკვე აღარ ეძინებოდა და აღქმის უნარიც გამძაფრებოდა - ტვინი გარდაუვალი ნარკოტიკული ტალღისთვის ემზადებოდა. იგი პარმაღს მიუახლოვდა. იარაღი კვლავ შემართული ეჭირა.

სანამ კარზე დააკაკუნებდა, ზღურბლზე ხეშეშკანიანი ხანში შესული ქალი გამოჩნდა. სადა, თეთრსახელოებიანი ლურჯი კაბა ეცვა, თავზე შალის თავსაფარი ეკეთა. არც ლევი ადარდებდა, არც მისი პისტოლეტი და უნიფორმა, არც სამხედრო სატვირთო მანქანა. არაფრის ეშინოდა და არც ზიზღის დაფარვას ცდილობდა, აშკარად რომ ეწერა სახეზე.

- მე მიხაილ სვიატოსლავოვიჩ ზინოვიევს ვეძებ. ეს მისი სახლია? თვითონ სად არის?

მოხუცმა ისე შეხედა ლევს, თითქოს უცხო ენაზე ლაპარაკობდა, თავი გვერდზე გადახარა და არაფერი უპასუხა. ბოლო ორი დღის განმავლობაში ეს უკვე მეორე ხანდაზმული ქალი იყო, ვინც მის მიმართ ზიზღის დამალვას არ ცდილობდა. ამ ქალებში ისეთი რამ იგრძნობოდა, რაც მათ ხელშეუხებლებად აქცევდა - ლევის ავტორიტეტი მათთვის არაფერს ნიშნავდა. საბედნიეროდ, ჩიხური ვითარება განმუხტა მოხუცის შვილმა, ჩასკვნილმა კაცმა, რომელიც სასწრაფოდ გამოვიდა ზღურბლზე და აღელვებულმა ენის ბორძიკით წარმოთქვა: - აპატიეთ. მოხუცია. რით შემიძლია თქვენი დახმარება?

კვლავ ვაჟიშვილი ითხოვდა პატიებას დედის გულისთვის.

- მიხაილ სვიატოსლავოვიჩი. სად არის იგი? რომელია მისი ეზო?

კაცი მიხვდა, რომ ლევი მათ დაპატიმრებას არ აპირებდა, რომ ოჯახს ჯერჯერობით მშვიდად შეეძლო ყოფნა, და გულზე მოეშვა. მან სიხარულით მიუთითა თავისი მეზობლის სახლზე.

ლევი სატვირთო მანქანასთან დაბრუნდა, რომლის გვერდითაც მისი ხალხი იდგა. მან რაზმი სამ ჯგუფად გაყო. ისინი სახლს სხვადასხვა მხრიდან უნდა მიახლოებოდნენ: ერთი - წინიდან, მეორე - უკნიდან, მესამე კი

ფარდულს შემოერტყმებოდა. ყველანი VII 6-სთვის საგანგებოდ შემუშავებული, სტეჩკინის ცხრამილიმეტრიანი ავტომატური პისტოლეტებით იყვნენ შეიარაღებულნი. გარდა ამისა, თითოეულ ჯგუფს თითო AK-47 მარკის ავტომატიც ჰქონდა. თუ საჭირო გახდებოდა, ბრძოლისთვის მზად იყვნენ.

- მოღალატე ცოცხალი უნდა შევიპყროთ. მისი აღიარება გვჭირდება. თუ ოდნავ მაინც შეგეპარებათ ეჭვი, არ ისროლოთ.

ჯგუფისთვის, რომელსაც ვასილი მეთაურობდა, ლევმა ბრძანება განსაკუთრებული ხაზგასმით გაიმეორა. ანატოლი ბროდსკის მოკვლა მძიმე დანაშაულად შეფასდებოდა. ჯერ ეჭვმიტანილის სიცოცხლის შენარჩუნებაზე უნდა ეფიქრათ, შემდეგ კი - საკუთარ უსაფრთხოებაზე. პასუხად ვასილიმ მათი რაზმისთვის გამოყოფილი AK-47 მკერდზე ჩამოიკიდა.

- ყოველი შემთხვევისთვის.

რათა ვასილისთვის ოპერაციის ჩაშლის შესაძლებლობა შეეზღუდა, ლევმა იგი ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი ობიექტის შესამოწმებლად გაგზავნა.

- შენი ჯგუფი ფარდულს გაჩხრეკს.

ვასილი უსიტყვოდ დაიძრა. ლევმა ხელით შეაჩერა.

- ცოცხალი უნდა ავიყვანოთ.

გზის ნახევარი რომ გაიარეს, რაზმი სამ ჯგუფად გაიყო და ყველანი თავ-თავიანთი დავალების შესასრულებლად გაემართნენ. დამფრთხალი მეზობლები ჯერ ფარდებიდან იჭვრიტებოდნენ, შემდეგ კი სახლის სიღრმეში იმალებოდნენ. როდესაც კარს ოცდაათ ნაბიჯზე მიუახლოვდნენ, ლევი შეჩერდა და დარჩენილ ორ ჯგუფს პოზიციის დაკავების შესაძლებლობა მისცა. ვასილის მებრძოლებმა ფარდულს შემოარტყეს ალყა, მეორე ჯგუფმა სახლს უკნიდან შემოუარა. იქაურობას სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. საკვამურიდან კვამლის წვრილი ზოლი მოიკლაკნებოდა. პატარა ფანჯრებზე ფარდის ნაცვლად ძველი ნაყრები ეკიდა, ასე რომ, ქოხის შიგნით არაფერი ჩანდა. სიჩუმე AK-47-ის დამცველიდან მოხსნით გამოწვეულმა სამმა გატკაცუნებამ დაარღვია. მოულოდნელად სახლს უკან მდგარი მართკუთხა პატარა ფიცრულიდან, როგორც ჩანს, ტუალეტიდან, გამოვიდა გოგონა, რომელიც თავისთვის ღიღინებდა, ეზო მხიარულმა მელოდიამ მოიცვა. ლევის გვერდით მდგარი პისტოლეტმომარჯვებული სამი ოფიცერი მკვეთრად შეტრიალდა ბავშვისკენ. შეძრწუნე-

ბული გოგონა შეჩერდა. ლევმა ორივე ხელი ასწია და შესძახა: - არ ისროლოთ!

მას სუნთქვა შეეკრა, ეშინოდა, ვაითუ, ვინმემ მაინც გაისროლოსო. არავინ განძრეულა.

უეცრად ბავშვი ადგილიდან მოწყდა და „დედას“ ძახილით სახლისკენ გაიქცა.

ლევმა ამფეტამინის მოქმედება იგრძნო. დაღლილობა სადღაც გაუქრა. იგი წინ გავარდა.

მებრძოლებიც უკან მიჰყვნენ - სიკვდილმისჯილის კისერზეც ასე ვიწროვდება ყულფი. გოგონამ კარი შეაღო და შინ შევარდა. ლევი მას რამდენიმე წამით ჩამორჩა. იგი კარს მხრით ეძგერა და შემართული პისტოლეტით ქოხში შევარდა. პატარა, თბილ სამზარეულოში აღმოჩნდა, სადაც საუზმის სასიამოვნო სუნი ტრიალებდა. პატარა კერიასთან ორი გოგონა იდგა. უფროსი ათი წლის იქნებოდა, უმცროსი - ოთხის. დედა, მტკიცე, მკაცრი შესახედაობის ქალი, რომელიც ისე იყურებოდა, კაცი იფიქრებდა, ნასროლ ტყვიას კბილებით დაიჭერს და უკან გადმოაფურთხებსო, ბავშვებს წინ გადაეფარა. უკანა ოთახიდან ორმოციოდე წლის მამაკაცი გამოჩნდა. ლევი მისკენ შეტრიალდა.

- მიხაილ სვიატოსლავოვიჩი?

- დიახ?

- მე ლევ სტეპანოვიჩ დემიდოვი ვარ. МГБ-ს ოფიცერი. ანატოლი ტარასოვიჩ ბროდსკი ჯაშუშია. იგი იძებნება, რათა დაიკითხოს. მითხარით, სად არის.

- ანატოლი?

- თქვენი მეგობარი. სად არის? ტყუილის თქმა არ გაბედოთ.

- ანატოლი მოსკოვში ცხოვრობს, იქ ვეტერინარად მუშაობს. კარგა ხანია, აღარ მინახავს.

- თუ გვეტყვით, სად არის, დავივიწყებ, რომ აქ იყო, თქვენ და თქვენი ოჯახი კი უსაფრთხოდ იქნებით.

მიხაილის ცოლმა ქმარს მეტყველი მზერა მიაპყრო: ჩანდა, რომ შეთავაზება აშკარად მოეწონა. ლევმა უდიდესი შვება იგრძნო. მაშასადამე, არ შემცდარა. მოღალატე აქ იყო. იგი პასუხს აღარ დაელოდა და თავისიანებს ანიშნა, ჩხრეკა დაეწყოთ.

***

ავტომატმომარჯვებული ვასილი ფარდულში შევიდა, თითი სასხლეტზე ედო. დიდ, მოზრდილი ადამიანის სიმაღლის ჩალის ზვინს მიუახლოვდა, ერთადერთ ადგილს, სადაც დამალვა შეიძლებოდა, და ალალბედზე რამდენიმე ჯერი მიუშვა. ჩალის ნაგლეჯები აქეთ-იქით გაიფანტა. ავტომატის ლულას ბოლი აუვიდა. ბაკში ძროხებმა ფრუტუნითა და ჩლიქების ხმამაღალი ბაკუნით დაიხიეს უკან. მაგრამ ჩალიდან სისხლს არ გამოუჟონავს. აქ არავინ იყო.

დრო ტყუილუბრალოდ დაკარგეს. იგი გარეთ გავიდა, ავტომატი მხარზე გადაიკიდა და სიგარეტი გააბოლა.

სროლის ხმაზე სახლიდან შეშფოთებული ლევი გამოვარდა. ვასილიმ დაუძახა: – აქ არავინაა.

ნარკოტიკისგან ენერგიამოზღვავებულმა ლევმა კბილი კბილს დააჭირა და აჩქარებით გაემართა ფარდულისკენ.

იმით გაშმაგებულმა, რომ ყურადღება არ მიაქციეს, ვასილიმ ნამწვავი გადააგდო და თვალი გააყოლა, როგორ გაადნო მან თოვლი და მიიმალა.

- აქ არ არის. ცხადია, თუ ძროხად არ გადაიქცა. იქნებ ჯობდეს, რომ ისინიც მიასიკვდილო?

ისე, ყოველი შემთხვევისთვის.

ვასილიმ თავისიანებს ეშმაკურად გადახედა. მათაც არ დააყოვნეს და სიცილი ატეხეს, მაგრამ მან იცოდა, რომ სინამდვილეში არავის ეცინებოდა. უფრო მეტიც, ეს სიცილი იმას ნიშნავდა, რომ ძალთა თანაფარდობა დაირღვა. ხელქვეითთა ერთგულება ლევის მიმართ თვალსა და ხელს შუა დნებოდა. იქნებ ამის მიზეზი მომქანცველი მგზავრობა იყო? ან ის, რომ ლევმა ბროდსკი დროულად არ დააკავა და თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა მისცა? მაგრამ ვასილი უფრო იქით იხრებოდა, რომ მათი საქციელი ფიოდორსა და მისი პატარა შვილის დადღუპვას უკავშირდებოდა. ისინი ხომ მეგობრები იყვნენ. და თუ ლევისადმი სიძულვილს გრძნობდნენ, მისი მართვაც შეიძლებოდა და ჯარისკაცთა ცნობიერებით მანიპულირებაც.

ლევი ჩაცუცქდა და თოვლს ყურადღებით დააცქერდა. ზედ აშკარად მოჩანდა ჩექმების ახალთახალი კვალი. ზოგიერთი მათგანი მის ოფიცრებს დაეტოვებინათ, მაგრამ მათ ქვეშ ხედავდა ფარდულიდან მომავალი ნაკვალევის გრძელ ჯაჭვსაც, რომელიც მინდვრებისკენ მიემართებოდა. ლევი წამოდგა და ფარდულში შევიდა.

– იქ ყველაფერი გავჩხრიკე! - მიაძახა ვასილიმ.

ლევმა მის ნათქვამს ყურადღება არ მიაქცია და ხელი გატეხილ ბოქ-ლომს შეავლო. მიწაზე დაფენილ ტომრებსაც მოჰკრა თვალი. შემდეგ ეზოში გავიდა და მინდვრებს გახედა.

- ჩემთან ერთად სამი კაცი წამოვა, ვისაც სწრაფად სიარული შეუძ-ლია. ვასილი, შენ აქ დარჩი და სახლის ჩხრეკა განაგრძე.

მან ზამთრის მძიმე ფარაჯა გაიხადა და დაუფიქრებლად გაუწოდა თავის მოადგილეს, ვინმეს შეურაცხყოფა აზრადაც არ მოსვლია. ახლა, როდესაც თავისუფლად სიარულიც შეეძლო და, საჭიროების შემთხვევა-ში, სირბილიც, სწრაფად გაჰყვა მინდვრისკენ მიმავალ კვალს.

ჯარისკაცებმა, ბრძანების თანახმად, მას რომ უნდა გაჰყოლოდნენ, ფარაჯები არ გაიხადეს.

მათმა უშუალო მეთაურმა თოვლში სირბილით სვლის ბრძანება გას-ცა, კოლეგის დაღუპული შვილის ნახვით კი თავი არ შეუწუხებია. ბავ-შვის სიკვდილს მხოლოდ და მხოლოდ დასანანი უბედური შემთხვევა უწოდა. ასე რომ, ოპერმუშაკები სულაც არ აპირებდნენ იმ კაცის ბრძანე-ბების ბრმად შესრულებას, რომელიც მალე მათი მეთაური შესაძლოა, აღარც კი ყოფილიყო, და ფილტვების ანთებით დაუძლურებას. მაგრამ ლევი მაინც უფროსი ოფიცერი იყო, თუნდაც ამჟამად. ამიტომ მათ მრა-ვალმნიშვნელოვნად შეხედეს ვასილის და ძუნძულით დაიძრნენ ლევის კვალდაკვალ, აქაოდა, გემორჩილებითო, მაგრამ გულშიც კი არ გაუვლი-ათ, დასწეოდნენ მეთაურს, რომელიც მათ უკვე რამდენიმე ასეული მეტ-რით უსწრებდა.

ლევმა ნაბიჯს მოუჩქარა. ამფეტამინი წინ მიერეკებოდა: მისთვის აღარაფერი არსებობდა, თოვლზე არსებული ნაკვალევისა და საკუთარი სუნთქვის რიტმის გარდა. ვერ შეჩერდებოდა, ნაბიჯს ვერ შეანელებდა. არც დამარცხების უფლება ჰქონდა, არც გაყინვის. მისი გაანგარიშებით, ეჭვმიტანილი დაახლოებით ერთი საათით უსწრებდა, მაგრამ ეს არ ადარდებდა. გაქცეულმა არ იცოდა, რომ მისდევდნენ, ამიტომ, სავარაუ-დოდ, აუჩქარებლად მიდიოდა.

წინ დამრეცი ბორცვის თხემი გამოჩნდა. ლევი იმედოვნებდა, რომ იქიდან თავის მსხვერპლს დაინახავდა. როდესაც ზედ მოექცა, არემარეს თვალი მოავლო.

სადამდეც კი თვალი მიუწვდებოდა, ყველგან დათოვლილი მინდვრები გადაშლილიყო.

შორს ხშირი ტყე მოჩანდა, მაგრამ ზუსტად ლევის წინ, დაახლოებით კილომეტრის დაშორებით, თოვლში ვიღაც მამაკაცი აუჩქარებლად მიაბიჯებდა. არც გლეხს ჰგავდა და არც მუშას.

ნამდვილად ის იყო, მოღალატე. ლევს ეჭვი არ ეპარებოდა. გეზი ჩრდილოეთისკენ, ტყისკენ აეღო. თუ იქამდე მისვლას მოასწრებდა, ხეებს შორის ჩაიკარგებოდა. ლევს ძაღლები არ ჰყავდა, რათა კვალს მიჰყოლოდა. მან უკან მიიხედა. სამივე აგენტი ძალზე ჩამორჩენოდა.

იგრძნო, რომ მათი დამაკავშირებელი სუსტი ძაფიც გამწყდარიყო. მათი იმედი აღარ უნდა ჰქონოდა. მოღალატე თვითონ უნდა დაეყირა.

ანატოლის თითქოს მეექვსე გრძნობამ უკარნახა, რომ მისდევდნენ. შეჩერდა და სოფლისკენ გაიხედა. ბორცვის ფერდობზე მისკენ ვიღაც მორბოდა. რა დიდი მიხვედრა უნდოდა, რომ სახელმწიფო უშიშროების ოფიცერი იქნებოდა. ანატოლი დარწმუნებული იყო, რომ ყველა სამხილი მოსპო, რაც ამ მიყრუებულ სოფელთან აკავშირებდა. ამიტომ რამდენიმე წამი გაუნძრევლად იდგა, გეგონებოდათ, მდევარმა მონუსხაო. მას მიაგნეს. იგრძნო, როგორ გაუჩნდა მუცელში ყინულის ნატეხი. სახეში სისხლი მოაწვა. უეცრად გაიაზრა, რომ ამ კაცის გამოჩენა მისთვის სიკვდილს ნიშნავდა, შეტრიალდა და ტყისკენ გაიქცა. პირველი რამდენიმე ნაბიჯი გაუბედავად გადადგა, წაბორძიკდა კიდეც და სახით კინაღამ ნამქერში ჩაემხო.

ანატოლი წამსვე მიხვდა, რომ პალტო მხოლოდ ხელს შეუშლიდა. ამიტომ გაიხადა, გვერდზე მოისროლა და დაფეთებულივით გაიქცა.

ანატოლის შეცდომა აღარ დაუშვია და უკან აღარ მიუხედავს. იგი მხოლოდ წინ, ტყისკენ იყურებოდა. თუ ასეთივე სიჩქარით ირბენდა, ხეებამდე მანამ მიაღწევდა, სანამ მდევარი დაეწეოდა. ტყეში დამალვა, გაუჩინარება შეეძლო. საქმე ჩხუბამდეც რომ მისულიყო, იქ მაინც მეტი შანსი ჰქონდა - მსხვილ ტოტს ან ქვას მაინც მიაგნებდა.

ლევმა სიჩქარეს უმატა, ისე გაიჭრა წინ, როგორც სარბენ ბილიკზე. ცნობიერების ნაწილმა შეახსენა, რომ სრულიად უცნობ, ამიტომაც საშიშ გარემოში იყო და ზედმეტ აჩქარებას მისთვის უბედურების მოტანა შეეძლო, მაგრამ ამფეტამინი არწმუნებდა, რომ ყველაფერს დაძლევდა და გაქცეულს ერთი ნახტომითაც დაეწეოდა.

მოულოდნელად ლევს ფეხი დაუსხლტა, გადაკოტრიალდა და ღრმა თოვლში ჩავარდა.

თავდაპირველად ვერაფერი დაინახა. შემდეგ ზურგზე გადაბრუნდა, ბაც ცისფერ ცას მიაჩერდა და საკუთარ თავს ყური მიუგდო. ტკივილი ვერსად იგრძნო. წამოდგა და სახიდან და ხელებიდან თოვლის ჩამოფერთხვას შეუდგა. გაკვრით რამდენიმე ნაკაწრი და დანაბეჟი შენიშნა. წინ გაიხედა. ეგონა, ბროდსკი უკვე ტყეში შედიოდა. მაგრამ, მისდა გასაოცრად, ეჭვმიტანილიც გაჩერებულიყო და არ იძვროდა. თავგზააბნეული ლევი მისკენ გაქანდა.

ვერაფერი გაეგო - სწორედ მაშინ, როდესაც სამშვიდობოს გასვლას აღარაფერი აკლდა, უცნობს ხელები ჩამოეშვა და ძირს იყურებოდა. ახლა მათ შორის ასი მეტრი თუ იქნებოდა. ლევმა პისტოლეტი ამოიღო და სირბილიდან სიარულზე გადავიდა. დაუმიზნა კიდეც, თუმცა იცოდა, რომ ამ მანძილზე ზუსტად ვერ ისროდა. გულს მკერდში ბაგაბუგი გაჰქონდა - ორი დარტყმა ერთი ნაბიჯის გადადგმისას. კვლავ მოაწვა ამფეტამინი - იგრძნო, რომ პირი გაუშრა.

მოზღვავებული ენერგიისგან თითები აუკანკალდა, ზურგზე ცხელი ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა.

ორმოცდაათი ნაბიჯიღა აშორებდათ ერთმანეთს. ბროდსკი შემობრუნდა. უიარაღოდ იყო.

ხელებში არაფერი ეჭირა. ისე ჩანდა, თითქოს მოულოდნელად, ყოვლად წარმოუდგენელი მიზეზის გამო, დანებება გადაეწყვიტა. ლევი კვლავ წინ მიიწევდა, სულ უფრო უახლოვდებოდა.

ბოლოს მიხვდა, რატომაც შეჩერებულიყო ბროდსკი. მასა და ტყეს შორის ყინულმოდებული მდინარე იყო. ბორცვის წვეროდან იგი არ ჩანდა - ზედ დადებული თოვლის ფენა ფარავდა.

- ყველაფერი დასრულდა! - დაუძახა ლევმა.

ანატოლიმ, როგორც ჩანს, მისი სიტყვები აწონ-დაწონა, შემდეგ კი პირი კვლავ ტყისკენ იბრუნა და ყინულზე შეაბიჯა. გაუბედავად მიდიოდა, გლუვ ზედაპირზე ფეხი უსრიალებდა.

ყინულის საფარმა ტკაცატკუცი დაიწყო, მის წონას ძლივს უძლებდა, მაგრამ იგი არ ჩერდებოდა. ერთ ნაბიჯს მეორე მოჰყვა, მეორეს - მესამე. ყინულს ბზარები დაეტყო - მისი ფეხებიდან სხვადასხვა მიმართულებით შავი კლაკნილი ზოლები გავრცელდა. რაც უფრო სწრაფად მიდიოდა, მით უფრო სწრაფად ჩნდებოდა და ყოველ მხარეს მრავლდებოდა.

ბზარებიდან შავმა წყალმა გამოჟონა, მაგრამ ანატოლი ჯიუტად მიიწევდა წინ: უკვე მდინარის შუაგულისთვის მიეღწია, მეორე ნაპირამდე

სულ რადაც ათი მეტრი რჩებოდა. მან თავი დაღუნა და ფეხებქვეშ ყინულივით ცივ, მუქ წყალს დააცქერდა.

ლევი ნაპირთან მივიდა, პისტოლეტი ბუდეში შეინახა და ხელი გაიწვდინა.

- ყინული ვერ გაგიძლებთ. ტყემდე მაინც ვერ მიაღწევთ.

ბროდსკი შეჩერდა და მისკენ შებრუნდა.

- ტყემდე მიღწევას არც ვცდილობ.

მან მარჯვენა ფეხი ასწია, ყინულს ღონივრად დაარტყა და ჩაამტვრია. შავმა წყალმა ამოხეთქა, ხვრელი გაფართოვდა და ზედ მდგომი ადამიანი წყალში ჩავარდა.

სიცივისა და შიშისგან გაშეშებული ბროდსკი ფსკერისკენ დაეშვა, თავი ცისკენ აეშვირა და მზეს შეჰყურებდა. შემდეგ იგრძნო, რომ რაღაც ძალა ზევით ექაჩებოდა, ფეხები ყინულს მიარტყა და მდინარის ნაკადს საშუალება მისცა, თან გაეტაცა. ამოყვინთვას არ აპირებდა. შავ წყალში შერევა სურდა. ფილტვები ჯერ დაესუსხა, შემდეგ ცეცხლივით აენთო. მიხვდა, რომ სხეულს სიკვდილი არ სურდა. ანატოლიმ დინების მიმართულებით ხელები რამდენჯერმე მოუსვა, ცდილობდა სინათლისგან, გადარჩენისა და სიცოცხლის შენარჩუნების შესაძლებლობისგან, შეძლებისდაგვარად, შორს გაეცურა. ბოლოს ორგანიზმის ბუნებრივმა ტივტივადობამ ზედაპირზე ამოიყვანა, მაგრამ იქ ყინულის ფენა დახვდა. დინებას აუჩქარებლად მიჰყავდა სულ უფრო და უფრო შორს.

***

მოღალატე ამოყვინთვას არ აპირებდა. უეჭველია, ყინულში გაჩენილი ხვრელისგან შორს აპირებდა გაცურვას, რათა თავი დაეხრჩო და თანამზრახველები გადაერჩინა. ლევი მდინარის ნაპირს გაუყვა, ანგარიშობდა, დაახლოებით სად იმყოფებოდა გაქცეული ყინულქვეშ.

პისტოლეტიანი მძიმე აშურმა მოიხსნა, მიწაზე დააგდო და მდინარის გაყინულ ზედაპირზე გადავიდა. ჩექმებიანი ფეხი უსხლტებოდა. ყინულმა მაშინვე ტკაცატკუცი დაიწყო. ლევი არ ჩერდებოდა, ცდილობდა, ფეხი, შეძლებისდაგვარად, მსუბუქად დაედგა, მაგრამ ყინული ხმაურს გამოსცემდა და მისი სიმძიმით იზნიქებოდა. მდინარის შუაგულს რომ მიაღწია, ჩაცუცქდა და გაშმაგებით შეუდგა თოვლის გადახვეტას, მაგრამ ეჭვმიტანილს ვერსად ხედავდა - ყველგან მხოლოდ წყლის მუქი სარკე მოჩანდა. ლევი დინებას დაუყვა, მაგრამ მისი ყოველი ნაბიჯი ახალ-ახალ ბზარებს

აჩენდა და ყოველი მხრიდან ერტყმოდა. წყალი ყინულის ზევით ამოვიდა და მის ჩექმებს მოადგა. ბზარებმა გაერთიანება დაიწყო. მან თავი ასწია, ღრმად შეისუნთქა და გარდაუვალისთვის მოემზადა. სწორედ ამ დროს ხმამაღალი ყახანი გაისმა.

ყინული გასკდა და დაიშალა.

მართალია, ამფეტამინის წყალობით სიცივეს ჯერ ვერ გრძნობდა, ხვდებოდა, რომ სწრაფად უნდა ემოქმედა. ასეთი ტემპერატურის დროს მის განკარგულებაში მხოლოდ რამდენიმე წამი რჩებოდა. იგი ადგილზე დატრიალდა. ზემოთ, ორ ადგილას, სადაც ყინული გასკდა, სინათლე სვეტებად ეცემოდა, სხვაგან კი წყალი მუქი იყო, რადგან მზისგან თოვლის სქელი ფენა იცავდა.

ფსკერს ორივე ფეხი ჰკრა და დინებას ქვევით გაჰყვა. ვერაფერს ხედავდა, მკლავებს ალალბედზე ხან მარჯვნივ უსვამდა, ხან მარცხნივ და ბრმად მიცურავდა. ფილტვები ეწვოდა და ჰაერს ითხოვდა. მაგრამ პასუხად სისწრაფეს უმატა და ფეხები უფრო მძლავრად აამუშავა, სხეულსაც უფრო სწრაფად ამოძრავებდა. მალე არჩევანი აღარ დარჩებოდა: ან უკან უნდა დაეხია, ან მომკვდარიყო. გააცნობიერა, რომ მეორე შანსი აღარ მიეცემოდა, ცარიელი ხელებით დაბრუნება კი მისთვის სასიკვდილო განაჩენს ნიშნავდა, და მკლავები კიდევ ერთხელ მოუსვა მძლავრად.

ხელი რაღაც რბილს გამოედო. მუცელს ჰგავდა. ლევი მიხვდა, რომ ეს ბროდსკი იყო, რომელიც დინებას ყინულისთვის ქვემოდან მიეკრა. არ ირხეოდა, მაგრამ უეცრად, თითქოს ლევის შეხებამ სიცოცხლის სურვილი შთაბერაო, ფართხალი და ხელების ქნევა დაიწყო. ლევმა მის ქვემოთ შეცურა და ხელი კისერზე მოხვია. ფილტვები დახეთქაზე ჰქონდა. სასწრაფოდ ზედაპირზე უნდა ამოსულიყო და ჰაერი ჩაეყლაპა. ცალი ხელი ეჭვმიტანილისთვის კისერზე შემოეჭდო, მეორით თავზემოთ ყინულის გატეხას ცდილობდა, მაგრამ მუშტი უღონოდ დასრიალებდა გლუვ ზედაპირზე.

ბროდსკიმ წინააღმდეგობა შეწყვიტა, ძალა მოიკრიბა და იმ იმპულსების ჩახშობას შეუდგა, რომლებიც თავის გადარჩენისკენ უბიძგებდა, პირი ფართოდ გააღო და მოახლოებული სიკვდილის მოლოდინში ყინულოვანი წყლით ფილტვების გავსებას ცდილობდა.

ლევი ვეღარაფერს ხედავდა, დინების აღმა მზის სხივების სვეტების გარდა. ფეხებს დაუზოგავად ამუშავებდა და ბროდსკისთან ერთად ყინულში გაჩენილი ხვრელისკენ მიიწევდა.

ტყვეს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა - გონება დაეკარგა. ლევს თავბრუ ეხვეოდა, იგუდებოდა. ერთი მძლავრი მოსმაც და სახეზე მზის სხივები იგრძნო. ზევით აცურდა და ორივე მამაკაცმა წყლიდან ამოყვინთა.

ლევმა პირი ფართოდ გააღო. ხარბად ყლაპავდა ჰაერს და ვეღარ ძღებოდა. ბროდსკი აღარ სუნთქავდა. ლევმა იგი ნაპირისკენ წაიყვანა, ყინულს ამტვრევდა და ნატეხებს აქეთ-იქით სწევდა. მალე ფეხებქვეშ ფსკერი იგრძნო. ნაპირზე გაჭირვებით აფოფხდა და ტყვეც აათრია.

სიცივისგან ორივენი გალურჯებულიყვნენ. ლევს აკანკალებდა, ეჭვმიტანილი კი, პირიქით, ოდნავაც არ ინძრეოდა. ლევმა იგი მუხლზე მუცლით დაიწვინა, გადაზნიქა, პირი გაუღო და ზურგზე დააწვა, შემდეგ გადმოაბრუნა და პირში ჰაერი ჩაჰბერა.

- მიდი! მიდი!

ბროდსკის ხველა აუვარდა და გონს მოეგო. იგი ორად მოიკეცა. პირიდან კუჭში დაგროვილი ყინულივით ცივი წყალი წამოუვიდა. ლევს სულის მოთქმისა და შვებით ამოსუნთქვის დროც კი არ ჰქონდა. მათ მხოლოდ რამდენიმე წუთი რჩებოდათ, სანამ გადაცივებისგან დაიხოცებოდნენ. ლევი წამოდგა და შორიახლოს თავისი სამი ოფიცერი დაინახა.

მათ დაინახეს, როგორ გაუჩინარდა ლევი წყალქვეშ და მიხვდნენ, რომ მათი მეთაური თავიდანვე მართალი იყო. წამში ძალთა თანაფარდობა შეიცვალა, სასწორი ვასილისგან კვლავ ლევისკენ გადაიხარა. ახლა მათი უკმაყოფილება იმით, თუ როგორ მოექცა იგი ფიოდორს, აღარაფერს ნიშნავდა. ერთადერთი მიზეზი, რის გამოც სახე გამკაცრებოდათ ის იყო, რომ, მათი აზრით, ოპერაცია უშედეგოდ დასრულდებოდა და ლევს თანამდებობიდან მოხსნიდნენ.

მაგრამ ასე არ მოხდა და ახლა მისი მდგომარეობა უწინდელზე უფრო მყარი ჩანდა. სამივენი მისკენ გაცვივდნენ, ვინაიდან მათი სიცოცხლე სწორედ ამაზე იყო დამოკიდებული.

ღონემიხდილი ლევი თოვლზე, ტყვის გვერდით დაეცა. ბროდსკის თვალები ეხუჭებოდა - იგი კვლავ ბურანში წავიდა. ლევმა სილა გააწნა. დაძინება მისთვის სიკვდილს ნიშნავდა. ლევმა ერთხელაც გაარტყა. ეჭვმიტანილმა თვალის გახელა დააპირა, მაგრამ ქუთუთოები კვლავ დაუშვა. ლევმა სახეში კვლავ გაულაწუნა, ერთხელ, მეორედ, მესამედ. დრო იწურებოდა. იგი წამოდგა და თავისიანებს გასძახა: - მოუჩქარეთ!

ხმა ჩაუწყდა. სიცივემ მის ძვალ-რბილშიც შეაღწია. ქიმიურმა ჯავშანმა დნობა დაიწყო.

ნარკოტიკის ზემოქმედება დასასრულს მიუახლოვდა. ენით აუწერელი დაღლილობა იგრძნო. ამ დროს ოფიცრებმა მოირბინეს.

- ფარაჯები გაიხადეთ და კოცონი დაანთეთ.

სამივე დაემორჩილა. ერთი ფარაჯა მას მოახურეს, ორში კი ბროდსკი გაახვიეს, მაგრამ ეს არ კმაროდა. კოცონი სჭირდებოდათ. სამივე ოფიცერი შეშის ძებნას შეუდგა. შორიახლოს ღობის მსგავსი მოჩანდა. ორი მათგანი იქით გაიქცა, მესამემ კი თავისი უხეში ბამბის მაისური წვრილ ზოლებად დაგლიჯა. ლევი კვლავ ტყვეს დარაჯობდა, შიგადაშიგ სახეში ხელს ულაწუნებდა და დაძინების საშუალებას არ აძლევდა, მაგრამ უკვე თვითონაც ეძინებოდა.

საოცრად სჭირდებოდა დასვენება. თვალები ეხუჭებოდა.

- იჩქარეთ!

დაყვირება უნდოდა, მაგრამ მხოლოდ ჩურჩული შეეძლო.

ამასობაში ოფიცრებმა ღობიდან ამძვრალი თამასები მოიტანეს, მიწის პატარა ნაკვეთი თოვლისგან გაწმინდეს და იქ დაყარეს. ქვეშ პერანგიდან მოხეული ქსოვილის ნაჭრები ამოუდეს. შეშას პირამიდის ფორმა მისცეს. ერთ-ერთმა მათგანმა სანთებელა ამოიღო და ნაჭრებზე ბენზინი დაასხა. გაისმა კაჟის ტკაცუნი. ქსოვილს ალი მოედო და პირამიდის ქვეშიდან კვამლი წამოვიდა, მაგრამ დანესტიანებულ თამასებს ცეცხლი არ ეკიდებოდა.

მხოლოდ სპირალივით დახვეული კვამლი მიემართებოდა ზევით. კოცონის დანთებას საშველი არ დაადგა, ლევი მისგან წამოსულ სითბოს ვერ გრძნობდა. შეშის გაშრობას დრო სჭირდებოდა.

მან ქურთუკს სარჩული მოახია და ცეცხლს შეუნთო. თუ კოცონი საბოლოოდ ჩაქრებოდა, ორივენი დაიღუპებოდნენ.

სამ ოფიცერს ობოლი სანთებელადა შერჩენოდა. ერთმა საგულდაგულოდ დაშალა იგი და დარჩენილი ბენზინი მბჟუტავ შეშას დაასხა. ცე-

ცხლის ენები ზემოთ აიჭრა და ხარბად დაეწაფა სიგარეტის დაჭმუჭნილ კოლოფს. ჩამუხლული ოფიცრები ფრთხილად უბერავდნენ სულს ცეცხლს. ბოლოს შეშა აალდა და კოცონიც გაჩაოდა.

ანატოლიმ თვალი გაახილა და მის წინ მოცეკვავე ცეცხლის ენებს შეხედა. კოცონში ჩაყრილი შეშა ტკაცუნობდა. მართალია, სიკვდილი უნდოდა, ანატოლის სხეული მაინც ხარბად ისრუტავდა ცეცხლმოკიდებული შეშიდან წამოსულ სითბოს. როდესაც კოცონი მთელი ძალით აგიზგიზდა, ნაკვერჩხალი კი ქარვისფრად აელვარდა, გაოცებულმა აღმოაჩინა, რომ სიცოცხლე კვლავაც გრძელდებოდა.

ლევი იჯდა და ცეცხლის ალს თვალს არ აშორებდა. ტანსაცმელზე ორთქლი ბოლქვებად ასდიოდა. ორი ოფიცერი, მისი კეთილგანწყობის დაბრუნების მიზნით, შეშის ახალი პარტიის მოსატანად გაემართა. მესამე ცეცხლის სადარაჯოდ დარჩა. როდესაც ცხადი გახდა, რომ კოცონი აღარ ჩაქრებოდა, ლევმა ერთ-ერთ ხელქვეითს ქოხში დაბრუნება უბრძანა, რათა ყველაფერი გაემზადებინა მოსკოვში დასაბრუნებლად, შემდეგ ტყვეს მიუბრუნდა და ჰკითხა: – სიარულს შეძლებთ?

- შვილთან ერთად ხშირად დავდიოდი სათევზაოდ. ღამით კოცონს ვანთებდით და გარშემო შემოვუსხდებოდით ხოლმე. მას თევზაობა გულზე არ ეხატებოდა, სამაგიეროდ, ასე მგონია, კოცონთან ჯდომა ძალიან უყვარდა. რომ არ მომკვდარიყო, ახლა დაახლოებით თქვენი ასაკის იქნებოდა.

ლევმა არაფერი უპასუხა. ტყვემ განაგრძო: - თუ წინააღმდეგი არა ხართ, ცოტა ხანს კიდევ დავრჩეთ.

ლევმა კოცონს შეშა დაამატა. ცოტა ხანს მოცდა ნამდვილად შეეძლოთ.

***

სახლისკენ მიმავალ გზაზე ყველა დუმდა. მათ თითქმის ორი საათი მოანდომეს იმ მანძილის გავლას, რომელიც ლევმა დილით ნახევარ საათში დასძლია. ამფეტამინის მოქმედების შესუსტებასთან ერთად ყოველი ნაბიჯის გადადგმა სულ უფრო უჭირდა. ახლა მხოლოდ საკუთარი წარმატების გაცნობიერება მატებდა მხნეობას. იგი მოსკოვში გამარჯვებული ბრუნდებოდა, უფროსებისა და ხელქვეითების თვალში ნდობა აღიდგინა. კრახის ზღვარზე იდგა, მაგრამ გაუძლო და კვლავ მწვერვალზე ავიდა.

ქოხს რომ მიუახლოვდნენ, ანატოლი იმაზე ფიქრობდა, ნეტავ როგორ მომაგნესო. შემდეგ მოისაზრა, ალბათ, ზინასთან წამომცდა მიხაილთან ჩემი მეგობრობის შესახებო, მან კი უღალატა, მაგრამ სიძულვილს არ გრძნობდა, მიხაილი ხომ მხოლოდ საკუთარი სიცოცხლის გადარჩენას ცდილობდა. ამის გულისთვის ვინ გაკიცხავდა. ასე იყო თუ ისე, ამას ახლა მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. სამაგიეროდ, ყველაფერი უნდა ეღონა, რათა ეს ხალხი მიხაილის უდანაშაულობაში დაერწმუნებინა. იგი იმ ოფიცერს მიუბრუნდა, რომელმაც სიკვდილს გადაარჩინა და დააპატიმრა.

-- როდესაც წუხელ აქ ჩამოვედი, მიხაილმა და მისმა ცოლმა მითხრეს, რომ წავსულიყავი. არ უნდოდათ ჩემთან საქმის დაჭერა. დამემუქრნენ, ხელისუფლებას შევატყობინებთო, ამიტომ ავდექი და ფარდულის საკეტი გავტეხე. მათ კი ეგონათ, რომ წავედი. ამ ოჯახს ცუდი არაფერი ჩაუდენია. კარგი, მშრომელი ადამიანები არიან.

ლევმა იმის წარმოდგენა სცადა, რა მოხდა სინამდვილეში. მოღალატეს მეგობრის მხარდაჭერის იმედი ჰქონდა, მაგრამ უარი მიიღო. გაქცევის გეგმა კრიტიკას ვერ უძლებდა.

ყოველ შემთხვევაში, ნამდვილი ჯაშუში ასე არ მოიქცეოდა.

- თქვენი მეგობრები არ მაინტერესებს.

ისინი სახლის პერიმეტრს მიუახლოვდნენ. პირდაპირ, ფარდულის შესასვლელთან, მიხაილ ზინოვიევი, მისი ცოლი და ორი ქალიშვილი მუხლებზე დაეყენებინათ. ხელები ზურგს უკან გაეკრათ. სიცივისა და ქარისგან იყინებოდნენ. აშკარა იყო, ამ მდგომარეობაში დიდხანს იდგნენ. მიხაილს სახეზე ცემის კვალი ეტყობოდა. გატეხილი ცხვირიდან სისხლი სდიოდა, ყბას არაბუნებრივი ფორმა მიეღო. ისიც გატეხილი ჰქონდა. ოფიცრები გარს უსწორმასწორო წრედ შემორტყმოდნენ. ტყვეების ზურგს უკან ვასილი იდგა. ლევი შეჩერდა და ის იყო, რაღაცის თქმა დააპირა, რომ ვასილიმ გულზე დაკრეფილი ხელები ჩამოუშვა. მარჯვენაში პისტოლეტი ეჭირა.

მან იგი მაღლა ასწია და ზინოვიევს კეფაში დაახალა. ეზოს გასროლის ექომ გადაუარა.

მამაკაცი თოვლში პირქვე ჩაემხო. მისი ცოლი და ქალიშვილები არც კი შერხეულან - შეძრწუნებულები დასცქეროდნენ მის ცხედარს.

მომხდარს მხოლოდ ბროდსკი გამოეხმაურა - არაადამიანური ხმით დაიღრიალა, რომელშიც მწუხარება და მრისხანება ერთმანეთში არეუ-

ლიყო. ვასილიმ ნაბიჯი გვერდზე გადადგა და პისტოლეტი ახლა ზინოვიევის ცოლს დაუმიზნა კეფაში. ლევმა ხელი ასწია.

- დაუშვი იარაღი! გიბრძანებ.

- ეს ადამიანები მოღალატეები არიან. ჭკუა უნდა ვასწავლოთ.

ვასილიმ სასხლეტს თითი გამოჰკრა. მისი მარჯვენა ხელი ოდნავ შეხტა. გაისმა მეორე გასროლა და ქალი თოვლში ქმრის გვერდით დაეცა. ბროდსკიმ ვასილისკენ გაიწია, მაგრამ ორმა ოფიცერმა მაშინვე მიწაზე დასცა. ვასილიმ კვლავ განზე გადგა ნაბიჯი და იარაღის ლულა ახლა უფროს ქალიშვილს მიაბჯინა კეფაზე. გოგონას სიცივისგან ცხვირი გასწითლებოდა. იგი უსიტყვოდ მისჩერებოდა დედის ცხედარს, იცოდა, რომ მშობლების გვერდით მოკვდებოდა.

ლევმა პისტოლეტი ამოიღო, თავისი მოადგილისკენ გაიშვირა და დაუყვირა: - დაუშვი იარაღი!

მოულოდნელად დაღლილობა უკვალოდ გაუქრა, თუმცა ამაში ნარკოტიკს ხელი არ ერია.

ლევს სისხლში ადრენალინი მოუზღვავდა, რასაც გააფთრება მოჰყვა. ხელი ოდნავაც არ უკანკალებდა. მან ცალი თვალი მოჭუტა და საგულდაგულოდ დაუმიზნა. ასეთი მანძილიდან ნამდვილად არ ააცილებდა. თუ ახლავე გაისროდა, გოგონა გადარჩებოდა. ორივე გოგონა გადარჩებოდა - აღარავის მოკლავდნენ. მან ანგარიშმიუცემლად გაივლო თავში ეს სიტყვა: მოკლავდნენ!

ლევმა ჩახმახი შეაყენა.

ვასილიმ შეცდომა დაუშვა კიევთან დაკავშირებით. ბროდსკის ყალბმა წერილმა იგი არასწორ გზაზე დააყენა. მან დაარწმუნა სხვები, რომ კიმოვოში წასვლა დროის დაკარგვა იქნებოდა, აშკარად მიანიშნა, რომ დღევანდელი ოპერაციის მარცხით დასრულების შემთხვევაში მათი მეთაური გახდებოდა. ყველა ეს დასანანი შეცდომა ლევის წერილობით პატაკშიც მოხვდებოდა. ვასილი გრძნობდა, რომ ყველანი მას შესცქეროდნენ. მის ავტორიტეტს დამამცირებელი დარტყმა მიაყენეს. მისი ცნობიერების ერთ ნაწილს აინტერესებდა, გაბედავდა თუ არა ლევი მის მოკვლას. ამას მისთვის უსერიოზულესი შედეგი მოჰყვებოდა. თუმცა ვასილი არც ასეთი სულელი იყო. გულის სიღრმეში საკუთარ სიმხდალესაც გრძნობდა და ლევის სიმამაცესაც. მან პისტოლეტი დაუშვა, კმაყოფილი სახე მიიღო და ბავშვებისკენ ხელი გაიშვირა.

– გოგონებმა ჭკუა ისწავლეს. იქნებ ახლა მშობლებზე უკეთეს მოქალაქეებად ჩამოყალიბდნენ.

ლევმა ორ გვამს ჩაუარა, სისხლიან თოვლზე ჩექმების კვალი დატოვა და მოადგილეს მიუახლოვდა. უეცრად ხელი მოიქნია და პისტოლეტის ტარი ვასილის საფეთქელში ჩაარტყა.

ვასილი უკან გადახტა, მოიკუნტა და ორივე ხელი თავზე შემოიჭდო, თითებს შორის, იქ, სადაც კანი გაიჭრა, სისხლმა გამოაღწია. ის იყო, წელში გასწორდა, რომ ლევმა საფეთქელზე იარაღი მიადო. ყველა მათ მიშტერებოდა, იმ ორი გოგონას გარდა, რომლებიც სიკვდილისთვის ემზადებოდნენ.

ვასილიმ ნელა გაუსწორა თვალი მეთაურს. ყბები უკანკალებდა. ეშინოდა სიკვდილის - მას, ვისთვისაც სხვების დახოცვა კარგა ხანია, ჩვეულებრივ ამბად ქცეულიყო. ლევმა თითი სასხლეტს დაადო, მაგრამ გასროლა ვერ შეძლო, ცივსისხლიანი არ იყო. ამ არარაობის ჯალათად ვერ გადაიქცეოდა. დაე, სახელმწიფოს დაესაჯა იგი. სჯეროდა თავისი ქვეყნის მართლმსაჯულების. მან პისტოლეტი ბუდეში ჩააბრუნა.

- აქ დარჩები და მილიციის მოსვლას დაელოდები. აუხსნი, რაც მოხდა, და ყოველმხრივ დაეხმარები, მოსკოვში კი შენით დაბრუნდები.

ლევმა გოგონები წამოაყენა და სახლში შეიყვანა.

ანატოლი ბროდსკის სატვირთო მანქანაში აყვანას სამი აგენტის დახმარება დასჭირდა.

ერთიანად მოდუნებულიყო, სიცოცხლის ნასახი აღარ ეტყობოდა. რაღაცას ბურტყუნებდა.

მწუხარებისგან გაოგნებული, ყურადღებას არ აქცევდა ოფიცრებს, რომლებსაც სულ არ ეპიტნავებოდათ ამხელა გზაზე მისი ტირილის მოსმენა და გაჩუმდიო, უბრძანეს.

***

შინ შესული გოგონები ხმას არ იღებდნენ. როგორც ჩანს, ჯერაც ვერ გაეცნობიერებინათ, რომ ეზოში მათი მშობლების გვამები ეყარა. თითქოს ელოდნენ, რომ წუთი წუთზე მამა შემოვიდოდა და საუზმეს გაუმზადებდა, ან დედა დაბრუნდებოდა ბოსტნიდან. რეალობას ვეღარ აღიქვამდნენ. მათთვის მთელი სამყარო მხოლოდ მშობლებს უკავშირდებოდა და ვერ წარმოედგინათ, რომ მათ გარეშე სიცოცხლე კვლავაც იარსებებდა.

ლევმა ჰკითხა, ჰყავდათ თუ არა ვინმე ნათესავი. გოგონები არაფერს პასუხობდნენ.

უფროსს უთხრა, რომ ნივთები შეეგროვებინათ, რადგან მოსკოვში მიემგზავრებოდნენ, მაგრამ ბავშვებმა თითქოს ვერაფერი გაიგეს. ლევი საძინებელში შევიდა და თვითონ შეუდგა მათი პირადი ნივთებისა და ტანსაცმლის შეგროვებას. უეცრად ხელები აუკანკალდა, საქმეს თავი მიანება, საწოლზე ჩამოჯდა და თავის ჩექმებს დააცქერდა. შემდეგ ქუსლები ერთმანეთს მიარტყა და იატაკზე რგოლებად ჩამოცვენილ, სისხლით გაჟღენთილ თოვლს მიაშტერდა.

***

გზის პირას მდგარმა ვასილიმ, რომელიც უკანასკნელ სიგარეტს ეწეოდა, სატვირთო მანქანას თვალი გააყოლა. უკანა ფანჯრიდან ორი გოგონა მოჩანდა. ისინი წინ ისხდნენ, ლევის გვერდით, სადაც თვითონ უნდა მჯდარიყო. მანქანამ მოუხვია და თვალს მიეფარა. ვასილიმ მიიხედ-მოიხედა. ახლომდებარე სახლების ფანჯრებიდან მეზობლები იყურებოდნენ. თუმცა ამჯერად დამალვას არ ცდილობდნენ. ვასილის უხაროდა, ავტომატი რომ დაუტოვეს. იგი ქოხში დაბრუნდა და ალმაცერად გახედა თოვლში დაყრილ ორ გვამს. შემდეგ სამზარეულოში შევიდა, წყალი აადუღა და ჩაი მოიმზადა. გემო რომ გაუსინჯა, მაგარი აღმოჩნდა და მისი დატკბობა მოუნდა. სახლში შაქრით სავსე პატარა კოლფფს მიაგნო, როგორც ჩანს, ოჯახის ერთი თვის მარაგს. თითქმის მთლიანად ჩაიყარა ჭიქაში. მეტისმეტად ბლანტი, მსუყე და ტკბილი მასა გამოვიდა. ერთი ყლუპი მოსვა და საოცარი დაღლილობა იგრძნო. ვასილიმ ფარაჯა და ჩექმები გაიხადა, საძინებელში შევიდა, საწოლს გადასაფარებელი გადახადა და დაწვა. გული დასწყდა, რომ ძილს ვერაფერს უბრძანებდა, თორემ ისეთ სიზმარს აირჩევდა, რომელშიც მისი შურისძიება იქნებოდა აღწერილი.

მოსკოვი 16 თებერვალი მართალია, ლუბიანკაზე, МГБ-ს შტაბბინაში, ლევი მთელი ხუთი წელი მუშაობდა, თავს მაინც არაკომფორტულად გრძნობდა. აქ იშვიათად თუ გაიმართებოდა გულითადი საუბარი.

ყველაფერზე თავშეკავებულად რეაგირებდნენ. მათი საქმიანობის გათვალისწინებით, ამაში უცნაური არაფერი იყო, მაგრამ, ლევის აზრით, თვითონ შენობა ახდენდა დამთრგუნველ შთაბეჭდილებას, თითქოს შიში თავიდანვე ჩაედოთ ამ კონსტრუქციაში. აცნობიერებდა, რომ მის თეორი-

ას სინამდვილესთან საერთო არაფერი ჰქონდა - იცოდა, რომ არქიტექტორს მსგავსი განზრახვა არ ჰქონია. შენობა რევოლუციამდე აშენდა. თავდაპირველად მასში სადაზღვევო კომპანია მუშაობდა, ბოლშევიკების საიდუმლო სამსახური კი აქ გაცილებით გვიან გადმოვიდა.

ამის მიუხედავად, ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ შემთხვევით აირჩიეს სწორედ ეს ნაგებობა, რომლის პროპორციებიც ადამიანს აშფოთებდა - არც მაღალი და არც დაბალი, არც განიერი და არც ვიწრო, არამედ მოუხეშავად გასაშუალოებული. ფასადი ყურებდაცქვეტილი სიფხიზლის შთაბეჭდილებას ტოვებდა: ფანჯრების დაუსრულებელი მწკრივები სახურავამდე ადიოდა, საათამდე, რომელიც ქალაქს უზარმაზარი შუშის თვალივით გადმოჰყურებდა. შენობას ირგვლივ თითქოს უხილავი ხაზი გასდევდა და გამვლელები ამ წარმოსახვით პერიმეტრს ახლოს არ ეკარებოდნენ, ეშინოდათ - თუ ამ მიჯნას გადავაბიჯებთ, ბოროტი ძალა შიგნით შეგვათრევსო. მას მხოლოდ მსჯავრდადებულები და თანამშრომლები კვეთდნენ. ის, ვინც ამ კედლებს მიღმა აღმოჩნდებოდა, საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცების ყოველგვარ შესაძლებლობას კარგავდა. ეს იყო დანაშაულის დამდგენი კონვეიერი. მართალია, თავდაპირველად, ლუბიანკის მშენებლობისას, მსგავსი არაფერი ჩაუფიქრებიათ, დროთა განმავლობაში იქ შიში დასახლდა და სადაზღვევო კომპანიის ყოფილი შენობა საკუთარ სახლად აქცია.

შესასვლელში ლევმა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა წარადგინა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამ შენობაში შესვლაც შეეძლო და იქიდან გამოსვლაც. ხშირად ის მამაკაცები და ქალები, რომლებიც აქ ამგვარი საბუთის გარეშე შემოდიოდნენ, აღარავის უნახავს. სისტემას თავისუფლად შეეძლო, ისინი პირდაპირ ან გულაგში გაეგზავნა, ან მეზობლად, ვარსონოფიევის შესახვევში მდებარე შენობაში. ისიც სახელმწიფო უშიშროებას ეკუთვნოდა. აქ დაცერებული იატაკი, ხისპანელებიანი კედლები სროლის ხმის ჩასახშობად და სისხლის კვალის ჩამოსარეცხი შლანგები იყო. ლევმა არ იცოდა, რა რაოდენობის ხალხს ხვრეტდნენ ამ დაწესებულებაში, მაგრამ ყური მოეკრა, რომ მათი რიცხვი დღეში ხშირად რამდენიმე ასეულს აღწევდა. სასჯელაღსრულების ასეთი მასშტაბიდან გამომდინარე, პრაქტიკული საკითხები, მაგალითად, ცხედრების სწრაფად და მარტივად თავიდან მოცილება, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა.

მთავარი დერეფნის გავლისას ლევი წამით იმაზე დაფიქრდა, თუ რას განიცდიდა ადამიანი, რომელიც სარდაფში მიჰყავდათ; როდესაც მას აპე-

ლაციის უფლება არ ჰქონდა და ვერც დახმარებისთვის მიმართავდა ვინმეს. სურვილის შემთხვევაში, სასამართლო სისტემისთვის გვერდის ავლა თავისუფლად შეიძლებოდა. ლევს სმენოდა ტყვეების შესახებ, რომლებსაც საკნებში რამდენიმე კვირის განმავლობაში არ აკითხავდნენ; ექიმების შესახებ, რომელთაც მხოლოდ ტკივილის შეგრძნების სახეობათა დადგენა ევალებოდათ. საკუთარი თავი იმაზე ფიქრს მიაჩვია, რომ ეს ყველაფერი არა მათთვის, არა სიამოვნებისთვის არსებობდა, არამედ უმნიშვნელოვანესი მიზნის მისაღწევად - ნათელი მომავლისთვის. ისინი მხოლოდ დასაშინებლად მოეფიქრებინათ. ტერორი აუცილებელი იყო. რევოლუცია სწორედ ტერორმა დაიცვა. უმისოდ ლენინი ვერც გაიმარჯვებდა და ვერც ძალაუფლებას შეინარჩუნებდა. უმისოდ სტალინსაც ჩამოაგდებდნენ. აბა, რატომ ავრცელებდნენ МГБ-ს ოპერმუშაკები განზრახ საშინელ ჭორებს ამ შენობის შესახებ, რომლებსაც შემდეგ ჩურჩულით იმეორებდნენ მეტროსა და ტრამვაიში? ეს სტრატეგიული მიზნით კეთდებოდა, ისევე, როგორც ახალი ვირუსის გავრცელება. საზოგადოებაში შიშს შეგნებულად თესავდნენ და ზრდიდნენ. შიში მათი სამუშაოს ნაწილი იყო, სათანადო დონეზე მის შესანარჩუნებლად კი განსაზღვრული რაოდენობის ადამიანური მსხვერპლით უნდა გაენოყიერებინათ.

რასაკვირველია, ლუბიანკა ერთადერთი ადგილი არ იყო, რომლისაც ეშინოდათ. არსებობდა კიდევ ეგრეთ წოდებული ბუტირკა - ციხე მაღალი კოშკურებით, ბინძური ფლიგელებითა და გადატენილი საკნებით, სადაც პატიმრები ერთმანეთს ასანთზე ეთამაშებოდნენ შრომით ბანაკებში გაგზავნის მოლოდინში; ანდა ლეფორტოვო, სადაც იმ დამნაშავეებს ათავსებდნენ, რომელთა საქმეების გამოძიებაც ჯერ არ დასრულებულიყო. იქიდან გამოსული ყვირილის ხმა მეზობელ ქუჩებშიც კი ისმოდა. მაგრამ ლევი ხვდებოდა, რომ ლუბიანკას ადამიანთა ცნობიერებაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა, ადგილი, რომელიც ანტისაბჭოთა აგიტაციაში, კონტრრევოლუციურ საქმიანობასა და ჯაშუშობაში დადანაშაულებულ პირთა დაკითხვასა და წამებასთან ასოცირდებოდა. რადა მაინცდამაინც ამ კატეგორიის პატიმრები უნერგავდნენ ადამიანებს შიშს? იმიტომ, რომ, როგორც უნდა გენუგეშებინათ საკუთარი თავი იმ აზრით, რომ არასდროს ჩაიდენდით ქურდობას, გაუპატიურებას ან მკვლელობას, არავინ იყო დაზღვეული ანტისაბჭოთა აგიტაციისთვის, კონტრრევოლუციური საქმიანობისა და ჯაშუშობისთვის ბრალის წაყენებისგან. თუმცა არც ლევმა და არც ვინმე სხვამ ზუსტად არ იცოდა, რას ნიშნავდა ზემოთ ჩა-

მოთვლილი სამი დანაშაული. სისხლის სამართლის კოდექსიდან, რომელიც ას ორმოცი მუხლისგან შედგებოდა, ლევი მხოლოდ ერთით, უფრო სწორად, მისი ნაწილით ხელმძღვანელობდა. მასში პოლიტიკური პატიმრის განსაზღვრება იყო მოცემული: პირი, რომლის საქმიანობაც საბჭოთა ხელისუფლების დამხობისკენ, დასუსტებისა და მისთვის ძირის გამოთხრისკენაა მიმართული.

მეტ-ნაკლებად სულ ეს იყო: სიტყვების წყება, საკმარისად მოქნილი საიმისოდ, რომ როგორც პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელების, ასევე ბალეტის მოცეკვავეების, მუსიკოსებისა და პენსიაზე გასული მეწაღეების წინააღმდეგაც გამოეყენებინათ. ვინც ლუბიანკაში მუშაობდა, ვინც ამ შიშის მანქანის მუშა მდგომარეობაში ყოფნას უზრუნველყოფდა, ისინიც კი არ იყვნენ დარწმუნებული იმაში, რომ სისტემა, რომელსაც ემსახურებოდნენ და მხარს უჭერდნენ, ერთ მშვენიერ დღეს მათაც არ გადაყლაპავდა.

მიუხედავად იმისა, რომ ლევი უკვე შენობაში იმყოფებოდა, არც გრძელი შალის ფარაჯა გაიხადა და არც ტყავის ხელთათმანი გაიძრო. აცივებდა. თუ შეჩერდებოდა, იატაკი მაშინვე აქეთ-იქით ირწეოდა. ხანმოკლე, რამდენიმეწამიანი თავბრუსხვევაც აწუხებდა. გრძნობდა, საცაა გონებას დაკარგავდა. ორი დღე ისე გავიდა, პირში ლუკმა არ ჩაედო, მაგრამ ჭამაზე გაფიქრებაც კი ცუდად ხდიდა. მაინც ჯიუტად არ უტყდებოდა საკუთარ თავს, რომ ავად იყო.

მხოლოდ ცოტათი გავცივდი და დავიღალეო, ამბობდა გულში. მისი აზრით, ნარკოტიკული შიმშილის დასაძლევად და ძალის აღსადგენად მხოლოდ კარგად გამოძინება სჭირდებოდა, მაგრამ ახლა დასვენების შესაძლებლობა არ ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, დღეს მაინც, როდესაც ანატოლი ბროდსკი პირველად უნდა დაეკითხათ.

სხვათა შორის, დაკითხვა მისი კომპეტენცია არ იყო. МГБ-ს თავისი სპეციალისტები ჰყავდა, რომლებსაც მხოლოდ ეჭვმიტანილთა დაკითხვა ევალებოდათ. ისინი ერთი საკნიდან მეორეში გადადიოდნენ, თავი ამაყად ეჭირათ და პატიმრებისგან აღიარებას პროფესიული გულგრილობით აღწევდნენ. თანამშრომელთა უმრავლესობის მსგავსად, მათაც პრიმიტიული მოტივაცია ამოძრავებდათ: პრემია კარგად შესრულებული სამუშაოს გამო. ეს მაშინ ხდებოდა, როცა ეჭვმიტანილი სწრაფად აწერდა ხელს აღიარებით ჩვენებას და შემდგომში აღარ გადათქვამდა. ლევმა ბევრი არაფერი იცოდა მათი მეთოდების შესახებ. პირადად არც რომელიმე

ასეთ სპეციალისტს იცნობდა. ისინი ერთგვარი დახურული კლანის წევრები იყვნენ, გუნდურად მუშაობდნენ, ხშირად ეჭვმიტანილებსაც ცვლიდნენ, რათა გაჯიუტებულთა წინააღმდეგობა მოულოდნელი მხრიდან თავდასხმით გაეტეხათ. ამ შეუბრალებელ ადამიანებს არც მჭევრმეტყველება აკლდათ და არც სხვების კეთილგანწყობის მოპოვება უჭირდათ. ამ თვისებებს მოხერხებულად იყენებდნენ საქმიანობაში. სამსახურიდან თავისუფალ დროს ეს მამაკაცები და ქალები ერთად ჭამდნენ, ერთად სეირნობდნენ, ერთმანეთს გამოცდილებასა და დაკითხვის მეთოდებს უზიარებდნენ. ისინი სხვა თანამშრომლებისგან თითქმის არაფრით გამოირჩეოდნენ, მაგრამ ლევი როგორდაც ადვილად ახერხებდა მასაში ასეთი ადამიანების გამორჩევას. ოპერაციებს უმეტესად სარდაფში ატარებდნენ, სადაც გარემოს ისეთ ელემენტებსაც აკონტროლებდნენ, როგორიც სითბო ან სინათლეა. და პირიქით, როდესაც ლევი გამომძიებლად მუშაობდა, დროის დიდ ნაწილს ზევით ან გარეთ ატარებდა. სარდაფი ის სამყარო იყო, სადაც იშვიათად ჩადიოდა, მის არსებობაზე იძულებით ხუჭავდა თვალს და ამჯობინებდა, რომ იგი ფეხებქვეშ ეგრძნო.

მცირე ხნის ლოდინის შემდეგ ლევი იხმეს. ფეხაკანკალებული შევიდა მაიორ კუზმინის კაბინეტში. ოთახში შემთხვევით ნივთს ვერსად წააწყდებოდით: ყველაფერი საგულდაგულოდ იყო შერჩეულ-განთავსებული. კედლებზე ჩარჩოში ჩასმული შავ-თეთრი ფოტოსურათები ეკიდა, მათ შორის ისიც, რომელზეც სტალინი მაიორ კუზმინს ხელს ართმევდა - იგი ბელადის სამოცდაათი წლის აღსანიშნავ ზეიმზე გადაეღოთ. სურათების გარდა სხვადასხვა ეპოქის ამსახველი პლაკატების კოლექციაც მოჩანდა. ლევის აზრით, ასეთ ფართო დროით დიაპაზონს მნახველისთვის უნდა შთაეგონებინა, რომ მაიორი კუზმინი ყოველთვის, ჯერ კიდევ ოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში ჩატარებული წმენდიდან მოყოლებული, ამ კაბინეტში მუშაობდა. სინამდვილეში კი ასე არ იყო და ვერც იქნებოდა: მაშინ კუზმინი სამხედრო დაზვერვაში მუშაობდა. პირველ რიგში, თვალში ის პლაკატი მოგხვდებოდათ, რომელზეც მსუქანი თეთრი კურდღელი ეხატა: მიირთვით მეტი კურდღლის ხორცი! მეორეზე სამი დაკუნთული წითელი ფიგურა ვიღაც წვერგაუპარსავ პირქუშ ტიპებს წითელი ურიოებით თავს უმსხვრევდნენ: ვებრძოლოთ ზარმაც მუშებს! მომდევნოზე სამი გაღიმებული ქალი ფაბრიკისკენ მიიჩქაროდა: გვანდეთ თქვენი დანაზოგი! პირველ პირში, ცხადია, ეს ქალები კი არა, სახელმწიფო შემნახველი ბანკი იგულისხმებოდა. აქვე იყო პლაკატი, რომელზეც კოსტიუმში გამო-

წყობილ მსუქან, ცილინდრიან კაცს იღლიებში ფულით გატენილი ორი პორტფელი ამოეჩარა: კაპიტალისტი ჯამბაზი! რამდენიმე პლაკატზე სქემატურად გამოესახათ დოკები, გემთსაშენები, სახეგაბადრული თუ გაბრაზებული მუშები და ორთქლმავლების არმადა, რომელთათვისაც სახელი ლენინის პატივსაცემად დაერქმიათ: ვაშენოთ! ეს პლაკატები სისტემატურად იცვლებოდა - კუზმინი განუწყვეტლივ ამზეურებდა თავისი ძვირფასი კოლექციის ნიმუშებს. მის კაბინეტში წიგნის თაროები სათანადო ლიტერატურით იყო სავსე, „სკპ(ბ)-ის ისტორიის მოკლე კურსი“ კი, ი. ბ. სტალინის რედაქციით, მუდამ მაგიდაზე ედო.

ქაღალდებისთვის განკუთვნილ ურნაშიც საგულდაგულოდ გადარჩეული ნაგლეჯები ეყარა.

ყველამ, რიგითი თანამშრომლით დაწყებულმა და უმაღლესი თანამდებობის პირით დამთავრებულმა, იცოდა, რომ, თუ მართლა სურდათ რამე მნიშვნელოვანი დოკუმენტის გადაგდება, ფარულად უნდა გაეტანათ შენობიდან და გზაში შეუმჩნევლად გაენადგურებინათ.

კუზმინი იმ ფანჯარასთან იდგა, რომელიც ლუბიანკის მოედანს გადაჰყურებდა. ამ ტანდაბალ კაცს ყოველთვის ერთი ზომით პატარა სამხედრო ფორმა ეცვა. სქელშუშებიანი სათვალე ხშირად ცხვირის წვერზე უცურდებოდა. ერთი სიტყვით, სასაცილო შესახედაობა ჰქონდა და სიკვდილ-სიცოცხლის განკარგვის უფლებაც კი ვერ მატებდა სათანადო დიდებულებას. თუმცა, როგორც ლევმა იცოდა, კუზმინი დაკითხვებში პირადად აღარ მონაწილეობდა, თავის დროზე კი ამ საქმის ცნობილ სპეციალისტად ითვლებოდა და, ძირითადად, მხოლოდ თავის პატარა, ფუნთუშა ხელებს ენდობოდა. ახლა ამას ძნელად თუ დაიჯერებდა კაცი.

ლევი დაჯდა. კუზმინი კვლავ ფანჯარასთან იდგა. შეკითხვების დასმისას გარეთ უყვარდა ყურება. ეს იმით აიხსნებოდა, რომ, მისი აზრით, - და ამას ხშირად უმეორებდა ლევს, - გრძნობათა გამოვლენის გარეგნული ნიშნების ნდობა არაფრით არ შეიძლებოდა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პიროვნება დარწმუნებული იყო, რომ მას არავინ უყურებდა. იგი ოსტატურად ახერხებდა ისეთი სახის მიღებას, თითქოს ფანჯარაში იყურებოდა, სინამდვილეში კი თანამოსაუბრის რეაქციას შუშაში აკვირდებოდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ეშმაკობას მისთვის სარგებელი არ მოჰქონდა, რადგან ყველამ იცოდა მისი ამ თვისების შესახებ, მათ შორის ლევმაც. ესეც რომ არა, ლუბიანკის კედლებში ცოტა ვინმე თუ მოდუნდებოდა ისე, რომ შეცდომა დაეშვა.

- გილოცავ, ლევ. ვიცოდი, რომ აუცილებლად შეიპყრობდი. გამოცდილებამ ბევრი რამ შეგძინა.

ლევმა თავი დაუქნია.

– ავად ხომ არა ხარ?

ლევი შეყოყმანდა. როგორც ჩანს, იმაზე გაცილებით ცუდად გამოიყურებოდა, ვიდრე ეგონა.

- ალბათ, ცოტა გავცივდი. არაფერია. გამივლის.

- მგონი, გაბრაზებული ხარ ჩემზე იმის გამო, რომ ბროდსკის საქმეს მოგწყვიტე, რათა პირადად მოგეგვარებინა კონფლიქტი ფიოდორ ანდრეევთან. მართალი ვარ? ფიქრობ, რომ ფიოდორის საქმე ამად არ ღირდა და ბროდსკის თვალთვალი თვითონ უნდა გაგეგრძელებინა.

იგი ისე იღიმებოდა, თითქოს სასაცილო ანეკდოტს ჰყვებოდა. ლევი დაიძაბა, იგრძნო, რომ მახეს უგებდნენ.

- არა, მაიორო, სულაც არ ვბრაზობ. ბროდსკი ადრევე უნდა დამეკავებინა. ჩემი ბრალია.

- ჰო, მაგრამ ეს არ გააკეთე. ასე რომ, ვითარების გათვალისწინებით, შევცდი თუ არა, როდესაც ჯაშუშის საქმეს მოგწყვიტე და მგლოვიარე მამის დასამშვიდებლად გაგგზავნე?

შეკითხვას გიმეორებ.

- მე მხოლოდ ის გავიფიქრე, რომ შევცდი, როდესაც ბროდსკი მაშინვე არ დავაპატიმრე.

- სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ. აი, რას ვგულისხმობ: ფიოდორის შემთხვევა მხოლოდ დასანანი გაუგებრობა როდია. ეს МГБ-ს თანამშრომელთა გახრწნის გამოვლენაა. ერთ-ერთი შენიანი ისე აჰყვა შვილის დაკარგვით გამოწვეულ მწუხარებას, რომ საკუთარი თავიც და ოჯახიც უნებურად სახელმწიფოს მტრად აქცია. და თუმცა კმაყოფილი ვარ, ბროდსკის დაჭერა რომ მოახერხე, ფიოდორთან შენი მუშაობა მაინც უფრო მნიშვნელოვნად მიმაჩნია.

- გასაგებია.

- ახლა კი ვასილი ნიკიტინზე ვისაუბროთ.

უცნაური იქნებოდა, მისი საქციელის შესახებ უფროსობისთვის რომ არ მოეხსენებინათ.

ვასილი უყოყმანოდ გამოიყენებდა ამას მის წინააღმდეგ. ლევს არც კუზმინის უპირობო მხარდაჭერის იმედი ჰქონდა და არც ის იცოდა, მომხდარის რომელი ასპექტი აშფოთებდა მას ყველაზე მეტად.

- შენ ნიკიტინს პისტოლეტი დაუმიზნე, შემდეგ კი დაარტყი კიდეც? თქვა, თავს ვეღარ აკონტროლებდაო. იმასაც ამბობს, რომ ნარკოტიკს მოიხმარ, რომ სწორედ მან გიბიძგა ირაციონალური ქმედებისკენ. თანამდებობიდან შენს გადაყენებას ითხოვს. ალბათ, ხვდები, რომ ძალზე გაღიზიანებულია.

ლევი ყველაფერს მშვენივრად ხვდებოდა: მშვიდობიანი მოქალაქეების მკვლელობის შესახებ კრინტი არ უნდა დაეძრა.

- როგორც უფროსმა ოფიცერმა, ბრძანება გავეცი. ვასილიმ მის შესრულებაზე უარი განაცხადა. როგორ შემენარჩუნებინა დისციპლინა? როგორ უნდა შეინარჩუნოს დისციპლინა ნებისმიერმა ჩვენგანმა, თუ მის ბრძანებებს აღარ შეასრულებენ? ასე ხომ სისტემა ჩამოიშლება. შესაძლოა, აქ ჩემმა სამხედრო წარსულმაც იმოქმედა. ომის დროს უფროსის დაუმორჩილებლობა და სუბორდინაციის დარღვევა სიკვდილით ისჯებოდა.

კუზმინმა თავი დაუქნია. ლევმა საჭირო სიტყვებს მიაგნო - მან სამხედრო დაქვემდებარების ურყევი პრინციპი დაიმოწმა.

- რასაკვირველია, მართალი ხარ, ვასილი ძალიან ფიცხია. თვითონაც აღიარებს. ბრძანებას არ დაემორჩილა, ასეა, მაგრამ იგი ოჯახის წევრების დამნაშავესთან თანამშრომლობამ აღაშფოთა. ალბათ, ხვდები, რომ მის საქციელს არ ვამართლებ. ასეთი დარღვევებისთვის სისტემა არსებობს. მას ისინი აქ უნდა მოეყვანა. ამიტომაც ვასილი დაისაჯა - მკაცრი საყვედური მიიღო. ნარკოტიკს რაც შეეხება...

- მე ოცდაოთხი საათი არ მიძინია, თანაც ის ჩვენმა ექიმმა გამომიწერა.

- ეს ჩემი საქმე არაა. მე შენ გიბრძანე, ყველაფერი გაგეკეთებინა, რაც კი შეიძლებოდა.

მაშასადამე, ყველაფრის მიღება შეგეძლო, რასაც საჭიროდ მიიჩნევდი. მინდა, გაგაფრთხილო.

როდესაც კოლეგას, ოფიცერს დაარტყი, ამით ყურადღება მიიქციე. ხალხი მალე დაივიწყებს იმას, რომ შენს მოქმედებას თავისი მიზეზი ჰქონდა. როგორც კი ვასილიმ პისტოლეტი დაუშვა, შენც უნდა გაჩერებულიყავი. თუ მისი უფრო მკაცრად დასჯა გინდოდა, ვალდებული იყავი, ჩემთვის მოგეხსენებინა, რომ იგი შენს ბრძანებას არ დაემორჩილა. შენ კი მართლმსაჯულება თვითონ აღასრულე. ეს მიუღებელია. მსგავსი რამ აღარ უნდა განმეორდეს. არასდროს.

- დამნაშავე ვარ. ბოდიშს გიხდით.

კუზმინი ფანჯარას მოშორდა, ლევის გვერდით გაჩერდა და ხელი მხარზე დაადო.

- ამაზე მოვრჩეთ. ჩათვალე, რომ საკითხი დახურულია. შენთვის ახალი დავალება მაქვს: ბროდსკი უნდა დაიკითხოს. მინდა, ეს პირადად შენ გააკეთო. ვინც გინდა, ის დაიხმარე, - დაკითხვის სპეციალისტი, - ოღონდ საკუთარი თვალით უნდა იხილო, როგორ გატყდება. ეს ადამიანი იმ სახით უნდა დაინახო, რასაც სინამდვილეში წარმოადგენს. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მისმა გარეგნობამ შეგაცდინა.

ამ ძალზე უჩვეულო ბრძანების გაცემის შემდეგ კუზმინს არც ლევის გაკვირვება გამოჰპარვია.

- ეს შენთვის სასარგებლო იქნება. ადამიანის შესახებ იმით უნდა იმსჯელო, რისი გაკეთება შეუძლია საკუთარი ხელით, და არა იმის მიხედვით, რომ მზადაა, სხვები აიძულოს და საკუთარი გასაკეთებელი მათ გააკეთებინოს. საწინააღმდეგო ხომ არაფერი გაქვს?

– არა.

ლევი წამოდგა და პიჯაკი გაისწორა.

- დაუყოვნებლივ შევუდგები საქმეს.

- დასასრულ, მინდა, ამ საქმეზე ვასილისთან ერთად იმუშაო.

***

სამი ტიპის საკნები არსებობდა: წინასწარი დაკავების - კვადრატული, ჩალით დაფარული იატაკით, რომელშიც სამ მოზრდილ მამაკაცს დაწოლაც კი გაუჭირდებოდა. ასეთ საკნებში არანაკლებ ხუთ კაცს ათავსებდნენ და იქ ყოველთვის ისეთი სივიწროვე იყო, რომ მოფხანითაც ვერ მოიფხანდი, სხვა რომ არ შეგეწუხებინა. ვინაიდან საკნებში საპირფარეშო არ იყო, ადგილი უნდა გამოეყოთ, სადაც პატიმრები ვედროს დადგამდნენ და ერთმანეთის თვალწინ მოისაქმებდნენ. როგორც კი გაივსებოდა, ერთ-ერთ პატიმარს უახლოეს ტუალეტში უნდა გაეტანა. მას წინასწარ აფრთხილებდნენ, რომ წვეთიც არ დაეღვარა, თორემ სასჯელი არ ასცდებოდა. ლევს ესმოდა, როგორ დასცინოდნენ დარაჯები პატიმრების კომიკურად დაძაბულ სახეებს, როდესაც ისინი გაფაციცებით მისჩერებოდნენ ვედროს ზედაპირზე სახიფათოდ მოყანყალე ფეკალიებისა და შარდის მასას, დონეს, რომელსაც მათი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი უნდა გადაეწყვიტა.

ეს, ცხადია, ბარბაროსობა იყო, მაგრამ არა უმიზეზო, არამედ დიადი და ნათელი მომავლისთვის აუცილებელი ბარბაროსობა.

დიადი და ნათელი მომავალი!

ამ სიტყვების ხშირად გამეორება იყო საჭირო, რათა ისინი მტკიცედ აღბეჭდილიყო თითოეული მოქალაქის ტვინში და მას სადღესასწაულო სერპანტინივით გარს შემოხვეოდა.

წინასწარი დაკავების საკნების გარდა, არსებობდა სხვადასხვა კონსტრუქციის კარცერი.

ზოგიერთ მათგანში ყინულივით ცივი წყალი ადამიანს კოჭებამდე სწვდებოდა, კედლები ობსა და ლორწოს დაეფარა. ასეთ ოთახში ხუთი დღის გატარებაც კი საკმარისი იყო პატიმრის ჯანმრთელობის ისე შესარყევად, რომ ფილტვები სამუდამოდ დაუავადდებოდა. კიდევ იყო ვიწრო კარადები, ხის კუბოების მსგავსი, სადაც უამრავი ტილი და ბაღლინჯო ბუდობდა. ისინი მანამ სწოვდნენ სისხლს გაშიშვლებულ პატიმარს, სანამ აღიარებით ჩვენებას ხელს არ მოაწერდა. ზოგიერთ საკანში კორპის შუასადები ეგო. მათი საშუალებით ტყვეს ცოცხლად ბრაწავდნენ: სავენტილაციო სისტემა ცხელ ჰაერს აწოდებდა, სისხლი დუღდებოდა და სხეულის ფორებიდან გარეთ გამოდიოდა. ზოგან კაუჭები, ჯაჭვები და გაშიშვლებული ელექტროსადენები მოეთავსებინათ. ადამიანებს სხვადასხვა მეთოდით სჯიდნენ. ერთადერთი დაბრკოლება, თუმცა საკმაოდ სუსტი, წარმოსახვა იყო. მაგრამ ყველა ეს საშინელება პატარა და უმნიშვნელო ჩანდა დიად და ნათელ მომავალთან შედარებით.

დიადი და ნათელი მომავალი! დიადი და ნათელი მომავალი!

მსგავსი მეთოდების გამართლება მარტივად და დამაჯერებლად ხდებოდა, ოღონდ გამუდმებით გამეორებას მოითხოვდა: ეს ადამიანები მტრები იყვნენ. განა ომის დროს ლევი ასეთივე რადიკალურ ზომებს არ მიმართავდა? დიახ, და უფრო უარესსაც კი. განა ომმა არ მოუტანა მათ თავისუფლება? და განა აქ იგივე არ ხდებოდა, იმავე ომს არ აწარმოებდნენ თუნდაც სხვა, მაგრამ მაინც მტერთან? იყო თუ არა ეს ყოველივე აუცილებელი? დიახ, იყო.

პოლიტიკური წყობის გადარჩენა ნებისმიერ საშუალებას ამართლებდა. ისევე, როგორც „ოქროს საუკუნის“ დაპირება, სადაც მსგავსი სისასტიკე აღარ იარსებებდა, სადაც ყველაფერი თავზე საყრელი იქნებოდა და სიღარიბე მოგონებად გადაიქცეოდა. ცხადია, ეს მეთოდები სასიამოვნო არ იყო და არც აღფრთოვანებას იწვევდა, მაგრამ ჭკუით გამორჩეულ

ლევს იმ ოფიცრების საქციელი ვერ გაეგო, რომლებიც ამ სამუშაოსგან სიამოვნებას იღებდნენ. თვითმართლების ამ დახვეწილ და ოსტატურად აკინძულ ჯაჭვს სუსტი რგოლიც ჰქონდა: უარის თქმა, მეტიც, მომხდარის უარყოფა, რაც ლატენტურ მდგომარეობაში მიყუჟულიყო მუცლის ქვედა ნაწილში ლობიოს გადაუმუშავებელი მარცვლის მსგავსად.

საკნების მესამე ტიპი დასაკითხი ოთახები იყო. ლევი ერთ-ერთ ასეთ ქვის საკანს მიუახლოვდა, სადაც მოღალატე მოეთავსებინათ, და ფოლადის მძიმე კარს მიეყრდნო, რომელშიც სათვალთვალო საჭვრეტი ჩაეყენებინათ. მან დააკაკუნა, თან გაიფიქრა, ნეტავ შიგნით რა დამხვდებაო. კარი ჭაბუკმა გაუღო. გარეგნულად ჩვიდმეტ წელზე მეტს არ მისცემდით. პატარა, მართკუთხა საკანი იყო, ბეტონის იატაკითა და კედლებით, სამაგიეროდ, ისე გაეჩახჩახებინათ, რომ ლევმა თვალები მოჭუტა კიდეც. ჭერზე ხუთი მძლავრი ნათურა ეკიდა. უკანა კედელთან დივანი იდგა, რომელიც საოცრად არ უხდებოდა ამ სპარტანულ გარემოს. ზედ ხელფეხშეკრული ანატოლი ბროდსკი იჯდა. ახალგაზრდა ზედამხედველმა ამაყად განაცხადა: - გამუდმებით ხუჭავს თვალს, დაძინება სურს, მაგრამ ამის საშუალებას არ ვაძლევ და ლოყებში ვურტყამ. წამიც არ დაუსვენია, გეფიცებით! ეს დივანი კი ჩემი საუკეთესო გამოგონებაა. უნდა, საზურგეზე გადაწვეს და ბურანში წავიდეს. ის ხომ ძალზე რბილი და მოსახერხებელია. თვითონაც ვმჯდარვარ ზედ. აბა, წაუძინოს, თუ მაგარია. ეს იგივეა, შიმშილისგან დაუძლურებულს საჭმელი გვერდზე გაუწიო, რათა ვერ მისწვდეს.

ლევმა თავი დაუქნია, თან შეამჩნია, რომ ახალგაზრდა ზედამხედველი მისით უკმაყოფილო დარჩა, რადგან თავისი გამოგონებისთვის უფრო მხურვალე გამოხმაურებას ელოდა. ოფიცერი ოთახის შუაგულში დადგა და შავი ხელკეტი მოიმარჯვა. დაძაბული, გულწრფელად შემართული და ლოყებაწითლებული სათამაშო ჯარისკაცს ჰგავდა.

ბროდსკი დივნის კიდეზე იჯდა, ნახევრად თვალდახუჭული წინ გადახრილიყო. ოთახში მეტი სკამი არ იდგა. ლევი მის გვერდით ჩამოჯდა და ვითარების აბსურდულობა იგრძნო. დივანი მართლა ძალიან რბილი აღმოჩნდა და ლევი სიამოვნებით მიეყრდნო საზურგეს. იგრძნო, როგორ იტანჯებოდა ეჭვმიტანილი. ახლა მას ძალზე ცოტა დრო ჰქონდა, რადგან ვასილის ნებისმიერ წუთს შეეძლო შემოსვლა, ლევი კი იმედოვნებდა, რომ ანატოლის თანამშრომლობაზე მანამდე დაითანხმებდა, სანამ ეს მოხდებოდა.

ანატოლიმ თავი ასწია. წამით თვალები გაუფართოვდა. რამდენიმე წამი დასჭირდა, რათა უძილობისგან შეფერხებით მომუშავე ტვინს გვერდით მჯდომი მამაკაცი ამოეცნო. ეს სწორედ ის იყო, ვინც დააკავა. ის, ვინც სიკვდილისგან იხსნა. გაბრუებულმა მოახერხა და წაილუღლუღა: - ბავშვები? მიხაილის ბავშვები? ახლა სად არიან?

- ისინი ბავშვთა სახლში მოათავსეს. საფრთხე აღარ ემუქრებათ.

ბავშვთა სახლი - ნუთუ ეს ხუმრობა იყო, მისი სასჯელის ნაწილი? არა, ამ კაცს ხუმრობის არაფერი ეტყობოდა. მას გულწრფელად სჯეროდა თავისი საქმისა.

- ოდესმე თუ ყოფილხართ ბავშვთა სახლში?

- არა.

- გოგონები საკუთარი თავის იმედად რომ მიგეტოვებინათ, გადარჩენის მეტი შანსი ექნებოდათ.

- ახლა მათზე სახელმწიფო იზრუნებს.

ლევის გასაოცრად, პატიმარი მისკენ დაიხარა და შეკრული ხელები შუბლზე შეახო.

ახალგაზრდა ზედამხედველი მათკენ გამოიქცა, ხელკეტი აღმართა და დააპირა, ბროდსკისთვის მუხლებში დაერტყა, მაგრამ ლევმა ჟესტით უბრძანა, შენს ადგილს დაუბრუნდიო და ისიც დაემორჩილა.

- ავად ხართ, გაცხელებთ. შინ ყოფნა გმართებთ. ნეტავ სახლი თუ გაქვთ თქვენ და თქვენნაირებს? სად გძინავთ, სად ჭამთ და სად აკეთებთ ყველაფერს, რაც ყველა ნორმალურ ადამიანს სჭირდება?

ეს კაცი კვლავაც აოცებდა ლევს, ახლაც კი ექიმივით იქცეოდა. ახლაც კი უპატივცემულობას გამოხატავდა. მამაცი და პირდაპირი იყო. ლევი აღტაცებას ვერ მალავდა.

იგი ოდნავ განზე გაიწია და ოფლიანი შუბლი პიჯაკის სახელოთი მოიწმინდა.

- შეგიძლიათ, თავიდან აიცილოთ ტანჯვა-წამება, თუ გამესაუბრებით. არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ჩვენთან, დაკითხვაზე ყოფნის შემდეგ, გული არ დასწყვეტოდეს, რომ ყველაფერი თავიდანვე არ აღიარა. რისი მიღწევა გსურთ დუმილით?

- არაფრის.

- მაშასადამე, სიმართლეს იტყვით?

– დიახ.

- ვისზე მუშაობთ?

- ანა ვლადისლავოვნაზე. მისი კატა ბრმავდება. დორა ანდრეევაზე. მისი ძაღლი საჭმელს არ ჭამს. არკადი მასლოვზე. მისმა ძაღლმა წინა თათი მოიტეხა. მათიას რაკოშიზე. მას იშვიათი ჩიტები ჰყავს.

- თუ უდანაშაულო ხართ, რატომ გაიქეცით?

- იმიტომ, რომ მითვალთვალებდით. სხვა მიზეზი არ არსებობს.

– მაგრამ ეს ხომ უაზრობაა.

-– გეთანხმებით, მაგრამ სიმართლეა. თუ გითვალთვალებენ, მაშასადამე, აუცილებლად დაგაპატიმრებენ. თუ დაგაპატიმრებენ, მაშასადამე, დამნაშავე ხარ. უდანაშაულო ხალხი აქ არ მოჰყავთ.

- ამერიკის საელჩოს რომელ წარმომადგენლებთან თანამშრომლობთ და რა ცნობები გადაეცით მათ?

როგორც იქნა, ანატოლი ყველაფერს მიხვდა. რამდენიმე კვირის წინ ამერიკის საელჩოს უმცროსმა კლერკმა მასთან გამოსაკვლევად თავისი ძაღლი მიიყვანა. საბრალოს ნაკაწრი გამიზეზებოდა. მკურნალობისთვის ანტიბიოტიკები სჭირდებოდა, მაგრამ ვინაიდან არ ჰქონდათ, ჭრილობა საგულდაგულოდ მოჰბანა და დაუმუშავა, შემდეგ კი დროდადრო გამოჯანმრთელების პროცესს აკვირდებოდა. მალე დაინახა, რომ მის სახლს ვიღაც უთვალთვალებდა. იმ ღამეს არ ეძინა, გამწარებით ფიქრობდა, რა დავაშავეო. მომდევნო დილით სამსახურში მიმავალმა შეამჩნია, რომ აედევნენ. აქეთობასაც იგივე განმეორდა. ასე გაგრძელდა სამი დღე. მეოთხე უძილო ღამის შემდეგ გაქცევა გადაწყვიტა. ახლა კი მის მიერ ჩადენილი დანაშაულის დეტალებს უხსნიდნენ. მან უცხოელის ძაღლი მოარჩინა.

- ეჭვი არ მეპარება, რომ, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს გეტყვით, რისი გაგონებაც გსურთ.

მაგრამ ახლა გეუბნებით: მე, ანატოლი ბროდსკი, მხოლოდ და მხოლოდ ვეტექიმი ვარ. მალე თქვენს არქივში გაჩნდება ჩანაწერი იმის შესახებ, რომ ჯაშუში ვარ. ჩემი ხელმოწერა და აღიარებაც გექნებათ. ვიღაც პირების გვარებსაც მათქმევინებთ. ამას სხვათა დაპატიმრება, ახალი ხელმოწერები და ახალი აღიარებები მოჰყვება. მაგრამ, რასაც მერე გეტყვით, ტყუილი იქნება, ვინაიდან მე ერთი უბრალო ვეტექიმი ვარ.

- პირველი დამნაშავე არა ხართ, ვინც ამტკიცებს, უდანაშაულო ვარო.

- ნუთუ მართლა გჯერათ, რომ ჯაშუში ვარ?

- ეს საუბარიც კი საკმარისია, ძირგამომთხრელ საქმიანობაში რომ დაგდოთ ბრალი. თქვენ უკვე მკაფიოდ გაგვაგებინეთ, რომ გძულთ ეს ქვე-

ყანა.

- ცდებით, მე კი არა, თქვენ გძულთ ეს ქვეყანა. ამ ქვეყნის ხალხიც გძულთ. თუ ასე არაა, რატომ დააპატიმრეთ ამდენი ადამიანი?

ლევს მოუთმენლობა დაეტყო.

- თუ ხვდებით, რა მოგელით შეკითხვებზე პასუხის გაუცემლობისთვის?

- ბავშვებმაც კი იციან, აქ რაც ხდება.

- მაგრამ აღიარებას მაინც არ აპირებთ?

- ცხოვრებას არ გაგიიოლებთ. თუ გსურთ, ჯაშუშობა ვაღიარო, ჩემი წამება მოგიწევთ.

- მეგონა, ამ პროცედურას თავიდან ავიცილებდით.

- გგონიათ, აქ მუშაობით ღირსებასა და საკუთარი თავის პატივისცემას შეინარჩუნებთ?

ამოიღეთ თქვენი დანები, ამოიღეთ თქვენი ხელსაწყოები. როდესაც ხელებს ჩემს სისხლში გაითხვრით, ვნახოთ, კვლავაც გონივრულად თუ ილაპარაკებთ.

- მე მხოლოდ სია მჭირდება სახელებითა და გვარებით.

- ფაქტებზე ჯიუტი ამქვეყნად არაფერია. აი, რატომ ვერ იტანთ მათ. ისინი თქვენ შეურაცხგყოფენ. ამიტომაც მარტივად გეტყვით და იმედს გაგიცრუებთ: მე, ანატოლი ტარასოვიჩ ბროდსკი, ერთი ჩვეულებრივი ვეტექიმი ვარ. ჩემს უდანაშაულობას პირად შეურაცხყოფად აღიქვამთ, ვინაიდან გსურთ, რომ დამნაშავე ვიყო. გსურთ, რომ დამნაშავე ვიყო, რადგან დამაპატიმრეთ.

კარზე დააკაკუნეს. ლევი წამოდგა და ჩაილაპარაკა: - ჩემს წინადადებას უნდა დასთანხმებოდით.

- შესაძლოა, ოდესმე მიხვდეთ, ასე რატომ არ მოვიქეცი.

ახალგაზრდა ზედამხედველმა კარი გააღო. საკანში ვასილი შემოვიდა. თავზე, იქ, სადაც დარტყმა მიიღო, სტერილური სახვევი ეკეთა. ლევი ფიქრობდა, რომ მას, მედიცინის თვალსაზრისით, სარგებლობა არ მოჰქონდა, მაგრამ მისი ტარება ვასილის საუბრის წამოწყებისა და ინციდენტის შესახებ რაც შეიძლება მეტი ადამიანისთვის მოყოლის საშუალებას აძლევდა. ვასილის თან საშუალო ასაკის, დაჭმუჭნილკოსტიუმიანი და თმაშეთხელებული კაცი ახლდა. ლევისა და ანატოლის ერთად დანახვაზე ვასილის შეშფოთება დაეტყო.

- გამოტყდა?

– არა.

ვასილის აშკარად გულზე მოეშვა. მან ჟესტით უბრძანა ზედამხედველს, პატიმარი ფეხზე წამოეყენებინა, ამასობაში კი ყავისფერ კოსტიუმში გამოწყობილმა შუახნის მამაკაცმა ნაბიჯი წინ გადადგა და ლევს ხელი ღიმილით გაუწოდა.

- ექიმი რომან ხვოსტოვი. ფსიქიატრი.

- ლევ დემიდოვი.

- მიხარია თქვენი გაცნობა.

მათ ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. ხვოსტოვმა თავი პატიმრისკენ გადააქნია.

- მასზე ნუ წუხხართ.

ხვოსტოვი მათ საოპერაციოსკენ გაუძღვა, კარი გააღო და თანამგზავრებს ისე ანიშნა, შესულიყვნენ, თითქოს ბავშვებს სათამაშოდ ეპატიჟებოდა. საოპერაციო პატარა და სუფთა ოთახი იყო. შუაში წითელტყავგადაკრული, თეთრი მეტლახის იატაკზე მიხრახნილი სავარძელი იდგა. გვერდით რამდენიმე ბერკეტი გამოსჩროდა, რომელთა საშუალებითაც მისი გაშლა, ლამის საწოლად გადაქცევა, შემდეგ კი კვლავ საწყის, ვერტიკალურ მდგომარეობაში დაბრუნება შეიძლებოდა. კედლებზე შემინული პატარა კარადები ეკიდა, რომელთა თაროებზეც ბოთლები, ქილები და აბებიანი კოლოფები ეწყო. ყოველ მათგანზე თეთრი ეტიკეტი მიეკრათ, ზედ კი აკურატულად გამოეყვანათ შავი წარწერები. ერთ-ერთი კარადის ქვეშ ქირურგიული ხელსაწყოებით სავსე ლითონის ლანგარი მოჩანდა. ჰაერში სადეზინფექციო ხსნარის მძაფრი სუნი ტრიალებდა. ბროდსკი არ შესწინააღმდეგებია, როდესაც ტყავის შავი ქამრებით სავარძელზე მიბმა დაუპირეს. ლევმა ისინი ფეხებზე გადაუჭირა, ვასილიმ კი - ხელებსა და ყელზე. როდესაც დაასრულეს, ტყვეს, ძალიანაც რომ მოენდომებინა, განძრევაც არ შეეძლო.

ლევმა ნაბიჯი უკან გადადგა, ხვოსტოვი კი ამ დროს პირსაბანში ხელებს საგულდაგულოდ იბანდა.

- ერთხანს გულაგში ვმუშაობდი, ქალაქ მოლოტოვის მახლობლად. საავადმყოფოში ბევრი პაციენტი იყო, რომლებიც თავს სულით ავადმყოფებად ასაღებდნენ. ყველაფერზე თანახმანი იყვნენ, ოღონდ არ ემუშავათ. მხეცებივით აქეთ-იქით აწყდებოდნენ, ილანძღებოდნენ, ტანსაცმელს იგლეჯდნენ, ყველას თვალწინ მასტურბირებდნენ, იატაკზე ისაქმებდნენ - მოკლედ, რას აღარ აკეთებდნენ, ოღონდ კი ექიმები დაერწმუ-

ნებინათ, რომ ჭკუაზე შეშლილიყვნენ. ერთი შეხედვით ძალზე დამაჯერებლად იქცეოდნენ, მაგრამ ჩემი საქმე სწორედ იმის დადგენა იყო, რომელი სიმულანტობდა და რომელი მართლა გაგიჟებულიყო. ამის გასარკვევად სხვადასხვა აკადემიურ ტესტს ვიყენებდით, მაგრამ პატიმრები სწრაფად უღებდნენ მათ ალღოს, თანაც თავიანთ აზრებს ერთმანეთსაც აცნობდნენ. მალე ყველამ იცოდა, როგორ შეიძლებოდა სისტემის გაცურება. მაგალითად, თუ პაციენტი საკუთარ თავს ჰიტლერად, ცხენად ან სხვა ვინმედ ასაღებდა, იგი თითქმის უეჭველად გიჟს თამაშობდა.

ამიტომაც პატიმრებმა ჰიტლერს თავი დაანებეს და გაცილებით დახვეწილი მეთოდებით ცდილობდნენ ჩემს მოტყუებას. ასე რომ, ბოლოს სიმართლის დასადგენად ერთადერთი მეთოდი დამრჩა.

მან შპრიცი ყვითელი ზეთოვანი სითხით აავსო, ლითონის ლანგარზე დადო და ფრთხილად შეუდგა პატიმრის სახელოს შემოყრას, შემდეგ წინამხარზე რეზინის ჩალიჩი შემოუჭირა, რათა გაეშიშვლებინა მსხვილი და ცისფერი ვენა, რომელიც მაშინვე ამოიბურცა კანზე. ხვოსტოვმა ტყვეს მიმართა: - როგორც ვიცი, ცოტაოდენი სამედიცინო განათლებაც გაქვთ. თუ ხვდებით, ახლა რა დაგემართებათ?

- ჩემი სამედიცინო განათლება ხალხისთვის დახმარების გაწევით შემოიფარგლება.

- ესეც ხალხს ეხმარება. განსაკუთრებით მათ, ვინც დასანან შეცდომას უშვებენ. იგი ეპილეფსიურ შეტევასა და კრუნჩხვას იწვევს. სანამ ეს გაგრძელდება, ტყუილს ვერ იტყვით.

სხვათა შორის, ვერც სხვა რამის გაკეთებას შეძლებთ, მაგრამ თუ ალაპარაკდებით, მხოლოდ და მხოლოდ სიმართლეს იტყვით.

- მაშ, დაიწყეთ. შემიყვანეთ ეგ თქვენი ზეთი და კარგად მოისმინეთ, რასაც შემდეგ ვიტყვი.

ხვოსტოვი ლევს მიუბრუნდა.

- რეზინის ნაჭერი დაგვჭირდება, რათა ძლიერი შეტევის დროს ენა არ მოიკვნიტოს, მაგრამ როგორც კი დამშვიდდება, პირიდან გამოვუღებთ და შეკითხვების დასმას შეძლებთ.

ვასილიმ ლანგრიდან სკალპელი აიღო და ფრჩხილების გასუფთავებას შეუდგა, თან ჭუჭყიან იარაღს ხალათს უსვამდა. როდესაც დაამთავრა, სკალპელი გვერდზე გადადო, ხელი ჯიბეში ჩაიყო და სიგარეტი ამოიღო. ექიმმა თავი გადააქნია.

– აქ არა, გეთაყვა.

ვასილიმ სიგარეტი უკანვე ჩააბრუნა. ექიმმა ყურადღებით შეათვალიერა შპრიცი და როდესაც ნემსის წვერზე მოყვითალო სითხის წვეთი გამოჩნდა, ბროდსკის ვენაში შეურჭო.

– აჩქარება არ შეიძლება. თუ ზეთს სწრაფად შევუშვებთ, შესაძლოა, ემბოლია განუვითარდეს.

იგი დგუშს მიაწვა და ბადაგივით ბლანტი მოყვითალო სითხე შპრიციდან პატიმრის ვენაში გადავიდა.

წამალმა წამსვე იმოქმედა. მოულოდნელად ბროდსკიმ თვალები გადმოკარკლა და მათში გონიერების ნასახიც აღარ დარჩა. ტანი ისე აუცახცახდა, თითქოს სავარძელს, რომელზეც მიბმული იყო, ათასი ვოლტი ძაბვა მიაწოდეს. ნემსი კვლავაც მის ხელში რჩებოდა. ჯერ ზეთის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი გადასულიყო შპრიციდან ვენაში.

- ახლა ცოტა დავუმატოთ.

ვენას კიდევ ხუთი მილილიტრი მიაწოდეს. ბროდსკის პირის კუთხეებში ქაფის ბუშტუკები, პატარა თეთრი ბუშტუკები გაუჩნდა.

- დაველოდოთ, სულ ცოტა ხანს დაველოდოთ და დანარჩენიც შევიყვანოთ.

ხვოსტოვმა შპრიციდან მოყვითალი სითხის ბოლო წვეთიც გამოწურა, ნემსი ამოაძრო, ნაჩხვლეტზე ბამბა დაადო და უკან დაიხია.

ბროდსკი ადამიანს აღარ ჰგავდა. მაღალი წნევის ქვეშ მყოფ მანქანას უფრო მოგაგონებდათ, რომელიც საცაა გასკდებოდა. მისი სხეული ქამრებიდან ამოხტომას ლამობდა და მათ ისე ჭიმავდა, თითქოს მასზე რაღაც გარეშე ძალა მოქმედებდა. უეცრად ტკაცანი გაისმა - პატარა ძვალი გატყდა მაჯაზე, როდესაც ბროდსკიმ მთელი ძალით გაიბრძოლა. ხვოსტოვი დაზიანებულ ხელს მიაჩერდა, რომელმაც მაშინვე შეშუპება დაიწყო.

- განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, - თქვა მან, საათს დახედა და დაამატა, - ცოტა კიდევ უნდა დავიცადოთ.

პატიმარს პირის კუთხეებიდან ქაფი წამოუვიდა, ნიკაპქვეშ დაუგროვდა და მის მუხლებზე დაიწყო წვეთა. კრუნჩხვის სიმძაფრემ თანდათან იკლო.

- მზადაა. დაუსვით შეკითხვები. ვნახოთ, რას უპასუხებს.

ვასილიმ ერთი ნაბიჯით წინ წაიწია და ბროდსკის პირიდან რეზინის ნაჭერი გამოაცალა.

იქიდან მაშინვე ქაფმა და ლორწომ იფეთქა და მუხლებზე დაეღვარა. ვასილიმ უნდობლად მოიხედა უკან.

– ეს რა ჯანდაბაა. ასე რის თქმას შეძლებს?

- სინჯეთ.

- ვისზე მუშაობ?

პატიმარს თავი მკერდზე ჩამოუვარდა. კისრის შემაკავებელი ქამარიდ დაეჭიმა. ცხვირიდან სისხლი წასკდა. ხვოსტოვმა ხელსახოცი აიღო და დასვრილი ადგილები მოსწმინდა.

- კიდევ სცადეთ.

- ვისზე მუშაობ?

ბროდსკის ამჯერად კისერმოტეხილ თოჯინასავით გადაუვარდა თავი გვერდზე: ადამიანს კი ჰგავდა, განსაზღვრული მოძრაობების შესრულებაც შეეძლო, თუმცა სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. პირი გააღო და დახურა, კბილებს შორის ენა გამოუჩნდა - თითქოს რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ ხმა არ ისმოდა.

- ერთხელაც სცადეთ.

- ვისზე მუშაობ?

- კიდევ.

ვასილიმ თავი გადააქნია და ლევს უკმაყოფილო მზერა შეავლო.

- სისულელეა. ახლა შენი ჯერია.

ლევი ზურგით კედელს მიჰკვროდა, თითქოს აქედან შორს ყოფნა სურდა. ახლა მან გადადგა წინ ნაბიჯი.

- ვისზე მუშაობთ?

ბროდსკის პირიდან რაღაც ხმამ გამოაღწია - სულელურმა და სასაცილომ, სუნთქვაშეკრული ბავშვის ხმამ. ხვოსტოვმა ხელები გულზე დაიკრიფა და ბროდსკის თვალებში შეხედა.

- კიდევ სცადეთ. ჯერ მარტივი შეკითხვა დაუსვით. მაგალითად, ჰკითხეთ, რა ჰქვია.

– რა გქვიათ?

- ერთხელაც მოსინჯეთ. მენდეთ. მას შეუძლია ლაპარაკი. განაგრძეთ, თუ შეიძლება.

ლევმა წინ წაიწია. ახლა ისე ახლოს იდგა, რომ ხელით პატიმრის შუბლსაც მისწვდებოდა.

– რა გქვიათ?

ბროდსკიმ ტუჩები შეარხია.

– ანატოლი.

- ვისზე მუშაობთ?

ტყვე აღარ ცახცახებდა. თვალები აზრიანი გაუხდა.

- ვისზე მუშაობთ?

რამდენიმე წამის შემდეგ სიჩუმეში პატიმრის ჩუმი და აჩქარებული ხმა გაისმა - ასე ძილში ლაპარაკობენ: - ანა ვლადისლავოვნაზე. დორა ანდრეევაზე. არკადი მასლოვზე. მათიას რაკოშიზე.

ვასილიმ ბლოკნოტი ამოიღო, ყველაფერი სწრაფად ჩაიწერა და ლევს ჰკითხა: - გეცნობა ეს გვარები?

დიახ, ლევს ეცნო ეს გვარები: ანა ვლადისლავოვნა - მისი კატა თანდათან ბრმავდებოდა; დორა ანდრეევა - მისი ძაღლი საჭმელს არ ჭამდა; არკადი მასლოვი - მისმა ძაღლმა წინა თათი მოიტეხა.

ეჭვის თესლი, რომელიც ლევის სულის მიუვალ კუნჭულში იმალებოდა, გასკდა და გადაიხსნა.

ანატოლი ტარასოვიჩ ბროდსკი ვეტექიმი იყო.

ანატოლი ტარასოვიჩ ბროდსკი მხოლოდ და მხოლოდ ვეტექიმი იყო.

17 თებერვალი ექიმმა ზარუბინმა წაულას ბეწვის ქუდი დაიხურა, ტყავის პორტფელი აიღო და გადაჭედილი ტრამვაის გასასვლელისკენ გზის გაკვალვას შეუდგა, შიგადაშიგ ვითომდა ბოდიშს იხდიდა.

ტროტუარი ყინულს დაეფარა და როდესაც იგი ბოლო საფეხურიდან ძირს ჩავიდა, გზის პირს გაუყვა, თან ცალი ხელით ტრამვაის გვერდს ეყრდნობოდა. მოულოდნელად თავი ფეხებზე გაუბედავად მდგომ მოხუცად იგრძნო. ტრამვაი წავიდა. ექიმმა მიიხედ-მოიხედა, იმედოვნებდა, რომ გაჩერება არ შეეშალა - ქალაქის აღმოსავლეთ გარეუბნის ამ რაიონს ცუდად იცნობდა, მაგრამ ადგილმდებარეობაში სწრაფად გაერკვა - მისთვის საჭირო სახლი სხვებზე მაღალი იყო და აშკარად გამოირჩეოდა ზამთრის ნაცრისფერი ცის ფონზე. მრავალ ასეულ მეტრზე გაჭიმული ქუჩის მეორე მხარეს ყველასა და ყველაფერს ზემოდან დასცქეროდა უ-ს ფორმის მრავალსართულიანი მონსტრი, რომლის ოთხი კორპუსიც წყვილ-წყვილად ერთმანეთის ანარეკლს ჰგავდა. ექიმი გააოცა ამ თანამედროვე სიმახინჯემ, სადაც ათასობით ოჯახს დაედო ბინა. ეს უბრალოდ ახალი მიკროორაიონი არ იყო. ეს გახლდათ ახალი ეპოქისთვის დადგმული ძეგლი, რომელმაც მტკიცე უარი უთხრა კერძო, ერთ-და ორსართულიან საცხოვრებელ სახლებს.

ისინი აღიგავნენ პირისაგან მიწისა და აგურის მტვრად იქცნენ, მათ ადგილას კი სახელმწიფოს მიერ დაპროექტებული და მისსავე საკუთრებაში არსებული უზარმაზარი, ერთნაირად ნაცრისფერი სახლები აშენდა.

არსად და არასდროს უნახავს მას ფორმებისა და ზომების ასეთი ერთფეროვნება, რომლებიც მრავალჯერ იმეორებდნენ ერთმანეთს, ყოველი ბინა მეზობლის ბინის ზუსტი ასლი იყო. სახურავებზე თოვლის სქელი ფენა გამყოფი საზღვარივით მოჩანდა. თითქოს ღმერთს ეთქვა: „კმარა, ცა მე მეკუთვნისო!“ ზარუბინმა გაიფიქრა, რომ სწორედ ეს, ცის დაპყრობა იქნებოდა მათი მორიგი ამოცანა. ყოველ შემთხვევაში, მას ღმერთი ვეღარ განკარგავდა. ამ ოთხი უზარმაზარი კორპუსიდან ერთ-ერთში ჩაკარგულიყო ბინა #124, სადაც МГБ-ს ოფიცერი, ლევ სტეპანოვიჩ დემიდოვი ცხოვრობდა.

დღეს დილით მაიორმა კუზმინმა მოკლედ გააცნო ექიმს ლევის მოულოდნელად წასვლის დეტალები. ეს უმნიშვნელოვანესი დაკითხვის დასაწყისში მოხდა, როდესაც მან განაცხადა, რომ ციებ-ცხელებამ წამოუარა და საკუთარ მოვალეობას ვეღარ შეასრულებდა. მაიორს დროში უცნაური თანხვედრა აშფოთებდა. მართლა ავად გახდა ლევი? თუ მის არყოფნას სხვა მიზეზი ჰქონდა? რატომ არწმუნებდა თავიდან, რომ თავს კარგად გრძნობდა, შემდეგ კი, თითქმის მაშინვე, როდესაც ეჭვმიტანილის დაკითხვა დაავალეს, საპირისპირო განაცხადა? და რატომ ცდილობდა პატიმართან ერთი ერთზე საუბარს? სწორედ ამიტომ დაავალეს ექიმს, ყველაფერი დაედგინა ლევის ავადმყოფობის შესახებ.

საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ექიმი ლევის უნახავადაც კი ვარაუდობდა, რომ ავადმყოფობა ყინულოვან წყალში ხანგრძლივად ყოფნას უნდა გამოეწვია, არც ნარკოტიკის ხშირად მოხმარებით გართულებულ პნევმონიას გამორიცხავდა. თუ ლევი მართლა სერიოზულად იყო ავად, ზარუბინს ნაბრძანები ჰქონდა, ექიმის ვალი აღესრულებინა და მისი გამოჯანმრთელება დაეჩქარებინა. იმ შემთხვევაში, თუ ლევი თავს იკატუნებდა, ზარუბინი МГБ-ს თანამშრომელივით უნდა მოქცეულიყო და მისთვის ძილის წამლის დიდი დოზა შეეპარებინა. ლევი, სულ ცოტა, ოცდაოთხი საათის განმავლობაში ძილს თავს ვეღარ გაართმევდა და ვერც გაქცევას მოახერხებდა, მაიორს კი შემდგომი ღონისძიების მოსაფიქრებლად დრო ექნებოდა.

პირველი სართულის ვესტიბიულში, ბეტონის სვეტზე მიმაგრებულ ფოლადის ფირფიტაზე, სახლის სქემა ეხატა, რომლის თანახმადაც, 124-ე ბინა მესამე კორპუსის მეთოთხმეტე სართულზე მდებარეობდა. ლიფტი, ორ კაცზე გათვლილი რკინის ყუთი, - ან ოთხზე, თუ სივიწროვეში ყოფნის საწინააღმდეგო არაფერი გქონდათ, - ღრჭიალით ავიდა მეცამეტე

სართულზე, ცოტა ხნით შეჩერდა, თითქოს სული მოითქვაო, და გზის დარჩენილი მანძილიც დასძლია. ზარუბინს ორივე ხელის გამოყენება დასჭირდა გაჯიუტებული ლითონის ცხაურის გასაწევად. ასეთ სიმაღლეზე ღია გალერეიდან შემოვარდნილმა ქარმა თვალები აუცრემლა.

სანამ მარცხნივ მოუხვევდა და 124-ე ბინის კართან აღმოჩნდებოდა, წამით თვალი მოსტაცა მოსკოვის თოვლით დაფარული გარეუბნების ხედმა.

კარი ახალგაზრდა ქალმა გაუღო. ექიმი უკვე გასცნობოდა ლევის პირად საქმეს და იცოდა, რომ მისი მეუღლე ოცდაშვიდი წლის რაისა გავრილოვნა დემიდოვა იყო, სკოლის მასწავლებელი. დოსიეში არაფერი ეწერა მისი სილამაზის შესახებ. ქალი კი არა მარტო ლამაზი, ძალიან ლამაზი მოეჩვენა. ექიმმა გაიფიქრა კიდეც, რომ ეს ფაქტი საქმეში აუცილებლად უნდა მოეხსენიებინათ. ამგვარ დეტალებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი, მაგალითად, არ ელოდა ასეთ შეხვედრას. მას ძალიან მოსწონდა ლამაზი ქალები, ოღონდ არა ისეთები, რომლებიც საკუთარ ღირსებებს დემონსტრაციულად წარმოაჩენდნენ. უპირატესობას ნაკლებად თვალში საცემ სილამაზეს ანიჭებდა. მის წინაშე ახლა სწორედ ასეთი ქალი იდგა: იგი საკუთარი სილამაზის ხაზგასმას კი არ ცდილობდა, არამედ პირიქით - როგორც ჩანს, ძალისხმევას არ აკლებდა, რომ ჩვეულებრივი და შეუმჩნეველი ყოფილიყო. თმა სადად გადაევარცხნა, ძველმოდურად ეცვა, თუ სიტყვა „მოდა“ მას საერთოდ მიესადაგებოდა.

აშკარად გაურბოდა კაცების ყურადღებას, რაც ექიმის თვალში კიდევ უფრო მიმზიდველს ხდიდა. მისი დაუფლება ძნელი იქნებოდა. სამაგიეროდ, საოცრად დამატკბობელი.

ახალგაზრდობაში ზარუბინი დიდი მექალთანე იყო და ზოგიერთ სოციალურ წრეში მასზე ლეგენდებიც კი დადიოდა. წარსულში მოპოვებული გამარჯვებების მოგონებით გამხნევებულმა ექიმმა ქალს გაუღიმა.

რაისამ მაშინვე შეამჩნია მისი გაფუჭებული კბილები, რომლებიც, როგორც ჩანს, სიგარეტის დიდხანს მოწევას გაეყვითლებინა, და ღიმილითვე უპასუხა. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ VII ნ ვინმეს გამოგზავნიდა, თუნდაც გაუფრთხილებლად. ახლა იდგა და ელოდა, როდის წარუდგენდა კაცი საკუთარ თავს.

- მე ექიმი ზარუბინი ვარ. ლევის გასინჯვა დამავალეს.

- მე კი რაისა ვარ, ლევის მეუღლე. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა გექნებათ.

ექიმმა ქუდი მოიხადა, ჯიბიდან საბუთი ამოიღო და ქალს გაუწოდა.

ბინაში სანთლები ენთო. რაისამ სტუმარს აუხსნა, რომ ავარიის გამო, მეათედან დაწყებული, ყველა სართულს დენი შეფერხებით მიეწოდებოდა. დროდადრო შუქი რამდენიმე დღეც არ ჰქონდათ. მან მოიბოდიშა - არ ვიცი, დენის მოწოდება როდის აღგვიდგებაო.

ზარუბინმა ამასთან დაკავშირებით გაიხუმრა კიდეც, მაგრამ უმარილოდ: - თქვენი მეუღლე გამოძვრება. ყვავილი ხომ არ არის, ოღონდ სითბო არ მოაკლოთ.

რაისამ ექიმს ცხელი ჩაი შესთავაზა, რადგან გარეთ ძალიან ციოდა. კაცი დათანხმდა და როდესაც ქალი პალტოს გახდაში ეხმარებოდა, მოახერხა და მას, ვითომდა შემთხვევით, ხელზე შეეხო.

სამზარეულოში ექიმი კედელს მიეყრდნო, ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და მასპინძელს მიაცქერდა, რომელიც ჩაის ამზადებდა.

- იმედია, წყალი ჯერაც ცხელი იქნება.

რაისას სასიამოვნო, მშვიდი და რბილი ხმა ჰქონდა. მან პატარა ჩაიდანში ჩაის ფოთლებს მდუღარე წყალი დაასხა და ცოტა ხნის დაყენებული ფერი მოზრდილ ჭიქაში გადაიტანა.

მაგარი, თითქმის შავი ჩაი გამოვიდა. ჭიქის ნახევარი რომ შეავსო, ქალი სტუმარს მიუბრუნდა.

– გიყვართ მაგარი ჩაი?

- დიახ, რაც შეიძლება მაგარი.

– ასეთი იყოს?

– ცოტა წყალი დაამატეთ.

სანამ რაისა სამოვრიდან ჭიქას ავსებდა, ზარუბინმა მასპინძელი თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა. თვალში განსაკუთრებით მისი დიდი მკერდი და ვიწრო წელი მოხვდა. ქალს უგემოვნო ტანსაცმელი ეცვა: ბამბის ნაცრისფერი ქვედაკაბა, სქელი წინდები და თეთრ ბლუზაზე გადაცმული სვიტერი. ექიმს გაუკვირდა, ნეტავ რა უჭირს ლევს ისეთი, რომ ცოლს უცხოურ სამოსს არ აცმევსო. თუმცა უხეში ქსოვილისგან შეკერილი ფართო მოხმარების ტანსაცმელიც კი ვერ ამცირებდა რაისას მიმზიდველობას.

- მომიყევით თქვენი ქმრის შესახებ.

- სიცხე აქვს. ამბობს, რომ სცივა, არადა, ლამის დაიწვას, თანაც ძლიერ აკანკალებს.

ჭამაზეც უარს ამბობს.

– თუ სიცხე აქვს, აჯობებს, საჭმლისგან ცოტა ხანს თავი შეიკავოს... მაგრამ უმადობის გამოწვევა ამფეტამინსაც შეუძლია. ამის შესახებ რამე ხომ არ გსმენიათ?

- თუ ეს მის სამსახურს შეეხება, არაფერი ვიცი.

- მასში რაიმე ცვლილება ხომ არ შეგიმჩნევიათ?

- უსისტემოდ იკვებება. ღამეს შინ იშვიათად ათევს, მაგრამ რა ქნას, ასეთი სამსახური აქვს.

შევამჩნიე, რომ რამდენიმე ღამის თევის შემდეგ ყურადღება ეფანტება.

- გულმავიწყი ხდება?

რაისამ ჩაით სავსე ჭიქა გაუწოდა.

- შაქარი ჩაგიყაროთ?

- მურაბაც საკმარისი იქნება.

ქალი თითის წვერებზე შედგა, რათა ზედა თაროს მისწვდომოდა, ბლუზა ამოეჩაჩა და თოვლივით თეთრი კანი გამოუჩნდა. ზარუბინს პირი გაუშრა. რაისამ თაროდან მუქი წითელი მურაბის ქილა ჩამოიღო, თავსახურავი მოხადა და სტუმარს კოვზი გაუწოდა. კაცმა მურაბა ენაზე დაიდო, ცხელი ჩაი მოსვა და იგრძნო, როგორ ჩაუდნა პირში გემრიელი ტკბილეული. მან მრავალმნიშვნელოვნად შეხედა ქალს თვალებში. რაისა სურვილს მიუხვდა და გაწითლდა.

ზარუბინმა დაინახა, როგორ მოედო ქალს სიწითლე ლოყებზე, შემდეგ ყელისკენ დაეშვა და სვიტერის ქვეშ მიიმალა.

- გპმადლობთ.

– ავადმყოფს ხომ არ გასინჯავდით?

რაისამ ქილას თავი დაახურა, მაგიდაზე დადგა და საძინებლისკენ გადადგა ნაბიჯი.

- ჯერ ჩაის დავამთავრებ. არსად გვეჩქარება.

ქალი მობრუნდა. სხვა რა გზა ჰქონდა. ზარუბინმა ტუჩები მოპრუწა და ფრთხილად შეუბერა სული სითხეს. ჩაი ცხელი და ტკბილი იყო. რაისა დაბნეული ჩანდა, ექიმი კი მისი შეცბუნებით ტკბებოდა და დროს წელავდა.

***

უფანჯრო საძინებელში ჰაერი თითქმის არ იძვროდა. ოფლისა და ავადმყოფობის სუნი იდგა. ზარუბინმა ამ ნიშნითაც უშეცდომოდ დაას-

კვნა, რომ საწოლში მყოფი კაცი მძიმედ იყო ავად. ექიმმა, მისდა გასაოცრად, იმედგაცრუება იგრძნო. სცადა, გაერკვია, ეს რას ნიშნავდა.

საწოლზე ლევის გვერდით ჩამოჯდა და თერმომეტრი ჩაუდო. მაღალი სიცხე ჰქონდა, მაგრამ არცთუ საშიში. ფილტვებს მოუსმინა და საგანგაშო ვერაფერი აღმოაჩინა. ყოველ შემთხვევაში, ლევს ტუბერკულოზი არ სჭირდა. ვერც ჩვეულებრივ გაცივებაზე სერიოზული ავადმყოფობის სიმპტომებს მიაგნო. რაისა იქვე იდგა და მის მოქმედებას აკვირდებოდა. ექიმს ცხვირში მისი ხელებიდან წამოსულმა სურნელოვანი საპნის მსუბუქმა არომატმა შეუღიტინა. მოსწონდა მის სიახლოვეს ყოფნა. მან ჩანთიდან ყავისფერი შუშის ბოთლი ამოიღო და სუფრის კოვზი მწვანე, ბლანტი სითხით გაავსო.

- თავი წამოუწიეთ, თუ შეიძლება.

რაისა ქმარს საწოლზე წამოჯდომაში მიეხმარა. ზარუბინმა მარჯვედ ჩაასხა მას ყელში წამალი. როგორც კი ლევმა გადაყლაპა, რაისამ თავი ისევ ბალიშზე დაადებინა.

– ეს რა იყო?

– ტონუსის ამწევი, კარგად რომ დაიძინოს.

- უწამლოდაც მშვენივრად სძინავს.

ექიმმა არაფერი უპასუხა. ეზარებოდა დამაჯერებელი ტყუილის მოფიქრება. სითხე, რომელიც ახლახან ავადმყოფს წამლის სახით დაალევინა, მისი საკუთარი შემოქმედების ნაყოფი იყო: ბარბიტურატებისა და ჰალუცინოგენების ნარევს დამატებული შაქრის სიროფი სპეციფიკური სუნის გასაქრობად. მას სხეულიცა და გონებაც დროებით მწყობრიდან უნდა გამოეყვანა. იგი ჯერ კუნთებზე მოახდენდა ზეგავლენას, რომლებიც ისე მოდუნდებოდა, რომ უბრალო მოძრაობაც კი უდიდეს ძალისხმევას მოითხოვდა. სულ მალე ჰალუცინოგენებიც დაიწყებდა გონებაზე ზემოქმედებას.

ზარუბინს ჯერ კიდევ სამზარეულოში დაებადა ერთი იდეა, როდესაც რაისას ალმური მოედო, მაგრამ ახლა, მას შემდეგ, რაც ქალისგან წამოსული საპნის სუნი იგრძნო, მან მკაფიო გეგმის სახე მიიღო. თუ უფროსობას მოახსენებდა, რომ ლევი სინამდვილეში ავად არ იყო და თავს იკატუნებდა, აუცილებლად დააპატიმრებდნენ და დაჰკითხავდნენ. მის საქციელში შემჩნეული სხვა ორაზროვნების გათვალისწინებით, იგი ეჭვმიტანილი აღმოჩნდებოდა. მას გაასამართლებდნენ და ციხეში გაუშვებდნენ. მისი მეუღლე, ეს ლამაზი ქალი, ძალზე არასახარბიელო მდგომარეობაში

აღმოჩნდებოდა, თანაც მარტო. მას საიმედო მოკავშირე დასჭირდებოდა. სახელმწიფო უშიშროების იერარქიაში ზარუბინს ლევის ტოლფასი სტატუსი ჰქონდა, თუ მეტი არა. ამიტომ ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ქალს მისაღებ და მოსახერხებელ ალტერნატივას შესთავაზებდა. ვინაიდან ზარუბინს ცოლი ჰყავდა, იგი მისი საყვარელი გახდებოდა. მისი აზრით, რაისას თვითგადარჩენის ინსტინქტი არ უღალატებდა. და მაინც, ვითარების გათვალისწინებით, უფრო მარტივი გზით წასვლა გადაწყვიტა. იგი წამოდგა.

- შეგვიძლია, პირისპირ ვილაპარაკოთ?

სამზარეულოში რაისამ გულხელი დაიკრიფა. შუბლზე, საუცხოო ფერმკრთალ კანზე, ძლივს შესამჩნევი ნაოჭი გაუჩნდა. ზარუბინს უეცრად ძალიან მოუნდა იმ ადგილის ენით ალოკვა.

- ჩემი ქმარი გამოჯანმრთელდება?

- მას სიცხე აქვს. და მზად ვარ, ეს დავადასტურო.

- მზად ხართ, დაადასტუროთ... რომ...

- მზად ვარ, დავადასტურო, რომ იგი მართლა ავადაა.

- მაგრამ ის ხომ ისედაც ავადაა. ახლახან ეს თვითონაც თქვით.

- თუ ხვდებით, აქ რატომ ვარ?

- იმიტომ, რომ ექიმი ხართ, ჩემი ქმარი კი ავადაა.

- იმიტომ გამომგზავნეს, რომ დავრწმუნდე, თქვენი მეუღლე მართლა ავად არის თუ სამუშაოს თავს არიდებს.

- ხომ ცხადია, რომ ავად არის. ექიმი იქნება თუ ვინმე სხვა, ამას ყველა მიხვდება.

- დიახ, მაგრამ სწორედ ამიტომ ვარ აქ. და მე ვწყვეტ, იგი ავადაა თუ არა. ზევით კი იმას დაიჯერებენ, რასაც ვიტყვი.

- ექიმო, თქვენ ხომ ახლახან თქვით, რომ ავადაა და სიცხე აქვსო.

- დიახ, და დავადასტურებ კიდეც ამას, თუ ჩემთან დაწოლას დათანხმდებით.

საოცარია, მაგრამ რაისას სახე ოდნავაც არ შესცვლია. მის სიტყვებზე მცირე რეაქციაც არ ჰქონია. ასეთი გულცივობის დანახვაზე ზარუბინს უფრო ძლიერ მოუნდა ამ ქალის დაუფლება.

მან განაგრძო: - ეს მხოლოდ ერთხელ მოხდება, თუ, რა თქმა უნდა, ჩემდამი ვნებით არ აენთებით. ასეთ შემთხვევაში ურთიერთობის გაგრძელებაც შეგვეძლება. ერთგვარ შეთანხმებას გთავაზობთ: რასაც გსურთ,

იმას მიიღებთ - გონივრული დოზით, რასაკვირველია. ამასთან აუცილებელი არაა, ეს სხვებმა იცოდნენ.

– თუ უარით გაგისტუმრებთ?

- განვაცხადებ, რომ თქვენი ქმარი იტყუება. ვიტყვი, როგორ ცდილობდა ჩემთვის უცნობი მიზეზების გამო თავისი მოვალეობების შესრულებისთვის თავის არიდებას და გამოძიების ჩატარებასა და მის დაკითხვას მოვითხოვ.

- არავინ დაგიჯერებთ.

- დარწმუნებული ხართ? თქვენს ქმარს ისედაც ეჭვით უყურებენ. ასე რომ, ჩემგან საჭირო მიმართულებით მცირე ბიძგიც საკმარისი იქნება.

ზარუბინმა რაისას დუმილი თანხმობად მიიჩნია, მიუახლოვდა და ფრთხილად შეეხო წელზე. ქალს მისთვის ხელი არ უკრავს. სამზარეულოშივე შეეძლოთ ჟიმაობა. ვერავინ ვერაფერს გაიგებდა. ქმარს არ გაეღვიძებოდა. ქალს შეეძლო სიამოვნებისგან ეკვნესა კიდეც, ნებისმიერი ხმა გამოეცა.

რაისამ მას თვალი აარიდა. ეზიზღებოდა ეს კაცი, მაგრამ არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

ზარუბინმა ხელი მაღლა ააცოცა.

- ნუ ღელავ. შენმა ქმარმა უკვე დაიძინა. ხელს ვერ შეგვიშლის. არც ჩვენ შევაწუხებთ.

კაცმა ახლა ქვედაკაბის ქვეშ შეაცურა ხელი.

- იქნებ მოგეწონოს კიდეც. როგორც სხვებს - შენამდე.

იგი ძალზე ახლოს იდგა. რაისა სახეზე მის სუნთქვას გრძნობდა. ზარუბინი მისკენ დაიხარა, პირი ოდნავ გააღო და ყვითელი კბილები ქალს ისე მიუახლოვა, თითქოს მის წინ იდო ვაშლი, რომლის ჩაკბეჩასაც აპირებდა. რაისამ ხელი ჰკრა და განზე გახტომა დააპირა, მაგრამ კაცმა არ გაუშვა.

- ათი წუთი არც ისე დიდი საფასურია ქმრის სიცოცხლის გადასარჩენად. ეს მისთვის მაინც გააკეთე.

ექიმმა რაისა თავისკენ მიიზიდა - ამჯერად უფრო ღონივრად.

მოულოდნელად მან ქალს თავი დაანება და ორივე ხელი მაღლა ასწია - რაისას მისთვის ყელზე დანა მიებჯინა.

- თუ ჩემი ქმრის მდგომარეობის გარკვევას ვერ ახერხებთ, ამის შესახებ მაიორ კუზმინს, ჩვენს ძველ მეგობარს მოახსენეთ. დაე, სხვა ექიმი გამოგზავნოს. ვნახოთ, როგორი იქნება მისი დასკვნა.

ორივემ ერთდროულად გადადგა ნაბიჯი გვერდზე. დანა კვლავაც ეხებოდა კისერზე ზარუბინს, როდესაც იგი უკუსვლით ნელა დაიძრა სამზარეულოს კარისკენ. რაისა ზღურბლთან გაჩერდა, დანა ამჯერად ქამრის დონეზე ეჭირა. ექიმმა თავისი პალტო ჩამოხსნა და აუჩქარებლად ჩაიცვა, შემდეგ იატაკიდან ტყავის პორტფელი აიღო და კარი გააღო. ზამთრის დღის კაშკაშა შუქმა თვალები მოაყუტვინა.

- მხოლოდ ბავშვებს სჯერათ მეგობრობის, თანაც სულელ ბავშვებს, - ჩაილაპარაკა მან.

რაისამ ნაბიჯი უკან გადადგა, საკიდრიდან წაულას ქუდი ჩამოგლიჯა და კაცს ფეხებთან მიუგდო. როდესაც ზარუბინი მის ასაღებად დაიხარა, კარი მიაჯახუნა.

კაცის ფეხის ხმა სულ უფრო შორიდან ისმოდა. ქალმა იგრძნო, რომ ხელები უკანკალებდა.

დანა კვლავაც ხელში ეჭირა და თითებს უჭერდა. შესაძლოა, თვითონ მისცა კაცს იმის გაფიქრების საბაბი, რომ მასთან დაწოლას დასთანხმდებოდა. რაისამ ამასწინანდელი მოვლენები გაიხსენა: როგორ გააღო კარი, როგორ გაიღიმა კაცის სულელურ ხუმრობაზე, როგორ ჩამოართვა პალტო და ჩაიც მოუდუღა. არა, ზარუბინი შეცდა. რაისა ამას ვერ იზამდა... მაგრამ იქნებ თავი უნდა მოეკატუნებინა, თითქოს მის მიმზიდველ წინადადებაზე ფიქრობდა.

შესაძლოა, იმ ბებერი სულელისთვის იმის დანახვაც საკმარისი ყოფილიყო, რომ ქალს მისი გაარშიყება და გადაკრული სიტყვები ესიამოვნა. რაისამ შუბლი მოისრისა. არა, სხვაგვარად მართებდა მოქცევა. ახლა მასაც და ლევსაც საფრთხე ელოდა.

იგი საძინებელში შევიდა და ლევის საწოლის კიდეზე ჩამოჯდა. ქმარმა ტუჩები შეარხია, თითქოს გულში ლოცულობდა. რაისა მისკენ დაიხარა, სიტყვების გარჩევა სცადა, მაგრამ მხოლოდ უთავბოლო ფრაზების ნაწყვეტებს მოჰკრა ყური. ლევი ბოდავდა, შემდეგ ცოლს ხელზე ხელი სტაცა. ცხელი და ოფლიანი ხელისგული ჰქონდა. ქალმა ხელი გაითავისუფლა და სანთელი ჩააქრო.

***

ლევი თოვლში იდგა. მის წინ მდინარე მიედინებოდა. ანატოლი ბროდსკი უკვე მეორე ნაპირზე გადასულიყო. როგორდაც მოეხერხებინა მდინარის დაძლევა და ახლა ტყეს უახლოვდებოდა. ლევმა მისკენ ნაბიჯი

მხოლოდ იმიტომ გადადგა, რომ დაენახა, როგორ იწვნენ მის ფეხებთან, ყინულქვეშ, ის ქალები და მამაკაცები, რომლებიც მას კარიერის მანძილზე დაეპატიმრებინა. ჯერ მარჯვნივ გაიხედა, შემდეგ მარცხნივ - მთელი მდინარე გაყინულ სხეულებს დაეფარა. თუ მეორე ნაპირზე გადასვლა და მოღალატის დაწევა სურდა, ამ გვამებზე უნდა გადაევლო. მაგრამ არჩევანი არ ჰქონდა - თავისი მოვალეობა უნდა შეესრულებინა - და ნაბიჯს მოუჩქარა. მაგრამ, როგორც ჩანს, მისმა შეხებამ გარდაცვლილები სიცოცხლისკენ შემოაბრუნა. ყინულმა დნობა დაიწყო. მდინარე გამოცოცხლდა და ამოძრავდა. ლევი შლამში ეფლობოდა, ფეხქვეშ ადამიანთა სახეებს გრძნობდა. გაიქცა, მაგრამ ისინი ყველგან იყვნენ: ქვევით, გვერდზე, წინ. ვიღაც ჩექმაში ჩაეჭიდა - ძლივს დაიხსნა თავი. ახლა კოჭზე შემოეჭდო ხელი - მას მეორე, მესამე და მეოთხე მიჰყვა. თვალები დახუჭა. აღარ შეეძლო მათი ყურება.

გაიტრუნა და ელოდა, წყალში როდის ჩაითრევდნენ.

როდესაც ლევმა თვალი გაახილა, რომელიღაც უფერულ კაბინეტში იდგა. გვერდით რაისა ედგა. ქალს ბაცი წითელი კაბა ეცვა, რომელიც ქორწინების დღისთვის მეგობრისგან ეთხოვა და სასწრაფოდ გადაეკეთებინა, რადგან მისთვის ოდნავ განიერი იყო. თმაში პარკში მოწყვეტილი თეთრი ყვავილი ჩაემაგრებინა. ლევს ნაცრისფერი, უბრალო კოსტიუმი ტანზე ცუდად ედგა - მასაც თავისი კოლეგისგან ეთხოვა იგი. ისინი ხელიხელჩაკიდებულნი იდგნენ სახელმწიფო დაწესებულების ერთ-ერთ უბადრუკ, გასაცოდავებულ ოთახში მდგარი მაგიდის წინ, რომლის მეორე მხარეს ვიღაც თმაშეთხელებული, ქაღალდებში თავჩარგული ჩინოვნიკი იდგა. რაისას მისთვის საბუთები მიეწოდებინა და ახლა ელოდნენ, როდის დარწმუნდებოდა იგი დოკუმენტების ნამდვილობაში და მათ პიროვნებებსაც გადაამოწმებდა. აქ არც საქორწინო ფიცს წარმოთქვამდნენ, არც საზეიმო ცერემონია იმართებოდა და არც ყვავილების თაიგულები ჩანდა სადმე. აქაურობას სტუმრებიც აკლდა, სიხარულის ცრემლებიც და კეთილისმსურველებიც. მხოლოდ თვითონ იყვნენ, ორნი, ეცვათ საუკეთესო სამოსი, რომლის შოვნაც მოეხერხებინათ. სიჩუმე იდგა. არავინ ფუსფუსებდა: ფუსფუსი ბურჟუებს უყვარდათ.

ერთადერთი მოწმე იყო სიქაჩლეშეპარული ჩინოვნიკი, რომელსაც მათი საპასპორტო მონაცემები სქელ, გაცვეთილ საბუღალტრო წიგნში შეჰქონდა. როგორც კი ბიუროკრატიული პროცედურები დასრულდა, მათ ქორწინების მოწმობა გადასცეს და ისინი ცოლი და ქმარი გახდნენ.

ქორწილი მშობლების ძველ ბინაში გადაიხადეს, სადაც მათ მეგობრებსა და მეზობლებს მოეყარათ თავი და ერთი სული ჰქონდათ, მასპინძელთა სტუმართმოყვარეობით ესარგებლათ.

ხანში შესული მამაკაცები უცნობ სიმღერებს მღეროდნენ. მაგრამ ამ მოგონებებს ერთი უცნაურობა ახლდა თან: ყველას ცივი და მტრული სახე ჰქონდა. როგორღაც იქ ფიოდორის მთელი ოჯახიც აღმოჩნდა. ლევი ჯერ კიდევ ცეკვავდა, როდესაც მოულოდნელად ქორწილი დაკრძალვად გადაიქცა. ყველა მას შეჰყურებდა. ფანჯარაზე ვიღაცამ დააკაკუნა. ლევი იქით შეტრიალდა და მინაზე მიკრული ადამიანის სილუეტი დაინახა. მიუახლოვდა, ფანჯრიდან ორთქლი გადაწმინდა და ხელში უმოწყალოდ ნაცემი, თავგახვრეტილი და ყბაგატეხილი მიხაილ სვიატოსლავოვიჩ ზინოვიევი შერჩა. ლევმა უკან დაიხია და შეტრიალდა. ოთახში აღარავინ დახვდა, ორი პატარა ჩამოძონძილი გოგონას - ზინოვიევის შვილების გარდა.

დაობლებულებს მუცლები გაჰბეროდათ, მთელ სხეულზე ბებერები მოსდებოდათ. ტანსაცმელი ტილებით გავსებოდათ, რომლებიც დაუბანელ, აბურდულ თმასა და წარბებში დაფუთფუთებდნენ. ლევმა თვალები მაგრად დახუჭა და თავი შეაჯანჯღარა.

აკანკალებულმა და სიცივისგან გათოშილმა თვალი გაახილა. წყალქვეშ იყო და ფსკერისკენ მიექანებოდა. მის თავს ზემოთ ხელუხლებელი ყინული მოჩანდა. ამოცურვა სცადა, მაგრამ წყალი ქვევით ექაჩებოდა. ყინულზე ხალხი იდგა. ყველა ხედავდა, როგორ იხრჩობოდა ლევი.

მან ფილტვებში საშინელი ტკივილი იგრძნო, სუნთქვის შეკავება ვეღარ მოახერხა და პირი გააღო.

***

ლევმა ძლივს ამოისუნთქა და თვალი გაახილა. გვერდით რაისა ეჯდა და მის დამშვიდებას ცდილობდა. მან შეშფოთებულმა მიიხედ-მოიხედა: მისი გონება ნაწილობრივ სიზმრების სამყაროში იმყოფებოდა, ნაწილობრივ - ცხადში. მაგრამ აქ რეალობა იყო. იგი საკუთარ ბინაში, საკუთარ საწოლში იწვა. გულდამშვიდებულმა რაისას ხელზე ხელი დაადო და ჩურჩულით, ავტომატის ჯერივით მიაყარა: - გახსოვს, ერთმანეთს პირველად რომ შევხვდით? თავიდან თავხედი გეგონე, რადგან თვალს არ გაცილებდი. ჩემი გაჩერებაც კი გამოვტოვე მეტროთი მგზავრობისას, მხოლოდ იმიტომ, რომ შენი სახელი გამეგო. შენ კი არ მელაპარაკებოდი, მაგრამ

არ მოგეშვი. მაშინ მომატყუე და მითხარი, რომ ლენა გერქვა. მთელი კვირის განმავლობაში მხოლოდ ლამაზ ქალიშვილზე, ლენაზე ვფიქრობდი, ყველას ლენას სილამაზეზე ვუყვებოდი. როდესაც კვლავ შეგხვდი და გასეირნებაზე დაგითანხმე, ლენათი მოგმართავდი. დამშვიდობებისას კოცნა დაგიპირე, მაგრამ შენ მხოლოდ ნამდვილი სახელი გამიმხილე. მეორე დღეს ყველას უკვე იმას ვუყვებოდი, როგორი შესანიშნავი გოგო იყო რაისა, და ყველა დამცინოდა. მეუბნებოდნენ, გასულ კვირას ლენა გყავდა, ახლა რაისა გყავს, მომდევნო კვირას კი სხვა გეყოლებაო. მაგრამ მეტი აღარავინ მყოლია. ყოველთვის მხოლოდ შენ ერთი მყავდი.

რაისა ქმარს უსმენდა და უკვირდა სენტიმენტალობის მოულოდნელი მოზღვავება. შემდეგ ლევს თავი ბალიშზე დაადებინა და ისიც კვლავ ძილად მივარდა. ექიმ ზარუბინის წასვლიდან თითქმის თორმეტი საათი მიიწურა. ეს პატივმოყვარე და უარყოფილი ხნიერი კაცი საშიშ მტრად მიაჩნდა. უსიამოვნო ფიქრებისთვის თავი რომ დაეღწია, გადაწყვიტა, წვნიანი მოემზადებინა - ცხიმიანი ქათმის ბულიონი ხორცის ნაჭრებით, და არა უბრალო - მოხარშული ბოსტნეულითა და ძვლებით. ნელ ცეცხლზე აადუღა, რათა ლევს ცოტა მაინც ეჭამა, როცა მადაზე მოვიდოდა. კოვზით მოურია და ერთი თეფში თავისთვის დაისხა, მაგრამ მაგიდასთან დაჯდომა ვერ მოასწრო, როდესაც კარზე დააკაკუნეს. უკვე გვიან იყო. სტუმრებს არ ელოდა.

რაისამ კვლავ ის დანა აიღო, ზურგს უკან დამალა და კართან მივიდა.

- ვინ არის?

- მაიორი კუზმინი ვარ.

ქალმა აკანკალებული ხელებით გააღო კარი.

ზღურბლზე მაიორი კუზმინი იდგა დაცვის - ორი ახალგაზრდა, მკაცრი შესახედაობის ჯარისკაცის თანხლებით.

- ცოტა ხნის წინ ექიმი ზარუბინი მელაპარაკა.

რაისამ აჩქარებით წაილუღლუდა: - თუ შეიძლება, თვითონ შეხედეთ მას...

კუზმინს სახეზე გაკვირვება გამოესახა.

- არა, ეს აუცილებელი არაა. ზედმეტად რატომ უნდა შევაწუხო. სამედიცინო საკითხებში ექიმს ყველაფერში ვენდობი. თანაც, სიმხდალეში არ ჩამომართვათ და, არ მინდა, მისგან რამე გადმომედოს.

რაისას ვერ გაეგო, რა ხდებოდა. ექიმს სიმართლე ეთქვა. მან ტუჩი მოიკვნიტა, რათა არ დასტყობოდა, რომ გულზე მოეშვა. მაიორმა განაგ-

რძო: - თქვენი სკოლის დირექტორს ვესაუბრე და ავუხსენი, რომ შვებულება აიღეთ, რადგან ლევს უნდა მიხედოთ, სანამ არ გამოჯანმრთელდება. იგი ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო ოფიცერია და ჯანმრთელი გვჭირდება.

- გაუმართლა, ასეთი მზრუნველი კოლეგები რომ ჰყავს.

პასუხად კუზმინმა ხელი ჩაიქნია და თვალებით ანიშნა რადაც მის გვერდით მდგარ ჯარისკაცს, რომელსაც ხელში ქაღალდის დიდი პაკეტი ეჭირა. მან ნაბიჯი წინ გადმოდგა და ამანათი რაისას გადასცა.

- ეს ექიმ ზარუბინის საჩუქარია. ასე რომ, მადლობას მე ნუ გადამიხდით.

რაისა დანას კვლავაც ზურგს უკან მალავდა. პაკეტის გამოსართმევად ორივე ხელი სჭირდებოდა. ამიტომ იარაღი ქვედაკაბის ქამარში ჩაიდო და ჯარისკაცისგან ძღვენი გადმოიბარა, რომელიც მოსალოდნელზე მძიმე აღმოჩნდა.

- არ შემოხვალთ?

- გმადლობთ, მაგრამ უკვე გვიანაა, თანაც დავიღალე.

კუზმინმა რაისას ღამე მშვიდობისა უსურვა და წავიდა.

მან კარი მიხურა, სამზარეულოში გავიდა, პაკეტი მაგიდაზე დადო, ქამრიდან დამალული დანა ამოიღო და საჩუქარი გახსნა. შიგნით ფორთოხალი და ლიმონი ეწყო - წარმოუდგენელი ფუფუნება და პირის ჩასატკბარუნებელი ქალაქში, სადაც კვების ძირითადი პროდუქტებიც კი არ ჰყოფნიდა ყველას. მაგრად დახუჭა თვალები და წარმოიდგინა, რამხელა სიამოვნებას მიიღებდა ზარუბინი, რომელსაც სჯეროდა რაისას უსაზღვრო მადლიერებისა იმის გამო, რომ თავისი სამუშაო პატიოსნად შეასრულა და უფროსებს მოახსენა, ლევი მართლა ავად არისო, ფორთოხლისა და ლიმონის გამოგზავნით კი აგრძნობინებდა, ჩემი ვალი გაქვსო. შეეძლო ისე მოეწყო, რომ ორივე დაეპატიმრებინათ. რაისამ პაკეტი ვაზაზე გადმოაპირქვავა და დიდხანს შესცქეროდა ხასხასა, სადღესასწაულო ხილს, სანამ რომელიმეს ხელში აიღებდა. გადაწყვიტა, რომ შეჭამდა კაცის საჩუქარს, მაგრამ ერთ ცრემლსაც არ გადმოაგდებდა.

19 თებერვალი ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ლევმა პირველად აიღო საავადმყოფოს ფურცელი.

გულაგში პატიმართა ერთი ნაწილი შრომითი დისციპლინის დარღვევის გამო იხდიდა სასჯელს: მათ სამუშაო ადგილი ან დაუშვებლად დიდი ხნის განმავლობაში მიეტოვებინათ, ან სამსახურში ნახევარი საათით და-

ეგვიანათ. შინ დარჩენასა და გამოჯანმრთელებაზე უსაფრთხო სამუშაოზე გასვლა და გონების დაკარგვა იყო. სამსახურში წასვლა-არწასვლას ადამიანს არავინ ეკითხებოდა. ლევს მსგავსი საფრთხე არ ემუქრებოდა. რაისას თქმით, იგი ჯერ ექიმმა გასინჯა, შემდეგი კი მათ მაიორი კუზმინი ესტუმრა და ნება მისცა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამსახურში არ გამოცხადებულიყო. ეს კი ნიშნავდა, რომ მის შეშფოთებას საფუძვლად სხვა მიზეზი ედო. რაც უფრო მეტს ფიქრობდა ამაზე, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ არ ცდებოდა. მას, უბრალოდ, სამუშაოზე დაბრუნება არ სურდა.

მომდევნო სამი დღე შინიდან აღარ გასულა, სამყაროს გაემიჯნა, ლოგინში იწვა, ლიმონიან და შაქრიან ცხელ ჩაის წრუპავდა, ბორშჩს მიირთმევდა და კარტს ეთამაშებოდა ცოლს, რომელიც ავადმყოფობის გამო შეღავათს არ უწევდა და ყველა ხელს უგებდა, მაგრამ, ძირითადად, მაინც ეძინა. პირველი ღამის შემდეგ კოშმარულ სიზმრებს აღარ ხედავდა.

სამაგიეროდ, მათი ადგილი მოწყენილობამ დაიკავა. იმედოვნებდა, რომ დროთა განმავლობაში ესეც გაუვლიდა, რომ ეს მეტამფეტამინის ბრალი იყო, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა.

მაშინ ლევმა მოაგროვა, რაც კი ნარკოტიკი ჰქონდა, - მონაცრისფრო-მოთეთრო კრისტალებით სავსე რამდენიმე ფლაკონი, - და უნიტაზში ჩაყარა. მორჩა, ნარკოტიკების ზემოქმედებით აღარავის დააპატიმრებდა. მაგრამ განა მთავარი ნარკოტიკი იყო? ან დაპატიმრება?

თანდათანობით ლევი გამოჯანმრთელდა და მიხვდა, რომ ბოლო დღეების მოვლენებში სულ უფრო უკეთ ერკვეოდა. მათ შეცდომა დაუშვეს და ამ შეცდომას ანატოლი ტარასოვიჩ ბროდსკი ერქვა. ეს უდანაშაულო კაცი შემთხვევით მოხვდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და შეუბრალებელი, მაგრამ არცთუ უშეცდომოდ მომუშავე სახელმწიფო მანქანის ბორბლებქვეშ. არ გაუმართლა. მაგრამ მხოლოდ ერთი ადამიანი მათ მიერ შესრულებული სამუშაოს აუცილებლობას ეჭვქვეშ ვერ დააყენებდა. ასე არ გამოვიდოდა. მათი მოქმედების პრინციპს ვერაფერი შეცვლიდა. სახელმწიფოს დაცვა ერთი, თუნდაც ათასი კაცის სიცოცხლეზე მაღლა იდგა. რამდენს იწონიდა საბჭოთა კავშირის ყველა ქარხანა, მანქანა-დანადგარი და ჯარი? ამ მასასთან შედარებით ერთი ადამიანის სიცოცხლე არაფერს ნიშნავდა. ლევი საკუთარ თავს ეუბნებოდა, რომ მთავარი თანაზომიერების დაცვა იყო. მხოლოდ ასე შეიძლებოდა სიცოცხლისა და გონების შენარჩუნება. გონივრულ ახსნად ეჩვენებოდა, მაგრამ მისი არ სჯეროდა.

მის პირდაპირ, ლუბიანკის მოედნის ცენტრში, ხასხასა მწვანე ბალახში, ფელიქს ძერჟინსკის ქანდაკება იდგა, რომლის გარშემოც მუდამ გაცხოველებით მოძრაობდნენ მანქანები.

ძერჟინსკის მიერ განვლილი ცხოვრება ლევმა ზეპირად იცოდა. ისევე, როგორც ყველა აგენტმა.

მეფის რეჟიმის დამხობის შემდეგ იგი ლენინის მიერ შექმნილი პოლიტიკური პოლიციის - ჩეკას პირველი ხელმძღვანელი გახლდათ, შინსახკომის დამაარსებელი, ყველასთვის მისაბაძი მაგალითი. სახელმძღვანელოები მისი გამონათქვამებით იყო აჭრელებული, მაგრამ მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი და თვალში საცემი ასე ჟღერდა: ჩეკისტმა გული სისასტიკით უნდა გამოიწრთოს.

სისასტიკე მათი სამსახურებრივი კოდექსის განუყოფელ ნაწილად, ზნეობრიობად, აუცილებლობად იქცა. ეცადეთ, გახდეთ სასტიკი! სწორედ სისასტიკე იყო იდეალური სახელმწიფოს გასადები. თუ ჩეკისტობა ერთგვარი რელიგიური დოქტრინის მიმდევრობას ნიშნავდა, სისასტიკე - მის ერთ-ერთ მთავარ მცნებას.

როდესაც ლევი სწავლობდა, ათლეტიზმსა და ფიზიკურ მომზადებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ეს ფაქტი უფრო ეხმარებოდა, ვიდრე ხელს უშლიდა მის კარიერულ წინსვლას და ისეთი ადამიანის სახეს აძლევდა, რომელიც იმდენად მეტ ნდობას იმსახურებდა სხვების თვალში, რამდენადაც კაბინეტში ჩაკეტილი მეცნიერი იწვევდა ეყვს. თუმცა ეს, იმავდროულად, იმასაც გულისხმობდა, რომ კვირაში ერთი ღამე მაინც სახელმძღვანელოებს უნდა ჩასჯდომოდა და საგულდაგულოდ ამოეწერა ის გამონათქვამები, რომელთა ზეპირად ცოდნა ყოველ აგენტს მოეთხოვებოდა. დამახსოვრების ცუდი უნარის გამო, რასაც ნარკოტიკების მოხმარება კიდევ უფრო უუარესებდა, წიგნის ჭიად ვერაფრით იქცა. მაგრამ საკვანძო პოლიტიკური გამოსვლების დამახსოვრებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

ნებისმიერი შეცდომა საქმისადმი ერთგულებისა და რწმენის არქონას ნიშნავდა. და ახლა, როდესაც სახლში გატარებული სამი დღის შემდეგ ლუბიანკის კარს უახლოვდებოდა და ძერჟინსკის ქანდაკებას შეჰყურებდა, ლევი უეცრად მიხვდა, რომ მის მახსოვრობას რაღაც დამართოდა - მართალია, ციტატებს კი ინახავდა, მაგრამ არასრულად და არეულ-დარეულად.

ჩეკისტთა ბიბლიის აქსიომებიდან და პრინციპებიდან, ათასობით სიტყვიდან და გამოთქმიდან მხოლოდ სისასტიკის მნიშვნელოვნობა ახსოვდა.

ლევს კუზმინის კაბინეტში უხმეს. მაიორი მაგიდასთან იჯდა. მან ხელით ანიშნა, რომ მის პირდაპირ დამჯდარიყო.

- უკეთესად ხარ?

- დიახ, გმადლობთ. ცოლმა მითხრა, რომ მოსულხართ.

- ვწუხდით შენზე. აქამდე ავად არასდროს გამხდარხარ. შენი პირადი საქმე გადავათვალიერე.

- ბოდიშს გიხდით.

- რა შენი ბრალია. ძალიან ვაჟკაცურად მოიქეცი, როდესაც ყინულივით ცივ წყალში გადაეშვი. გვიხარია, ბროდსკის გადარჩენა რომ მოახერხე. მან უმნიშვნელოვანესი ცნობები მოგვაწოდა.

კუზმინმა მაგიდაზე მის წინ დადებულ თხელ შავ საქაღალდეზე თითი დააკაკუნა.

- შენს არყოფნაში ბროდსკიმ ყველაფერი აღიარა. ამას ორი დღე და ქაფუროვანი შოკური თერაპიის ორი სეანსი დასჭირდა. საოცარი სიჯიუტე გამოავლინა, მაგრამ ბოლოს მაინც გატყდა.

დაასახელა შვიდი კაცის გვარი, რომლებიც ინგლისელებსა და ამერიკელებს თანაუგრძნობდნენ.

– ახლა სად არის?

- ბროდსკი? წუხელ დახვრიტეს.

აბა, სხვას რას ელოდა ლევი? ცდილობდა, სახეზე არაფერი დასტყობოდა, თითქოს მას ადამიანის დახვრეტის კი არა, ქუჩაში აცივების შესახებ შეატყობინეს. კუზმინმა შავი საქაღალდე აიღო და ლევს გაუწოდა.

– აქ მისი აღიარების სრული ტექსტია.

ლევმა საქაღალდე გახსნა. მზერა პირველივე სტრიქონზე შეაჩერა.

მე, ანატოლი ტარასოვიჩ ბროდსკი, ჯაშუში ვარ.

ლევმა მანქანაზე დაბეჭდილი ფურცლები გადაათვალიერა. მაშინვე იცნო ნაცნობი შაბლონი: თავდაპირველად მობოდიშება და სინანული, შემდეგ საკუთარი დანაშაულის აღწერა. ასეთი რამ ათასჯერ მაინც ენახა. აღიარებები ერთმანეთისგან მხოლოდ ორიოდე დეტალით - გვარებითა და ადგილების სახელწოდებებით განსხვავდებოდა.

- გინდათ, რომ ახლა წავიკითხო?

კუზმინმა უარის ნიშნად თავი გადააქნია და მას დაბეჭდილი კონვერტი გაუწოდა.

- მან შვიდი კაცი დაასახელა. ექვსი საბჭოთა მოქალაქე და ერთი უნგრელი. ყველანი კოლაბორაციონისტები არიან. ისინი სხვა ქვეყნების მთავრობებთან თანამშრომლობდნენ.

ექვსი გვარი სხვა აგენტებს გადავეცი. მეშვიდეს შენ მიხედავ. იმის გათვალისწინებით, რომ ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო თანამშრომელი ხარ, ყველაზე რთული საქმე შეგხვდა. კონვერტში ჩვენი წინასწარი სამუშაოს შედეგები, რამდენიმე ფოტოსურათი და ის ინფორმაციაა, რაც ამ დროისთვის ამ მოქალაქეზე გვაქვს. როგორც ხედავ, საკმაოდ ცოტაა. შენი ამოცანაა შეძლებისდაგვარად ბევრი ცნობა შეაგროვო და თუ ანატოლიმ არ იცრუა, თუ ეს ადამიანი მართლა მოღალატეა, შენ მას დააპატიმრებ და დადგენილი წესის მიხედვით აქ მოიყვან.

ლევმა კონვერტი გახსნა და იქიდან რამდენიმე შავ-თეთრი ფოტოსურათი ამოიღო. ისინი შორიდან გადაეღოთ, ობიექტზე ფარული თვალთვალის დროს.

ყველა ფოტოსურათზე ლევის ცოლი იყო აღბეჭდილი.

იგივე დღე საღამო ახლოვდებოდა და რაისამ შვებით ამოისუნთქა. ბოლო რვა საათის განმავლობაში იგი ყველა კლასში ერთსა და იმავე მასალას კითხულობდა. ჩვეულებრივ, სავალდებულო პოლიტიკურ ისტორიას ასწავლიდა, მაგრამ დღეს განათლების სამინისტროდან სპეციალური მითითება მიიღო და გაკვეთილი თანდართული სასწავლო გეგმის მიხედვით უნდა ჩაეტარებინა. ცხადია, მსგავს ინსტრუქციას მოსკოვის ყველა სკოლა მიიღებდა, რაც ამ მითითების დაუყოვნებლივ შესრულებას გულისხმობდა, ჩვეულებრივ გაკვეთილებს კი ხვალ განაახლებდნენ. ინსტრუქციაში დაწვრილებით განმარტავდნენ, რომ მას ყოველ კლასში მოსწავლეებთან ერთად უნდა განეხილა ის, თუ როგორ ძლიერ უყვარდა სტალინს საკუთარი ქვეყნის ბავშვები. სიყვარული თავისთავად პოლიტიკის გაკვეთილში გადაიზარდა. რაც კი ამქვეყნად სიყვარული არსებობდა, ბელადისა და, შესაბამისად, ბელადისადმი თითოეული მოქალაქის სიყვარული ყველას აღემატებოდა. სტალინს სურდა, - და ეს ამ სიყვარულის შემადგენელი ნაწილი იყო, - რომ ყველა ბავშვს, ასაკის მიუხედავად, კარგად დაემახსოვრებინა სიფრთხილის ზომები, რომლებიც ყოველდღე უნდა დაეცვათ. ქუჩაზე გადასვლამდე ჯერ მარცხნივ უნდა გაეხედათ, შემდეგ - მარჯვნივ. სიფრთხილის გამოჩენა მართებდათ მეტროპოლიტე-

ნით მგზავრობის დროსაც, განსაკუთრებული ყურადღება კი იმას უნდა მიქცეოდა, რომ მათ რკინიგზის ლიანდაგებზე არ ეთამაშათ. ბოლო წლის განმავლობაში რკინიგზაზე რამდენიმე ტრაგიკული შემთხვევა მოხდა. საბჭოთა ბავშვების უსაფრთხოება ყველაფერზე მაღლა იდგა. ქვეყნის მომავალი ხომ მათზე იყო დამოკიდებული. მასალის გასამტკიცებლად რამდენიმე უბრალო მაგალითი უნდა მოეყვანათ. შემდეგ ყოველი კლასი დაწერდა პატარა საკონტროლოს იმის შესამოწმებლად, თუ როგორ აითვისეს ახალი მასალა.

ვის უყვარხართ ყველაზე მეტად? სწორი პასუხი: სტალინი.

ვინ გიყვართ ყველაზე მეტად? სწორი პასუხი: იხილე მაღლა.

(არასწორი პასუხები ცალკე უნდა დაეფიქსირებინათ.) რისი გაკეთება არ შეიძლება არასდროს?

სწორი პასუხი: რკინიგზის ლიანდაგებზე თამაში.

რაისა ვარაუდობდა, რომ ბოლო განკარგულება მოსახლეობის რაოდენობასთან დაკავშირებით პარტიის წუხილის შედეგად გაჩნდა.

როგორც წესი, მისი გაკვეთილები, სხვა საგნებთან შედარებით, გაცილებით მომქანცველი იყო. და თუმცა არავინ ითხოვდა, რომ რომელიმე მათემატიკური განტოლების ამოხსნის შემდეგ მოსწავლეებს ტაში დაეკრათ, იგულისხმებოდა, რომ გენერალისიმუს სტალინის, საბჭოთა სახელმწიფოს ან მომავალი მსოფლიო რევოლუციის ყოველ ხსენებას ტაშით უნდა შეხვედროდნენ. მოსწავლეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, არავის უნდოდა, რომ გვერდით მჯდომ ამხანაგზე ნაკლები ერთგულება გამოეჩინა დიადი და ნათელი მომავლის მიმართ.

გაკვეთილი ყოველ ხუთ წუთში წყდებოდა, მოწაფეები დგებოდნენ და ან ფეხებს აბაკუნებდნენ, ან მერხებზე მუშტებს აბრახუნებდნენ. რაისაც დგებოდა და საყოველთაო აღფრთოვანებას უერთდებოდა. ხელისგულები რომ არ სტკენოდა, თავს იკატუნებდა, თითქოს მხურვალედ უკრავდა ტაშს, სინამდვილეში კი თითებს ოდნავ ახებდა ერთმანეთს.

თავდაპირველად ფიქრობდა, რომ მოსწავლეებს ხმაური მოსწონდათ და შემთხვევას არ უშვებდნენ ხელიდან გაკვეთილის შესაწყვეტად, მაგრამ დროთა განმავლობაში მიხვდა, რომ ცდებოდა. მათ ეშინოდათ. აქედან გამომდინარე, დისციპლინის შენარჩუნება მისთვის პრობლემად არასდროს ქცეულა. იგი იშვიათად უწევდა ხმას, დამუქრებითაც თითქმის არავის დამუქრებია. ექვსი წლის ბავშვებიც კი ხვდებოდნენ, რომ ხელისუფლებისადმი უპატივცემულობის გამოხატვა ან უნებართვოდ ლა-

პარაკი იმას ნიშნავდა, რომ საკუთარ ბედზე თვითონ უნდა ეგოთ პასუხი. ასაკის გამო შეღავათს არავის უწევდნენ. ზოგიერთი დანაშაულისთვის თორმეტი წლის ბავშვების დახვრეტაც კი შეიძლებოდა, თუ მას თვითონ ან მათი მშობლები ჩაიდენდნენ. ამის შესახებ საუბრის უფლება რაისას არ ჰქონდა.

მიუხედავად იმისა, რომ კლასებში ბევრი მოწაფე იყო, რომელთა რაოდენობაც აუცილებლად გაიზრდებოდა, რომ არა ომის საშინელი ზეგავლენა ქვეყნის დემოგრაფიაზე, თავდაპირველად იგი ცდილობდა, თითოეული მოსწავლისთვის სახელით მიემართა. ამით სურდა მათთვის ეგრძნობინებინა, რომ ყოველ მათგანს პიროვნებად აღიქვამდა, მაგრამ მალე ერთი უცნაურობა შეამჩნია: როდესაც ბავშვებს სახელით მიმართავდა, ისინი თავს უხერხულად გრძნობდნენ.

როგორც ჩანს, ფიქრობდნენ, რომ ეს მათთვის საფრთხეს შეიცავდა.

თუ მე შენს სახელს დავიმახსოვრებ, ერთ მშვენიერ დღეს შესაძლოა, დაგასმინო კიდეც.

ამ მოწაფეებს უკვე აეთვისებინათ ანონიმურობის ყველა უპირატესობა და რაისა მიხვდა, რომ მათ ერჩივნათ, თუ თითოეულ მათგანს რაც შეიძლება ნაკლებ ყურადღებას მიაქცევდა.

არასრული ორი თვის თავზე რაისა სახელით აღარავის მიმართავდა და ჟესტების ენას მიუბრუნდა.

და მაინც, სხვა მასწავლებლებთან შედარებით, საწუწუნო არაფერი ჰქონდა. სკოლა, რომელშიც ასწავლიდა, 127-ე საშუალო სკოლა - ბეტონის მოკლე და განიერ ხიმინჯებზე მდგარი მართკუთხა შენობა - საბჭოური განათლების სისტემის ერთ-ერთი მარგალიტთაგანი იყო. მას ხშირად უღებდნენ სურათებს, მასზე ხშირად წერდნენ, იგი თვით ნიკიტა ხრუშჩოვმა გახსნა და გრძელი სიტყვაც წარმოთქვა ახალ სპორტულ დარბაზში, რომლის იატაკიც ისე გაესანთლათ, დაცვის წევრები თავს ძლივს იკავებდნენ, რომ არ დაცემულიყვნენ. მან განაცხადა, რომ განათლებას ქვეყნის მოთხოვნებისთვის უნდა აეწყო ფეხი. სამშობლოს მაღალკვალიფიციური, ჯანმრთელი ახალგაზრდა მეცნიერები, ინჟინრები და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები სჭირდებოდა. მთავარი კორპუსის გვერდით მდებარე სპორტული დარბაზი სიგანით სკოლას აღემატებოდა და დახურული სარბენი ბილიკით, ნაირგვარი ლეიბით, გვერგვებით, თოკის კიბეებითა და სატანვარჯიშო იარაღებით იყო აღჭურვილი. ეს ყველაფერი მაქსიმალურად გამოიყენებოდა როგორც გაკვეთილების დროს, ისე მათ შემდე-

გაც, რადგან თითოეულ მოსწავლეს, ასაკის მიუხედავად, დღეში ერთი საათი უნდა ევარჯიშა. ხრუშჩოვის გამოსვლის არსი და სკოლის ამგვარი პროექტი რაისასთვის სრულიად გასაგები იყო: ქვეყანა უარს ამბობდა პოეტებზე, ფილოსოფოსებსა და მღვდლებზე. მას აინტერესებდა შრომის ნაყოფიერება, რომელიც რაოდენობით იზომებოდა, და წარმატება, რომელიც წამმზომით ფიქსირდებოდა.

მხოლოდ ერთი კოლეგა მიაჩნდა რაისას მეგობრად - ივან კუზმიჩ ჟუკოვი, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. არ იცოდა, რა ხნის იყო იგი, რადგან კაცი თავის ასაკზე ლაპარაკს გაურბოდა, მაგრამ შესახედავად ორმოციოდე წლის იქნებოდა. ისინი, შეიძლება ითქვას, შემთხვევით დამეგობრდნენ. ერთხელ ჟუკოვმა ხუმრობით დაიჩივლა სკოლის ბიბლიოთეკისთვის გამოყოფილი ადგილის ზომებზე - გარდერობისოდენა ოთახი სარდაფში, ბოილერის გვერდით მოეთავსებინათ და რჩევა-დარიგებებით, გაზეთ „პრავდის“ ძველი ნომრებით, სამამულო ავტორების (რომელთა შორის ერთი უცხოელიც არ იყო) მოწონებული და დამტკიცებული ნაწარმოებებით გაეტენათ. ეს რომ მოისმინა, რაისამ ჩურჩულით მოუწოდა მას მეტი სიფრთხილისკენ. სწორედ ამ ჩურჩულმა დაუდო საათავე უცნაურ მეგობრობას, რომელიც, ქალის აზრით, სტრატეგიული წინდაუხედაობით გამოირჩეოდა - ივანს ხომ სიმართლის თქმა უყვარდა. ბევრი კოლეგის აზრით, იგი სათანადო ორგანოებს შემჩნეული და დამახსოვრებული ჰყავდათ. ნაწილი ფიქრობდა, რომ მასწავლებელი შინ, იატაკის ქვეშ, აკრძალულ ლიტერატურას მალავდა, ან კიდევ უარესი, თვითონ თხზავდა და ფურცლებს კონტრაბანდული გზით საზღვარგარეთ გზავნიდა, რათა იქ წიგნად გამოეცათ. მან მართლა მისცა რაისას აკრძალული რომანი „ვისთვისაც რეკავს ზარი“, რომელიც ქალმა ზაფხულში წაიკითხა პარკში, ძელსკამზე, ვინაიდან შინ მისატანად გამბედაობა არ ეყო. რაისას შეეძლო, საკუთარი თავისთვის მასთან მეგობრული ურთიერთობის გაბმის უფლება მიეცა - მისი ერთგულება ეჭვს არასოდეს იწვევდა, თანაც სახელმწიფო უშიშროების ოფიცრის ცოლი იყო, რის შესახებაც თითქმის ყველამ იცოდა, მისი ზოგიერთი მოსწავლის ჩათვლით. ლოგიკურად, ჟუკოვი მას სათოფეზე არ უნდა მიჰკარებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, თავს იმით იმშვიდებდა, რომ თუ ქალს მისი დასმენა სურდა, ამას დიდი ხნის წინ გააკეთებდა - კაცს ხომ მასთან უამრავჯერ წამოსცდენოდა არაგონივრული და წინდაუხედავი ფრაზები - და ქმარს ყველაფერს წვრილად ჩაუკაკლავდა. ისე გამოვიდა, რომ კოლეგებს შორის რაისა იმ ადამიანს

ენდობოდა, რომელიც საყოველთაო უნდობლობით სარგებლობდა, ჟუკოვი კი, თავის მხრივ, ქალს, რომელიც მის ნდობას თუნდაც თავისი მდგომარეობით არ იმსახურებდა. კაცი ცოლიანი იყო და სამი შვილი ჰყავდა. რაისა ეჭვობდა, რომ ჟუკოვს იგი შეფარვით უყვარდა კიდეც. ქალი ამგვარ ფიქრებს გულმოდგინედ იცილებდა თავიდან და იმედოვნებდა, რომ კოლეგას ჭკუა ეყოფოდა და მათი საერთო კეთილდღეობისთვის უფრო შორს არ შეტოპავდა.

***

სკოლის მთავარი შესასვლელის პირდაპირ, ქუჩის მეორე მხარეს, დაბალსართულიანი კორპუსის ფოიეში, ლევი იდგა. მას სამსახურში სამხედრო ფორმა გაეხადა და სამოქალაქო ტანსაცმელი ჩაეცვა. ლუბიანკაზე ამგვარი სამოსის დიდი არჩევანი ჰქონდათ: კარადები სავსე იყო სხვადასხვა ზომის პალტოებით, ქურთუკებითა და შარვლებით. მათ სწორედ ამ მიზნით ინახავდნენ. ლევი არასდროს დაფიქრებულა, თუ როგორ შეიქმნა ასეთი მარაგი, სანამ ერთხელ პერანგის მანჟეტზე სისხლის ლაქა არ აღმოაჩინა. ეს ტანსაცმელი ადრე იმ ადამიანებს ეკუთვნოდათ, რომლებიც ვარსონოფიევის შესახვევში მდებარე შენობაში სიკვდილით დასაჯეს.

ისინი, ცხადია, გარეცხეს, მაგრამ ზოგიერთი ლაქის ამოყვანა არ მოხერხდა. ლევმა შალის გრძელი პალტო ჩაიცვა და თავზე ბეწვის ქუდი ჩამოიფხატა. დარწმუნებული იყო, რომ ცოლი ვერ იცნობდა, თუ შემთხვევით მისკენ გამოიხედავდა. მან ფეხები ააბაკუნა, რათა არ შესცივნოდა, შიგადაშიგ „პოლიოტ ავიატორს“ - ცოლის მიერ დაბადების დღეზე ნაჩუქარ უჟანგავი ფოლადის კორპუსის მქონე საათს დაჰყურებდა. ბოლო გაკვეთილის დამთავრებას აღარაფერი აკლდა. ლევმა მის თავს ზემოთ მოთავსებულ პლაფონს ახედა, კუთხეში მიყუდებული შვაბრა აიღო და ნათურა ჩაამტვრია. ფოიე სიბნელეში ჩაიძირა.

იგი პირველად არ უთვალთვალებდა ცოლს. ეს ჯერ კიდევ სამი წლის წინ გააკეთა, ოღონდ მაშინ ეს მის პოლიტიკურ არასაიმედოობას არ უკავშირდებოდა. ერთი წლის დაქორწინებულები იყვნენ, როდესაც იგრძნო, რომ ცოლი თანდათან შორდებოდა. ერთად ცხოვრობდნენ, მაგრამ, იმავდროულად, ცალ-ცალკე. სამუშაო დიდ დროს მოითხოვდა, ერთმანეთს მხოლოდ დილა-საღამოს ხვდებოდნენ, ისიც ცოტა ხნით, არაფრის მთქმელ სიტყვებს ამბობდნენ, იმ მეთევზეებს ჰგავდნენ, ყოველდღე რომ გადიოდნენ სათევზაოდ თავ-თავიანთი ნავებით ერთსა და იმავე ნავსად-

გურიდან. ლევს არ სჯეროდა, რომ როგორც ქმარი, შეიცვალა, მაგრამ ვერ გაეგო, რაისა რატომ გადასხვაფერდა ცოლის როლში. როგორც კი ამ თემაზე საუბარს ჩამოაგდებდა, რაისა ამბობდა, რომ თავს კარგად ვერ გრძნობდა, თუმცა ექიმთან მისვლას არ აპირებდა. ისეთი რა ავადმყოფობა უნდა ყოფილიყო, როდესაც ადამიანი თვიდან თვემდე თავს კარგად ვერ გრძნობდა. ლევს თავში მხოლოდ ერთი ახსნა მოსდიოდა - ალბათ, სხვა კაცი შეიყვარაო.

ეჭვით შეპყრობილმა ცოლის თვალთვალი სამსახურში ახალმიღებულ ახალგაზრდა და პერსპექტიულ ოპერმუშაკს დაავალა. აგენტი ამ საქმეს ერთი კვირა ასრულებდა. ლევს საკუთარი გადაწყვეტილება გულზე არ ეხატებოდა, მაგრამ თავს ცოლის სიყვარულით იმართლებდა. იგი სერიოზულ რისკზე წავიდა - რაისას შეეძლო შეემჩნია, რომ უთვალთვალებდნენ. მაგრამ მთავარი საფრთხე ის იყო, რომ ამბის გახმაურების შემთხვევაში კოლეგები მომხდარს სრულიად სხვაგვარად აღიქვამდნენ: თუ ლევი ცოლს სექსუალური კუთხით არ ენდობოდა, ქალისთვის პოლიტიკური ნდობა როგორ უნდა გამოეცხადებინათ?

ღალატობდა თუ არა, ეწეოდა თუ არა ძირგამომთხრელ საქმიანობას, ყველასთვის უკეთესი იქნებოდა, თუ რაისას გულაგში გაგზავნიდნენ. ისე, ყოველი შემთხვევისთვის, მაგრამ რაისას რომანი არავისთან ჰქონდა და ამ თვალთვალის შესახებ ვერავინ შეიტყო. ლევმა შვებით ამოისუნთქა და თავი იმით დაიმშვიდა, რომ ამიერიდან მოთმინება და ყურადღება უნდა გამოეჩინა, რათა ცოლს ნებისმიერი სირთულის დაძლევაში დახმარებოდა. რამდენიმე თვის შემდეგ მათი ურთიერთობა გამოსწორდა და ყველაფერი ძველ კალაპოტში ჩადგა. ლევმა ახალგაზრდა ოპერმუშაკი ლენინგრადში გადაიყვანა, რაც ხელქვეითის დაწინაურებად წარმოაჩინა.

მაგრამ ახლანდელი დავალება იმ შემთხვევისგან სრულიად განსხვავდებოდა. საქმეს ოფიციალური მსვლელობა მიეცა, იგი სახელმწიფო უსაფრთხოებას შეეხებოდა. სასწორზე არა მხოლოდ მათი ქორწინება, არამედ სიცოცხლეც იდო. ლევს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ანატოლი ბროდსკის მიერ სიკვდილის წინ დაწერილ აღიარებაში რაისას სახელი ვასილიმ შეიტანა. ის ფაქტი, რომ ოპერმუშაკმა მსჯავრდადებულის აღიარება გააყალბა, არაფერს ამტკიცებდა: ეს ან უფროსების თანხმობით, საგანგებოდ გაკეთდა, ან ვასილიმ ინიციატივა საკუთარ თავზე აიღო და რაისას სახელი ბროდსკის დაკითხვის თავდაპირველ ოქმებში შეიტანა, რისი გაკეთებაც მისთვის იოლი იყო. ლევი ყველაფერში საკუთარ თავს

ადანაშაულებდა - საავადმყოფოს ფურცლის აღებით ვასილის ისეთი შესაძლებლობა აჩუქა, რაზეც იგი ვერც კი იოცნებებდა, - ლევი ხაფანგში გაება. ვერ განაცხადებდა, რომ აღიარება ყალბი იყო: მას უკვე ოფიციალური, ნამდვილი და საიმედო დოკუმენტის სახე მიეღო, ისევე, როგორც სხვა აღიარებით ჩვენებებს.

ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეეძლო, უნდა განეცხადებინა, რომ სწამდა რაისას უდანაშაულობისა, და რომ მოღალატე ბროდსკიმ მისი გაშავება მასზე შურისძიების გამო დააპირა. კუზმინმა მოუსმინა და დაინტერესდა, საიდან უნდა სცოდნოდა მოღალატეს, რომ მას ცოლი ჰყავდა. ჩიხში მომწყვდეულმა ლევმა ტყუილის თქმა გადაწყვიტა და სასოწარკვეთილმა განაცხადა, ჩემი მეუღლის სახელი მასთან საუბრისას ვახსენეო. მაგრამ ლევს ტყუილის თქმა არ ეხერხებოდა. მეუღლის დაცვით მან საკუთარი თავიც საფრთხეში ჩაიგდო. ახლა მასაც ეჭვით შეხედავდნენ. სხვისი ცხოვრების ამსახველ ტილოზე ვინმეს მხარდაჭერა საკუთარი ბედის ამოქარგვას ნიშნავდა. კუზმინმა გადაწყვიტა, რომ უსაფრთხოების წესების ასეთი სავარაუდო დარღვევა გულდასმით გამოძიებას იმსახურებდა. ამას ან ლევი გააკეთებდა, ან საქმეს სხვა ოპერმუშაკი მოჰკიდებდა ხელს. ულტიმატუმის გაგონებაზე, ლევი დავალების შესრულებას იმ მოტივით დათანხმდა, რომ მეუღლის პატიოსანი სახელის დაცვას მოახერხებდა. როგორც სამი წლის წინ გააქარწყლა ყოველგვარი ეჭვი, რომ ცოლი სხვა კაცთან ღალატობდა, ახლაც ასევე უნდა დაერწმუნებინა სხვები, რომ რაისა კვლავაც პარტიის იდეალების ერთგული იყო.

ქუჩის მეორე მხარეს სკოლის ალაყაფიდან ბავშვები გამოცვივდნენ და ნაკადულებად გაიფანტნენ სხვადასხვა მხარეს. პატარა გოგონამ გზაზე გადმოირბინა და იმ სახლისკენ აიღო გეზი, სადაც ლევი იმალებოდა. მალე იგი ფოიეში შევიდა. აქ ბნელოდა და როდესაც ფეხებქვეშ ნათურის ნამსხვრევების ხრაშუნი მოესმა, შეჩერდა, ვერ გადაეწყვიტა, რამე ეთქვა თუ არა.

ლევი შეტრიალდა, რათა მისთვის შეეხედა. გოგონას შავი თმა კეფაზე წითელი ბაფთით შეეკრა. დიდი-დიდი, შვიდი წლის თუ იქნებოდა. სიცივისგან ლოყები ავარდისფრებოდა.

უეცრად იგი ადგილს მოსწყდა და გაიქცა. ფეხსაცმლის პატარა ქუსლები მხიარულად აბაკუნდა კიბეზე, ისინი სულ უფრო მეტად აშორებდა უცნობ ბიძიას და სახლს აახლოებდა, სადაც, როგორც იგი გულუბრყვილოდ ფიქრობდა, უსაფრთხოდ იქნებოდა.

ლევი შემინულ კარს მიუახლოვდა და დაინახა, როგორ გამორბოდნენ შენობიდან შემორჩენილი მოსწავლეები. იცოდა, რომ დღეს რაისას დამატებითი გაკვეთილები არ ჰქონდა და ისიც მალე გამოჩნდებოდა. აი, გამოვიდა კიდეც და გასასვლელში კოლეგასთან ერთად გაჩერდა. მამაკაცს მოკლე, თეთრი წვერი ჰქონდა, მრგვალჩარჩოიანი სათვალის უკან ჭკვიანი თვალები მოუჩანდა. ლევმა უნებურად შეამჩნია, რომ მას შეუხედავი ნამდვილად არ ეთქმოდა.

განათლებული, თავაზიანი და დახვეწილი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, იღლიის ქვეშ წიგნებით სავსე პორტფელი ამოეჩარა. ალბათ, სწორედ ეს იყო ივანი, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. ლევმა დაასკვნა, რომ იგი მასზე ათი წლით უფროსი მაინც იქნებოდა.

ძალიან უნდოდა, ისინი ერთმანეთს სკოლის ჭიშკართანვე დამშვიდობებოდნენ, მაგრამ ერთად განაგრძეს გზა ლაპარაკ-ლაპარაკით. ლევი დაელოდა, სანამ წყვილი ჩაუვლიდა.

ერთმანეთს აშკარად კარგად იცნობდნენ, რადგან რაისამ მხიარულად გაიცინა კოლეგის ხუმრობაზე, ივანს კი სახეზე კმაყოფილება დაეტყო. მას, ლევს, თუ შეეძლო რაისას გაცინება?

ძალზე იშვიათად. არასდროს სწყინდა, როდესაც თვითონ მას დასცინოდნენ მოუხერხებელი ან სულელური საქციელის გამო. იუმორის გრძნობა ჰქონდა, მაგრამ ანეკდოტებისა და მხიარული ამბების მოყოლა არ ეხერხებოდა. განსხვავებით რაისასგან, რომელსაც არც სიმხიარულე აკლდა, არც სიცელქე, არც სილადე და არც გონებამახვილობა. მათი პირველივე შეხვედრის შემდეგ, როდესაც რაისამ დაარწმუნა, რომ ლენა ერქვა, ლევს ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ ქალი მასზე ჭკვიანი იყო. იმ რისკის გათვალისწინებით, რომელიც ინტელექტუალურ მიხვედრილობას უკავშირდებოდა, ლევს მასზე არასდროს უეჭვიანია - დღემდე, როდესაც იგი სხვა მამაკაცის გვერდით დაინახა.

ერთ ადგილას დიდხანს დგომისგან ლევს ფეხები გაეყინა. გაუხარდა კიდეც, ცოლსა და მის თანამგზავრს დაახლოებით ორმოცდაათი მეტრის დაშორებით რომ მიჰყვებოდა. ქუჩის ფარნების სუსტ, ნარინჯისფერ შუქზე მათი თვალთვალი ძნელი არ იყო - გამგლელები თითქმის არ ხვდებოდათ. მაგრამ ყველაფერი შეიცვალა, როგორც კი ავტოქარხნის ქუჩაზე - მთავარ ქუჩაზე შეუხვიეს. იგივე სახელი ერქვა მეტროსადგურსაც, რომლისკენაც ისინი, მისი აზრით, მიემართებოდნენ. ტროტუარებზე, სასურ-

სათო მაღაზიების წინ, გრძელი რიგები მოჩანდა. ლევს სულ უფრო უჭირდა ცოლისთვის თვალის მიდევნება, ამას არც მისი უბრალო სამოსი უადვილებდა. სხვა რა გზა ჰქონდა - ნაბიჯს მოუჩქარა მანძილის შესამცირებლად. ახლა სულ რაღაც ოციოდე მეტრით ჩამორჩებოდა. რეალური საფრთხე შეიქმნა, რომ ქალი უკან მოიხედავდა და ქმარს დაინახავდა. რაისა და ივანი მეტროსადგურ „ავტოზავოდსკაიასკენ“ მიემართებოდნენ. უეცრად თვალი ვეღარსად მოჰკრა მათ. ლევი წინ გავარდა. გამვლელებს გვერდს უქცევდა. ამდენ ხალხში ადვილად შეიძლებოდა, ვეღარც კი მიეგნო მათთვის. ბოლოს და ბოლოს, როგორც არაერთხელ ტრაბახობდა „პრავდა“, ეს მსოფლიოში საუკეთესო და ყველაზე ხალხმრავალი მეტროპოლიტენი იყო.

სადგურის შესასვლელს რომ მიაღწია, ქვის საფეხურებით ვესტიბიულში დაეშვა - მდიდრულად გაფორმებულ თაღოვან დარბაზში, რომელიც რომელიდაც საელჩოს მისაღებს უფრო ჰგავდა კრემისფერი მარმარილოს სვეტებითა და წითელი ხის გაპრიალებული მოაჯირებით, რომლებზეც დაბინდული პლაფონებიდან შუქი იღვრებოდა. პიკის საათი იდგა და ნემსიც კი ვერსად ჩავარდებოდა. ტურნიკეტებთან გრძელ პალტოებსა და შარფებში გამოწყობილი ათასობით ადამიანი იდგა. ლევმა შემხვედრ ნაკადს თავი დააღწია, კიბე აიარა და ზემოდან გადმოხედა ხალხს. რაისასა და ივანს ლითონის პატარა კარი გაევლოთ და ნელა მიიწევდნენ ესკალატორისკენ. ლევი კვლავ ბრბოს შეერია და წინ გაჭრა სცადა. როდესაც ყოველი მხრიდან ალყაში მოექცა, ხალხის ჩამოსაშორებლად უნებურად უხეშ მეთოდებზეც გადავიდა. გარშემო მყოფნი უკმაყოფილო სახით შესცქეროდნენ, მეტს ვერაფერს უბედავდნენ, რადგან არ იცოდნენ, ვისთან ჰქონდათ საქმე.

ტურნიკეტს დროულად მიაღწია - მოასწრო და თვალი მოჰკრა, საით გაუჩინარდა რაისა.

ესკალატორისკენ გაიჭრა და პირველივე თავისუფალი ადგილი დაიკავა. მის წინ, ქვემოთ მიმავალ ხისსაფეხურებიან მექანიკურ კიბეზე, ზამთრის ქუდებისა და შლაპების ზღვა ირწეოდა.

გვერდზე გაიწია, იქნებ ასე მაინც დავინახო რამეო. რაისა თხუთმეტიოდე საფეხურით ქვევით იდგა. ივანი მის უკან გაჩერებულიყო. დალაპარაკების შესაძლებლობა რომ ჰქონოდა, რაისას კორპუსი ნახევრად მიებრუნებინა და ზემოთ იყურებოდა. ლევი მისი მხედველობის არეში მოექცა. იგი მაშინვე მის წინ მდგარ მამაკაცს ამოეფარა და მანამდე არ გამო-

უხედავს, სანამ ძირამდე არ ჩავიდა. გასასვლელი ორ გვირაბად იყოფოდა - ჩრდილოეთისა და სამხრეთის მიმართულებით მიმავალი მატარებლებისკენ. ორივე ხალხით იყო გაჭედილი. მგზავრები ნელა მიემართებოდნენ პლატფორმებისკენ, რათა მომდევნო შემადგენლობაში მაინც მოხვედრილიყვნენ. ლევმა კვლავ დაკარგა ცოლი.

თუ რაისა შინ აპირებდა წასვლას, სამი გაჩერება უნდა გაევლო ჩრდილოეთის მიმართულებით „„ზამოსკვორეცკაიას“ ხაზზე და გადასაჯდომად „ტეატრალნაიაზე“ ჩამოსულიყო.

იმის იმედით, რომ არ ცდებოდა, ლევი პლატფორმისკენ გაძვრა, თან აქეთ-იქით იყურებოდა და მის მარჯვნივ და მარცხნივ მყოფ ხალხს დაძაბულ სახეებზე აკვირდებოდა. მატარებლის მოლოდინში ყველანი ერთ მხარეს იყურებოდნენ. ბაქნის შუაგულს მიაღწია, მაგრამ რაისა არსად ჩანდა. იქნებ მეორე მხარეს მიმავალ მატარებელზე დაჯდა? მოულოდნელად მის წინ მდგომმა მამაკაცმა ნაბიჯი გვერდზე გადადგა და ლევმა ივანის პორტფელს მოჰკრა თვალი.

რაისაც იქვე იყო - პლატფორმის კიდესთან, ხელის გაწვდენაზე, თავი რომ მოებრუნებინა, ერთმანეთის მზერას ვერსად გაექცეოდნენ. კაცმა რომ თქვას, ახლაც შეეძლო მისი შემჩნევა, და თუ ამას ვერ ახერხებდა, მხოლოდ იმიტომ, რომ აქ მის დანახვას არ ელოდა. ლევი ვერსად დაიმალებოდა. იგი კვლავ წინ მიიწევდა და ელოდა, რომ ცოლი წამი-წამზე დაუძახებდა. ასეთ შემთხვევაში თავს ვერ მოიკატუნებდა, თითქოს აქ შემთხვევით მოხვდა. რაისა მაშინვე მიხვდებოდა, რომ იტყუებოდა და განზრახ მიჰყვებოდა კუდში. ლევმა ოცი ნაბიჯი გადათვალა, ბაქნის კიდეს მიაღწია და კედელზე გაკეთებულ მოზაიკას მიაშტერდა. სახეზე ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა, მაგრამ ვერც მის მოწმენდას ბედავდა და ვერც ცოლისკენ გახედვას. ეშინოდა, ვაითუ, შემამჩნიოსო. სცადა, მთელი ყურადღება მოზაიკაზე გადაეტანა, რომელიც საბჭოების ქვეყნის სამხედრო სიძლიერეს უსვამდა ხაზს - ზედ გამოსახული იყო ლულაშემართული ტანკი და მის აქეთ-იქით მდგარი საარტილერიო დანადგარები. ჯავშანზე ამძვრალი საბჭოთა ჯარისკაცები ავტომატებს აქნევდნენ. ლევმა ძალიან ნელა მიაბრუნა თავი - რაისა ივანს ესაუბრებოდა და ქმარს ვერ ამჩნევდა. გვირაბიდან ქარმა წამოუბერა - მატარებელი ახლოვდებოდა.

როდესაც თავი ყველამ მისკენ მიაბრუნა, უეცრად ლევმა შეამჩნია, რომ ვიღაც მამაკაცი მას მისჩერებოდა და მატარებელს ყურადღებას არ აქცევდა. კაცმა მზერა აარიდა, მაგრამ მათი თვალები წამით მაინც შეხ-

ვდა ერთმანეთს. უცნობი ოცდაათიოდე წლის იქნებოდა. ლევი აქამდე მას არასდროს შეხვედროდა, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ მისი კოლეგა, ჩეკისტი იყო, სახელმწიფო უშიშროების ოპერმუშაკი. მაშასადამე, პლატფორმაზე მეორე აგენტიც იმყოფებოდა.

ხალხი მატარებლს მიაწყდა. აგენტი გაუჩინარდა. ყველა კარი გაიღო. ლევი არ განძრეულა.

იგი მატარებლის მიმართ გვერდულად იდგა და კვლავაც იქით იყურებოდა, სადაც ახლახან პროფესიონალის ცივი თვალები დალანდა. როდესაც გადმოსული მგზავრები აქეთ-იქიდან მოაწვნენ, გამოერკვა და რაისას მეზობელ ვაგონში შევიდა. ვინ იყო ეს ოპერმუშაკი? რატომ გამოგზავნეს კიდევ ერთი აგენტი მისი ცოლის სათვალთვალოდ? ცხადია, ლევს არ ენდობოდნენ. არ ელოდა, თუ ასეთ უკიდურეს ზომებს მიმართავდნენ. მან ფანჯრისკენ გაიწია, საიდანაც მეზობელი ვაგონი მოჩანდა და რაისას ხელს მოჰკრა თვალი - სახელურს ჩასჭიდებოდა. მეორე ოპერმუშაკი არსად ჩანდა. კარი საცაა დაიხურებოდა.

აგენტი ლევის ვაგონში შევიდა, მოჩვენებითი გულგრილობით ჩაუარა და რამდენიმე მეტრის მოშორებით შეჩერდა. მოხერხებულობა და სიმარჯვე ეტყობოდა, სიმშვიდეს ინარჩუნებდა. რომ არა წეღანდელი შემოხედვა, ლევი ვერც კი შეამჩნევდა. ეს აგენტი რაისას არ უთვალთვალებდა. იგი მისთვის მიეჩინათ.

ლევი თავიდანვე უნდა მიმხვდარიყო, რომ ამ ოპერაციას მარტოს არ ჩაატარებინებდნენ.

არსებობდა ალბათობა, რომ კომპრომისზე წავიდოდა. შეეძლოთ დაეჭვებულიყვნენ, თუ რაისა ჯაშუშია, მასთან ერთად ხომ არ მუშაობსო. უფროსობა უნდა დარწმუნებულიყო, რომ იგი დავალებას სათანადოდ შეასრულებდა. რასაც კი მათ მოახსენებდა, ყველაფერს მეორე ოპერმუშაკთან გადაამოწმებდნენ. ამიტომ ნატრობდა, რომ რაისა შინ წასულიყო. თუ გზად სადმე შეივლიდა, რესტორანში, წიგნის მაღაზიაში ან ისეთ სახლში, სადაც არაკეთილსაიმედო ხალხი ცხოვრობდა, თავს დიდ საფრთხეში ჩაიგდებდა. ქალის ერთადერთი შანსი, ისიც საკმაოდ მიზერული, ის იყო, რომ საძრახისი არაფერი ჩაედინა, არაფერი ეთქვა, არავის შეხვედროდა. მას მხოლოდ მუშაობა, მაღაზიაში შესვლა და ძილი შეეძლო. ნებისმიერ სხვა ნაბიჯს მის საწინააღმდეგოდ გამოიყენებდნენ.

თუ რაისა შინ მიდიოდა, მატარებლით სამ გაჩერებას გაივლიდა, „ტეატრალნაიაზე“ ჩამოვიდოდა, „არბატსკო-პოკროვსკაიას“ ხაზზე გადაჯდე-

ბოდა და აღმოსავლეთისკენ გაემგზავრებოდა. ლევმა ოპერმუშაკს გახედა. რომელიღაც მგზავრი წამოდგა და ჩასასვლელად მოემზადა, აგენტი კი მის ადგილას დაჯდა. ახლა ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ფანჯარაში იყურებოდა, მაგრამ ცხადია, ფარულად ლევს აკვირდებოდა. იგი იმასაც მიხვდა, რომ შეამჩნიეს. თუმცა არც ის იყო გამორიცხული, აგენტს ეს შეგნებულად გააკეთებინა. მაგრამ ამ ყველაფერს მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ რაისა შინ მიდიოდა.

მატარებელი მეორე სადგურზე - „ნოვოკუზნეცკაიაზე“ შევიდა. გადაჯდომამდე კიდევ ერთი გაჩერება რჩებოდა. კარი გაიღო. ლევმა დაინახა, როგორ ჩავიდა ივანი და გაიფიქრა: ვაგონში დარჩი, გთხოვ.

მაგრამ რაისა მაინც ჩავიდა, პლატფორმაზე გადავიდა და გასასვლელისკენ გაემართა. შინ არ მიდიოდა. ლევმა არ იცოდა, საით აეღო ცოლს გეზი. უკან რომ გაჰყოლოდა, რაისა მეორე ოპერმუშაკის ყურადღების ცენტრში მოხვდებოდა, არ გაჰყვებოდა და მის სიცოცხლეს საფრთხეში ჩააგდებდა. არჩევანი უნდა გაეკეთებინა. ლევმა თავი მიაბრუნა. აგენტი კვლავაც იჯდა და ვერ ხედავდა, რომ რაისა მატარებლიდან ჩავიდა. იგი ლევს უთვალთვალებდა და არა რაისას, ფიქრობდა, რომ ისინი შეთანხმებულად მოქმედებდნენ. კარი საცაა დაიკეტებოდა.

ლევი გაუნძრევლად იდგა.

მან კვლავ გვერდზე გაიხედა, ფანჯარაში, თითქოს რაისა უწინდებურად მეზობელ ვაგონში იმყოფებოდა. რა ჩაეფიქრებინა ლევს? მისი იმპულსური, უგუნური გადაწყვეტილება იმას ემყარებოდა, რომ, მეორე ოპერმუშაკის აზრით, მისი ცოლი კვლავაც მატარებელში იმყოფებოდა. საუკეთესო შემთხვევაში, ეს სუსტი გეგმა იყო, მაგრამ ლევმა ხალხის ორომტრიალი არ გაითვალისწინა. რაისა და ივანი კვლავაც პლატფორმაზე იდგნენ და საოცრად ნელა მიიწევდნენ გასასვლელისკენ. ვინაიდან აგენტი ფანჯარაში იყურებოდა, იგი მატარებლის დაძვრისთანავე მოჰკრავდა მას თვალს. რაისამ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა გასასვლელისკენ - მოთმინებით ელოდა თავის რიგს, არსად ეჩქარებოდა. ამის მიზეზიც არ ჰქონდა: მან ხომ არ იცოდა, რომ თუ დაუყოვნებლივ არ მოეფარებოდა თვალს, მისი და ლევის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრებოდა. მატარებელი ნელა დაიძრა. მათი ვაგონი პლატფორმიდან გასასვლელს გაუსწორდა. ახლა ოპერმუშაკი რაისას დაინახავდა და მიხვდებოდა, რომ ლევმა განზრახ გაუშვა იგი ხელიდან.

მატარებელმა სიჩქარეს უმატა და გასასვლელს მიაღწია. რაისა ყველაზე გამოსაჩენ ადგილზე იდგა. ლევმა იგრძნო, რომ შიგნით რადაც ჩაუწყდა და გული გაუჩერდა. თავი ნელა მიაბრუნა, რათა აგენტის რეაქცია დაენახა. გასასვლელში მაღალი, ჯმუხი კაცი იდგა თავის ასევე მაღალ და ზორბა ცოლთან ერთად, და ოპერმუშაკისგან პლატფორმას მთლიანად ფარავდა. მატარებელი გრუხუნით შევარდა გვირაბში. აგენტს გასასვლელთან მდგარი რაისა არ შეუმჩნევია. მან არ იცოდა, რომ ქალი მატარებლიდან გავიდა. ლევს გულზე მოეშვა, თუმცა გარეგნულად არაფერი დასტყობია. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს კვლავაც დაჟინებით მისჩერებოდა მეზობელ ვაგონში მყოფ ცოლს.

როდესაც მატარებელი „ტეატრალნაიაზე“ შევიდა, ლევი ბოლო წამამდე კართან იდგა და თავს იკატუნებდა, თითქოს უთვალთვალებდა ცოლს, რომელიც შინ მიდიოდა. იგი გასასვლელისკენ გაემართა. მოიხედა და დაინახა, რომ ოპერმუშაკიც ჩამოსულიყო და მანძილის შემცირებას ცდილობდა. ლევმა ფეხს აუჩქარა.

გვირაბმა იგი გადასასვლელთან მიიყვანა, საიდანაც ან ქალაქში შეიძლებოდა გასვლა, ან მეტროპოლიტენის სხვა ხაზზე გადასვლა. ახლა აგენტი უნდა ჩამოეცილებინა, ოღონდ ისე, რომ ეს წინასწარგანზრახულ ნაბიჯად არავის მიეჩნია. მარჯვენა მხრიდან გვირაბი მას „არბატსკო-პოკროვსკაიას“ ხაზზე მოძრავ მატარებლებამდე მიიყვანდა, იქიდან კი შინ შეეძლო წასვლა. ლევმა მარჯვნივ შეუხვია. ბევრი რამ იმაზე იყო დამოკიდებული, მომდევნო მატარებელი სწრაფად ჩამოდგებოდა თუ არა. თუ მდევარს გვარიანად გაუსწრებდა, ვაგონში მანამ ავიდოდა, სანამ მეორე ოპერმუშაკი დაეწეოდა და მიხვდებოდა, რომ რაისას აქ არც გაევლო.

გვირაბში, რომელსაც პლატფორმამდე უნდა მიეყვანა, ხალხი მის წინ კედელივით აღმართულიყო. მოულოდნელად მოახლოებული მატარებლის ხმაც მოესმა. არა, ვერაფრით მიუსწრებდა, ამდენ მგზავრს თავზე ხომ არ გადაახტებოდა? ლევმა ჯიბიდან სახელმწიფო უშიშროების თანამშრომლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ამოიღო და მის წინ მდგომ კაცს მხარზე მოუთათუნა. მამაკაცი დამდუღრულივით განზე გახტა. მას ჯერ ერთმა ქალმა მიჰბაძა, შემდეგ - მეორემ და ორიოდე წამში გზაც გათავისუფლდა. ახლა სწრაფად სვლა შეეძლო. მატარებელი უკვე პლატფორმაზე იდგა, კარი არ დაეკეტა, მაგრამ გასასვლელად ემზადებოდა. ლევმა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ჯიბეში ჩაიდო და

ვაგონში დურთა თავი, იქ კი შემოტრიალდა, რათა მდევრისთვის შეეხედა. თუ აგენტი მის დაწევას და მატარებელში შესვლას მოასწრებდა, თამაშის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა.

ხალხმა, რომელმაც ლევს გზა გაუთავისუფლა, კვლავ შეკრა რიგები. აგენტი მათ უკან აღმოჩნდა და მუჯლუგუნებით ცდილობდა პლატფორმამდე მიღწევას. ჯერ კიდევ ჰქონდა მატარებელში ჩაჯდომის შანსი. ნეტავ კარს რატომ არ კეტავდნენ? აი, ოპერმუშაკი ბაქანზე გამოვარდა, ვაგონამდე რამდენიმე მეტრიღა რჩებოდა. კარის ორი ფრთა ერთმანეთის შესახვედრად დაიძრა. აგენტმა ხელი გაიწვდინა და ერთ-ერთს ჩაეჭიდა, მაგრამ მექანიზმი მასზე ძლიერი აღმოჩნდა და მამაკაცი - ლევმა პირველად მოახერხა მისი ახლოდან შეთვალიერება - იძულებული გახდა, ხელი გაეშვა. ლევმა უდარდელი სახე მიიღო და შეტრიალდა, თუმცა ჩუმ-ჩუმად მაინც უყურებდა პლატფორმაზე დარჩენილ ოპერმუშაკს.

მხოლოდ ბნელ გვირაბში შესვლის შემდეგ მოიხადა ოფლით გაჟღენთილი ქუდი.

იგივე დღე ლიფტი მეხუთე, ბოლო სართულზე გაჩერდა, კარი გაიღო და ლევმა ვიწრო დერეფანში შეაბიჯა. აქ სამზარეულოებიდან გამოსული სუნი ტრიალებდა. უკვე საღამოს შვიდი საათი სრულდებოდა და ოჯახების უმრავლესობა ახლა აპირებდა ვახშმობის - დღის განმავლობაში საკვების მიღების დასკვნითი პროცედურის დაწყებას. ლევს ყოველი ბინიდან, თხელი ფანერის მეორე მხრიდან ესმოდა მოსამზადებელი ჩხაკაჩხუკი. რაც უფრო უახლოვდებოდა თავისი მშობლების ბინას, მით უფრო მძაფრად გრძნობდა დაღლილობას. ბოლო რამდენიმე საათის განმავლობაში უმიზნოდ დაეხეტებოდა ქალაქში. მას შემდეგ, რაც „ტეატრალნაიაზე“ აგენტი ჩამოიცილა, შინ დაბრუნდა, 124-ე ბინაში, შუქი და რადიომიმღები ჩართო და ფარდები მისწია - ეს აუცილებელი სიფრთხილე იყო, მიუხედავად იმისა, რომ მეთოთხმეტე სართულზე ცხოვრობდნენ. შემდეგ კვლავ წავიდა, შემოვლითი გზით მეტრომდე მივიდა და ქალაქში დაბრუნდა. ტანსაცმელი არ გამოუცვლია, რასაც ახლა ნანობდა. სხვისი სამოსი აწუხებდა: გაოფლილი პერანგი გაუშრა და უსიამოვნოდ ეკვროდა ზურგზე. ლევს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ საშინელი სუნი ასდიოდა, თუმცა თვითონ ამას ვერ გრძნობდა. არასასურველი ფიქრები თავიდან მოიშორა - მისი მშობლები ამას ყურადღებას არ მიაქცევდნენ, თანაც საოცრად გაოცდებოდნენ, როდესაც შეიტყობდნენ, რომ იგი მათთან რჩევის მისაღებად მივიდა, რაც კარგა ხანია, აღარ გაეკეთებინა.

მათ ურთიერთობაში ბალანსი დაირღვა - ახლა თვითონ ეხმარებოდა თავის მოხუცებს, ამასთან, გაცილებით მეტად, ვიდრე თავის დროზე ამას მისი მშობლები აკეთებდნენ. მაგრამ ლევს მოსწონდა ასეთი ყოფა. ამაყობდა, რომ ისინი მშვიდ და იოლ სამუშაოზე გადაიყვანა.

თავაზიანი თხოვნა საკმარისი აღმოჩნდა, რათა მამამისს ოსტატად დაეწყო მუშაობა საბრძოლო მასალების დამამზადებელ ქარხანაში, სადაც იგი საამწყობო კონვეიერიდან გადაიყვანეს. დედა, რომელიც დილიდან საღამომდე პარაშუტებს კერავდა, ასევე დააწინაურეს.

ამის წყალობით ახლა უკეთ იკვებებოდნენ: აღარ სჭირდებოდათ პურისა და წიწიბურას გულისთვის გრძელ რიგებში დგომა; მათ ახლა მოსახლეობის რჩეული კატეგორიისთვის განკუთვნილ სპეცმადაზიებში შეეძლოთ მისვლა, ამ მკაცრად შეზღუდული რაოდენობის დაწესებულებებში ეგზოტიკური დელიკატესებიც კი იყიდებოდა: ცოცხალი თევზი, ზაფრანა და ნამდვილი შავი შოკოლადის ფილები და არა სუროგატი, რომელშიც კაკაოს მარცვლებს ყვავის, ქერის, ფქვილისა და ბარდის ნარევით ანაცვლებდნენ. თუ მშობლებს ხმაურიან და ჩხუბისთავ მეზობლებთან პრობლემები ექმნებოდათ, ეს ძალიან ცოტა ხანს გრძელდებოდა. ძალის გამოყენება და მუქარა საჭირო არც იყო: იმის მინიშნებაც კმაროდა, რომ ისეთ სახელმწიფო ორგანოებთან ჰქონდათ კავშირი, რაზეც მეზობლებს მხოლოდ ოცნება თუ შეეძლოთ.

მშობლებს ეს ბინაც მან უშოვა, ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილის ერთ კარგ რაიონში - დაბალ შენობაში, სადაც თითოეულ ოჯახს შეეძლო მოეწონებინა თავი ცალკე სააბაზანოთი და ტუალეტით, აგრეთვე ციცქნა აივნით, რომელიც პატარა გაზონსა და წყნარ გზას გადაჰყურებდა.

ისინი მას არავის უყოფდნენ, რაც ამ ქალაქში ფუფუნებად მიიჩნეოდა. ორმოცდაათწლიანი ხელმოკლეობისა და გაჭირვების შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, მშვიდი სიბერე ეღირსათ, რაც უზომოდ უხაროდათ. თანდათანობით კომფორტსაც მიეჩვივნენ. ახლა კი მათი კეთილდღეობა ბეწვზე ეკიდა, რადგან შვილის კარიერას საფრთხე დაემუქრა.

ლევმა კარზე დააკაკუნა. იგი დედამ, ანამ, გაუღო და სახეზე გაოცება გამოეხატა, წამით მეტყველების უნარიც კი წაერთვა, მაგრამ მაშინვე მოერია თავს. მან ზღურბლს გადააბიჯა, შვილს მოეხვია და აღფრთოვანებით თქვა: – რატომ არ გაგვაფრთხილე, რომ მოსვლას აპირებდი? გავიგეთ, რომ ავად იყავი, მაგრამ როდესაც შენს სანახავად მოვედით, გეძინა. რაისამ საძინებელში შემოგვიყვანა. ვიდექით და გიყურებდით. ცოტა ხანს

შენი ხელიც მეჭირა, მაგრამ რისი გაკეთება შეგვეძლო? დასვენება გჭირ-დებოდა. პატარა ბავშვივით გეძინა.

- რაისამ ყველაფერი მიამბო. ხილისთვის კი - ლიმონისა და ფორ-თოხლისთევის - გმადლობთ.

- ჩვენ ხილი არ მოგვიტანია. ყოველ შემთხვევაში, ასე მახსოვს, მაგ-რამ ვბერდები და შესაძლოა, ყველაფერი ავურიე.

ლაპარაკის ხმაზე სამზარეულოდან მამამისი, სტეპანი, გამოვიდა და გაჭირვებით აუარა შემოსასვლელში გვერდი ცოლს. ბოლო დროს ქალი ოდნავ გასუქებულიყო. წონაში ორივე მათგანს მოემატა და ახლა კარგად გამოიყურებოდნენ.

სტეპანმა შვილი გადაკოცნა.

- გამომჯობინდი?

– ჰო, გმადლობ.

- კარგია. შენზე ძალიან ვწუხდით.

- ზურგი როგორ გაქვს?

– კარგა ხანია, აღარ მაწუხებს. ადმინისტრატორის ერთ-ერთი უპირატესობა ის არის, რომ ახლა მხოლოდ სხვების მუშაობას ვადევნებ თვალს. საამქროში ქაღალდითა და ფანქრით დავდივარ.

– თავს დამნაშავედ ნუ გრძნობ. შენი სამყოფი უკვე იმუშავე.

- შესაძლოა, მაგრამ ხალხი სხვა თვალით გიყურებს, როდესაც ერთ-ერთი იმათგანი აღარ ხარ. ჩემო მეგობრები ძველებური გულითადობით აღარ მხვდებიან. თუ ვინმე დააგვიანებს, უფროსებს მე უნდა შევატყობინო. მადლობა ღმერთს, ჯერ არავის დაუგვიანია.

ლევმა მისი სიტყვები სწრაფად გადახარშა.

– როგორ მოიქცევი, თუ ასეთი რამ მაინც მოხდება? შეატყობინებ?

- ყოველ დილით ყველას ვახსენებ, რომ არ დააგვიანონ.

სხვა სიტყვებით, მამა მეგობრებს არ დაასმენდა. სავარაუდოდ, ერთიორჯერ უკვე მიიღებდა ისეთ სახეს, თითქოს ვერაფერი შეამჩნია. ახლა მის გასაფრთხილებლად შეუფერებელი დრო იყო, მაგრამ, ადრე თუ გვიან, ასეთი გულუხვობა მასვე მოუტანდა ზიანს.

სამზარეულოში სპილენძის ქვაბში კომბოსტოს თავი იხარშებოდა. მისი მშობლები ტოლმას ამზადებდნენ. ლევმა თქვა, რომ ჯობდა აქვე ელაპარაკათ, რათა დაწყებული საქმე არ მიეტოვებინათ. იგი გვერდზე გადგა და იქიდან უყურებდა, როგორ ურევდა მამა ერთმანეთში ფარშს (არა აპოხტისას, არამედ ახალი ხორცისას, რომელსაც ლევის წყალობით შოულობდნენ), გახეხილ სტაფილოს (კვლავაც ლევის დამსახურება) და მოხარშულ ბრინჯს. დედა კომბოსტოს შემჭკნარ ფოთლებს აცლიდა. მშობლები უკვე მიხვდნენ, რომ რაღაც მოხდა, და ელოდნენ, როდის მოუყვებოდა შვილი მათ ყველაფერს. ლევს უხაროდა, რომ ისინი ფუსფუსებდნენ.

- ჩემი სამუშაოს შესახებ ბევრი არასდროს გვილაპარაკია. ასე ჯობდა კიდეც. იყო დრო, როდესაც მისი შესრულება ძალიან მემძიმებოდა. ისეთი რამ გამიკეთებია, რითაც ვერაფრით ვიამაყებ, მაგრამ ამას აუცილებლობა მოითხოვდა.

ლევი გაჩუმდა - სიტყვებს არჩევდა. ბოლოს იკითხა: - თქვენი რომელიმე ნაცნობი თუ დაუპატიმრებიათ?

უხერხული და მძიმე შეკითხვა იყო. ლევი ამას მშვენივრად ხვდებოდა. სანამ ტოლმის გაკეთებას მიუბრუნდებოდნენ, სტეპანმა და ანამ ერ-

თმანეთს გადახედეს. აშკარად კმაყოფილნი იყვნენ, რომ შეეძლოთ საქმეს ამოჰფარებოდნენ. ანამ მხრები აიჩეჩა.

- ყველამ იცის ისეთი ადამიანის შესახებ, რომელიც დააპატიმრეს, მაგრამ ჩვენ ამას ეჭვქვეშ არასდროს ვაყენებთ. გულში ვამბობ: სამხილები და მტკიცებულებები თქვენ გაქვთ, ოფიცრებს.

მე მხოლოდ ის ვიცი, რასაც ვხედავ. ძალიან ადვილია, კაცს თავი სასიამოვნო, ნორმალურ და ერთგულ ადამიანად მოაჩვენო. შენი სამუშაო სწორედ ის არის, რომ უფრო შორს გაიხედო. შენ უკეთ იცი, ჩვენს ქვეყანას რა სჭირდება. ეგ ჩვენი განსასჯელი არაა.

ლევმა თანხმობის ნიშნად თავი დააქნია და დაამატა: - ამ ქვეყანას ბევრი მტერი ჰყავს. ჩვენი რევოლუცია მთელ მსოფლიოში სძულთ. უნდა დავიცვათ იგი. სამწუხაროდ, საკუთარი თავისგანაც კი.

იგი დადუმდა. მაგრამ აქ ხომ პარტიული რიტორიკისთვის არ მოსულა. მშობლებმა საქმიანობა შეწყვიტეს და შვილს მიაცქერდნენ, თითები ხორცითა და ცხიმით ჰქონდათ მოთხვრილი.

- გუშინ შემომთავაზეს, რომ რაისა დამესმინა. ჩემს უშუალო ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ იგი ჯაშუშია და უცხო ქვეყნის სასარგებლოდ მუშაობს. ამ საქმის გამოძიება დამავალეს.

სტეპანის თითს ზეთის წვეთი მოსწყდა და იატაკზე დაეცა. იგი დიდხანს დაჰყურებდა ცხიმის ლაქას, ბოლოს კი იკითხა: - ის მოღალატეა?

– მამა, რაისა სკოლის მასწავლებელია. მუშაობს. შემდეგ შინ ბრუნდება. ისევ მუშაობს და კვლავ შინ ბრუნდება.

- ჰოდა, ასე უთხარი მათ. სამხილები თუ აქვთ? და საერთოდ, რატომ მოუვიდათ თავში ასეთი აზრი?

- მათ ერთი დახვრეტილი ჯაშუშის აღიარება აქვთ. მან რაისა დაასახელა. ამტკიცებდა, რომ მასთან ერთად მუშაობდა, მაგრამ ვიცი, რომ ეს აღიარება ყალბია. ვიცი, რომ ის ჯაშუში სინამდვილეში ერთი ჩვეულებრივი ვეტექიმი იყო. მისი დაპატიმრებით შეცდომა დავუშვით.

ჩემი აზრით, მისი აღიარება სხვა ოფიცრის მოგონილია, სურს, ჩირქი მომცხოს. ვიცი, რომ ჩემი ცოლი უდანაშაულოა, და ყველაფერი, რაც ხდება, შურისძიებაა და მეტი არაფერი.

სტეპანმა ანას წინსაფარზე ხელები კარგად შეიმშრალა.

- სიმართლე თქვი. აიძულე, რომ მოგისმინონ. მოახსენე იმ ოფიცრის შესახებ. შენც ხომ გაქვს რაღაც ძალაუფლება.

- ეს აღიარება, ყალბია თუ არა, ნამდვილად მიიჩნევა. ოფიციალური დოკუმენტია, რომელშიც რაისას სახელია ნახსენები. თუ მის დაცვას დავიწყებ, ამით ოფიციალური დოკუმენტის ნამდვილობას ეჭვქვეშ დავაყენებ. თუ ჩემი უფროსობა დაეთანხმება იმას, რომ ეს აღიარება გაყალბებულია, იმაზე დათანხმებაც მოუწევს, რომ შესაძლოა, სხვა ქაღალდებიც გაყალბებული იყოს. ამიტომ თავისას დაიჟინებს, რათა დამანგრეველი შედეგი არ მივიღოთ - ასე ხომ ყველა აღიარების გადამოწმება გახდება აუცილებელი.

– რატომ არ შეგიძლია თქვა, რომ ის ჯაშუში - ვეტერინარი - შეცდა?

- შემიძლია. სწორედ ამის გაკეთებას ვაპირებ, მაგრამ თუ ჩემს სიმართლეს ვერ დავამტკიცებ, მარტო რაისას კი არა, მეც დამაპატიმრებენ. თუ იგი დამნაშავეა, მე კი საპირისპიროს მტკიცებას დავიწყებ, მეც დამნაშავე გავხდები. მაგრამ არც ეს არის ყველაფერი.

ხომ ვიცი, მსგავს შემთხვევებში რა ხდება. ძალიან დიდი ალბათობით თქვენც დაგაპატიმრებენ.

კანონმდებლობის თანახმად, დამნაშავის ოჯახის წევრებიც ვერ გაექცევიან მართლმსაჯულებას. ჩვენც დამნაშავედ გვაღიარებენ, რადგან ნათესავები ვართ.

– თუ მასზე უარს იტყვი?

– მაშინ არ ვიცი.

– არა, იცი.

- ჩვენ გადავრჩებით, რაისა კი - არა.

ქურაზე დადგმულ ქვაბში წყალი კვლავაც დუღდა. ბოლოს სტეპანი კვლავ ალაპარაკდა.

- შენ ჩვენთან იმიტომ მოხვედი, რომ არ იცი, როგორ მოიქცე. კარგი ადამიანი ხარ და პატიოსან და სწორ რჩევას ელოდები, რათა უფროსობას მოახსენო, რომ ისინი ცდებიან და რაისა უდანაშაულოა, შემდეგ კი საკუთარი საქციელის შედეგს ღირსეულად შეხვდები.

- ეგრეა.

სტეპანმა ანას შეხედა და თავი დააქნია. ცოტა ხნის შემდეგ კი დაამატა: - ასეთ რჩევას ვერ მოგცემ. არც იმის მჯერა, რომ ჩემგან რჩევას ელოდი. შემიძლია კი ამის გაკეთება? სიმართლე ის არის, რომ მინდა ჩემმა ცოლმა იცოცხლოს. ჩემმა შვილმაც იცოცხლოს. მეც ვიცოცხლო. ყველაფერს გავაკეთებ, რათა ეს მართლა ასე იყოს. თუ ვითარებაში სწორად გავერკვიე, სასწორზე ერთი სიცოცხლე დევს სამის წინააღმდეგ. მაპატიე.

ვიცი, რომ ჩემგან მეტს ელოდი, მაგრამ ჩვენ უკვე მოვხუცდით, ლევ, გულაგში ვერ გადავრჩებით. ერთმანეთს დაგვაშორებენ და ცალ-ცალკე მოვკვდებით.

- ახალგაზრდა რომ იყო, რას მირჩევდი?

სტეპანმა თანხმობის ნიშნად თავი დააქნია და თქვა: - მართალი ხარ. იმავეს გეტყოდი. მაგრამ ჩემზე არ გაბრაზდე. რას ელოდი, როცა აქ მოდიოდი? ნუთუ მართლა ფიქრობდი, რომ გეტყოდით: „შესანიშნავია, საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, თუ დავიხოცებით“? და რას მივაღწევდით ჩვენი სიკვდილით? განა ეს შენს ცოლს გადაარჩენდა? და დიდხანს და ბედნიერად იცხოვრებდით ერთად. ამის მოლოდინი რომ მქონდეს, სიხარულით დავთმობდი საკუთარ სიცოცხლეს თქვენი გულისთვის. თუმცა ასე არ მოხდება და ოთხივე მოვკვდებით. მაგრამ შენ გეცოდინება, რომ სწორად მოიქეცი.

ლევმა დედას შეხედა. ქალს სახე იმ კომბოსტოს დამჭკნარ ფურცელზე მეტად გაჰფითრებოდა, ხელში რომ ეჭირა, მაგრამ საოცრად მშვიდად გამოიყურებოდა. ქმარს არ შეჰპასუხებია, მხოლოდ იკითხა: - როდის უნდა მიიღო გადაწყვეტილება?

– ორი დღე მაქვს აუცილებელი მტკიცებულებების შესაგროვებლად, შემდეგ კი პატაკი უნდა დავწერო.

მშობლებმა ვახშმის მომზადება განაგრძეს, ფარშს კომბოსტოს ფურცლებში ახვევდნენ და ტაფაზე გვერდიგვერდ აწყობდნენ. ტოლმა გასივებულ და მოჭრილ ცერა თითებს ჰგავდა.

ტაფის გავსებამდე კრინტი არავის დაუძრავს.

- ჩვენთან ერთად ივახშმებ? - დაინტერესდა სტეპანი.

ლევი დედას სასტუმრო ოთახში შეჰყვა და დაინახა, რომ სუფრა სამ კაცზე გაეწყოთ.

- სტუმარს ელოდებით?

- ჰო, რაისას.

- ჩემს ცოლს?

- ვახშამზე უნდა დაგვეწვიოს. როდესაც კარზე დააკაკუნე, გვეგონა, ის იყო.

ანამ მაგიდაზე კიდევ ერთი თეფში დადო და დაამატა: - თითქმის ყოველკვირა მოდის ჩვენთან. არ გეუბნება, რა მოსაწყენია ყოველდღე რადიომიმღებთან ერთად ვახშმობა. რაისას ძალიან მივეჩვიეთ.

ლევი არასდროს ბრუნდებოდა შინ საღამოს შვიდი საათისთვის. გახანგრძლივებული სამუშაო დღე წესად სტალინმა შემოიღო, რომელსაც უძილობა ტანჯავდა და ოთხი საათი ძილიც ჰყოფნიდა. ლევს ყური მოეკრა, რომ სანამ სტალინის კაბინეტში შუქი არ ჩაქრებოდა, - ეს კი, ჩვეულებრივ, შუაღამის შემდეგ ხდებოდა, - პოლიტბიუროს წევრები შინ წასვლას ვერ ბედავდნენ. მართალია, ეს სტანდარტი ლუბიანკაზე არ ვრცელდებოდა, მაგრამ მათგანაც იმავე თავგანწირვას ელოდნენ. ცოტა ოფიცერი თუ ატარებდა სამსახურში ათ საათზე ნაკლებს, თუნდაც ზოგჯერ საქმე არც კი ჰქონოდათ.

შემოსასვლელში კაკუნი გაისმა. სტეპანმა კარი გააღო და რაისა შემოუშვა. მოხუცებივით, მასაც ძალზე გაუკვირდა ლევის დანახვა. სტეპანმა აუხსნა: - აქვე ჰქონდა საქმე და შემოგვიარა. ასე რომ, ერთხელ მაინც ვივახშმებთ ყველანი ერთად.

რაისამ ჟაკეტი გაიხადა, რომელიც სტეპანმა ჩამოართვა. იგი ქმარს მიუახლოვდა და თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა.

- ეს რა ტანსაცმელია?

ლევმა შეფარვით შეხედა თავის პერანგსა და შარვალს - სამოსს, რომელიც დახვრეტილ მამაკაცებს ეკუთვნოდათ.

- სამსახურში ვინათხოვრე.

- რომ იცოდე, პერანგი ყარს, - ჩასჩურჩულა რაისამ ლევს.

ლევი სააბაზანოსკენ გაემართა, კართან შეჩერდა, უკან მოიხედა და დაინახა, როგორ ეხმარებოდა რაისა მის მშობლებს სუფრის გაწყობაში.

ლევი ისეთ ბინაში გაიზარდა, სადაც ცხელი წყალი არ მოდიოდა. როდესაც პატარა იყო, ის და მისი მშობლები მამის ბიძასა და მის ოჯახთან ერთად ცხოვრობდნენ. მათ სულ ორი ოთახი ჰქონდათ, თითო - ყოველი ოჯახისთვის. ბინას არც სააბაზანო გააჩნდა, არც ცხელი წყალი და არც ტუალეტი, ამიტომ ყველას ეზოში უხდებოდა ჩასვლა. საპირფარეშოსთან დილაობით გრძელი რიგი იდგა, ზამთარში კი თავზე ათოვდათ. იზოლირებული სააბაზანო და ცხელი წყალი წარმოუდგენელ ფუფუნებად, აუხდენელ ოცნებად ითვლებოდა. ლევმა პერანგი გაიხადა და წელს ზემოთ დაიბანა, შემდეგ კარი ოდნავ გამოაღო და მამას ახალი პერანგი სთხოვა.

მართალია, სტეპანი მოხუცდა და წელშიც მოიხარა, - საამწყობო კონვეიერმა მას წარუშლელი დაღი დაასვა, ისევე, როგორც თვითონ აკეთებდა ამას დამზადებულ ჭურვებზე, - აღნაგობით შვილს თითქმის არ

ჩამოუვარდებოდა, ისეთივე ძარღვმაგარი და მხარბეჭიანი იყო. ასე რომ, მამის პერანგი ლევს კარგად მოერგო.

მან ტანსაცმელი გამოიცვალა და მაგიდას მიუჯდა. სანამ ფურნაკში ტოლმა მზადდებოდა, საუზმეულით დაიწყეს - მჟავე კიტრითა და სოკოთი. დედამ თეფშებზე ჩამოარიგა მაიორანით შეკაზმული ხბოს ენის ლაბასხმულის გამჭვირვალე ნაჭრები პირშუშხასთან ერთად. მეფური სუფრა იყო. ლევი საკუთარ თეფშს დასცქეროდა და ფიქრობდა: ნეტავ რა დაჯდა ამ ყველაფრის ყიდვა? ვის სიკვდილს უნდა ვუმადლოდეთ ამ მაიორანს? იქნებ ანატოლი ბროდსკის დაღუპვამ გვაშოვნინა ეს ენა? მან თავი შეუძლოდ იგრძნო და თქვა: – ახლა კი ვხვდები, რატომ მოდიხარ აქ ყოველკვირა.

რაისას გაეღიმა.

- ჰო, ძალიან მანებივრებენ. ვეუბნები, ფაფაც საკმარისი იქნება-მეთქი, მაგრამ...

საუბარში სტეპანი ჩაერთო: - ეს მხოლოდ და მხოლოდ საბაბია, რათა საკუთარ თავს ვასიამოვნოთ.

- პირდაპირ სამსახურიდან მოხვედი? - სასხვათაშორისოდ ჰკითხა ლევმა ცოლს.

- პირდაპირ.

ეს ტყუილი იყო. მან ჯერ ივანთან ერთად შეიარა სადღაც. სანამ ლევი მორიგ შეკითხვას დასვამდა, რაისამ დაამატა: - არა, ასე არ ყოფილა. აქ, ჩვეულებრივ, სამუშაოს დასრულებისთანავე მოვდივარ, მაგრამ დღეს შეხვედრა მქონდა დანიშნული, ამიტომაც ცოტა დამაგვიანდა.

- შეხვედრა?

- დიახ, ექიმის მისაღებში.

რაისას გაეღიმა.

- ამის თქმას მაშინ ვაპირებდი, როდესაც მარტო დავრჩებოდით, მაგრამ რადგან სიტყვა ჩამოაგდე...

- რა უნდა გეთქვა?

ანა წამოდგა.

- ჩვენ ხომ არ გავიდეთ?

ლევმა ჟესტით სთხოვა დედას, დაჯექიო.

- გთხოვ. დასამალი არაფერი გვაქვს. ერთი ოჯახი ვართ.

- ფეხმძიმედ ვარ.

20 თებერვალი ლევს ვერაფრით მოეხერხებინა დაძინება. იწვა, თვალები ჭერისთვის მიეპყრო და უსმენდა ცოლის თანაბარ სუნთქვას, რომელიც მას სიახლოვის გრძნობის გამო კი არა, ძილში უხერხულად გადაბრუნებისას მიჰკროდა. რაისას ყოველთვის ფხიზელი და მოუსვენარი ძილი ჰქონდა. იყო კი ეს საკმარისი მიზეზი მასზე უარის სათქმელად? იცოდა, რომ იყო. ისიც იცოდა, როგორ შეიძლებოდა ამის ჩაწერა პატაკში: ჩემს ცოლს მშვიდად ყოფნა არ შეუძლია. კოშმარები ესიზმრება: აშკარად რაღაც საიდუმლო აწუხებს.

შეეძლო, გამოძიებაზე პასუხისმგებლობა სხვა ოპერმუშაკისთვის დაეკისრებინა, საკუთარი თავი დაერწმუნებინა, რომ საქმეს მიკერძოებით უდგებოდა სათვალთვალო ობიექტთან ძალზე ახლოს დგომის გამო. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში გამოძიება ერთადერთი შედეგით დასრულდებოდა. საქმე უკვე აღძრული იყო და ვერავინ გაბედავდა დანაშაულის პრეზუმფციის წინააღმდეგ გალაშქრებას.

ლევი საწოლიდან წამოდგა და სასტუმრო ოთახის ფანჯარასთან მივიდა, საიდანაც ქალაქის ხედი კი არ იშლებოდა, არამედ მის წინ მდგარი მრავალსართულიანი კორპუსი მოჩანდა. შუქი მხოლოდ სამ ბინაში ენთო, ათასი ფანჯრიდან მხოლოდ სამი იყო განათებული. გაიფიქრა, ნეტავ რა არ ასვენებთ აქაურ მეზობლებსო. უეცრად უცნაური სიახლოვე იგრძნო ყვითლად შეფერილი ამ სამი მართკუთხედის მიმართ. დილის ოთხი საათი ხდებოდა, დაპატიმრებების საათი - საუკეთესო დრო ადამიანის შესაპყრობად, ძილის სამყაროდან მის გამოსაგლეჯად.

ისინი მოწყვლადები და დეზორიენტირებულნი იყვნენ. ბინაში ოპერმუშაკების შემოცვენის დროს გაუფრთხილებლად წამოცდენილ ნებისმიერ სიტყვას დაკითხვაზე ეჭვმიტანილის წინააღმდეგ იყენებდნენ. მაგრამ განა ადვილია კეთილგონიერების გამოჩენა, როდესაც თქვენს ცოლს იატაკზე თმით მიათრევენ? რამდენჯერ შეუნგრევია ლევს კარი ფეხის მძლავრი დარტყმით? რამდენჯერ უყურებია, როგორ წამოყრიდნენ ხოლმე ცოლ-ქმარს ლოგინიდან, ფარნებს თვალებში მიანათებდნენ და ამოჩაჩული ღამის პერანგებისა და პიჟამების ქვეშ იყურებოდნენ? რამდენჯერ გაუგონია, როგორ იცინოდნენ ოფიცრები მათი გენიტალიების დანახვაზე? პირადად თვითონ რამდენი ადამიანი გადმოათრია საწოლიდან? რამდენი ბინა გადააქოთა და თავდაყირა დააყენა? რა დაემართათ იმ ბავშვებს, რომლებსაც იგი აკავებდა, სანამ მათი მშობლები საპატიმროებში მიჰყავდათ? ვერ იხსენებდა. მათი სახელებისა და სახეების დავიწყებას

ცდილობდა. ამაში სუსტი მეხსიერებაც ეხმარებოდა. თვითონაც ხომ არ უწყობდა ხელს? იქნებ ამფეტამინს შრომისუნარიანობის ასამაღლებლად კი არ მოიხმარდა, არამედ თავის სამუშაოსთან დაკავშირებული მოგონებების დასავიწყებლად?

ოფიცრებს შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ერთი ანეკდოტი, რომლის მოყოლაც დაუსჯელად შეიძლებოდა. ცოლი და ქმარი საწოლში წვანან. უეცრად კარზე ბრახაბრუხი ისმის. უარესის მოლოდინში, ისინი დგებიან და ერთმანეთს კოცნით ემშვიდობებიან: მიყვარხარ, ქმარო. მიყვარხარ, ცოლო.

შემდეგ მიდიან და შემოსასვლელ კარს აღებენ. ზღურბლზე გულგახეთქილი და შეშინებული მეზობელი დგას, მის ზურგს უკან დერეფანი კვამლითაა სავსე, ჭერისკენ ცეცხლის ენები მიიწევს. გაღიმებული ცოლ-ქმარი ღმერთს მადლობას სწირავს: კიდევ კარგი, მხოლოდ ხანძარი ყოფილაო. ლევს ამ ანეკდოტის რამდენიმე ვარიანტი მოესმინა: ხანძრის ნაცვლად, შეიარაღებული ბანდიტები ან ექიმი ცუდი სიახლით. ადრე მის გაგონებაზე გულიანად იცინოდა, სწამდა, რომ მსგავსი რამ თვითონ არასდროს შეემთხვეოდა.

ახლა ცოლი ფეხმძიმედ ჰყავდა. მოახდენდა თუ არა ეს რამეზე გავლენას? შესაძლოა, რაისას მიმართ მისი უფროსების დამოკიდებულება შეეცვალა. მათ ის არასდროს მოსწონდათ, რადგან ლევს შვილს ვერაფრით უჩენდა. ისეთი დრო იყო, რომ ამას ყოველი ცოლ-ქმრისგან ელოდნენ, მოითხოვდნენ კიდეც. ომში დაღუპული მილიონობით ადამიანის გამო შვილების გაჩენა საზოგადოებრივ ვალდებულებად იქცა. რატომ ვერ ფეხმძიმდებოდა რაისა? ეს საკითხი მათ ქორწინებას მუდამ თან სდევდა. ერთადერთ მიზეზად ის სახელდებოდა, რომ ქალის ორგანიზმში რადაც ისე არ იყო. ბოლო დროს ამ პრობლემამ მეტი სიმძაფრე შეიძინა: ლევს სულ უფრო ხშირად ეკითხებოდნენ ამის შესახებ. რაისა სისტემატურად დადიოდა ექიმთან საკონსულტაციოდ. მათი სქესობრივი ურთიერთობა პრაგმატიზმს ეფუძნებოდა, გარე ზეწოლას კი მეტი მონდომებით პასუხობდნენ. ლევის მახვილ თვალს ბედის ირონია არ გამოჰპარვია - როგორც კი უფროსობამ თავისას მიაღწია და რაისა დაფეხმძიმდა, წამსვე მისი სიკვდილი მოისურვა. იქნებ შეეტყობინებინა, რომ ბავშვს ელოდებოდა? მაგრამ ეს აზრი მალევე უკუაგდო.

მოღალატე მათ თვალში მაინც მოღალატედ დარჩებოდა და მას შეღავათს არავინ გაუწევდა.

ლევმა შხაპი მიიღო. წყალი ყინულივით ცივი იყო. ჩაიცვა და საუზმედ შვრიის ფაფა მოიმზადა, მაგრამ მადა დაჰკარგოდა. იჯდა და შეჰყურებდა, როგორ სქელდებოდა ქვაბში ფაფა. სამზარეულოში რაისა შემოვიდა და ნამძინარევი თვალების ფშვნეტით მაგიდას მიუჯდა.

ლევი წამოდგა. სანამ ფაფას აცხელებდა, ერთმანეთისთვის არაფერი უთქვამთ. ლევმა ცოლს წინ ქვაბი დაუდგა. რაისას თვალები კვლავ დაეხუჭა. კაცმა ბაცი ჩაი გაუმზადა, ჭიქაში დაუსხა და მურაბის ქილაც მიუჩოჩა.

- შევეცდები, დღეს ადრე დავბრუნდე.

- ჩემ გამო დღის განრიგს ნუ შეცვლი.

- მაინც შევეცდები.

- არ გინდა, ლევ, საჭირო არ არის.

ლევმა კარი გაიხურა. თენდებოდა. ხედავდა, ქვევით, ასიოდე მეტრის დაშორებით, როგორ ელოდებოდა ხალხი გაჩერებაზე ტრამვაის. ლიფტი გამოიძახა და ზედა სართულის ღილაკს დააწვა. ბოლო, ოცდამეათე სართულზე, კაბინიდან გამოვიდა და დერეფანს გაუყვა სამსახურებრივი კარისკენ, რომელზეც ეწერა: „უცხო პირთათვის შესვლა აკრძალულია“. საკეტი დიდი ხნის წინ გაეტეხათ. კარი კიბის უჯრედისკენ იღებოდა, საიდანაც სახურავზე შეიძლებოდა მოხვედრა. აქ ადრეც იყო ნამყოფი, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ამ სახლში გადმოვიდნენ.

დასავლეთის მხრიდან ქალაქის ხედი იშლებოდა. აღმოსავლეთით მოჩანდა განაპირა გარეუბნები, სადაც მოსკოვი მთავრდებოდა და თოვლით დაფარული მინდვრები იწყებოდა.

ოთხი წლის წინ, როდესაც აქ იდგა და არემარით ტკბებოდა, თავი ამქვეყნად უბედნიერეს ადამიანად მიაჩნდა. იგი გმირი იყო, ამას გაზეთიდან ფოტოსურათიანი ამონაჭერიც ადასტურებდა. შესანიშნავი სამუშაო ჰქონდა, გვერდს ულამაზესი ცოლი უმშვენებდა. წრფელი გულით სწამდა თავისი ქვეყნის. ენატრებოდა თუ არა ეს გრძნობა - უპირობო და ურყევი რწმენა? დიახ, ენატრებოდა.

ლევი ლიფტით დაეშვა მეთოთხმეტე სართულზე და თავის ბინაში დაბრუნდა. რაისა უკვე სამსახურში წასულიყო. სამზარეულოს ნიჟარაში ჭუჭყიანი ქვაბი იდგა. მან ქურთუკი და ჩექმები გაიხადა, ხელები მოისრისა და საგულდაგულო ჩხრეკისთვის მოემზადა.

ლევი ხშირად მონაწილეობდა და ხელმძღვანელობდა კიდეც სახლების, ბინებისა და სამსახურებრივი კაბინეტების ჩხრეკას. МГБ-ს ოპერმუ-

შაკები ამას უმაღლეს დონეზე აკეთებდნენ. ლეგენდებს ჰყვებოდნენ იმ განსაკუთრებული გულმოდგინების შესახებ, რომელსაც ოფიცრები იჩენ-დნენ საქმისადმი თავისი ერთგულების დასამტკიცებლად. ძვირფას ნაკე-თობებს ნამსხვრევებად აქცევდნენ, პორტრეტებსა და ხელოვნების სხვა ნიმუშებს შეუბრალებლად ჭრიდნენ ჩარჩოებიდან, წიგნებს ყდებსა და ფურცლებს ახევდნენ, ზოგჯერ კედელსაც კი აგურ-აგურ შლიდნენ. მარ-თალია, ახლა შინ იყო და ირგვლივ მისი ნივთები ეწყო, ლევი საქმეს ძვე-ლებური გულმოდგინებით შეუდგა. საწოლებს საბნები და ზეწრები მოა-ცილა, ბალიშები და მატრასები გადაატრიალა და გაფაციცებით დაიწყო ზედაპირის ყოველი სანტიმეტრის შემოწმება. იმ უსინათლოს ჰგავდა, ბრაილის შრიფტით დაბეჭდილ ბიბლიას რომ კითხულობს. მატრასში ისე მარჯვედ შეიძლებოდა დოკუმენტების ჩაკერება, რომ ჩვეულებრივი შე-მოწმება ნაყოფს არ გამოიღებდა, და მხოლოდ ზედმიწევნით გასინჯვით შეიძლებოდა ოსტატურად შენიღბული სამალავების აღმოჩენა. ლევმა ვე-რაფერს მიაგნო და წიგნის თაროებზე გადაერთო. ყოველი წიგნი გადა-ფურცლა იმაში დასარწმუნებლად, რომ შიგ არაფერი იდო. ას მანეთს წა-აწყდა, თავისი ერთი კვირის ტოლ ხელფასს. დიდხანს შეჰყურებდა ფულს და ცდილობდა მოესაზრებინა, ეს რას ნიშნავდა, სანამ არ გაახსენდა, რომ წიგნიც მისი იყო და გადანახული ფულიც. მის ადგილას სხვა აგენტი იფიქრებდა, რომ მფლობელის სპეკულანტობის დამამტკიცებელ საბუთს მიაგნო. ლევმა ფული უკან დადო. შემდეგ კამოდის უჯრებისკენ გადაი-ნაცვლა, ერთ-ერთი გამოსწია, და აკურატულად დაწყობილ რაისას ნივ-თებს დახედა. იგი სათითაოდ იღებდა მათ, ყურადღებით სინჯავდა და ფერთხავდა, შემდეგ კი იატაკზე ისროდა.

მალე ყველა უჯრა დააცარიელა, მათი კედლები და ფსკერიც შეამოწ-მა. არაფერი იყო.

შემოტრიალდა და ოთახი მოათვალიერა. ახლა კედლების რიგი დად-გა - შპალერს თითებს უსვამდა, სამალავის ან სეიფის მოხაზულობის მიგ-ნებას ცდილობდა. ლევმა არც გაზეთიდან ამოჭრილი და ჩარჩოში მოთავ-სებული ის ფოტოსურათი შეიბრალა, რომელზეც გერმანელების ალმო-დებული ტანკის გვერდით იდგა. ეუცნაურა იმ დროის გახსენება, რომე-ლიც თავისი ცხოვრების ყველაზე ბედნიერ პერიოდად მიაჩნდა, თუმცა სიკვდილთან ერთად ხელიხელგადახვეული დადიოდა. ჩარჩო დაამტვრია და გაზეთის ამონაჭერი ფარფატით დაეცა იატაკზე. ლევი მუხლებზე და-ეშვა. იატაკის ფიცრები საიმედოდ იყო ჩახრახნილი სჭვალებით.

სამზარეულოდან სახრახნისი მოიტანა და სათითაოდ ამოიღო. მტვრისა და მილების გარდა იქ არაფერი აღმოჩნდა.

ლევი სამზარეულოში დაბრუნდა ხელების დასაბანად. როგორც იქნა, ცხელი წყალი წამოვიდა. დიდხანს ისვამდა ხელისგულებზე საპნის პატარა ნაჭერს, ჭუჭყის მოცილების შემდეგაც არ ჩქარობდა ონკანის დაკეტვას. რის ჩამობანას ცდილობდა? ღალატის? არა, მეტაფორები არ უყვარდა. ხელებს იმიტომ იბანდა, რომ ჭუჭყიანი ჰქონდა. საკუთარ ბინას კი იმიტომ ჩხრეკდა, რომ ეს ვინმეს მაინც უნდა გაეკეთებინა. ამაზე ფიქრით ზედმეტად თავის ატკივება არ ღირდა.

ამ დროს კარზე დააკაკუნეს. ლევმა იდაყვებამდე კრემისფრად გასაპნული ხელები ჩამოიბანა. კაკუნი განმეორდა. ხელებიდან წყალი წვეთ-წვეთად ჩამოსდიოდა, როდესაც დერეფანში გავიდა და დაიძახა: - ვინ არის?

- ვასილი ვარ.

ლევმა თვალები დახუჭა, იგრძნო, როგორ გამალებით აუძგერდა გული და მოზღვავებული მრისხანების დაოკება სცადა. ვასილიმ კვლავ დააკაკუნა. ლევმა ნაბიჯი წინ გადადგა და კარი გააღო. ვასილის ორი კაცი ახლდა. ერთ მათგანს, ახალგაზრდა ოფიცერს, ლევი პირველად ხედავდა. მას სახის რბილი ნაკვთები და ფერმკრთალი კანი ჰქონდა. მან ლევს არაფრის მთქმელი, თითქოსდა ცომში ჩასმული შუშის ბურთულებივით თვალები მიაპყრო. მეორე კაცი ფიოდორ ანდრეევი იყო. დიახ, ვასილის საგულდაგულოდ შეერჩია დამხმარეები. უფერული აგენტი მისი პირადი მცველი იქნებოდა. სავარაუდოდ, ღონიერი და მარჯვე, ალბათ, ჩინებულად ფლობდა პისტოლეტსა და დანას. ფიოდორი კი განზრახ წამოეყვანა, რათა ლევი მეტად დაემცირებინა.

- რა მოხდა?

- შენს დასახმარებლად მოვედით. მაიორმა კუზმინმა გამოგვგზავნა.

- გმადლობთ, მაგრამ მარტოც გავართმევ თავს.

- ამაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ დახმარება არ გაწყენს.

- კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას, მაგრამ ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ.

- დამშვიდდი, ლევ. გრძელი გზა გამოვიარეთ, გარეთ კი ძალიან ცივა.

ლევი განზე გადგა და მათ გზა გაუთავისუფლა.

შემოსულებს ჩექმები არ გაუხდიათ, მიუხედავად იმისა, რომ მათ ყინულის ნატეხები მიჰკვროდა. ისინი ქუსლებიდან ცვიოდა და ნოხზე ჭუ-

ჭყიან კვალს ტოვებდა. ლევმა კარი მიხურა. მშვენივრად ხვდებოდა, რომ ვასილი აქ ტყუილუბრალოდ არ მოვიდოდა. მან საკუთარი თავი სატყუარად წარმოადგინა, სურდა, ლევი მწყობრიდან გამოეყვანა. დამატებით არგუმენტს, წინდაუხედავად წარმოთქმულ შენიშვნას ელოდა, რაც მის სიმართლეს დაადასტურებდა.

ლევმა სტუმრებს ჩაი და არაყი შესთავაზა. ყველამ იცოდა, ვასილის რომ სმა უყვარდა, მაგრამ ეს უმნიშვნელო ცოდვად მიაჩნდათ, თუ ეს საერთოდ ცოდვა იყო. მან თავი გადააქნია, სასმელზე უარი თქვა და საძინებელში შეიხედა.

- რას მიაგენი?

ვასილი პასუხს აღარ დაელოდა, ოთახში შევიდა და გადაბრუნებულ მატრასებს შეხედა.

- არც კი გამოგიშიგნავს.

ვასილი ჩაცუცქდა, დანა ამოიღო და შალითის გაჭრა დააპირა. ლევმა ხელი სტაცა.

- გაფატვრა აუცილებელი არაა. ხელითაც შეიძლება გასინჯვა და დადგენა, შიგნით რამე ჩააკერეს თუ არა.

- მაშასადამე, აქაურობის მილაგებას აპირებ?

- მიხვედრილი ყოფილხარ.

- ვფიქრობ, შენი ცოლი კვლავაც უდანაშაულოდ მიგაჩნია, ასეა?

- ვერაფერი აღმოვაჩინე, რაც საპირისპიროში დამარწმუნებდა.

- ნება მომეცი, რაღაც გირჩიო. სხვა ცოლი მოძებნე. რაისა ლამაზია, მაგრამ ლამაზი ქალი ბევრია. იქნებ უფრო ბედნიერი იყო, თუ ნაკლებად ლამაზ ქალს აირჩევ.

ვასილიმ ხელი ჯიბეში ჩაიყო, იქიდან ფოტოსურათების დასტა ამოიღო და ლევს გაუწოდა.

მათზე რაისა სკოლის ჭიშკართან ივანთან, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთან ერთად იდგა.

- მასთან ჟიმაობს, ლევ. მან შენც გიღალატა და ქვეყანასაც.

– ეს ფოტოსურათები სკოლაშია გადაღებული. ორივე მასწავლებელია. ცხადია, ისინი ერთადაც არიან ხოლმე. ფოტოები არაფერს ამტკიცებს.

– იცი, რა ჰქვია?

– თუ არ ვცდები, ივანი.

- ბოლო დროს ვუთვალთვალებთ. ალბათ, შენც მეგობრობ მასთან, არა?

- არასდროს შევხვედრივარ და არც დავლაპარაკებივარ.

იატაკზე დაყრილი ქვედა საცვლების დანახვაზე ვასილი დაიხარა და რაისას ტრუსი აიღო, თითებით დაჭმუჭნა და ცხვირთან ისე მიიტანა, ლევისთვის თვალი არ მოუცილებია. ნაცვლად იმისა, ასეთი თავხედური პროვოკაციისგან გაცოფებულიყო, ლევმა თავის მოადგილეს მოულოდნელად სრულიად სხვა თვალით შეხედა. ვინ იყო ეს კაცი, რომელსაც ასე ძლიერ სძულდა იგი? რა ამოძრავებდა - პროფესიული ეჭვიანობა თუ დაუკმაყოფილებელი ამბიცია?

მხოლოდ ახლა მიხვდა ლევი, როდესაც დაინახა, თუ როგორ ყნოსავდა ვასილი რაისას ქვედა საცვალს, რომ ამ კაცს პირადად იგი, ლევი სძულდა.

- შეიძლება, შენი ბინა დავათვალიერო?

ლევს გულმა ცუდი უგრძნო.

- მეც შენთან ერთად წამოვალ, - მიუგო მან.

- არა, მარტო მირჩევნია მუშაობა.

ლევმა თავი დაუქნია. ვასილი ოთახიდან გავიდა.

მასპინძელს ყელში ბრაზმა წაუჭირა. გაჭირვებით შეუშვა ფილტვებში ჰაერი და გადაყირავებულ საწოლს მიაშტერდა. უეცრად ზურგს უკან ვიღაცის ხმადაბალი და რბილი ხმა მოესმა. ეს ფიოდორი იყო.

- შენ ეს მაინც გააკეთე. ცოლის ნივთებში იქექებოდი, საკუთარი ლოგინი გამოშიგნე, იატაკის ფიცრები აყარე - საკუთარი ცხოვრება ნაკუწებად აქციე.

- ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ იმისთვის, რომ შესაძლოა, თვითონაც გავხდეთ ჩხრეკის ობიექტი. გენერალისიმუსი სტალინი...

- ვიცი. ბელადმა თქვა, აუცილებლობის შემთხვევაში, ჩემი ბინაც გაჩხრიკეთო.

- ჩვენ არა მარტო შეიძლება, გამოძიების სამიზნედ ვიქცეთ, არამედ უნდა ვიქცეთ კიდეც გამოძიების სამიზნედ.

- მიუხედავად ამისა, ჩემი შვილის სიკვდილი არ გამოიძიე. შენ შეგიძლია უთვალთვალო საკუთარ ცოლს, მეგობრებს, მეზობლებს, მაგრამ ბავშვის ცხედარი მაინც არ ნახე. ერთი საათი ვერ გამონახე, რომ მისი გადაჭრილი მუცლისა და ჭუჭყითა და მიწით გამოვსებული პირისთვის შეგეხედა?

ფიოდორი მშვიდად გამოიყურებოდა, ხმადაბლა და რბილად ლაპარაკობდა - ბრაზი განელებოდა. ყინულად გადაჰქცეოდა. ახლა უშიშრად შეეძლო ლევთან ასე გულწრფელად საუბარი, რადგან იცოდა: ლევი მისთვის საფრთხეს აღარ წარმოადგენდა.

- ფიოდორ, შვილის ცხედარი შენც არ გინახავს.

- მე იმ მოხუცს ველაპარაკე, გვამს რომ წააწყდა. ყველაფერს მომიყვა, რაც კი ნახა. ახლაც ვხედავ მის შეძრწუნებულ თვალებს. მოწმესაც გავესაუბრე - ქალს, შენ რომ ასე დააშინე. მან იმ კაცის სახეც დაინახა, ჩემი შვილისთვის ხელი რომ ჩაევლო და ლიანდაგების გასწვრივ მიჰყავდა. მისი აღწერაც შეუძლია. მაგრამ ეს არავის სჭირდება. ახლა ისიც შეშინებულია. ჩემი ბიჭი მოკლულია, ლევ. მილიციამ მოწმეებს ჩვენება შეაცვლევინა. ამას ველოდი კიდეც, მაგრამ შენ ჩემი მეგობარი იყავი. ოჯახში მესტუმრე და მოითხოვე, რომ კრინტი არავის დაეძრა.

დამწუხრებულ მშობლებს ემუქრებოდი. უმეცრად შედგენილი რაღაც დოკუმენტი წაგვიკითხე და განაცხადე, რომ მასში სიმართლე ეწერა. ნაცვლად იმისა, რომ ჩემი შვილის მკვლელი მოგეძებნა, დაკრძალვაც კი ფარულად ჩაგვატარებინე.

- ფიოდორ, მე მხოლოდ თქვენს დახმარებას ვცდილობდი.

– მჯერა. შენ გვიკარნახე, თავი როგორ გადაგვერჩინა.

– ჰო.

- რომ იცოდე, ერთგვარად მადლობელიც კი ვარ შენი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის კაცი, შვილი რომ მომიკლა, მეც მომკლავდა და ოჯახსაც ამომიხოცავდა. შენ გადაგვარჩინე.

ამიტომაც აქ ნიშნის მოსაგებად კი არ მოვედი, არამედ იმისთვის, რომ სიკეთე სიკეთითვე გადაგიხადო. ვასილი მართალია. საკუთარი ცოლი უნდა გაწირო. ნუ კარგავ დროს სამხილების მოსაპოვებლად. უარი თქვი მასზე და გადარჩები. რაისა ჯაშუშია, ამის შესახებ გადაწყვეტილება უკვე მიღებულია. წავიკითხე ანატოლი ბროდსკის აღიარება. იმავე შავი მელნითაა დაწერილი, რომლითაც ჩემი შვილის შესახებ შედგენილი პატაკი.

არა, ფიოდორი ცდებოდა. ბრაზი ჯერაც ვერ მოენელებინა. ლევმა თავს შეახსენა, რომ მარტივი დავალება ჰქონდა - საკუთარი ცოლისთვის თვალი მიედევნებინა და შედეგების შესახებ მოეხსენებინა. მისი ცოლი უდანაშაულო იყო.

- დარწმუნებული ვარ, რომ მოღალატის მიერ ჩემი ცოლის სახელის მოხსენიება მხოლოდ და მხოლოდ შურისძიებით აიხსნება. და ამას, ჯერ-ჯერობით, ჩემი გამოძიებაც ადასტურებს.

ოთახში ვასილი დაბრუნდა. ძნელი სათქმელი იყო, რა მოისმინა მან მათი საუბრიდან, მაგრამ ეს კი განაცხადა: – თუ იმას არ ჩავთვლით, რომ მის მიერ დასახელებული ექვსი პირი უკვე დაკავებულია და ექვსივე ყველაფერში გამოტყდა. ანატოლი ბროდსკიმ მართლაცდა უძვირფასესი ცნობები მოგვაწოდა.

– თუ ასეა, მოხარული ვარ, რომ სწორედ მე მოვახერხე მისი შეპყრობა.

- შენი ცოლის გვარი მსჯავრდადებულმა ჯაშუშმა დაასახელა.

- წაკითხული მაქვს მისი აღიარება, რაისას სახელი სიაში ბოლო ადგილზეა.

- მას თანამზრახველთა გვარები მათი მნიშვნელობის მიხედვით არ ჩამოუთვლია.

- ეჭვი არ მეპარება, რომ რაისას სახელი პირადი სიძულვილის გამო დაამატა. ვფიქრობ, ამით ჩემთვის ტკივილის მოყენება სურდა. არა მგონია, ამ წარუმატებელმა მცდელობამ ვინმე შეცდომაში შეიყვანოს. შენ კი შეგიძლია, ჩხრეკაში დამეხმარო, თუ აქ მართლა ამისთვის მოხვედი. როგორც ხედავ, არაფერი გამომრჩენია, - თქვა ლევმა და იატაკის აყრილ ფიცრებზე მიუთითა.

- უარი თქვი მასზე, ლევ. სიმართლეს თვალებში ჩახედე. სასწორის ერთ თეფშზე შენი კარიერა და მშობლებია, მეორეზე - მოღალატე და ბოზი.

ლევმა ფიოდონს შეხედა. მისი სახე არც კმაყოფილებას გამოხატავდა, არც ღვარძლიან სიხარულს. ვასილიმ განაგრძო: - შენ იცი, რომ ბოზია. ამიტომაც უთვალთვალებდი მას ადრე.

ლევს ბრაზი დაბნეულობით შეეცვალა. სცოდნიათ. ყველაფერი თავიდანვე სცოდნიათ.

- გეგონა, ამას ვერავინ შეიტყობდა? ჩვენ არაფერი გამოგვეპარება. უარი თქვი მასზე, ლევ.

საბოლოოდ დასვი წერტილი. ბოლო მოუდე ეყვებს. თავი დაანებე შეკითხვებს, რომლებიც ღამღამობით არ გაძინებს. უარყავი იგი, შემდეგ კი წავიდეთ და დავლიოთ. საღამოს ბოლოსთვის უკვე სხვა ქალი გეყოლება.

- რასაც ვიპოვი, იმის შესახებ ხვალ მოვახსენებ. თუ რაისა მოღალატეა, ასეც ვიტყვი, მაგრამ თუ უდანაშაულოა, საპირისპიროს მტკიცებას არ დავიწყებ.

- მაშინ წარმატებას გისურვებ, მეგობარო. თუ ამ სკანდალს გადაიტან, ერთ მშვენიერ დღეს VII 5-ს სათავეშიც მოექცევი. დარწმუნებული ვარ. და მაშინ ჩემთვის დიდი პატივი იქნება, თუ შენისთანა ადამიანი მიხელმძღვანელებს.

გასვლისას ვასილი შემობრუნდა და თქვა: - კარგად დაიმახსოვრე, რაც გითხარი. არჩევანი შენი და მშობლების სიცოცხლესა და მას შორის უნდა გააკეთო. მარტივად ამოსახსნელი ამოცანაა.

ლევმა კარი მიხურა.

მან ყური მიუგდო ფეხის ხმას, რომელიც სულ უფრო შორიდან გაისმოდა, და უეცრად შეამჩნია, რომ ხელები უკანკალებდა. საძინებელში დაბრუნდა და არეულობას თვალი მოავლო.

შემდეგ იატაკის ყველა ფიცარს თავისი ადგილი მიუჩინა და სჭვალებით ჩაამაგრა. ლოგინი დააგო, ზეწარი და საბანი გაასწორა, ოდნავ მოთელა, რათა მისთვის უწინდელი სახე მიეცა.

რაისას ნივთები უჯრებში ჩააბრუნა, ხვდებოდა, რომ მათი თანამიმდევრობა ზუსტად აღარ ახსოვდა. თუმცა ამას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ასეც არა უშავდა.

როდესაც ცოლის ღამის პერანგი აიღო, იქიდან პატარა ნივთი გადმოვარდა და იატაკზე გაგორდა. ეს სპილენძის ერთმანეთიანი მონეტა იყო. ლევი დაიხარა, აიღო და საწოლთან მდგარ ტუმბოზე დააგდო. დარტყმამ მონეტა ორად გახლიჩა და ნაწილები აქეთ-იქით გადავარდა. შეფიქრიანებული მიუახლოვდა მათ, მუხლებზე დაეშვა და ორივე ნახევარი აიღო.

ერთ-ერთის შიგნით ნამცეცი სიღრუე მოჩანდა. თუმცა, თუ ერთმანეთს მიადებდით, ჩვეულებრივ მონეტას ჰგავდა. ლევს ადრეც ენახა ამგვარი რამ. ასეთ სამალავში მიკროფირს ინახავდნენ.

21 თებერვალი ლევი ჩვენებას მაიორ კუზმინის, ვასილი ნიკიტინისა და თემურ რაფაელოვიჩის თანდასწრებით აძლევდა. სწორედ ამ უკანასკნელმა შეცვალა იგი ანატოლი ბროდსკის დაკითხვისას. ლევი მას კარგად არ იცნობდა, თუმცა იცოდა, რომ სიტყვაძუნწი და ამბიციური ახალგაზრდა იყო. ხვდებოდა, რომ აღიარებით ჩვენებაში მოყვანილ ყოველ სიტყვას, მათ შორის რაისას სახელსაც, იგი კბილებით დაიცავდა, რაც ლევს საქმეს უკიდურესად გაურთულებდა. ეს ადამიანი არასდროს ყოფილა ვა-

სილის ლაქია. რაფაელოვიჩი მას არც პატივს სცემდა, არც ეშინოდა. ლევს ის აზრი არ ასვენებდა, რომ ვასილიმ განზრახ ჩაამატა ვეტერინარის ჩვენებაში რაისას სახელი, მაგრამ იგი რაფაელოვიჩს ვერაფერს უბრძანებდა, არც ბერკეტები გააჩნდა მასზე ზეწოლის მოსახდენად. წოდების მიხედვითაც მას უნდა დამორჩილებოდა დაკითხვისას. ბოლო ორი დღის განმავლობაში ლევი იმის გათვალისწინებით მოქმედებდა, რომ მომხდარი ვასილის შურისძიება იყო. აღმოჩნდა, რომ ცდებოდა. ყველაფრის უკან ვასილი კი არა, სხვა იდგა. ჩვენების გაყალბება ერთადერთ ადამიანს, მაღალი რანგის მოწმეს, მაიორ კუზმინს შეეძლო.

დიახ, ეს ყველაფერი მის დამრიგებელს მოეწყო, ადამიანს, რომელმაც ლევი თავისი ფრთის ქვეშ შეიფარა. ლევმა ყურად არ იღო მისი რჩევა ანატოლი ბროდსკისთან დაკავშირებით და ახლა მას ჭკუის სასწავლებელ გაკვეთილს უტარებდნენ. რა უთხრა მაშინ კუზმინმა?

სენტიმენტალობამ შესაძლოა, დააბრმაოს კიდეც ადამიანი.

ლევს წინ ელოდა ტესტი, გამოცდა, რომლის დროსაც მისი, როგორც ოფიცრის, პროფესიული ვარგისიანობა უნდა შეემოწმებინათ. რაისა აქ არაფერ შუაში იყო. არც სხვა რამ ან ვინმე.

რატომ უნდა დაევალებინათ ქმრისთვის ცოლის საქმის გამოძიება, თუ არა იმის სანახავად, როგორ მოიქცეოდა იგი ამ პროცესში? ვასილი მის მიერ ჩატარებული ჩხრეკის შედეგების შესამოწმებლად კი არ მივიდა მასთან, - სულ არ ადარდებდა, რას აღმოაჩენდა იგი საკუთარ სახლში, - არამედ დაკისრებულ საქმეზე ლევის რეაქცია და მიდგომა აინტერესებდა. ახლა მოზაიკის ყველა ნაწილი მოერგო ერთმანეთს. გუშინ ვასილი არწმუნებდა, რომ ცოლზე უარი ეთქვა. იმედოვნებდა, რომ ლევი სხვაგვარად მოიქცეოდა და მას დაიცავდა. არ უნდოდა, ლევს რაისა გაეწირა. არ უნდოდა, ამ შემოწმებისთვის გაეძლო. პირიქით, სურდა, პირადი ცხოვრება პარტიის ინტერესებზე მაღლა დაეყენებინა. ეს ერთგვარი ხრიკი იყო. მას მხოლოდ ის მოეთხოვებოდა, რომ მაიორ კუზმინისთვის თავისი მზადყოფნა ეჩვენებინა და ცოლზე უარი ეთქვა, რითაც МГБ-ს მიმართ უსაზღვრო ერთგულებასაც დაადასტურებდა. დაამტკიცებდა, რომ კვლავაც ურყევი რწმენა და შეუბრალებელი გული ჰქონდა. მაშინ საფრთხე აღარავის დაემუქრებოდა - არც რაისას, არც ჯერ არგაჩენილ ბავშვს და არც მის მშობლებს. МГБ-ში მისი კარიერა კვლავ აღმავალი გზით წავიდოდა, ვასილი კი არარაობად გადაიქცეოდა.

მაგრამ ვაითუ, ცდებოდა? იქნებ მოღალატე, როგორც ეს თვითონ აღიარა, მართლა მოღალატე იყო? იქნებ მართლა თანამშრომლობდა რაისასთან? მას ხომ სიმართლის თქმაც შეეძლო. რატომ სჯეროდა, რომ მის ცოლს ბრალი არაფერში მიუძღოდა? ბოლოს და ბოლოს, რისთვის დაუმეგობრდა რუსული ენისა და ლიტერატურის დისიდენტ მასწავლებელს? როგორ მოხვდა მონეტა მის ბინაში? აღიარებით ჩვენებაში ჩამოთვლილი დანარჩენი ექვსი კაცი ხომ უკვე დააპატიმრეს და დაჰკითხეს კიდეც. სია სწორი აღმოჩნდა, მასში კი რაისას გვარიც ფიგურირებდა. დიახ, იგი ჯაშუში იყო და ახლა ლევს ჯიბეში სპილენძის მონეტა ედო - ამ ფაქტის დამადასტურებელი სამხილი. შეეძლო, მაგიდაზე დაედო და რაისასა და ივან ჟუკოვის დაკავება და დაკითხვა მოეთხოვა. იგი გააცურეს. ვასილი მართალი აღმოჩნდა: მისი ცოლი მოღალატე იყო და მუცლით სხვა კაცის შვილს ატარებდა. განა ყოველთვის არ იცოდა, რომ რაისა ღალატობდა? ლევი დარწმუნებული იყო, რომ მას არ უყვარდა. მაშ, რატომ დაედო სასწორზე ყველაფერი იმ ქალის გულისთვის, რომელიც მის მიმართ გულცივობას იჩენდა და გაჭირვებით იტანდა? რაისა საფრთხეს წარმოადგენდა როგორც მისი სამსახურისთვის, ისე იმისთვის, რაც მშობლებისა და საკუთარი თავისთვის მოეპოვებინა, აგრეთვე, ქვეყნისთვის, იმ ქვეყნისთვის, რომლის დასაცავადაც ლევი იბრძოდა.

ყველაფერი სრულიად აშკარა იყო: თუ ცოლს დაადანაშაულებდა, მისთვის და მისი მშობლებისთვის ყველაფერი კარგად დასრულდებოდა. ამას წყალი არ გაუვიდოდა.

უსაფრთხოების თვალსაზრისით, სწორედ ეს ნაბიჯი უნდა გადაედგა. თუ ლევის ხასიათის სიმტკიცის გამოცდა სურდათ, რაისაც გადარჩებოდა და მომხდარის შესახებ ვერც ვერაფერს გაიგებდა. თუ იგი ჯაშუში იყო, მაშინ ამ ადამიანებს უკვე ექნებოდათ მისი დანაშაულის მტკიცებულებები და მხოლოდ იმაში სურდათ დარწმუნება, რომ ლევი მასთან ერთად არ მუშაობდა. თუ რაისა ჯაშუში იყო, ცოლის საქციელი უნდა დაეგმო, რადგან იგი სიკვდილს იმსახურებდა.

მაიორმა კუზმინმა დაკითხვა დაიწყო.

- ლევ სტეპანოვიჩ, საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ თქვენი ცოლი უცხო ქვეყნების დაზვერვის სასარგებლოდ მუშაობს. პირადად თქვენზე არაფერს ვეჭვობთ. ამიტომაც გთხოვეთ მეუღლის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებების სათანადოდ გამოძიება. თუ შეიძლება, მოგვიყევით, რა აღმოაჩინეთ.

ეს იმის დადასტურება იყო, რასაც თვითონ ფიქრობდა. მაიორმა კუზმინმა მას მკაფიო, არაორაზროვანი წინადადებით მიმართა: თუ ცოლზე უარს იტყოდა, მომავალში კვლავაც მათი ნდობით ისარგებლებდა. რა უთხრა ამის შესახებ ვასილიმ?

თუ ამ სკანდალს გადაიტან, ერთ მშვენიერ დღეს VII ნ-ს სათავეშიც მოექცევი. დარწმუნებული ვარ.

დაწინაურება ერთ წინადადებაზე იყო დამოკიდებული.

ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მაიორი კუზმინი წინ გადაიხარა.

- ლევ?

ლევი წამოდგა და ქურთუკი გაისწორა.

- ჩემი ცოლი უდანაშაულოა.

სამი კვირის შემდეგ

ურალის მთების დასავლეთით

ქალაქი ვოლსკი 13 მარტი

ავტომობილების საამწყობო საამქროში მესამე ცვლა გამოვიდა. ილონამ მუშაობა დაასრულა და მძაფრსუნიანი შავი საპნის ნატეხით ხელების წმენდას შეუდგა. სხვა არ ჰქონდა.

წყალი ყინულივით ცივი იყო. საპონი არ ქაფდებოდა, - მხოლოდ და მხოლოდ პატარ-პატარა ცხიმიანი ნაჭრები ატყდებოდა, - მაგრამ იგი ახლა იმ რამდენიმე საათზე ფიქრობდა, მომდევნო ცვლის დაწყებამდე რომ რჩებოდა. მას უკვე დაეგეგმა, ღამეს როგორ გაატარებდა. ჯერ ფრჩხილებიდან ზეთსა და ლითონის ნაქლიბს მოიცილებდა, შემდეგ შინ წავიდოდა, ტანსაცმელს გამოიცვლიდა, ლოყებს ოდნავ აივარდისფრებდა და „ბაზაროვს“, რკინიგზის სადგურთან მდებარე რესტორანს მიაშურებდა.

„ბაზაროვი“ დიდი პოპულარობით სარგებლობდა მივლინებაში მყოფ ჩინოვნიკებს შორის, რომლებსაც აქ უწევდათ გაჩერება, სანამ ტრანსციმბირული მაგისტრალით აღმოსავლეთისკენ ან დასავლეთისკენ გაემგზავრებოდნენ. რესტორნის მენიუში შედიოდა ფეტვის წვნიანი, ქერის ფაფა და დამარილებული ქაშაყი - ილონას აზრით, ნამდვილი საშინელება. თუმცა მთავარი ის იყო, რომ აქ სპირტიან სასმელსაც ყიდდნენ. ვინაიდან დასაყოლებლის გარეშე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სპირტიანი სასმლის გაყიდვა იკრძალებოდა, საკვები მიზნის მიღწევის საშუალებად და ერთი თეფში წვნიანის შეხვრეპის ნებართვად იქცა.

სინამდვილეში რესტორანი იაფფასიანი დაწესებულება იყო, სადაც საათობრივად შეიძლებოდა ქალის შოვნა. კანონს, რომ სულზე ას გრამზე მეტის გაყიდვის უფლება არ ჰქონდათ, არავინ დაგიდევდათ. ბაზაროვი, რესტორნის დირექტორი და თანამოსახელე, გამუდმებით მთვრალი დაიარებოდა და ზოგჯერ სიფიცხესაც ავლენდა. თუ ილონას უნდოდა, თავის ხელობაში ხელი არ შეშლოდა, მისთვის შემოსავალიც უნდა გაეყო. ისეთ სახეს ხომ ვერ მიიღებდა, რომ მხოლოდ დასალევად შემოდიოდა და ში-

გადაშიგ რომელიმე გადახდისუნარიან კლიენტთან ერთად მიდიოდა ხოლმე. რესტორანს არავინ სტუმრობდა დასალევად და ამ გზით სიამოვნების მისაღებად. აქ, ძირითადად, ჩამოსულები იკრიბებოდნენ, ადგილობრივები ამ ადგილს არ სწყალობდნენ, აქაურობა პოპულარობით აღარ სარგებლობდა. ცოტა ხნის წინ ილონა ავად გახდა - წყლულები, წითელი ლაქები, გამონაყარი და მისთანები გაუჩნდა. რამდენიმე მუდმივი კლიენტი მისგან მსგავსი სიმპტომებით დასაჩუქრდა და მთელ ქალაქს მოსდეს ეს ამბავი, სახელი გაუტეხეს. ახლა მხოლოდ იმათთან თუ დაიჭერდა საქმეს, ვინც მას არ იცნობდა, ვინც ქალაქში ცოტა ხნით ჩამოდიოდა და ჩირქიან შარდვას მხოლოდ ვლადივოსტოკში ან მოსკოვში იწყებდა - იმის მიხედვით, თუ რომელ მხარეს გაემგზავრებოდა. ცხადია, არ სიამოვნებდა სხვებისთვის, თუნდაც მისთვის არასასიამოვნო ადამიანებისთვის, ინფექციის გადადება, მაგრამ ამ ქალაქში სქესობრივი გზით შეძენილი დაავადების მოსარჩენად ექიმთან მისვლა თვით ამ დაავადებებზე უფრო სახიფათო იყო. გაუთხოვარი ქალისთვის კი ეს ნაცხით დადასტურებული ყველა მომაკვდინებელი ცოდვის აღიარებას ნიშნავდა. მკურნალობის ერთადერთ გზად „შავი ბაზარი“ რჩებოდა, მაგრამ ამას ფული სჭირდებოდა, ზოგჯერ ბევრი ფულიც. ჯერჯერობით კი იგი გაცილებით მნიშვნელოვანი საქმისთვის - ამ ქალაქიდან გაქცევისათვის ცდილობდა საჭირო თანხის მოგროვებას.

როდესაც ილონა რესტორანში მივიდა, იქ უკვე ბევრი ხალხი ირეოდა. ფანჯრები დაორთქლილიყო. ჰაერში მახორკის - იაფფასიანი თამბაქოს სუნი იდგა. მთვრალი კაცების ხარხარი ჯერ კიდევ ორმოცდაათი ნაბიჯის დაშორებით მისწვდა მის ყურს. ილონამ გაიფიქრა, რესტორანს, ალბათ, ჯარისკაცები ეწვივნენო. გამოიცნო კიდეც. მთებში ხშირად სამხედრო სწავლებას ატარებდნენ და სამსახურისგან თავისუფალი პერსონალი, როგორც წესი, აქ იკრიბებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი კლიენტურის მომსახურება ბაზაროვის სპეციალობა გახლდათ. იგი მათთვის წყალნარევ არაყს ყიდდა და როდესაც სტუმრები ამის გამო დაიჩივლებდნენ ხოლმე, რაც ხშირად ხდებოდა, უმტკიცებდა, რომ ამ გზით ლოთობას ებრძოდა. არც ჩხუბი იყო ამ ადგილისთვის უცხო ხილი. ერთი რამ ილონამ კარგად იცოდა: მიუხედავად გამუდმებული წუწუნისა, ძნელი ცხოვრებისა და საშინელი კლიენტურის შესახებ, მას გვარიანი შემოსავალი ჰქონდა ნაქურდალი არყის გაყიდვის წყალობით. ერთი სიტყვით, სპეკულანტი იყო. და არამზადა. ორიოდე თვის წინ, როდესაც ილონა მასთან

ავიდა ერთი კვირის წილის გადასაცემად, ჭუჭრუტანიდან დაინახა, როგორ დინჯად ითვლიდა ფულის კუპიურებს, რომლებსაც რეზინით გარშემოჭერილ ლითონის ყუთში ინახავდა.

სუნთქვაშეკრულმა იმასაც მოჰკრა თვალი, თუ როგორ შეახვია მან კოლოფი ჩვარში და საკვამურში დამალა. მას შემდეგ ილონა იმაზე ოცნებობდა, თუ როგორ მოეპარა ეს ფული და ქალაქიდან შორს გადახვეწილიყო. რასაკვირველია, ბაზაროვს რომ დაეჭირა, კისერს მოუგრეხდა, მაგრამ იმედოვნებდა, როდესაც დაცარიელებულ კოლოფს აღმოაჩენს, გული იქვე, ბუხართანვე გაუსკდებაო, რადგან ცოდვა გამხელილი სჯობს და, ასე ეგონა, რესტორნის დირექტორის გულიცა და სულიც ამ კოლოფში ინახებოდა.

ილონას გაანგარიშებით, ჯარისკაცები ორიოდე საათს კიდევ გააგრძელებდნენ ლოთობას, ახლა კი მხოლოდ ხელებს უფათურებდნენ - ამ პრივილეგიისთვის ისინი არაფერს იხდიდნენ, თუ, რა თქმა უნდა, სირჩა არაყი გადასახადად არ ჩაითვლებოდა. ილონა კი ასე არ ფიქრობდა.

მან სხვა სტუმრებსაც მოავლო თვალი, იქნებ ცოტა ფული მაინც ვიშოვო, სანამ ჯარისკაცები აქედან აიყრებიანო. სამხედროებს წინა მაგიდები დაეკავებინათ, რესტორნის უკანა ნაწილი კი სხვებისთვის დაეტოვებინათ. ეს კლიენტები მარტონი ისხდნენ - წინ არაყი და ხელუხლებელი საჭმლით სავსე თეფში ედგათ. ეტყობოდათ, სექსი სურდათ. მათი აქ ყოფნის მიზეზი მხოლოდ ეს თუ იქნებოდა.

ილონამ კაბა გაისწორა, არაყი გადაკრა, ჯარისკაცებს ჩაუარა, მათ ჩქმეტასა და სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია და უკანა ნაწილში მდგარ ერთ-ერთ მაგიდას მიუახლოვდა. იქ მჯდომი კაცი ორმოციოდე წლის იქნებოდა, შესაძლოა, ცოტა ახალგაზრდაც - ძნელი სათქმელი იყო.

სიმპათიური ნამდვილად არ ეთქმოდა, მაგრამ ილონამ გადაწყვიტა, რომ ამის გამო იგი ცოტა მეტსაც გადაიხდიდა. ლამაზები რატომღაც ფიქრობდნენ, რომ მათ ფული არ უნდა გადაეხადათ, რადგან ეგონათ, სექსი ორივე მხარეს სიამოვნებდა. ილონა დაუკითხავად მიუჯდა კაცს, ფეხი ფეხზე მიადო და ღიმილით უთხრა: - მე ტანია მქვია.

ასეთ დროს უადვილდებოდა, თუ სხვა ადამიანად წარმოიდგენდა თავს.

მამაკაცმა სიგარეტი გააბოლა და ილონას მუხლზე ხელი დაადო. ქალისთვის სასმლის ყიდვა არც უფიქრია, თავისი არაყი მაგიდაზე მდგარ ერთ-ერთ ჭუჭყიან სირჩაში ჩაასხა და მიუჩოჩა. ილონამ აიღო, თითებით

შეათამაშა და დაელოდა, კაცი რას იტყოდა, მან კი დარჩენილი არაყი გადაკრა. ლაპარაკის მოყვარულს არ ჰგავდა. ქალმა თავი ძლივს შეიკავა, რომ გაოცება არ გამოეხატა და თვითონ სცადა საუბრის გაბმა.

- რა გქვია?

პასუხის ნაცვლად კაცმა ხელი პიჯაკის ჯიბეში მოაფათურა და მუჭში დამალული რაღაც ნივთი ამოიღო. ილონას ეგონა, ეს ერთგვარი გართობა იყო და მისთვის მხარი უნდა აება, ამიტომ მსუბუქად შეეთამაშა მის თითებს. კაცმა ხელი გადმოაბრუნა და ნელა შეუდგა მუშტის გახსნას...

ხელისგულზე ოქროს პატარა ზოდი ედო. ილონა წინ გადაიხარა, მაგრამ სანამ კარგად დააკვირდებოდა, კაცმა კვლავ მომუჭა ხელი და სიტყვის უთქმელად ოქრო კვლავ ჯიბეში შეინახა. ქალმა მას ყურადღებით შეხედა. ძალიან არ მოეწონა ბევრი სმისგან გაწითლებული და უცნაურად მომზირალი თვალები. თუმცა ბევრი ადამიანი არ მოსწონდა, პირველ რიგში ისინი, ვისაც ლოგინში უწვებოდა. თუ ჭირვეულობას აპირებდა, ჯობდა ახლავე დაესვა წერტილი ყველაფრისთვის, ვინმე ადგილობრივს ცოლად გაჰყოლოდა და იმ ფაქტს შეჰგუებოდა, რომ დარჩენილი ცხოვრება აქ უნდა გაეტარებინა. ერთადერთი შანსი ლენინგრადში დაბრუნებისა, იქ, სადაც ოჯახთან ერთად ცხოვრობდა, სანამ მისთვის უცნობ ამ მიყრუებულ ადგილას არ გადმოასახლეს, საკმარისი ფულის დაგროვება და ჩინოვნიკების მოსყიდვა იყო. მას მაღალი თანამდებობის გავლენიანი ნაცნობ-მეგობრები არ ჰყავდა, ამიტომ ეს ოქრო ძალიან სჭირდებოდა.

კაცმა ქალის სირჩას თითი მიუკაკუნა და პირველად გააღო პირი.

- დალიე.

– ჯერ გადამიხადე და მერე მიბრძანე, როგორ მოვიქცე. აქ ასეთი წესებია, უფრო სწორად, ერთადერთი წესი.

კაცს სახეზე კანი ისე შეერხა, იფიქრებდით, წყლის სარკესავით ზედაპირს კენჭი მოხვდაო.

წამით ქალს მოეჩვენა, რომ მისი გულგრილობის ნიღბის უკან რაღაც საზიზღარი იმალებოდა, ისეთი, რომ მზერის არიდება მოუნდა, მაგრამ ოქრომ ადგილზე მიაჯაჭვა და აიძულა, თვალი არ მოეშორებინა. უცნობმა ჯიბიდან ზოდი ამოიღო და ილონას გაუწოდა. ქალმა გამოსართმევად ხელი გაიწვდინა. კაცმა არ დაანება და თითებში სწვდა. ღონივრად ჩაავლო, თუმცა არა მტკივნეულად. ილონა ან უნდა დანებებულიყო, ან ხელი გამოეტაცა, ოღონდ ამ შემთხვევაში ოქროს დაემშვიდობებოდა. მან გამოიცნო, მისგან რას ელოდნენ, ჯერ გაიღიმა, შემდეგ კი უმწეო გოგოსა-

ვით გაიცინა და თითები მოადუნა. კაცმა ხელი გაშალა. ქალმა ზოდი აიღო და ახლოდან შეათვალიერა. ამოღებულ კბილს ჰგავდა. ილონამ თვალები მის მფლობელს მიაპყრო.

- სად იშოვე?

- გაჭირვების დროს ადამიანები იმას ყიდიან, რაც ნაკლებად სჭირდებათ.

უცნობმა გაიღიმა. ქალს კინაღამ გული აერია. ნეტავ რა ვალუტა იყო? ეს კბილი მისთვის აქედან წასასვლელ ბილეთს ნიშნავდა. კაცმა კვლავ მიაკაკუნა თითი მის სირჩაზე. ილონამ აიღო და პირში გადაუძახა.

***

ილონა შეჩერდა.

- ხეტყის ქარხანაში მუშაობ?

იცოდა, რომ ასე არ იყო, მაგრამ ირგვლივ პატარა სახლები იდგა, სადაც ქარხნის მუშები ცხოვრობდნენ. კაცმა არაფერი უპასუხა.

- ეი, სად მივდივართ?

- თითქმის მოვედით.

ქალაქის გარეუბანში მდებარე რკინიგზის სადგურთან მოსულიყვნენ. ახალი შენობა იყო, მაგრამ ყველაზე ძველ რაიონში აეგოთ. ქუჩების ორივე მხარეს, ჩასადენ თხრილებად რომ ქცეულიყო, გვერდიგვერდ იდგა თუნუქისსახურავიანი და თხელი ფანერისკედლებიანი ერთოთახიანი ქოხები. ისინი ხეტყის სახერხი ქარხნის მუშებს ეკუთვნოდა - თითოეულ მათგანში ექვსი-შვიდი კაცი ცხოვრობდა და ვერაფრით გამოდგებოდა იმ მიზნისთვის, რაც მათ ჩაეფიქრებინათ.

ძალიან ციოდა. ილონა სწრაფად ფხიზლდებოდა. დიდხანს სიარულისგან ფეხები ასტკივდა.

- შენი დრო მიდის. ოქროთი მხოლოდ ერთი საათი იყიდე, ჩვენ ასე მოვილაპარაკეთ. თუ იმ დროს გამოვაკლებთ, რესტორანში დასაბრუნებლად რომ დამჭირდება, ოცი წუთი დაგრჩა.

- სადგურს უნდა შემოვუაროთ.

- იქ მხოლოდ ტყეა.

- დაინახავ, რაც არის.

კაცი წინ წავიდა, სადგურის შენობას მიუახლოვდა და ხელი სიბნელისკენ გაიშვირა. ილონამ ხელები ქურთუკის ჯიბეებში ჩაიწყო, თანამ-

გზავრს დაეწია და თვალებმოჭუტულმა გაიხედა მითითებულ მხარეს, მაგრამ იქ მხოლოდ რელსები მოჩანდა, რომლებიც ტყეში იკარგებოდა.

მეტი არაფერი ჩანდა.

– საით გავიხედო?

– იქით.

კაცი ხის პატარა ჯიხურზე მიუთითებდა, რომელიც ლიანდაგების მეორე მხარეს, თითქმის ტყის პირას იდგა.

- მე ინჟინერი ვარ. რკინიგზაზე ვმუშაობ. ეს კი შემომვლელთა ჯიხურია. იქ არავინაა.

- არც ოთახში შეგვიშლიდა ხელს ვინმე.

– იქ ვერ მიგიყვან, სადაც ვცხოვრობ.

- ერთი ადგილი მეგულება, სადაც მისვლა შეგვიძლია.

- არა, აქ ჯობია.

- არ მომწონს აქაურობა.

- ჩვენ მოვილაპარაკეთ. მე ფულს ვიხდი, შენ კი მემორჩილები. ან დამიბრუნე ჩემი ოქრო, ან ისე მოიქეცი, როგორც გეუბნები.

ყველაფერი ცუდად იყო, ოქროს გარდა. კაცმა ხელი გაიწვდინა, ელოდა, რომ ქალი ზოდს დაუბრუნებდა. არც გაბრაზებული ან იმედგაცრუებული ჩანდა, არც მოუთმენლობა ეტყობოდა.

უეცრად ილონას მოეწონა მისი გულგრილობა და ჯიხურისკენ გაემართა.

- შიგნით ათი წუთი გექნება, გასაგებია?

შეკითხვას პასუხი არ მოჰყოლია და ქალმა ეს თანხმობად მიიჩნია.

ჯიხური ჩაკეტილი აღმოჩნდა, მაგრამ კაცს თან გასაღები ჰქონდა. იგი ბოქლომისკენ დაიხარა და შეათვალიერა.

- გაყინულა.

ქალმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ შეტრიალდა და უკმაყოფილების ნიშნად ღრმად ამოიოხრა. იდუმალება იდუმალებად, მაგრამ უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ მის თანამგზავრს ცოლი ჰყავდა. თუმცა, თუ კაცი ქალაქში გავლით იყო, ვერ გაეგო, რა აშინებდა.

შესაძლოა, მეგობრებთან ან ნათესავებთან გაჩერდა. ვერც იმას გამორიცხავდა, რომ მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა. სიმართლე ითქვას, ეს არც ადარდებდა. მხოლოდ ის უნდოდა, ეს ათი წუთი სწრაფად გასულიყო.

კაცი ჩაცუცქდა, ბოქლომს ორივე ხელი ჩაავლო და დაორთქლა. გასაღები ჭრილში შესრიალდა, საკეტი გატკაცუნდა და გაიღო. ილონა გარეთ დარჩა. თუ შიგნით სინათლე არ იქნებოდა, შეთანხმებას გააუქმებდა, ოქროს კი დაიტოვებდა. ისედაც საჭიროზე მეტი დრო დაუთმო ამ ტიპს. თუ მას რაღაც გაუგებარი ექსპედიციის მოწყობა სურდა, თავისი პრობლემებისთვის თვითონ უნდა მიეხედა.

მამაკაცმა ზღურბლს გადააბიჯა და სიბნელეში გაუჩინარდა. ქალს ასანთის ანთების ხმა მოესმა. ნავთის ლამპაში ალი აკიაფდა. უცნობმა პატრუქი დაატრიალა და ლამპა ჭერში ჩამაგრებულ კაუჭზე ჩამოკიდა. ილონამ შიგნით შეიხედა და სათადარიგო რელსებს, ჭანჭიკებს, ქანჩებს, ხელსაწყოებსა და ფიცრებს მოჰკრა თვალი. ოთახში საპოხის მძაფრი სუნი იდგა. კაცი ერთ-ერთი დაზგის გასუფთავებას შეუდგა. ქალს გაეცინა.

– უკანალი ხიჭვებით მექნება სავსე.

მისდა გასაოცრად, კაცი გაწითლდა და ერთგვარი კომფორტის შესაქმნელად, დაზგაზე საკუთარი პალტო დააფინა. ქალმა ჯიხურში შეაბიჯა.

– აი, ნამდვილი ჯენტლმენი...

ჩვეულებრივ, ილონა ჯერ პალტოს გაიხდიდა, შესაძლოა, ლოგინზე ჩამომჯდარიყო და ნელა დაეწყო წინდების გახდა, პატარა სპექტაკლიც კი მოეწყო. მაგრამ აქ არც საწოლი იდგა და არც ღუმელი, ამიტომ აპირებდა, რომ კაცისთვის მხოლოდ ქვედაკაბის წამოხდის უფლება მიეცა.

- მგონი, საწინააღმდეგო არაფერი გექნება, თუ ქურთუკს არ გავიხდი.

ილონამ კარი მიხურა, თუმცა იმედი არ ჰქონდა, რომ ამის გამო ოთახში დათბებოდა, ვინაიდან შიგნითაც ისე ციოდა, როგორც გარეთ. იგი შემობრუნდა.

მამაკაცი იმაზე ახლოს აღმოჩნდა მასთან, ვიდრე ელოდა. უეცრად შეამჩნია, რომ მისკენ ლითონის საგანი მოქროდა. დროის სიმცირის გამო მისი გარჩევა ვერ მოასწრო. ნივთი ღაწვზე შეეხო. ტკივილი იგრძნო, რომელმაც ხერხემლისკენ გადაინაცვლა და მთელ სხეულს თავიდან ფეხებამდე მოედო. კუნთები მოუდუნდა, ფეხები მოეკეცა, თითქოს ვიღაცამ მყესები გადაუჭრაო. ჩვარივით დაეცა ჯიხურის კართან. თვალები აუჭრელდა, ღაწვზე ცეცხლი მოსდებოდა, პირში სისხლის გემოს გრძნობდა. საცაა გონებას დაკარგავდა. უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა, რათა ასე არ მომხდარიყო და კაცის ნათქვამი გაეგონა.

- გააკეთე, რასაც გეუბნებიან.

იქნებ თუ დამორჩილდება, თავი დაანებოს? ამ დროს მოტეხილი კბილის ნამსხვრევი ღრძილში შეერჭო და საპირისპიროში დაარწმუნა. კაცის ყოვლის პატიების იმედი არ ჰქონდა.

თუ სიკვდილი ეწერა ამ ქალაქში, რომელიც ასე სძულდა, სადაც იძულებით გადმოასახლეს სასამართლოს გადაწყვეტილებით, ოჯახიდან ათას შვიდასი კილომეტრის დაშორებით, ამ არამზადას ჯერ თვალებს მაინც ამოჰკაწრავდა.

კაცი ხელებში ეცა. დარწმუნებული იყო, რომ ქალმა წინააღმდეგობა შეწყვიტა. ილონამ პირში ნერწყვი და სისხლი დააგროვა და თვალებში შეაფურთხა. როგორც ჩანს, მოძალადე ამას არ ელოდა, რადგან ხელი გაუშვა. ილონა წამოდგა, მთელი ძალით ეძგერა მის უკან მდებარე კარს და გარეთ ზურგით გადავარდა. მის თავს ზემოთ ბნელი ცა მოჩანდა. კაცი ახლა ფეხებში ჩაეჭიდა. ქალმა ფეხები ააფართხალა და თავის დახსნა სცადა, მაგრამ უცნობმა მოახერხა და კვლავ ჯიხურში შეათრია. ილონამ ყურადღება მოიკრიბა, დაუმიზნა და ქუსლი ყბაში უთავაზა.

კარგი დარტყმა გამოვიდა - კაცს თავი გვერდზე გადაუვარდა. ილონას მისი კვნესა მოესმა და იგრძნო, რომ აღარავინ იჭერდა. მუცელზე გადაბრუნდა, წამოხტა და გაიქცა.

გარშემო ვერაფერს ხედავდა და რამდენიმე წამი დასჭირდა იმის გასააზრებლად, რომ ჯიხურიდან გამოვარდნილი, ლიანდაგებით ქალაქის საპირისპირო მხარეს გარბოდა.

თვითგადარჩენის ინსტინქტმა უკარნახა, რომ კაცისგან რაც შეიძლება შორს უნდა დაეჭირა თავი. მაგრამ იმავე ინსტინქტმა შეაცდინა, როდესაც არასწორი მიმართულება აირჩია. ილონამ უკან მიიხედა. მამაკაცი მოსდევდა. ან სირბილი უნდა განეგრძო, ან მისკენ მობრუნებულიყო.

გარშემო ვერ შემოუვლიდა. შეეძლო დაეყვირა, მაგრამ პირი სისხლით გავსებოდა. სასულეში ნერწყვი გადასცდა და ხველა აუტყდა, ნაბიჯი აერია და მდევარს მანძილის შემცირების საშუალება მისცა. უეცრად მიწა შეზანზარდა. ილონამ თავი ასწია და შორს სატვირთო მატარებელს მოჰკრა თვალი. იგი მისკენ მოქროდა, უახლოვდებოდა, ლოკომოტივის საკვამურიდან კვამლი იფრქვეოდა. სასოწარკვეთილი ილონა ხელების ქნევას მოჰყვა.

მემანქანეს რომც შეემჩნია, დატვირთული შემადგენლობის გაჩერებას ვერ მოასწრებდა - მათ შორის ხუთას მეტრზე ნაკლები რჩებოდა. შეჯახებას აღარაფერი აკლდა, მაგრამ ილონას ლიანდაგიდან გადასვლა არც

უფიქრია. იგი მატარებლის შესახვედრად მირბოდა, თითქოს სურდა, ბორბლებში ჩავარდნოდა და თავს ზემოთ გადაეტარებინა. შემადგენლობამ სვლა არ შეანელა. არც მუხრუჭების ღრჭიალი გაისმა და არც ორთქლმავლის კივილი. უკვე ისე ახლოს იდგა, რომ კინაღამ ვიბრაციამ წააქცია.

მატარებელი სადაცაა შეეჯახებოდა. ილონა განზე გახტა და ღრმა თოვლში ჩაეფლო.

ლოკომოტივმა და ვაგონებმა ღრიალით ჩაუქროლა და ახლომდებარე ხის კენწეროებიდან თოვლი ჩამოყარა. სუნთქვაშეკრულმა ქალმა მიიხედ-მოიხედა. გულის სიღრმეში იმედოვნებდა, რომ მდევარი ან მატარებლის ქვეშ მოჰყვა და შუაზე გადაიჭრა, ან ლიანდაგების მეორე მხარეს დარჩა. მაგრამ მამაკაცს სიმშვიდე შეენარჩუნებინა, ქალის კვალდაკვალ განზე გამხტარიყო და ახლა თოვლში იწვა. სანამ ქალი შესცქეროდა, წამოდგა და ბარბაცით გაეშურა მისკენ.

სასოწარკვეთილმა ილონამ თოვლი გადმოაფურთხა და მთელი ძალით დაიყვირა - მშველელს უხმობდა, მაგრამ სატვირთო მატარებელში არავინ იყო, ვინც მის ძახილს გაიგონებდა. წამოდგა და გაიქცა. მალე ტყის პირს მიაღწია და გზა განაგრძო, თუმცა გრძნობდა, როგორ ედებოდა და სახეშიც სცემდა გამოშვერილი ხეებისა და ბუჩქების ტოტები.

ჩაფიქრებული ჰქონდა, ტყეში წრე დაერტყა და ქალაქისკენ მიმავალ გზაზე გასულიყო. აქ ვერსად დაიმალებოდა – მდევარიც მცირე მანძილით ჩამორჩებოდა და მთვარეც ანათებდა.

იცოდა, რომ შეუჩერებლივ წინ უნდა ერბინა, მაგრამ ცდუნებას აჰყვა: უკან მიხედვა გადაწყვიტა, რათა კაცისთვის თვალი მოეკრა. ასეც მოიქცა.

კაცი აღარსად ჩანდა. ილონა მას ვერ ხედავდა. შესაძლოა, ტყეში შესვლის შემდეგ დაუსხლტა ხელიდან. ლიანდაგებზე ჯერაც გრუხუნით მიქროდა მატარებელი. ქალი შეტრიალდა და ახლა ქალაქისკენ გაიქცა, სადაც სამშვიდობოს იქნებოდა.

მოულოდნელად ხეებიდან მამაკაცი გამოვარდა და წელში ეძგერა. ორივენი თოვლში წაიქცნენ. კაცი ზემოდან აღმოჩნდა, მისთვის ქურთუკის გახდას ცდილობდა და რაღაცას გაჰყვიროდა, მაგრამ მატარებლის ხმაურში ქალი სიტყვებს ვერ არჩევდა. იგი მხოლოდ მის ენასა და კბილებს ხედავდა. ილონას გაახსენდა, რომ ასეთი შემთხვევებისთვის მომზადებული იყო, ხელი ჯიბეში ჩაიყო და სამსახურიდან მოპარული ხვეწი

მოსინჯა. ადრე უკვე გამოეყენებინა იგი, ეჩვენებინა, რომ საკუთარი სიცოცხლისთვის ბოლომდე იბრძოლებდა.

სახელურს ხელი მთელი ძალით მოუჭირა. იცოდა, რომ მეტი შანსი აღარ ექნებოდა. როდესაც კაცმა ხელი ქვედაკაბის ქვეშ შეუყო, იარაღის ბასრი პირი საფეთქელში ჩაარტყა. მოძალადე ჩაჯდა და ყურზე ხელი მიიჭირა. ილონას შეეძლო კიდევ და კიდევ ჩაერტყა, მოეკლა კიდეც, მაგრამ გაქცევის სურვილმა გადაწონა. იგი მხეცივით გაფოფხდა უკან, ხელში კვლავაც გასისხლიანებული ხვეწი ეჭირა.

მამაკაცი მუხლებზე დაეცა და უკან გაჰყვა. ყურის ბიბილო თითქმის მოჰგლეჯოდა და კანის ნაგლეჯზე ეკიდა. სახე ბრაზისგან დაღრეჯოდა. წინ გავარდა, რათა ქალს კოჭებში სწვდომოდა.

ილონამ ძლივს მოასწრო განზე გახტომა და ზურგით მაშინვე ხეს მიეყრდნო. მამაკაცმა პაუზით ისარგებლა და მის ფეხს ჩაეჭიდა. ილონამ ხვეწი რამდენჯერმე დაუსვა ხელზე. კაცმა მაჯა დაუჭირა და თავისკენ მიიზიდა. როდესაც სახით ერთმანეთს გაუსწორდნენ, ქალი წინ გადაიხარა, რათა მისთვის ცხვირზე ეკბინა. უცნობმა ცალი ხელი კისერზე მოხვია და მოუჭირა.

ილონას სუნთქვა შეეკრა, თავის დახსნა სცადა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ერთი პირობა, კინაღამ გაიგუდა და მთელი ძალით განზე გაიწია. ორივენი კვლავ თოვლში დაეცნენ და რამდენჯერმე გადაკოტრიალდნენ.

მოულოდნელად კაცმა თავი დაანება და კისერზე მოჭერილი ხელი ჩამოიღო. ილონას ხველა აუტყდა, პირს ფართოდ აღებდა და ჰაერს ხარბად ყლაპავდა. კაცი კი კვლავ ზემოდან აწვა, მაგრამ სულ სხვა მხარეს იყურებოდა. ილონამ თავი მიაბრუნა.

მის გვერდით, თოვლში, ახალგაზრდა ქალის შიშველი სხეული ეგდო. ფერმკრთალი, თითქმის გამჭვირვალე კანი ჰქონდა. ქერა თმაზე არაბუნებრივი სითეთრე დაჰკრავდა.

ფართოდ დაღებული პირი მიწით გავსებოდა, რომელიც პატარა ბორცვად აღმართულიყო მისი თხელი და გალურჯებული ტუჩების ზემოთ. ხელ-ფეხი და სახე თითქოს დაუზიანებელი ჰქონდა და ზედ ედო თოვლის თხელი ფენა, რომელიც მათ დაცემისას აქეთ-იქით გაეფანტათ. აი, მკერდი კი... მკერდში ხვრელს დაეღო პირი, საიდანაც დასახიჩრებული შინაგანი ორგანოები მოჩანდა. კანის უმეტესი ნაწილი აღარსად იყო, კაცი ვერ გაიგებდა, ვინმეს აეჭრა თუ მგლების ხროვას დაეგლიჯა.

ილონამ თავის მდევარს შეხედა. მას ქალი აღარც კი ახსოვდა - ქალიშვილის სხეულს მიშტერებოდა. უეცრად გული აერია, ორად მოიკუნტა და პირღებინება დაეწყო. ილონამ დასამშვიდებლად გაუაზრებლად გადაუსვა ზურგზე ხელი, მაგრამ მაშინვე გონს მოეგო და გაახსენდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე. კაცს თავი დაანება, გაჭირვებით წამოდგა და გაიქცა.

ამჯერად თვითგადარჩენის ინსტინქტმა აღარ უღალატა. იგი ტყიდან გამოვარდა და რკინიგზის სადგურის შენობისკენ გაიქცა. არ იცოდა, მოსდევდა თუ არა ვინმე, მაგრამ აღარ ყვიროდა, არც სვლას ანელებდა და არც უკან იხედებოდა.

მოსკოვი 14 მარტი ლევმა თვალი გაახილა. ფარნის შუქმა კინაღამ დააბრმავა. საათზე არ დაუხედავს, ისედაც იცოდა, რა დრო იქნებოდა - ხალხს ხომ, ძირითადად, დილის ოთხი საათისთვის აპატიმრებდნენ. ლოგინიდან წამოდგა, გრძნობდა, როგორ ხმაურით უცემდა გული. სიბნელეში წაბორძიკდა და ვიღაც კაცს დაეჯახა, მას ხელი ჰკრეს, ძლივს შეიკავა თავი. უეცრად ჭაღი აინთო. მან კაშკაშა შუქისგან თავის დასაცავად თვალები მოჭუტა და სამი ოფიცერი გაარჩია - თვრამეტი-ცხრამეტი წლის შეიარაღებული ახალგაზრდები. ლევმა ისინი ვერ იცნო, მაგრამ მშვენივრად ხვდებოდა, ვისთან ჰქონდა საქმე. ეს სიტყვაძუნწი, დაბალი რანგის ოფიცრები საოცარი მორჩილებით გამოირჩეოდნენ და ნებისმიერი ბრძანების შესასრულებლად მზად იყვნენ. უმნიშვნელო წინააღმდეგობასაც კი სასტიკი, შეუბრალებელი ძალადობით პასუხობდნენ. თამბაქოსა და არყის სუნი ასდიოდათ. ლევმა დაასკვნა, რომ დღეს მათ თვალს ძილი ჯერ არ მიჰკარებოდა: ალბათ, მთელი დამე სვამდნენ მორიგი დავალების მოლოდინში.

გალეშილები მეტად საშიშ ადამიანებად ქცეულიყვნენ და მათ საქციელს წინასწარ ვერავინ განჭვრეტდა. ლევს მომდევნო რამდენიმე წუთის განმავლობაში უკიდურესი სიფრთხილე უნდა გამოეჩინა. იმედი ჰქონდა, რომ ეს მის ცოლსაც ესმოდა.

რაისა უკვე საწოლის გვერდით იდგა. კანკალებდა, მაგრამ არა სიცივისგან. ქალმა თვითონაც არ იცოდა, რა იყო ამის მიზეზი - შოკი, შიში თუ ბრაზი. ვერაფერს გააწყობდა - კანკალი უძლიერდებოდა, მაგრამ მზერის არიდებას არ აპირებდა: დაე, თვითონ ეგრძნოთ უხერხულობა, დაე, დაენახათ მისი დაჭმუჭნილი ღამის პერანგი და გაწეწილი თმა. მაგრამ არა, ახალგაზრდა ოფიცრები სრულიად გულგრილნი იყვნენ, სულ არ

ადარდებდათ, რა ხდებოდა, კარგა ხანია, მისჩვეოდნენ ამგვარ სანახაობას და იგი ყოველდღიური სამუშაოს განუყოფელ ნაწილად მიაჩნდათ. ეს ყმაწვილები არაფრის მთქმელ თვალებს რეპტილიებივით აქეთ-იქით აცეცებდნენ. მათში რაისამ თანაგრძნობის ნასახიც კი ვერ ამოიკითხა. საინტერესოა, სად პოულობდა III 5 ასეთ ახალგაზრდებს, რომლებსაც გულის ნაცვლად მკერდში ქვა ედოთ?

ალბათ, სახელმწიფო უშიშროება მათ საგანგებოდ ზრდიდა - იგი ამაში რატომღაც დარწმუნებული იყო. მან ლევს გადახედა. ქმარი იდგა, ხელები ჩამოეშვა, თავი ჩაექინდრა, რათა სახეში არავისთვის შეეხედა. ეს დამამცირებელი პოზა სრულ მორჩილებას გამოხატავდა: უნდა ითქვას, მას ქცევის საუკეთესო ტაქტიკა აერჩია. მაგრამ ქალს არ სურდა, ახლა იგი კეთილგონივრულად მოქცეულიყო - ოჯახის უფროსს მათ ბინაში შემოჭრილ სამ ბანდიტთან ხასიათის სიმტკიცე უნდა გამოეჩინა, გაბრაზება მაინც დასტყობოდა. განა ნამდვილი მამაკაცი სწორედ ასე არ მოიქცეოდა? ნებისმიერი სხვა ადამიანი მის ადგილას გაფიცხდებოდა და თავს ვერ შეიკავებდა. ლევი კი ახლაც პოლიტიკურ სიმწიფეს იჩენდა.

ერთ-ერთი ოფიცერი ოთახიდან გავიდა, მაგრამ მაშინვე დაბრუნდა და ორი პატარა ჩემოდანი შემოიტანა.

- აქ პირადი ნივთები ჩაალაგეთ. მხოლოდ ტანსაცმლისა და დოკუმენტების წამოღება შეგიძლიათ. ერთი საათის შემდეგ აქედან წაგიყვანთ იმისდა მიუხედავად, მოასწრებთ თუ არა გამზადებას.

ლევმა შეხედა იაფფასიან ჩემოდნებს - ბრეზენტგადაკრულ ხის კარკასებს, რომლებიც მხოლოდ ერთდღიანი მგზავრობისთვის გამოდგებოდა. იგი ცოლს მიუბრუნდა.

- რაც შეიძლება მეტი ჩაიცვი.

ლევმა უკან მიიხედა. ერთი ოფიცერი მის ზურგს უკან იდგა, სიგარეტს აბოლებდა და მათ აკვირდებოდა.

– გარეთ ხომ ვერ დაგვგველოდებოდით?

- უსარგებლო თხოვნაზე დროს ნუ კარგავთ. ნებისმიერ მათგანზე პასუხი „არა“ იქნება.

რაისამ ჩაიცვა. გრძნობდა, როგორ მისჩერებოდა გუშაგი რეპტილიის თვალებით, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა. იმდენი ხელი ტანსაცმელი გადაიცვა, რამდენიც მოახერხა, თან სიარულის უნარის შენარჩუნებას ცდილობდა. ლევიც ასე მოიქცა. სხვა ვითარებაში ეს სასაცილო იქნებოდა: ხელ-ფეხი ბამბისა და შალის ქსოვილისგან გაჰბეროდათ. ეს რომ და-

ასრულა, პირველად დაფიქრდა, რა წაეღო და რა დაეტოვებინა. ჩემოდანს შეხედა. სიგანე ოთხმოცდაათი სანტიმეტრი ექნებოდა, სიმაღლე - სამოცი, სიღრმე - ოცი. ამ სივრცეში უნდა ჩაეტია საკუთარი ცხოვრება.

ლევმა იცოდა - ნივთების წაღება, შესაძლოა, იმიტომ შესთავაზეს, რომ თავიდან აეცილებინათ ემოციური აფეთქება, პანიკა ან წინააღმდეგობა, რისი გამოვლენაც სრულიად მოსალოდნელი იყო იმ შემთხვევაში, თუ ეცოდინებოდათ, რომ დასახვრეტად მიჰყავდათ.

ადამიანების მართვა გაცილებით ადვილია, თუ მათ იმედი, თუნდაც სრულიად უმნიშვნელო იმედი არ გადასწურვიათ. თუმცა რისი გაკეთება შეეძლო? დანებებულიყო? ებრძოლა?

გამალებით ფიქრობდა. ისედაც პატარა სივრცის ნაწილი „პროპაგანდისტის ცნობარისა“ და „ბოლშევიკური პარტიის ისტორიის მოკლე კურსისთვის“ უნდა დაეთმო. ერთი მათგანი მაინც რომ დაეტოვებინა, ამას პოლიტიკურ არასაიმედოობად ჩაუთვლიდნენ, მათ მდგომარეობაში კი ამგვარი უგუნურება თვითმკვლელობას უდრიდა. წიგნები თაროდან ჩამოიღო და ჩემოდანში ჩააწყო - პირველი ნივთები, რომელთა წადებასაც აპირებდა. ახალგაზრდა ოფიცერი ყურადღებით აკვირდებოდა მათ, აფიქსირებდა, რას აწყობდნენ შიგნით და რას ირჩევდნენ.

ლევი რაისას იდაყვზე შეეხო.

– ფეხსაცმელი არ დაგავიწყდეს. საუკეთესო და გამძლე წყვილი წამოიღე.

კარგი ფეხსაცმელი იშვიათობა იყო. მისი გაცვლაც შეიძლებოდა და გაყიდვაც.

ლევმა ტანსაცმელი, ძვირფასი ნივთები და მათი ქორწინების ამსახველი, აგრეთვე თავისი მშობლების, სტეპანისა და ანას ფოტოსურათები შეაგროვა. რაისას მშობლების ფოტოები არ ჰქონდათ. ისინი დიდ სამამულო ომში დაიღუპნენ, მათი სოფელი კი სრულიად განადგურდა.

მაშინ რაისამ ყველაფერი დაკარგა, რაც კი გააჩნდა. ლევმა ნივთები ჩემოდანში ჩააწყო და კედელზე ჩამოკიდებულ, ჩარჩოში ჩასმულ გაზეთის ამონაჭერს შეავლო თვალი: მასზე თვითონ იყო გამოსახული - ომის გმირი, ტანკების გამანადგურებელი, სამშობლოს გამათავისუფლებელი. მაგრამ მისი წარსული არაფერს ნიშნავდა აქ მყოფი მცველებისთვის: დაპატიმრების ორდერთან ერთად ყველა გმირული საქციელი თუ თავგანწირვის აქტი ყოველგვარ აზრს კარგავდა. ლევმა ამონაჭერი ჩარჩოდან

ამოიღო. ამდენი წლის განმავლობაში ხატივით უფრთხილდებოდა მას, ახლა კი აგდებულად ორად გაკეცა და ჩემოდანში მოისროლა.

მათი დრო გავიდა. ლევმა გაიფიქრა, ნეტავ ოდესმე კიდევ თუ გვეღირსება ჩვენი ბინის ნახვაო. ეს ნაკლებად სავარაუდო იყო. შემდეგ მან ჩემოდანი დაკეტა. რაისამაც იგივე გააკეთა.

ბადრაგის თანხლებით დერეფანში გავიდნენ და ძლივს მოთავსდნენ ლიფტის პატარა კაბინაში. ქვემოთ მანქანა ელოდათ. ორი ოფიცერი წინ დაჯდა. მესამე უკან მოთავსდა, ლევსა და რაისას შორის. არყის სუნად ყარდა.

- მშობლების ნახვა მინდოდა. დავემშვიდობებოდი.

- არავითარი თხოვნა და საუბარი!

***

დილის ხუთ საათზე მოსაცდელი დარბაზი უკვე ხალხით იყო სავსე. აქ იყვნენ ჯარისკაცები, სამოქალაქო პირები, სადგურის მუშები. ყველანი ტრანსციმბირული ექსპრესის გასვლას ელოდებოდნენ. ლოკომოტივს, რომელსაც ჯერაც ომისდროინდელი ფურცლოვანი ჯავშანი ეკეთა, გვერდზე ეწერა: დიდება კომუნიზმს! სანამ მგზავრები მატარებელში სხდებოდნენ, ლევი და რაისა პლატფორმის ბოლოში ბადრაგთან ერთად იდგნენ და ხელში ჩემოდნები ეჭირათ.

მათ არავინ უახლოვდებოდა და ისე უყურებდნენ, როგორც კეთროვნებს. განცალკევებულ კუნძულს ჰგავდნენ ირგვლივ მოფუსფუსე ხალხის ზღვაში. მათთვის არავის არაფერი აუხსნია, არც ლევი ითხოვდა რამეს. არ იცოდა, საით მიემგზავრებოდნენ და ვის ელოდებოდნენ.

კვლავაც არსებობდა საფრთხე, რომ მათ სხვადასხვა ბანაკში გაამწესებდნენ და ერთმანეთს ვეღარასოდეს შეხვდებოდნენ. მაგრამ ეს აშკარად სამგზავრო მატარებელი იყო და მასში არსად ჩანდა წითელი ვაგონები, რომლებითაც ტყვეები, ეგრეთ წოდებული ზეკები გადაჰყავდათ. ნუთუ სიცოცხლეს შეუნარჩუნებდნენ? ჯერჯერობით, მათ აშკარად უმართლებდათ - კვლავაც ცოცხლები იყვნენ, თანაც ერთად, ეს კი იმაზე გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ლევი იმედოვნებდა.

მოწმის სახით ჩვენების მიცემის შემდეგ ლევს შინაპატიმრობა მიუსაჯეს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. იგი ელოდა, რომ ეს ერთი დღე გაგრძელდებოდა. როდესაც თავის ბინაში მიდიოდა, მეთოთხმეტე სართულზე, ლევს უეცრად გაახსენდა, რომ ღრუ მონეტას კვლავაც ჯი-

ბით დაატარებდა. ამოიღო და გადააგდო. მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, ეს ვასილიმ ჩაუდო თუ არა. სკოლიდან დაბრუნებულ რაისას კართან ორი შეიარაღებული ოფიცერი დახვდა.

მათ ქალი გაჩხრიკეს და უბრძანეს, ბინიდან არ გამოსულიყო. ლევმა მას დაწვრილებით უამბო მის მიმართ წაყენებული ბრალდებისა და იმის შესახებ, რომ გამოძიება მას დაავალეს. ისიც უთხრა, რომ იგი უდანაშაულოდ მიაჩნდა. საჭირო არ იყო ეთქვა, რომ მათი გადარჩენის შანსი თითქმის ნულს უტოლდებოდა. სანამ ლაპარაკობდა, ცოლი არ აწყვეტინებდა და თვალშეუვალი სახით უსმენდა. მაგრამ როდესაც დაასრულა, რაისას პასუხი მისთვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა.

- გულუბრყვილობა იქნებოდა იმაზე ფიქრი, რომ ეს ჩვენ გვერდს აგვივლიდა.

ისინი ბინაში იყვნენ და ყოველ წუთს ელოდნენ МГБ-ს თანამშრომლების მოსვლას.

საჭმლის მომზადება არც უფიქრიათ, თუმცა მათ მდგომარეობაში ეს ყველაზე გონივრული იქნებოდა, იმის გათვალისწინებით, რომ არ იცოდნენ, წინ რა ელოდათ. არც ტანსაცმელი გაუხდიათ, რომ დასასვენებლად წამოწოლილიყვნენ. სამზარეულოს მაგიდასთან ისხდნენ და ადგომას არც აპირებდნენ. კრინტს არ ძრავდნენ და ელოდებოდნენ. ლევმა გაიფიქრა, შესაძლებელია, ერთმანეთი ვეღარასოდეს ვნახოთ და იმას მაინც ვეტყვი, რაც არასდროს მითქვამსო, მაგრამ საჭირო სიტყვებს ვერ მიაგნო. ახლა, როცა საათი საათს მისდევდა, ლევი უეცრად მიხვდა, რომ პირველად ისხდნენ ერთად, ერთმანეთის პირისპირ. ხელს არავინ უშლიდათ, მაგრამ არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ, რა გაეკეთებინათ.

იმ ღამით კარზე არავის მოუკაკუნებია. დილის ხუთი საათიც ისე შესრულდა, არ დაუპატიმრებიათ. მომდევნო დღეს, შუადღისთვის, ლევმა საუზმე მოამზადა, თან უკვირდა, დროს ასე რატომ წელავენო. როდესაც კარზე პირველად დააკაკუნეს, ის და რაისა წამოდგნენ, მძიმედ სუნთქავდნენ მოახლოებული აღსასრულის მოლოდინში. ეგონათ, ოფიცრები მათ ერთმანეთს დააშორებდნენ და დასაკითხად ცალ-ცალკე საკანში წაიყვანდნენ, მაგრამ მოტყუვდნენ: მხოლოდ და მხოლოდ გუშაგი შეიცვალა, ოფიცერმა კი მათი სააბაზანოთი სარგებლობის ნება ითხოვა, თან დაინტერესდა, რომელიმე პროდუქტის ყიდვა ხომ არ უნდოდათ. იქნებ მათ საჭირო მტკიცებულებები ვერ მოიპოვეს და იძულებული გახდნენ, ბრალდება მოეხსნათ და საქმე შეეწყვიტათ? მაგრამ ლევმა მხოლოდ წამით

მისცა თავს ასეთი ოცნების უფლება - სამხილების უკმარისობის გამო ბრალდებაზე უარს არასდროს ამბობდნენ.

ასე იყო თუ ისე, პირველ დღეს მეორე მოჰყვა, მეორეს - მესამე და მეოთხე.

მათი შინაპატიმრობის მეშვიდე დღეს ბინაში გუშაგი შემოვიდა. სახეზე ფერი აღარ ედო. მის დანახვაზე ლევმა გადაწყვიტა, ჩვენი დრო დადგაო, მაგრამ მხოლოდ ის მოისმინა, თუ როგორ შეატყობინა აღელვებისგან ხმაათრთოლებულმა ჯარისკაცმა მათი ბელადის, სტალინის გარდაცვალების შესახებ. მხოლოდ მაშინ გაბედა ლევმა პირველად იმის გაფიქრება, იქნებ გადავრჩეთ კიდეცო.

ლევმა ბელადის სიკვდილის შესახებ ინფორმაციის მოძიება სცადა, - გაზეთებს, მცველების მსგავსად, ისტერიკა აეტეხათ, - მაგრამ მხოლოდ ის შეიტყო, რომ სტალინი მშვიდად მიიცვალა თავის საწოლში. იტყობინებოდნენ, რომ მისი უკანასკნელი სიტყვები მათ დიად სამშობლოსა და მის დიად მომავალს შეეხებოდა. ლევს ამის დაჯერება არც უცდია. იგი ძალზე დიდხანს განიცდიდა პარანოიისა და მსოფლიო შეთქმულებების ზეგავლენას, რათა ვერ დაენახა, რომ ეს ამბავი თეთრი ძაფით იყო ნაკერი. კოლეგებისგან იცოდა, რომ ცოტა ხნის წინ სტალინის განკარგულებით დაეპატიმრეს ქვეყნის საუკეთესო ექიმები, რომლებიც ძალ-დონეს არ იშურებდნენ მისი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის შესანარჩუნებლად. ეს იყო ეგრეთ წოდებული წმენდა ნიჭიერი და ცნობილი ებრაელების განადგურების მიზნით. სიმბოლურად მოეჩვენა ის, რომ სტალინი ბუნებრივი სიკვდილით სწორედ იმ დროს გარდაიცვალა, როდესაც მის გვერდით არ აღმოჩნდა ერთი სპეციალისტიც კი, რომელიც მოულოდნელი ავადმყოფობის დიაგნოზის დასმას შეძლებდა. საქმის მორალი მორალად, მაგრამ დიდმა ბელადმა წმენდის ბრძანების გაცემით ტაქტიკური შეცდომაც დაუშვა. იგი დაუცველი აღმოჩნდა. ლევმა არაფერი იცოდა იმის შესახებ, სტალინი მოკლეს თუ არა. იმის გათვალისწინებით, რომ ექიმები ციხეებში ისხდნენ, სავარაუდო მკვლელს ხელები გახსნილი ჰქონდა, ამასთან, შეეძლო, მშვიდად მჯდარიყო და ეცქირა, როგორ კვდებოდა იგი, თან კარგად აცნობიერებდა, რომ ისინი, ვისაც მისი შეჩერება შეეძლოთ, გისოსებს მიღმა იმყოფებოდნენ. სავსებით შესაძლებელია, ისეც მომხდარიყო, რომ, როდესაც სტალინი ავად გახდა, ვერავინ გაბედა მისი განკარგულების შეცვლა და ექიმების გათავისუფლება. სტალინის გადარჩენის შემთხვევაში, მათ ბრძანების დაუმორჩილებლობას წაუყენებდნენ ბრალად.

ამგვარი თაღლითობა, გნებავთ, სიმხდალე, ლევს ნაკლებად აღელვებდა. მთავარი ის იყო, რომ ის კაცი მოკვდა. ადამიანებმა წესრიგისა და რწმენის შეგრძნება დაკარგეს. ვინ შეცვლიდა სტალინს? როგორ უხელმძღვანელებდნენ ქვეყანას? რა გადაწყვეტილებებს მიიღებდნენ?

რომელი ოფიცერი აღზევდებოდა და რომელს შერისხავდნენ? ის, რაც მისაღები იყო სტალინის დროს, ახალი წესების პირობებში, შესაძლოა, მიუღებელი გამხდარიყო. ლიდერის არყოფნა დროებით დამბლას ნიშნავდა. არავის სურდა გადაწყვეტილების მიღება, თუ დარწმუნებული არ იქნებოდა, რომ მას მოიწონებდნენ. ათწლეულების განმავლობაში იმის მიხედვით კი არ მოქმედებდნენ, თვითონ რა მიაჩნდათ სწორად ან მცდარად, არამედ ცდილობდნენ, ბელადისთვის ესიამოვნებინათ. ადამიანები მის სიაში არსებული აღნიშვნების მიხედვით ცოცხლობდნენ ან იხოცებოდნენ. გვარის გასწვრივ გასმული ხაზი სიცოცხლეს ნიშნავდა, ხაზის უქონლობა - სიკვდილს. ლევმა თვალები დახუჭა და წარმოიდგინა, როგორი პანიკა ტრიალებდა ლუბიანკის დერეფნებში, იქ მომუშავე ადამიანთა გულებში. მათი მორალური კომპასი იმდენ ხანს ეგდო უმოქმედოდ, რომ მწყობრიდან გამოსულიყო და ჩრდილოეთი და სამხრეთი, აღმოსავლეთი და დასავლეთი ერთმანეთისგან ვეღარ გაერჩია.

შექმნილ ვითარებაში ჯობდა, აღარ დაეჩქარებინათ ლევ დემიდოვისა და მისი მეუღლის, რაისა დემიდოვას საქმე, თავიდანვე ეჭვს რომ იწვევდა და დიდი უსიამოვნების მოტანა შეეძლო. სწორედ ამით აიხსნებოდა შეყოვნება. არავის სურდა მისთვის ხელის მოკიდება - კრემლში ყველა ძალაუფლების გადანაწილებით იყო დაკავებული. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ლავრენტი ბერიამ, სტალინის უახლოესმა თანამებრძოლმა, - ლევს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ბელადს მის გარდა ვერავინ მოწამლავდა, - უკვე მოისხა ლიდერის მანტია, უარყო შეთქმულების არსებობა და ექიმების გათავისუფლების ბრძანება გასცა. ეჭვმიტანილები გამოუშვეს, რადგან დანაშაული არ მიუძღოდათ. ვინ იფიქრებდა, რომ ასეთი რამ შესაძლებელი იყო? ყოველ შემთხვევაში, ლევს მსგავსი არაფერი ახსენდებოდა. ამ ვითარებაში ომის გმირის, იმ ადამიანის განადგურება, ვისი სურათიც „პრავდის“ პირველ გვერდს ამშვენებდა, თანაც საკმარისი მტკიცებულებების გარეშე, რისკიანი ნაბიჯი იქნებოდა. ამიტომ 9 მარტს, ნაცვლად კარზე დაკაკუნებისა, ლევისა და რაისას ბედი რომ უნდა გადაეწყვიტა, მათ დიდი ბელადის დაკრძალვაზე დასწრების უფლება მისცეს.

ფორმალურად შინაპატიმრობაში მყოფი ცოლ-ქმარი ორი მცველის თანხლებით წითელი მოედნისკენ მიმავალ ბრბოს შეუერთდა. ბევრი მათგანი - მამაკაცები, ქალები და ბავშვები - ტიროდა, ზოგი მოთქვამდა კიდეც. ნეტავ ამ ასობით ათას კოლექტიურად მგლოვიარე ადამიანს შორის ერთი მაინც თუ მოიძებნება, ოჯახის წევრი ან მეგობარი რომ არ დაჰკარგვია იმ ადამიანის წყალობით, ვისაც დასტირიანო, გაიფიქრა ლევმა. გარდაცვლილის გაღმერთებას განუზომელი მწუხარებით გაჯერებული დაძაბული ატმოსფეროც უწყობდა ხელს. ლევს არაერთხელ სმენოდა, როგორ ყვიროდნენ ბრალდებულები სასტიკი დაკითხვების დროს, სტალინმა რომ იცოდეს, როგორ აწამებთ ხალხს, აუცილებლად ჩაერეოდაო. მაგრამ რაც უნდა ყოფილიყო გლოვის ნამდვილი მიზეზი, დაკრძალვამ ოფიციალურად და კანონიერად მისცა გასაქანი წლების განმავლობაში დაგროვილი მწუხარების, გულის მოოხების, ახლობლების მოფერების, მათთვის თანაგრძნობის გამოხატვის შესაძლებლობას, რასაც ადრე ვერავინ გაბედავდა, რადგან ეს ერთგვარად სახელმწიფოს კრიტიკასაც გულისხმობდა.

სახელმწიფო დუმის ირგვლივ მდებარე მთავარ ქუჩებში ნემსი არ ჩავარდებოდა. იმდენ ხალხს მოეყარა თავი, სუნთქვაც კი ჭირდა. ყველანი ჩამოწოლილ კლდესავით, მეწყერივით მიიწევდნენ წინ. ლევს მაგრად ჩაეჭიდა ხელი რაისასთვის და თუმცა ყოველი მხრიდან აწვებოდნენ, მას გვერდიდან არ იცილებდა. მცველებმა მალევე დაკარგეს ისინი ამ ოროომტრიალში. რაც უფრო უახლოვდებოდნენ წითელ მოედანს, ჭყლეტა მით უფრო ძლიერდებოდა. ლევმა იგრძნო, რომ ისტერია პიკს უახლოვდებოდა, და გადაწყვიტა, იქაურობას გასცლოდა. საბედნიეროდ, ბრბომ ისინი კიდისკენ, ტროტუარზე მიაგდო. მან რომელიღაც სადარბაზოში შესვლა მოახერხა და რაისაც თან წაიყოლა. ახლა ამ თავშესაფრიდან უყურებდნენ ხალხის უწყვეტი ნაკადის მოძრაობას. აღმოჩნდა, რომ სწორი გადაწყვეტილება მიეღოთ. წინ საშინელი ზედახორა წარმოიქმნა და ასობით ადამიანი ჭყლეტაში დაიღუპა.

ამ ქაოსში ლევსა და რაისას გაქცევაც შეეძლოთ. სადარბაზოში ერთმანეთზე მიკრულებმა ჩურჩულით განიხილეს ამგვარი შესაძლებლობა. მათი თანმხლები მცველები აღარსად ჩანდნენ. რაისამ დაიჟინა, რომ დაუყოვნებლივ გაქცეულიყვნენ, მაგრამ მაშინ МГБ-ს ხელ-ფეხი გაეხსნებოდა მათ დასახვრეტად. გარდა ამისა, საკითხის პრაქტიკული მხარეც უნდა

გაეთვალისწინებინათ: მათ არც ფული და თავშესაფარი ჰქონდათ, არც მეგობრები ჰყავდათ.

გაქცევის შემთხვევაში, სავარაუდოდ, ლევის მშობლებსაც დახვრეტ-დნენ. ჯერჯერობით კი უმართლებდათ და ლევმა გადაწყვიტა, რომ ჯობ-და, გაერისკათ და ბედს მინდობოდნენ, იმ იმედით, რომ გადარჩებოდნენ.

***

მგზავრები უკვე ვაგონებში ისხდნენ. სადგურის უფროსმა პლატფორ-მაზე, ლოკომოტივის გვერდით, რამდენიმე ფორმიან მამაკაცს მოჰკრა თვალი და მატარებელს დაძვრის უფლება არ მისცა. პრობლემის გასარ-კვევად მემანქანემ კაბინიდან თავი გამოყო. ცნობისმოყვარე მგზავრები ფანჯრებიდან შესცქეროდნენ, როგორც ჩანს, უსიამოვნებაში გახვეულ ახალგაზრდა წყვილს.

ლევმა დაინახა, რომ მისკენ ვიღაც ოფიცერი მოემართებოდა. ეს ვასი-ლი აღმოჩნდა. ლევი ელოდა მის გამოჩენას. მისი ყოფილი მოადგილე ნიშნის მოგებისა და დაცინვის შესაძლებლობას ხელიდან არ გაუშვებდა. ლევმა იგრძნო, როგორ მოაწვა ბრაზი, მაგრამ ახლა თავი ნებისმიერ ფა-სად უნდა შეეკავებინა. ვინ იცის, იქნებ ახალ მახეს უგებდნენ.

რაისას ვასილი არასდროს ენახა, მაგრამ ლევი ხშირად უყვებოდა მის შესახებ.

ადამიანი გმირის სახითა და ლაჩრის გულით.

რაისამ ვასილის თვალი შეავლო თუ არა, მაშინვე მიხვდა, ვისთან ჰქონდა საქმე. დიახ, იგი ლამაზი იყო, მაგრამ მის ღიმილში ბოროტი სურვილის გარდა არაფერი მოჩანდა. როდესაც ვასილი მათ მიუახლოვ-და, რაისამ შეამჩნია, რომ ამ კაცს სიამოვნებდა ლევის დამცირება და თან გული სწყდებოდა, რატომ უფრო ცუდ დღეში არ არისო.

ვასილიმ ფართოდ გაიღიმა.

- მატარებლის გასვლა შევაჩერე, რათა შენთვის „ნახვამდის“ მეთქვა. და ამეხსნა, რა გადაწყვეტილება მიიღეს შენთან დაკავშირებით. ამის გა-კეთება პირადად მინდოდა, ხომ გესმის?

იგი აშკარად ტკბებოდა შექმნილი ვითარებით. რამდენადაც ეს კაცი ლევს თავზარს სცემდა, იმდენად სულელური საქციელი იქნებოდა მისი გაბრაზება ახლა, როდესაც ამდენის გადატანის შემდეგ ერთი ნაბიჯიღა აშორებდათ გადარჩენას. ამიტომ მან ხმადაბლა ჩაილაპარაკა: - ვაფასებ ამას.

- შენ ახალი დანიშნულება მიიღე. МГБ-ში ვეღარ დაგტოვებდნენ - ძალზე ბევრი შეუსაბამობა და გაურკვევლობა დაგროვდა შენ გარშემო. მილიციაში გადადიხარ, ოღონდ არა მაძებრად, არამედ ყველაზე დაბალ თანამდებობაზე - უბნის რწმუნებულად. წინასწარი დაკავების საკნების დასუფთავება და ოქმების შედგენა მოგიწევს. ყველაფერს გააკეთებ, რასაც გიბრძანებენ. თუ სიცოცხლე გინდა, ბრძანებების შესრულებასაც ისწავლი.

ლევი კარგად ხვდებოდა ვასილის იმედგაცრუების მიზეზს. მილიციის ადგილობრივ განყოფილებაში გადაყვანა მსუბუქ სასჯელად ითვლებოდა. წაყენებული ბრალდებების სიმძიმის გათვალისწინებით, თავისუფლად შეიძლებოდა ოქროს მოსაპოვებელ საბადოებზე, კოლიმაში გაეგზავნათ, სადაც ზამთარში ტემპერატურა მინუს ორმოცდაათ გრადუსს აღწევდა, სადაც პატიმრები მოყინვის გამო თითებს კარგავდნენ, სიცოცხლის ხანგრძლივობა კი სამ თვეს არ აღემატებოდა. ისინი კი არა მხოლოდ გადარჩნენ, არამედ თავისუფლებაც შეინარჩუნეს.

ლევი არ ფიქრობდა, რომ მაიორი კუზმინი ასე სენტიმენტალობის გამო მოიქცა. არა, მას რომ საკუთარი პროტეჟე გაესამართლებინა, თავს უხერხულ მდგომარეობაში ჩაიგდებდა.

პოლიტიკური არასტაბილურობიდან გამომდინარე, ყველაზე გონივრული და მიზანშეწონილი ნაბიჯი ახალ თანამდებობაზე დანიშვნის საბაბით მისი აქაურობისთვის მოცილება და შორს გადაყვანა იყო. კუზმინს არ უნდოდა, მისი გადაწყვეტილება ვინმეს თვალში მოხვედროდა - ბოლოს და ბოლოს, თუ ლევი ჯაშუში იყო, რატომ უწყობდა კუზმინი ხელს მის დაწინაურებას?

არა, ამ შეკითხვაზე დამაკმაყოფილებელი პასუხი არ მოიძებნებოდა. აი, გადასაკარგავში მისი გადაყვანა კი ადვილად და მარტივად შეიძლებოდა. მიხვდა, რომ შვების მოგვრაზე მცირედი მინიშნებაც კი ვასილის საშინლად გააღიზიანებდა. ამიტომ ისეთი სახე მიიღო, თითქოს ახალმა ამბავმა თავზარი დასცა.

- მზად ვარ, მოვალეობა იქ შევასრულო, სადაც საჭიროება მოითხოვს.

ვასილიმ ლევს ბილეთები და თანდართული ქაღალდები გადასცა. ლევმა დოკუმენტები გამოართვა და მატარებლისკენ ნაბიჯი გადადგა.

რაისა ვაგონის კიბეზე ავიდა. სწორად ამ დროს ვასილიმ მიაძახა: - შენთვის ადვილი არ იქნება იმის გადატანა, რომ საკუთარი ქმარი გითვალთვალებდა.

გეცოდინება, რომ ეს პირველი შემთხვევა არ ყოფილა. დარწმუნებული ვარ, მოგიყვებოდა ამის შესახებ. ეს ორჯერ მოხდა, თანაც პირველ ჯერზე ეს სულაც არ იყო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე. მას ჯაშუშად არასდროს მიაჩნდი. სამაგიეროდ, ბოზი ეგონე, მაგრამ უნდა აპატიო. ვის არ უეჭვიანია. თანაც ძალიან ლამაზი ქალი ხარ. ჩემი აზრით, არ იმსახურებ, რომ კაცმა ყველაფერი შემოგწიროს. დარწმუნებული ვარ, როდესაც ლევი მიხვდება, შენი გულისთვის ჯანდაბაში მოხვდა, აუცილებლად შეგიძულებს. პირადად მე ბინას შევინარჩუნებდი - დაე, დაეხვრიტეთ, როგორც მოღალატე. მისი არჩევანი მხოლოდ იმას მაფიქრებინებს, რომ შენი გაჟიმვა, ალბათ, ღირს ამად.

რაისა გააოცა მისი ქმრისადმი ამ კაცის სიძულვილმა, მაგრამ არაფერი უთქვამს. მკვახე პასუხი შესაძლოა, სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა. მან ჩემოდანი აიღო და ვაგონის კარი გააღო.

ლევი ცოლს მიჰყვა, ცდილობდა, უკან არ მიეხედა. ვასილის ნიშნის მოგებით გაკრეჭილი სახე რომ დაენახა, შესაძლოა, თავი ვერ შეეკავებინა.

***

რაისა ფანჯარაში იყურებოდა. მატარებელი სადგურს ტოვებდა. ხალხს ყველა თავისუფალი ადგილი დაეკავებინა, ამიტომ ერთმანეთს მიხუტებულნი იდგნენ, უკან მოტოვებულ ქალაქს გაჰყურებდნენ და დუმდნენ. ბოლოს ლევმა თქვა: - მაპატიე.

- დარწმუნებული ვარ, ცრუობდა. ყველაფერს იტყოდა, ოღონდ გაემწარებინე.

- სიმართლე თქვა. გითვალთვალებდი... და ეს ჩემს სამუშაოს არაფრით უკავშირდებოდა.

მეგონა...

- რომ ვინმესთან ვიწექი?

- იყო დრო, როდესაც აღარ მელაპარაკებოდი, არც კი მეხებოდი, ჩემთან დაწოლას გაურბოდი. გავუცხოვდით. მიზეზს კი ვერ ვხვდებოდი.

- შეუძლებელია, МГБ-ს ოფიცერს ცოლად გაჰყვე და იმედი გქონდეს, რომ თვალთვალს არ დაგიწყებენ, მაგრამ, ლევ, როგორ შემეძლო შენთვის მეღალატა? ასე ხომ სიცოცხლეს საფრთხეში ჩავიგდებდი. ყოველგვარი ზედმეტი ლაპარაკის გარეშე ისე მოაწყობდი, რომ დამაპატიმრებდნენ.

- მაშასადამე, ამის მოლოდინი გქონდა?

- ზოია თუ გახსოვს, ჩემი მეგობარი, მგონი, ერთხელ შეხვდი კიდეც მას, არა?

- შესაძლოა. არ მახსოვს.

– აბა, რა, შენ ხომ სახელებს არ იმახსოვრებ, ხომ ასეა? ნეტავ რატომ? ალბათ, დღისით მომხდარს იმიტომ ივიწყებ, რომ ღამით უკეთ დაგეძინოს.

რაისა სწრაფად, მშვიდად და მკაფიოდ ლაპარაკობდა. ლევს იგი ასეთი არასოდეს ენახა.

ქალი განაგრძობდა: - შენ იცნობ ზოიას. უბრალოდ, მასთან შეხვედრა არ დაგამახსოვრდა. იგი პარტიას საფრთხეს არ უქმნიდა. არადა, ბანაკებში ოცდახუთი წელი უნდა გაატაროს. ეკლესიიდან გამოსვლისას დააპატიმრეს და ანტისტალინურ ლოცვებში დაადანაშაულეს. ლოცვებისთვის დაიჭირეს, ლევ! იმ ლოცვების გამო გაასამართლეს, რომლებიც არავის გაუგონია. საკუთარ თავში არსებული აზრების გამო დააკავეს.

- რატომ არაფერი მითხარი? იქნებ დავხმარებოდი.

რაისამ თავი გადააქნია. ლევმა ჰკითხა: - შენი აზრით, მე დავაბეზღე?

- რომ არ იცნობდი? მისი სახელიც კი არ გახსოვს.

ლევი საბოლოოდ დაიბნა - მას და მის ცოლს ამ თემაზე არასდროს უსაუბრიათ. არც არაფერზე საუბრობდნენ, საოჯახო საქმეების გარდა. ეს იყო აზრთა თავისუფალი გაცვლა-გამოცვლა: ხმამაღლა არასდროს ლაპარაკობდნენ, არასდროს კინკლაობდნენ.

- დავუშვათ, არ დაგისმენია, ლევ, რით შეძლებდი მის დახმარებას? მამაკაცები, რომლებმაც ის დააპატიმრეს, შენ გგავდნენ - ქვეყნისთვის თავდადებული, სამშობლოს ერთგული ადამიანები. იმ ღამით შინ არ მოსულხარ. მივხვდი, რომ შენც ვიღაცის საუკეთესო მეგობარს, მშობლებს ან შვილებს აპატიმრებდი. მითხარი, რამდენი ადამიანი დაგიპატიმრებია? რიცხვი მითხარი - ორმოცდაათი, ორასი, ათასი?

- მე მათ შენი თავი არ დავუთმე.

- მათ მე კი არა, შენ სყირდებოდი. როდესაც უცხო ადამიანებს აპატიმრებდი, საკუთარ თავს ასულელებდი, რომ ისინი დამნაშავეები იყვნენ. გტეროდა, რომ შენი საქციელი დიდ მიზანს ემსახურებოდა, მაგრამ მათთვის ეს არ კმაროდა. უნდოდათ, დაგემტკიცებინა, რომ მზად იყავი, ნებისმიერი ბრძანება შეგესრულებინა, თუნდაც გულის სიღრმეში გეფიქრა, რომ ეს სწორი არ იყო და აზრი არ ჰქონდა. შენგან ბრმა მორჩილებას ელოდნენ, ცოლი კი ასეთი საქმისთვის სრულიად გამოდგებოდა.

- შესაძლოა, მართალიც ხარ, მაგრამ ახლა ყოველივე ამისგან გავთავისუფლდით. თუ ხვდები მაინც, როგორ გაგვიმართლა, კიდევ ერთი შანსი რომ მოგვცეს? მინდა, ახალი ცხოვრება დავიწყოთ და ნამდვილ ოჯახად ვიქცეთ.

– ლევ, ყველაფერი არც ისე მარტივად არის.

რაისა გაჩუმდა და ქმარს ისე დაჟინებით მიაჩერდა, თითქოს პირველად ხედავდა.

- იმ საღამოს, როდესაც შენი მშობლების ბინაში ვვახშმობდით, შემთხვევით თქვენი საუბარი მოვისმინე. დერეფანში ვიდექი, კართან. მესმოდა, როგორ მსჯელობდით, უნდა გაგეცხადებინა თუ არა, რომ ჯაშუში ვიყავი. არ ვიცოდი, რა მექნა. სიკვდილი არ მინდოდა.

ამიტომაც ქუჩაში დავბრუნდი, აღმა-დაღმა დავეხეტებოდი და გონების მოკრებას ვცდილობდი.

ვფიქრობდი, გადადგამს თუ არა ამ ნაბიჯს, მიღალატებს თუ არამეთქი? მამაშენი ძალზე დამაჯერებლად ლაპარაკობდა.

- ის შეშინებული იყო.

- სამი სიცოცხლე ერთის წინააღმდეგ. ციფრებს ვერსად გაექცევი. სამი ორის წინააღმდეგ - როგორ მოგწონს?

- მაშ, არ დაორსულებულხარ?

- ასე რომ ყოფილიყო, დამიცავდი?

- და ამას ახლა მეუბნები?

- მეშინოდა, რომ გადაიფიქრებდი.

აი, თურმე როგორი ურთიერთობა ყოფილა სინამდვილეში მათ შორის. ლევს თავბრუ ეხვეოდა. მატარებელი რელსებზე კაკუნით მიქროდა, ირგვლივ ხალხი იჯდა, ჩემოდნები იდგა, ფანჯრებს მიღმა, შორს, ქალაქი მოჩანდა, მაგრამ ახლა ვერაფერს გრძნობდა. აღარაფრის სჯეროდა, იმისიც კი, რომ შეხება და შეგრძნება შეეძლო. რაც კი სწამდა, ტყუილი გამოდგა.

- ოდესმე მაინც თუ გიყვარდი, რაისა?

ცოტა ხნით დუმილი ჩამოვარდა. მისი შეკითხვა ჰაერში ჩამოეკიდა ცუდი სუნივით. ორივენი მატარებლის მოძრაობის ტაქტში ქანაობდნენ. ბოლოს, პასუხის ნაცვლად, რაისა დაიხარა და ფეხსაცმლის ზონრის შეკვრას შეუდგა.

ვოლსკი 15 მარტი ვარლამ ბაბინიჩი გადაჭედილი საძინებლის ქუყყიან ცემენტის იატაკზე ფეხმორთხმით იჯდა, კარისთვის ზურგი შეექცია

და იმ ნივთებს ეფარებოდა, რომლებიც მის წინ ეწყო. არ უნდოდა, სხვა ბიჭებს ხელი შეეშალათ, რაც ხშირად ხდებოდა, როდესაც მათ ყურადღებას რაღაც მიიპყრობდა ხოლმე. მიიხედ-მოიხედა. ოთახში მყოფი ოცდაათი თუ ორმოცი ბავშვი მას ყურადღებას არ აქცევდა: უმეტესობა გვერდიგვერდ იწვა შარდით გაჟღენთილ რვა მატრასზე, რომლებიც ერთმანეთში უნდა გაეყოთ. ვარლამი ხედავდა, როგორ ფხანდა ორი მათგანი ერთმანეთს ზურგზე ბაღლინჯოების ნაკბენ ადგილებს, მახინჯ, წითელ ლაქებად რომ ქცეულიყო. იმით კმაყოფილი, რომ მის შეწუხებას არავინ აპირებდა, წინ დაწყობილი საგნების ცქერა განაგრძო. იგი მათ წლების განმავლობაში აგროვებდა და მათზე ძვირფასი არაფერი გააჩნდა, ბოლო შენაძენის, ამ დილით მოპარული ოთხი თვის ბავშვის ჩათვლით.

ვარლამი ბუნდოვნად აცნობიერებდა, რომ ჩვილის მოტაცებით ძალიან ცუდად მოიქცა, და თუ დაიჭერდნენ, დიდ უბედურებას ვერ ასცდებოდა, გაცილებით დიდს, ვიდრე ოდესმე თავს დასტყდომოდა. იმასაც ხვდებოდა, რომ ბავშვს რაღაც აწუხებდა - იგი ტიროდა. თუმცა მისი ხმაური არ აწუხებდა, რადგან კიდევ ერთ მოღრიალე პატარას ყურადღებას არავინ აქცევდა. ისე მოხდა, რომ ვარლამს ბავშვი იმდენად არ აინტერესებდა, რამდენადაც ყვითელი საბანი, რომელშიც ის იყო გახვეული. ახალი შენაძენით კმაყოფილმა, ჩვილი თავისი კოლექციის ცენტრში მოათავსა - ყვითელი კონსერვის ქილის, ძველი ყვითელი პერანგის, ყვითლად შეღებილი აგურის, ყვითელი ფონის პლაკატის ნაგლეჯის, ყვითელი ფანქრისა და ყვითელი გარეკანის მქონე წიგნის გვერდით. ზაფხულობით კოლექციას ტყეში მოწყვეტილი ყვითელი ყვავილებით ავსებდა, მაგრამ ისინი სწრაფად ჭკნებოდა, მას კი ისე არაფერი ამწუხრებდა, როგორც იმის ხილვა, თანდათანობით როგორ აკლდებოდა ფურცლებს სიყვითლე და მის ნაცვლად ყავისფერი სიგლუვე ჩნდებოდა. ხშირად ეკითხებოდა საკუთარ თავს: სად მიდის ყვითელი ფერი?

ვარლამმა ამ შეკითხვის პასუხი არ იცოდა, მაგრამ იმედოვნებდა, რომ ოდესმე თვითონაც იქ მოხვდებოდა, ალბათ, სიკვდილის შემდეგ. ყვითელი ფერი ამქვეყნად ყველაფერს ერჩივნა.

სწორედ მის გამო მოხვდა აქ, ვოლსკის ინტერნატში, გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვთა სახელმწიფო დაწესებულებაში.

პატარაობისას მზეს დასდევდა, სჯეროდა, რომ თუ შორს გაიქცეოდა, აუცილებლად დაეწეოდა, ციდან მოწყვეტდა და შინ წაიღებდა. ერთხელ შეუჩერებლივ ხუთი საათი ირბინა, სანამ არ დაიჭირეს და სახლში არ და-

აბრუნეს. როგორ ჭყიოდა და ტიროდა იმის გამო, რომ ასეთი საინტერესო თავგადასავალი გააწყვეტინეს. მშობლებმა ქამრით გალახეს იმ იმედით, რომ შვილი ამ აშკარა უცნაურობისგან განიკურნებოდა, მაგრამ მალე აღიარეს, რომ ასეთი მიდგომა სასურველ შედეგს არ იძლეოდა, და მასზე ზრუნვა სახელმწიფოს გადააბარეს, რომელიც, სხვათა შორის, დაახლოებით იმავე მეთოდებს იყენებდა. ინტერნატში ყოფნის პირველი წლის განმავლობაში ვარლამს ხშირად მიაჯაჭვავდნენ ხოლმე საწოლზე, ისე, როგორც ძაღლს აბამენ ხოლმე გლეხის ეზოში, მაგრამ ღონიერი ბიჭი იყო, მხარბეჭიანი, თანაც ჯიუტი.

რამდენიმე თვის შემდეგ საწოლი გატეხა, ჯაჭვი მოიხსნა და გაიქცა. ერთხელ ქალაქის განაპირას ნახეს, როდესაც მიმავალი მატარებლის ყვითელ ვაგონს მისდევდა. დაიჭირეს და, ღონემიხდილი და ქანცგაწყვეტილი, ინტერნატში დააბრუნეს. ამჯერად ვარლამი კარადაში დაამწყვდიეს. ეს ყველაფერი დიდი ხნის წინ მოხდა. ახლა კი, როდესაც ჩვიდმეტი წელი შეუსრულდა, აღმზრდელები უკვე ენდობოდნენ კიდეც, თვითონაც ჭკუა მოემატა და მიხვდა, რომ ისე შორს ვერ გაიქცეოდა, მზეს რომ დასწეოდა. ვერც ისე მაღლა აძვრებოდა, ციდან რომ მოეპარა. ამის ნაცვლად, სახლის სიახლოვეს ყვითელი ფერის ძებნაზე გადაერთო. საბანში გახვეული ბავშვიც ამიტომ მოიტაცა ღიად დატოვებული ფანჯრიდან. ჩქარობდა, თორემ ბავშვს დატოვებდა და მხოლოდ ყვითელ საბანს წამოიღებდა, მაგრამ პანიკამ მოიცვა, შეეშინდა, არ დამიჭირონო, და ორივე გამოაყოლა ხელს. ახლა კი, როდესაც ატირებულ ჩვილს შესცქეროდა, უეცრად შეამჩნია, რომ საბანი ბავშვის კანს ძლივს შესამჩნევ ყვითელ ელფერს აძლევდა და სიხარულით აღივსო.

***

სახლის წინ ორი მანქანა გაჩერდა და გადმოვიდა ვოლსკის მილიციის ექვსი შეიარაღებული თანამშრომელი, რომლებსაც ხელმძღვანელობდა გენერალი ნესტეროვი - შუახნის, კოლმეურნესავით მხარბეჭიანი და ჩასკვნილი მამაკაცი. მან ჟესტით უჩვენა მილიციელებს, რომ შენობა ალყაში მოექციათ, თვითონ კი თავის მოადგილე ლეიტენანტთან ერთად შესასვლელისკენ გაემართა. მილიციელები, ჩვეულებრივ, უიარაღოდ დადიოდნენ, მაგრამ დღეს ნესტეროვმა მათ პისტოლეტების წამოდება უბრძანა და დამნაშავის მოკვლის უფლებაც მისცა.

დირექტორის კაბინეტი ღია დახვდათ: რადიო ხმადაბლა უკრავდა, მაგიდაზე კარტი ეყარა, ჰაერი სასმლის სუნს გაეჟღინთა. აქ არავინ იყო. ნესტეროვმა და ლეიტენანტმა გზა განაგრძეს და დერეფანში გავიდნენ. სასმლის სუნი ფეკალიებისა და გოგირდის სიმყრალემ შეცვალა. ამ უკანასკნელს საწოლის ბაღლინჯოების გასანადგურებლად იყენებდნენ. ფეკალიების სუნი ახსნა-განმარტებას არ საჭიროებდა - ყველგან, იატაკზეც და კედლებზეც, განავლის კვალი მოჩანდა. საძინებლები, რომლებსაც ჩაუარეს, ბავშვებით იყო სავსე, თითოეულში ორმოცამდე პატარა მაინც იქნებოდა. უმრავლესობას ჭუჭყიანი პერანგი და ტრუსი ეცვა, თუმცა ორივე ერთად, როგორც ჩანს, არასდროს. სამ-სამად და ოთხ-ოთხად ეყარნენ თხელ, გაქონილ მატრასებზე. ზოგიერთი არ ინძრეოდა და ჭერს მიშტერებოდა. ნესტეროვს მოეჩვენა, რომ ზოგი მათგანი მკვდარიც კი იყო, მაგრამ დანამდვილებით ვერაფერს იტყოდა. ფეხზე მდგომებმა მათთან მიირბინეს და ქურთუკის კალთაზე ჩაებღაუჭნენ, ცდილობდნენ, პისტოლეტებს მისწვდომოდნენ - ბავშვებს აშკარად აკლდათ უფროსების ყურადღება. მოულოდნელად ორივენი აბეზარი ბავშვების მჭიდრო რგოლში აღმოჩნდნენ. მართალია, ნესტეროვი წინასწარ შეემზადა ცუდი სანახაობისთვის, მაგრამ რეალობა მოსალოდნელზე გაცილებით უარესი გამოდგა. გადაწყვიტა, რომ ამის თაობაზე აუცილებლად დაელაპარაკებოდა დაწესებულების ხელმძღვანელს, ოღონდ ახლა არა, სხვა დროს.

ნესტეროვი პირველი სართულის შემოწმების შემდეგ მეორეზე ავიდა, ლეიტენანტმა კი ბავშვების შეჩერება სცადა, მკაცრი მზერა მიაპყრო მათ და გაჯავრებით მოჰყვა ხელების ქნევას. ამან პატარების მხიარული სიცილი გამოიწვია, რადგან ეს თამაში ეგონათ. ის ფრთხილად იცილებდა ბავშვებს თავიდან, მაგრამ ისინი კვლავ მისკენ მიიწევდნენ - მოსწონდათ, როდესაც ხელს ჰკრავდნენ. მოთმინებადაკარგულმა ნესტეროვმა დაიღრინა: – თავი დაანებე.

ასე რომ, ახლა ყველგან ბავშვების თანხლებით უხდებოდათ სვლა.

ზედა საძინებლებში უფროსი ასაკის ბიჭებს ეძინათ. ნესტეროვმა დაასკვნა, რომ აქ ასაკის მიხედვით ხდებოდა დაყოფა. ექვმიტანილს ჩვიდმეტი წელი შესრულებოდა - ზღვრული ასაკი ინტერნატში ყოფნისთვის, რის შემდეგაც აღსაზრდელებს ყველაზე ძნელი და უსიამოვნო სამუშაოს შესასრულებლად გზავნიდნენ, რაზეც მამაკაცები და ქალები უარს აცხადებდნენ, რადგან აქ მომუშავეთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ოცდაათ წელს შეადგენდა.

ნესტეროვმა და მისმა მოადგილემ დერეფნის ბოლოს მიაღწიეს, მხოლოდ ერთი საძინებელი ოთახიღა რჩებოდათ შესამოწმებელი.

კარისკენ ზურგით მჯდარი ვარლამი გატაცებით უსვამდა ხელს საბანს, თან უკვირდა, პატარა რომ აღარ ტიროდა. მან ბავშვს ჭუჭყიანი თითი მიადო. უეცრად ოთახში უცნობი ხმა მოესმა. იგი დაიძაბა და გაიტრუნა.

- ვარლამ, ადექი და შემოტრიალდი. ძალიან ნელა.

სუნთქვაშეკრულმა ვარლამმა თვალები მაგრად დახუჭა, თითქოს იმედი ჰქონდა, რომ ხმა გაქრებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა.

- გამეორებას არ ვაპირებ. ადექი და შემოტრიალდი.

ნესტეროვმა წინ წაიწია და იმ ადგილს მიუახლოვდა, სადაც ვარლამი იჯდა. იგი ვერ ხედავდა იმას, რასაც ბიჭი სხეულით ფარავდა. არც ბავშვის ტირილი ესმოდა. საძინებელში მყოფი დანარჩენი ბიჭები საწოლში წამოსხდნენ და ინტერესით იყურებოდნენ. მოულოდნელად ვარლამი გამოერკვა, იატაკიდან რაღაც აიღო, წამოხტა და შემობრუნდა. ხელში ბავშვი ეჭირა.

ჩვილი ატირდა. ნესტეროვს გულზე მოეშვა: პატარა ცოცხალი იყო, მაგრამ მას ჯერაც საფრთხე ემუქრებოდა - ვარლამს მაგრად მიეკრა იგი მკერდზე და ორივე ხელი ვიწრო კისერზე შემოეჭდო.

ნესტეროვმა უკან მიიხედა. მისი მოადგილე კარში იდგა. ირგვლივ ბავშვები შემოხვეოდნენ.

პისტოლეტი ვარლამისთვის თავში დაემიზნებინა და მზად იყო, მოეკლა იგი, როგორც კი შესაბამის ბრძანებას მიიღებდა. ხელს ვერაფერი შეუშლიდა. ეგაა, დიდი სიზუსტით არ გამოირჩეოდა. პისტოლეტის დანახვაზე ზოგიერთმა ბავშვმა გამგმირავად დაიყვირა, სხვებმა კი პირიქით, სიცილი ატეხეს და მატრასებს ხელებსა და ფეხებს უბაგუნებდნენ. მდგომარეობა უმართავი ხდებოდა. ვარლამი პანიკამ მოიცვა. ნესტეროვმა ბიჭის დასამშვიდებლად პისტოლეტი ბუდეში ჩააბრუნა, ხელები წინ გაიწვდინა და ხმამაღლა, ისე, რომ ხმაური გადაეფარა, დაიძახა: - მომეცი ბავშვი.

- უბედურება მეწვია.

- არა. ვხედავ, რომ ბავშვს არაფერი სჭირს. კმაყოფილი ვარ შენით. კარგად მოიქეცი.

მიგიხედავს მისთვის, მოგივლია. მოსალოცად მოვედი.

- კარგად მოვიქეცი?

– ჰო.

- შემიძლია, დავიტოვო?

- ჯერ უნდა დავრწმუნდე, რომ არაფერი სჭირს. ყოველი შემთხვევისთვის. შემდეგ კი დავილაპარაკოთ. არ შემახედებ?

ვარლამმა იცოდა, რომ უფროსები ძალიან ბრაზობდნენ. ისინი ბავშვს წაართმევდნენ, მას კი ოთახში გამოკეტავდნენ, სადაც ყვითელი ფერი არ იქნებოდა. მან ბავშვი უფრო მაგრად მიიკრა, ისე მაგრად, რომ ყვითელმა საბანმა პატარას პირი დაუფარა. ვარლამმა უკან, ფანჯრისკენ დაიხია და ქვემოთ მილიციის მანქანები და შეიარაღებული ადამიანები დაინახა.

- დიდი უბედურება მეწვია.

ნესტეროვი ფრთხილად დაიძრა მისკენ. ბავშვის ძალით წართმევას არ აპირებდა - შესაძლოა, ჩვილს რამე დაშავებოდა. მან კვლავ გახედა თავის მოადგილეს. ლეიტენანტი სასროლად მზად იყო, მაგრამ ნესტეროვმა, უარყოფის ნიშნად თავი გადააქნია. ვარლამს ბავშვი სახესთან ძალიან ახლოს ეჭირა და ვინ იცის, ტყვია საით წავიდოდა. სხვა რამ უნდა მოეფიქრებინა.

ნესტეროვმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ და ლეიტენანტს ჩამოეფარა. გენერალმა იატაკზე დაწყობილ ყვითელი ნივთების კოლექციას დახედა. ვარლამს ერთხელ უკვე შეხვედროდა, როდესაც მაღაზიიდან ყვითელი კაბა მოიპარეს. ყურადღება მიაქცია, რომ ჩვილიც ყვითელ საბანში იყო გახვეული.

– თუ ბავშვს მომცემ, დედამისს ვკითხავ, შეიძლება თუ არა, რომ ყვითელი საბანი დაგიტოვო. დარწმუნებული ვარ, უარს არ იტყვის, მე კი მხოლოდ ბავშვი მჭირდება.

ვარლამი მოდუნდა, როდესაც ეს, მისი აზრით, პატიოსანი შეთავაზება მოისმინა. მან გენერალს ჩვილი გაუწოდა. ნესტეროვმა ნაბიჯი წინ გადადგა და ბავშვი გამოართვა, დარწმუნდა, რომ გარეგნული დაზიანებები არ ჰქონდა და მოადგილეს გადასცა.

- საავადმყოფოში წაიყვანე.

ლეიტანანტი სასწრაფოდ წავიდა.

ვარლამი კი, თითქოს არაფერი მომხდარაო, კვლავ იატაკზე დაჯდა კარისკენ ზურგშექცევით და კოლექციის ნივთების გადაადგილებას შეუდგა, რათა ბავშვისგან გამოთავისუფლებული სიცარიელე შეევსო. საძინებელში მყოფი დანარჩენი ბავშვები კვლავ მიყუჩდნენ. ნესტეროვი ბიჭის გვერდით ჩაცუცქდა. ვარლამმა ჰკითხა: - საბანს როდის მომიტან?

- ჯერ ჩემთან ერთად უნდა წამოხვიდე.

ვარლამი მშვიდად განაგრძობდა ნივთების გადაადგილებას. ნესტეროვმა ცერად გახედა ყვითელ წიგნს. სამხედრო სახელმძღვანელო იყო, საიდუმლო დოკუმენტი.

- ეს საიდან აიღე?

– ვიპოვე.

- უნდა შევხედო. წინააღმდეგი ხომ არა ხარ?

- თითები სუფთა გაქვს?

ნესტეროვმა შეამჩნია, რომ თვითონ ვარლამს ძალიან ჭუჭყიანი ხელები ჰქონდა.

- სუფთა მაქვს.

ნესტეროვმა ფრთხილად აიღო სახელმძღვანელო იატაკიდან და გადაშალა. შიგნით, ფურცლებს შორის, რაღაც იდო. მან წიგნი დაფერთხა და იქიდან ქერა თმის კულული გადმოვარდა. დაიხარა და თითებით მოსინჯა. ვარლამი გაწითლდა.

- დიდი უბედურება მეწვია.

რვაასი კილომეტრი მოსკოვის აღმოსავლეთით 16 მარტი შეკითხვას, უყვარდა თუ არა, რაისამ არაფერი უპასუხა. მან ახლახან აღიარა, რომ იცრუა თავისი დაორსულების შესახებ, და რომც ეთქვა: - დიახ, მიყვარხარ და ყოველთვის მიყვარდიო, - ლევი მაინც არ დაუჯერებდა. არც მისთვის თვალებში შეხედვას აპირებდა და არც ყურით მოთრეული ახსნა-განმარტებების გაკეთებას. ჰქონდა კი საერთოდ აზრი ამ შეკითხვას?

ლევს თითქოს თვალი აეხილა და მიხვდა, რომ მათი ქორწინება სულაც არ ეფუძნებოდა სიყვარულსა და ურთიერთპატივისცემას. თუ გულწრფელად უპასუხებდა, არა, არასდროს მყვარებიხარო, კაცი თავს მსხვერპლად მიიჩნევდა, იფიქრებდა, მოტყუებით მაიძულა, მასთან მექორწინაო და ქალი თაღლითს დაემსგავსებოდა, რომელმაც კაცის მიმნდობი გული საკუთარი ინტერესებისთვის გამოიყენა. მისთვის მოულოდნელად ლევი რომანტიკოსს დაემგვანა.

შესაძლოა, შოკის გამო - მან ხომ სამუშაო დაკარგა. მაგრამ როდის აქეთ იქცა სიყვარული მათ შორის დადებული გარიგების განუყოფელ ნაწილად? ადრე ქმარს ამის შესახებ არასდროს უკითხავს, არასდროს უთქვამს: მიყვარხარ.

მისგან ასეთ გრძნობას არც ელოდა. დიახ, ლევმა ხელი სთხოვა. მან თანხმობა განუცხადა.

კაცს დაქორწინება, ცოლის ყოლა, მასთან დაწოლა უნდოდა - ჰოდა, მიიღო კიდეც, რაც სურდა.

ახლა კი ეს აღარ ჰყოფნიდა. ძალაუფლების დაკარგვის შემდეგ, როდესაც თავის ნებაზე ხალხს ვეღარ დააპატიმრებდა, უეცრად სენტიმენტალობა მოეძალა. რატომ ფიქრობდა, რომ მათი ოჯახური ურთიერთობის ნგრევა მისმა სრულმა უნდობლობამ კი არა, ქალის პრაგმატულმა ტყუილმა გამოიწვია? რატომ არ შეეძლო რაისას მისთვის სიყვარულის მტკიცებულებები მოეთხოვა? ბოლოს და ბოლოს, ლევი თვითონ შეცდა, ეგონა, რომ რაისამ უღალატა და ნამდვილი თვალთვალი დაუწესა, რასაც, შესაძლოა, მისი დაპატიმრებაც მოჰყოლოდა. ლევმა მასზე გაცილებით ადრე შეარყია მათ შორის არსებული ნდობა. ქალი საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად იბრძოდა, კაცს კი მხოლოდ ეჭვიანობა ამოძრავებდა.

მას შემდეგ, რაც მათი გვარები მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების წიგნში ჩაიწერა, უფრო ადრეც კი - როდესაც ერთმანეთს ხვდებოდნენ, რაისა აცნობიერებდა, რომ ლევის უკმაყოფილება შესაძლოა, სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა. ეს ფაქტი მისთვის სასტიკ რეალობად იქცა. ისე უნდა მოქცეულიყო, რომ კაცს თავი ბედნიერად ეგრძნო. როდესაც ზოია დაპატიმრეს, ლევის დანახვაც კი - მისი უნიფორმა და პარტიასა და ქვეყანაზე საუბარი - ისე აღიზიანებდა, რომ საუბრის მხარდასაჭერად ორიოდე სიტყვის თქმას ძლივს ახერხებდა.

საკითხი ძალიან მარტივად იდგა. უნდოდა თუ არა სიცოცხლე? რაისა ნებისმიერ ვითარებაში თვითგადარჩენის უნარით გამოირჩეოდა. მის საქციელს თუნდაც ის ამართლებდა, რომ მთელი ოჯახიდან მხოლოდ თვითონ გადარჩა. ზოიას დაპატიმრებით გამოწვეული აღშფოთება მისთვის დაუშვებელი ფუფუნება იყო. ამით ვერაფერს მიაღწევდა. ამიტომაც ჩაუწვა ლოგინში და მის გვერდით, მასთან ერთად ეძინა. სადილს უმზადებდა და სძულდა, როგორ ჭამდა იგი; ტანსაცმელს ურეცხავდა და მისი სუნი ეზიზღებოდა.

ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში, როდესაც შინ უსაქმოდ იჯდა, რაისა მშვენივრად ხვდებოდა, რომ ქმარი იმაზე ფიქრით იტანჯებოდა, სწორად მოვიქეცი თუ არაო. უნდა დაენდო თუ არა ცოლი? ღირდა კი ქალი იმ რისკად, რომელზეც წასვლა მოუხდა? იყო კი იგი საკმარისად ლამაზი, მომხიბლავი და კარგი? ქმრის უკმაყოფილების გამომწვევი ყოველი ჟესტი თუ გამოხედვა მას უდიდეს საფრთხეს უქმნიდა, მაგრამ ეს

დრო წარსულს ჩაჰბარდა. რაისა დაღალა საკუთარმა უმწეობამ, ქმრის კეთილ ნებასა და განწყობაზე დამოკიდებულებამ. კაცი, როგორც ჩანს, გულწრფელად ფიქრობდა, რომ ცოლს მისი ვალი ემართა. მან მხოლოდ აშკარა ფაქტი დაადასტურა: რაისა უცხო ქვეყნის ჯაშუში კი არა, საშუალო სკოლის ერთი ჩვეულებრივი მასწავლებელი იყო, ამის საფასურად კი სიყვარულის დეკლარაციას ითხოვდა. რაისას ეს შეურაცხყოფდა. ლევს აღარც მდგომარეობა უწყობდა ხელს და აღარც ბერკეტები გააჩნდა ცოლზე ზეგავლენის მოსახდენად. არც რაისას შესწევდა ამის ძალა. ორივენი მსგავს, სახიფათო ვითარებაში აღმოჩნდნენ: მათი ცხოვრება ორ პატარა ჩემოდანში ჩაეტია და ახლა რომელიღაც მიყრუებულ პატარა ქალაქში მიემგზავრებოდნენ. მათ შორის პირველად დამყარდა აბსოლუტური თანასწორობა. და თუ ლევი მისგან სიყვარულში გამოტყდომას ელოდა, ჯერ თვითონ უნდა ემღერა მისთვის სერენადა.

სახემოღუშული ლევი კი რაისას სიტყვებზე ფიქრობდა. ქალს, როგორც ჩანს, საკუთარი თავისთვის სხვების განსჯისა და ზიზღის გამოხატვის უფლება მიეცა, ისეთი სახე მიეღო, თითქოს ხელები სუფთა ჰქონდა. მაგრამ როდესაც მას ცოლად გაჰყვა, მშვენივრად იცოდა, სადაც მუშაობდა და თავი რით გაჰქონდა. იგი ყველა იმ შეღავათით სარგებლობდა, რასაც ლევს მისი თანამდებობა აძლევდა, სიამოვნებით მიირთმევდა მის მოტანილ დელიკატესებს, ტანსაცმელსაც რჩეულთათვის განკუთვნილ სპეცმაღაზიებში ყიდულობდა. რატომ თავიდანვე არ განაცხადა უარი მასზე, თუ მისი სამსახური ასე სძულდა? ყველას ესმოდა, რომ ვიღაცას მაინც უნდა შეესრულებინა ეს სამუშაო, რათა ქვეყანა გადარჩენილიყო. დიახ, ლევი ამორალურად იქცეოდა, მაგრამ სუფთა სინდისი ადამიანთა უმრავლესობისთვის სწორედ ის დაუშვებელი ფუფუნება იყო, რომელზეც ვერც რაისა განაცხადებდა პრეტენზიას. განა მოსწავლეებს იმას არ ასწავლიდა, რისიც გულწრფელად სწამდა? როგორც ჩანს, არა, - იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო უშიშროების აპარატი მასში ასეთ აღშფოთებას იწვევდა, - მაგრამ სკოლაში მისთვის სრული მხარდაყჭერა უნდა გამოეხატა, მოსწავლეებისთვის აეხსნა, თუ როგორ ცხოვრობდა და მუშაობდა ქვეყანა, აღფრთოვანებულიყო მისით, ბავშვებისთვის ამ პრინციპების ერთგულება ჩაენერგა და წაეხალისებინა კიდეც ისინი, თუ ერთმანეთს დაასმენდნენ. ასე რომ არ მოქცეულიყო, მისი რომელიმე მოსწავლე კარგა ხნის წინ დაასმენდა, სადაც ჯერ არს. რაისას მხოლოდ ის კი არ ევალებოდა, რომ გაჭიმულს ევლო და საყოველთაოდ მიღებულ წესებს

დამორჩილებოდა, არამედ ისიც, რომ მათთვის შეკითხვის დასმის სურვილიც კი გაექრო. იმავეს გაკეთება მოუწევდა ახალ ქალაქშიც, სადაც ახლა მიემგზავრებოდნენ. ლევის აზრით, ის და მისი ცოლი ერთი ბორბლის უბრალო მანები იყვნენ.

მატარებელი მუტავაში ერთი საათით გაჩერდა. რაისამ პირველმა დაარღვია ხანგრძლივი დუმილი.

- უნდა ვჭამოთ.

ამით იმის თქმა სურდა, რომ ის ყოველდღიური რუტინა უნდა დაეცვათ, რომელზეც მუდამ იდგა მათი ქორწინება. სწორედ ის იყო მათი დამაკავშირებელი რგოლი და არა სიყვარული, მხოლოდ მისი იმედი უნდა ჰქონოდათ, თუ მომავალ სირთულეებთან გამკლავება სურდათ.

ისინი ვაგონიდან გამოვიდნენ. პლატფორმაზე ქალი მიდი-მოდიოდა, ხელში დაწნული კალათი ეჭირა. მისგან მაგრად მოხარშული კვერცხი, ქაღალდის პაკეტში ჩაყრილი მარილი და ჭვავის პურის რამდენიმე ნატეხი იყიდეს, შემდეგ ძელსკამზე გვერდიგვერდ დასხდნენ, კვერცხი ფრთხილად გაფცქვნეს, რათა ნაჭუჭი ძირს არ დასცვენოდათ, თითო მწიკვი მარილი აიღეს და ჭამას შეუდგნენ. ერთმანეთისთვის არაფერი უთქვამთ.

***

მატარებელმა ბორცვების ფერდობებზე მდებარე დაბურულ ფიჭვნარში გაიარა და სვლა შეანელა. ხეების კენწეროების მიღმა ქვედა ყბის დაბრეცილი კბილების მსგავსი მთის წვეროები მოჩანდა.

რკინიგზის ლიანდაგი მოსუფთავებულ ნაკვეთზე გავიდა. მათ წინ საამწყობო ქარხანა გამოჩნდა - მაღალი მილები და გადასასვლელებით შეერთებული სასაწყობე კორპუსები, რომლებიც თითქოს არსაიდან გაჩენილიყო ამ შუაგულ უღრან ტყეში. კაცი იფიქრებდა, ღმერთი ურალის მთებზე დასასვენებლად ჩამოჯდა და ისე დაარტყა მუშტი მიწას, რომ ხეები აქეთ-იქით გაიფანტა, შემდეგ კი ბრძანა, რომ გამოთავისუფლებული ადგილი საკვამურებითა და საგლინი დგანებით შეევსო. აი, ასეთი სახით წარმოუდგათ ახალი სახლი.

ლევმა ქალაქის შესახებ მხოლოდ ის იცოდა, რაც პროპაგანდისტულ ბროშურებსა და სამსახურებრივ მოხსენებებში ამოეკითხა. დასახლებამ, რომელშიც ოცი ათასი კაცი ცხოვრობდა, მხოლოდ ხეტყის სახერხი ორი ძველი ქარხანა და არანაკლებ ძველი ხის პატარა სახლები იდგა, სტალინის ყურადღება მიიპყრო, მაგრამ მისი ბუნებრივი და ადამიანური რე-

სურსების საგულდაგულოდ შესწავლის შემდეგ ბელადმა ქალაქის სამრეწველო პოტენციალი არასაკმარისად მიიჩნია. იქვე მდინარე უფა მოედინებოდა; აღმოსავლეთით, ას სამოცი კილომეტრის დაშორებით, მეტალურგიული და ფოლადსადნობი ქარხნები მდებარეობდა; მთებში რკინის მადანი მოიპოვებოდა; ქალაქზე ტრანსციმბირული მაგისტრალი გადიოდა.

სარგებელი კი მხოლოდ ის იყო, რომ სატვირთო მატარებლებს მხოლოდ ფიცრებით ტვირთავდნენ. სტალინმა გადაწყვიტა, რომ ეს იდეალური ადგილი იყო ქარხნის ასაშენებლად, სადაც „გაზ-20“ -ს გამოუშვებდნენ, ავტომობილს, რომელიც მკაცრ საერთაშორისო სტანდარტებს დააკმაყოფილებდა და დასავლეთის ქვეყნებს კონკურენციას გაუწევდა. მისი მემკვიდრე, „ვოლგა გაზ-21“, საბჭოთა საინჟინრო აზრის მწვერვალი, ამჟამად საკონსტრუქტორო დამუშავების ეტაპს გადიოდა, იგი მკაცრ ჰავაზე იყო გათვლილი, ჰქონდა მაღალი კლირენსი, საიმედო საკიდარი, დაჯავშნული ძარა და ისეთი მასშტაბის კოროზიისგან დაცვა, შეერთებულ შტატებში რომ არც დაესიზმრებოდათ. თუმცა ლევმა არ იცოდა, ეს მართლა ასე იყო თუ არა. სამაგიეროდ, ხვდებოდა, რომ ასეთი მანქანის შეძენას, სიძვირის გამო, საბჭოთა მოქალაქეთა მცირერიცხოვანი ჯგუფი თუ მოახერხებდა, მათი ამწყობი მუშები კი მასზე მხოლოდ ოცნებას შეძლებდნენ.

მშენებლობა ომის შემდეგ დაიწყო, თვრამეტი თვის შემდეგ კი ფიჭვნარის შუაგულში „ვოლგის“ ასაწყობი ქარხანა წამოიჭიმა. ლევს ზუსტად არ ახსოვდა, რამდენი პატიმარი შეეწირა მის აგებას, თუმცა ამ მონაცემების ნდობა მაინც არ შეიძლებოდა. იგი მუშაობაში აქტიურად მხოლოდ მშენებლობის დასრულების შემდეგ ჩაერთო. ქვეყნის ყველა კუთხეში ათასობით დაქირავებული მუშა შეარჩიეს და იძულებით გადმოიყვანეს აქ მუშახელის რაოდენობის შესავსებად. ხუთი წლის შემდეგ ქალაქის მოსახლეობა ხუთჯერ გაიზარდა. ლევი ზოგიერთ მოსკოველ სპეციალისტს წინასწარ ამოწმებდა. ვინც ამ პროცედურას წარმატებით გაივლიდა, ბარგს ჩაალაგებდა და ერთი კვირის განმავლობაში ჩამოდიოდა. ვერ გაივლიდა და, დააპატიმრებდნენ. ლევი ამ ქალაქის ერთგვარ მეკარედ იქცა. მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ვასილიმ აქ გაამწესა. როგორც ჩანს, ბედის ასეთი ირონია მას გვარიანად ახალისებდა.

რაისამ ახალი სახლის გაცნობა ვერ მოასწრო. პალტოში გახვეულს თავი შუშისთვის მიედო, ეძინა და მატარებლის მოძრაობის ტაქტში ქანაობდა. ცოლის მეზობელ სკამზე მჯდომი ლევი ხედავდა, როგორ იზრდებოდა წინ ქალაქი, რომელიც ავტოქარხანას გვერდიდან ისე მიჰკვროდა, როგორც ტკიპა - ძაღლის კისერს. პირველ რიგში ეს სამრეწველო ობიექტი იყო, შემდეგ კი - მიყრუებული ქალაქი, სადაც მათ უნდა ეცხოვრათ. მრავალბინიან სახლებში ანთებული შუქი ბაც ნარინჯისფრად მოჩანდა ნაცრისფერი ცის ფონზე. ლევმა მსუბუქად გაჰკრა რაისას გვერდში იდაყვი. მან გაიღვიძა, გაოცებით შეხედა ქმარს, შემდეგ კი ფანჯარას მიაცქერდა.

- მოვედით.

მატარებელი სადგურში შევიდა. მათ თავ-თავიანთი ჩემოდნები აიღეს და პლატფორმაზე გავიდნენ. აქ უფრო ციოდა, ვიდრე მოსკოვში - ტემპერატურა რამდენიმე გრადუსით ნაკლები იქნებოდა. ისინი იმ ევაკუირებული ბავშვებივით იდგნენ, პირველად რომ მოხვდნენ სოფელში, და დაბნეულად შეჰყურებდნენ უცნობ პეიზაჟს. არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ, მათთვის მითითება არავის მიუცია. აქ არავის იცნობდნენ, არც ტელეფონის ნომერი ჰქონდათ, სადაც დარეკვას შეძლებდნენ. მათ აშკარად არ ელოდნენ.

ვაგზლის შენობაში არავინ იმყოფებოდა, იმ მამაკაცის გამოკლებით, სალაროს ფანჯრის მიღმა რომ იჯდა. ახალგაზრდა იყო, არა უმეტეს ოცი წლისა. როდესაც ლევსა და რაისას თვალი მოჰკრა, დაჟინებით მიაჩერდა მათ. რაისა ახლოს მივიდა.

- საღამო მშვიდობისა. მილიციის სამმართველოს ვეძებთ.

- მოსკოვიდან ხართ?

- დიახ.

კაცმა სალაროს კარი გამოაღო, მთავარ დარბაზში გამოვიდა და გარეთ მდებარე შუშებიან შესასვლელზე მიუთითა.

- გელოდებიან.

სადგურის შესასვლელიდან ასიოდე მეტრში მილიციის მანქანა იდგა. ლევმა და რაისამ სტალინის პროფილის მქონე თოვლით დაფარულ კლდეში ნაჭდევის მსგავს სტელას ჩაუარეს და გაემართნენ „გაზ-20“-ისკენ, რომელიც აშკარად ამ ქარხანაში უნდა ყოფილიყო აწყობილი.

როდესაც მიუახლოვდნენ, დაინახეს, რომ წინ ორნი ისხდნენ. კარი გაიღო და იქიდან ერთ-ერთი მათგანი - საშუალო ასაკის მხარბეჭიანი, ჩას-

კვნილი კაცი გადმოვიდა.

- ლევ დემიდოვი?

– დიახ.

- მე გენერალი ნესტეროვი ვარ, ვოლსკის მილიციის უფროსი.

ლევმა იმის გააზრება სცადა, თუ რატომ შეიწუხა გენერალმა თავი მასთან შეხვედრით.

ვასილი ხომ აუცილებლად მიანიშნებდა მათ, რომ იგი არაფრად ჩაეგდოთ, მაგრამ მისი ნათქვამი არაფერს ნიშნავდა: МГБ-ს ყოფილი თანამშრომლის ჩამოსვლა, თანაც მოსკოვიდან, ადგილობრივ მილიციას გვარიან საფიქრალს გაუჩენდა. ისინი ვერაფრით დაიჯერებდნენ, რომ იგი აქ მათი რიგების შესავსებად მოვიდა. იფიქრებდნენ, რომ ამის უკან რაღაც იმალებოდა, და, ნებისმიერ შემთხვევაში, ყველაფერი, რაც აქ მოხდებოდა, მოსკოვს გადაეცემოდა. რაც უფრო დაჟინებით ცდილობდა ვასილი, ისინი საპირისპიროში დაერწმუნებინა, მით უფრო მეტ ეჭვს აღუძრავდა მათ. სხვაგვარად, რატომ უნდა გადაესროლა III 6-ს თავისი ოპერმუშაკი ასობით კილომეტრზე, პატარა, მიყრუებული ქალაქის მილიციის განყოფილებაში? ამას ხომ აზრი არ ჰქონდა - უკლასო საზოგადოებაში მილიცია სადღაც ფსკერის სიახლოვეს ტრიალებდა.

ყოველ მოსწავლეს ასწავლიდნენ, რომ მკვლელობა, ქურდობა და გაუპატიურება კაპიტალისტურ საზოგადოებას ახასიათებდა, ამიტომაც მილიციის როლი მინიმუმამდე იყო დაყვანილი. მოქალაქეებს ქურდობისა და მკვლელობის ჩადენის სურვილი არ უნდა გასჩენოდათ, ვინაიდან ყველანი თანასწორნი იყვნენ. კომუნისტურ სახელმწიფოში საპოლიციო ძალების საჭიროება არ არსებობდა. სწორედ ამიტომ მიიჩნეოდა მილიცია შინაგან საქმეთა სამინისტროს დამხმარე, მცირეანაზღაურებად, ნაკლებად პრესტიჟულ ქვედანაყოფად.

სამუშაოდ სკოლაში ჩარჩენილებს, გარიცხულებს, გადაცდომისთვის დათხოვნილ სამხედროებს და მათ იღებდნენ, ვისი წარმოდგენაც სამართლიანობის შესახებ ნახევარ ბოთლ არყად შეგეძლოთ გეყიდათ. ოფიციალურად დანაშაულის დონე საბჭოთა კავშირში ნულისკენ მიისწრაფოდა. გაზეთები ასახელებდნენ წარმოუდგენელ თანხებს, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატები ხარჯავდა დანაშაულის პროფილაქტიკისთვის, პოლიციის გაკრიალებული მანქანებისა და გაქათქათებულ, სუფთა ფორმებში გამოწყობილი პოლიციელებისთვის, რომლებიც ყოველ კუთხეში იდგნენ. მათ გარეშე საზოგადოება უბრალოდ ვერ იარსებებდა.

დასავლეთში ბევრ ღირსეულ ქალსა და მამაკაცს უწევდა ბრძოლა დამნაშავეობასთან, მაშინ, როცა გაცილებით მეტი სარგებლობით შეეძლოთ დროის გამოყენება, მაგალითად, საბავშვო ბაღებისა და მისთანების მშენებლობისთვის. აქ კი ადამიანური რესურსი ფუჭად არ იკარგებოდა: საჭირო იყო მხოლოდ ცუდად ორგანიზებული ბანდები, რომელთა წევრებსაც მოჩხუბარი მთვრალი ადამიანების დაშოშმინება-გაშველების გარდა, სხვა არაფერი შეეძლოთ.

ეს თეორიულად. ლევმა არ იცოდა, როგორი იყო ეს სტატისტიკა პრაქტიკაში. არც ამის გაგების სურვილით იწვოდა, ვინაიდან მათ, ვინც მსგავს საკითხებში ერკვეოდა, გამუდმებით ანადგურებდნენ. „პრავდის“ პირველი, შუა თუ ბოლო გვერდები საწარმოო მაჩვენებლებით იყო აჭრელებული. მხოლოდ კარგი ამბები იბეჭდებოდა: შობადობის მაღალი დონე, სამგზავრო და სატვირთო სარკინიგზო გადაზიდვების განუხრელი ზრდა, ახალი არხების მშენებლობა.

ზემოთ აღწერილის გათვალისწინებით, ლევის ჩამოსვლა მნიშვნელოვან მოვლენად იქცა.

МГБ-ში თანამდებობაზე მუშაობა მეტ ნაცნობობას, პატივისცემას, ძალაუფლებასა და მატერიალურ კეთილდღეობას გულისხმობდა ნებისმიერ სხვა სამსახურთან შედარებით. აბა, რომელი ოფიცერი დასთანხმდებოდა დაქვეითებას ნებაყოფლობით? თუ თავი შეირცხვინა, რატომ არ დააპატიმრეს? მაგრამ МГБ-დან განდევნილიც კი იმავე უწყებასთან ასოცირდებოდა და საჭიროების შემთხვევაში, ამის გამოყენებაც შეიძლებოდა.

ნესტეროვმა მათი ჩემოდნები მანქანამდე ისე ციმციმ მიიტანა, თითქოს ისინი არაფერს იწონიდა, საბარგულში ჩააწყო და ჩამოსულებს უკანა კარი გაუღო. ლევი შიგნიდან აკვირდებოდა, როგორ ჯდებოდა მისი უშუალო უფროსი მძღოლის გვერდით. მისთვის ეს შთამბეჭდავი და ტევადი ავტომობილიც კი პატარა ჩანდა. მუხლები ლამის ნიკაპთან მიეტანა.

საჭესთან ახალგაზრდა ოფიცერი იჯდა. ნესტეროვმა ლევი მას არც კი წარუდგინა. როგორც VI ნ-ში, ასევე მილიციაში, მძღოლები კონკრეტულ მანქანებზე იყვნენ მიმაგრებულნი.

ოფიცრებს ავტომობილს პირადი სარგებლობისთვის არ აძლევდნენ. ისინი არც საჭესთან სხდებოდნენ. მძღოლმა მანქანა დაძრა და ცარიელ გზაზე გავიდა. სხვა ტრანსპორტი არსად ჩანდა.

ნესტეროვი ცოტა ხანს დუმდა. არ უნდოდა, მეტისმეტად ცნობისმოყვარე ადამიანი ჰგონებოდათ, მაგრამ მალე ლევს უკანა ხედვის სარკეში შეხედა და უთხრა: - თქვენი ჩამოსვლის შესახებ სამი დღის წინ შეგვატყობინეს. ძალზე უჩვეულო გადმოყვანაა.

- ჩვენ ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ იქ წასასვლელად, სადაც უფრო საჭირონი ვართ.

- კარგა ხანია, აქ არავინ გადმოუყვანიათ. ყოველ შემთხვევაში, მე მსგავსი არაფერი მითხოვია.

- ქარხნის შეუფერხებელ მუშაობას დიდ მნიშვნელობას ანიყებენ.

რაისამ მალულად შეხედა ქმარს, მიხვდა, რომ იგი განზრახ ირგებდა სახეზე იდუმალების ნიღაბს. მას შემდეგაც კი, რაც დააქვეითეს და МГБ-დან გამოუშვეს, მოახერხა, რომ თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა ის შიში, რომელსაც სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო სხვებზე ახდენდა. იმ არახელსაყრელ გარემოებათა გათვალისწინებით, რომლებშიც ისინი აღმოჩნდნენ, ეს აშკარად გონივრული იყო. ნესტეროვმა განაგრძო: - აი, რა მინდა, რომ მითხრათ: თქვენ მაძებარი უნდა გამხდარიყავით? მიღებულმა განკარგულებებმა გვარიანად გაგვაოცა. მკაფიოდ გვითხრეს - „არა“. შეგვატყობინეს, რომ უბნის რწმუნებულად უნდა დაგნიშნოთ, რაც თქვენი მდგომარეობის მქონე ადამიანისთვის მნიშვნელოვანი დაქვეითებაა.

- მიბრძანეს, რომ თქვენ უნდა გაგეცნოთ. რაც შეეხება ჩემს მდგომარეობას, ის თქვენს ხელშია.

მანქანაში სიჩუმე ჩამოვარდა. რაისამ გადაწყვიტა, რომ გენერალი სულაც არ აღუფრთოვანებია იმას, რომ უსიამოვნო პრობლემა რიკოშეტით მასვე დაუბრუნდა. პასუხით უკმაყოფილო ნესტეროვმა ჩაიბურტყუნა: - თავდაპირველად მივლინებაში მყოფთათვის განკუთვნილ სამსახურებრივ შენობაში გაჩერდებით. როგორც კი ბინას მოგიძებნით, იქ გადაგიყვანთ, მაგრამ უნდა გაგაფრთხილოთ, რომ ბინის მისაღებად რიგში ძალიან ბევრი ხალხი დგას. მე ვერაფრით დაგეხმარებით.

მილიციელის სამუშაო პრივილეგიებს არ ითვალისწინებს.

ავტომობილი რესტორნის მსგავსი შენობის წინ გაჩერდა. ნესტეროვმა საბარგულს თავი ახადა, ჩემოდნები გადმოიღო და ტროტუარზე დადგა. ლევი და რაისა გვერდიგვერდ იდგნენ და მითითებას ელოდნენ. ნესტეროვმა ლევს მიმართა: - ნივთებს ოთახში აიტანთ თუ არა, მანქანასთან დაბრუნდით. თქვენს ცოლს შეუძლია, ზევით დარჩეს.

რაისას არაფერი უთქვამს, თუმცა ძალზე გააღიზიანა იმან, რომ მასზე ისე ლაპარაკობდნენ, თითქოს იქ არც იყო. დაინახა, როგორ ასწია ლევმა, ნესტეროვის წაბაძვით, ორივე ჩემოდანი.

ასეთმა ყოყოჩობამ გვარიანად გააოცა, მაგრამ გაკილვისგან თავი შეიკავა. დაე, წამოეღო მისი ჩემოდანი, თუ ასე უნდოდა. იგი დაწინაურდა, რესტორნის კარი შეაღო და ორივენი შიგნით შევიდნენ.

შენობაში ნახევრად ბნელოდა. მძიმე ფარდები ჯერ არ გაეწიათ, ჰაერი თამბაქოს სუნად ყარდა. მაგიდაზე წუხანდელი ღრეობის დამადასტურებელი ქუყყიანი სირჩები დაეხვავებინათ.

ლევმა ჩემოდნები იატაკზე დადგა და ერთ-ერთ მაგიდაზე მკაცრად დააკაკუნა. კარში ვიღაც კაცი გამოჩნდა.

- ჭერ არ გავხსნილვართ.

- მე ლევ დემიდოვი ვარ, ეს კი ჩემი ცოლია, რაისა. მოსკოვიდან ახლახან ჩამოვედით.

– დანიილ ბაზაროვი.

- გენერალმა ნესტეროვმა მითხრა, რომ ბინას გამომიყოფთ.

- მაღლა მდებარე ოთახს გულისხმობთ?

- არ ვიცი, მაგრამ, ვფიქრობ, ასეა.

ბაზაროვმა მოზრდილ მუცელზე ნაკეცები ჩაფიქრებით მოიფხანა და თქვა: - წამომყევით, გაჩვენებთ, სად უნდა იცხოვროთ.

ოთახი პატარა აღმოჩნდა. ორი ერთადგილიანი საწოლი ერთმანეთზე მიედგათ. მათ შორის ღრიჭო მოჩანდა. მატრასები ლამის იატაკს ეხებოდა. კედლებზე შპალერი ალაგ-ალაგ დამწვარი კანივით გამობერილიყო. მასზე შორიდანვე ჩანდა ჭუჭყი და ცხიმის ლაქები. ლევმა გადაწყვიტა, რომ ეს კულინარიული ზეთის ბრალი იქნებოდა, რადგან საძინებელი ზედ სამზარეულოს თავზე იყო, რომელიც იატაკის ფიცრებს შორის არსებული ნაპრალებიდან მოჩანდა. რისი სუნი აღარ ამოდიოდა იქიდან ოთახში - მოხარშული შიგნეულობის, ხრტილის თუ ქონის.

ნესტეროვის თხოვნამ ბაზაროვი შეაშფოთა. ამ ოთახითა და საწოლებით მისი თანამშრომლები, ანუ ქალები სარგებლობდნენ და კლიენტებს ემსახურებოდნენ, მაგრამ გენერალს უარს ვერ ეტყოდა. შენობა ხომ მისი არ იყო. საქმის შეუფერხებლად გასაგრძელებლად ადგილობრივი მილიციის კეთილგანწყობა სჭირდებოდა. მათ იცოდნენ, რომ ბაზაროვს უკანონო შემოსავალი ჰქონდა, მაგრამ სანამ წილს იძლეოდა, ხელს არ უშლიდნენ. ეს ყველაფერი, ცხადია, არაოფიციალურად, უხმაუროდ კეთდებოდა.

სიმართლე ითქვას, ახალმა სტუმრებმა ბაზაროვი ცოტათი გაანერვიუ-ლეს კიდეც. ყური მოეკრა, რომ ისინი VII ნ-დან იყვნენ, ამიტომაც მის-თვის ჩვეული თავხედობა არ გამოუჩენია. მან თავი ნახევრად ღია კარის-კენ გადააქნია.

- იქ სააბაზანოა. შენობაშივე გვაქვს.

რაისამ ფანჯრის გაღება სცადა, მაგრამ ის ლურსმნებით ჩაეჭედათ. ნახევრად მორყეული შენობა, ჭუჭყიანი თოვლი - ამ ახალ სახლში უნდა ეცხოვრათ.

ლევმა საოცარი დაღლილობა იგრძნო. იგი ითმენდა დამცირებას, სა-ნამ მას აბსტრაქტული ფორმა ჰქონდა, მაგრამ ახლა, როდესაც ამ ოთახის სახე მიიღო, უევცრად დაწოლა, თვალების დახუჭვა და გარე სამყაროს-გან გამიჯვნა მოუნდა, მაგრამ მას ქვემოთ ელოდებოდნენ. ამიტომ მხო-ლოდ ის მოახერხა, რომ თავისი ჩემოდანი საწოლზე დადო. რაისას თვა-ლებში ვერ უყურებდა - არა ბრაზის, არამედ სირცხვილის გამო. სიტყვის უთქმელად ოთახიდან გავიდა.

***

ლევი მანქანით ქალაქის სატელეფონო სადგურამდე მიიყვანეს და შიგნით შეუძღვნენ. აქ თავის რიგს ასობით კაცი ელოდა, რათა მათთვის გამოყოფილ დროს ტელეფონით ორიოდე წუთი ელაპარაკათ. ვინაიდან უმრავლესობა ოჯახს სამუშაოს შოვნის იმედით დაშორებოდა, ლევი ხვდებოდა, თუ როგორ უფრთხილდებოდნენ ისინი ამ წუთებს. მაგრამ ნესტეროვს ურიგოდ ემსახურებოდნენ და იგი მაშინვე პატარა კაბინისკენ გაემართა.

მცირე ხნის საუბრის შემდეგ - ლევმა სიტყვები ვერ გაარჩია - გენე-რალმა ყურმილი მას გაუწოდა. ლევმა აპარატი ყურზე მიიდო და დაე-ლოდა.

– როგორ მოეწყვე?

ეს ვასილი იყო, რომელმაც განაგრძო: - ყურმილის დადება გინდა, არა? მაგრამ ვერ ბედავ. ამის გაკეთებაც კი არ შეგიძლია.

- რა გინდა?

- შენთან კავშირზე ყოფნა. მინდა, მომიყვე, როგორ ცხოვრობ, მე კი აქაურ ამბებს შეგატყობინებ. ჰო, სანამ არ დამვიწყებია: ის კოხტა ბინა, მშობლებს რომ გაუხერხე, უკვე სხვისია. ისინი კი მათი ახლანდელი სტა-ტუსის შესაფერის ოთახში გადავიყვანეთ - იქ ცივა და ჭუჭყიც საკმარი-

სია. მათთან ერთად შვიდსულიანი ოჯახი ცხოვრობს. აქედან ხუთი ბავ-შვია.

სხვათა შორის, მამაშენს ზურგის ტკივილი აღარ აწუხებს. რამხელა სირცხვილია, რომ პენსიაზე გასვლამდე ერთი წლით ადრე საამწყობო კონვეიერზე მოუხდა დაბრუნება: როცა სამუშაო არ მოგწონს, ერთი წე-ლი ხომ ათად გეჩვენება. თუმცა ამაში მალე თვითონ დარწმუნდები.

- ჩემი მშობლები კარგი ადამიანები არიან. მთელი ცხოვრება შრო-მობდნენ. შენთვის არაფერი დაუშავებიათ.

- სამაგიეროდ, მე შევეცდები, რომ ყოფა გავუმწარო.

- ჩემგან რას ითხოვ?

- ბოდიშის მოხდას.

- მაპატიე, ვასილი.

- არც კი იცი, ბოდიშს რისთვის იხდი.

- ცუდად მოგექეცი. ამიტომაც გთხოვ, მაპატიე.

- იქნებ დამიზუსტო, რისთვის მთხოვ პატიებას? ამაზე შენი მშობლე-ბის ბედია დამოკიდებული.

- არ უნდა დამერტყა შენთვის.

- ცუდად გამოგდის. არადამაჯერებლად.

სასოწარკვეთილ ლევს საკუთარი აცახცახებული ხმა შემოესმა: - ვერ ვხვდები, კიდევ რა გინდა. შენ ყველაფერი გაქვს, მე - არაფერი.

- ეს ძალზე მარტივია. მინდა, გავიგონო, როგორ მეხვეწები.

- გეხვეწები, ვასილი, გესმის? გევედრები - თავი დაანებე ჩემს მშობ-ლებს. გთხოვ...

ვასილიმ ყურმილი დაკიდა.

ვოლსკი 17 მარტი ლევი მთელი დამე ქალაქში დაეხეტებოდა, ფეხები აღარ უვარგოდა, წინდები სისხლით გაეჟღინთა. ახლა პარკში მდგარ ძელსკამზე იჯდა, ხელები თავზე შემოეჭდო და ჩუმად ტიროდა.

აღარც ეძინა და აღარც საჭმელს აკარებდა პირს. წუხელ რაისამ მას-თან დალაპარაკება სცადა, მაგრამ მას კრინტი არ დაუძრავს. როდესაც ქალმა რესტორნიდან საჭმელი ამოიტანა, იქით არც გაუხედავს. ამ ნამცე-ცა ოთახში ვეღარ ძლებდა. ქვევით დაეშვა, პირველ სართულზე თავმოყ-რილ ხალხში გზა გაიკვლია და გარეთ გავიდა. უმიზნოდ მიდიოდა. ნერ-ვებმოშლილი და აფორიაქებული ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა, რამე უნდა ეკეთებინა, თუმცა ხვდებოდა, რომ სწორედ ეს იყო იმ გაჭირვებული მდგომარეობის მთავარი საფრთხე, რომელშიც აღმოჩნდა: ვერაფერს გაა-

კეთებდა. ლევი კვლავ შეეჩეხა უსამართლობას, მაგრამ ამჯერად ვერ ჩაერეოდა.

მის მშობლებს კეფაში ტყვიას არ დაახლიდნენ - ეს ძალზე სწრაფი, შეწყალების ტოლფასი სიკვდილი იქნებოდა. არა, ისინი დიდხანს უნდა ეწამებინათ და ამით სიამოვნება მიეღოთ.

წარმოიდგინა კიდეც, რამდენი შესაძლებლობა ჰქონდა სადისტური, გადაგვარებული ტვინის მქონე ადამიანს. მის შემთხვევაში მშობლებს დააქვეითებდნენ და ყველაზე მძიმე და ბინძურ საქმეს შეასრულებინებდნენ, ისეთს, რომელთან გამკლავება ახალგაზრდა და ჯანმრთელ ადამიანებსაც გაუჭირდებოდათ. მათ მუდმივად შეახსენებდნენ ლევის გადასახლებას, სირცხვილსა და დამცირებას. შესაძლოა, ისიც ეთქვათ, რომ გულაგში იმყოფებოდა, ოცდახუთწლიან კატორდაში. რაც შეეხება ოჯახს, რომელთან ერთადაც ბინაში შეასახლეს, ისინი, რასაკვირველია, უხეშად მოიქცეოდნენ. ბავშვებს შოკოლადს დაჰპირდებოდნენ ხმაურის ატეხის სანაცვლოდ, მშობლებს კი - მთელ ბინას, თუ მოხუცებს საჭმელს მოჰპარავდნენ, ეჩხუბებოდნენ და ცხოვრებას ჯოჯოხეთად გადაუქცევდნენ. არც სხვა წვრილმანების გამოცნობა იყო ძნელი. ვასილი აუცილებლად ხაზგასმით ეტყოდა ყველაფერს ტელეფონში. იცოდა, რომ ლევი ყურმილის დაკიდებას ვერ გაბედავდა - შეეშინდებოდა, ვაითუ, ჩემი საქციელის გამო მშობლებს უარესი დააწიონო. ვასილი ლევის წელში გადატეხას შორიდან შეეცდებოდა, გამუდმებით სუსტ წერტილზე - მშობლებზე დააწვებოდა. ისინი დაუცველნი აღმოჩნდნენ.

დავუშვათ, ლევს შემთხვევით მათი ახალი მისამართი შეეტყო და წერილი გაეგზავნა. უარეს შემთხვევაში, მას აღმოაჩენდნენ და დაწვავდნენ, უკეთესში კი მხოლოდ მათ დარწმუნებას თუ შეეცდებოდა, რომ კარგად იყო და არაფერი უჭირდა. მან მათთვის პატარა, მყუდრო სამყარო შექმნა, მაგრამ ისინი სწორედ მაშინ გამოყარეს იქიდან, როდესაც ცვლილებებს ყველაზე ნაკლებად ელოდნენ.

იგი წამოდგა. სიცივისგან კანკალებდა. არ იცოდა, რა გაეკეთებინა. ბოლოს გაჭირვებით, ლასლასით გაუდგა თავისი ახალი სახლისკენ მიმავალ გზას.

***

რაისა პირველ სართულზე მაგიდასთან იჯდა. ქმარს მთელი ღამე ელოდა. იცოდა, რომ, როგორც ვასილიმ იწინასწარმეტყველა, ახლა მწა-

რედ ნანობდა თავის საქციელს, ცოლი რომ არ ამხილა. ძალიან დიდი ფასის გადახდა უწევდა. რაისა ფიქრობდა, როგორ მოქცეულიყო. თავი მოეკატუნებინა, თითქოს ქმარმა ყველაფერი გაწირა ამაღლებული, არამიწიერი სიყვარულის გამო? დაკვეთით ხომ ვერ შეიყვარებდა?! ეს რომც მოენდომებინა, არ იცოდა, რა ეთქვა და რა მოემოქმედებინა. სამაგიეროდ, მისი შებრალება შეეძლო. სიმართლე ითქვას, მისი სხეულის ერთი ნაწილი ტკბებოდა ქმრის ასეთი დაცემით. არა ნიშნის მოგების ან შურისძიების გამო.

არა, სურდა, ლევს სცოდნოდა, რომ მისი ცოლიც ამას გრძნობდა ყოველდღე - შიშსა და უმწეობას. დაე, კაცსაც გაეცნობიერებინა და განეცადა ეს.

უძილობით გაწამებულმა რაისამ დაინახა, როგორ შემოვიდა ლევი რესტორანში. იგი წამოდგა, ქმარს მიუახლოვდა და შეამჩნია, რომ მას თვალები გასწითლებოდა. ნამტირალევი ლევი არასდროს ენახა. კაცი შეტრიალდა და იქვე მდგარი ბოთლიდან ჭიქაში არაყი დაისხა.

რაისამ მხარზე ხელი დაადო. ყველაფერი წამებში მოხდა: ლევი ცოლისკენ მიბრუნდა და თავისუფალი ხელით ყელში სწვდა: – სულ შენი ბრალია!

რაისას სახე გაუწითლდა, სუნთქვა უჭირდა. ლევმა ასწია იგი და ქალი იატაკს ახლა მხოლოდ თითის წვერებით სწვდებოდა. ამაოდ ცდილობდა თავის დახსნას. კაცი არ უშვებდა, მას კი წინააღმდეგობის გასაწევად ძალა არ ჰყოფნიდა.

რაისამ ხელი მაგიდისკენ გააპარა. თვალები უჭრელდებოდა. მოახერხა და თითებით შეეხო ჭიქას, რომელიც გადაყირავდა და მისკენ გაგორდა. ხელი სტაცა, დარჩენილი ძალა მოიკრიბა და ლევს სახეში გვერდიდან დაარტყა. ჭიქა ნამსხვრევებად იქცა და ერთმა მათგანმა რაისას ხელი გაუჭრა. ამ დროს სასწაული მოხდა და ქმარმა თავი დაანება. ქალი უკან გადახტა და ხველა აუტყდა, თან ხელით კისერს ისრესდა. ორივენი უცხოებივით მიაშტერდნენ ერთმანეთს, თითქოს მთელი მათი ერთობლივი ცხოვრება წამში გადნა და უკვალოდ გაქრა. ლევს ლოყაში შუშის ნატეხი გარჭობოდა. მან იგი ამოიღო, ხელისგულზე დაიდო და გაოცებულმა დახედა.

რაისამ ნელ-ნელა უკან დაიხია, შემდეგ კიბეზე ავარდა და კაცი მარტო დატოვა.

ნაცვლად იმისა, ცოლს გაჰკიდებოდა, ლევმა არაყი გადაკრა და ჭიქა კვლავ შეავსო. ეს რამდენჯერმე გაიმეორა. ასე რომ, როდესაც გარეთ ნესტეროვის მანქანის გუგუნი გაისმა, ბოთლში თითქმის აღარაფერი რჩებოდა. იდგა და ქანაობდა - გაოფლილი, გაუპარსავი, მთვრალი, გაბრაზებული, აგრესიული - მხოლოდ ერთი დღე დასჭირდა იმ პირუტყვული მდგომარეობის მისაღწევად, რომლითაც ასე გაეთქვა სახელი მილიციას.

სანამ მანქანით მიდიოდნენ, ნესტეროვს არაფერი უთქვამს ლევისთვის ლოყაზე არსებული ჭრილობის გამო. იგი მას მოკლედ აცნობდა ქალაქის ღირსშესანიშნაობებს. ლევი არ უსმენდა, ვერც ვერაფერს ხედავდა. თავზარდაცემული მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რაც ჩაიდინა. ნუთუ მართლა სცადა საკუთარი ცოლის დახრჩობა? თუ ეს უძილობისა და სასმლით გაჟღენთილი ტვინის ერთობლივი ხუმრობა იყო? ლოყაზე ხელი მოისვა და თითებზე სისხლი დაინახა - მაშასადამე, სიმართლე ყოფილა. მისი მოკვლა ნდომებია. კიდევ ორიოდე წამი, ცოტაოდენი ძალისხმევა და ასეც მოხდებოდა. ეგონა, რომ ყველაფერზე თქვა უარი - მშობლებზეც და კარიერაზეც - გამოგონილი საბაბის, ოჯახის შენარჩუნებისა და იმის რწმენის გამო, რომ მათ ერთმანეთთან რაღაც აკავშირებდათ. ქალმა კი მოატყუა, მის თავგანწირვას აზრი გამოაცალა.

მხოლოდ მაშინ აღიარა, ორსულობა მოვიგონეო, როდესაც თავი სამშვიდობოს დაიგულა, როდესაც ლევის მშობლები უკვე დაზარალდნენ. არა, უფრო შორსაც წავიდა - გამოუცხადა, რომ ეზიზღებოდა კიდეც ლევი. რაისა მისი სულის სიმებს შეეხო, შემდეგ კი სახეში შეაფურთხა.

ლევმა თავგანწირვისა და იმის სანაცვლოდ, რომ მამხილებელ მტკიცებულებებზე თვალი დახუჭა, ვერაფერი მიიღო.

მაგრამ ლევს აღარც ამის სჯეროდა. თავის მართლების დრო ამოიწურა. მან მიუტევებელი საქციელი ჩაიდინა და რაისა არ ცდებოდა, რომ ეზიზღებოდა. რამდენი და-ძმა და დედ-მამა ეყოლებოდა პირადად მას დაპატიმრებული? რით განსხვავდებოდა ვასილი ნიკიტინისგან, ადამიანისგან, რომელიც თავის ზნეობრივ ანტიპოდად მიაჩნდა? ნუთუ განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ვასილი უაზრო, თვითონ კი იდეალისტურ სისასტიკეს იჩენდა? ერთი მხრივ, ყოველგვარ აზრს მოკლებული, ინდიფერენტული სისასტიკე, მეორე მხრივ კი - პრინციპული, პრეტენზიული, გონივრული და აუცილებელი, მაგრამ სინამდვილეში მათ შორის განსხვავება არ არსებობდა. ნუთუ ლევს წარმოსახვის უნარი აკლდა, რათა მიმხვდარიყო, რა საქმეში გაყო თავი? ან უფრო უარესი - არც ცდილობდა

მთელი ამ საშინელების წარმოდგენას? იგი გულმოდგინედ იცილებდა თავიდან მსგავს აზრებს, უკრძალავდა კიდეც საკუთარ თავს ამაზე ფიქრს.

მაგრამ მისი მორალური პრინციპების ნანგრევებში ერთი ფაქტი არ იცვლებოდა: მან რაისას სიცოცხლე იმიტომ შესწირა, რომ მისი მოკვლა ეცადა. ეს სიგიჟეს ჰგავდა. გაიფიქრა, თუ ასე გააგრძელებდა, მალე აღარავინ დარჩებოდა, ის ქალიც კი, რომელზეც დაქორწინდა. უნდოდა, ეთქვა, ქალი, რომელიც უყვარდა, მაგრამ უყვარდა კი? ლევმა მასთან იქორწინა, მაგრამ განა ეს ერთი და იგივე იყო? არა, ცოლად იმიტომ მოიყვანა, რომ მისმა სილამაზემ და ჭკუამ მოხიბლა, ამაყობდა, რომ ასეთი ქალი გვერდით ედგა, რომ ის მისი გახდა. კიდევ ერთი ნაბიჯი საბჭოური ცხოვრების ნათელი მომავლისკენ - სამსახური, ოჯახი და ბავშვები. რაისა ერთგვარი შიფრი, ჭანჭიკი იყო მისი ამბიციების ბორბალში, აუცილებელი ოჯახური ფონი მისი წარმატებული კარიერისთვის, სანიმუშო მოქალაქის სტატუსისთვის. იქნებ ვასილი მართალი იყო, როდესაც ამბობდა, რომ რაისას შემცვლელის მოძებნა არ გაუჭირდებოდა? მატარებელში ხომ სთხოვა, ეთქვა, რომ უყვარდა, ენუგეშებინა, იმ რომანტიკული ფანტაზიით დაეჯილდოებინა, რომელშიც ნამდვილი გმირი იყო. რა საცოდავი ყოფილა. ლევმა ჩუმად ამოიოხრა და შუბლი მოიწმინდა. მას აჯობეს - ისე, როგორც ვასილი ამბობდა: თამაშში, რომელშიც სათამაშო ქვები ტანჯვას ნიშნავდა. ნაცვლად იმისა, რომ ვასილის დაერტყა ცოლისთვის და ტკივილი მიეყენებინა, ეს თვითონ გააკეთა, სხვისი გეგმის ნაწილი შეასრულა.

ისინი დანიშნულების ადგილას მივიდნენ. ავტომობილი გაჩერდა. ნესტეროვი გადმოვიდა და მას დაელოდა. ლევს აღარ ახსოვდა, რა დრო გავიდა, კარი გააღო და უფროსს მილიციის განყოფილების შენობაში შეჰყვა, რათა თავისი პირველი სამუშაო დღე დაეწყო. იგი თანამშრომლებს წარუდგინეს, ზოგს ხელი ჩამოართვა, ზოგს თავი დაუქნია, ზოგსაც რაღაცაში დაეთანხმა, მაგრამ არაფერი დაამახსოვრდა - არც სახელი და წოდება, არც სხვა წვრილმანი.

ბოლოს მარტო დარჩა გასახდელში, პატარა კარადის წინ, სადაც მისი ფორმა ეკიდა, და მხოლოდ მაშინ მოახერხა ყურადღების მოკრება. ჯერ ფეხსაცმელი გაიხადა, შემდეგ ნელა გაიძრო წინდები დასისხლიანებული ტერფებიდან, ფეხები ცივ წყალს შეუშვირა და დაინახა, როგორ შეიღება იგი წითლად. ვინაიდან სუფთა წინდები არ ჰქონდა, ახალს კი ვერავის სთხოვდა, ისევ ძველი ჩაიცვა, თან ტკივილისგან იღრიჯებოდა, როდესაც

ისინი დამსკდარ კოჟრებს ეხებოდა. ლევმა გაიხადა, სამოქალაქო ტანსაცმელი კარადის კუთხეში დაგდებული დატოვა, ახალ ფორმაზე კი - უხეში ქსოვილისგან შეკერილ წითელკანტიან შარვალსა და მძიმე სამხედრო ქურთუკზე - ღილები შეიკრა. შემდეგ სარკეში ჩაიხედა. თვალები ჩაშავებოდა, მარცხენა ლოყას ახალთახალი ჭრილობა უმშვენებდა. ლევმა ქურთუკზე განმასხვავებელ ნიშნებს დახედა. იგი უბნის რწმუნებული იყო, ანუ არაფერი.

ნესტეროვის კაბინეტის კედლებს ჩარჩოში ჩასმული დიპლომები ამშვენებდა. ლევმა მათ თვალი გადაავლო და შეიტყო, რომ მის უფროსს მოყვარულთა შეჯიბრება მოეგო ჭიდაობაში, აგრეთვე ტურნირი შაშხანის სროლაში, არაერთხელ მიენიჭებინათ „თვის ოფიცრის“ წოდება როგორც აქ, ისე ძველ სამსახურში, როსტოვში. ეს დემონსტრაციული, ყველასთვის საჩვენებელი ბაქიაობა იყო, თუმცა სრულიად გასაგები, იმის გათვალისწინებით, რომ მილიციაში მუშაობა დიდ პატივისცემას არავისში იწვევდა.

ნესტეროვი ყურადღებით აკვირდებოდა თავის ახალწვეულს. ვერაფრით გაერკვია, ვისთან ჰქონდა საქმე. რატომ გამოიყურებოდა ასე საზიზღრად ეს ადამიანი - МГБ-ს ყოფილი მაღალი თანამდებობის ოფიცერი, ომის გმირი, მრავალი ჯილდოს პატრონი - ფრჩხილები გაჭუჭყიანებოდა, სახეზე ახალი ჭრილობა ემჩნეოდა, არყის სუნი ასდიოდა. და რაც მთავარია, დაქვეითება სულაც არ ადარდებდა. შესაძლოა, მართლა ისეთი იყო, როგორსაც აღწერდნენ: არაკომპეტენტური და თანამდებობისთვის შეუფერებელი. გარეგნობაც სწორედ ამას ადასტურებდა, მაგრამ ნესტეროვს ეს მაინც არ სჯეროდა. იმასაც ფიქრობდა, რომ კაცი თავს იკატუნებდა და მახეს უგებდა. როგორც კი მისი გადმოყვანის შესახებ შეიტყო, გულმა ცუდი უგრძნო. ამ ადამიანს მისთვის და მისი თანამშრომლებისთვის უდიდესი ზიანის მიყენება შეეძლო. ამისთვის ერთი უარყოფითი პატაკის გაგზავნაც საკმარისი იქნებოდა. ნესტეროვმა გადაწყვიტა, ყურადღებით დაჰკვირვებოდა, საქმეში გამოეცადა და ახლოს ჰყოლოდა. დროთა განმავლობაში ლევი აუცილებლად გასცემდა საკუთარ თავს.

გენერალმა ლევს საქაღალდე გაუწოდა. მან უდრტვინველად შეავლო მას თვალი, ვერ გაეგო, მისგან რას მოითხოვდნენ. რატომ მისცეს? სულ არ ადარდებდა შიგ რა ეწერა. ლევმა ამოიოხრა, თავს ძალა დაატანა და საქმის გაცნობა გადაწყვიტა. საქაღალდეში შავ-თეთრი ფოტოსურათი იდო - გოგონა შავ თოვლზე გულაღმა იწვა. შავი თოვლი... შავი იმიტომ,

რომ სისხლით გაჟღენთილიყო. ლევს მოეჩვენა, რომ გოგონა ყვიროდა. ახლოდან რომ დააკვირდა, აღმოჩნდა, რომ პირში რაღაც ჰქონდა. ნესტეროვმა აუხსნა: - პირი მიწით ამოუვსეს, რათა საშველად არავისთვის ეხმო.

ლევს აუკანკალდა თითები, რომლებითაც ფოტოსურათი ეჭირა. ახლა აღარც რაისა ახსოვდა და აღარც მშობლები. გოგონას პირის მეტს ვერაფერს ხედავდა. ფართოდ დადებულ და მიწით სავსე პირს. ლევმა მეორე ფოტოსურათს გადახედა. აქ გოგონა შიშველი იყო. ის ადგილები, სადაც კანი მთელი შერჩენოდა, საოცრად გასთეთრებოდა. მკერდი და მუცელი დასახიჩრებოდა. ლევმა სწრაფად გადაათვალიერა დანარჩენი სურათები, მაგრამ თვალწინ ედგა გოგონა კი არა, ფიოდორის პატარა ბიჭი, რომლისთვისაც არც ტანსაცმელი გაეხადათ, არც მუცელი გამოეფატრათ და არც პირი ამოევსოთ მიწით. ბიჭი, რომელიც არც მოეკლათ. ლევმა ფოტოსურათები მაგიდაზე დააწყო. კედელზე ჩამოკიდებული დიპლომების შესახებ არაფერი უთქვამს.

იგივე დღე ორ შემთხვევას, ფიოდორის პატარა ბიჭის სიკვდილსა და ამ გოგონას მკვლელობას, საერთო არაფერი ჰქონდა. ან როგორ უნდა ჰქონოდა. მათ ხომ რამდენიმე ასეული კილომეტრი ყოფდა. ეს მხოლოდ და მხოლოდ ბედის ბოროტი ირონია იყო და მეტი არაფერი. მაგრამ ლევმა უპატიებელი შეცდომა დაუშვა, როცა ერთი ხელის მოსმით უარყო ფიოდორის მიერ წამოყენებული ბრალდებები. ახლა კი აქ, მის წინ, იწვა ბავშვი, რომელიც მოეკლათ იმავე ხერხით, რომელსაც ფიოდორი აღწერდა. მაშასადამე, ეს შესაძლებელი იყო. ლევმა არ იცოდა, რა შეემთხვა სინამდვილეში ფიოდონრის ბიჭს, არკადის, რადგან თავი არ შეიწუხა, რომ მისი ცხედარი ენახა. არც იმის გამორიცხვა შეიძლებოდა, რომ უბედური შემთხვევა მოხდა. ანდა საქმე მიაფუჩეჩეს. თუ ეს უკანასკნელი სიმართლე იყო, გამოდის, ლევი დანაშაულის დაფარვის სპექტაკლში გამოუყენებიათ. მან კი თავისი როლი ყოველგვარი გააზრების გარეშე ითამაშა - დასცინოდა, აშინებდა და ემუქრებოდა გაუბედურებულ და დამწუხრებულ ოჯახს.

გენერალმა ნესტეროვმა დაუფარავად გააცნო მკვლელობის დეტალები, მომხდარსაც სწორედ ასე - მკვლელობას უწოდებდა, არ ცდილობდა, ეს სასტიკი და სისხლიანი დანაშაული სხვაგვარად წარმოეჩინა. მისი გულწრფელობა ლევს ძალიან არ მოეწონა. როგორ შეეძლო ასეთი გულცივობის გამოჩენა? მის სამმართველოში ყოველწლიურ სტატისტიკას ის

უნდა დაედასტურებინა, რაც წინასწარ იყო ცნობილი: დამნაშავეობის დონის კლება და სოციალური ჰარმონიის ზრდა. მართალია, ქალაქის მოსახლეობა მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ ოთხმოცი ათასი კაცის ხარჯზე, ქვეყნის მასშტაბით თავის სამუშაო ადგილებს რომ მოსწყვიტეს, დანაშაულის დონეს მაინც აუცილებლად უნდა დაეკლო, რადგან, როგორც თეორია ირწმუნებოდა, სამუშაო ადგილების მატებას სამართლიანობის ზრდა და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის შემცირება უნდა მოჰყოლოდა.

მსხვერპლს ლარისა პეტროვა ერქვა; იგი ოთხი დღის წინ აღმოეჩინათ ტყეში, რკინიგზის სადგურის მახლობლად. ამ საშინელი შემთხვევის დეტალები, ლევის აზრით, ცოტა ბუნდოვანი იყო, მაგრამ როდესაც ამას დაჟინებით გაუსვა ხაზი, ნესტეროვმა სიტყვა ბანზე აუგდო. ლევმა მხოლოდ ის შეიტყო, რომ გვამს ერთი წყვილი წასწყდომოდა, რომელსაც ზედმეტი დაელია და მრუშობის მიზნით, ტყეში შეეხვია. როგორც აღმოჩნდა, გოგონა თოვლში რამდენიმე თვე ეგდო, თუმცა სიცივეს კარგად შეენახა. იგი სკოლაში სწავლობდა, თოთხმეტი წელი შესრულებოდა.

მილიციამ მის შესახებ ის იცოდა, რომ ბევრთან ჰქონდა სქესობრივი კავშირი - არა მარტო თანატოლებთან, არამედ მოზრდილ მამაკაცებთანაც. მისი ყიდვა ერთ პატარა ბოთლ არყადაც შეიძლებოდა. გაუჩინარების დღეს ლარისამ და დედამისმა იჩხუბეს. მის არყოფნას ყურადღება არავინ მიაქცია, რადგან ხშირად იმუქრებოდა სახლიდან გაქცევით, და ეგონათ, სიტყვა შეასრულაო. მოკლედ, არავის უძებნია. ნესტეროვის თქმით, მის მშობლებს ქალაქში პატივს სცემდნენ. მამა საავტომობილო ქარხანაში ბუღალტრად მუშაობდა. მათ რცხვენოდათ თავიანთი ქალიშვილისა და ამიტომაც არ ეხმარებოდნენ გამოძიებას, რომელიც, მართალია, არ უნდა მიეჩქმალათ, მაგრამ ფარულად უნდა ჩაეტარებინათ, რათა საზოგადოების უმრავლესობას არაფერი შეეტყო. მშობლები დაითანხმეს, რომ დაკრძალვის ცერემონიას არ მოაწყობდნენ და ისე მოიქცეოდნენ, თითქოს მათი ქალიშვილი უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

მილიციის გარდა, მკვლელობის შესახებ სულ რამდენიმე კაცმა იცოდა. ამ ადამიანებს, გვამის აღმომჩენი წყვილის ჩათვლით, გასაგებად აუხსნეს, რა ელოდათ, თუ პირში წყალს არ ჩაიგუბებდნენ.

ლევმა იცოდა, რომ მილიციას გამოძიების დაწყება მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემდეგ შეეძლო, რომელსაც, თავის მხრივ, მაშინ აღძრავდნენ, როდესაც მის წარმატებით დასრულებაში ეჭვი არ

ეპარებოდათ. ბრალდებულის არარსებობა დაუშვებლად მიიჩნეოდა და ამას უსერიოზულესი შედეგი მოჰყვებოდა. სასამართლოში საქმის გადაცემა მხოლოდ ერთ რამეს ნიშნავდა - ეჭვმიტანილი დამნაშავე იყო. რთულ და არაერთმნიშვნელოვან საქმეს საერთოდ არ აღძრავდნენ. ნესტეროვისა და მისი ხელქვეითების სიმშვიდე იმას ადასტურებდა, რომ ეჭვმიტანილი ხელთ ჰყავდათ. მათ თავიანთი საქმე შეესრულებინათ. გონებრივი აქტივობა, მტკიცებულებების შეგროვება, დაკითხვა და ბრალის წაყენება ევალებოდა სახელმწიფო საგამოძიებო ჯგუფსა და პროკურატურას, რომელიც გამომძიებლებისა და იურისტებისგან შედგებოდა. ლევისთვის დახმარება არ უთხოვიათ: მას მხოლოდ მოკლე ექსკურსია მოუწყვეს და მისგან მილიციის მიერ გაწეული შრომისთვის აღფრთოვანების გამოვლენას ელოდნენ.

საკანი პატარა და ჩვეულებრივი იყო, ლუბიანკისთვის დამახასიათებელი ეშმაკობების გარეშე. ლევს იქ მხოლოდ ბეტონის კედლები და იატაკი დახვდა. ეჭვმიტანილი იჯდა, ზურგს უკან წაღებულ ხელებზე ბორკილები ედო. ახალგაზრდა იყო, თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლის, მოზრდილივით დაკუნთული სხეულითა და ბავშვური სახით. მზერა განუწყვეტლივ ერთი საგნიდან მეორეზე გადაჰქონდა და საკანს უაზროდ ათვალიერებდა. ჩანდა, რომ არაფრის ეშინოდა და სიმშვიდეს ინარჩუნებდა, ისიც ვერ გაეგო, სად იყო და რა ხდებოდა. სხეულსა და სახეზე ფიზიკური ზემოქმედების კვალი არ ეტყობოდა. რასაკვირველია, ისეთი მეთოდებიც არსებობდა, კვალს რომ არ ტოვებდა, მაგრამ ლევს ინტუიცია კარნახობდა, რომ ბიჭი არ გაელახათ. ნესტეროვმა ეჭვმიტანილზე მიუთითა: - ეს ვარლამ ბაბინიჩია.

საკუთარი სახელის გაგონებაზე ახალგაზრდამ თავი ასწია და ნესტეროვს ძაღლივით ერთგული თვალებით შეხედა, გენერალმა კი განაგრძო: - მის ნივთებში ლარისას თმის კულულს წავაწყდით. ერთ დროს იგი კუდში დასდევდა ქალიშვილს - მისი სახლის გარშემო ტრიალებდა, სასეირნოდ ეძახდა. ლარისას დედამ გაიხსენა, რომ ხშირად უნახავს ვარლამი. მისი თქმით, გოგონა ჩიოდა, მოსვენებას არ მაძლევსო - ყმაწვილი გამუდმებით ცდილობდა, თმაზე შეხებოდა.

ნესტეროვი ეჭვმიტანილისკენ შეტრიალდა და ნელა, მკაფიოდ წარმოთქვა: - აბა, ვარლამ, მოგვიყევი, რა მოხდა, როგორ აღმოჩნდა შენთან ეს კულული?

- მოვაჭერი. ჩემი ბრალია.

- მოუყევი ოფიცერს, როგორ მოკალი.

- მისი თმა მომწონდა. ხელში ჩაგდება მინდოდა. უკვე მაქვს ყვითელი წიგნი, ყვითელი პერანგი, ყვითელი კონსერვის ქილა და ცოტა ყვითელი თმა. აი, რატომ მოვაჭერი. მაპატიეთ. ეს არ უნდა გამეკეთებინა. საბნის წაღებას როდის შევძლებ?

- ამაზე მოგვიანებით ვილაპარაკებთ.

ლევმა გააწყვეტინა: - რომელი საბანი?

- ორი დღის წინ ბავშვი მოიტაცა. ჩვილი ყვითელ საბანში იყო გახვეული. ვარლამი ხომ ყვითელ ფერზე გიჟდება. საბედნიეროდ, პატარა არ დაშავებულა. ამ ყმაწვილს კი სწორისა და არასწორის აღქმა არ შეუძლია. იმას აკეთებს, რაც მოეპრიანება, შედეგზე კი არ ფიქრობს.

ნესტეროვი ეჭვმიტანილს მიუახლოვდა.

- როდესაც ლარისას თმა შენს წიგნში მივაგენი, ასე თქვი, დიდი უბედურება მეწვიაო.

რატომ? უთხარი ამ კაცს, რაც მე მითხარი.

- მას არასდროს მოვწონდი. მაგდებდა, თავიდან მიცილებდა, მე კი მისი თმა მინდოდა.

ძალიან მინდოდა. როდესაც მოვაჭერი, არაფერი უთქვამს.

ნესტეროვი ლევისკენ შებრუნდა და დაკითხვაში მონაწილეობა შესთავაზა.

- შეკითხვა ხომ არა გაქვთ?

ნეტავ რას ელოდებოდნენ მისგან? ლევი მცირე ხნით ჩაფიქრდა, შემდეგ კი იკითხა: - პირი მიწით რატომ ამოუვსე?

ვარლამს პასუხი უცებ არ გაუცია. დაბნეული ჩანდა.

- დიახ, პირში რაღაც ჰქონდა. გამახსენდა. არ მცემოთ.

ნესტეროვმა დაამშვიდა: - შენს ცემას არავინ აპირებს. შეკითხვას უპასუხე.

- არ ვიცი. ყველაფერი სწრაფად მავიწყდება. დიახ, პირში მიწა ჰქონდა.

ლევმა განაგრძო: - მომიყევი, შემდეგ რა მოხდა. მას შემდეგ, რაც მოკალი.

- მოვაჭერი.

– თმა მოაჭერი თუ სხვა რამე?

- მაპატიეთ, მოვაჭერი.

- ყურადღებით მომისმინე: თმა მოაჭერი თუ სხეულის რომელიმე ნაწილი?

- ვიპოვე და მოვაჭერი. ვინმესთვის უნდა მეთქვა, მაგრამ შემეშინდა. არ მინდოდა, უბედურება მწვეოდა.

ვარლამი ატირდა.

- დიდი უბედურება მეწვია. მაპატიეთ. ძალიან მინდოდა მისი თმის ხელში ჩაგდება.

ნესტეროვმა ნაბიჯი წინ გადადგა.

- კარგი, დღეისთვის საკმარისია.

ამ დამამშვიდებელი სიტყვების გაგონებაზე ვარლამმა ტირილი შეწყვიტა. მაშინვე დაწყნარდა. მისი სახის შემხედვარე, ვერაფრით დაიჯერებდით, რომ მოზრდილი ადამიანის ტანის მქონე ამ ბიჭს მკვლელობის ჩადენა შეეძლო.

ლევი და ნესტეროვი გარეთ გავიდნენ. ნესტეროვმა საკნის კარი მიხურა.

- ჩვენ იმის მტკიცებულება გვაქვს, რომ იგი დანაშაულის ადგილას იმყოფებოდა. თოვლზე დატოვებული ნაკვალევი მისი ჩექმებისას ემთხვევა. უკვე მიხვდით, რომ ინტერნატიდან არის?

ისე, გონებრივად ჩამორჩენილია.

ახლა ლევი ხვდებოდა, რატომ მოჰკიდა ნესტეროვმა ამ მკვლელობას ხელი ასე თამამად.

მილიციას უკვე ჰყავდა ეჭვმიტანილი, გონებრივად ჩამორჩენილი. ვარლამი არ მიეკუთვნებოდა საბჭოთა საზოგადოებას, კომუნიზმს, პოლიტიკას. მის საქციელს ახსნა ჰქონდა. იგი პარტიაზე არ აისახებოდა, არც დამნაშავეებსა და დამნაშავეობაზე ახდენდა გავლენას, ვინაიდან სინამდვილეში ეჭვმიტანილი საბჭოთა ადამიანი კი არ იყო, არამედ ანომალია. ნესტეროვმა დაამატა: - არ იფიქროთ, თითქოს ძალადობა არ შეუძლია. გამომიტყდა, რომ გოგონა მან მოკლა.

მოტივიც ჰქონდა. მართალია, ირაციონალური, მაგრამ მაინც მოტივი. ის უნდოდა, რაც ვერაფრით მოეხელთებინა: ქალიშვილის ქერა თმა. მას ადრეც ჩაუდენია დანაშაული, როდესაც იმას ვერ იღებდა, რაც უნდოდა: ქურდობდა და ბავშვებს იტაცებდა, ახლა კი მკვლელობაზეც წავიდა. მისთვის ლარისას მკვლელობა არაფრით განსხვავდება ბავშვის მოტაცებისგან.

მორალური პრინციპები არ გააჩნია. სამწუხაროა. საზოგადოებისგან მისი იზოლირება ჯერ კიდევ მრავალი წლის წინ უნდა მოეხდინათ, მაგრამ ახლა ამას გამომძიებელმა მიხედოს.

ლევი ყველაფერს მიხვდა. გამოძიება დასრულდა. ეს ჭაბუკი უნდა მომკვდარიყო.

იგივე დღე საძინებელში არავინ იყო. ლევი მუხლებზე დაეშვა და საწოლქვეშ შეიხედა. აღარც რაისას ჩემოდანი ჩანდა. წამოდგა, ოთახიდან გავიდა, კიბე ჩაირბინა და რესტორნის სამზარეულოში შევარდა. ბაზაროვი უხარისხო, გულისამრევ ხორცს მოზრდილ ნაჭრებად ჭრიდა.

- სად არის ჩემი ცოლი?

- ბოთლის საფასური გადაიხადეთ და გეტყვით.

მან იაფფასიანი არყის ცარიელ ბოთლზე მიუთითა, ლევმა დილითვე რომ მოუღო ბოლო, და დაამატა: - ჩემთვის სულერთია, რომელმა დალიეთ, თქვენ თუ თქვენმა ცოლმა.

- მითხარით, გთხოვთ, სად არის?

– ბოთლის საფასური გადაიხადეთ.

ლევს ფული თან არ ჰქონდა. კვლავაც მილიციის ახალი ფორმა ეცვა, სამოქალაქო ტანსაცმელი კი გასახდელში დარჩენოდა.

- მოგვიანებით გადაგიხდით. იმდენს, რამდენსაც მეტყვით.

- მოგვიანებით, რა თქმა უნდა. მოგვიანებით მილიონ მანეთს გადამიხდით.

ბაზაროვმა ხორცის დაჭრა განაგრძო, მიანიშნა, ვერ დამიყოლიებთო.

ლევმა კვლავ ზევით აირბინა და თავისი ჩემოდანი გახსნა. გაშმაგებით შეუდგა ყველაფრის ამოყრას. „პროპაგანდისტის ცნობარში“ მიაგნო ოთხ ოცდახუთმანეთიანს, რომლებიც შავი დღისთვის გადაენახა. წამოდგა, კიბეზე დაეშვა, რესტორანში შევიდა და ბაზაროვს ერთი კუპიურა ხელში ჩაუდო. ეს გაცილებით აღემატებოდა ერთი ბოთლი არყის საფასურს.

- სად არის?

- ორიოდე საათის წინ წავიდა. ჩემოდანიც თან წაიღო.

– საით გაემართა?

- ჩემთვის არაფერი უთქვამს. არც მე მიკითხავს.

- ეს როდის მოხდა?

- ორი თუ სამი საათის წინ...

სამი საათი - ეს იმას ნიშნავდა, რომ იგი არა მარტო რესტორნიდან წავიდა, არამედ, შესაძლოა, ქალაქიდანაც კი გაემგზავრა. ლევმა არ იცოდა და ვერც ეცოდინებოდა, რომელ მხარეს გაემართა რაისა, თუ აქაურობის მიტოვება გადაეწყვიტა.

ბაზაროვს გული მოულბა ამხელა გასამრჯელოს მიღების შემდეგ და გადაწყვიტა, ლევისთვის დამატებითი ინფორმაცია მიეწოდებინა.

- მეეჭვება, დღის ბოლო მატარებლისთვის მიესწრო. როგორც მახსოვს, მომდევნო შემადგენლობა მალე უნდა ჩამოდგეს.

– რომელ საათზე?

- რვის ნახევარზე...

ლევს სულ ათი წუთი ჰქონდა.

მან დაღლილობას ყურადღება არ მიაქცია და გაიქცა. სასოწარკვეთილება ახრჩობდა.

სუნთქვა უჭირდა. უეცრად გააცნობიერა, რომ არც კი იცოდა, სადგური სად იყო. ლევი წინ გაიქცა, გზადაგზა ცდილობდა იმის გახსენებას, რომელი გზით მოდიოდნენ აქეთობას მანქანით. ფორმის შარვალი თოვლყვყაპისგან დაუსველდა და იაფი ქსოვილი თანდათან დამძიმდა. კოჟრები კვლავ დაუსისხლიანდა, ფეხები ეწვოდა, გრძნობდა, როგორ ჭყაპუნობდა სისხლი ჩექმებში. ყოველი ნაბიჯის გადასადგმელად საშინელი ტკივილის დაძლევა უხდებოდა.

ქუჩის კუთხეში შეუხვია და ჩიხში - ერთ ხაზზე ჩამწკრივებული ხის სახლების წინ აღმოჩნდა.

გზა აებნა. დააგვიანდა. რაისა უკვე წავიდოდა; ვეღარაფერს გააწყობდა. ორად მოკეცილ და აქოშინებულ ლევს მოულოდნელად ეს ქოხმახები და ადამიანის ექსკრემენტების მძაფრი სუნი გაახსენდა. სადგურის სიახლოვეს იყო. ამაში ეჭვი აღარ ეპარებოდა. უკან დაბრუნების ნაცვლად, ლევმა სირბილი განაგრძო და ერთ-ერთ ქოხში უკანა კარიდან შევარდა. ხალხი პირდაპირ იატაკზე იჯდა და ვახშამს შეექცეოდა. ღუმლის გარშემო თავმოყრილი ადამიანები უსიტყვოდ და შიშით შესცქეროდნენ მილიციელის ფორმაში გამოწყობილ მოულოდნელ სტუმარს. ლევს არაფერი უთქვამს, ბავშვებს გადააბიჯა, სირბილით გაუყვა გზას და მთავარ ქუჩაზე გააღწია - სწორედ იმაზე, მანქანით რომ გამოიარეს. შორს სადგურის შენობაც გამოჩნდა. ლევმა სისწრაფის მომატება სცადა, მაგრამ ძალა აღარ ჰქონდა. სისხლში მოზღვავებული ადრენალინი დაღლილობას ვეღარ უმკლავდებოდა. მარაგი ამოსწურვოდა.

სადგურის კარი მხრით შეაღო. საათი შვიდსა და ორმოცდახუთს აჩვენებდა. თხუთმეტი წუთი დააგვიანდა. უეცრად თავში დაარტყა, რომ რაისა წავიდა და, ალბათ, სამუდამოდაც.

ლევს იმედის პატარა ნაპერწკალიდა უბჟუტავდა - იქნებ რაისას რამემ ხელი შეუშალა და მატარებელს ვერ მიუსწროო. პლატფორმაზე გავარდა, გიჟივით იყურებოდა აქეთ-იქით. არც ცოლი ჩანდა, არც მატარებელი. ლევმა უეცრად საშინელი სისუსტე იგრძნო. დაიხარა და ხელებით მუხლებს დაეყრდნო. იგრძნო, რომ ოფლი სახეზე ღვარად ჩამოსდიოდა.

მოულოდნელად ძელსკამზე ჩამომჯდარ მამაკაცს მოჰკრა თვალი. ნეტავ აქ რატომ იყო?

მატარებელს ხომ არ ელოდებოდა? ლევი გაჭირვებით გაიმართა წელში.

რაისა პლატფორმის ბოლოში იდგა, ბინდბუნდში თითქმის არ ჩანდა. ლევმა მთელი ძალა მოიკრიბა, რათა ცოლისკენ თავქუდმოგლეჯით არ გაქცეულიყო და მისი ხელები თავისაში არ მოექცია. სული რომ მოითქვა, იმაზე დაფიქრდა, ქალი რას ეტყოდა. წარმოიდგინა, რას ჰგავდა - ჭუჭყიანი, გაოფლილი, აქოშინებული. მაგრამ რაისა მას კი არ შესცქეროდა, სადღაც, მის თავს ზემოთ იყურებოდა. ლევმა იქით მიიხედა. ხის კენწეროების თავზე კვამლის ბოლქვები მოჩანდა - დაგვიანებული მატარებელი სადგურს უახლოვდებოდა.

ლევი კი ფიქრობდა, როგორ მოუბოდიშებდა, მჭევრმეტყველებას გამოიჩენდა... აღმოჩნდა, რომ რამდენიმე წამიღა რჩებოდა მის დასარწმუნებლად. ძლივს ამოღერდა ენის ბორძიკით: - მაპატიე. არ ვიცი, რა დამემართა. ხელი კი ჩაგავლე, თუმცა ეს მე არ ვიყავი - ყოველ შემთხვევაში, არა ის, ვინც მინდოდა, ვყოფილიყავი.

არაფერი გამოვიდა, მაგრამ კიდევ უნდა ეცადა, ყურადღება მოეკრიბა და საჭირო სიტყვები ეპოვა - მხოლოდ ერთი ცდა რჩებოდა.

- რაისა, ვიცი, ჩემი მიტოვება გინდა. ეს შენი უფლებაა. შემეძლო მეთქვა, რომ მარტოკას ძალიან გაგიჭირდება, რომ შესაძლოა, გაგაჩერონ, დაგკითხონ და დაგაპატიმრონ. რომ საჭირო დოკუმენტები არა გაქვს, რომ მაწანწალად გადაიქცევი, მაგრამ ამის გამო ჩემთან არ დარჩები.

ვიცი, გირჩევნია, გარისკო იმის იმედით, რომ გაგიმართლებს.

- დოკუმენტის გაყალბებაც შეიძლება, ლევ. ჯობია, ის იყოს ყალბი, ვიდრე ჩვენი ქორწინება.

აი, ასე. მაშასადამე, მათი ქორწინება ფიქცია ყოფილა და მეტი არაფერი. ლევს სუნთქვა შეეკრა. იქვე მატარებელი ჩამოდგა. რაისას სახეზე კაცი ვერაფერს ამოიკითხავდა. ლევი განზე გადგა. ქალი ვაგონისკენ დაიძრა. ნუთუ ასე გაუშვებდა? ლევმა ხმას აუწია, რათა მუხრუჭების ღრჭიალი გადაეფარა.

- შენზე უარი იმიტომ არ მითქვამს, რომ ორსულად მეგონე. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ კარგი ადამიანი ვარ. ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ ჩემი ოჯახი ერთადერთი რამ არის ამქვეყნად, რისიც არ მრცხვენია.

მისდა გასაოცრად, რაისა შემობრუნდა.

- ერთ ღამეში აგეხილა თვალი? იაფფასიანი ტრიუკია, ლევ. შენ ყველაფერი დაკარგე - ფორმა, მდგომარეობა, ძალაუფლება - და გადაწყვიტე, მე მაინც შეგენარჩუნებინე. ასეა, არა?

ის, რაც შენთვის მნიშვნელოვანი არასდროს ყოფილა, - ჩვენი ქორწინება, - მოულოდნელად უმნიშვნელოვანესი გახდა, ვინაიდან სხვა აღარაფერი დაგრჩა.

- ვიცი, რომ არ გიყვარვარ, მაგრამ რაღაცის გამო ხომ ვიქორწინეთ? ჩვენ შორის იყო რაღაც, რაც გვაკავშირებდა. და ის დავკარგეთ. მე დავკარგე. თუმცა შეგვიძლია ვცადოთ, რომ კვლავ მივაგნოთ მას.

ვაგონის კარი გაიღო და იქიდან მგზავრებმა დაიწყეს გადმოსვლა. დრო იწურებოდა. რაისა მატარებელს შესცქეროდა და საკუთარ შანსს აფასებდა. იგი თითქმის ნულს უტოლდებოდა: არც მეგობარი ჰყავდა, ვისაც დახმარებისთვის მიმართავდა, არც ოჯახი, რომელიც შეიფარებდა, არც საარსებო ფული. ბილეთიც კი არ ჰქონდა. ლევი მართალი იყო - თუ წავიდოდა, დაპატიმრებას ვერ გადაურჩებოდა. ამის გაფიქრებაც კი თავზარს სცემდა. მან ქმარს შეხედა. მათ არავინ ჰყავდათ ერთმანეთის გარდა, მიუხედავად იმისა, მოსწონდათ ეს თუ არა.

რაისამ ჩემოდანი მიწაზე დაუშვა. ლევს გაეღიმა, ეგონა, შევრიგდითო. მოულოდნელად ქალი მისმა იდიოტურმა თავდაჯერებულობამ გააბრაზა. მან ხელი წინ გაიშვირა და კაცის სახიდან ღიმილი მოსხიპა.

– ცოლად შიშის გამო გამოგყევი. მეშინოდა, უარს თუ ვეტყვი, დამაპატიმრებენ-მეთქი.

შესაძლოა, ეს მაშინვე არა, მაგრამ მოგვიანებით მომხდარიყო, ამა თუ იმ საბაბით. მე ახალგაზრდა ვიყავი, ლევ, შენ კი ძალაუფლება გქონდა. აი, რამ განაპირობა ჩვენი დაქორწინება. ხომ გახსოვს, გითხარი, ლენა მქვია-მეთქი. შენ ამაში რომანტიკას ხედავ? ასე იმიტომ მოვიქეცი, მეში-

ნოდა, ჩემი ბინისთვის არ მოგეგნო. იმის მიზეზი, რამაც მოგხიბლა, თვალთვალის შიში იყო. დიახ, ჩვენს ურთიერთობას საფუძვლად შიში ედო. შენი გადმოსახედიდან ეს, შესაძლოა, მართლა სასაცილოა - ჩემგან საფრთხე არ გემუქრება. მე ხომ ძალაუფლება საერთოდ არ გამაჩნდა. ხელი მთხოვე და დაგეთანხმე. ამაში არაფერია განსაკუთრებული. ადამიანები ბევრ რამეს ეგუებიან, ითმენენ, რათა თავი გადაირჩინონ.

ჩემთვის არასდროს დაგირტყამს, არც გიყვირია, არც მთვრალი მოსულხარ სახლში. ასე რომ, ვაღიარებ, ამ საკითხებში სხვებზე მეტად გამიმართლა, მაგრამ როდესაც ყელში მწვდი, ლევ, ის ერთადერთი მიზეზი გაანადგურე, რის გამოც შენთან დარჩენა შემეძლო.

მატარებელი სადგურიდან გავიდა. ლევმა თვალი გააყოლა, თან მოსმენილის გადახარშვას ცდილობდა. მაგრამ ქალმა ამის შესაძლებლობა არ მისცა. რაისა ლაპარაკს განაგრძობდა, თანაც ისე დამაჯერებლად, თითქოს ამისთვის მრავალი წელი ემზადებოდა.

-- როდესაც უმწეო ხდები, როგორიც ახლა, მაგალითად, შენ ხარ, ერთი პრობლემა იჩენს თავს: ადამიანები სიმართლეს აღარ გიმალავენ. შენთვის ეს უცხოა, რადგან ის შიში გიცავდა, რომელსაც ხალხში აღძრავდი. მაგრამ თუ ერთად დავრჩებით, რომანტიზმმა თავგზა აღარ უნდა აგვიბნიოს. ერთმანეთთან მხოლოდ გარემოებები გვაკავშირებს. მე შენ მყავხარ, შენ - მე.

მეტი არაფერი გვაქვს. ერთად ყოფნის შემთხვევაში, დაწყებული ამ მომენტით, მე მხოლოდ სიმართლეს გეტყვი და არა სასიამოვნო ტყუილს, ვინაიდან თანასწორები ვართ, თანაც ისე, როგორც არასდროს ვყოფილვართ. ან დამთანხმდები, ან მომდევნო მატარებელს დაველოდები.

ლევმა არაფერი უპასუხა. მოვლენების ასეთი განვითარება მისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. რაისამ იგი ყოველმხრივ დაჯაბნა. ადრე თავისი მდგომარეობით სარგებლობდა კომფორტული საცხოვრებლისა და ნორმალური საკვების შესაძენად. სულაც არ ფიქრობდა, რომ ეს ცოლის მოყვანას გაუადვილებდა. რაისას ხმა დაურბილდა.

- ამქვეყნად ბევრი რამ არის, რისი შიშიც უნდა გვქონდეს. რა საჭიროა, რომ ერთ-ერთ მათგანად იქცე?

- მეტს აღარ ვიზამ. გპირდები.

- მცივა, ლევ. სამი საათია, ბაქანზე ვდგავარ. ჩვენს ოთახში ვბრუნდები. წამოხვალ?

არა, ჯერაც არ იყო მზად მის გვერდით გასავლელად, იმის გათვალისწინებით, რომ მათ შორის უფსკრული გაჩნდა.

– ცოტა ხნით შევყოვნდები. შინ შევხვდებით.

რაისამ ჩემოდანი აიღო და სადგურის შენობაში შევიდა. ლევი სკამზე დაეშვა და ტყეს გახედა, თან რაისასთან ურთიერთობის დეტალებს იხსენებდა, შეხედულებების გადაფასებას ახდენდა და საკუთარ წარსულს ხელახლა წერდა.

არ იცოდა, რა დრო გავიდა, როდესაც იგრძნო, რომ გვერდით ვიღაც ედგა. თავი ასწია და სალაროში მომუშავე ყმაწვილი დაინახა, პირველი ადამიანი, ვინც ამ ქალაქში ჩამოსვლისას შეხვდათ.

- დღეს მეტი მატარებელი აღარ იქნება.

– სიგარეტი ხომ არ მოგეძევება?

– არ ვეწევი, მაგრამ, თუ გინდათ, სახლიდან მოგიტანთ, აქვე ვცხოვრობთ, მეორე სართულზე.

- არა, ნუ შეწუხდები, შემოთავაზებისთვის კი მადლობას გიხდი.

- ალექსანდრი მქვია.

- მე კი ლევი. საწინააღმდეგო ხომ არაფერი გექნება, ცოტა ხანს კიდევ რომ ვიჯდე?

- არაფერი, სიგარეტს კი მაინც მოგიტანთ.

სანამ ლევი რამის თქმას მოასწრებდა, ახალგაზრდა იქაურობას გაეცალა.

ლევი სკამის საზურგეზე გადაწვა და დაელოდა. ლიანდაგების გადაღმა ხის ჯიხურს მოჰკრა თვალი. გოგონას გვამი იმ მიდამოებში აღმოეჩინათ. მან ნათლად წარმოიდგინა ტყის პირი, დანაშაულის ადგილი - დეტექტივების, ფოტოგრაფებისა და საგამოძიებო ორგანოების იურისტების მიერ გატკეპნილი თოვლი. ყველანი ათვალიერებდნენ დაღუპულ გოგონას, რომელსაც პირი მიწით გავსებოდა.

მოულოდნელად თავში ერთი აზრი მოუვიდა, სკამიდან წამოხტა, პლატფორმიდან ჩახტა, ლიანდაგზე გადავიდა და ხეებისკენ გაემართა. უკნიდან ვიღაცამ დაუძახა: - რას აკეთებთ?

მან მიიხედა და ალექსანდრი დაინახა, რომელიც პლატფორმის კიდესთან იდგა და ხელში სიგარეტი ეჭირა. ჟესტით ანიშნა, რომ გაჰყოლოდა.

ლევმა ტყის პირს მიაღწია, სადაც თოვლი ერთიანად გაეტკეპნათ. ყველგან ნაკვალევი მოჩანდა. ტყეში შევიდა და ორიოდე წუთში იმ ადგი-

ლას აღმოჩნდა, სადაც, მისი გაანგარიშებით, გვამს მიაგნეს. ჩაიცუცქა. ამასობაში ალექსანდრიც დაეწია. ლევმა თავი ასწია.

– იცი, აქ რაც მოხდა?

- ერთ-ერთი პირველი ვიყავი, ვინც ილონა ნახა, როდესაც მან სადგურში მოირბინა. ცემის კვალი ეტყობოდა, ისე კანკალებდა, სიტყვის თქმას ვერ ახერხებდა. მე მილიცია გამოვიძახე.

- ილონა?

- სწორედ მან აღმოაჩინა გვამი, შემთხვევით წააწყდა... და იმ კაცმა, მასთან ერთად რომ იყო.

წყვილი ტყეში - ლევი ეჭვობდა, რომ აქ რაღაც იმალებოდა.

– რატომ უცემიათ?

ალექსანდრს ნერვიულობა დაეტყო.

- ის ხომ მეძავია, მამაკაცი კი, ვინც იმ ღამით მასთან ერთად იყო - პარტიული ბობოლა.

გთხოვთ, მეტი არაფერი მკითხოთ.

ლევი ყველაფერს მიხვდა. სადგურის თანამშრომელს არ უნდოდა, მისი გვარი სადმე მოეხსენიებინათ, მაგრამ შეიძლებოდა კი იგი ეჭვმიტანილად ეცნოთ გოგონას მკვლელობის საქმეში? ლევმა ახალგაზრდა კაცს დასამშვიდებლად თავი დაუქნია.

- გპირდები, შენს სახელს არავისთან ვახსენებ.

ლევმა ხელები ჩაყო თოვლში, რომელიც გარშემო თხელ ფენად იდო.

- გოგონას პირი მიწით ჰქონდა სავსე, ფხვიერი მიწით. წარმოიდგინე, მე შენ გებრძვი, პირდაპირ აქ, და ხელს ვაფათურებ, რათა რამეს მივაგნო და პირში ჩაგთხარო, რადგან მეშინია, რომ არ დაიყვირო. მეშინია, რომ შენი ხმა ვინმემ არ გაიგონოს.

ლევი თითებით მიწას შეეხო. ქვასავით მაგარი იყო. კიდევ რამდენიმე ადგილას მოსინჯა, მაგრამ ყველგან ერთი და იგივე შედეგი მიიღო. ფხვიერი მიწა ვერსად აღმოაჩინა. დამზრალ მიწას კაცი ნამცეცსაც ვერ მოაცლიდა.

18 მარტი ლევი #379 საავადმყოფოს შენობის გარეთ იდგა და ხელმეორედ ეცნობოდა მოხსენებას გვამის გაკვეთის შედეგების შესახებ, რომლის ძირითადი პუნქტები ბლოკნოტში გადმოეტანა: მრავალრიცხოვანი ნაჩხვლეტი ჭრილობა იარაღის სიგრძე დაუდგენელია გულმკერდისა და შინაგანი ორგანოების მნიშვნელოვანი დაზიანება გაუპატიურებულია

უშუალოდ სიკვდილის წინ ან მის შემდეგ პირი მიწით არის სავსე, ოღონდ მსხვერპლი არ გაგუდულა.

ცხვირის არხი სუფთა აქვს. მიწა სხვა მიზნით, შესაძლოა, გასაჩუმებლად გამოიყენეს.

ლევმა ბოლო პუნქტი შემოხაზა. ვინაიდან მიწა გაყინული იყო, მაშასადამე, მკვლელმა იგი თან მოიტანა. გამოდის, მკვლელობა წინასწარ დაგეგმა. აქ იკვეთებოდა ბოროტი განზრახვა და მომზადება, მაგრამ რისთვის დასჭირდათ მიწა? ასე კი შეიძლებოდა ვინმეს გაჩუმება, მაგრამ ბევრ უხერხულობას იწვევდა. გაცილებით მოსახერხებელი ჩვრის ან, ბოლოს და ბოლოს, ხელის გამოყენება იქნებოდა. ამ შეკითხვებზე პასუხები არ არსებობდა და ლევმა დაგვიანებით, მაგრამ მაინც გადაწყვიტა ფიოდორის რჩევის გათვალისწინება. იგი თვითონ დაათვალიერებდა მსხვერპლის სხეულს.

როდესაც გვამის ადგილმდებარეობით დაინტერესდა, ლევი #379 საავადმყოფოში გაგზავნეს. არ ელოდა, რომ იქ სასამართლო ექსპერტიზის ლაბორატორია, გამოცდილი პათოლოგანატომების ჯგუფი ან სპეციალური დანადგარებით აღჭურვილი მორგი დახვდებოდა.

იცოდა, რომ ძალადობრივი სიკვდილით გარდაცვლილ ადამიანთა გვამებთან მუშაობის მეთოდიკა არ არსებობდა. ან რატომ უნდა ეარსება, თუ ამტკიცებდნენ, რომ ქვეყანაში ამგვარი რამ საერთოდ არ ხდებოდა? საავადმყოფოში მილიციელებს ლოდინი უწევდათ, სანამ ექიმს თავისუფალი წუთი არ გამოუჩნდებოდა, მაგალითად, სასადილო შესვენება ან ათწუთიანი დასვენება მორიგი ოპერაციის წინ. ამ ექიმებს, ძირითადი სპეციალობის გარდა, სხვა სახის მომზადება არასდროს გაევლოთ და მხოლოდ მეტ-ნაკლები სიზუსტით შეეძლოთ ევარაუდათ, თუ რა შეემთხვა მსხვერპლს. გაკვეთის შესახებ პატაკი, რომელსაც ლევი კითხულობდა, ერთ-ერთი ხანმოკლე დათვალიერების დროს რომელიღაც ექიმის შენიშვნებს ემყარებოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ მას სხვა ადამიანი ბეჭდავდა. დაუეჭვებლად შეიძლებოდა იმის თქმა, რომ სიმართლის დიდი ნაწილი ამ გზის გავლისას იკარგებოდა.

#379 საავადმყოფოს მთელ ქვეყანაში გაეთქვა სახელი და არსებული ინფორმაციით, მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო უფასო კლინიკად ითვლებოდა. იგი ჩკალოვის ქუჩის ბოლოში მდებარეობდა და მისი კეთილმოწყობილი ტერიტორია რამდენიმე ჰექტარს ითვლიდა, რომელიც თან-

დათანობით ტყის მასივში გადადიოდა. ლევის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. ეს ნამდვილად არ იყო მხოლოდ პროპაგანდისტული პროექტი. საავადმყოფოში დიდი თანხა ჩაედოთ და ლევი აშკარად ხედავდა, რატომ ამჯობინებდნენ მაღალი თანამდებობის პირები რამდენიმე ასეული კილომეტრის გავლას, რათა ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ თვალწარმტაც გარემოში გაეუმჯობესებინათ. მისი აზრით, უზარმაზარი ინვესტიცია იმთავითვე იმაზე იყო გათვლილი, რომ „ვოლგის“ გამომშვები ქარხნის მუშა პერსონალს ჯანმრთელობისა და შრომის ნაყოფიერების პრობლემა არ შეჰქმნოდა.

მისაღებში იკითხა, შეეძლო თუ არა ექიმთან გასაუბრება, რადგან მას მორგში დასვენებული გოგონას გვამის დათვალიერება სურდა. ეს თხოვნა მორიგე ადმინისტრატორს, როგორც ჩანს, არ ეპიტნავა და ლევს შესთავაზა, სხვა დღეს მოსულიყო, როდესაც მეტი სიმშვიდე იქნებოდა.

ლევი მიხვდა, რომ მის წინ მდგარ კაცს თითის განძრევაც არ სურდა.

- ეს ძალზე საჩქაროა.

მორიგე უხალისოდ წავიდა იმის გასაგებად, თუ რომელი ექიმი იყო თავისუფალი.

ლევი მოუთმენლად აკაკუნებდა თითებს. თავს მოუსვენრად გრძნობდა და წამდაუწუმ გასასვლელისკენ იყურებოდა. აქ საკუთარი ინიციატივით, უნებართვოდ მოვიდა. ამით რისი მიღწევა უნდოდა? მას ეჭვმიტანილზე სამხილების მოძიება ევალებოდა და არა მის დამნაშავეობაში ეჭვის შეტანა. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ დანაშაულთა პრესტიჟული სამყაროდან ჩვეულებრივ მოკვდავთა მიერ ჩადენილი სამართალდარდვევების ბინძური საიდუმლოებების ფსკერზე გადმოისროლეს, საქმისადმი მიდგომაში დიდ განსხვავებას ვერ ხედავდა. მან ფიოდორის პატარა ბიჭის სიკვდილი უბედურ შემთხვევას სამხილების არარსებობის გამო კი არ მიაწერა, არამედ იმიტომ, რომ ამას პარტია მოითხოვდა. ხალხს დახურულ კარს მიღმა შედგენილი და მისთვის გადმოცემული სიის მიხედვით აპატიმრებდა. აი, რა მეთოდით ხელმძღვანელობდა. ლევი არც იმდენად გულუბრყვილო იყო, რომ გამოძიების მსვლელობის გეზის შეცვლის იმედი ჰქონოდა. ამისთვის საკმარისი ძალაუფლება არ გააჩნდა, მაგრამ დამუშავებული პროცედურების სხვა მიმართულებით წაყვანას მაღალი თანამდებობის ოფიცერიც ვერ მოახერხებდა. კურსი უკვე განესაზღვრათ, ეჭვმიტანილიც აერჩიათ. ბაბინიჩს აუცილებლად აღიარებდნენ დამნაშავედ და იგი სიკვდილით დასჯას ვერ გადაურჩებოდა.

სისტემა საკუთარ შეცდომას არასდროს აღიარებდა. ციფრებში გამოხატული ეფექტიანობა ჭეშმარიტებაზე მეტად ფასობდა.

ნეტავ რატომ გამოიდო ასე თავი? ეს ხომ მისი ქალაქი არ იყო. არც ამ ხალხს იცნობდა.

გოგონას მშობლებისთვის პირობა არ მიუცია, რომ მკვლელს აუცილებლად დაიჭერდა. ის კი არა, მათი შვილი თვალით არასდროს ენახა. არც მისი ცხოვრების შესახებ იცოდა რამე.

ეჭვმიტანილი საზოგადოებისთვის საფრთხეს წარმოადგენდა, მან ბავშვიც კი მოიტაცა. ეს ყველაფერი შესანიშნავი საბაბი იყო იმისთვის, რომ არაფერი გაეკეთებინა. გარდა ამისა, კიდევ ერთი მიზეზიც არსებობდა: ის ხომ ვერაფერს შეცვლიდა?

რეგისტრატორი ორმოციოდე წლის მამაკაცთან, ექიმ ტიაპკინთან ერთად დაბრუნდა, რომელიც დათანხმდა, რომ ლევი ქვემოთ, მორგში ჩაეყვანა, თუ მისი სახელი ოფიციალურ დოკუმენტებში არ მოხვდებოდა.

სანამ კიბეზე ჩადიოდნენ, ექიმმა ეჭვი გამოთქვა, რომ გოგონას გვამი კვლავაც მათთან ესვენა.

- თუ თხოვნით არ მოგვმართავენ, ცხედრებს დიდხანს არ ვინახავთ. ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ მილიციას აუცილებელი ინფორმაცია ჰქონდა.

- პირველადი დათვალიერება თქვენ ჩაატარეთ?

- არა, მაგრამ შევიტყვე მკვლელობის შესახებ და მეგონა, დამნაშავე უკვე დააკავეს.

- დიახ, სავსებით შესაძლებელია.

- მაპატიეთ ცნობისმოყვარეობა, მაგრამ, თუ არ ვცდები, ადრე არ მინახავხართ.

– ცოტა ხნის წინ ჩამოვედი.

- საიდან ბრძანდებით?

- მოსკოვიდან.

– და აქ გადმოგიყვანეს?

– დიახ.

- მეც მოსკოვიდან გადმომიყვანეს სამი წლის წინ. იმედგაცრუებული ხართ?

ლევმა დუმილი ამჯობინა.

- მესმის თქვენი, შეგიძლიათ არ მიპასუხოთ. თავის დროზე მეც იმავეს ვგრძნობდი. მქონდა რეპუტაცია, მყავდა ოჯახი, ნაცნობები. პროფე-

სორ ვოვსისთან ვმეგობრობდი. აქ გადმოყვანა გადასახლებადდ აღვიქვი, მაგრამ, ცხადია, ყველაფერი პირიქით აღმოჩნდა.

ლევს გაეგონა ეს გვარი - პროფესორ ვოვსის ერთ-ერთ წამყვან ებრაელ ექიმად მიიჩნევდნენ. მისმა, ასევე მისი კოლეგების დაპატიმრებამ, სათავე დაუდო ანტისემიტურ წმენდას, რომლის უკანაც სტალინი იდგა. სასწრაფოდ შემუშავდა ვრცელი გეგმა. ლევს იგი საკუთარი თვალითაც კი ენახა. ჯერ გავლენის მნიშვნელოვანი სფეროებიდან ებრაული წარმოშობის საკვანძო ფიგურები უნდა მოეცილებინათ თავიდან, რასაც ფართომასშტაბიანი წმენდა მოჰყვებოდა და ყველა ებრაელს შეეხებოდა. მაგრამ სტალინის გარდაცვალების შემდეგ ამ გეგმებს განხორციელება არ ეწერა.

ექიმმა ტიაპკინმა არ იცოდა, რაზე ფიქრობდა მისი თანამოსაუბრე და უდარდელად განაგრძობდა: - მეშინოდა, რომელიმე მიყრუებულ რაიონულ საავადმყოფოში არ გადამიყვანონ-მეთქი.

მაგრამ 379-ე კლინიკას მთელი ოლქი შურის თვალით შესცქერის. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ძალიან კარგია. ქარხნის მუშები ამჯობინებენ, ღამე აქ გაათიონ, სუფთაზეწრიან საწოლზე, კომფორტულ პირობებში - მათი სახლებისგან განსხვავებით, აქ ტუალეტიც არის და ცხელი წყალიც. ჩვენ მივხვდით, რომ ყველა მათგანი როდია ისე სერიოზულად ავად, როგორც ამტკიცებენ. ზოგიერთმა თითის ფალანგიც კი მოიჭრა, რათა კიდევ ერთი კვირით გაეხანგრძლივებინა აქ დარჩენა. ბოლოს ხელმძღვანელობამ МГБ-ს მიმართა და ახლა ისინი ამოწმებენ ახალშემოსულ პაციენტებს. არ გეგონოთ, მუშებს არ თანავუგრძნობთ. შესანიშნავად ვიცით, როგორ პირობებში უხდებათ ცხოვრება, მაგრამ თუ საერთო შრომის ნაყოფიერება ავადმყოფების გამო შემცირდება, ჯოხს ჩვენზე გადატეხენ. ასე რომ, ადამიანებისთვის ჯანმრთელობის შენარჩუნება სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად იქცა არა მარტო პაციენტებისთვის, არამედ ექიმებისთვისაც.

- გასაგებია.

- მოსკოვის მილიციაში მსახურობდით?

ლევი შეყოყმანდა, არ იცოდა, რა ეთქვა - ეღიარებინა, რომ МГБ-ს ყოფილი თანამშრომელი იყო, თუ მოეტყუებინა, რომ მილიციაში მსახურობდა? სიცრუე უფრო დამაჯერებლად მოეჩვენა - არ უნდოდა, ექიმს პირში წყალი დაეგუბებინა.

- დიახ, ვმსახურობდი.

მორგი სარდაფში მდებარეობდა, საკმაოდ ღრმად მიწის ქვეშ, რომელიც ხანგრძლივ ზამთარს დაეზრო. ისე მოხდა, რომ ბუნებამ თვითონ იზრუნა შენობაში სიცივის შენარჩუნებაზე.

ტიაპკინი ლევს დიდ, დაბალჭერიან ოთახში შეუძღვა, სადაც იატაკზე მეტლახი ეგო. ერთ კედელთან მართკუთხა, პატარა საცურაო აუზის მსგავსი ტევადი სივრცე მოჩანდა. შორეულ კედელში ფოლადის კარი ჩაედგათ. მორგი სწორედ იქიდან იწყებოდა.

- როდესაც ნათესავებს ცხედრის წაღება არ სურთ, გვამის კრემაცია შემოყვანიდან თორმეტი საათის განმავლობაში კეთდება, ტუბერკულოზით გარდაცვლილთა - ერთ საათში. მათი შენახვა ჩვენც პრობლემებს გვიქმნის. დამელოდეთ, ახლავე დავბრუნდები.

ექიმმა ფოლადის კარი შეაღო და მორგში შევიდა. ლევი ტევად სივრცეს მიუახლოვდა და შეიჭვრიტა. ვერაფერი დაინახა საკუთარი გამოსახულების გარდა. ზედაპირი უძრავი და შავი ჩანდა, თუმცა ბეტონის კედლებზე არსებული ლაქების მიხედვით, სინამდვილეში სითხე მუქი ნარინჯისფერი უნდა ყოფილიყო. ერთ მხარეს ბარჯი ეკიდა - ლითონის გრძელი ჭოკი ბოლოში დაკბილული კაუჭით. ლევმა აიღო და საცდელად სითხეში ჩაუშვა. ზედაპირი სიროფივით შეირხა, მაშინვე პირი შეიკრა და კვლავაც უწინდელი სიგლუვე დაიბრუნა. ლევმა ბარჯი უფრო ღრმად ჩაუშვა და იგრძნო, რომ იგი რაღაც მძიმეს გამოედო. მთელი ტანით დააწვა ჭოკს.

ზედაპირზე გაშიშვლებული სხეული ამოცურდა. ნელა ამოტრიალდა სახით მაღლა და კვლავ ფსკერისკენ დაეშვა. მორგის კარში გამოჩნდა ტიაპკინი, რომელიც ბორბლებზე შემდგარ საკაცეს მოაგორებდა.

- ამ გვამებს ყინულს შემოუწყობენ და გასაკვეთად სვერდლოვსკში გაგზავნიან, იქაურ სამედიცინო ინსტიტუტში. მივაგენი თქვენს ქალიშვილს.

ლარისა პეტროვა გულაღმა იწვა. ფერმკრთალი კანი ცისფერ, აბლაბუდასავით წვრილ ვენებს დაეფარა. ქერა თმა შუბლზე უსწორმასწოროდ შეეჭრათ - როგორც ჩანს, სწორედ ეს ნაწილი მიეთვისებინა ვარლამს. პირში მიწა აღარ ჰქონდა, უკვე ამოეღოთ, თუმცა ყბა კვლავაც ჩამოვარდნოდა და უწინდელ მდგომარეობაში დარჩენოდა. კბილები და ენა გასჭუჭყიანებოდა და გაყავისფრებოდა იმ მიწის გამო, რომელიც მისთვის პირში ძალით ჩაეტენათ.

- პირში მიწა ჰქონდა.

- მართლა? მაპატიეთ, მაგრამ პირველად ვხედავ მის სხეულს.

- დიახ, მთლიანად გამოევსოთ მიწით.

- ალბათ, ექიმმა მოაცილა, რათა ყელი შეემოწმებინა.

- შემთხვევით, მიწა ხომ არ შეუნახავთ?

- ნაკლებად სავარაუდოა.

გოგონას თვალები ღია დარჩენოდა. ცისფერს ჰგავდა. ლევი არც იმას გამორიცხავდა, რომ დედამისი აქ ბალტიის ზღვის, ფინეთის საზღვრის მხრიდან გადმოსულიყო. გაახსენდა ზღაპარი იმის შესახებ, თითქოს მსხვერპლის თვალის გუგებში მკვლელის სახე რჩება, ცხედრისკენ დაიხარა და ღია ცისფერ თვალებში ჩახედა, მაგრამ შეკრთა და მაშინვე წელში გასწორდა.

- ყველანი ასე ვიქცევით - ექიმებიც და დეტექტივებიც. საღი აზრი გვკარნახობს, რომ ეს შეუძლებელია, მაგრამ გვსურს, თვითონ დავრწმუნდეთ ამაში. ეს რომ სიმართლე ყოფილიყო, მუშაობა მნიშვნელოვნად შეგიმსუბუქდებოდათ.

- ეს რომ ასე იყოს, მკვლელები თავიანთ მსხვერპლს თვალებს დასთხრიდნენ.

უწინ ლევს გვამი არასდროს დაეთვალიერებინა, ყოველ შემთხვევაში, როგორც ექსპერტ-კრიმინალისტს, ამიტომ არ იცოდა, რით დაეწყო. მისი აზრით, ადამიანს ამდენ სასტიკ ჭრილობას მხოლოდ მანიაკი თუ მიაყენებდა. ქალიშვილისთვის გულ-მუცელი გადაეხსნათ.

მეტის ყურება აღარ სურდა. ვარლამ ბაბინიჩი ამ საქმეში ყველა პირობას აკმაყოფილებდა.

მიწა კი, ალბათ, თვითონ მიიტანა მხოლოდ მისთვის გასაგები მოტივით.

ლევი უკვე წასვლას აპირებდა, მაგრამ ტიაპკინი, რომელსაც ამხელა მანძილი გაევლო ქვედა სართულამდე, არ ჩქარობდა. იგი გვამის თავზე დაიხარა და ყურადღებით დააცქერდა იმას, რაც, ერთი შეხედვით, ხორცისა და კანის ქსოვილის ერთმანეთში ათქვეფილ მასას ჰგავდა. იგი ფანქრის ბოლოთიც დააწვა მსუბუქად მუცელს და ჩაფიქრებული სახით დააკვირდა საზარელ ჭრილობებს.

– ხომ ვერ მეტყვით, პატაკში რა ეწერა?

ლევმა ბლოკნოტი ამოიღო და ჩანაწერი ხმამაღლა წაიკითხა. ამასობაში ტიაპკინი დათვალიერებას განაგრძობდა.

- მასში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ქალიშვილს კუჭი აკლია. იგი საყლაპავისგან გამოუცალკევებიათ და ამოუჭრიათ.

- რამდენად ზუსტად, ვგულისხმობ...

- გაინტერესებთ, ეს ექიმმა გააკეთა თუ არა?

მან გაიღიმა და დაამატა: - შესაძლოა, ოღონდ უთანაბროდ არის გაჭრილი, არაქირურგიულად. ტლანქი ნამუშევარია, თუმცა არ გამიკვირდება, თუ აღმოჩნდება, რომ მკვლელს ეს პირველად არ გაუკეთებია.

მოუხერხებლად, მაგრამ მიზანდასახულად, მტკიცედ უმოქმედია და არა - ბრმად.

- მაშასადამე, შესაძლოა, ეს მის მიერ მოკლული ერთადერთი ბავშვი არ იყოს?

- სრულიად შესაძლებელია.

ლევმა შუბლზე ხელი მოისვა. მორგში არსებული სიცივის მიუხედავად, გვარიანად გაოფლილიყო. როგორ დაეკავშირებინა ერთმანეთთან ფიოდორის პატარა ბიჭისა და ამ გოგონას სიკვდილი?

- დაახლოებით რა ზომის იქნებოდა ქალიშვილის კუჭი?

ტიაპკინმა მსხვერპლის მკერდზე ფანქრის ბოლოთი შემოხაზა კუჭის ზომა და იკითხა: - ცხედრის გვერდით ხომ არ ეგდო?

- არა.

კუჭი ან სიჩქარეში ვერ შეემჩნიათ, ან მკვლელს წაეღო თან.

ცოტა ხნის შემდეგ ლევმა იკითხა: - გაუპატიურებულია?

ტიაპკინმა გოგონას საშო შეამოწმა.

- ქალიშვილი არ ყოფილა.

– მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გააუპატიურეს.

- ადრეც ჰქონდა სქესობრივი კავშირი?

– ყოველ შემთხვევაში, მე ასე მითხრეს.

- მის გენიტალიას დაზიანების კვალი არ ემჩნევა. არც ნაკაწრია, არც დაჟეჟილობა. გარდა ამისა, ჭრილობებსაც დააკვირდით - სასქესო ორგანოს არ შეხებიან. არც სარძევე ჯირკვლებსა და სახეს. ადამიანს, რომელიც მას ასე მოექცა, მხოლოდ ვიწრო ზოლი აინტერესებდა გულმკერდსა და საშოს შორის - ანუ საჭმლის მომნელებელი ორგანოები. მანიაკის ნამუშევარს ჰგავს, თუმცა აუღელვებლად უმოქმედია.

მაშასადამე, ლევმა დასკვნა ნაჩქარევად გამოიტანა, როცა გაიფიქრა, რომ გონებაამღვრეულ მკვლელთან ჰქონდათ საქმე. თვითონ მისთვის სისხლი და სახიჩრობა ქაოსს ნიშნავდა.

ყველაფერი სხვაგვარად აღმოჩნდა. დამნაშავე ცივი გონებით მისდევდა წინასწარ მოფიქრებულ გეგმას.

- როდესაც გვამი აქ მოაქვთ, თქვენ მასზე საჭდეს ამაგრებთ, არა? თუნდაც პიროვნების იდენტიფიკაციისთვის?

- ამის შესახებ არაფერი ვიცი.

- მაშ, ეს რა არის?

გოგონას კოჭზე თოკისგან გაკეთებული ყულფი მჭიდროდ შემოსყჭყეროდა. ბაწრის ნაგლეჯი საკაციდან გადმოკიდებულიყო. მარყუჟი ფეხის იაფფასიან სამაჯურს ჰგავდა. კანთან შეხების ადგილას რამდენიმე ნაკაწრი და სისხლჩაქცევა მოჩანდა.

გენერალი ნესტეროვი მოულოდნელად წაადგა მათ თავს. იგი თავდაპირველად ტიაპკინმა შეამჩნია. ძნელი სათქმელია, რამდენ ხანს იდგა და აკვირდებოდა მილიციის უფროსი თანამოსაუბრეებს. ლევი გვამს მოსცილდა.

- მოვედი, რათა პირადად გავცნობოდი პროცედურას.

ნესტეროვი ტიაპკინს მიუბრუნდა.

– ცოტა ხნით ხომ ვერ დაგვტოვებთ?

– დიახ, რა თქმა უნდა.

წასვლამდე ტიაპკინმა ლევს ისე გადახედა, თითქოს წარმატება უსურვაო. ნესტეროვი მისკენ დაიძრა. ლევმა, ყურადღების გასაფანტავად, მას ახალი დეტალები და დასკვნები გააცნო.

– პირველ პატაკში არაფერი წერია იმის შესახებ, რომ გოგონას კუჭი აქვს ამოჭრილი.

ვარლამს კონკრეტული შეკითხვა უნდა დავუსვათ: რატომ ამოაცალა მსხვერპლს კუჭი და სად წაიღო?

- ვოლსკში როგორ აღმოჩნდით?

ნესტეროვი ლევის პირდაპირ იდგა. მათ შორის მდებარე საკაცეზე ქალიშვილი ესვენა.

– გადმომიყვანეს.

- რატომ?

- ვერაფერს მოგახსენებთ.

- მე კი ვფიქრობ, რომ კვლავინდებურად VII 6-ს თანამშრომელი ხართ.

ლევმა არაფერი უპასუხა. ნესტეროვმა განაგრძო: - მაგრამ ამით არ აიხსნება თქვენი დამოკიდებულება ამ საქმის მიმართ. ჩვენ, როგორც გვიბრძანეს, მიქოიანი ისე გავუშვით, მისთვის ერთი ბრალდებაც არ წაგვიყენებია.

ლევმა არ იცოდა, ვინ იყო მიქოიანი.

- დიახ, ვიცი.

– მას გოგონას სიკვდილთან საერთო არაფერი აქვს.

მაშასადამე, სწორედ მიქოიანი ყოფილა ის პარტიული მუშაკი. მას დარტყმა ააცილეს, მაგრამ ეჭვი ეპარებოდა, რომ მამაკაცი, რომელმაც მეძავი გალახა, ამ ქალიშვილის მკვლელი იყო. ნესტეროვმა კვლავ განაგრძო: - ვარლამი იმიტომ კი არ დავაპატიმრე, რომ რამე ისე არ თქვა, არც იმიტომ, რომ წითელ მოედანზე გამართულ მსვლელობაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. იმიტომ დავაკავე, რომ ეს გოგონა მოკლა. საშიში პიროვნებაა. მას შემდეგ, რაც გისოსებს მიღმა ამოყო თავი, ქალაქში სიმშვიდემ დაისადგურა.

– მას არ მოუკლავს.

ნესტეროვმა ჩაფიქრებული სახით მოიფხანა ლოყა.

– არ ვიცი, აქ რა მიზნით გამოგგზავნეს, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ ეს მოსკოვი არაა.

მოდი, შევთანხმდეთ. ჩემი ხალხი ხელშეუხებელია. ისინი არასდროს დაუპატიმრებიათ და არც მომავალში დააპატიმრებენ. მაგრამ თუ მათ საფრთხეში ჩააგდებთ, თუ ზემოთ ისეთ რამეს მოახსენებთ, რაც ავტორიტეტს შემილახავს, თუ ბრძანებას არ დაემორჩილებით, ბრალდების წაყენებას ხელს შეუშლით და ჩემს თანამშრომლებს ცუდი კუთხით წარმოაჩენთ ან დააბეზღებთ, თუ ჩამოთვლილთაგან რომელიმეს გააკეთებთ, მოგკლავთ.

20 მარტი რაისამ ფანჯრის ჩარჩო მოსინჯა. ჩაჭედებული ლურსმნები ცოტა ხნის წინ ამოეძროთ. იგი შეტრიალდა, კარისკენ წავიდა და დერეფანი მოათვალიერა. რესტორნიდან ხმაური ისმოდა.

ბაზაროვი არსად ჩანდა - ახლა ხომ საღამო ახლოვდებოდა, მისთვის ყველაზე მომგებიანი დრო. რაისამ კარი მიხურა, გასაღებით დაკეტა, ფანჯარასთან დაბრუნდა, გამოაღო და გარეთ გაიხედა. მის წინ დამრეცი სახურავი მოჩანდა, მის ქვემოთ სამზარეულო იყო. თოვლზე, იმ ადგილიდან დაწყებული, სადაც ლევი ჩახტა, ადამიანის ნაკვალევი გაარჩია. რაისას გაცოფებას არაფერი აკლდა. ისინი ძლივს გადარჩნენ, ახლა კი ქმარი ორივე მათგანის სიცოცხლეს კვლავ საფრთხეში აგდებდა.

დღეს რაისა მეორედ გავიდა სამუშაოდ 151-ე საშუალო სკოლაში. დირექტორი, ვიტალი კოზლოვიჩ კაპლერი, ორმოცდაათიოდე წლის მამაკაცი, სიხარულით ცას ეწია იმის გამო, რომ ახალი თანამშრომელი იშოვა

და მას გაკვეთილების ნაწილს გადააბარებდა, თვითონ კი დოკუმენტაციაზე სამუშაოდ დრო გამოუთავისუფლდებოდა. რაისა ვერ მიხვდა, იგი მართლა სხვა საქმით დაკავდებოდა თუ უბრალოდ ნაკლებს იმუშავებდა. შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ მასწავლებლობას წიგნებში კირკიტი ერჩივნა. რაისა დაუყოვნებლივ, სიამოვნებით შეუდგა მუშაობას. რამდენიმე გაკვეთილის ჩატარების შემდეგ მიხვდა, რომ აქაური ბავშვები პოლიტიკაში მოსკოველებზე ცუდად ერკვეოდნენ. ისინი პარტიული მოღვაწეების ყოველ ხსენებას მქუხარე ტაშით არ ხვდებოდნენ, არც გულში იცემდნენ მჯიღს პარტიის ერთგულების დასამტკიცებლად. და საერთოდ, გაცილებით ნორმალურ ბავშვებს ჰგავდნენ. მოსახლეობის სხვადასხვა ფენას ეკუთვნოდნენ, რადგან მათი მშობლები ქვეყნის ყველა კუთხიდან მოერეკათ აქ და, შესაბამისად, განსხვავებული აღზრდა მიეღოთ. იგივე ითქმოდა მასწავლებლებზე, რომლებიც ვოლსკში საბჭოთა კავშირის რეგიონებიდან ჩამოეყვანათ. მათაც გამოეცადათ იმის მსგავსი გასაჭირი, რაც რაისას თავს გადახდენოდა, ამიტომ მას მეგობრულად, თუმცა ერთგვარი ეჭვით შეხვდნენ. ვინ იყო? აქ როგორ გაჩნდა? თავს ხომ არ იკატუნებდა? მაგრამ რაისას ეს არ ადარდებდა - მსგავს შეკითხვებს ყველა უსვამდა ერთმანეთს. პირველად ამ ქალაქში ჩამოსვლის შემდეგ, რაისამ უეცრად იგრძნო, რომ აქ ახალი ცხოვრების დაწყება შეეძლო.

იგი სკოლაში გვიანობამდე შეყოვნდა - კითხულობდა და გაკვეთილებისთვის ემზადებოდა.

სამასწავლებლოში ყოფნა ერჩივნა რესტორნის თავზე მდებარე, ხმაურიან და სამზარეულოდან წამოსული ნაირგვარი სურნელით გაჟღენთილ ოთახში ჯდომას, რომლის უბადრუკი გარემოც, ამჟამად საწამებელ იარაღად რომ გამოიყენებოდა, ლევს ნერვებს უშლიდა, თუმცა პირადად მას ვერაფერს აკლებდა - რაისა საოცარი შემგუებლობით გამოირჩეოდა. ცდილობდა, განსაკუთრებით არაფერს მისჩვეოდა, არაფერი შეეყვარებინა: არც შენობები, არც ქალაქები, არც პირადი ნივთები. ეს გრძნობა იმ დღეს წაართვეს, როდესაც საკუთარი თვალით იხილა, როგორ დაანგრიეს მისი ბავშვობის სახლი. ომის დაწყებისთანავე მას ჩვიდმეტი წელი შეუსრულდა. ერთხელ ტყეში წავიდა სოკოსა და კენკრის შესაგროვებლად. უეცრად ჭურვების აფეთქების ხმა მოესმა. ყველაზე მაღალ ხეზე აძვრა, მაგრად ჩაეჭიდა, რათა არ ჩამოვარდნილიყო და დაინახა, რამდენიმე კილომეტრის დაშორებით როგორ გადაიქცა მისი მშობლიური ქალაქი აგურის მტვრად და ცაში აიჭრა. ჰორიზონტი მიწიდან ზემოთ ასულმა საში-

ნელმა ხელოვნურმა ბურუსმა დაფარა. ეს ყველაფერი ისე სწრაფად და ისეთი დიდი მასშტაბით მოხდა, იმედის ნაპერწკალიც კი აღარ შერჩა, რომ მისი მშობლები სიკვდილს გადაურჩნენ. სროლის შეწყვეტის შემდეგ ხიდან ჩამოძვრა და ტყის გავლით უკან წალასლასდა.

კვლავაც შოკში იყო. მისი მარჯვენა ჯიბიდან გაჭყლეტილი კენკრის წვენი წვეთავდა. ლოყებზე ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა, მაგრამ მწუხარებისგან კი არ ტიროდა - არც მაშინ უტირია და არც შემდეგ, - უბრალოდ, თვალებში აფეთქებისგან წარმოქმნილი მტვერი მოხვდა. მისი სახლისა და ოჯახისგან აღარაფერი დარჩა. მწარე ხველა აუტყდა და უეცრად გააცნობიერა, რომ ჭურვები, მის თავს ზემოთ წუილით რომ დაფრინავდა, გერმანელების მხრიდან კი არ მოდიოდა, არამედ ფრონტის მეორე მხარეს მყოფი რუსების პოზიციებიდან. მოგვიანებით, როდესაც ლტოლვილად იქცა, შეიტყო, რომ საბჭოთა ჯარებმა ყველა იმ ქალაქისა თუ სოფლის განადგურების ბრძანება მიიღეს, რომლებიც, შესაძლოა, მტერს ჩავარდნოდა ხელში. მისი ბავშვობის სახლის პირისაგან მიწისა აღგვა სხვა არაფერი იყო, თუ არა სიფრთხილის ზომების მიღება.

ამ სიტყვებით ნებისმიერი ადამიანის სიკვდილის გამართლება შეიძ-ლებოდა. ჯობია, გაანადგურო საკუთარი მოსახლეობა, ვიდრე დაუშვა, რომ გერმანელმა ჯარისკაცმა ხალხს პური მიაწოდოს. ამას არც სინანუ-ლი მოჰყოლია, არც შეკითხვა და არც ბოდიში. მსგავსი მკვლელობის წი-ააღმდეგ ხმის ამოღება სახელმწიფო ღალატს უტოლდებოდა. ამიტომ რაისამ მეხსიერების შორეულ კუნჭულებში გადამალა სიყვარულისა და ერთგულების ყველა გაკვეთილი, მშობლებმა რომ ასწავლეს. სწორედ ის გაკვეთილები, რომლებსაც ბავშვი ითვისებს, როდესაც ორ მოსიყვარულე ადამიანთან ერთად ცხოვრობს, უყურებს და უსმენს მათ. ამგვარი ქცევა წარსულში დარჩა. თუ სახლი გაქვს, სამშობლოც გაქვს - ასეთი ოცნება მხოლოდ ბავშვებს თუ ახასიათებთ.

რაისა ფანჯარას მოსცილდა და დამშვიდება სცადა. ლევი შეეხვეწა, რომ დარჩენილიყო, დაწვრილებით ადუწერა ყველა ის საფრთხე, რაც წასვლის შემთხვევაში ელოდა. ისიც მხოლოდ იმიტომ დარჩა, რომ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, ახლა კი ქმარი ახალი ცხოვრების დაწყების უკა-ნასკნელ შანსსაც უსპობდა. თუ ამ ქალაქში თავის გატანა სურდათ, მასში უნდა გათქვეფილიყვნენ, თავი ზედმეტად არ წამოეყოთ, არაფერი წამოს-ცდენოდათ და არავინ გამოეწვიათ. მათ, ალბათ, უთვალთვალებდნენ, ბა-ზაროვი დამსმენს ჰგავდა. ვასილის აქაც ეყოლებოდა თავისი აგენტები,

რომლებიც თვალს არ აშორებდნენ. მას მხოლოდ უმნიშვნელო საბაბი სყირდებოდა, რათა მათთვის გადასახლება დახვრეტით შეეცვალათ.

რაისამ შუქი გამორთო. ახლა სიბნელეში იდგა და ფანჯარაში ისე იყურებოდა. ქუჩაში სულიერი არ ჭაჭანებდა. თუ უთვალთვალებდნენ, აგენტები, ალბათ, ქვემოთ ისხდნენ. იქნებ სწორედ ამიტომაც დაელურსმათ ფანჯარა. ლევს აუცილებლად უნდა მოეტანა ახალი ლურსმნები, რათა ისინი ძველების ადგილას ჩაეჭედებინათ. სანამ სამსახურში იყვნენ, ბაზაროვი შესაძლოა, მათ ოთახში შემოსულიყო და დაულურსმავი ფანჯარა აღმოეჩინა. რაისამ პალტო და ხელთათმანი ჩაიცვა და ფანჯრიდან მოყინულ სახურავზე გადაძვრა. ცდილობდა, არ ეხმაურა. შემდეგ ფანჯარა მიხურა და მიწაზე გაჭირვებით დაეშვა. მან ლევს ფიცი დაადებინა, რომ ამიერიდან თანასწორნი იყვნენ, ისე, როგორც აქამდე არასდროს ყოფილან, მან კი პირობა უკვე დაარღვია. თუ ფიქრობდა, რომ რაისა ჩუმად იდგებოდა მის გვერდით დამჯერი და მუნჯი ცოლივით და მის ყველა საქციელს მოიწონებდა, ძალიან ცდებოდა.

იგივე დღე იმ წერტილიდან ხუთასი მეტრის რადიუსში, სადაც ლარისას ცხედარი აღმოაჩინეს, ყველაფერი ჯერ კიდევ ოფიციალური გამოძიების დროს გადაქექეს. მართალია, ლევს მკვლელობის საქმე არასდროს გამოეძიებინა, ეს ფართობი მაინც არასაკმარისად მიიჩნია, თანაც ვერაფერს მიაგნეს - მხოლოდ გოგონას ტანსაცმელს წააწყდნენ გვამიდან ორმოციოდე მეტრში. რატომ იყო ბლუზა, ქვედაკაბა, ქუდი, პალტო და ხელთათმანი აკურატულად დაწყობილი ასე შორს? მათ არც სისხლის ან დანით თუ შიშველი ხელებით ზემოქმედების კვალი ემჩნეოდა. ლარისა პეტროვას ან გახადეს, ან თვითონ გაიხადა. სავარაუდოდ, მან გაქცევა სცადა, მაგრამ ზედ ტყის პირას დაიჭირეს. თუ მართლა ასე მოხდა, შიშველს ურბენია.

როგორც ჩანს, მკვლელმა წაყოლაზე დაიყოლია, იქნებ ფულიც შესთავაზა სექსის სანაცვლოდ.

როდესაც ტყეში შევიდნენ და გოგონამ გაიხადა, კაცი მას თავს დაესხა. მაგრამ ლევს რატომღაც ეჩვენებოდა, რომ ეს დანაშაული ლოგიკისგან შორს იდგა, რადგან მრავალი უცნაური დეტალი - მიწა, ამოჭრილი კუჭი, ფეხზე ჩამოცმული თოკის ყულფი - კვლავაც აუხსნელი რჩებოდა. და სწორედ ისინი არ ასვენებდა.

იმ ადამიანების სრული გაუნათლებლობისა და არაკომპეტენტურობის გათვალისწინებითაც კი, დანაშაულის ადგილი რომ დაათვალიერეს,

ძალზე საეჭვო იყო ისეთი სიახლის აღმოჩენის შანსი, რაც ლარისას მკვლელობას ნათელს მოჰფენდა. ამიტომ ლევს იმედი ჰქონდა, რომ კიდევ ერთ გვამს წააწყდებოდა, თუმცა ამის გაფიქრებაც კი თავზარს სცემდა. ზამთარში ტყეში არავინ დადიოდა და ცხედარი, ლარისას შემთხვევის მსგავსად, შესაძლოა, რამდენიმე თვე შენახულიყო კარგად. ლევს საკმარისი საფუძველი ჰქონდა ეფიქრა, რომ მოძალადეს მანამდეც ექნებოდა ანალოგიური დანაშაული ჩადენილი. ექიმმა ხომ ივარაუდა, რომ მკვლელმა იცოდა, რასაც აკეთებდა და იმ თავდაჯერებით მოქმედებდა, რაც გამოცდილებას მოაქვს. მკვლელობის მეთოდი ჩვეულებრიობაზე მიუთითებდა, ჩვეულებრიობა სერიულობაზე მიანიშნებდა. და, ცხადია, არსებობდა არკადის დაღუპვის ფაქტიც, რომელიც ლევმა დროებით გვერდზე გადადო.

მან ძებნა მთვარის შუქზე, ფარნის დახმარებით დაიწყო - იმედოვნებდა, რომ ვერავინ შეამჩნევდა. წამითაც არ შეჰპარვია ეჭვი, რომ გენერალს თავისი მუქარის ასრულება შეეძლო.

მაგრამ მისი საიდუმლო ოპერაცია კინაღამ ჩაიფუშა, როდესაც სადგურის მოლარემ, ალექსანდრმა, თვალი მოჰკრა, როგორ შედიოდა ტყეში. დაუძახა კიდეც და ლევმა, რომელსაც დამაჯერებელი ტყუილის მოგონების თავი აღარ ჰქონდა, უხალისოდ გაუმხილა სიმართლე - უთხრა, რომ გოგონას მკვლელობის ადგილას ნივთმტკიცებულებებს ეძებდა - და სთხოვა, ეს არავისთვის ეთქვა, რათა გამოძიებას ხელი არ შეშლოდა. ახალგაზრდა კაცი დაეთანხმა, წარმატება უსურვა და დაამატა, ყოველთვის მჯეროდა, რომ დამნაშავე მატარებლით ჩამოვიდაო. სხვაგვარად, რატომ აღმოჩნდებოდა ცხედარი რკინიგზის სადგურის სიახლოვეს?

ქალაქის ნებისმიერი მცხოვრები ტყეში გაცილებით მოსახერხებელ ადგილს შეარჩევდა. ლევმა აღიარა, რომ ადგილის არჩევის საკითხი გაანალიზებას მოითხოვდა. ისიც გაიფიქრა, ურიგო არც მოლარის შესახებ ინფორმაციის შეგროვება იქნებაო. მართალია, სიმპათიური ახალგაზრდა ჩანდა, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკიოდა.

მილიციის განყოფილებაში მოპარული რუკის დახმარებით ლევმა სადგურის გარშემო არსებული ტყე ოთხ კვადრატად დაყო. პირველში, სადაც გვამი ესვენა, ვერაფერი აღმოაჩინა.

კვალი, თუ იყო კიდეც, უამრავ ჩექმას უმოწყალოდ გადაეთელა. სისხლიანი თოვლის ნამცეციც არ დაეტოვებინათ დანაშაულის დაფარვის მიზნით. ლევის აზრით, დარჩენილი სამი კვადრატის შესწავლით თავი

არავის შეეწუხებინა - აქ ხომ თოვლი ხელუხლებელი სიქათქათით გამო-ირჩეოდა. მეორე კვადრატის შემოვლას საათზე მეტი დრო მოანდომა, რის გამოც თითები ლამის გაუშეშდა, მაგრამ თოვლის საფარი იმ უპირა-ტესობას აძლევდა, რომ დიდი ფართობის დათვალიერება შეეძლო, უკვე შემოწმებულს კი საკუთარი ნაკვალევით აღნიშნავდა.

ლევმა თითქმის დაასრულა მესამე კვადრატის შესწავლა და შეჩერდა. აქეთ ვიღაც მოდიოდა - აშკარად ესმოდა თოვლის ჭრაჭუნი. მან ფარანი გამორთო, ხეს ამოეფარა და გაიტრუნა. მაგრამ სად დაიმალებოდა? უც-ნობი მის ნაკვალევს მოჰყვებოდა. იქნებ გაქცევა ჯობდა? სხვა გზას ვერ ხედავდა.

- ლევ?

იგი წელში გაიმართა, ფარანი აანთო და რაისა დაინახა.

სინათლის სხივი სახეში მიანათა.

– ხომ არ გითვალთვალებდნენ?

- არა.

– აქ რატომ მოხვედი?

- მეც სწორედ ეს უნდა მეკითხა შენთვის.

- ერთხელ ხომ გითხარი. მოკლულია გოგონა. მილიციას ეჭვმიტანილი ჰყავს, მაგრამ ვფიქრობ...

რაისამ მოუთმენლად გააწყვეტინა.

- მაგრამ ფიქრობ, რომ უდანაშაულოა, არა?

– ჰო.

- როდის აქეთ გაწუხებს ეს?

- რაისა, მე მხოლოდ ვცდილობ...

- გაჩუმდი, ლევ, თორემ ვერ ავიტან, თუ იმის მოყოლას შეუდგები, რომ სწორად იქცევი და სამართლიანობისკენ სწრაფვა გამოძრავებს. მო-დი, გულახდილად ვთქვათ: ეს ყველაფერი ცუდად დამთავრდება. და რო-დესაც შენთვის დასრულდება რამე ცუდად, მას ჩემთვისაც იგივე შედეგი მოაქვს.

- გინდა, გულხელი დავიკრიფო და არაფერი ვაკეთო?

მოულოდნელად რაისა გაბრაზდა.

- ფეხქვეშ ხომ არ უნდა გაგეგო, რადგან კერძო გამოძიება წამოიწყე? უდანაშაულო ხალხი მთელ ქვეყანაში იტანჯება და ამას ვერაფრით ვშველი. მხოლოდ იმას ვცდილობ, რომ ერთ-ერთი მათგანი არ აღმოვ-ჩნდე.

- შენი აზრით, თუ თავს დავხრით და არაფერს მოვიმოქმედებთ, ეს გვიშველის? ცუდად არც ადრე მოქცეულხარ, მაგრამ ღალატს გაბრალებდნენ და დახვრეტას გიპირებდნენ. არაფრის კეთება სულაც არ არის იმის გარანტია, რომ არ დაგვაპატიმრებენ. ეს გაკვეთილი კარგად დავისწავლე.

- მაგრამ ამ აღმოჩენას ისე დაატარებ, როგორც ბავშვი ახალ სათამაშოს. ყველამ იცის, რომ გარანტია არ არსებობს. საქმე რისკს ეხება, რისკი კი ახლა მიუღებელია. ხომ არ გგონია, თუ ნამდვილ დამნაშავეს დაიჭერ, მოგონებები უდანაშაულოდ დაპატიმრებული მამაკაცებისა და ქალების შესახებ გაგიფერმკრთალდება და გაგიქრება? მშვენივრად იცი, რომ მთავარი ეს პატარა გოგონა არაა.

- შენ გკეზიზღებოდი, როდესაც სხვების წინაშე გაჭიმული დავდიოდი და პარტიის პოლიტიკას მხარს ვუჭერდი, ახლა კი იმიტომ გძულვარ, რომ სწორად ვიქცევი.

ლევმა ფარანი გამორთო. არ უნდოდა, რაისას მისი გაღიზიანება დაენახა. რა თქმა უნდა, ცოლი არც ახლა ცდებოდა. მათი ბედი ერთმანეთს გადასჯაჭვოდა და მისი თანხმობის გარეშე ამ გამოძიებაში თავით გადაშვების უფლება არ ჰქონდა. გარდა ამისა, არც მდგომარეობა უწყობდა ხელს მორალურ პრინციპებზე კამათის გასაჩაღებლად.

- რაისა, არ მჯერა, რომ თავს დაგვანებებენ. ორიოდე თვე, უკიდურეს შემთხვევაში, ერთი წელი დაიცდიან, შემდეგ კი დამაპატიმრებენ.

- ამის ცოდნა დანამდვილებით შეუძლებელია.

- ისინი ხალხს თავს არასდროს ანებებენ. ალბათ, ახლაც ცდილობენ ჩემზე საქმის შეთითხნას. შესაძლოა, სურთ, ამ გადასაკარგავში ჩავლპე და მერე მომიღონ ბოლო. დრო ძალიან ცოტა მაქვს. მინდა, მოვასწრო და იმ კაცს მივაგნო, ვინც ეს ყველაფერი მოაწყო. მისი დაჭერა აუცილებელია. ვიცი, რომ ეს შენთვის დიდი ვერაფერი შეღავათი იქნება, მაგრამ გადარჩენის შანსი კიდევ გაქვს. ჩემს დაკავებამდე ცოტა ხნით ადრე თვალთვალს გააძლიერებენ. მაშინ მათთან მიხვალ, ჩემ შესახებ რამე ზღაპარს უამბობ და თავს ისე მოაჩვენებ, თითქოს მღალატობ.

- იქამდე რის გაკეთებას მიბრძანებ? ჩვენს ოთახში ვიჯდე და ველოდო? შენი გულისთვის ვიცრუო? დაგიფარო?

- მაპატიე.

რაისამ ბრაზით შეარხია თავი, შეტრიალდა და უკან, ქალაქისკენ გაემართა. მარტო დარჩენილმა ლევმა კვლავ აანთო ფარანი. ქანცი გასწყვეტოდა, დუნედ, შენელებულად მოძრაობდა - მისი ფიქრები ამ საქმიდან

შორს დაფრინავდა. ნუთუ ამაო იყო მისი ძალისხმევა და მხოლოდ თავს იტყუებდა? უეცრად კვლავ მოესმა თოვლის ყრაყუნი. რაისა ბრუნდებოდა.

- დარწმუნებული ხარ, რომ იმ კაცს ადრეც მოუკლავს სხვები?

- რა თქმა უნდა. და თუ ახალ მსხვერპლს მივაგნებთ, საქმე ხელახლა აღიძვრება. ვარლამ ბაბინიჩის წინააღმდეგ შეგროვებული სამხილები მხოლოდ ამ გოგონას უკავშირდება, მეორე მსხვერპლის აღმოჩენის შემთხვევაში ძველი საქმე ჩამოიშლება.

- შენ მითხარი, რომ ის ყმაწვილი, ვარლამი, გონებრივად ჩამორჩენილია. ასეთ შემთხვევაში, შესანიშნავი კანდიდატურაა, რათა ნებისმიერი დანაშაული აჰკიდონ. შესაძლოა, მეორე მკვლელობაც მას დააბრალონ.

- მართალი ხარ. ეს საფრთხე არსებობს, მაგრამ მეორე ცხედარი ერთადერთი შანსია ჩემთვის, რათა ამ საქმის ხელმეორედ გამოძიება დაიწყოს.

- მაშასადამე, თუ კიდევ ერთ გვამს მივაგნებთ, გამოძიებას დაიწყებ. თუ ვერაფერს მივაგნებთ, დამპირდი, რომ ამ საქმეს თავს დაანებებ.

- გპირდები.

- შევთანხმდით. აბა, გამიძეხი.

ისინი გაუბედავად დაიძრნენ ტყის სიღრმისკენ.

დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში მიაბიჯებდნენ გვერდიგვერდ, შემდეგ რაისამ ხელი წინ გაიშვირა. გზას ბავშვისა და მოზრდილის პარალელური ნაკვალევი კვეთდა.

ბრძოლასა და წინააღმდეგობის გაწევაზე არაფერი მიანიშნებდა. ბავშვი აშკარად თვითონ, ნებაყოფლობით მიდიოდა. მოზრდილი დიდ და ღრმა კვალს ტოვებდა. მაღალი და ზორბა კაცი უნდა ყოფილიყო, ბავშვის ნაფეხურები კი თოვლს ძლივს ემჩნეოდა. როგორც ჩანს, ძალიან პატარა იყო.

რაისა ლევს მიუბრუნდა.

- ასე შესაძლოა, რომელიმე ახლომდებარე სოფელს მივადგეთ.

- გეთანხმები.

რაისა ყველაფერს მიხვდა. ლევს მტკიცედ გადაეწყვიტა, კვალს ბოლომდე მიჰყოლოდა.

ისინი უკვე საკმაოდ დიდხანს მიდიოდნენ, მაგრამ არაფერი მიანიშნებდა იმაზე, რომ ეს სწორედ ის ნაკვალევი იყო, რომელსაც ეძებდნენ. ლევი მალე იმ აზრისკენ გადაიხრებოდა, რომ რაისა არც ამჯერად შემ-

ცდარა. იქნებ ამ ყველაფერს სრულიად უბრალო, მარტივი ახსნა ჰქონდა. უეცრად იგი შეჩერდა. წინ დატკეპნილი თოვლი მოჩანდა, გეგონებოდათ, ზედ ვიღაც წოლილაო. ლევი იქით დაიძრა. კვალი ისე აირ-დაირია, კაცი უნებურად ორთაბრძოლას წარმოიდგენდა. უფროსი აშკარად განზე გამ-დგარიყო, ბავშვი კი საკუთარ ნაკვალევს უკან გაჰყოლოდა, მისი უსწორ-მასწორო და გადღაბნილი ნაფეხურები სირბილზე მიანიშნებდა.

პატარა ერთ ადგილას, როგორც ჩანს, წაიქცა, - თოვლს ხელისგულის ანაბეჭდი ეტყობოდა, - შემდეგ წამოხტა, კვლავ გაიქცა და ისევ წაბორ-ძიკდა. უდავოა, რომ იბრძოდნენ, მაგრამ მეორე მოწინააღმდეგე არსად ჩანდა. ასე იყო თუ ისე, ბავშვს კვლავ მოეხერხებინა წამოხტომა და გაქ-ცევა. ყველაფერი მის სასოწარკვეთილებაზე მეტყველებდა. მოზრდილი ადამიანის კვალი ჯერჯერობით არსად ჩანდა. ის რამდენიმე მეტრის შემ-დეგ გამოჩნდა ხეებს შორის - თოვლში ღრმად ჩაფლული ნაფეხურები, მაგრამ რაღაც არ ემთხვეოდა: უფროსი აქეთ-იქით აწყდებოდა, ბავშვს გაუბედავად უახლოვდებოდა. რადაც უაზრობა გამოდიოდა. პატარას რომ გვარიანი მანძილით დაშორდა, გადაიფიქრა და ზიგზაგებით კვლავ მისკენ დაიძრა. კვალის მიხედვით, უახლოესი ხის ძირში დაეწია.

რაისა შეჩერდა, იმ ადგილისკენ იყურებოდა, სადაც ნაფეხურები ერ-თმანეთს უახლოვდებოდა. ლევი მას მხარზე შეეხო.

- აქ დარჩი.

იგი წინ წავიდა და ხეს შემოუარა. თოვლზე ჯერ სისხლის ლაქები შე-ამჩნია, შემდეგ შიშველი ფეხები და გადახსნილი მკერდი. ბიჭი ცამეტი-თოთხმეტი წლის თუ იქნებოდა. დაბალი და სუსტი ჩანდა. გოგოს მსგავ-სად, ისიც გულაღმა იწვა და ცას შეჰყურებდა. პირში რაღაც ჰქონდა.

ლევმა მიიხედა და დაინახა, რომ რაისა თვალებგაფართოებული მის-ჩერებოდა ბიყის გვამს.

– კარგად ხარ?

რაისამ ნელა მიიტანა ხელი პირთან და თავი გაუბედავად დაუქნია.

ლევი ბიჭის გვერდით მუხლებზე დაეშვა. ბავშვს კოჭზე თოკი ყულფად შემოხვეოდა. ერთი გადაჭრილი ბოლო თოვლში ეგდო. კანზე ის ადგილი გასწითლებოდა, სადაც მარყუჟი შემოსჭეროდა. ლევმა მხნეობა მოიკრიბა და ბიჭს სახეში შეხედა - პირი მიწით გავსებოდა, თითქოს ყვიროდა. ლა-რისასგან განსხვავებით, სხეულზე თოვლი არ ეყარა. როგორც ჩანს, მის შემდეგ მოეკლათ, დაახლოებით ორი კვირის წინ. ლევი დაიხარა, ბიჭს პი-

რიდან ცოტაოდენი მუქი მიწა ამოაცალა და თითებით დასრისა. მშრალი და უხეში მასა მიწას არც ჰგავდა.

როდესაც მაგრად დააწვა, მსხვილი და სხვადასხვა ზომის ნამცეცები აქეთ-იქით გაიფანტა. არა, ეს მიწა კი არა, ხის ქერქი იყო.

22 მარტი ოცდათექვსმეტი საათი გავიდა მას შემდეგ, რაც ლევმა და რაისამ ბიჭის გვამი აღმოაჩინეს, მაგრამ კაცს ამის შესახებ უფროსობისთვის ჯერ არაფერი ეთქვა. რაისა კვლავ მართალი აღმოჩნდა. საქმის გადახედვის ნაცვლად, ისინი, მეორე მკვლელობასაც ვარლამ ბაბინიჩს დააბრალებდნენ. ყმაწვილს თვითგადარჩენის ინსტინქტი არ გააჩნდა და სხვისი გავლენის ქვეშ ადვილად ექცეოდა - თუ ვინმე ყურში რამეს ჩასჩურჩულებდა, გულუბრყვილოდ იჯერებდა.

ლევი რაისას დაჰპირდა, რომ ორივე მკვლელობას სწრაფად და მარტივად გამოიძიებდა, მაგრამ რა საჭირო იყო მეორე ეჭვმიტანილის ძებნა, როდესაც ერთი უკვე გისოსებს მიღმა იჯდა? საეჭვოა, ბაბინიჩს ალიბი ჰქონოდა - ინტერნატის აღმზრდელები, ალბათ, ვერ გაიხსენებდნენ, სად იყო და რას აკეთებდა ვარლამი, და არც მის დაცვას შეეცდებოდნენ.

საბრალდებო დასკვნა კი იმით შეიცვლებოდა, რომ ერთის ნაცვლად, ორი მკვლელობა იქნებოდა ნახსენები.

ლევი ვერ განაცხადებდა, რომ კიდევ ერთი ბავშვის ცხედარს მიაგნო, ჯერ უნდა დაემტკიცებინა, რომ ვარლამ ბაბინიჩმა მის შესახებ არაფერი იცოდა. მისი გადარჩენა მხოლოდ მაშინ მოხერხდებოდა, თუ მილიციას მთავარი და ერთადერთი ეჭვმიტანილის მიმართ საგამოძიებო მოქმედებების შესრულებაში ხელი შეეშლებოდა. მაგრამ ნესტეროვი ლევს სწორედ ამასთან დაკავშირებით აფრთხილებდა და თავის შეკავებას ურჩევდა. ამასთან, სისხლის სამართლის საქმე ეჭვმიტანილის გარეშე აღიძვრებოდა უცნობი პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ. ვითარებას ბაბინიჩის აღიარებაც ართულებდა. საქმეში აუცილებლად ადგილობრივი МГБ-ს ოპერმუშაკებიც ჩაერთვებოდნენ, თუ შეიტყობდნენ, რომ მილიცია ეჭვქვეშ აყენებდა აღიარებით ჩვენებას. ეს უკანასკნელი სასამართლო სისტემის ქვაკუთხედს წარმოადგენდა და მის ხელშეუხებლობასა და ურყეობას ნებისმიერ ფასად ცდილობდნენ. თუ ვინმე მანამდე შეიტყობდა მეორე მკვლელობის შესახებ, სანამ ლევი მასთან ბაბინიჩის უთანაზიარობას დაამტკიცებდა, ხელისუფლებას შეეძლო გადაეწყვიტა, რომ გაცილებით მარტივი და უსაფრთხო აღიარების ოდნავ შესწორება და ეჭვმიტანილისთვის იმის შთაგონება იქნებოდა, რომ რამდენიმე კვირის წინ მან

ტყეში, სადგურის მახლობლად, ცამეტი წლის მოზარდიც მოკლა. პრობლემის ამგვარი გადაწყვეტა გაცილებით ეფექტიანი გამოდგებოდა.

მეტიც, გული არავის დასწყდებოდა, ბაბინიჩის ჩათვლით, რომელიც ვერც კი მიხვდებოდა, რა შარში გაყო თავი. ლევს კი იმისთვის, რომ მეორე მკვლელობის შესახებ არავის შეეტყო, კრინტი არავისთან არ უნდა დაეძრა. და ისიც დუმდა. სადგურში დაბრუნებულმა არც განგაში ატეხა და არც უფროსი ოფიცრები გამოიძახა. არც მკვლელობა უხსენებია და არც ზომები მიუღია დანაშაულის ადგილზე დაცვის დასაყენებლად. საერთოდ არაფერი გაუკეთებია. რაისას გასაოცრად, მასაც სთხოვა, არავისთვის მოეყოლა რამე. აუხსნა, რომ ბაბინიჩთან მხოლოდ მეორე დილით შეძლებდა შეხვედრას, რაც იმას ნიშნავდა, რომ გვამი ტყეში კიდევ ერთი დღე დარჩებოდა. ლევს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, თუ უნდოდა, რომ ყმაწვილს მისი საქმის სამართლიანი განხილვის იმედი ჰქონოდა.

მილიცია ბაბინიჩის საქმეში აღარ მონაწილეობდა - ის პროკურატურის თანამშრომლებს გადასცეს. გამომძიებლების ჯგუფმა უკვე მიიღო მისგან აღიარება ლარისა პეტროვას მკვლელობის შესახებ. ლევს წაკითხული ჰქონდა ეს დოკუმენტი. მილიციის მიერ მიღებულ და პროკურატურის მიერ წარდგენილ ჩვენებებს შორის რამდენიმე განსხვავება არსებობდა, მაგრამ ეს არავის აღელვებდა: ისინი მთავარში ემთხვეოდა ერთმანეთს - ვარლამი დამნაშავე იყო.

ნებისმიერ შემთხვევაში, მილიციის დოკუმენტს ოფიციალური სტატუსი არ ჰქონდა და სასამართლოში წარდგენას არ ექვემდებარებოდა: გამომძიებელთა მოვალეობა მხოლოდ ყველაზე სავარაუდო ეჭვმიტანილის დასახელება იყო. იმ დროისთვის, როდესაც ლევმა ბაბინიჩის დაკითხვის ნებართვა ითხოვა, ამ საქმის გამოძიება პრაქტიკულად დაესრულებინათ და სასამართლო განხილვისთვისაც ყველაფერი მოემზადებინათ.

ლევი იძულებული გახდა, განეცხადებინა, რომ შესაძლოა, ეჭვმიტანილს სხვა ბავშვებიც ჰყავდა დახოცილი და სასამართლოში საქმის გადაცემამდე, მილიციელებსა და გამომძიებლებს უნდა დაედგინათ, მართლა ასე იყო თუ არა. ნესტეროვი უხალისოდ დაეთანხმა, ხვდებოდა, რომ ეს დიდი ხნის წინ უნდა გაეკეთებინათ. მაგრამ დაიჟინა, რომ დაკითხვაში თვითონაც მიიღებდა მონაწილეობას, რაც ლევს ხელს აძლევდა კიდეც - ასე უფრო მეტი მოწმე ეყოლებოდა. ორი გამომძიებლისა და მილიციის ორი ოფიცრის თანდასწრებით ბაბინიჩმა განაცხადა, სხვა მკვლელობების

შესახებ არაფერი ვიციო. დაკითხვის დასრულების შემდეგ საგამოძიებო ჯგუფის წევრებმა დაასკვნეს, რომ მას სხვა არავინ უნდა ჰყოლოდა მოკლული. მით უმეტეს, რომ მათთვის არავის მიუმართავს კიდევ ერთი ქერათმიანი გოგონას დაკარგვის შესახებ, რაც პირველი დანაშაულის მიზეზი გახდა. რაკი ამ საკითხზე თანხმობას მიაღწია, ლევმა ჩაფიქრებული სახით განაცხადა, რომ დანაშაულის ადგილთან მდებარე ტყის მასივი უნდა შეემოწმებინათ - ისე, ყოველი შემთხვევისთვის, თან ძებნის ზონაც უნდა გაეფართოებინათ, რათა მას ქალაქის პერიმეტრიდან ფეხით ოცდაათი წუთის სავალ მანძილზე მდებარე ტყის ყველა უბანი მოეცვა. ნესტეროვი მიხვდა, რომ ლევს რაღაც ჩაეფიქრებინა და მღელვარება გაუმძაფრდა. ლევი რომ VII 5-ს ყოფილი თანამშრომელი არ ყოფილიყო, ჩვეულებრივ ვითარებაში იგი ამ წინადადებას არ მიიღებდა. მილიციის რესურსის გამოყენება დანაშაულის აღმოსაჩენად სულელური ჩანდა, მაგრამ იმ უნდობლობის მიუხედავად, რომელიც ნესტეროვს ლევის მიმართ გააჩნდა, მან უარის თქმა ვერ გარისკა. არ გამორიცხავდა, რომ ტყის მასივის გაწმენდა მოსკოვს ებრძანებინა. გადაწყდა, რომ ძებნა იმ დღესვე დაეწყოთ: ლევისა და რაისას მიერ ბიჭის გვამის აღმოჩენიდან ოცდათექვსმეტი საათის შემდეგ.

ლევს სულ თვალწინ ედგა თოვლში დაგდებული ბავშვი. ღამით კოშმარი ესიზმრა, რომელშიც შიშველი, მკერდგადახსნილი და მუცელგაფატრული ბიძი ერთსა და იმავე შეკითხვას უმეორებდა: ტყეში რატომ მიმატოვეთ?

ეს ბიჭი არკადი იყო, ფიოდორის შვილი.

რაისა ლევს გამოუტყდა, რომ სკოლაში გაკვეთილებს გულს ვეღარ უდებდა, რადგან იცოდა, რომ ტყეში მკვდარი ბავშვი იწვა, თვითონ კი ისეთი სახე უნდა მიეღო, თითქოს არაფერი მომხდარა. უნდოდა, მოსწავლეები, მთელი ქალაქიც კი გაეფრთხილებინა - მშობლებმა ხომ არაფერი იცოდნენ არსებული საფრთხის შესახებ. მათგან არავის მიემართა მილიციისთვის განცხადებით შვილის დაკარგვის შესახებ. არც საკლასო ჟურნალებში დაეფიქსირებინათ გაკვეთილების არასაპატიო მიზეზით გაცდენა. ვინ იყო ტყეში მოკლული ბიძი? რაისას მისი სახელის გაგება და ოჯახის მოძებნა სურდა, ლევი კი სთხოვდა, მოეცადა. მტანჯველი ფიქრების მიუხედავად, რაისა ეთანხმებოდა ქმრის მოსაზრებას, რომ ეს ერთადერთი გზა იყო უდანაშაულო ახალგაზრდის გასამართლებლად და ნამდვილ

დამნაშავეზე ნადირობის დასაწყებად. აბსურდული მსჯელობა დამაჯერებლად ჟღერდა.

***

ნესტეროვმა ხეტყის სახერხი ქარხნის მუშები შეკრიბა და შვიდ-ათკაციან ჯგუფებად დაყო.

ბრძანების თანახმად, ლევს იმ ჯგუფისთვის უნდა ეხელმძღვანელა, რომელსაც 379-ე საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიის შემოწმება ევალებოდა - ქალაქის მეორე ბოლოში, დანაშაულის ადგილიდან უშორეს მანძილზე. ამაზე უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებდა, რადგან უმჯობესი იყო, ბიჭის გვამისთვის სხვას მიეგნო. გარდა ამისა, იმის შანსიც არსებობდა, რომ ერთს კი არა, რამდენიმე ცხედარს მიაგნებდნენ.

ლევის რაზმი ორ სამკაციან და ერთ ოთხკაციან ჯგუფად გაიყო. ლევი ნესტეროვის მოადგილესთან ერთად მიაბიჯებდა, როგორც ჩანს, ამ კაცს მისი თვალთვალი ევალებოდა. მათ ქარხანაში მომუშავე ქალიც შეუერთდა. რამდენიმე კვადრატული კილომეტრის შემოწმებას მთელი დღე დასჭირდა. გაჭირვებით მიარღვევდნენ ნამქერებს და შიგ გრძელ ჯოხებს არჭობდნენ იმაში დასარწმუნებლად, რომ თოვლქვეშ არაფერი იდო. გვამი ვერსად აღმოაჩინეს. როდესაც საავადმყოფოსთან ორ სხვა ჯგუფს შეხვდნენ, გაირკვა, რომ მათაც ვერაფრისთვის მიეგნოთ. ტყეში არავინ იყო. ლევი მოუთმენლად ელოდა დანარჩენი ჯგუფების შეტყობინებას, რომლებიც ქალაქის მეორე ბოლოში მუშაობდნენ.

***

ნესტეროვი ტყის პირას იდგა, ლიანდაგის დარაჯის ჯიხურის სიახლოვეს, რომელიც დროებით შტაბბინად გადაქცეულიყო. ლევი მას მოჩვენებითი აუჩქარებლობით, გულგრილი სახით მიუახლოვდა.

- რამეს მიაგენით? - ჰკითხა ნესტეროვმა.

- ვერაფერს.

ლევი ცოტა ხანს გამიზნულად დუმდა, შემდეგ კი დაინტერესდა: – აქ რა ხდება?

– არაფერი.

ლევს წამსვე ჩამოსცილდა სახიდან გულგრილობის ნიღაბი. იცოდა, რომ გენერალი ყურადღებით აკვირდებოდა მას, ამიტომ სასწრაფოდ

შეტრიალდა და გონება დაძაბა. ნუთუ გვამი ვერ შეამჩნიეს? იქნებ იქ აღარ დახვდათ? თოვლზე ნაკვალევი კვლავაც მკაფიოდ მოჩანდა. შესაძლოა, ძებნის რადიუსი საკმარისი არ აღმოჩნდა, მაგრამ კვალს ხომ მაინც უნდა გაჰყოლოდნენ? თუმცა, თუ მძებნელები დარწმუნებული არ იყვნენ ტერიტორიის საგულდაგულოდ შემოწმების აუცილებლობაში, სავარაუდოდ, არც კვალს გაჰყვებოდნენ და თავს იმით გაიმართლებდნენ, რომ ის მათი კვადრატის მიღმა მდებარეობდა. ჯგუფები ერთიმეორის მიყოლებით ბრუნდებოდნენ ტყიდან. სულ მალე ოპერაცია უშედეგოდ დასრულდებოდა - ბიჭის ცხედარი კვლავაც ტყეში დარჩებოდა.

ლევი უკვე დაბრუნებულების გამოკითხვას შეუდგა. მილიციის ორი სრულიად ახალგაზრდა თანამშრომელი, ახლახან რომ შესრულებოდათ თვრამეტი წელი, იმ ჯგუფში შედიოდა, რომელიც გვამის უშუალო სიახლოვეს იმყოფებოდა. მათ აღიარეს, რომ ნახეს ნაკვალევი, კერძოდ, ოთხი წყვილი, მაგრამ არაფრად ჩააგდეს, რადგან მიიჩნიეს, რომ ისინი სასეირნოდ გამოსულ რომელიღაც ოჯახს ეკუთვნოდა. ლევმა არ გაითვალისწინა, რომ მან და რაისამაც დატოვეს მკვლელისა და მსხვერპლის ნაფეხურების პარალელური კვალი. გაღიზიანება ძლივს დამალა, დაავიწყდა, რომ ძალაუფლება აღარ გააჩნდა, და ახალგაზრდებს უბრძანა, ტყეში დაბრუნებულიყვნენ და ნაკვალევს ბოლომდე გაჰყოლოდნენ. მათ უარი განუცხადეს, რადგან შესაძლოა, კიდევ რამდენიმე კილომეტრის გავლა დასჭირვებოდათ. და რაც მთავარია: ვინ იყო ლევი, მათ რომ ბრძანებებს აძლევდა?

ლევს სხვა არაფერი დარჩენოდა და კვლავ ნესტეროვს მიმართა. რუკაზე უჩვენა, რომ ახლომახლო ერთი სოფელიც კი არ მდებარეობდა, ამიტომაც ნაკვალევი საეჭვოდ გამოიყურებოდა, მაგრამ ნესტეროვი სრულიად ეთანხმებოდა თავის ოფიცრებს. ის ფაქტი, რომ ოთხ კვალს მიაგნეს, მათ ყურადღებას არ იმსახურებდა. ლევმა თავი ვეღარ შეიკავა და განაცხადა: - მაშინ მარტო წავალ.

ნესტეროვმა ყურადღებით შეხედა მას.

- ერთად წავალთ.

ლევი ნესტეროვთან ერთად სულ უფრო და უფრო ღრმად შედიოდა ტყეში საკუთარი ნაკვალევის მიხედვით. მან გვიან მოისაზრა, რომ საფრთხე ემუქრებოდა, იარაღი არ ჰქონდა და ერთი ერთზე დარჩენილიყო იმ ადამიანთან, რომელიც მას მოკვლით ემუქრებოდა. მუქარის ასასრულებ-

ლად ამაზე უკეთეს ადგილს ძნელად თუ მიაგნებდა კაცი. ნესტეროვი არ-ხეინად აბოლებდა სიგარეტს.

- მითხარით, ლევ, რას წავაწყდებით ამ ნაკვალევის ბოლოში?

– აბა, რა ვიცი.

- მაგრამ ეს ხომ თქვენი კვალია.

ნესტეროვმა ჯერ მათ წინ მდებარე ნაფეხურზე მიუთითა, შემდეგ - ლევის მიერ ახლად დატოვებულზე. ისინი ზუსტად ემთხვეოდა ერთმა-ნეთს.

- მკვდარ ბავშვს მივაგნებთ.

- რომელიც ადრე აღმოაჩინეთ?

- ორი დღის წინ.

- მაგრამ არ განაცხადეთ.

- იმის დამტკიცება მსურდა, რომ ვარლამ ბაბინიჩმა არაფერი იცოდა ამ მკვლელობის შესახებ.

- თქვენ ის გაწუხებდათ, რომ ჩვენ მას კიდევ ერთ მკვლელობაში და-ვადანაშაულებდით?

- ეს ახლაც მაწუხებს.

წაიღებდა თუ არა ნესტეროვი ხელს პისტოლეტისკენ? ლევი ელოდე-ბოდა. გენერალმა სიგარეტი ბოლომდე დაიყვანა, მაგრამ არ შეჩერებუ-ლა. სანამ გვამთან არ მივიდნენ, ერთმანეთისთვის აღარაფერი უთქვამთ. ბიჭი იმავე პოზაში იწვა, რომელშიც ლევმა და რაისამ დატოვეს - გუ-ლაღმა, შიშველი, მიწით ამოვსებული პირით, გადახსნილი მკერდით. ლევმა უკან დაიხია და იქიდან უყურებდა, როგორ ათვალიერებდა ნეს-ტეროვი გვამს. გენერალი არ ჩქარობდა. ლევი ხედავდა, რომ სასტიკმა მკვლელობამ მისი უშუალო უფროსი ლამის გააცოფა.

ამ აზრმა ერთგვარი შვება მოჰგვარა.

ბოლოს ნესტეროვი ლევთან მივიდა.

– მინდა, უკან დაბრუნდეთ და პროკურატურაში დარეკოთ. მე კი აქ დავრჩები, ბიჭთან.

გენერალს გაახსენდა, თუ რა აწუხებდა ლევს და დაამატა: - ცხადია, ვარლამ ბაბინიჩს ამ მკვლელობასთან კავშირი არა აქვს.

- გკეთანხმებით.

- ეს ორი სხვადასხვა შემთხვევაა.

ლევი გაოცებით მიაჩერდა მას. ამგვარ ვარაუდს ნამდვილად არ ელოდა.

– ორივე ბავშვი ერთი კაცის მოკლულია.

– გოგონა ჯერ გააუპატიურეს, შემდეგ კი მოკლეს. ბიჭიც გააუპატიურეს და მოკლეს. ეს სხვადასხვა დანაშაულია, განსხვავებული გარყვნილება.

- ჩვენ არ ვიცით, გააუპატიურეს თუ არა ბიჭი.

- შეხედეთ მას!

- მე არ მჯერა, ისევე, როგორც ექიმს, რომ გოგონა გაუპატიურებულია.

– იგი გაშიშვლებული იყო.

- პირში ორივეს ხის ქერქი ჰქონდა, დაქუცმაცებული ქერქი!

– ლარისას პირში მიწა უპოვეს.

– არა, ასე არ იყო.

- ვარლამ ბაბინიჩმა აღიარა, რომ პირი მიწით ამოუვსო.

- სწორედ ამიტომაც ვერ მოკლავდა ბაბინიჩი - მიწა გაყინული იყო. თუ მართლა მიწა აღმოაჩინეს, საიდან გაჩნდა იგი? ბაბინიჩმა ჯიბით მიიტანა? არა, გოგონას პირში ქერქი ჰქონდა, ისევე, როგორც ბიჭს. ქერქი წინასწარ მოამზადეს, ოღონდ ვერ ვხვდები, რატომ.

- ბაბინიჩმა ყველაფერი აღიარა.

- ის, რასაც გნებავთ, იმას აღიარებს, თუ რამდენჯერმე სთხოვთ.

- რატომ ხართ ასე დარწმუნებული, რომ მკვლელი მხოლოდ ერთი ადამიანია? გოგონა რკინიგზის სადგურის სიახლოვეს მოკლეს: წინდაუხედავად, უგუნურად, იქ, სადაც მათი დანახვა შეეძლოთ. მგზავრები ყვირილსაც გაიგონებდნენ. ეს იდიოტური დანაშაული იყო და იდიოტმა იგი აღიარა. აი, ბიჭი კი ტყის სიღრმეში, შორს შეიყვანეს. აქედან სადგურამდე ფეხით ერთი საათის სავალი მაინც იქნება. მკვლელმა იზრუნა, რომ მისთვის ხელი არავის შეეშალა.

იგი სხვა ადამიანია.

- ვინ იცის, რა მოხდა სინამდვილეში? იქნებ გოგონაც შორს მიჰყავდა, მაგრამ მსხვერპლმა გადაიფიქრა და ისიც იძულებული გახდა, იქვე მოეკ-

ლა?

- ეს ორი სხვადასხვა დანაშაულია.

- მომისმინეთ, შთაბეჭდილება მრჩება, რომ ისე გეჩქარებათ სასამართლოში საქმის გადაცემა, მზად ხართ, ყველაფერი დაიჯეროთ.

– არა, ჯერ თქვენ მითხარით, ვინ არის ის კაცი, რომელიც თავდაპირველად გოგონას აუპატიურებს და კლავს, შემდეგ კი იმავეს ბიჭს უკეთებს? ვინ არის ის კაცი? ოცი წელია, მილიციაში ვმსახურობ და მსგავსი არაფერი მინახავს. არც მსმენია. იქნებ ერთი მაგალითი მაინც მოიყვანოთ?

– გოგონა არ გაუუპატიურებიათ.

- მართალი ხართ. სხვა მიზეზით მოკლეს - ქერა თმის გამო. იგი ავადმყოფმა მოკლა. არც ეს ბიჭი მოუკლავთ ჩვეულებრივად, მაგრამ მას სხვამ მოუსწრაფა სიცოცხლე, სრულიად სხვა დაავადების მქონემ.

23 მარტი ალექსანდრმა სალაროს ფანჯარა დახურა, ფარდა ჩამოაფარა და სკამის საზურგეზე გადაწვა. თუმცა პატარა ოთახი იყო, სულ რაღაც ორი კვადრატული მეტრი, მოსწონდა იმაზე ფიქრი, რომ იგი მხოლოდ მას ეკუთვნოდა. არავის უყოფდა, სამუშაოს არავინ უმოწმებდა.

ერთგვარი თავისუფლება ჰქონდა და წარმოების მაჩვენებლები და გამომუშავების ნორმები არ აწუხებდა. ამ სამუშაოს მხოლოდ ერთი ნაკლი ჰქონდა: ვისაც კი იცნობდა, ყველას სჯეროდა, რომ იმედგაცრუებული იყო ასეთი ცხოვრებით.

ხუთი წლის წინ ალექსანდრი 151-ე სკოლაში მოკლე დისტანციებზე ყველაზე სწრაფად დარბოდა. არავის ეპარებოდა ეყვი, რომ მათი მოსწავლე გაცილებით მაღალ, საერთაშორისო დონეზეც კი მიაღწევდა წარმატებას, თუ საბჭოთა კავშირი ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას მიიღებდა, მაგრამ ყველაფერი იმით დასრულდა, რომ სალაროში იჯდა, ბილეთებს ყიდდა და სხვების მისვლა-მოსვლას უყურებდა. თვითონ წასასვლელი არსად ჰქონდა. მრავალი წლის განმავლობაში თავდაუზოგავად ვარჯიშობდა, ზედიზედ იგებდა ადგილობრივ შეჯიბრებებს. მერედა, რისთვის? რათა მატარებლების განრიგისთვის თვალი ედევნებინა და ბილეთები გაეყიდა? ამას ხომ ყველა შეძლებდა. ალექსანდრს გაახსენდა, როგორ დაემსხვრა ოცნება. ის და მამამისი მატარებლით მოსკოვში მიემგზავრებოდნენ არმიის ცენტრალურ სპორტულ კლუბში მოსახვედრად. ცსკა თავდაცვის სამინისტროს ნაწილი იყო.

კლუბს სახელი იმით გაეთქვა, რომ ქვეყნის საუკეთესო ათლეტებს უყრიდა თავს და მათ სახელგანთქმულ სპორტსმენებად აქცევდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სანუკვარ ადგილზე კანდიდატთა მხოლოდ ათი პროცენტი აჰყავდათ. ალექსანდრმა სირბილში მიიღო მონაწილეობა, ფინიშის შემდეგ კი აღებინა. ასე სწრაფად ჯერ არასდროს ურბენია, პირადი რეკორდიც დაამყარა, მაგრამ მაინც არ აიყვანეს. აქეთობას მამამ ამ უარის დადებით მხარეზე ილაპარაკა. თქვა, რომ მარცხი მას მეტი შემართებით ვარჯიშის სტიმულს მისცემდა, მომავალ წელს კი აუცილებლად აიყვანდნენ, რადგან უფრო ძლიერი იქნებოდა და თავისი ოცნებისთვის ბრძოლასაც ისწავლიდა. მაგრამ ალექსანდრი სრულად დაიხარჯა, რაც ჰქონდა, ყველაფერი გაიღო. თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ამიტომ ერთი წლის შემდეგ მონაწილეობას აღარ აპირებდა. მართალია, მამამისი თავის აზრზე ჯიუტად იდგა, ალექსანდრმა მძლეოსნობისადმი ყოველგვარი ინტერესი დაკარგა. მალე მამაც დანებდა. საშამ სკოლა დაამთავრა და მუშაობა დაიწყო, უმცირესი წინააღმდეგობის გზა აირჩია.

როგორც ყოველთვის, სამუშაო საღამოს რვა საათზე დაასრულა. სალაროდან გამოვიდა და კარი დაკეტა. გრძელი გზა არ ჰქონდა გასავლელი, რადგან მშობლებთან ერთად იქვე, სადგურის შენობაში, მეორე სართულზე, ბინად გადაკეთებულ ოთახში ცხოვრობდა.

ფორმალურად, მამამისი სადგურის უფროსი იყო, მაგრამ ავადმყოფობდა. საავადმყოფოში ზუსტი დიაგნოზი ვერ დაუსვეს, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ სიმსუქნე ტანჯავდა და ძალიან ბევრს სვამდა. დედა კი შესაშური ჯანმრთელობითა და მხიარული ხასიათით გამოირჩეოდა, რის სრულად გამოვლენასაც ნაწილობრივ ქმრის ავადმყოფობა უშლიდა ხელს. ამისთვის საკმარისზე მეტი მიზეზი ჰქონდა. კარგი ოჯახი ჰყავდა, გაუმართლათ კიდეც. რკინიგზელებს ხელფასს ცოტას უხდიდნენ და არც გავლენიანი ნაცნობ-მეგობრებით შეეძლოთ თავის მოწონება, სამაგიეროდ, საცხოვრებელს არ უჩიოდნენ. ნაცვლად იმისა, რომ რომელიმე უბადრუკ ქოხმახში ეცხოვრათ სხვა ოჯახთან ერთად, კეთილმოწყობილი, იზოლირებული ბინა მიიღეს, ცხელი წყალიც კი ჰქონდათ. მათი სამუშაო დღე ოცდაოთხი საათის განმავლობაში გრძელდებოდა. ბინაში სადგურიდან სპეციალური ზარიც გამოუყვანეს. როდესაც მატარებელი გვიან ღამით ან ადრე დილით ჩამოდგებოდა, აუცილებლად სამორიგეო პოსტზე უნდა მდგარიყვნენ. თუმცა ეს უმნიშვნელო უხერხულობა იყო და ზემოთ ჩამოთვლილ უპირატესობას ვერაფრით გადაწონიდა, მით უმეტეს, რომ

მოვალეობას რიგრიგობით ასრულებდნენ. იმხელა ბინა ჰქონდათ, ორი ოჯახი თავისუფლად დაეტეოდა. ალექსანდრის და ცოლად გაჰყვა დამლაგებელს, რომელიც ავტოქარხანაში მასთან ერთად მუშაობდა. ისინი ახალ რაიონში, კარგ ბინაში გადავიდნენ და ახლა პირველ შვილს ელოდნენ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ოცდაორი წლის ალექსანდრს სადარდებელი არაფერი ჰქონდა. ერთ მშვენიერ დღეს სადგურის უფროსი გახდებოდა და ბინაც მის ხელში გადავიდოდა.

საძინებელში მან ფორმა გაიხადა, ტანსაცმელი გამოიცვალა და მშობლებთან ერთად მაგიდას მიუჯდა. ვახშმად დედას ბარდიანი თევზის წვნიანი და ფაფა მოემზადებინა. ქალმა ქმარს თეფშზე დაუდო ხბოს ღვიძლის ნაჭერიც, რომელიც კაცისთვის ექიმებს ერჩიათ, თუმცა ძალიან ძვირი ღირდა და მისი შოვნაც ჭირდა. მამა მკაცრად იცავდა დიეტას, სმაც ეკრძალებოდა, რაც, მისი აზრით, ჯანმრთელობას უუარესებდა კიდეც. ვახშმის დროს ხმა არავის ამოუღია. უხასიათოდ მყოფი ოჯახის უფროსი თითქმის არაფერს ჭამდა. ალექსანდრმა ჭურჭელი გარეცხა და თქვა, რომ კინოში მიდიოდა. მამა უკვე დაწოლილიყო. საშამ მას აკოცა, ძილი ნებისა უსურვა და უთხრა, რომ არ ენერვიულა - დილის მატარებელს თვითონ შეხვდებოდა და გააცილებდა.

ვოლსკში მხოლოდ ერთი კინოთეატრი მუშაობდა, თუმცა სამი წლის წინ ეს ერთიც არ იყო.

ხელისუფლებამ ეკლესია მაყურებელთა ექვსასკაციან დარბაზად აქცია. აქ ისეთ საბჭოთა ფილმებსაც აჩვენებდნენ, რომლებიც მოსახლეობის უმრავლესობას თავის დროზე არ ენახა.

მათ რიცხვში შედიოდა „ორი მებრძოლი“, „უდანაშაულო დამნაშავე“, „მზვერავის გმირობა“ და „შეხვედრა ელბაზე“ - ბოლო ათწლეულის ყველაზე პოპულარული ფილმები. ალექსანდრს ისინი უკვე რამდენჯერმე ენახა. კინოთეატრის გახსნის შემდეგ აქ სისტემატურად დადიოდა და დროსაც კარგად ატარებდა. ბავშვობაში სპორტით გატაცების გამო, სასმელს არ ეტანებოდა, თუმცა არც ხალხმრავალ ადგილებში ყოფნა უყვარდა. როდესაც ფოიეში შევიდა, აღმოაჩინა, რომ „დაუვიწყარი წელი“ გადიოდა. ალექსანდრმა იგი უკანასკნელად ორიოდე დღის წინ ნახა, მანამდე - კიდევ რამდენჯერმე. სხვათა შორის, ფილმი მოსწონდა, არა იმდენად სიუჟეტის გამო, არამედ იმიტომ, რომ მასში სტალინს უჩვენებდნენ. საინტერესოა, ბელადმა თვითონ თუ აირჩია მსახიობი მისი როლის შესასრულებლად? საშამ გაიფიქრა, ნეტავ რა გრძნობა ეუფლება ადამიანს,

როცა ეკრანზე მას მსახიობი განასახიერებს, თვითონ კი შეუძლია უკარნახოს, რას აკეთებს სწორად და რას - არაო. ალექსანდრი ფოიეს გავლით გარეთ გავიდა და რიგში ჩადგომის ნაცვლად, პარკისკენ გაემართა.

გამარჯვების პარკის ცენტრში ბრინჯაოს ძეგლი აღემართათ - სამ ჯარისკაცს ავტომატები მხარზე მოეგდო და მომუშტული ხელები ცისკენ აღემართა. ოფიციალურად, პარკი ღამით იკეტებოდა, მაგრამ ღობე შემოვლებული არ ჰქონდა და ამ წესს არავინ იცავდა. ალექსანდრს შიგნით შეღწევის საკუთარი გზა ჰქონდა: ქუჩიდან უცხო თვალისთვის ხეებითა და ბუჩქებით დაფარულ ბილიკზე უნდა გადაეხვია. იგრძნო, როგორ გამალებით აუძგერდა გული სიამოვნების მოლოდინში, როგორც ყოველთვის ემართებოდა, როცა პარკს ნელა შემოუვლიდა ხოლმე.

შეატყო, რომ დღეს აქ მარტო იყო, ცოტა კიდევ გაიარა და შინ დაბრუნება დააპირა.

უეცრად წინ ვიღაც გამოჩნდა. ალექსანდრი შეჩერდა. ახალგაზრდა კაცი სახით მისკენ შემობრუნდა. დაძაბული დუმილი იმას ადასტურებდა, რომ ამ ადგილას ორივე ერთ მიზანს მოეყვანა. ალექსანდრი დაიძრა, უცნობი იდგა და ელოდებოდა, როდის გაუსწორდებოდა საშა.

მათ აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედეს და მხოლოდ ამის შემდეგ შეხედეს ერთმანეთს. ბიჭი მასზე ახალგაზრდა ჩანდა, დაახლოებით ცხრამეტი წლის იქნებოდა. აშკარად ნერვიულობდა.

ალექსანდრმა დაასკვნა, ალბათ, აქ პირველად არისო და დუმილი დაარღვია.

- ერთი ადგილი ვიცი, სადაც თავის შეფარება შეგვიძლია.

ახალგაზრდამ ერთხელაც შეათვალიერა იგი და თავი დაუქნია, ოღონდ კვლავ არაფერი უთქვამს. ალექსანდრმა განაგრძო: - გამომყევი, მაგრამ დისტანცია დაიჭირე.

ისინი ცალ-ცალკე წავიდნენ. ალექსანდრი წინ მიდიოდა, თანამგზავრს ასიოდე მეტრით უსწრებდა. მან უკან მიიხედა. ახალგაზრდა კვალში ედგა.

როდესაც სადგურის შენობას მიაღწია, ალექსანდრი ჯერ დარწმუნდა, რომ მშობლები მათი ბინის ფანჯრებიდან არ იყურებოდნენ. შეუმჩნევლად შევიდა მოსაცდელ დარბაზში. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს მატარებელში ჩაჯდომას აპირებდა. შუქი არ აუნთია, სალაროს კარი გააღო და ღია დატოვა, თვითონ კი შიგნით შეაბიჯა. შემდეგ სკამი გვერდზე გასწია. აქ ცოტა ადგილი იყო, მაგრამ მათ ეყოფოდათ. ელოდა, შიგადაშიგ საათს

დაჰყურებდა და უკვირდა, კაცი რომ აგვიანებდა, მაგრამ გაახსენდა, რომ თვითონ ძალიან სწრაფად მოდიოდა. აი, ოთახის კარი გაიღო და უცნობი ახალგაზრდა შემოვიდა. პირველად შეათვალიერეს ერთმანეთი ყურადღებით. ალექსანდრი წინ გადაიხარა და კარი მიხურა. საკეტის გატკაცუნებამ წამსვე აღაგზნო. ეს იმას ნიშნავდა, რომ უსაფრთხოდ იყვნენ. გვერდიგვერდ იდგნენ, მაგრამ პირველი ნაბიჯის გადადგმას ვერც ერთი ვერ ბედავდა. ალექსანდრს ძალიან მოსწონდა ეს წამები და სანამ შეეძლო, თავს იკავებდა, შემდეგ კი საკოცნელად გაიწია.

ამ დროს ვიღაცამ კარზე დააბრახუნა. თავდაპირველად ალექსანდრმა გაიფიქრა, მამა ხომ არ არისო. მან ან ყველაფერი დაინახა, ან თავიდანვე იცოდა, რაც ხდებოდა. მაგრამ შემდეგ მოისაზრა, რომ კაკუნი გარედან კი არა, შიგნიდან ისმოდა. ნუთუ გადაიფიქრა? ან ვის ელაპარაკებოდა? ალექსანდრი დაიბნა. მოსაცდელი დარბაზიდან უხეში ხმები მოესმა. უცნობს ნერვიულობა და სიმორცხვე აღარ ეტყობოდა. იგი რადიკალურად შეიცვალა - ბრაზისა და ზიზღისგან აშკარად გაცოფებულმა ალექსანდრს სახეში შეაფურთხა. ამ უკანასკნელს ფურთხი ლოყაზე მოხვდა. მან უნებურად მოიწმინდა იგი. გონება არეოდა, ვერაფერს ხვდებოდა. ხელი მოიქნია და უცნობს ისე ძლიერად დაარტყა, რომ იატაკზე დასცა.

კარის სახელური აჩხაკუნდა. გარედან ვიღაცამ დაიბუბუნა: - ალექსანდრ, მე გენერალი ნესტეროვი ვარ, ის კაცი კი, ვისთან ერთადაც ჩაიკეტე, მილიციის თანამშრომელია. გიბრძანებ, ახლავე გააღო კარი. ან დამემორჩილები, ან აქ შენს მშობლებს მოვიყვან, რათა საკუთარი თვალით იხილონ, როგორ დაგაპატიმრებ. მამაშენი ავადაა, ხომ ასეა? თუ შენი დანაშაულის შესახებ შეიტყობს, ეს მას ბოლოს მოუღებს.

გენერალი არ ცდებოდა - მამას ეს ბოლოს მოუღებდა. ალექსანდრი კარისკენ გავარდა, მაგრამ ოთახი ძალიან პატარა იყო, თანაც იატაკზე გართხმული კაცი უშლიდა ხელს. ამიტომ ჯერ ის გასწია გვერდზე, შემდეგ კი კარი გააღო. მაშინვე ვიღაცის მძლავრი ხელები სწვდა და მოსაცდელ დარბაზში გაათრია.

ლევი ალექსანდრს შესცქეროდა - პირველ ადამიანს, რომელსაც მოსკოვის მატარებლიდან ჩამოსვლის შემდეგ შეხვდა, ადამიანს, რომელმაც სიგარეტი მოუტანა, რომელიც ტყის ერთი უბნის დათვალიერებაში დაეხმარა.

ნესტეროვმა ბილეთების სალაროს ოთახში შეიხედა, იქ იატაკზე დაგდებულ, ჯერაც უგონოდ მყოფ თავის ერთ-ერთ თანამშრომელს მოჰკრა თვალი და სახტად დარჩა.

- გამოიყვანეთ იქიდან.

ოთახში მილიციის ორი თანამშრომელი შევიდა. მათ დაზარალებული ამხანაგი მანქანამდე მიიყვანეს. როდესაც ნესტეროვის მოადგილემ დაინახა, თუ რა დღეში ჩააგდო ალექსანდრმა მილიციის ოფიცერი, მთელი ძალით სთხლიშა სახეში. იმავეს გაკეთება მეორეჯერაც სურდა, მაგრამ გენერალმა შეაჩერა.

- საკმარისია.

მან ეჭვმიტანილს შემოუარა, სიტყვებს საგულდაგულოდ არჩევდა.

- საოცრად იმედგაცრუებული ვარ იმით, რაც აქ ვნახე. ვერაფრით ვიფიქრებდი, თუ შენ ეს შეგეძლო.

ალექსანდრმა იატაკზე სისხლი გადმოაფურთხა, მაგრამ არაფერი უთქვამს. ნესტეროვმა განაგრძო: - მომიყევი, ეს რატომ გააკეთე.

– რატომ? არ ვიცი.

- სერიოზული დანაშაული ჩაიდინე. მოსამართლე შენს თავის მართლებას არც კი მოუსმენს და ხუთ წელს მაინც მოგისჯის.

– თავს არც ვიმართლებ.

- ყოჩაღ, ალექსანდრ, მაგრამ ვნახავ, როგორ მოიქცევი, როდესაც ამის შესახებ ყველა შეიტყობს. დამცირება და შერცხვენა არ აგცდება. აქ მაშინაც კი ვერ დაბრუნდები, ვერც იცხოვრებ და ვერც იმუშავებ, როდესაც ხუთი წლის შემდეგ ციხიდან გამოხვალ. ყველაფერს დაკარგავ.

ლევმა ნაბიჯი წინ გადადგა.

- მხოლოდ შეკითხვა დაუსვით.

- მაგრამ შენ შეგიძლია ამ შერცხვენის თავიდან აცილება. ჩვენ ამ ქალაქში მცხოვრები იმ კაცების სია გვჭირდება, რომლებსაც სხვა მამაკაცებთან, ჭაბუკებსა და მოზარდ ბიჭებთან სექსი ჰქონიათ. ამ სიის შედგენაში შენ უნდა დაგვეხმარო.

- სხვების შესახებ არაფერი ვიცი. მე თვითონ პირველად...

– თუ დახმარებაზე უარს გვეტყვი, დაგაპატიმრებთ და გაგასამართლებთ, სასამართლოს სხდომაზე კი შენს მშობლებს მოვიწვევთ. ისინი ახლა, ალბათ, დასაძინებლად ემზადებიან, არა? შემიძლია, რომელიმე თანამშრომელი გავგზავნო მათ მოსაყვანად.

– არა.

- დაგვეხმარე და იქნებ შენს მშობლებს არც არაფერი ვუთხრათ. დაგვეხმარე და, შესაძლოა, არც გაგასამართლოთ და ეს სირცხვილი ჩვენ შორის საიდუმლოდ დარჩება.

- ასეთი რა ხდება?

- საქმე პატარა ბიჭის მკვლელობას ეხება. საზოგადოებას დაეხმარები და საკუთარ დანაშაულს გამოისყიდი. აბა, რას იტყვი, შეგვიდგენ ასეთ სიას?

ალექსანდრმა გახეთქილი ტუჩი მოისინჯა.

– იმ ხალხს რა მოუვა, ვისი გვარიც ამ სიაში აღმოჩნდება?

29 მარტი ლევი საწოლის კიდეზე იჯდა და იმაზე ფიქრობდა, რომ ხელახალი გამოძიების დაწყების მის მცდელობას ქალაქში ფართომასშტაბიანი რბევა მოჰყვა. ბოლო კვირის განმავლობაში ჩატარებული რეიდების დროს მილიციამ ას ორმოცდაათამდე ჰომოსექსუალისტი დააკავა.

მხოლოდ დღეს ლევმა ექვსი მათგანი დააპატიმრა და პირადი ანგარიში ოცამდე გაზარდა. ზოგი სამუშაოზე აჰყავდათ, ხელბორკილს ადებდნენ და კოლეგების თვალწინ მანქანებში სვამდნენ.

ზოგს სახლებსა და ბინაში აკავებდნენ და ოჯახებს აშორებდნენ. მათ ცოლებს ეგონათ, რომ ეს რაღაც საბედისწერო შეცდომის ბრალი იყო, წაყენებულ ბრალდებებში ვერ გარკვეულიყვნენ და ქმრების გამოშვებას იხვეწებოდნენ.

ნესტეროვს კმაყოფილების საფუძველი ნამდვილად ჰქონდა. სრულიად შემთხვევით მან ერთ ბნელ პიროვნებას, ეჭვმიტანილს მიაგნო, რომლისთვისაც შეეძლო მკვლელი ეწოდებინა, თანაც ისე, რომ სოციალურ თეორიას არ დაჰპირისპირებოდა. მკვლელობა ნორმიდან გადახრად მიიჩნეოდა. ეს ხალხიც ნორმიდან გადახრად იქცა. შესანიშნავ გამოსავალს მიაგნეს.

გენერალმა განაცხადა, რომ ვოლსკის მილიცია თავისი არსებობის ისტორიაში მკვლელზე არნახულ ნადირობას იწყებდა. ეს წინდაუხედავი სიტყვები მისი კარიერის დასასრულს გამოიწვევდა, მაგრამ ისინი მხოლოდ მიუღებელი ორიენტაციის მქონე პირებზე იყო ნათქვამი.

სამმართველოში ადგილი აღარ ჰყოფნიდათ, თანამშრომელთა კაბინეტები დროებითი დაკავების თუ დაკითხვის საკნებად გადაიქცა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი იძულებული ხდებოდნენ, რომ ერთ საკანში რამდენიმე ადამიანი მოეთავსებინათ, გუშაგებს კი უბრძანებდნენ, წუთითაც არ

მოეცილებინათ მათთვის თვალი. მსგავსი შეშფოთება ერთდროული და სპონტანური სექსუალური გადახრების შესაძლებლობით აიხსნებოდა.

მილიციელები ვერც კი ხვდებოდნენ, ვისთან ჰქონდათ საქმე. მაგრამ მტკიცედ სწამდათ, რომ თუ მსგავსი სექსუალური აქტივობა თვით მილიციის სამმართველოში მოხდებოდა, ეს არსებული სისტემის არსებობას კითხვის ქვეშ დააყენებდა, მართლმსაჯულების პრინციპებს შეურაცხყოფდა. გარდა იმისა, რომ გაძლიერებული სამხედრო მზადყოფნა იყო გამოცხადებული და ყოველ თანამშრომელს თორმეტი საათის განმავლობაში უხდებოდა მორიგეობა, ეჭვმიტანილების დაკითხვა განუწყვეტლივ, შეუსვენებლივ მიმდინარეობდა. ლევი ერთსა და იმავე შეკითხვებს იმეორებდა და პასუხებში მცირე განსხვავებასაც კი ეძებდა. იგი მისთვის მიცემულ დავალებას უდრტვინველად, ავტომატივით ასრულებდა და ჯერ კიდევ მასობრივი დაპატიმრებების დაწყებამდე იყო დარწმუნებული ამ ადამიანების უდანაშაულობაში.

ალექსანდრისგან მიღებული სია საგულდაგულოდ მუშავდებოდა. მოლარემ განმარტა, რომ მისი შედგენა იმას არ ნიშნავდა, რომ სხვადასხვა ასაკის ასამდე მამაკაცთან ჰქონდა უთავბოლო სქესობრივი კავშირი. ჩამოთვლილთაგან ბევრი თვალითაც არასოდეს ენახა. მათ შესახებ ათამდე მეტ-ნაკლებად მუდმივ პარტნიორთან საუბრიდან შეეტყო. ამ ათიდან თითოეულს თავისი ნაცნობები ჰყავდა, რამაც საბოლოოდ ჰომოსექსუალისტების მთელი თანავარსკვლავედი შეადგინა, რომელშიც ყველას თავისი განსაზღვრული ადგილი ეკავა სხვების მიმართ. ლევი ისმენდა ამ ახსნა-განმარტებებს და თვალწინ მთელი სამყარო წარმოუდგა, ჩაკეტილი საზოგადოება, რომელიც თავისი კანონების მიხედვით ცხოვრობდა.

ალექსანდრი აღწერდა, როგორ ეცნობოდნენ სიაში მოყვანილი მამაკაცები ერთმანეთს სრულიად უწყინარ ვითარებაში - პურის რიგში დგომისას ან სასადილოში ერთ მაგიდასთან სადილობისას. მსგავს გარემოში სრულიად უწყინარ საუბარსაც კი უფრთხოდნენ და საკუთარ თავს მხოლოდ თვალის ზერელედ შევლების უფლებას თუ აძლევდნენ, იმასაც მოჩვენებითი ცნობისმოყვარეობით ნიღბავდნენ. ასე ურთიერთშეთანხმების ან ზემოდან გაცემული ბრძანების გამო კი არ იქცეოდნენ, არა, ამის ახსნა არავის სჭირდებოდა, ამას თვითგადარჩენის ინსტინქტი კარნახობდათ.

როგორც კი ქალაქს დაპატიმრებების პირველმა ტალღამ გადაუარა, ამ ადამიანებს შორის ხმა გავრცელდა დაწყებული წმენდის შესახებ. საიდუმლო შეხვედრებისთვის განკუთვნილ ადგილებში, ასეთად უკვე რომ

აღარ მიიჩნეოდა, აღარავინ მიდიოდა. მაგრამ სასოწარკვეთილებისგან გამოწვეული ეს სიფრთხილე უსარგებლო აღმოჩნდა. მილიციას კონკრეტული გვარებისგან შემდგარი სია ჰქონდა. მათ განცალკევებულ, მყუდრო სამყაროს აღარაფერი იცავდა. ნესტეროვს სულ არ სჭირდებოდა თითოეული მათგანის სექსუალურად მაკომპრომეტირებელ ვითარებაში გამოჭერა. როდესაც საკუთარი გვარი სიაში აღმოაჩინეს და მიხვდნენ, რომ მათ რიგებში მოღალატე აღმოჩნდა, მამაკაცთა უმრავლესობამ დანებება არჩია.

იმ წყალქვეშა ნავებივით, დიდი ხნის განმავლობაში ზედაპირზე რომ არ ჩანდნენ, უეცრად დარწმუნდნენ, რომ მათი საიდუმლო მთელმა ქვეყანამ შეიტყო. ისინი საკუთარი ნების წინააღმდეგ ამოცურდნენ წყლიდან და სასტიკი არჩევანის წინაშე დადგნენ, თუ ამას არჩევანი შეიძლება ეწოდოს: მათ ან საჯაროდ შეარცხვენდნენ, შესაბამის სასჯელს, დაპატიმრებას და მისთანებს გამოუწერდნენ, ან თავიანთი წრიდან ის უნდა ამოერჩიათ, ვინც ბიჭის სასტიკ მკვლელობაზე იყო პასუხისმგებელი.

როგორც ლევი მიხვდა, ნესტეროვის აზრით, ამ ადამიანებს რაღაც ავადმყოფობა სჭირდათ.

და თუ ზოგიერთი მათგანი მხოლოდ უქეიფოდ იყო და სხვა მამაკაცებისადმი ლტოლვა ისე ტანჯავდა, როგორც ნორმალურ ადამიანს მუდმივი თავის ტკივილი, სხვებში ავადმყოფობა უფრო მძიმედ მიმდინარეობდა, რაც პატარა ბიჭებისკენ დაუოკებელ სწრაფვას გულისხმობდა.

და ერთ-ერთი ასეთი მკვლელი იყო.

როდესაც ლევი მათ დანაშაულის ადგილისა და მუცელგაფატრული ბიჭის ფოტოსურათებს უჩვენებდა, ყველა ეჭვმიტანილი ერთნაირად რეაგირებდა: ისინი შეძრწუნებას ვერ მალავდნენ, თუმცა, შესაძლოა, თავს მარჯვედ იკატუნებდნენ. ვის შეეძლო ამგვარი საშინელების ჩადენა?

არა, ეს მათი წრიდან ვერ იქნებოდა, მათ ასეთი ნაცნობები არ ჰყავდათ. არც ერთ მათგანს ბიჭები არ აინტერესებდა. ბევრს შვილები და შვილიშვილებიც კი ჰყავდა. ასეც პასუხობდნენ.

ყველანი ამტკიცებდნენ, რომ არაფერი იცოდნენ მათ შორის მკვლელის არსებობის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელს არ დააფარებდნენ. ნესტეროვი მთავარი ეჭვმიტანილის შეპყრობას ერთ კვირაში ვარაუდობდა, მაგრამ შვიდი დღის გასვლის შემდეგ მილიცია გაწეულ სამუშაოში სხვა ვერაფრით დაიტრაბახებდა, თუ არა გაფართოებული სიით. იგი ახალი გვარებით შეივსო, რომელთაგანაც ბევრი იქ პირადი შუღლის გამო

მოხვდა. სია სასტიკ და ულმობელ იარადად იქცა. მილიციის თანამშრომლები მასში საკუთარ მტრებსაც ამატებდნენ, რასაც იმით ხსნიდნენ, თითქოს ეს გვარები დაკითხვისას ამოტივტივდა. როგორც კი ადამიანი ამ სიაში ხვდებოდა, საკუთარ უდანაშაულობას ვეღარაფრით დაამტკიცებდა. შესაბამისად, დაკავებულთა რაოდენობა ასიდან თითქმის ას ორმოცდაათამდე გაიზარდა.

პროგრესის არარსებობით იმედგაცრუებულმა ადგილობრივმა МГБ-მ წინადადება წამოაყენა, რომ დაკითხვას თვითონ გაუძღვებოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ საქმეში წამება ჩაერეოდა.

ლევს თავზარი დასცა ნესტეროვის თანხმობამ, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა ოთახის იატაკი წითლად შეიღება, წინ მაინც ვერ წაიწიეს. ნესტეროვს სხვა არაფერი რჩებოდა, თუ არა ას ორმოცდაათივე მამაკაცის სამართლებრივი დევნის დაწყება იმ იმედით, რომ ეს ვინმეს მაინც აალაპარაკებდა. დამცირება და წამება საკმარისი არ აღმოჩნდა: ეჭვმიტანილები უნდა მიმხვდარიყვნენ, რომ შესაძლოა, სიცოცხლესაც გამოსალმებოდნენ. თუ მოსამართლეს შესაბამის მითითებას მისცემდნენ, თითოეული მათგანი ხუთ წელს კი არ მიიღებდა მამათმავლობის გამო, არამედ ოცდახუთს - პოლიტიკური დივერსიისთვის. მათი სექსუალური მიდრეკილებები ერის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად აღიქმებოდა. ამგვარ პერსპექტივას სამმა მამაკაცმა ვერ გაუძლო და მათ ჩვენების მიცემა დაიწყეს. მაგრამ სამივენი სხვადასხვა გვარს ასახელებდნენ. ნესტეროვი ჯიუტად არ აღიარებდა, რომ მისი ვერსია მცდარი გამოდგა და გამოძიება ჩიხში შევიდა. მან საკუთარი თავი დაარწმუნა, რომ საქმე მახინჯ დანაშაულებრივ სოლიდარობასთან, გარყვნილთა თავისებურ ღირსებასთან ჰქონდა.

მოთმინებიდან საბოლოოდ გამოსულმა ლევმა თავის უშუალო უფროსს მიმართა: – ეს ხალხი უდანაშაულოა.

თვალებგაფართოებული ნესტეროვი ყურებს არ უჯერებდა.

- პირიქით, ყველანი დამნაშავეები არიან. მათ შორის ერთ-ერთი კი მკვლელიცაა.

***

რაისა უყურებდა, როგორ აბაკუნებდა ლევი ფეხებს. ჭუჭყიანი თოვლი ჩექმებიდან იატაკზე ცვიოდა. კაცი თავდახრილი იდგა, ცოლს ვერ ამჩნევდა. ქალი უეცრად მიხვდა, რომ საოცრად უჭირდა იმედგაცრუებული

ქმრის ხილვა. ლევს სჯეროდა, გულწრფელად სჯეროდა, რომ ხელახალი გამოძიება წარმატებით დასრულდებოდა. იმედს მონანიების გულუბრყვილო ოცნებას - მართლმსაჯულების დასკვნით აქტს უკავშირებდა. სწორედ ამ იდეას დასცინა რაისამ ტყეში იმ ღამით, მაგრამ ბედი გაცილებით სასტიკად მოექცა. სამართლიანობისთვის ბრძოლის პროცესში ტერორმა და შიშმა აიწყვიტა. მკვლელის ძებნაში ას ორმოცდაათი კაცი სიცოცხლეს გამოესალმებოდა, თუ პირდაპირი არა, გადატანითი მნიშვნელობით მაინც - ისინი თავიანთ ოჯახებსა და სახლებს დაკარგავდნენ. ახლა, როცა მხრებში მოხრილ და დამწუხრებულ ქმარს შესცქეროდა, რაისამ მოულოდნელად გააცნობიერა, რომ ლევს ყოველთვის გულწრფელად სჯეროდა იმის, რასაც აკეთებდა. მისთვის უცხო იყო ცინიზმი და ანგარიშიანობა. ასევე სჯეროდა მათი ქორწინებისაც - სწამდა, რომ მათ ერთმანეთთან სიყვარული აკავშირებდა, მაგრამ ყველა მისი ნალოლიავები ოცნება ქვეყნისა თუ მათი ურთიერთობის შესახებ ხუხულასავით ჩამოიშალა. რაისას შურდა ქმრის. ახლაც კი, მას შემდეგ, რაც უკვე მოხდა, ლევს კიდევ ჰქონდა რადაცის იმედი. კვლავაც სურდა, რომ ერწმუნა. რაისამ ნაბიჯი წინ გადადგა, საწოლზე მის გვერდით ჩამოჯდა და მორიდებით შეეხო ხელზე. ლევმა მას გაოცებული მზერა მიაპყრო, მაგრამ არაფერი უთქვამს, ცოლის ალერსი მადლიერებით მიიღო. ისინი ახლა ერთად შესცქეროდნენ თოვლის დნობას.

30 მარტი ბავშვთა სახლი განეთავსებინათ #80 აგურის ხუთსართულიან შენობაში, რომლის გვერდით კედელზეც გახუნებული თეთრი ასოებით ეწერა: „დაუღალავი შრომა სიცოცხლის საწინდარია!“ სახურავზე აქა-იქ საკვამური ამოჩრილიყო. ფანჯრებზე ფარდების ნაცვლად დალაქავებული ნაჭრები ეკიდა, ამიტომ ვერავინ გაარჩევდა, შიგნით რა ხდებოდა. ლევმა კარზე დააკაკუნა.

არავინ უპასუხა. მაშინ სახელური მოსინჯა. კარი დაკეტილი აღმოჩნდა. ლევმა ფანჯრისკენ გადაინაცვლა და შუშაზე აათამაშა თითები. ვიღაცამ ნაჭერი გადასწია, წამით ქალიშვილის სახემ ჭუჭყიან მოჩვენებასავით გაიელვა და ფარდა თავის ადგილს დაუბრუნდა. ლევს თან ახლდა მოისეევი, მილიციის ოფიცერი, რომელიც, მისი აზრით, ფორმაში გამოწყობილი ჩხუბისთავი იყო. ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ შესასვლელი კარი მაინც გაიღო. ახლა მათ ხანდაზმული მამაკაცი მისჩერებოდა, რომელსაც ხელში თითბრის გასაღებების მოზრდილი აცმა ეჭირა. ფორმიანი

ხალხის დანახვაზე გაღიზიანება მოწიწებით შეეცვალა. მან თავი ოდნავ დახარა.

- რით შემიძლია გემსახუროთ?

- ჩვენ აქ მოკლული ბიჭის გამო ვართ.

ბავშვთა სახლისთვის ყოფილი ქარხნის რომელიღაც საამქრო დაეთმოთ, საიდანაც მოწყობილობა-დანადგარები გაეტანათ. ქვედა სართულის დიდ ფართობზე ახლა სასადილო იყო. ასე სკამებისა და თეფშებითა და ჩანგლებით გაწყობილი მაგიდების გამო კი არ ერქვა, რომელთაც თვალს ვერსად მოჰკრავდით. არა, მხოლოდ იმიტომ, რომ იატაკზე ფეხმორთხმით, მწკრივებად ისხდნენ ბავშვები, რომლებიც ერთმანეთს წყვილ-წყვილად ზურგით მიყრდნობოდნენ და სადილობას ცდილობდნენ. ხელებით ეკავათ რაღაც წვნიანით სავსე ხის ჯამები, რომელიც ბოსტნეულის წყალწყალა სუპს ჰგავდა. კოვზები მხოლოდ უფროს აღსაზრდელებს ჰქონდათ. დანარჩენები ან თავის რიგს ელოდებოდნენ, ან ჯამები პირთან მიეტანათ და ხვრეპდნენ. ჭამის დასრულების შემდეგ კოვზს საგულდაგულოდ ლოკავდნენ და მეზობელს ისე აწვდიდნენ.

ლევი პირველად აღმოჩნდა სახელმწიფო ბავშვთა სახლში. მან ნაბიჯი წინ გადადგა და ოთახი ყურადღებით მოათვალიერა. აქ უამრავ პატარას მოეყარა თავი - ორასს, იქნებ სამასსაც კი. ოთხიდან თოთხმეტ წლამდე იქნებოდნენ. ლევს ყურადღებას არ აქცევდნენ - ან წვნიანს ხვრეპდნენ, ან კოვზს ელოდებოდნენ. ყველა დუმდა. ყოველი მხრიდან მხოლოდ ხის ჯამებში კოვზების ჩხაკაჩხუკი და პირის წკლაპუნი ისმოდა. ლევი ხანდაზმულ კაცს მიუბრუნდა.

- თქვენ ამ დაწესებულების დირექტორი ხართ?

დირექტორის კაბინეტი მეორე სართულზე მდებარეობდა. იქიდან მთელი ყოფილი საამქრო მოჩანდა, სადაც ახლა ბავშვები ისე ისხდნენ, მასობრივი წარმოების საგნები გეგონებოდათ.

ოთახში რამდენიმე მოზრდილი არასრულწლოვანი იმყოფებოდა. ისინი დირექტორის მაგიდაზე კარტს თამაშობდნენ. დირექტორმა ტაში შემოკრა.

- თქვენს ოთახში წადით.

ბიჭები ლევსა და მოისეევს მიაჩერდნენ. ლევის აზრით, მათი გაღიზიანება იმით აიხსნებოდა, რომ ვიღაცამ გაბედა და მათ რაღაც მიუთითა. ბავშვების თვალებში ჭკუა და ნაადრევად შეძენილი გამოცდილება იკითხებოდა. ისინი სიტყვის უთქმელად შექუჩდნენ ერთად ველური ძაღლე-

ბივით, მოხვეტეს კარტი და ასანთი, რომლებსაც კოჭების ნაცვლად იყენებდნენ, და კაბინეტიდან გავიდნენ.

მათი წასვლის შემდეგ დირექტორმა სასმელი დაისხა და ლევსა და მოისეევს ჟესტით დაჯდომა შესთავაზა. მოისეევი ასეც მოიქცა, ლევი კი იდგა და ოთახს ათვალიერებდა.

ლითონის კარადაში კარტოთეკა მოეწყოთ. ქვედა უჯრა დარტყმისგან გვარიანად შეჭყლეტილიყო. ზედა, ნახევრად ღია უჯრის კუთხეებიდან რომელიღაც დოკუმენტის დაჭმუჭნილი ფურცლები მოჩანდა.

- გაიგებდით, რომ ტყეში პატარა ბიჭი მოკლეს.

- თქვენმა კოლეგებმა უკვე მაჩვენეს მისი ფოტოსურათები და მკითხეს, ხომ არ გეცნობაო.

ვუპასუხე, არა-მეთქი.

- მაგრამ დანამდვილებით ვერ იტყვით, ყველა აღსაზრდელი აქ არის თუ არა, ხომ ასეა?

კაცმა ჩაფიქრებით მოისრისა ყურის ბიბილო.

- სამას ბავშვზე ოთხი აღმზრდელი ვართ. პატარები მოდიან და მიდიან. ახლები სისტემატურად ჩნდებიან. სწორად გამიგეთ - ქაღალდების საწერად აღარც ძალა გვრჩება და აღარც დრო.

- თქვენი დაწესებულების აღსაზრდელები პროსტიტუციას თუ მისდევენ?

- მოზრდილი ბავშვები იმას აკეთებენ, რაც მოესურვებათ. ყველას თვალს ვერც მივადევნებ.

თუ სვამენ? დიახ. პროსტიტუციას თუ მისდევენ? სრულიად შესაძლებელია, ოღონდ ჩემი ნებართვის გარეშე. ამასთან შეხება არა მაქვს და, ცხადია, არც სარგებლის მიღება მამოძრავებს. ჩემი მოვალეობა საჭმლითა და საცხოვრებლით მათი უზრუნველყოფაა. იმ რესურსებით, რაც გაგვაჩნია, საქმეს ძალიან კარგად ვუძღვები. თუმცა ამისთვის ჯილდოს არ ველოდები.

დირექტორი მათ ზემოთ, საძინებელი ოთახებისკენ გაუძღვა. საშხაპესთან ჩავლისას ჩაილაპარაკა: - თქვენ, ალბათ, ფიქრობთ, რომ ბავშვების ჯანმრთელობა არ მადარდებს. ცდებით, ყველაფერს ვაკეთებ, რაც შესაძლებელია. თვალყურს ვადევნებ, რომ კვირაში ერთხელ მაინც დაიბანონ, თვეში ერთხელ კი თმა გაიკრიჭონ და ტილები მოიცილონ. მათ ტანსაცმელს ვმდუღრავთ. ჩემს ბავშვთა სახლში ერთ ტილსაც ვერ აღმოა-

ჩენთ. აბა, შედით ნებისმიერ მსგავს დაწესებულებაში. იქ პატარებს თმა და წარბებიც კი მკბენარებით ჰყავთ სავსე.

- თუ შეიძლება, რომ ბავშვებს ერთი ერთზე დაველაპარაკოთ? იქნებ თქვენმა დასწრებამ შეაცბუნოს.

დირექტორს გაეღიმა.

- მათ დასაშინებლად მე არ გამოვდგები, მაგრამ თუ ასე გსურთ...

მან ხელი ასწია.

- მოზრდილები მეხუთე სართულზე ცხოვრობენ. ის მათი სუვერენული ტერიტორიაა.

სახურავქვეშ მდებარე საძინებელ ოთახში წამლად ერთი საწოლიც კი არ იდგა. აქა-იქ, იატაკზე, თხელი მატრასები ეფინა. ჩანდა, რომ აქაურები მაშინ სადილობდნენ, როცა სურდათ.

ალბათ, საუკეთესო ნაჭრები უკვე აერჩიათ და გადაესანსლათ კიდეც.

ლევი პირველივე ოთახში შევიდა. შეამჩნია, რომ კარს უკან გოგონა იმალებოდა. არც ფოლადის გაელვება გამორჩენია. ქალიშვილს დანა ეჭირა. მილიციელის ფორმის დანახვაზე მან იარაღი ქვედაკაბის ნაკეცებში დამალა.

- გვეგონა, ბიჭები იყავით. მათთვის აქ შემოსვლა არ შეიძლება.

თოთხმეტი-თექვსმეტი წლის ოცამდე გოგო ლევს დაძაბული სახით მიაჩერდა. უეცრად საკუთარი სიტყვები გაახსენდა, ანატოლი ბროდსკის რომ უთხრა, შენი მოკლული მეგობრის ქალიშვილები მოსკოვის ბავშვთა სახლში უსაფრთხოდ იქნებიანო. რა სულელურად და მაღალფარდოვნად ლაპარაკობდა მაშინ! ახლა კი მიხვდა, რომ ბროდსკი სიმართლეს ამბობდა.

ორი გოგონასთვის უკეთესი იქნებოდა, თუ საკუთარ თავს თვითონ მიხედავდნენ, ერთმანეთზეც უკეთ იზრუნებდნენ.

- ბიჭებს სად სძინავთ?

მოზარდები, რომელთაგან ზოგიერთი ლევმა დირექტორის კაბინეტში ნახა, თავიანთი საძინებლის შორეულ კუთხეში შეგროვილიყვნენ და მათ ელოდნენ. ლევი ოთახში შევიდა, ჩაიცუცქა და მუხლებზე ფოტოსურათებიანი ალბომი დაიდო.

- მინდა, ამ სურათებს დახედოთ, შემდეგ კი მითხრათ, ამ მამაკაცებიდან ვინმე ხომ არ აგეტორღიალათ, ან ფულს ხომ არ გთავაზობდათ სქესობრივი კავშირის სანაცვლოდ.

ბიჭები არც კი შერხეულან. მათი გამომეტყველების მიხედვით ლევი ვერაფერს მიხვდა.

- თქვენ არაფერი დაგიშავებიათ. მე მხოლოდ თქვენი დახმარება მჭირდება.

ლევმა ალბომი გაშალა და ნელა შეუდგა ფურცვლას. მოზარდები ფოტოსურათებს შესცქეროდნენ, მაგრამ რეაგირებას არ ახდენდნენ. ლევი ბოლომდე ჩავიდა, შემდეგ კი უკუმიმართულებით დასაწყისისკენ გამოუყვა. კვლავ არავითარი რეაქცია. უკვე ალბომის დახურვას აპირებდა, როდესაც მის უკან მდგარი ერთი ბიჭი წინ გამოვიდა და ერთ-ერთ ფოტოსურათს თითი დაადო.

– ეს კაცი არ გასვენებდა?

- გადამიხადეთ.

– მან გადაგიხადა?

– არა, გადამიხადეთ და გეტყვით.

ლევმა და მოისეევმა სამი მანეთი შეაგროვეს და მისცეს. ბიჭმა სწრაფად გადაფურცლა ალბომი, საჭირო გვერდს მიაგნო და ერთ-ერთ ფოტოსურათზე მიუთითა.

– ეს კაცი ჰგავს.

– მაშასადამე, ის სხვა იყო და არა ეს?

- ჰო, მაგრამ ერთმანეთს ძალიან ჰგვანან.

– ხომ არ იცი, რა ჰქვია?

– არა.

- მომიყევი მის შესახებ.

- გადამიხადეთ.

მოისეევმა უარის ნიშნად თავი გადააქნია.

- ჩვენ შეგვიძლია სპეკულაციის გულისთვის დაგაპატიმროთ.

ლევმა მას აღარ დააცადა და ბიჭს დარჩენილი ფულიც მისცა.

– სულ ეს არის, რაც მაქვს.

- ეგ კაცი საავადმყოფოში მუშაობს.

იგივე დღე ლევმა პისტოლეტი ამოიღო. ისინი შვიდი ნომერი სახლის ზედა სართულზე, დერეფნის ბოლოში, მე-14 ბინასთან იდგნენ. ეს მისამართი მათ საავადმყოფოს თანამშრომლებმა მისცეს. ეჭვმიტანილი ერთი კვირის განმავლობაში ბიულეტენზე იყო. МГБ-ს ოპერმუშაკები დაკითხვებში იყვნენ ჩართულნი, თორემ მას კარგა ხნის წინ გაესაუბრებოდ-

ნენ. გაირკვა, რომ იგი ქალაქში მცხოვრები ჰომოსექსუალისტების დაპატიმრების პირველივე ტალღის შემდეგ გამხდარიყო ავად.

ლევმა კარზე დააკაკუნა. პასუხს ვერ ეღირსნენ. თავ-თავიანთი გვარი და წოდება წარმოთქვეს და ბინაში შეშვება მოითხოვეს. კვლავ არავინ გამოეხმაურათ. მოისეევი უკვე საკეტზე ფეხის მირტყმას აპირებდა, როდესაც კარი გაიღო.

მისკენ მიმართული პისტოლეტების დანახვაზე ექიმმა ტიაპკინმა ხელები ასწია და უკან დაიხია. ლევმა ძლივს იცნო იგი. ეს სწორედ ის კაცი იყო, რომელიც მოკლული გოგონას ცხედრის დათვალიერებაში დაეხმარა, მოსკოვიდან გადმოყვანილი ცნობილი ექიმი. ახლა თმა ასწეწოდა, ველურივით იყურებოდა. გამხდარიყო. ტანსაცმელი დაჭმუჭნოდა. ლევს უკვე ენახა ხანგრძლივი მწუხარებისგან წელში გადატეხილი ადამიანები. მათი კუნთები ისე სწრაფად კარგავდა ფორმასა და ღონეს, იფიქრებდით, შიშს შეუჭამიაო.

ლევმა ფეხი ჰკრა კარს, ფართოდ შეაღო და ოთახი მოათვალიერა.

- მარტო ხართ?

– არა, პატარა შვილთან ერთად, მაგრამ მას სძინავს.

- რამდენი წლისაა?

– ოთხი თვის.

მოისეევმა ნაბიჯი წინ გადადგა და ტიაპკინს სახეში პისტოლეტის ტარი ჩაარტყა. ექიმი მუხლებზე დაეცა, გატეხილ ცხვირთან მიტანილ ხელებზე სისხლი ჩამოეღვარა.

- გაჩხრიკე, - უბრძანა მოისეევმა ლევს, თვითონ კი ბინის შემოვლას შეუდგა. ლევი დაიხარა, ტიაპკინს წამოდგომაში მიეხმარა, სამზარეულოში გაიყვანა და სკამზე დასვა.

– ცოლი სად არის?

- პროდუქტის საყიდლად გავიდა... მალე დაბრუნდება.

- საავადმყოფოში გვითხრეს, რომ ავად ხართ.

- მართალია... გარკვეულწილად. როდესაც დაპატიმრებების შესახებ გავიგე, მივხვდი, რომ მეც მომაკითხავდით. ეს მხოლოდ დროის საქმე იყო.

- მომიყევით, რა მოხდა.

- ალბათ, ჭკუაზე შევიშალე. სხვა ახსნა ვერ მომიძებნია. არ ვიცოდი, რამდენი წლის იყო.

ძალიან ახალგაზრდა ჩანდა. თხუთმეტი-თექვსმეტი წლის იქნებოდა. ისეთი ვინმე მჭირდებოდა, ვინც არ დამელაპარაკებოდა და არც სხვას უამბობდა ჩემ შესახებ. მასთან ხელმეორედ შეხვედრა არ მინდოდა. არც საუბარი. მხოლოდ ანონიმურობა მსურდა. ვიფიქრე, რომ არავინ მოუსმენდა ბავშვთა სახლში მცხოვრებ ობოლს. არავინ დაიჯერებდა მის ნათქვამს.

შემეძლო, ფული მიმეცა და ყველაფერი ამით დასრულდებოდა. უჩინარი ადამიანი მჭირდებოდა, ის, ვისაც ვერ ამჩნევენ, გესმით?

მოისეევმა სწრაფად დაათვალიერა ოთახები, სამზარეულოში დაბრუნდა და პისტოლეტი შეინახა. შემდეგ ტიაპკინს ხელი გატეხილ ცხვირში ჩაავლო და აქეთ-იქით გადაუტრიალა.

ტკივილისგან გაშმაგებული ექიმი აყვირდა. მეზობელ ოთახში ბავშვს გაეღვიძა და ატირდა.

- მაშასადამე, ბიჭებს ჟიმავ და ხოცავ, არა?

მოისეევმა ტიაპკინის ცხვირს ხელი გაუშვა. ექიმი იატაკზე დაეცა და მოიკუნტა. რაღაც დრო გავიდა, სანამ ლაპარაკს შეძლებდა.

- მასთან სქესობრივი კავშირი არ მქონია. ვერ გავბედე, თანაც არაფერი გამომივიდა.

შევთავაზე, ფულიც გადავუხადე, მაგრამ ვერაფერი შევძელი. ამიტომ თავი დავანებე და წამოვედი.

- ადექი. ახლა ჩვენთან ერთად წამოხვალ.

- ჩემი ცოლის დაბრუნებას უნდა დაველოდოთ. ბავშვს მარტო ვერ დავტოვებ.

- არაფერი მოუვა. ადექი.

- სისხლის შეჩერების უფლება მაინც მომეცით.

მოისეევმა თავი დაუქნია.

- სააბაზანოს კარი ღია დატოვე.

ტიაპკინი სამზარეულოდან სააბაზანოსკენ გავარდა და გასისხლიანებული ხელისგულის კვალი დატოვა კარზე, რომელიც, როგორც უბრძანეს, არ დაუკეტავს. მოისეევი ბინას ათვალიერებდა. ლევი მაშინვე მიხვდა, რომ იგი შურს შეეპყრო - ექიმს კარგი ბინა ჰქონდა.

ტიაპკინმა პირსაბანში წყალი მოუშვა, პირსახოცი დაასველა, სახეზე მიიდო, მათკენ ზურგით დადგა და თქვა: - პატიებას გთხოვთ იმისთვის, რაც ჩავიდინე, მაგრამ არავინ მომიკლავს. უნდა დამიჯეროთ.

არა იმიტომ, რომ საკუთარი რეპუტაციის გადარჩენა მსურს. ვიცი, რომ ჩემი საქმე წასულია, მაგრამ ბიჭის მკვლელი უნდა დაიჭიროთ.

მოისეევს მეტის მოთმენა აღარ შეეძლო.

- აბა, წავედით.

- წარმატებას გისურვებთ.

ამ სიტყვების გაგონებაზე ლევი სააბაზანოში შევარდა, ექიმს მხარში ხელი სტაცა და სახით თავისკენ მოაბრუნა. ტიაპკინს მკლავში შპრიცი გაერჭო. მას ფეხები მოეკვეთა და ჩაიკეცა.

ლევმა ხელი შეაშველა, იატაკზე დაუშვა და ვენიდან შპრიცი გამოაძრო. შემდეგ პულსი გაუსინჯა. ექიმი მკვდარი იყო. მოისეევი იდგა და მას ზემოდან დაჰყურებდა.

– არა უშავს, სამუშაო გაგვიადვილა.

ლევმა თავი ასწია. ზღურბლზე მაღაზიიდან დაბრუნებული ტიაპკინის ცოლი იდგა. ხელში ჩანთა ეჭირა, რომელშიც პროდუქტი ეწყო.

1-ლი აპრილი ალექსანდრმა ბილეთების სალაროს კარი მიხურა. ნესტეროვმა სიტყვა შეასრულა. მისი სექსუალური მიდრეკილების ამბავი არავის გაუგია. მგზავრები უცნაური გამომეტყველებით არ უმზერდნენ. მის ზურგს უკან არავინ ჩურჩულებდა. ოჯახს მისგან თავი შორს არ ეჭირა, დედას ძველებურად უყვარდა. მამა კვლავაც ემადლიერებოდა თავგამოდებული შრომისთვის. ორივე მშობელი ამაყობდა მისით, მაგრამ ამ სტატუს კვოს შენარჩუნების ფასი სია იყო მასში ჩამოთვლილი ასზე მეტი კაცით, რომლებიც დააპატიმრეს, სანამ იგი ბილეთებს ყიდდა, მგზავრების შეკითხვებს პასუხობდა და ყოველდღიურ, სხვადასხვა წვრილმან საქმეს აკეთებდა. მისი ცხოვრება ჩვეულ კალაპოტში ჩადგა. მშობლებთან ერთად ვახშმობდა, მამა საავადმყოფოში დაჰყავდა, სადგურის შენობაში სისუფთავეს იცავდა, გაზეთებს კითხულობდა.

ეგ არის, კინოში აღარ დადიოდა. აღარც ქალაქის ცენტრს სტუმრობდა. ეშინოდა, ისეთ ვინმეს არ შეხვედროდა, მაგალითად, მილიციის ოფიცერს, რომელიც ზიზღით შესცინებდა სახეში. მისი სამყარო საოცრად დაპატარავდა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ მაშინ მოხდა, როდესაც ალექსანდრმა თავის ოცნებაზე, რომ სპორტსმენი გამხდარიყო, უარი თქვა და საკუთარ თავს უთხრა, ამასაც ისე შევეგუები და მივეჩვევი, როგორც ადრე ვახერხებდიო.

სიმართლე ის იყო, რომ გამუდმებით იმაზე ფიქრობდა, მიხვდნენ თუ არა მისი წრის მამაკაცები მოღალატის ვინაობას. იქნებ მათ უკვე

უთხრეს. დაპატიმრებების რაოდენობითაც შეიძლებოდა მიხვედრა, რომ საკანში რამდენიმე კაცს ერთად სვამდნენ. მათ კი სხვა რა საქმე ჰქონდათ, თუ არა იმაზე ფიქრი, თუ ვინ შეადგინა სია. პირველად მოხდა, რომ დასამალი არაფერი ჰქონდათ. უეცრად ალექსანდრმა გააცნობიერა, რომ სიამოვნებით გაცვლიდა თავისუფლებას ერთ-ერთ ასეთ საკანში თავის სახალხოდ დამცირებაში, მაგრამ იქ გულთბილად არავინ შეხვდებოდა. აღარაფერი დარჩენოდა არც საკუთარი და არც მათი სამყაროდან.

ალექსანდრმა ბილეთების სალაროს კარი ჩაკეტა და მოსაცდელი დარბაზის კარზე დადებული ბოქლომი შეამოწმა. გასაღებები ჯიბეში ჩაიდო და პლატფორმაზე გავიდა. ვიღაც ცოლ-ქმარი მატარებელს ელოდებოდა. სახით კი ცნობდა მათ, მაგრამ სახელები არ იცოდა.

წყვილმა მას ხელი დაუქნია. თვითონაც იმავე ჟესტით უპასუხა. შემდეგ პლატფორმის კიდეს მიუახლოვდა და მოახლოებულ შემადგენლობას გახედა. მატარებელი სადგურში დროზე შემოდიოდა. ალექსანდრი ქვევით ჩახტა, რელსებს შორის დადგა, თავი მაღლა ასწია და ღამის ცას მიაჩერდა.

იმედი ჰქონდა, რომ დედ-მამა დაიჯერებდა იმას, რაც მათთვის დატოვებულ ბარათში დაწერა. მშობლებს უხსნიდა, რომ ვერაფრით სძლია გულგატეხილობას, რაც იმას გამოეწვია, რომ ოცნება ვერ აისრულა და სტაიერი ვერ გახდა. და ვერც ის აპატია საკუთარ თავს, რომ მამას იმედი გაუცრუა.

იგივე დღე ნესტეროვი თავის ოჯახს ახალი ბინის მიღებას ოთხი წლის განმავლობაში ჰპირდებოდა და ბოლო დრომდე ამას სისტემატურად უმეორებდა, მაგრამ ახლა აღარ სჯეროდა, რომ ახალ ბინას მისცემდნენ. როგორც ის, რომ თუ ცოლთან ერთად კვლავაც მუხლჩაუხრელად იმუშავებდა, მათი ძალისხმევა მატერიალურ კეთილდღეობაში გადაიზრდებოდა. ისინი კროპოტკინის ქუჩაზე ცხოვრობდნენ, ქალაქის განაპირას, ხეტყის სახერხი ქარხნების სიახლოვეს. აქ სახლებს ზერელედ, ყოველგვარი გეგმის გარეშე აგებდნენ და ისინი ერთმანეთისგან მხოლოდ ზომითა და ფორმით განსხვავდებოდნენ. როგორც კი თავისუფალ დროს მოიხელთებდა, ნესტეროვი თავისი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას ცდილობდა. დურგლობა ეხერხებოდა და უკვე გამოეცვალა ყველა ფანჯრის ჩარჩო და კარი. მაგრამ წლების გასვლასთან ერთად საძირკველი დაჯდა და სახლი ისე გადაიხარა, რომ შემოსასვლელი კარი ბოლომდე აღარ იღებოდა და მიწას ებჯინებოდა. რამდენიმე წლის წინ მან სახლს

მიშენება გაუკეთა, რომელიც სახელოსნოდ აქცია. იქ თავის ცოლთან, ინესასთან ერთად მაგიდებსა და სკამებს ამზადებდა და ოჯახს ავეჯს მატებდა. ისინი ამას მხოლოდ თავისთვის როდი აკეთებდნენ - ზოგჯერ მეზობლების შეკვეთებსაც იღებდნენ. მათ მხოლოდ მასალის მოტანა ევალებოდათ, საფასურს კი შეძლებისდაგვარად, საკვებით ან სასმლით იხდიდნენ.

მიუხედავად ამისა, თანდაყოლილ ნაკლს ვერაფერი გამოასწორებდა: სახლს წყალსადენი არ ჰქონდა, უახლოესი ჭა კი ფეხით ათი წუთის სავალზე იყო. არც კანალიზაცია ჰქონდათ - საპირფარეშო სახლის უკან იდგა. როდესაც აქ გადმოვიდნენ, კაცს შეხედვაც კი შეეზარებოდა, თანაც საცაა დაინგრეოდა. პატარა ორმო ამოეთხარათ, შიგნით შესვლაც ჭირდა, იქაურობა ისე ყარდა, რომ გაქცევა მოგინდებოდათ. ნესტეროვმა ახალი საპირფარეშო სხვა ადგილას დადგა, ღამღამობითაც მუშაობდა, სწრაფად რომ დაემთავრებინა. მყარი კედლები აღმართა, ღრმა ორმო ამოთხარა და ნახერხით სავსე კასრიც დადგა ზემოდან მოსაყრელად. და მაინც, მშვენივრად ხვდებოდა, რომ მისი ოჯახი ყოველგვარ კომფორტსა და ჰიგიენას იყო მოკლებული და არც მომავალში უნდა ჰქონოდა რამის გაუმჯობესების იმედი. არადა, ორმოცი წელი შესრულებოდა. ავტოქარხანაში მომუშავე ოცი წლის ბიყებს მასზე მეტ ხელფასს უხდიდნენ.

მისი ოცნება, ოჯახი ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველეყო, საბოლოოდ დაიმსხვრა.

კარზე დააკაკუნეს. უკვე გვიან იყო. ნესტეროვს, რომელსაც ფორმა ჯერაც არ გაეხადა, მოესმა, რომ ინესა წინკარში გავიდა. რამდენიმე წამის შემდეგ ქალი უკვე სამზარეულოში გამოჩნდა.

- შენთან არიან. სამსახურიდან, ვერ ვიცანი, ვინ არის.

გენერალი შემოსასვლელისკენ გაემართა. გარეთ ლევი იდგა. ნესტეროვი ცოლს მიუბრუნდა.

- მე თვითონ მივხედავ.

- იქნებ შინ შემოიყვანო?

- არა, ეს ცოტა დროს წაიღებს.

ინესამ ქმარს შეხედა და სახლში შებრუნდა. ნესტეროვი გარეთ გავიდა და კარი მიხურა.

ლევი მთელი გზა მორბოდა. ცნობამ ალექსანდრის დაღუპვის შესახებ სიფრთხილისა და კეთილგონიერების ნამცეციც არ დაუტოვა. აღარც იმედგაცრუებასა და მელანქოლიას გრძნობდა, მთელი კვირის განმავლო-

ბაში რომ არ ასვენებდა. თავი საშინელი, აბსურდული შარადის ნაწილად მიაჩნდა, გროტესკული ფარსის ერთ-ერთ პერსონაჟად - გულუბრყვილო მეოცნებედ, ჭეშმარიტებისკენ რომ მიისწრაფოდა, მაგრამ სადაც გაივლიდა, ყველგან ნგრევის კვალს ტოვებდა. მკვლელის დაყჭერის მისმა დაუოკებელმა სურვილმა შედეგად მხოლოდ სისხლის ღვრა მოიტანა. რაისამ ეს თავიდანვე იცოდა - ჯერ კიდევ ტყეში, თუნდაც ორი დღის წინაც, აფრთხილებდა. ის კი მაინც ჯიუტად არ ისვენებდა და პატარა ბავშვივით თავგადასავალს ეძებდა.

განა რას მიაღწევდა კინკილა კაცი?

პასუხი გამზადებული ჰქონდა: ორასამდე კაცის დაღუპვას, ახალგაზრდა მოლარის თვითმკვლელობასა და ექიმის სიკვდილს. ალექსანდრის შუაზე გადაჭრილი სხეული - აი, რა მოიტანა მისმა ძალისხმევამ. ამისთვის შეაგდო სასწორზე არა მარტო საკუთარი, არამედ რაისას სიცოცხლეც. ასეთი აღმოჩნდა მისი მონანიება.

– ალექსანდრი დაიღუპა. თავი მოიკლა. მატარებელს ჩაუვარდა.

ნესტეროვმა თავი დახარა.

- ძალზე სამწუხაროა. ჩვენ მას საკუთარ თავში გარკვევის შანსი მივეცით. შესაძლოა, ამის გაკეთება ვერ მოახერხა. ალბათ, ძალიან ავად იყო.

- მისი სიკვდილი ჩვენს კისერზეა.

- არა, ის ავად იყო.

- მხოლოდ ოცდაორი წლის იყო. მშობლები ჰყავდა, კინოში სიარული უყვარდა. ახლა კი მკვდარია. მაგრამ, სამაგიეროდ, თუ კიდევ ერთი ბავშვის გვამს მივაგნებთ, დანაშაულს ალექსანდრს ავკიდებთ და საქმესაც თვალის დახამხამებაში დავხურავთ.

- საკმარისია, გაჩუმდით.

- ასე რატომ იქცევით? ვიცი, რომ ამას ფულის გულისთვის არ აკეთებთ.

ლევმა დემონსტრაციულად შეათვალიერა ნესტეროვის დაცერებული სახლი. გენერალმა მიუგო: – ტიაპკინი საკუთარი დანაშაულის სიღრმეს ჩასწვდა და თავი ამიტომ მოიკლა.

–– როგორც კი ხალხის დაპატიმრება დავიწყეთ, იგი მიხვდა, რომ ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს გავესაუბრებოდით და მასზე გავიდოდით.

- მას საკმარისი ცოდნა ჰქონდა ქირურგიაში, რათა ბავშვისთვის კუჭი ამოეჭრა. მოგატყუათ, როდესაც ქალიშვილის გვამს ათვალიერებდით.

გამოძიებისთვის ხელის შეშლა სურდა.

მატყუარა და დამნაშავე აღმოჩნდა.

– მან სიმართლე მითხრა. გოგონას მართლა ამოაჭრეს კუჭი, პირი კი ხის ქერქით ამოუვსეს, ისევე, როგორც ბიჭსაც ამოკვეთეს კუჭი და პირში ხის ქერქი ჩააყარეს. ერთსაც და მეორესაც კოჭზე თოკი ჰქონდა მიბმული. ორივენი ერთმა კაცმა მოკლა, მაგრამ ეს არც ექიმი ტიაპკინი ყოფილა და არც ყმაწვილი ვარლამ ბაბინიჩი.

- შინ წადით.

- მოსკოვში პატარა ბიჭის გვამი აღმოაჩინეს, არკადი ერქვა, ხუთი წელიც არ შესრულებოდა.

საკუთარი თვალით არ მინახავს, მაგრამ მითხრეს, რომ შიშველი და მუცელგაფატრული ეგდო, პირი კი მიწით ჰქონდა სავსე. ეჭვი მაქვს, რომ ეს მიწა კი არა, ხის ქერქი იყო.

- მართლა? მაშ, მოსკოვში მოკლულ ბავშვს მიაგნეს? სწორედ რომ დროულია, ლევ. მაგრამ თქვენი არ მჯერა.

- არც მე მჯეროდა. ჩემ წინ დამწუხრებული ოჯახი იჯდა. მარწმუნებდნენ, შვილი მოგვიკლესო, მაგრამ არ დავუჯერე. ვუთხარი, ეს სიცრუეა-მეთქი. ვინ იცის, კიდევ რამდენი მკვლელობაა ჩაფარცხული და დავიწყებას მიცემული! ჩვენი სისტემა ისეა აწყობილი, რომ ადამიანს დაუსჯელად მოკვლის უფლებას აძლევს. ის კაცი კვლავაც არაერთ საზარელ დანაშაულს ჩაიდენს, ჩვენ კი უდანაშაულო ადამიანებს დავიჭერთ და მას თავისუფლად სეირნობის უფლებას მივცემთ.

ნესტეროვს არ სჯეროდა მის წინ მდგარი კაცის. მას არასდროს ენდობოდა და არც ახლა აპირებდა, სახელმწიფოს კრიტიკაში აჰყოლოდა. მან ლევს ზურგი შეაქცია და კარის სახელურს სწვდა.

ლევმა მას მხარში ხელი ჩაავლო და შემოატრიალა. ძალიან ახლოს იდგნენ ერთმანეთთან.

ლევს სურდა, გენერალი დაერწმუნებინა, ახალი, ლოგიკური და უზადო არგუმენტები მოეყვანა, მაგრამ საჭირო სიტყვებს ვეღარ მიაგნო და ხელი დაარტყა. კარგი, ძლიერი დარტყმა გამოვიდა.

ნესტეროვს თავი გვერდზე გადაუვარდა და ამ პოზაში გაშეშდა. შემდეგ ნელა შემობრუნდა ხელქვეითისკენ. ლევი ცდილობდა, ხმა არ ასთრთოლებოდა.

- ჩვენ ვერაფერს მივაღწიეთ.

ნესტეროვის დარტყმამ ლევი ძირს დასცა. იგი ზურგით დაენარცხა მიწას. ტკივილი არ უგრძნია. ჯერჯერობით მაინც. გენერალი მას ზემოდან დააცქერდა, თან ყბას ისრესდა.

– შინ წადი.

ლევი წამოდგა.

- ჩვენ ვერაფერს მივაღწიეთ, - გაიმეორა მან და ხელი მოიქნია. ნესტეროვმა აიცილა და თვითონ სცადა დარტყმა. ლევი დაიხარა და გაერიდა. მას არც ფიზიკური მომზადება აკლდა და არც მოხერხება. მაგრამ ნესტეროვი მასზე მძიმე იყო, თუმცა, ზორბა აღნაგობის მიუხედავად, საოცრად სწრაფად და მსუბუქად მოძრაობდა. ლევს დარტყმა მუცელში მოხვდა. იგი წელში მოიხარა და ნესტეროვმა ახლა დაუცველ ყბაში ლეწა. ლევი მუხლებზე დაეცა. იგრძნო, როგორ გაუსკდა კანი ყვრიმალზე. თვალები აუჭრელდა, წაბორძიკდა და პირქვე დაეცა. შემდეგ ზურგზე გადაბრუნდა და ცივი ჰაერი ხარბად შეისუნთქა. ნესტეროვი გაუნძრევლად ადგა თავზე.

- შინ წადი.

პასუხად ლევმა მას მუცელს ქვემოთ ფეხი ამოარტყა. ნესტეროვი შექანდა, ორად მოიკეცა და ხელები ნატკენ ადგილას მიიდო.

- ჩვენ ვერაფერს მი...

ლევმა სიტყვის დასრულება ვერ მოასწრო. ნესტეროვი მისკენ გაექანა, შეეჯახა და კვლავ მიწაზე დასცა. ამჯერად მთელი ტანით დააწვა ზემოდან და ცემა დაუწყო. ჯერ სახეში დაარტყა, შემდეგ მუცელში და ისევ სახეში. ლევი გაუნძრევლად იწვა და უდრტვინველად იტანდა დარტყმებს, რადგან შეწინააღმდეგების თავი აღარ ჰქონდა. ნესტეროვს თითებზე კანი გადაეყვლიფა და დაუსისხლიანდა. ბოლოს სუნთქვა შეეკრა და შეჩერდა. ლევი არ ინძრეოდა.

თვალები დაეხუყა. მარჯვენა ქუთუთო გახეთქილი წარბიდან ჩამოღვრილ სისხლს დაეფარა.

გენერალი წამოდგა, საცოდავ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის დანახვაზე თავი გაოცებით გადააქნია და კარისკენ დაიძრა, თან გასისხლიანებულ ხელებს შარვალზე იწმენდდა. ის იყო, ერთხელაც სწვდა სახელურს, რომ უკნიდან ხმაური შემოესმა.

ტკივილისგან დაღრეჯილი ლევი კვლავ ფეხზე იდგა. ბარბაცებდა, მაგრამ დამუშტული ხელები წინ გაეშვირა, თითქოს ბრძოლის გაგრძელებას აპირებდა. ისე ქანაობდა, როგორც გემბანზე მყოფი მეზღვაური

შტორმის დროს. ნესტეროვს თითქმის ვეღარ ხედავდა. მან ძლივს გასაგონი ხმით ჩაიჩურჩულა: - ჩვენ... ვერაფერს... მივაღწიეთ.

ნესტეროვი მობარბაცე ლევს შესცქეროდა. შემდეგ მიუახლოვდა, ხელები მომუშტა მისთვის ახალი დარტყმების მისაყენებლად. ლევმა ხელი მოუქნია - ეს ჰუკის უსუსურ მცდელობას ჰგავდა. ნესტეროვი განზე გადგა და ძლივს მოასწრო მეტოქისთვის ხელი შეეშველებინა, როდესაც ამ უკანასკნელს ფეხები მოეკვეთა და პირქვე უნდა დაცემულიყო.

***

ლევი სამზარეულოს მაგიდასთან იჯდა. ინესას ქურაზე წყალი შეეთბო და ჯამში დაესხა.

ნესტეროვმა ქსოვილის ნაჭერი დაასველა და ლევი სახის გაწმენდას შეუდგა. ტუჩი გახეთქოდა, წარბიდან სისხლი სდიოდა. კიდევ კარგი, მუცელი აღარ სტკიოდა. მან გულმკერდი და ნეკნები მოისინჯა - თითქოს არაფერი მოეტეხა. ეგ არის, რომ მარჯვენა თვალს ვეღარ ახელდა.

მიუხედავად ყველაფრისა, კიდევ კარგად გადარჩა და ნესტეროვის ყურადღებაც მიიქცია. ლევს აინტერესებდა, მისი არგუმენტები შინ უფრო დამაჯერებლად ხომ არ გაიჟღერებდა, ვიდრე გარეთ. ან კვლავაც აგდებულად თუ მოეკიდებოდა ნესტეროვი მის სიტყვებს მეუღლის თანდასწრებით, როდესაც მეზობელ ოთახში მათ შვილებს ეძინათ.

- რამდენი ბავშვი გყავთ?

- ორი ბიყი, - მიუგო ინესამ.

- სკოლაში ტყის გავლით დადიან?

- დიახ, ადრე ასე დადიოდნენ.

- მაგრამ ახლა აღარ, არა?

- ვთხოვეთ, რომ ქალაქის გზით ევლოთ. ასე უფრო შორია, ამიტომ ხშირად წუწუნებენ.

იძულებული ვარ, გავაცილო და თვალი მივადევნო, რომ ტყისკენ არ გადაუხვიონ. აქეთობას კი ისღა დაგვრჩენია, ვენდოთ. ჩვენ ხომ ორივენი ვმუშაობთ.

– ხვალ ტყის გავლით წავლენ? მკვლელი ხომ დაჭერილია?

ნესტეროვი წამოდგა, ჭიქაში ჩაი დაასხა და ლევს წინ დაუდგა.

- უფრო მაგარს ხომ არ დალევდი?

– თუ გაქვს, კი.

ნესტეროვმა ნახევრამდე დაყვანილი არყის ბოთლი გამოიღო და სამ ჭიქაში დაასხა: თავისთვის, ცოლისა და ლევისთვის.

სასმელმა ლევს პირი აუწვა, თუმცა დეზინფექციისთვის ასე სჯობდა კიდეც. ნესტეროვი მაგიდას მიუჯდა და ლევს ჭიქა შეუვსო.

- ვოლსკში რატომ ხარ?

ლევმა გასისხლიანებული ნაყჭერი ჯამში ჩასხმულ წყალში გაავლო და თვალზე მიიდო.

- ამ ბავშვების მკვლელობის გამოსაძიებლად ჩამოვედი.

– ტყუილია.

ლევს ამ კაცის ნდობა უნდა მოეპოვებინა. მისი დახმარების გარეშე ვერაფერს გახდებოდა.

- მართალი ხართ. მაგრამ მოსკოვში მართლა მოხდა ერთი მკვლელობა. ჩემთვის მისი გამოძიება არ დაუვალებიათ. პირიქით, მიბრძანეს, მიმეჩუმათებინა, რათა ზედმეტი ხმაური არ ატეხილიყო. საქმე ცუდად მას შემდეგ წამივიდა, რაც ჩემი ცოლის ჯაშუშად გამოცხადებას არ დავეთანხმე და ყოველმხრივ შევეწინააღმდეგე. ჰოდა, ამით საკუთარი თავის კომპრომეტირება მოვახდინე. სასჯელის სახით კი აქ გადმომიყვანეს.

- მაშასადამე, სინამდვილეში შერისხული ოფიცერი ხარ?

– დიახ.

– თუ ასეა, აქ ასე რატომ იქცევი?

- იმიტომ, რომ სამი ბავშვია მოკლული.

- არ გჯგერა, რომ ლარისა ვარლამ ბაბინიჩმა მოკლა, რადგან ფიქრობ, რომ ლარისა სულაც არ არის პირველი მსხვერპლი. ასეა?

- ლარისა პირველი მსხვერპლი არ ყოფილა. ვერც იქნებოდა. იმ კაცს მსგავსი რამ ადრეც ჩაუდენია. ისიც სავსებით შესაძლებელია, არც ის მოსკოველი ბიჭი იყოს პირველი მსხვერპლი.

- ლარისა პირველი ბავშვია, რომელიც ამ ქალაქში მოკლეს. გეფიცები, ეს სიმართლეა.

- მკვლელი ვოლსკში არ ცხოვრობს. ყველა დანაშაული რკინიგზის სიახლოვეს ხდება.

დამნაშავე მატარებლით გადაადგილდება.

- მატარებლით? და ბავშვებს ხოცავს? ასეთი ვინ არის?

- არ ვიცი. თუმცა მოსკოვში ცხოვრობს ერთი ქალი, რომელმაც მას თვალი მოჰკრა. იმ მოწმეს მისი აღწერაც შეუძლია. მაგრამ ჩვენ

სვერდლოვსკსა და ლენინგრადს შორის მდებარე ყველა მსხვილი ქალაქიდან გვჭირდება ინფორმაცია მკვლელობების შესახებ.

- ცენტრალიზებული კარტოთეკა არ არსებობს.

- ამიტომაც თვითონ მოგიწევთ ამ ქალაქებში ჩასვლა და მკვლელობის საქმეების შეგროვება. უნდა დაარწმუნოთ ადგილობრივი ოპერმუშაკები, რომ თუ უარს გეტყვიან, იძულებული გახდებით, მოსახლეობას გაესაუბროთ და დეტალები მათგან შეიტყოთ.

საკმაოდ სულელური წინადადება იყო. წესით, ნესტეროვს უნდა გასცინებოდა და ლევი დაეპატიმრებინა, მაგრამ ამის მაგივრად იკითხა: – რატომ უნდა გავაკეთო ეს შენთვის?

- ჩემთვის არა. ხომ ნახეთ, როგორ ეპყრობა ბავშვებს. ეს იმ ადამიანებისთვის გააკეთეთ, ჩვენ გარშემო რომ ცხოვრობენ: მეზობლებისთვის, მათთვის, ვისთან ერთადაც მატარებლით გვიწევს მგზავრობა, იმ ბავშვებისთვის, რომლებსაც არ ვიცნობთ და ვერც ვერასდროს გავიცნობთ. მე საკმარისი ძალაუფლება არა მაქვს ამ ინფორმაციის გამოსათხოვად. მილიციაში არავის ვიცნობ, თქვენ კი იცნობთ მათ, ისინიც გენდობიან. ამ საქმეების მიღება არ გაგიჭირდებათ. ბავშვების მკვლელობის საქმეებით დაინტერესდით - გახსნილით თუ გაუხსნელით. მათ მსგავსი ხელწერა უნდა ახასიათებდეთ: ხის ქერქით გავსებული პირი და ამოცლილი კუჭი. მათი ცხედრები, სავარაუდოდ, უკაცრიელ ადგილებში იქნება ნაპოვნი: ტყეში, მდინარის ნაპირას, შესაძლოა, რკინიგზის სიახლოვეს. და ყოველ მათგანს კოჭზე თოკი უნდა ჰქონოდა განასკვული.

- და თუ ვერაფერს მივაგნებ?

- თუ ამჟამად სამი საქმეა, რომლებსაც შემთხვევით წავაწყდი, მომავალში მათი რიცხვი საგრძნობლად გაიზრდება.

- დიდ რისკზე მომიწევს წასვლა.

- დიახ. ტყუილის თქმაც მოგიწევთ. ნამდვილ მიზეზს ვერავის გაუმხელთ. ამის შესახებ ვერც ხელქვეით ოფიცრებს ეტყვით. ვერავის ენდობით. ამ გამბედაობის წყალობით თქვენი ოჯახი შესაძლოა, გულაგში აღმოჩნდეს, თვითონ კი დაიღუპოთ. აი, ეს არის ჩემი წინადადება.

ლევმა მაგიდის თავზე გენერალს ხელი გაუწოდა.

- დამეხმარებით?

ნესტეროვი ფანჯრისკენ გაემართა და ცოლის გვერდით დადგა. ქალი მას არ უყურებდა, ჩაფიქრებული სახით ხელში არყიან ჭიქას ათამაშებ-

და. იყო კი კაცი მზად იმისთვის, რომ ოჯახი, სახლი და სამსახური საფრ-
თხეში ჩაეგდო?

– არა.

სამი თვის შემდეგ

როსტოვის ოლქის სამხრეთ-აღმოსავლეთი

ქალაქ გუკოვის დასავლეთით
2 აპრილი

პეტიას გამთენიისას გაეღვიძა. იჯდა სახლის ცივ ქვის საფეხურებზე და მოუთმენლად ელოდებოდა მზის ამოსვლას, რათა მშობლებისგან ქალაქში წასვლის ნებართვა აეღო. ჯიბის ფულს რამდენიმე თვე აგროვებდა და ახლა თავისუფლად ეყოფოდა კიდევ ერთი მარკის საყიდლად, რომელსაც თავისი ალბომის ბოლო გვერდზე ჩააკრავდა. პირველი მარკა მამამ აჩუქა დაბადების დღეზე, როდესაც ხუთი წელი შეუსრულდა. თვითონ არ სთხოვდა, მაგრამ თანდათანობით ისე გაიტაცა ახალმა საქმემ, რომ აზარტში გადაეზარდა. ბოლო ორი თვის განმავლობაში ყველა მარკა დასცინცლა მეზობლებსა და მე-12 კოლმეურნეობის სხვა ოჯახებს, სადაც მისი მშობლები იყვნენ მიწერილნი. მეზობელ ქალაქში, გუკოვოშიც კი გააბა ნაცნობობა საქმის გასაფართოებლად. როდესაც კოლექცია საკმაოდ გაეზარდა, იყიდა უბრალო სახატავი ალბომი, რომელშიც ყოველ გვერდზე აკურატულად აკრავდა მარკებს. რომ არ დაზიანებოდა, ალბომს მამის მიერ სპეციალურად გაკეთებულ ხის ყუთში ინახავდა. იქამდე კი დიდ გაწამაწიაში იყო, ღამითაც ვერ ისვენებდა - ხშირად წამოხტებოდა ხოლმე იმის შესამოწმებლად, სახურავიდან ჩამოსული წვიმა ალბომს ხომ არ დაესხა და გააფუჭა, ან ვირთხებმა ხომ არ დაღრღნეს ფურცლები. ამ კოლექციიდან ყველაზე მეტად მამის ნაჩუქარი პირველი ოთხი მარკა უყვარდა.

დროგამოშვებით მშობლები თითო კაპიკს აძლევდნენ, ოღონდ არა ზედმეტ კაპიკს. უკვე დიდი იყო და კარგად იცოდა, რომ მის ოჯახს ზედმეტი ფული არ ჰქონდა. სანაცვლოდ, პეტია ყოველთვის ცდილობდა, მშობლებს დახმარებოდა, სახლში რამე სამუშაო შეესრულებინა.

ფულს დიდხანს აგროვებდა, რამდენიმე თვის განმავლობაში, თან ფიქრობდა, რომელი მარკა ეყიდა. წუხელ კიდევ ერთი კაპიკი მისცეს,

თუმცა, დედის აზრით, საჩუქრისთვის ცუდი დრო შეარჩიეს - მას მარკების საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, მაგრამ ეშინოდა, ვაითუ, ბიჭმა აღელვებისგან დაძინება ვეღარ შეძლოსო. არც შემცდარა.

როდესაც მზე ამოიწვერა, პეტია საჩქაროდ სახლში შევიდა. დედა მოითხოვდა, რომ სადმე გამგზავრებამდე აუცილებლად ერთი თეფში შვრიის ფაფა ეჭამა. პეტია სწრაფად შეუდგა ყლაპვას. ყურადღებას არ აქცევდა დედის ნათქვამს, ასე მუცელი აგტკივდებაო. როგორც კი დაამთავრა, სახლიდან გავარდა და სოფლის გზისკენ მოკურცხლა, რომელიც მინდვრების გავლით ქალაქისკენ მიემართებოდა. მალე სვლა შეანელა. მაღაზიები ჯერ ღია არ იქნებოდა.

ჯერჯერობით კი შეეძლო მოსალოდნელი სიამოვნებით დამტკბარიყო.

გუკოვოში ის მაღაზია, რომელიც გაზეთებითა და მარკებით ვაჭრობდა, დაკეტილი დახვდა.

საათი არ ჰქონდა. არც ის იცოდა, როდის გააღებდნენ, მაგრამ ლოდინი სულაც არ ეხამუშებოდა. რა ჯობდა ქალაქში ყოფნასა და იმის ცოდნას, რომ ახალი მარკის შესაძენად საკმარისი ფული ჰქონდა. პეტია უმიზნოდ შეუდგა ქუჩებში ხეტიალს. ელექტრომატარებლების სადგურშიც შეიარა. იქ ხომ საათი ეკიდა. რვას ათი წუთი აკლდა. მალე მატარებელი გავიდოდა და პეტიამ გადაწყვიტა, ენახა, ეს როგორ მოხდებოდა. პლატფორმაზე გავიდა და ძელსკამზე ჩამოჯდა. ამ მატარებლით უკვე ემგზავრა და იცოდა, რომ იგი ნელა მოძრაობდა და როსტოვამდე ყველა დიდ თუ პატარა სადგურზე ჩერდებოდა. თვითონ არასდროს გასცილებოდა როსტოვს, სადაც ერთხელ მშობლებთან ერთად ჩავიდა. ზოგჯერ კლასელებთან ერთად მატარებელში ჯდებოდა - ისე, უბრალოდ, რადგან ამაში ფულს არ იხდიდა, კონტროლიორები ბილეთებს ხომ ძალზე იშვიათად ამოწმებდნენ.

ის იყო, ჯიხურთან დაბრუნებასა და მარკის ყიდვას აპირებდა, რომ გვერდით ვიღაც კაცი მიუჯდა. კარგად ეცვა, ხელში შავი პორტფელი ეჭირა, რომელიც მიწაზე, ფეხებს შორის დადო, თითქოს ეშინოდა, ვინმეს არ მოეპარა. პეტიამ მას სახეში შეხედა. კაცს სქელი, კვადრატულშუშებიანი სათვალე ეკეთა. შავი თმა კოხტად გადაევარცხნა. კოსტიუმი ეცვა. პეტია ვერაფრით მიხვდა, რამდენი წლის იქნებოდა უცნობი. მოხუცს არ ჰგავდა, თუმცა საფეთქლებთან თმა შევერცხლოდა. არც ახალგაზრდა ეთქმოდა. იჯდა და პეტიას თითქოს ყურადღებასაც არ აქცევდა. ბიჭმა წამოდგომა და წასვლა დააპირა. კაცმა უეცრად მისკენ გაიხედა და გაიღიმა.

- დღეს საით მიემგზავრები?

- არსად. მატარებელს ვგულისხმობ. უბრალოდ, ვზივარ.

პეტიას ნასწავლი ჰქონდა, რომ უფროსებთან ყოველთვის თავაზიანად და ზრდილობიანად უნდა მოქცეულიყო.

- ვერ შეგირჩევია შესაფერისი ადგილი ასე უბრალოდ, უმიზნოდ ჯდომისთვის.

- ახალი მარკების ყიდვას ვაპირებ, მაგრამ ჯიხური ჯერ დაკეტილია. თუმცა, შესაძლოა, უკვე გაიხსნა კიდეც. ახლავე წავალ და ვნახავ.

ამის გაგონებაზე უცნობი მთელი ტანით შეტრიალდა პეტიასკენ.

- შენ რა, მარკებს აგროვებ?

– დიახ.

– შენს ასაკში მეც მარკებს გადაყოლილი ბიჭი ვიყავი.

პეტია კვლავ ჩამოჯდა სკამზე და მოდუნდა - სხვას არავის იცნობდა, ვინც მარკებს აგროვებდა.

- ახალს აგროვებდით თუ ნახმარს? მე ორივეს ვაგროვებ.

- მე მხოლოდ ახალი მარკები მქონდა. შენსავით ჯიხურში ვყიდულობდი.

- მეც მინდა, მხოლოდ ახალი მქონდეს, მაგრამ უმეტესობა ნახმარია, მე მათ ძველი კონვერტებიდან ვყრი.

პეტიამ ხელი ჯიბეში ჩაიყო, სპილენძის რამდენიმე მონეტა ამოიღო და უცნობს დაანახვა.

- სამი თვე ვაგროვებდი.

კაცმა მონეტების პატარა გროვას დახედა.

- დიდი ხანი გიგროვებია, თუმცა არც ისე ბევრი გამოსულა.

პეტიამ დახედა თავის ხელისგულს, რომელზეც მონეტები ეწყო. უცნობი სიმართლეს ამბობდა. ფული მართლა ცოტა ჰქონდა. თავში გაუელვა, რომ ის ბევრი არასდროს ექნებოდა.

სიამოვნებით ტკბობას სიმწარე შეერია. ვერასდროს გახდებოდა დიდი და ლამაზი კოლექციის მფლობელი. სხვებს ყველაფერი ყოველთვის მასზე მეტი ექნებოდათ და რამდენიც უნდა ემუშავა, მათ ვერასდროს გაუტოლდებოდა. გუნება საბოლოოდ წაუხდა და წასვლა დააპირა, როდესაც მამაკაცმა ჰკითხა: - შენ მოწესრიგებული ბიჭი ხარ?

– დიახ.

- მარკებს კარგად უვლი?

- ძალიან ვუფრთხილდები. ალბომში ვაკრავ. მამამ ხის ყუთი გამიკეთა, რათა ალბომი არ ებიან ჩვენს სახლში ზოგჯერ სახურავიდან წყალი ჩამოდის. ხანდახან ვირთხებიც - ალბომის უხიფათო ადგილას შენახვა ძალიან გონივრული საქციელია. მახსოვს, მეც ასე მოვიქეცი, როდესაც შენხელა ვიყავი. მარკებს კამოდის უჯრაში ვინახავდი.

როგორც ჩანს, უცნობს თავში რაღაც აზრი მოსვლოდა და მასზე ფიქრობდა.

- მომისმინე, მეც მყავს შვილები, ორი პატარა გოგონა, მაგრამ მათ მარკები სრულიად არ აინტერესებთ. თანაც ფეთხუმები არიან. მე კი მარკების მისახედად დრო არ მრჩება - ბევრს ვმუშაობ. ხომ გესმის? დარწმუნებული ვარ, შენი მშობლებიც ბევრს მუშაობენ.

- გამუდმებით. ძალიან გამრჯე და შრომისმოყვარე დედ-მამა მყავს.

- ისინი, ალბათ, მარკებისთვის ვერ იცლიან, არა?

- დიახ.

- მეც მათ მდგომარეობაში ვარ. აი, რა გავიფიქრე: მინდა, ჩემი კოლექცია იმას დარჩეს, ვინც მას დააფასებს და გაუფრთხილდება. ერთი სიტყვით, შენნაირ ადამიანს.

პეტიას თვალწინ წარმოუდგა ახალი მარკებით სავსე დიდი წიგნი, რომელსაც ეს კაცი ბავშვობიდან აგროვებდა. ისეთი კოლექცია ექნებოდა, როგორზეც ყოველთვის ოცნებობდა, მაგრამ არაფერი უთქვამს, ასეთი ბედნიერების არ სჯეროდა.

- რას იტყვი? დაგაინტერესა ჩემმა წინადადებამ?

- დიახ. მე მას ჩემს ყუთში ჩავდებდი და იქ არაფერი დაუშავდებოდა.

მაგრამ მამაკაცს ეტყობოდა, ბოლომდე არ სჯეროდა მისი. მან თავი ჩაფიქრებით გადააქნია.

- ჩემს წიგნში იმდენი მარკაა, რომ შენს პატარა ყუთში არ ჩაეტევა.

- მაშინ მამა უფრო დიდს გამიკეთებს. მას ეს კარგად გამოსდის. არც წინააღმდეგი იქნება.

უყვარს ასეთი საგნების კეთება. ოქროს ხელები აქვს.

- დარწმუნებული ხარ, რომ მარკებს კარგად მოუვლი?

– დიახ.

– სიტყვა მომეცი.

– სიტყვას გაძლევთ.

მამაკაცს გაეღიმა.

- ახლა კი დამარწმუნე. კარგი, მოგცემ ჩემს კოლექციას. მე აქედან მესამე გაჩერებაზე ვცხოვრობ. წამოდი, ბილეთს გიყიდი.

პეტია უკვე აპირებდა ეთქვა, ბილეთი არ მჭირდებაო, მაგრამ ენას კბილი დროზე დააჭირა.

არ უნდოდა იმის აღიარება, რომ ზოგჯერ წესებს არღვევდა. სანამ მარკებს მოიხელთებდა, ცდა არ უნდა დაეკლო, რომ მამაკაცს მასზე ცუდი არაფერი ეფიქრა.

***

პეტია ელექტრომატარებლის ხის სკამზე იჯდა, ფანჯრიდან ტყეს გაჰყურებდა და ფეხებს წინ და უკან აქანავებდა. ფეხსაცმლის წვერებით იატაკს ძლივს სწვდებოდა. ამჟამად ერთ პრობლემაზე ფიქრობდა - დაეხარჯა თუ არა ასეთი შრომით ნაშოვნი კაპიკები ახალი მარკის შესაძენად. ეს, ცოტა არ იყოს, ზედმეტად ეჩვენებოდა, იმის გათვალისწინებით, რომ მალე საჩუქრად ახალ დიდ ალბომს მიიღებდა. გადაწყვიტა, ფული მშობლებისთვის დაებრუნებინა.

კარგი იქნებოდა, თუ ისინი მის სიხარულს გაიზიარებდნენ. ფიქრიდან მამაკაცმა გამოიყვანა, რომელმაც ხელი მხარზე მსუბუქად მოუთათუნა.

- მოვედით.

მატარებელი ტყეში რომელიდაც სადგურზე, ქალაქ შახტიდან საკმაოდ შორს გაჩერდა. პეტია დაიბნა. ამ გაჩერებაზე, როგორც წესი, ის ხალხი ჩადიოდა, ვისაც ქალაქგარეთ დასვენება სურდა. პლატფორმიდან სხვადასხვა მხარეს მოსეირნეთა მიერ გათელილი ბილიკები მიემართებოდა, მაგრამ სეირნობისთვის არცთუ შესაფერისი დრო იდგა - თოვლი ახლახან გამდნარიყო და ტყე უსიცოცხლო და კუშტი ჩანდა. პეტია თანამგზავრს მიუბრუნდა და გაოცებით მიაჩერდა მის გაკრიალებულ ფეხსაცმელსა და შავ პორტფელს.

– აქ ცხოვრობთ?

მამაკაცმა უარყოფის ნიშნად თავი გადააქნია.

– აქ აგარაკი მაქვს. მარკებს შინ ვერ ვინახავ. მეშინია, ბავშვებმა არ მიაგნონ და ჭუჭყიანი ხელებით არ დასვარონ. მაგრამ ამ აგარაკის გაყიდვას ვაპირებ და ჩემს კოლექციას ვეღარსად შევინახავ.

იგი მატარებლიდან ჩავიდა. პეტია უკან მიჰყვა და ბაქანზე ჩახტა. მათ გარდა აქ არავინ ჩამოსულა.

მამაკაცი ტყისკენ მიმავალ ბილიკს დაადგა. პეტია ოდნავ ჩამორჩებოდა. აგარაკი ყველაფერს ნათელს ჰფენდა. ბიჭს არ ჰყავდა მდიდარი ნაცნობები, რომლებსაც აგარაკი ჰქონდათ, მაგრამ იცოდა, რომ მათ ხშირად ტბის ან ზღვის პირას აშენებდნენ. მამაკაცი მიდიოდა და თან ლაპარაკობდა.

- ცხადია, ძალიან გამიხარდებოდა, ჩემს გოგონებს ფილატელია რომ იტაცებდეთ, მაგრამ მარკები მათ სრულიად არ აინტერესებთ.

პეტიამ საკუთარ თავს ჰკითხა, ხომ არ ჯობია ამ კაცს ვურჩიო, თავის შვილებს ცოტა მეტი დრო მისცესო. თვითონაც ხომ უცებ არ გადაქცეულა ნამდვილ კოლექციონერად. მაგრამ საკმარისად ჭკვიანი იყო იმის მისახვედრად, რომ მისთვის უკეთესი იქნებოდა, თუ ის გოგონები მარკებისადმი ინტერესს არ გამოიჩენდნენ. ამიტომ ეს თემა აღარ განავრცო. მამაკაცმა ბილიკიდან გადაუხვია და ტყის სიღრმეში შევიდა. სიჩქარე არ შეუნელებია. ძალიან სწრაფად მიდიოდა. პეტია ცდილობდა, არ ჩამორჩენოდა და ზოგჯერ თითქმის სირბილით მისდევდა უკან.

- რა გქვიათ? მინდა, რომ მშობლებს იმ კაცის სახელი ვუთხრა, რომელმაც მარკები მაჩუქა - იმ შემთხვევისთვის, თუ არ დამიჯერებენ.

- მშობლებზე არ იდარდო. მათ ბარათს მივწერ, ავუხსნი, როგორ მოხვდა ალბომი შენთან.

ჩემს მისამართსაც მივუთითებ, რათა თვითონ დარწმუნდნენ, თუ მოისურვებენ.

- დიდი მადლობა.

- ანდრეი დამიძახე.

კაცმა ცოტა მანძილი კიდევ გაიარა, შეჩერდა და პორტფელის თავზე დაიხარა, ოღონდ არ გაუხსნია. პეტიაც შედგა და მიიხედ-მოიხედა, ეგებ აგარაკს თვალი მოვკრაო, მაგრამ ვერაფერი დაინახა. ალბათ, ჯერ არ მისულიყვნენ. მან სული მოითქვა, თავი უკან გადასწია და გაშიშვლებული ხეების ტოტებიდან ნაცრისფერ ცას მიაჩერდა.

***

ანდრეი დასცქეროდა ბიჭს, რომელსაც თავიდან სისხლი სდიოდა და საფეთქლის გავლით ლოყაზე ჩამოედინებოდა. იგი მუხლებზე დაეშვა, წაქცეულს კისერზე თითები მიადო და პულსი გაუსინჯა. ცოცხალი იყო. სწორედ ეს სჭირდებოდა. ბიჭი თოჯინასავით ზურგზე გადააბრუნა და ტანსაცმლის გახდა დაუწყო. ჯერ პალტო და პერანგი გახადა, შემდეგ -

ფეხსაცმელი და წინდები, ბოლოს - შარვალი და ტრუსი. ეს ყველაფერი აკრიფა, პორტფელი აიღო და ბიჭს ოციოდე ნაბიჯით დაშორდა. იქ წაქცეულ ხეს ამოეფარა, ტანსაცმელი მოისროლა, პორტფელი მიწაზე დადო, საკეტი გაატკაცუნა, უხეში თოკის გორგალი ამოიღო და ბიჭთან დაბრუნდა.

ყულფი გააკეთა, ბავშვს კოჭზე ჩამოაცვა და ოდნავ დაქაჩა იმაში დასარწმუნებლად, რომ კვანძს გახსნა არ ემუქრებოდა. ამის შემდეგ კვლავ ხისკენ გაემართა, თან გორგალს ისე აკურატულად შლიდა, თითქოს დინამიტებზე გამობმულ ბიკფორდის ზონარს ჭიმავდა. წაქცეულ ხეს რომ მიაღწია, მის უკან დაიმალა და მიწაზე გაწვა.

კარგი ადგილი შეერჩია. ხე მისთვის მოსახერხებლად დაცემულიყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ როდესაც ბიჭი გონზე მოვიდოდა, ანდრეის ვერ დაინახავდა. მან თოკს გახედა, მის ხელს ბავშვის კოჭთან რომ აერთებდა. გორგალში ათიოდე მეტრი კიდევ რჩებოდა. ძირითადი მოსამზადებელი სამუშაო დასრულდა. უეცრად ისე აღეგზნო, რომ მოშარდვა მოუნდა. ეშინოდა, ბიჭის გონზე მოსვლის მომენტი არ გამოჰპაროდა. ამიტომ გვერდზე გადაბრუნდა, შარვალი შეიხსნა და მიწიდან წამოუდგომლად მოისაქმა. როდესაც დაამთავრა, მშრალ ადგილზე გადაფოფხდა, ოღონდ სამალავი არ მიუტოვებია. ბიჭი კვალავაც უგონოდ იყო, თვითონ კი ბოლო სამზადისს უნდა შესდგომოდა. ანდრეიმ სათვალე მოიხსნა, ბუდეში მოათავსა და პიჯაკის შიგა ჯიბეში ჩაიდო. ახლა ბავშვი ბუნდოვან, გადღაბნილ ლაქად ეჩვენებოდა. თვალები მოჭუტა და მზერა დაძაბა. მხოლოდ ბიჭის ვარდისფერი კანის ზოლი დაინახა, რომელიც მკვეთრად მოჩანდა მიწის ფონზე. ანდრეიმ ხელი გაიწვდინა, ტოტი მოტეხა და ქერქის ღეჭვას შეუდგა. კბილები მაშინვე გაუუხეშდა და გაუყავისფრდა.

***

პეტიამ თვალი გაახილა და ნაცრისფერ ცასა და ხეების შემოძარცულ ტოტებს მიაჩერდა.

თავი გასისხლიანებოდა. ხელი მოისვა, თითებზე დაიხედა და ატირდა. შესცივდა. ტანზე არაფერი ეცვა. რა მოხდა? დაბნეული და თავგზააბნეული წამოჯდომასაც ვერ ბედავდა - ეშინოდა, კვლავ ის კაცი არ დავინახოო. რატომდაც დარწმუნებული იყო, რომ უცნობი შორიახლოს იმალებოდა. რა ექნა? ასე შიშველი ხომ ვერ იწვებოდა მიწაზე. შინ, მშობლებთან ყოფნა მოუნდა, რომლებიც ძალიან უყვარდა და ეჭვი არ ეპარებოდა,

რომ ისინიც სულში იძვრენდნენ. ტუჩები აუთრთოლდა, მთელი სხეული აუკანკალდა. წამოჯდა და სუნთქვაშეკრულმა მოათვალიერა არემარე. უცნობი არსად ჩანდა. პეტია შეტრიალდა და უკან მიიხედა, შემდეგ ჩაიცუცქა და ტყეს ჩააშტერდა. მარტო იყო. ღრმად და შვებით ამოისუნთქა.

ვერაფერს ხვდებოდა, თუმცა არც სურდა მიხვედრა.

ბოლოს ტანსაცმლის ძებნას შეუდგა. ვერსად მიაგნო. ახლა ამას არც ჰქონდა მნიშვნელობა.

წამოხტა და, შეძლებისდაგვარად, სწრაფად გაიქცა. შიშველი ფეხებით ჩამოცვენილ ფოთლებსა და წვიმისა და თოვლისგან გაჟღენთილ მიწას ეხებოდა, რასაც ჭყაპუნის ხმა მოსდევდა. ჯერ არ იცოდა, საჭირო მხარეს თუ გარბოდა, მაგრამ ძალიან კი უნდოდა, აქედან რაც შეიძლება შორს აღმოჩენილიყო.

მოულოდნელად მარჯვენა ფეხი წინააღმდეგობას წააწყდა, თითქოს ვიღაცამ ხელი სტაცა და დაქაჩა. თავი ვერ შეიკავა, წაბორძიკდა და პირქვე დაეცა. დრო არ დაუკარგავს, ზურგზე გადაბრუნდა და უკან მიიხედა. არავინ ჩანდა. ფეხი თუ წამოჰკრა რამეს. წამოხტომა დააპირა, როდესაც მარჯვენა კოჭზე გაკვანძული თოკი შეამჩნია. თვალი გააყოლა. თოკი მიწაზე ანკესის მკედივით იდო და მისგან დაახლოებით ორმოც ნაბიჯში წაქცეულ ხესთან მიდიოდა.

პეტიამ მარყუჟს ხელი ჩაავლო და კოჭიდან მოხსნა სცადა, მაგრამ თოკი მაგრად იყო განასკვული და კანზე მჭიდროდ შემოტმასნოდა. ვიღაცამ კვლავ დაქაჩა იგი, ამჯერად უფრო ძლიერად, და რაღაც მანძილზე გაათრია. ბიჭი მიწით დაისვარა, მაგრამ ამ დროს დაჭიმულობა შესუსტდა და ისიც შეჩერდა. ბიჭმა თავი ასწია. წაქცეულ ხესთან სწორედ ის საშინელი კაცი იდგა და თოკს ახვევდა. პეტია ხან ტოტებს ეჭიდებოდა, ხან ნოტიო მიწას, მაგრამ უშედეგოდ - თანდათანობით იმ კაცს უახლოვდებოდა. ბიჭმა მთელი ყურადღება კვანძზე გადაიტანა. თოკს ვერ გაწყვეტდა. ერთი გამოსავალი ჰქონდა - ტკივილის მიუხედავად ყულფი როგორმე ადგილიდან უნდა დაეძრა. პეტიამ კბილი კბილს დააჭირა, რათა არ დაეყვირა. შემდეგ ხელით ტალახი მოხვეტა და მარყუჟს წაუსვა. სწორედ იმ დროს, როდესაც კაცმა თოკი კვლავ დაქაჩა, პეტიამ ყულფის მოხსნა მოახერხა და თავი დაიხსნა. წამოხტა და გაიქცა.

ანდრეის ხელში მხოლოდ თოკი შერჩა. მის მეორე ბოლოზე არავინ იყო. მაინც დაქაჩა იგი და იგრძნო, როგორ მოაწვა სისხლი სახეზე. თვალები მოყუტა, მაგრამ დიდ მანძილზე ვერაფერი გაარჩია - ის ხომ ყო-

ველთვის თოკს ენდობოდა. იქნებ სათვალე გაეკეთებინა? არა, პატარაობისას სათვალეს არ ატარებდა.

ერთხელ უკვე შემთხვეოდა მსგავსი რამ - თითქმის ვერაფერს ხედავდა და ბორძიკ-ბორძიკით მარტოკა მიეხეტებოდა ტყეში.

მან მიგატოვა.

ანდრეი გაიმართა და წაქცეულ ხეზე გადაძვრა. ცხვირი ლამის მიწას მიადო და აჩქარებით გაჰყვა თოკს.

პეტია ისე სწრაფად გარბოდა, როგორც არასდროს. მალე სადგურზე მიირბენდა, იქ მატარებელი დახვდებოდა, რომელშიც ჩაჯდებოდა და აქაურობას იმ საშინელი კაცის გამოჩენამდე გაეცლებოდა. იცოცხლებდა.

მე შემიძლია ამის გაკეთება.

იგი შეტრიალდა. მამაკაცი ჩამორჩენოდა, ისე მოხრილიყო, თითქოს მიწაზე რაღაცას ეძებდა. უფრო მეტიც. სხვა მხარეს გარბოდა. მათ შორის მანძილი თანდათან იზრდებოდა.

პეტიას მისთვის სადგურზე მისვლა უნდა მიესწრო.

თოკის ბოლოს რომ მიაღწია, ანდრეი შეჩერდა და თვალებმოჭუტულმა მიიხედ-მოიხედა.

გული გამალებით უცემდა. იგრძნო, როგორ ევსებოდა თვალები ცრემლით - ბიჭს ვეღარ ხედავდა. ის გამქრალიყო. ანდრეი მარტო დარჩა. ის კვლავ მიატოვეს. უეცრად რაღაც მოძრაობა შეამჩნია - ხორცისფერი ღია ლაქა. პატარა ბიჭი.

პეტიამ თავი მიაბრუნა. იმედოვნებდა, რომ მათ შორის მანძილი კიდევ უფრო გაიზრდებოდა.

მაგრამ დაინახა, რომ კაცი მისკენ სწრაფად, დიდი ნაბიჯებით მორბოდა, ქარი პიჯაკის კალთებს უფრიალებდა და გვერდებზე სცემდა. შეშლილივით იღიმებოდა. პეტიამ ისიც გაარჩია, რომ კბილები გაყავისფრებოდა. იგი შეჩერდა, მიხვდა, რომ ვეღარსად გაიქცეოდა.

მოულოდნელად დასუსტდა, ფეხები მოეკეცა. ხელებით თავი დაიფარა და თვალები დახუჭა.

სჯეროდა, რომ, როცა თვალს გაახელდა, შინ, თავის მშობლებთან აღმოჩნდებოდა.

ანდრეი ბიჭს ისეთი ძალით შეეჯახა, რომ ორივენი მიწაზე დაეცნენ. ანდრეი ზემოთ მოექცა, სასოწარკვეთილი ბავშვი მის ქვეშ სხმარტალებდა, იკაწრებოდა და პიჯაკის კალთებს ჰკბენდა.

ანდრეი მას მთელი ტანით დააწვა, რათა გაქცევის საშუალება არ მიეცა, თან ჩაიბურტყუნა: - ჭერაც ცოცხალია!

მან ქამარზე ჩამოკიდებული სამონადირეო დანა მოიხსნა, თვალები დახუჭა და ბრმად შეარჭო მის ქვეშ მოყოლილ სხეულში - თავდაპირველად გაუბედავად, მხოლოდ წვერით, თან გამკივან ხმებს უსმენდა. ელოდებოდა, მომენტით ტკბებოდა, მუცელში ქვემოდან ვიბრაციის მსგავს ბიძგებს გრძნობდა. საოცრად მოსწონდა ეს შეგრძნება! თანდათან აღგზნება მოემატა და დანას სულ უფრო ღრმად და სწრაფად არჭობდა, სანამ ბოლოს ტარამდე არ ჩაიყვანა. ამ დროისთვის ბიჭი აღარ ინძრეოდა.

როსტოვის ოლქის სამხრეთ-აღმოსავლეთი აზოვის ზღვა 4 ივლისი ნესტეროვი იჯდა და ფეხის თითები სილაში ჩაეყო. ჩრდილო-აღმოსავლეთით, ორმოციოდე კილომეტრით დაშორებულ ქალაქ როსტოვის მოსახლეობაში ეს პლაჟი დიდი პოპულარობით სარგებლობდა. არც დღევანდელი დღე იყო გამონაკლისი. ხალხით გაჭედილ პლაჟზე ნემსი არ ჩავარდებოდა. კაცი იფიქრებდა, ქალაქელები ზამთრის ძილისგან ახლახან გამოერკვნენ და გადაწყვიტეს, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ფერდაკარგული სხეული მზის სხივებისთვის შეეშვირათო. საინტერესოა, შეძლებდა თუ არა იგი ამ ხალხის აღნაგობის მიხედვით მათი პროფესიის დადგენას? მსუქნები მედიდურობით გამოირჩეოდნენ. ისინი ან ქარხნის დირექტორები იყვნენ, ან პარტიული მუშაკები, ან სახელმწიფო უშიშროების მაღალი თანამდებობის პირები - არა ისინი, რომლებიც კარს ფეხით აღებენ, არამედ ბრძანების გამცემნი და დაპატიმრების ორდერზე ხელის მომწერნი. ნესტეროვი ცდილობდა, მათთვის დაჟინებით არ შეეხედა. მან ყურადღება საკუთარ ოჯახზე გადაიტანა. მისი ორი ვაჟი წყალმარჩხ ნაპირზე თამაშობდა, ცოლი მათ გვერდით იწვა, ლოყის ქვეშ ხელისგული ამოედო და ეძინა. ერთი შეხედვით, კმაყოფილ და ბედნიერ, სანიმუშო საბჭოთა ოჯახს ჰგავდნენ.

ბოლოს და ბოლოს, შეეძლოთ დასვენება და მოდუნება, ახლა ხომ შვებულებაში იყვნენ. ორი სასტიკი მკვლელობის სწრაფი და ეფექტიანი გამოძიებისთვის მილიციის სამსახურებრივი მანქანის წაყვანის უფლებაც მისცეს და ბენზინის უფასო ტალონებიც. უთხრეს, რომ დაესვენა და სამუშაოზე აღარ ეფიქრა, თუნდაც დროებით. დიახ, აი, ასეთი განკარგულებები მიიღო. ამას საკუთარ თავს ხშირად უმეორებდა და ბედის სასტიკი ირონიით გაკვირვებას ვერ მალავდა.

ვარლამ ბაბინიჩის სასამართლო მხოლოდ ორი დღე გრძელდებოდა. ყმაწვილის ადვოკატმა განაცხადა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი შეურაცხადი იყო. დაწესებული პროცედურის შესაბამისად, დაცვა ბრალდების მხარის მიერ მოწვეული ექსპერტების აზრს უნდა დაყრდნობოდა. საკუთარი დამოუკიდებელი მოწმე კი არ ჰყავდა. ნესტეროვს ადვოკატობის ბევრი არაფერი გაეგებოდა, თუმცა მაშინვე მიხვდა, რამხელა უპირატესობას აძლევდა ეს წესი პროკურატურას. ბაბინიჩის შემთხვევაში დაცვას მისი სიგიჟე ბრალდების მხარის მიერ წინაწარ დამუშავებული მოწმეების საშუალებით უნდა დაემტკიცებინა. ვინაიდან 379-ე საავადმყოფოს ფსიქიატრი არ ჰყავდა, პროკურატურამ არჩევანი ერთ ექიმზე გააკეთა, რომელსაც სპეციალური მომზადება არასდროს გაევლო, და დასკვნის გამოტანა სთხოვა. ექიმმა განაცხადა, რომ, მისი აზრით, ვარლამ ბაბინიჩი მშვენივრად ხვდებოდა განსხვავებას კარგსა და ცუდს შორის და იცოდა, რომ მკვლელობა ცუდი იყო. მართალია, გონებრივი შესაძლებლობები დაქვეითებული ჰქონდა, დანაშაულის განსაზღვრება მშვენივრად ესმოდა. ბოლოს და ბოლოს, მან დაკავების დროს განაცხადა კიდეც: დიდი უბედურება მეწვია.

დაცვის მხარე იძულებული გახდა, იგივე მოწმე გამოეძახებინა და მისთვის როგორმე აზრი შეეცვლევინებინა. ვარლამ ბაბინიჩი დამნაშავედ ცნეს. ნესტეროვმა საბეჭდ მანქანაზე ამობეჭდილი უწყება მიიღო, სადაც ეწერა, რომ ჩვიდმეტი წლის მსჯავრდადებული მუხლებზე დააყენეს და კეფაში სროლით დახვრიტეს.

ექიმ ტიაპკინის საქმეს კიდევ უფრო ცოტა დრო დასჭირდა და განხილვა რამდენიმე საათში დასრულდა. მისმა ცოლმა დაადასტურა, რომ ქმარს ძალადობისკენ ჰქონდა მიდრეკილება და ავადმყოფური ფანტაზიები ტანჯავდა, თუმცა ამის შესახებ მილიციას არ შეატყობინა, რადგან ეშინოდა, საკუთარ და ბავშვის სიცოცხლეს საფრთხე არ დამუქრებოდა. სასამართლოზე მან ისიც განაცხადა, რომ უარს ამბობდა თავის რელიგიაზე, - იუდაიზმზე, - და შვილებს კომუნიზმის ერთგულ ადამიანებად გაზრდიდა. ამ ჩვენების სანაცვლოდ, იგი საცხოვრებლად უკრაინის ქალაქ შახტიში გადაიყვანეს, სადაც ქმრის დანაშაულის თანამზრახველად არავინ მოიხსენიებდა. მას გვარის შეცვლაც არ დასჭირდებოდა, რადგან მკვლელობების შესახებ ვოლსკის გარეთ არავინ არაფერი იცოდა.

ორ მკვლელობაში ეჭვმიტანილთათვის განაჩენის გამოტანის შემდეგ სასამართლო იმ ორასამდე საქმის განხილვას შეუდგა, რომლებშიც მამა-

კაცებს ანტისაბჭოთა აგიტაციაში ედებოდათ ბრალი. ამ ჰომოსექსუალისტებს ხუთიდან ოცდახუთ წლამდე პატიმრობა მიუსაჯეს.

პროცესების დაჩქარების მიზნით, მოსამართლემ მსჯავრდადების ფორმულა მოიგონა: განაჩენის სიმძიმე განისაზღვრებოდა მუშაობის სტაჟით, შვილების რაოდენობითა და გაუკუღმართებული სქესობრივი კონტაქტის რიცხვით. პარტიის წევრობა დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნეოდა, ვინაიდან ბრალდებული თავისი საქციელით პარტიის სახელს ჩრდილს აყენებდა. ეს კი დაუშვებელი იყო და ასეთ ადამიანს პარტიიდან რიცხავდნენ. მიუხედავად ერთფეროვანი და მსგავსი სხდომებისა, ნესტეროვი ყოველ მათგანს თავიდან ბოლომდე დაესწრო. როდესაც ბოლო ბრალდებულსაც გამოუტანეს განაჩენი, გენერალი სასამართლოს დარბაზიდან გამოსვლისთანავე ადგილობრივი პარტიული მუშაკების ალყაში მოექცა - ერთხმად ულოცავდნენ მას წარმატებით დასრულებულ გამოძიებას. მან კარგად იმუშავა და აუცილებლად უნდა მიეღო ახალი ბინა ორიოდე თვეში. უკიდურეს შემთხვევაში, წლის ბოლომდე.

სასამართლო პროცესის დასრულებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც ნესტეროვი ლოგინში მორიგ უძილო ღამეს ატარებდა, ცოლმა უთხრა, რომ სულ ცოტა ხანში იგი ლევს მაინც დაეხმარებოდა. თან დაამატა, მინდა ეჭვისგან სწრაფად გათავისუფლდე და საქმეს დროზე მოჰკიდო ხელიო. მის ნებართვას ხომ არ ელოდებოდა? არც ამის გამორიცხვა შეიძლებოდა. მას ხომ სასწორზე არა მხოლოდ საკუთარი, არამედ ცოლისა და შვილების სიცოცხლეც უნდა შეეგდო. არა, ცხადია, შეკითხვების დასმითა და ინფორმაციის შეგროვებით საძრახისს არაფერს სჩადიოდა. მთავარი აქ დამოუკიდებლად მოქმედება იყო, დამოუკიდებელი მოქმედება კი ყოველთვის შეიცავდა რისკს, ვინაიდან იგულისხმებოდა, რომ სახელმწიფო სტრუქტურები თავიანთ მოვალეობას თავს ვერ ართმევდნენ და ცალკეული პიროვნება წარმატებას იქ აღწევდა, სადაც სახელმწიფო მარცხს განიცდიდა. მიუხედავად ამისა, გენერალს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მაინც შეძლებდა ფარული გამოძიების ჩატარებას, რომელსაც კოლეგებთან უბრალო საუბრების სახეს მისცემდა. თუ ბავშვების მსგავს საშინელ მკვლელობას ვერსად აღმოაჩენდა, დამშვიდებული სინდისით აღიარებდა, დამნაშავეებმა სამართლიანად და დამსახურებულად მიიღეს ის მკაცრი სასჯელი, რომლის იარაღადაც თვითონ იქცა. იგი კვლავაც არ ენდობოდა ლევს, საკუთარ თავზე კი ბრაზობდა იმ ეჭვის გამო, რომელიც ამ უკანასკნელმა დათესა მის სულში, თუმცა ხელქვეითმა ერთადერთი და

სრულიად მარტივი შეკითხვა დაუსვა: ჰქონდა თუ არა აზრი მის მუშაობას, თუ ამას მხოლოდ თავის გადასარჩენად აკეთებდა? იმაში, რომ თავის გადარჩენა სურდა, დასაძრახი არაფერი იყო - უმრავლესობასაც სწორედ ეს ამოძრავებდა. მაგრამ იყო კი ეს საკმარისი იმისთვის, რომ მათხოვრულად ეცხოვრა სიღარიბეში და არც სიამაყე ეგრძნო საკუთარი სამუშაოს გამო და არც ის, რომ რაღაც მიზანს - თუნდაც არც ისე დიადს - ემსახურებოდა?

ბოლო ათი კვირის განმავლობაში ნესტეროვი მარტო მოქმედებდა, ლევთან არ თანამშრომლობდა და არც არაფერს ეკითხებოდა. დარწმუნებული იყო, რომ მის ხელქვეითს ფარულად უთვალთვალებდნენ. ასე რომ, ჯობდა კიდეც, თუ იშვიათად დაეკონტაქტებოდა.

გენერალმა მხოლოდ ის იკმარა, რომ ლევს მოკლე, ერთსიტყვიანი ბარათი გაუგზავნა: „დაგეხმარები“, და სთხოვა, იგი დაუყოვნებლივ გაენადგურებინა.

მილიციის რაიონულ განყოფილებებში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე წვდომა არც ისე იოლი აღმოჩნდა. ზოგჯერ ტელეფონით რეკავდა, ზოგჯერ წერილებს სწერდა. მაგრამ ორივე შემთხვევაში ნესტეროვი მხოლოდ გაკვრით ეხებოდა მისთვის საინტერესო თემებს, თან გაუთავებლად ტრაბახობდა მის მიერ გახსნილი მკვლელობის ორი საქმის შესახებ იმ იმედით, რომ მათგანაც შექებას ეღირსებოდა. პასუხების მიღების შემდეგ რამდენჯერმე იმგზავრა კიდეც სამსახურიდან თავისუფალ დროს. იგი მატარებლით ჩადიოდა სხვადასხვა ქალაქში, კოლეგებს ხვდებოდა, მათთან ერთად სვამდა და იმას, რაც აინტერესებდა, მხოლოდ ერთ-ორ წუთს უთმობდა, დანარჩენ დროს კი ბაქიბუქობდა. ეს ინფორმაციის შეგროვების ძალზე არაეფექტური მეთოდი იყო. სამსაათიან უწყვეტ ქეიფს მხოლოდ ხუთწუთიანი შედეგი თუ მოჰყვებოდა. რვა კვირის შემდეგ ერთ გაუხსნელ მკვლელობასაც კი ვერ მიაგნო. ამიტომ თავის კაბინეტში ლევს უხმო. ლევი მივიდა, კარი მიხურა და სკამზე ჩამოჯდა. ნესტეროვმა დერეფანში გაიხედა და დარწმუნდა, რომ იქ არავინ იყო, კარი გასაღებით ჩაკეტა, მაგიდასთან დაბრუნდა, ყუთიდან საბჭოთა კავშირის რუკა ამოიღო, მაგიდაზე გაშალა და კუთხეებში წიგნები დააწყო. შემდეგ ქინძისთავები მოიმარჯვა. ორი ცალი ვოლსკს ჩაურჭო, ორი - მოლოტოვს, ორი - ვიატკას, ორი - გორკის, ორიც - ყაზანს. ქინძისთავებმა მოსკოვისკენ მიმავალი რკინიგზის ხაზი შექმნა.

ნესტეროვი მოსკოვში განზრახ არ გაემგზავრა, ერიდებოდა მილიციის იქაურ თანამშრომლებთან შეხვედრას. ეშინოდა, - და არცთუ უსაფუძვლოდ, - ვაითუ, კერძო გამოძიების სუნი ეცეთო. მოსკოვის დასავლეთით ნესტეროვს ნაკლებად გაუმართლა: მხოლოდ ერთადერთი მსგავსი შემთხვევა აღმოაჩინა ტვერში. სამხრეთით სამი ქინძისთავი ტულას ჩაურჭო, ორი - ორიოლს და ორი - ბელგოროდს. სანამ უკრაინისკენ გადაინაცვლებდა, კოლოფიდან ხელისგულზე ოცამდე ქინძისთავი მაინც დაიყარა და დანაშაულის ჩადენის ადგილების მონიშვნა განაგრძო: სამი ცალი - ხარკოვსა და გორლოვკას, ოთხი - ზაპოროჟიეს, სამი - კრამატორსკს და ერთი - კიევს. შემდეგ უკრაინის საზღვრები გადალახა და ოთხი ქინძისთავი ტაგანროგს ჩაურჭო და ბოლოს, ექვსი - როსტოვსა და მის შემოგარენს.

ნესტეროვი შესანიშნავად ხვდებოდა ლევის რეაქციას - გაოცებით გამოწვეულ დუმილს.

ინფორმაციის შეგროვებისას თვითონაც ხშირად განუცდია იგივე. თავდაპირველად ყოველნაირად გაურბოდა მსგავსების აღიარებას: პირში მოხვედრილ უცხო ნივთიერებას, მიუხედავად იმისა, მიწას უწოდებდნენ კოლეგები თუ ტალახს, დასახიჩრებულ მკერდს, მაგრამ მსგავსება ეჭვს არ იწვევდა. ყველა მსხვერპლს კოჭზე თოკი ჰქონდა შებმული. ამას ემატებოდა გაშიშვლებული სხეულები, რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით ერთად თავმოყრილი ტანსაცმელი.

დანაშაულის ადგილი ყოველთვის ან ტყე იყო, ან პარკი, ხშირად - სადგურის სიახლოვე, და არასოდეს - სახლი ან ბინა. ქალაქები ერთმანეთს ინფორმაციას არ უცვლიდნენ, თუმცა დასახლებულ პუნქტებს შორის მანძილი ზოგჯერ ორმოცდაათ კილომეტრს არ აღემატებოდა.

არავინ დაინტერესებულა დანაშაულის გეოგრაფიით, თუნდაც რუკაში ქინძისთავების ჩარჭობით. დამნაშავეებად კი ლოთებს, ქურდებსა და მოძალადეებს აცხადებდნენ - არასასურველ ელემენტებს, რომლებსაც ადვილად აჰკიდებდნენ ნებისმიერ საქმეს.

მისი ანგარიშით, სულ ორმოცდასამი შემთხვევა გამოდიოდა. ნესტეროვმა კვლავ გაიწვდინა ხელი ქინძისთავების ყუთისკენ, კიდევ ერთი ცალი ამოიღო და მოსკოვის ცენტრში ჩაარჭო, რაც იმას ნიშნავდა, რომ არკადი 44-ე ბავშვი გახდა.

***

ნესტეროვმა გაიღვიძა და აღმოაჩინა, რომ პირღია იწვა და სახის ნაწილი სილაზე ედო.

წამოჯდა და ტანი დაიფერთხა. მზე ღრუბლებს მოჰფარებოდა. გენერალი შვილების ძებნას შეუდგა და პლაჟსა და მოთამაშე ბავშვებს თვალი მოავლო. უფროსი ბიყი, შვიდი წლის ეფიმი, წყლის სიახლოვეს იჯდა, უმცროსი კი, რომელსაც ხუთი წელი შესრულებოდა, არსად ჩანდა.

ნესტეროვი ცოლისკენ მიტრიალდა. ქალი სადილისთვის ქონს ჭრიდა.

- ვადიმი სად არის?

ინესამ თავი ასწია და თვალებით მაშინვე მოძებნა უფროსი შვილი. უმცროსი სადღაც წასულიყო. დანა ხელიდან არ გაუშვია, ისე გაიმართა წელში და მიიხედ-მოიხედა. ბავშვს რომ ვერსად მოჰკრა თვალი, დანა გაუვარდა. ორივენი ეფიმს მიცვივდნენ და აქეთ-იქიდან მის გვერდით ჩაცუცქდნენ.

- სად არის შენი ძმა?

- მითხრა, რომ თქვენთან მოდიოდა.

- როდის?

– არ ვიცი.

- იქნებ გაიხსენო, როდის იყო?

- ცოტა ხნის წინ. ზუსტად არ მახსოვს.

- ჩვენ ხომ გითხარით, რომ ერთად გეთამაშათ?

- ხომ არ დაგპირებია, მალე დავბრუნდებიო?

- წყალში ხომ არ შევიდა?

- აი, იქით წავიდა, თქვენს მხარეს.

ნესტეროვი კვლავ წამოდგა და ზღვას გახედა. ვადიმი წყალში არ შევიდოდა - ცურვა არ უყვარდა. იგი ნაპირზე ჩაკარგულიყო ამ ასობით ადამიანს შორის. თვალწინ მაშინვე საზარელი ფოტოსურათები წარმოუდგა სისხლის სამართლის საქმეებიდან. ერთი პატარა გოგონა იმ ბილიკის სიახლოვეს მოეკლათ, რომლითაც ხალხი მდინარეზე ჩადიოდა. მეორე პარკში დაღუპულიყო, ძეგლის უკან, საკუთარი სახლიდან ასი მეტრის დაშორებით. გენერალი კვლავ ჩაუცუცქდა შვილს: - ჩვენს გადასაფარებლებთან იჯექი და ფეხი არ მოიცვალო, ვინც უნდა დაგელაპარაკოს და რაც უნდა გითხრას. თუნდაც უფროსები იყვნენ და ამის გაკეთება მოგთხოვონ, არავის დაუჯერო და აქ დარჩი.

მაგრამ გაახსენდა, რამდენი ბავშვი დაიყოლიეს და ტყეში გაიტყუეს, საიდანაც უკან აღარ დაბრუნებულან, ამიტომ გადაიფიქრა და შვილს ხე-

ლი ჩაჰკიდა.

– არა, აჯობებს, ჩემთან წამოხვიდე. ერთად მოვძებნოთ შენი ძმა.

მისი ცოლი პლაჟის ერთ მხარეს გავარდა, გენერალი მეორე მხარეს გაემართა. შიგადაშიგ ხალხის მასას შეერეოდა ხოლმე. მკვირცხლად მიდიოდა, ძალიან სწრაფად ეფიმისთვის, რომელიც ძლივს ეწეოდა მას. ნესტეროვს სხვა გზა არ ჰქონდა, შვილი ხელში უნდა აეყვანა.

პლაჟი დასრულდა. შემდეგ ლელქაში იწყებოდა. ვადიმი არსად ჩანდა.

ეფიმმა ბევრი არაფერი იცოდა მამის სამსახურის შესახებ. ცხადია, სმენოდა, რომ მათ ქალაქში ორი ბავშვი მოკლეს - ეს მშობლებმა უამბეს, თუმცა უბრძანეს, რომ ეს არავისთვის გაემხილა. პანიკა არ უნდა აეტეხათ, ვინაიდან ამ მკვლელობებს აუცილებლად გამოიძიებდნენ.

მაგრამ ახლა ეფიმი ხვდებოდა, რომ მის უმცროს ძმას საფრთხე ელოდა. იგი გულღია, ლაპარაკის მოყვარული ბავშვი იყო. უხეშად არავის ექცეოდა. ეფიმს უკეთ უნდა მიეხედა მისთვის. მან საკუთარი თავი დაიდანაშაულა და ატირდა.

მოპირდაპირე მხარეს ინესა ამაოდ ეძახდა შვილს. მას წაკითხული ჰქონდა ქმრის მიერ კერძო გამოძიების დროს შეგროვებული დოკუმენტები და ზუსტად იცოდა, გაუჩინარებულ ბავშვებს რაც ემართებოდათ. იგი პანიკამ მოიცვა. ყველაფერში მხოლოდ საკუთარ თავს ადანაშაულებდა. სწორედ მან ურჩია ქმარს, ლევს დაეხმარეო. ამხნევებდა, ურჩევდა, უკეთ როგორ შეენახა საიდუმლო. ნესტეროვი ბუნებით პირდაპირი და გულწრფელი ადამიანი იყო, ეს სამუშაო კი დიდ სიფრთხილეს მოითხოვდა. ისინი ერთად კითხულობდნენ კოლეგებისთვის გასაგზავნ წერილებს, ქალი კარნახობდა, რომელი ფრაზები ჩაესვათ ტექსტში იმ შემთხვევისთვის, თუ ის სხვას ჩაუვარდებოდა ხელში. როდესაც ქმარმა ქინძისთავებიანი რუკა უჩვენა, სათითაოდ შეეხო თითოეულ მათგანს. მკვლელობების რაოდენობამ თავზარი დასცა და ის ღამე შვილებს გვერდიდან არ მოსცილებია. გამოძიებისთვის შვებულების აღებაც მან მოიფიქრა. ვინაიდან ყველაზე მეტი დანაშაული ქვეყნის სამხრეთში მოხდა, ნესტეროვი იქ მხოლოდ შვებულებით თუ წავიდოდა, რათა ეჭვი არავისთვის აღეძრა. მხოლოდ ახლა მიხვდა ინესა, რა საფრთხის წინაშე დააყენა საკუთარი შვილები. მან თვითონ მოიყვანა ისინი ამ იდუმალებით მოცული ბოროტების შუაგულში. სათანადოდ ვერ შეაფასა იმ კაცის შესაძლებლობები, ვისაც ეძებდნენ. ბავშვები ვერაფრით იქნებოდნენ აქ უსაფრთხოდ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ისინი მკვლელს საკუთარი ნებით,

ძალდაუტანებლად მიჰყვებოდნენ და საკუთარი სახლიდან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით იღუპებოდნენ. ახლა კი ბოროტებამ მათი შვილიც მოიტაცა.

ქალს სწრაფი სირბილისგან სუნთქვა ეკვროდა, შიგადაშიგ შვილის სახელს წამოიძახებდა ხოლმე და მობანავეებს ცრემლით აღსავსე თვალებით შესცქეროდა. ხალხი მას გზას უთმობდა, მზერას არიდებდა, ინესა კი მათ დახმარებისკენ მოუწოდებდა: - ის მხოლოდ ხუთი წლისაა. ვიღაცამ გაიტაცა. აუცილებლად უნდა მივაგნოთ.

მკაცრი შესახედაობის ქალმა მისი შეჩერება სცადა.

- ბავშვი სადღაც აქ იქნება.

- თქვენ ვერ ხვდებით - მას საშინელი საფრთხე ემუქრება.

- რას გულისხმობთ?

ინესამ ქალი გზიდან ჩამოიცილა და სირბილით გაუყვა პლაჟს, თან შვილს ეძახდა. უეცრად მხარზე მამაკაცის მტკიცე ხელი იგრძნო.

- ვიღაცამ ჩემი შვილი წაიყვანა. დამეხმარეთ, გთხოვთ.

- იქნებ დამშვიდებულიყავით?

- არა, მას მოკლავენ. ის მოკვდება. უნდა დამეხმაროთ და მაპოვნინოთ.

კაცს გაეცინა.

- აქ არავის მოკლავენ. ეს უსაფრთხო ადგილია.

ინესა გარშემო ზიზღნარევი სიბრალულით აღსავსე სახეებს ხედავდა და მათგან თავის დახსნა სურდა, მაგრამ უცნობი არ უშვებდა.

- გამიშვით! ჩემი შვილი უნდა მოვძებნო.

ნესტეროვმა მისი ცოლის გარშემო შეგროვილი ხალხის წრე გაარღვია. უმცროსი შვილისთვის ლელქაშებში მიეგნო, სადაც იგი არხეინად თამაშობდა, ახლა კი ორივე მათგანი ხელში აეყვანა. მამაკაცმა ქალს ხელი გაუშვა. ინესამ ვადიმი აიტაცა და მკერდში ისე ჩაიკრა, თითქოს ეშინოდა, კვლავ არ გაუჩინარდესო. მთელი ოჯახი ცოტა ხანს მტრულად განწყობილი ადამიანების გარემოცვაში იდგა. ნეტავ ასე რატომ იქცეოდნენ? რა დაემართათ?

- წავიდეთ აქედან, - წაიჩურჩულა ეფიმმა.

ისინი იქ დაბრუნდნენ, სადაც ისვენებდნენ, სასწრაფოდ შეაგროვეს ნივთები და თავიანთი მანქანისკენ გაიქცნენ. გზის პირას მხოლოდ ოთხი ავტომობილი იდგა. დანარჩენი დამსვენებლები მატარებელს ჩამოჰყოლოდნენ. ნესტეროვმა ძრავა დაქოქა და მანქანა დაძრა.

***

პლაჟზე მყოფმა ჭაღარაშეპარულმა გამხდარმა ქალმა ყურადღებით გააყოლა თვალი მიმავალ მანქანას და ნომერი ჩაიწერა, რადგან ეს ოჯახი ცოტა საეჭვოდ მოეჩვენა.

მოსკოვი 5 ივლისი გუშინდლამდე, ლევი რომც დაეპატიმრებინათ, რაისას უკანონო გამოძიებასთან კავშირს ვერაფრით დაუმტკიცებდნენ. მას შეეძლო, ქმარზე უარი ეთქვა იმის იმედით, რომ ცოცხალი გადარჩებოდა, ახლა კი ასეთი შესაძლებლობა აღარ ჰქონდა. ისინი მატარებელში ისხდნენ და მოსკოვს უახლოვდებოდნენ, ჯიბეში ყალბი საბუთები ედოთ და ამ დანაშაულისთვის ორივენი აგებდნენ პასუხს.

რატომ ჩაჯდა რაისა მატარებელში და რატომ გადაწყვიტა ლევთან ერთად მგზავრობა? ეს ხომ ეწინააღმდეგებოდა მის მთავარ პრინციპს, რომელსაც განუხრელად იცავდა - თავის გადასარჩენად ნებისმიერი საშუალების გამოყენებას. რაისა დიდ რისკზე წავიდა, არადა, გონივრული ალტერნატივა ჰქონდა. შეეძლო, ვოლსკში დარჩენილიყო და არაფერი გაეკეთებინა, ან კიდევ უკეთესი, ლევი დაესმინა და იმის იმედი ჰქონოდა, რომ ღალატი მის უსაფრთხო მომავალს უზრუნველყოფდა. მართალია, ეს არასასიამოვნო, პირფერული და ზიზღის მომგვრელი სტრატეგია იყო, მაგრამ მას ხომ არაერთი მსგავსი ნაბიჯი გადაედგა თავის გადასარჩენად, თუნდაც ლევზე დაქორწინება, ადამიანზე, რომელიც სძულდა. რა შეიცვალა?

სიყვარულზე ლაპარაკიც კი არ ღირდა. უბრალოდ, ლევი მის პარტნიორად გადაიქცა.

პარტნიორად გამოძიების საქმეში და არა საწოლში. ქმარი ენდობოდა მას, ისმენდა მის აზრს - არა მხოლოდ თავაზიანობის გამო, არამედ იმიტომ, რომ თანასწორად მიაჩნდა. ისინი ერთ გუნდად იქცნენ, საერთო მიზნისკენ მიისწრაფოდნენ, ერთი იდეა ამოძრავებდათ, რომელიც საკუთარ სიცოცხლეზე მნიშვნელოვნად მიაჩნდათ. რაისამ საკუთარი ძალა ირწმუნა და აღარ სურდა, ძველებურ, უფერულ არსებობას დაჰბრუნებოდა. თუმცა ისიც აინტერესებდა, საკუთარი სულის რომელ ნაწილს გაწირავდა, საქმე თავის გადარჩენას რომ შეხებოდა.

მატარებელი იაროსლავის სადგურზე ჩამოდგა. ლევისთვის აქ ჩამოსვლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა - არკადის ცხედარი ხომ სწორედ ამ ადგილის სიახლოვეს აღმოაჩინეს ლიანდაგებში. ისინი პირველად დაბრუნდნენ მოსკოვში მას შემდეგ, რაც ოთხი თვის წინ აქედან გაა-

სახლეს. ოფიციალურად ამის უფლება არ ჰქონდათ. მათი სიცოცხლე და გამოძიების წარმატება იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რამდენად შეუმჩნევლად იმოქმედებდნენ. თუ ჩავარდებოდნენ, აღარაფერი ეშველებოდათ. მოსკოვში კი ერთი ქალის, გალინა შაპორინას სანახავად ჩამოსულიყვნენ, რომელსაც მკვლელი საკუთარი თვალითდ დაენახა. ამ მოწმეს შეეძლო აღეწერა იგი, ეთქვა, რამდენი წლის იყო და როგორ გამოიყურებოდა, ერთი სიტყვით, მითური პიროვნება ცოცხალ და რეალურ ადამიანად ექცია. ჯერჯერობით კი არც ლევმა და არც რაისამ არაფერი იცოდნენ იმ კაცის შესახებ, ვისაც ეძებდნენ - არც ასაკი, არც აღნაგობა, არც გარეგნობა და ჩაცმულობა. მას ნებისმიერი ადამიანის სახის მიღება შეეძლო.

გალინასთან საუბრის შემდეგ რაისას ივანთანაც სურდა შეხვედრა, თავის სკოლელ კოლეგასთან. იგი კარგად იცნობდა აკრძალულ დასავლურ ლიტერატურას, ხელი მიუწვდებოდა პუბლიკაციებზე, ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ სტატიებსა და წერილებზე, არაოფიციალურ თარგმანებზე. შესაძლოა, საზღვარგარეთ მომხდარი მსგავსი დანაშაულების შესახებაც სმენოდა: შემთხვევით, სერიულ ან რიტუალურ მკვლელობებზე. რაისას თვითონაც მოეკრა ყური ასეთი ინფორმაციისთვის - იცოდა, რომ ერთი ამერიკელი, ალბერტ ფიში, ბავშვებს ხოცავდა და ჭამდა; დოქტორი პატიო, ფრანგი ექიმი, დიდი სამამულო ომის დროს ებრაელებს საკუთარ სახლში იტყუებდა, გადარჩენას ჰპირდებოდა, შემდეგ კი ბოლოს უღებდა და წვავდა. შესაძლოა, ეს ყველაფერი საბჭოთა პროპაგანდის მიერ ლპობაშეპარულ დასავლეთზე შექმნილი ზღაპრები იყო, რომელთა მიხედვითაც მკვლელობას მცდარი სახელმწიფო პოლიტიკა და საზოგადოების გარყვნა იწვევდა. ისინი თავიანთ გამოძიებაში დეტერმინისტულ თეორიას ვერ გამოიყენებდნენ, რადგან ამ შემთხვევაში ეჭვმიტანილი, რომელსაც ეძებდნენ, მხოლოდ უცხოელი თუ იქნებოდა კაპიტალისტური საზოგადოების ცხოვრების პირობებში ჩამოყალიბებული ხასიათით. მაგრამ მკვლელი ქვეყანაში თავისუფლად დადიოდა, რუსულად ლაპარაკობდა და ბავშვებს ხიბლავდა. აქედან გამომდინარე, დამნაშავე შესანიშნავად ერკვეოდა მათი ყოველდღიური ცხოვრების დეტალებში. ყველაფერი, რაც კი მსგავსი მკვლელობების შესახებ იცოდნენ ან წაეკითხათ, მცდარი აღმოჩნდა და საქმესთან კავშირი არ ჰქონდა. უარი უნდა ეთქვათ ყოველგვარ სუბიექტურ წინასწარ ვარაუდებზე და გამოძიება სუფთა ფურცლიდან დაეწყოთ. რაისას აზრით, შეზღუდული რაოდენობის პირთათვის

განკუთვნილ ინფორმაციას, რომელზეც ივანსაც მიუწვდებოდა ხელი, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმისთვის, რომ სამყაროს შესახებ განსხვავებულ ხედვასაც გასცნობოდნენ.

ლევი ეთანხმებოდა, რომ ასეთი მასალა გამოადგებოდათ, მაგრამ, იმავდროულად, გარეშე პირთა წრის მაქსიმალურად შეზღუდვას ემხრობოდა. გალინა შაპორინა მთავარი მიზანი იყო, ივანი კი - მეორეხარისხოვანი ამოცანა. ლევმა არც ის იცოდა, ღირდა თუ არა ამ კაცთან საუბარი იმ რისკად, რომელზეც უნდა წასულიყვნენ. ამასთან, ისიც მშვენივრად ესმოდა, რომ მის შეფასებაზე პირადი გრძნობებიც ახდენდა გავლენას. ეჭვიანობდა თუ არა ივანზე? დიახ, რა თქმა უნდა. უნდოდა თუ არა გამოძიებაში ივანის ჩართვა? არც ერთი წამით.

ლევმა ფანჯარაში გაიხედა, ელოდებოდა, როდის გავიდოდა ვაგონიდან ყველა მგზავრი.

რკინიგზის სადგურებში ყოველთვის პატრულირებდნენ ფორმიანი თუ უფორმო აგენტები.

ძირითადი სატრანსპორტო კვანძები მოწყვლად წერტილებად მიიჩნეოდა ჯაშუშების შემოღწევის თვალსაზრისით. გზებზე საკონტროლოგამშვები პუნქტები იყო შეიარაღებულ დაცვასთან ერთად. ნავსადგურებს გამუდმებით უთვალთვალებდნენ, მაგრამ დაცვისა და დაზღვევის ყველაზე მეტი დონით მაინც მოსკოვი გამოირჩეოდა. სწორედ ამ ყველაზე საიმედოდ დაცულ ქალაქში უნდა შეეღწიათ ახლა. მათი ერთადერთი უპირატესობა ის იყო, რომ ვასილი მათგან ასეთ თავზე ხელაღებულ საქციელს არ ელოდებოდა. მატარებლიდან ჩამოსვლის წინ ლევი რაისას მიუბრუნდა.

- თუ შემთხვევით სამხედრო ან სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილი გუშაგის მზერას დაიჭერ, თვალი არ აარიდო, არ გაუღიმო, არ აჩქარდე. მშვიდად შეხედე და მზერა სხვა ადამიანზე გადაიტანე.

ისინი ბაქანზე გავიდნენ. ძალიან ცოტა ბარგი ჰქონდათ. დიდი ჩანთებით აუცილებლად მიიპყრობდნენ ყურადღებას. სწრაფად გაუდგნენ გზას. თავს ძლივს იკავებდნენ, რომ არ გაქცეულიყვნენ. სადგურში უამრავი ხალხი ირეოდა, რაც ლევს გულზე მოეფონა, თუმცა მაინც გრძნობდა, როგორ უსიამოვნოდ ეკვროდა გაოფლილი პერანგი ზურგზე. დამშვიდებას ცდილობდა, საკუთარ თავს არწმუნებდა, რომ აქ მათ გამოჩენას არავინ ელოდა. მათ ჯერ კიდევ ვოლსკში დაიზღვიეს თავი შესაძლო თვალთვალისგან და ნაცნობებს შეატყობინეს, მთაში მივდივართ სალაშქროდო.

განცხადებაც დაწერეს მოკლევადიანი შვებულების ასაღებად. ვინაიდან შეზღუდული უფლებებით სარგებლობდნენ, მხოლოდ ორ-ორი დღე გამოუყვეს. დრო ძალიან ცოტა ჰქონდათ, ამიტომ დაუყოვნებლივ გაუდგნენ გზას. ტყეში რომ შევიდნენ, ლევმა და რაისამ ერთი წრე დაარტყეს, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ არავინ უთვალთვალებდათ. შემდეგ ტყის პირას გავიდნენ სადგურის სიახლოვეს, ტურისტული ტანსაცმელი გაიხადეს და სხვა აღჭურვილობასთან ერთად გადამალეს, თვითონ კი მოსკოვის ექსპრესის მოსვლას დაელოდნენ. მატარებელში ბოლო წუთს ავიდნენ. თუ ყველაფერი ისე წავიდოდა, როგორც ჩაფიქრებული ჰქონდათ, მოწმეს გაესაუბრებოდნენ, ვოლსკში დაბრუნდებოდნენ, ტყეში გადამალულ ტურისტულ ტანსაცმელს გადაიცვამდნენ, აღჭურვილობას ზურგზე მოიკიდებდნენ და ქალაქში ჩრდილოეთის მხრიდან, ერთ-ერთი ტურისტული მარშრუტით შევიდოდნენ.

უკვე პლატფორმიდან გასვლას აპირებდნენ, როდესაც უკნიდან მამაკაცის ხმა მოესმათ: - თქვენი საბუთები.

ლევი მაშინვე შემოტრიალდა, ყოველგვარი ყოყმანისა და ფიქრის გარეშე. არც გაუღიმია და არც სრული უშფოთველობა გამოუხატავს. ისინი სახელმწიფო უშიშროების ოფიცერმა გააჩერა.

საბედნიეროდ, ლევი მას არ იცნობდა. მან დოკუმენტები ამოიღო და კაცს გაუწოდა. რაისაც ასევე მოიქცა.

ლევი ოპერმუშაკს დააკვირდა. ეს მაღალი და ჩასკვნილი კაცი ნელა, ზანტად მოძრაობდა და აუჩქარებლად ათვალიერებდა მის წინ მდგომ ქალსა და მამაკაცს. როგორც ჩანს, ჩვეულებრივი შემოწმება იყო, მეტი არაფერი, მაგრამ მათ გაყალბებული საბუთები ჰქონდათ, რომლებიც მხოლოდ ზერელე შემოწმებას თუ გაუძლებდა. МГБ-ში მუშაობისას ლევი ამგვარ შემთხვევაში წამითაც არ მოტყუვდებოდა. დოკუმენტების შოვნაში ნესტეროვი დაეხმარათ, გაყალბებით კი ერთად გააყალბეს, მაგრამ რაც უფრო მეტს შრომობდნენ, მით უფრო მეტად რწმუნდებოდნენ მათ არასაიმედოობაში: ნაკაწრები ფოტოსურათებზე, გახუნებული მელანი, ორმაგი ხაზები შტამპების ერთმანეთზე დასმის ადგილას. ახლა კი ეკითხებოდა ლევი საკუთარ თავს, ასეთ უხარისხო საბუთს როგორ ვენდეო, მაგრამ გააცნობიერა, რომ მათ არც არასდროს ენდობოდა - იმედოვნებდა, მათი წარდგენა არ დასჭირდებოდათ.

ოფიცერი მოღუშული სახით ათვალიერებდა დოკუმენტებს. რაისა უყურებდა მას და უეცრად მიხვდა, რომ ოფიცერმა კითხვა თითქმის არ

იცოდა. იგი ცდილობდა, თავისი უცოდინარობა დაემალა და ისეთი იერი მიეღო, თითქოს გულმოდგინედ სწავლობდა მათ. ქალი ხშირად წასწყდომოდა ამგვარ პრობლემას ბავშვებთან ურთიერთობისას და მსგავს სიმპტომებს მაშინვე ამჩნევდა. მამაკაცი ტუჩებს ამოძრავებდა, სტრიქონებს თვალს აყოლებდა. ოფიცერი ვერ უნდა მიმხვდარიყო, რომ რაისამ მისი საიდუმლო აღმოაჩინა, თორემ მათ აუცილებლად დააკავებდა. ამიტომ ქალმა შეშინებული სახე მიიღო. მისი აზრით, ამ კაცს მოსწონდა, როდესაც სხვებში შიშს იწვევდა - ეს მას საკუთარი სისუსტის დაფარვაში ეხმარებოდა. ასეც მოხდა.

აგენტმა მათ სახეში ყურადღებით შეხედა: არა იმიტომ, რომ დოკუმენტების ნამდვილობაში ეჭვი შეეპარა, არამედ იმიტომ, რომ ერთხელაც დარწმუნებულიყო, ეშინოდათ თუ არა მის წინ მდგომ ქალსა და მამაკაცს. როდესაც მისთვის სასურველი შედეგი დაინახა, კმაყოფილმა ოფიცერმა დოკუმენტები ხელისგულზე მსუბუქად დაირტყა, რითაც აგრძნობინა, თქვენი ბედი ჩემს ხელშია და ჯერ არ ვიცი, როგორ მოგექცევითო.

- ბარგი მანახვეთ.

ლევმა და რაისამ თავიანთი პატარა ჩანთები გახსნეს. შიგ მხოლოდ თეთრეული და პირადი ჰიგიენის ნივთები ეწყოთ. ოფიცერმა აშკარად მოიწყინა. მან მხრები აიჩეჩა. პასუხად ლევმა და რაისამ შეშინებული სახით დააქნიეს თავი და გასასვლელისკენ გაემართნენ. ცდილობდნენ, ძალიან არ ეჩქარათ.

იგივე დღე მიუხედავად იმისა, რომ მან ფიოდორს საკუთარი შვილის მკვლელობის გამოძიების უფლება არ მისცა, მუქარით თუ ტკბილი სიტყვით გაჩუმება აიძულა, ლევს განზრახული ჰქონდა, მისთვის ამავე საკითხთან დაკავშირებით დახმარება ეთხოვა. ფიოდორს იგი გალინა შაპორინასთან უნდა წაეყვანა, ვინაიდან თვითონ მისი მისამართი არ იცოდა. გარდა ამისა, სრულიად შესაძლებელი იყო, რომ ქალის სახელი არასწორად დაიმახსოვრა. იმ მომენტში ამას ყურადღება არ მიაქცია, შემდეგ კი დიდი დრო გავიდა. ასე რომ, ფიოდორის დახმარების გარეშე მოწმეს ვერაფრით მიაგნებდა.

ლევი მზად იყო, დამცირებაც აეტანა და სახის დაკარგვაც, დაცინვაც და ზიზღით აღვსილი მზერაც - მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ქალის, მოწმის ჩვენება მოეპოვებინა. მართალია, ფიოდორი კვლავაც МГБ-ში მუშაობდა, ლევი ფსონს იმაზე ჩამოვიდა, რომ შვილის ხსოვნა ყველაფერს გადაწონიდა. როგორი სიძულვილიც უნდა ჰქონოდა ჩარჩენილი ფიოდორს

ლევის მიმართ, სამართლიანობის აღდგენისკენ მის სწრაფვას მათი გაერთიანება უნდა მოჰყოლოდა. თუ არა?

განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ოთხი თვის წინ ლევმა სწორად შეაფასა ვითარება. შვილის სიკვდილის უსანქციო გამოძიება ოჯახს დიდ საფრთხეს შეუქმნიდა. ეს, ალბათ, ფიოდორსაც კარგად ესმოდა. ასეთ შემთხვევაში მისთვის აჯობებდა, ცოცხლებზე ეზრუნა და ლევი VII 6-სთვის გადაეცა - ამით საკუთარ უსაფრთხოებასაც გაინაღდებდა და შურსაც იძიებდა. ნეტავ რა გადაწყვეტილებას მიიღებდა? ლევმა კარზე დააკაკუნა. ყველაფერი ახლავე გაირკვეოდა.

მეოთხე სართულზე მდებარე მე-18 ბინის კარი ხანში შესულმა ქალმა გააღო - სწორედ იმან, რომელიც ლევს არ შეეპუა და მკვლელობას მკვლელობა უწოდა.

- მე ლევი მქვია, ეს კი ჩემი ცოლია, რაისა.

დედაბერი ლევს მიაჩერდა, იცნო იგი და თვალები სიძულვილით აენთო. შემდეგ რაისას გადახედა.

-– რა გნებავთ?

რაისამ ხმადაბლა მიუგო: – აქ არკადის მკვლელობის გამო მოვედით.

ხანგრძლივი დუმილი ჩამოვარდა. მოხუცი ყურადღებით აკვირდებოდა მათ, სანამ მიუგებდა: - მისამართი შეგეშალათ. ჩვენი ბიჭი არ მოუკლავთ.

მან კარის მიხურვა დააპირა, მაგრამ ლევმა ფეხი ჩაუდგა და არ დაანება.

- თქვენ მართალი იყავით.

ლევი ელოდა, რომ ქალი გაბრაზდებოდა, მას კი მოულოდნელად ტირილი აუვარდა.

***

ფიოდორი, მისი ცოლი და ხანდაზმული ქალი, ფიოდორის დედა, გვერდიგვერდ იდგნენ. ეს სამეული - ერთგვარი სამოქალაქო ტრიბუნალი - უსიტყვოდ უყურებდა, როგორ გაიხადა ლევმა პალტო და სკამზე დააგდო. შემდეგ ჯემპრიც მიაყოლა და პერანგის შეხსნას შეუდგა. მის ქვეშ, ტანზე, მკვლელობის მასალები იმალებოდა: ფოტოსურათები, დათვალიერების ოქმები, მოწმეთა ჩვენებები, დანაშაულის გეოგრაფიის აღმნიშვნელი რუკები - ყველაზე მნიშვნელოვანი სამხილები, რომლის შეგროვებაც მოახერხეს.

- ამ მასალის ჩამოსატანად სიფრთხილის ზომების მიღება დამჭირდა. აქ ქვეყნის დასავლეთ ნაწილში ორმოცზე მეტი ბავშვის - ბიჭებისა და გოგონების - მკვლელობის დეტალებია აღწერილი. ყველა მათგანი ერთი და იმავე ხერხითაა მოკლული, ისევე, როგორც შენი ბიჭი, ამაში ახლა ეჭვი არ მეპარება.

ლევმა მკერდიდან ქაღალდები მოიხსნა: ისინი, რომლებიც კანს ეხებოდა, ოფლს დაესველებინა. ფიოდორი სწრაფად შეუდგა მათ გადაკითხვას. მისი ცოლიცა და დედაც წინ გადაიხარნენ. მალე სამივე რიგრიგობით ეცნობოდა დოკუმენტებს - წაკითხულს ერთმანეთს აწვდიდნენ. დუმილი ფიოდორის ცოლმა დაარღვია: – თუკი დაიჭერთ, როგორ მოიქცევით?

უცნაურია, მაგრამ ლევს პირველად დაუსვეს მსგავსი შეკითხვა. აქამდე მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ, საერთოდ თუ შეძლებდნენ მოძალადის დაჭერას.

– მოვკლავ.

როგორც კი ლევმა მათ აუხსნა, რაში მდგომარეობდა მათ მიერ წამოწყებული კერძო გამოძიება, ფიოდორს საყვედურებსა და შეურაცხყოფაზე დრო აღარ დაუკარგავს. როგორც ჩანს, არც დახმარებაზე უარის თქმა მოსვლია თავში აზრად, არც მათ გულწრფელობაში შეჰპარვია ეჭვი და არც შესაძლო შედეგს შეუშფოთებია, ისევე, როგორც ცოლსა და დედას.

თუმცა ამ უკანასკნელთ მსგავსი აზრები, შესაძლოა, ეწვიათ კიდეც, მაგრამ მოახერხეს და მაშინვე უკუაგდეს. ფიოდორი დათანხმდა, რომ დაუყოვნებლივ წაეყვანა ისინი გალინასთან.

უმოკლესი გზა სწორედ იმ რელსებზე გადიოდა, სადაც არკადის ცხედარი აღმოაჩინეს. აქ ერთმანეთის გვერდით ლიანდაგები იყო გაჭიმული, შემდეგ კი ბუჩქნარებითა და კანტიკუნტი ხეებით დაფარული ღია და ფართო სივრცე იშლებოდა. ლევმა მაშინვე დააფიქსირა ამ უპატრონო მიწის მოსახერხებელი განმარტოება. ქალაქის შუაგულში უეცრად ასეთი უცნაური და არაბუნებრივი სიცარიელე? ნუთუ ამ შპალებზე გარბოდა ბიჭი, როდესაც მკვლელი მისდევდა?

სიბნელეში კი მის გვერდით გულგრილად მიქროდნენ მატარებლები. ლევს გაუხარდა კიდეც, როდესაც ეს გზა დასრულდა.

გალინას სახლს რომ მიუახლოვდნენ, ფიოდორმა განაცხადა, აჯობებს, თუ ლევი გარეთ დაიცდისო. მან ხომ ერთხელ უკვე მოახერხა და ძალიან შეაშინა ეს ქალი, ასე რომ, კიდევ ერთხელ გარისკვა კარგს არაფერს მოი-

ტანდა. ლევი დაეთანხმა და მოწმესთან მხოლოდ რაისა და ფიოდორი გაემართნენ.

რაისა კიბეზე ფიოდორის კვალდაკვალ ავიდა, ბინას მიუახლოვდა და კარზე დააკაკუნა.

შიგნიდან ხმაური მოესმა - იქ ბავშვები თამაშობდნენ. ესიამოვნა. ცხადია, სულაც არ ფიქრობდა, რომ ქალი აუცილებლად დედა უნდა ყოფილიყო, რათა მკვლელის მიერ ჩადენილი ურიცხვი დანაშაული გაესიგრძეგანებინა, მაგრამ ის ფაქტი, რომ საფრთხე გალინას შვილებსაც ემუქრებოდა, ამოცანას მნიშვნელოვნად აიოლებდა.

კარი ოცდაათ წელს გადაცილებულმა გამხდარმა ქალმა გააღო, რომელიც თბილ მოსასხამში ისე იფუთნებოდა, თითქოს სუსხიანი ზამთარი იდგა. ავადმყოფურად გამოიყურებოდა. მან ნერვიულად, მაგრამ ყურადღებით შეათვალიერა რაისა და ფიოდორი. ამ უკანასკნელმა მაშინვე იცნო იგი.

- ხომ გახსოვვართ, გალინა? ფიოდორი ვარ, არკადის, იმ პატარა ბიჭის მამა, რომელიც მოკლეს. ეს ჩემი ძველი ნაცნობია, რაისა. ვოლსკში ცხოვრობს, ურალში. აქ იმიტომ მოვედით, რომ ის კაცი, შვილი რომ მომიკლა, კვლავაც ხოცავს ბავშვებს სხვა ქალაქებში. რაისაც ამან ჩამოიყვანა მოსკოვში. ასე რომ, შეგვიძლია, ერთად ვიმუშაოთ. თქვენი დახმარება გვჭირდება.

გალინამ ძლივს გასაგონი ხმით ჩაილაპარაკა: - აბა, რით უნდა დაგეხმაროთ, როცა არაფერი ვიცი?

რაისა მომზადებული აღმოჩნდა მსგავსი პასუხისთვის: – ფიოდორი აქ МГБ-ს ოფიცრის სტატუსით არ მოსულა. ჩვენ მშობლები ვართ, დედები და მამები, დანაშაულით აღშფოთებული მოქალაქეები. თქვენი სახელი ოფიციალურ დოკუმენტებში არ დაფიქსირდება. დოკუმენტაციას საერთოდ არ ვაწარმოებთ. ამას იქით ვეღარასოდეს გვნახავთ. ჩვენ მხოლოდ იმის გაგება გვსურს, თუ როგორ გამოიყურება იგი, რამდენი წლისაა, მაღალია თუ არა, რა ფერის თმა აქვს, როგორი ტანსაცმელი აცვია - ძვირად ღირებული თუ იაფფასიანი.

- მე რომ კაცი დავინახე, ის მარტო იყო, უბავშვოდ. ამის შესახებ უკვე განვაცხადე.

საუბარში ფიოდორი ჩაერთო: - გთხოვთ, გალინა, შემოგვიშვით. ეს დიდ დროს არ წაიღებს. ზღურბლზე ხომ არ ვილაპარაკებთ?

ქალმა უარყოფის ნიშნად თავი გადააქნია.

- ვერაფრით დაგეხმარებით. არაფერი ვიცი.

ფიოდორს ნერვიულობა დაეტყო. რაისა მას ხელზე შეეხო, რითაც გაჩუმებისკენ მოუწოდა.

სიმშვიდე უნდა შეენარჩუნებინათ, მუქარას აზრი არ ჰქონდა. მოთმინებით უნდა ემოქმედათ.

- კარგი, გალინა, გასაგებია. ბავშვიანი მამაკაცისთვის თვალი არ მოგიკრავთ. ფიოდორმა მითხრა, რომ დაინახეთ კაცი, რომელსაც ხელში ინსტრუმენტების ჩასაწყობი ჩანთა ეჭირა.

ასეა?

ქალმა თავი დაუქნია.

- ხომ ვერ აღგვიწერდით?

- მაგრამ მასთან ბავშვი არ დამინახავს.

- გასაგებია. მასთან ბავშვი არ ყოფილა. ამაში უკვე დაგვარწმუნეთ. მას ხელში ინსტრუმენტების ჩასაწყობი ჩანთა ეჭირა, მაგრამ როგორ გამოიყურებოდა?

გალინა ჩაფიქრდა. რაისა გაიტრუნა. გრძნობდა, რომ ქალი საცაა გატყდებოდა. მათ ხომ წერილობითი ჩვენება არ სჭირდებოდათ, არც მოწმის ხელმოწერა. მხოლოდ და მხოლოდ დამნაშავის გარეგნობის გაგება სურდათ, რომელიც შეგიძლია თქვა, შემდეგ კი ნებისმიერ მომენტში მასზე უარი განაცხადო. ამის გადმოცემას გალინა სულ რაღაც ნახევარ წუთში მოახერხებდა.

მოულოდნელად საუბარში კვლავ ფიოდორი ჩაერთო დაუკითხავად: - ცუდი არაფერია იმაში, თუ გვეტყვით, როგორ გამოიყურებოდა მამაკაცი, რომელსაც ხელში ინსტრუმენტების ჩასაწყობი ჩანთა ეჭირა. რკინიგზის მუშის აღწერამ რა უსიამოვნება უნდა მოგიტანოთ?

სასოწარკვეთილმა რაისამ ფიოდორს შეხედა. მან ყველაფერი გააფუჭა. რკინიგზის მუშის აღწერითაც შეიძლებოდა შარში გახვევა. ხალხი უფრო მცირედის გამოც გადაჰყრია უბედურებას. ასე რომ, ჯობდა, არ ჩარეულიყო და არაფერი გაეკეთებინა. გალინამ თავი გადააქნია და კარიდან დერეფნის სიღრმისკენ დაიხია.

- ვწუხვარ, მაგრამ მაშინ უკვე ბნელოდა. ვერაფერი გავარჩიე. მხოლოდ ის დამამახსოვრდა, რომ ჩანთა ჰქონდა.

ფიოდორმა ხელი კარის სახელურს მოჰკიდა.

- არა, გალინა, გთხოვთ...

გალინამ კვლავ თავი გადააქნია.

- წადით.

- გალინა, ძალიან გთხოვთ...

უეცრად ქალმა სასიკვდილოდ განწირული მხეცივით დაიყვირა: - წადით!

ბინაში სიჩუმე ჩამოვარდა. ბავშვებმა თამაში შეწყვიტეს. დერეფანში გალინას ქმარი გამოჩნდა.

– აქ რა ხდება?

დერეფანში სხვა ბინების კარიც გაიღო. მეზობლები გარეთ იყურებოდნენ, ერთმანეთში ჩურჩულებდნენ, მათკენ თითს იშვერდნენ, რის გამოც გალინა უფრო მეტად ანერვიულდა.

რაისამ იგრძნო, რომ ვითარება უმართავი ხდებოდა და ერთადერთ მოწმესაც კარგავდა. მან ნაბიჯი წინ გადადგა და გალინას ისე გადაეხვია, თითქოს ემშვიდობებოდა.

– როგორ გამოიყურებოდა?

რაისა ქალს ლოყაზე ლოყით მიჰკვროდა, თვალები დაეხუჭა და ელოდებოდა. გალინას თბილ სუნთქვასაც გრძნობდა, მაგრამ მასპინძელს არაფერი უთქვამს.

დონის როსტოვი იგივე დღე კატა ფანჯრის რაფაზე იჯდა, კუდს აქეთ-იქით აქანავებდა და ნადიას ცივი, მწვანე თვალებით ისე შესცქეროდა, თითქოს ფიქრობდა, დავახტე თავზე ამ გოლიათ ვირთხას თუ არაო. კატა მასზე უფროსი იყო - რვა თუ ცხრა წლის, მას კი მხოლოდ ექვსი შესრულებოდა.

ალბათ, სწორედ ამით აიხსნებოდა მისი ქედმაღლობა. მამის თქმით, მათთან ვირთხები მომრავლებულიყო, ამიტომაც კატას სარგებლობის მოტანა შეეძლო. ეს, ნაწილობრივ, სიმართლეს შეესაბამებოდა. ნადიას ხშირად მოეკრა თვალი მსუქანი და თავხედი ვირთხებისთვის, მაგრამ არასოდეს ენახა, რომ კატას ისინი დაეჭირა. ძალიან ზარმაცი იყო, მამა კი ისე ანებივრებდა, რომ სულ გააფუჭა. აბა, რომელიღაც კატა მასზე მთავარი როგორ იქნებოდა? იგი მიკარების უფლებასაც არ იძლეოდა. ერთხელ, გვერდით რომ ჩაუარა, ხელი გადაუსვა, მან კი ბოროტად დაისისინა და ბალანაბურძგნილი კუთხეში ისე შეიყუჟა, თითქოს ნადიას რამე სისაძაგლე ჩაედინოს. ამის შემდეგ გოგონას ამ აუტანელ ცხოველთან დამეგობრება აღარ უცდია. თუ კატას სძულდა, თვითონაც ამითვე გადაუხდიდა.

ნადიამ კატის დაჟინებულ მზერას ვეღარ გაუძლო და გარეთ გავიდა, თუმცა უკვე გვიან იყო და მთელი ოჯახი სამზარეულოში იმყოფებოდა, რათა ვახშამი მოემზადებინათ. იცოდა, რომ გასეირნების უფლებას არ მისცემდნენ, ამიტომ ამის გაკეთება არც უცდია, ფეხსაცმელი ჩაიცვა და კარში შეუმჩნევლად გაძვრა.

ნადია, მისი უმცროსი და, დედა და მამა მდინარე დონის ნაპირზე ცხოვრობდნენ, ქალაქის განაპირას, ვიწრო და ჭუჭყიან ქუჩაზე, სადაც ბარაკის ტიპის აგურის სახლები იდგა. ოდნავ მაღლა, მდინარის აყოლებაზე, ქალაქის კანალიზაციის ბინძური წყალი და ქარხნების საწარმოო ნარჩენები ჩაედინებოდა. ასე რომ, ნაპირზე მჯდომი ნადია ხშირად ხედავდა წყლის ზედაპირზე ქიმიური ნივთიერებების ფერად კვალსა და ათასგვარ ნაგავს. მდინარეს ორივე მხრიდან კარგად გატკეპნილი ბილიკი მიუყვებოდა. გოგონა თავქვე დაეშვა, მინდვრებისკენ.

თუმცა უკვე ბინდდებოდა, არაფრის ეშინოდა. მას პატარაობიდანვე ეხერხებოდა ადგილზე ორიენტაცია და რაც თავი ახსოვდა, ერთხელაც არ შეშლოდა გზა. იმაზე დაფიქრდა, თუ რა პროფესიის დაუფლება ჯობდა ორიენტაციის უნარით დაჯილდოებული გოგონასთვის. იქნებ გამანადგურებლის მფრინავი გამოსულიყო? მატარებლის მემანქანეობა არ ხიბლავდა, რადგან გზის არჩევაზე ფიქრი არასდროს მოუწევდა. ლიანდაგებზე გზა ხომ არ აებნეოდა. მამა ხშირად უყვებოდა ქალების შესახებ, რომლებიც ომის დროს მფრინავები გახდნენ. მისი მონათხრობი ძალიან მოსწონდა და სურდა, იმ გმირებს დამსგავსებოდა. ოცნებობდა, რომ მისი ფოტოსურათი გაზეთების პირველ გვერდზე დაიბეჭდებოდა, ლენინის ორდენითაც დააჯილდოებდნენ. მაშინ კი მიაქცევდა მამა ყურადღებას და იამაყებდა კიდეც მისით. ის სულელი კატაც დაავიწყდებოდა.

ნადია მკვირცხლად გაუყვა ბილიკს, თან მხიარულ სიმღერას ღიღინებდა. უხაროდა, სახლიდან შეუმჩნევლად რომ გაიპარა და იმ კატას მოშორდა. უეცრად შეჩერდა. წინ მისკენ მომავალი ადამიანის ბუნდოვანი სილუეტი გამოჩნდა. მაღალი იყო, მაგრამ სიბნელის გამო მის შესახებ მეტს ვერაფერს იტყოდა. ხელში პორტფელის მსგავსი ეჭირა. როგორც წესი, ნადიას უცნობებთან შეხვედრის არასდროს ეშინოდა. ან რატომ უნდა შეშინებოდა? მაგრამ ცოტა ხნის წინ დედა ძალზე უცნაურად მოიქცა: მან ნადია და მისი უმცროსი დაიკო დასვა და ორივე გააფრთხილა, რომ არავითარ შემთხვევაში არ გამოლაპარაკებოდნენ უცხო ადამიანებს. უფ-

რო შორსაც წავიდა და დაამატა: „ჯობს უზრდელი მოეჩვენოთ, ვიდრე მათი თხოვნა შეასრულოთ“.

ნადიამ სახლს გამოხედა. თურმე არც ისე შორს წამოსულიყო. თუ უკან სირბილით დაბრუნდებოდა, ათ წუთში შინ იქნებოდა. მაგრამ თავის საყვარელ ხემდე მისვლა რომ სურდა, რომელიც ცოტა ქვემოთ იზრდებოდა? მოსწონდა მასზე აძრომა, ტოტზე ჯდომა და ოცნება.

სანამ ამას არ გააკეთებდა, სანამ იმ ხემდე არ მივიდოდა, სეირნობა სიამოვნებას ვერ მიანიჭებდა. წარმოიდგინა, რომ საბრძოლო დავალება მიიღო - ხემდე მისვლა. ასე რომ, მარცხის უფლება არ ჰქონდა. გოგონამ მყისვე მიიღო გადაწყვეტილება: უცნობს არ გამოელაპარაკებოდა, მხოლოდ გვერდზე ჩაუვლიდა. თუკი დაუძახებდნენ, შეუჩერებლივ უსურვებდა მშვიდობიან საღამოს.

ნადია კვლავ გაუყვა ბილიკს. ამასობაში მამაკაცი საგრძნობლად მოახლოებოდა. ნაბიჯს ხომ არ მოუჩქარა? თითქოს. უკვე ძალიან ბნელოდა, მისი სახე რომ გაერჩია. თავზე შლაპის მსგავსი ეხურა. ნადია განზე გადგა და გზა დაუთმო. უეცრად საოცრად მოუნდა უკან მოუხედავად გაქცევა. ვერ ხვდებოდა, ეს გრძნობა საიდან გაუჩნდა. ბოლოს ყველაფერი დედას დააბრალა. გამანადგურებლის მფრინავებს არასდროს არაფრის ეშინოდათ. იგი ადგილს მოსწყდა და გაიქცა. ყოველი შემთხვევისთვის, უცნობს რომ არ სწყენოდა, გზად მიაძახა: – საღამო მშვიდობისა!

ანდრეიმ თავისუფალი ხელი მას წელზე მოხვია, მსუბუქი სხეული მიწას მოსწყვიტა, მკერდზე მიიკრა და თვალებში ჩახედა. გოგონას უზომოდ შეეშინდა, შეძრწუნებულს სუნთქვაც კი შეეკრა, პატარა სხეული დაეძაბა.

უეცრად ნადიას სიცილი აუტყდა. გაოცებისგან რომ გამოერკვა, მამას კისერზე ხელები მოხვია და აკოცა.

- როგორ შემაშინე.

- ასე გვიან მარტო რატომ სეირნობ?

- გავლა მომინდა.

- დედამ თუ იცის, სასეირნოდ რომ წახვედი?

– იცის.

- იტყუები.

- არა, არ ვიტყუები. ამ მხრიდან რატომ მოხვედი? აქედან არასდროს მოსულხარ. სად იყავი?

- ვმუშაობდი. ქალაქთან ახლომდებარე ერთ სოფელში საქმე მქონდა, უკან კი ფეხით მომიხდა დაბრუნება. ამას ორიოდე საათი მოვანდომე, მეტი არა.

- მაშინ დაღლილი იქნები.

- ჰო, ცოტათი.

- პორტფელი მომეცი, წამოგიღებ!

- ისედაც ხელში მყავხარ ატატებული, ასე რომ, პორტფელი რომც გამომართვა, ჩემთვის არაფერი შეიცვლება.

– შემიძლია, შენ გვერდით ვიარო და ისე ვატარო.

- ვფიქრობ, თვითონ გავუმკლავდები.

- მამიკო, როგორ მიხარია, რომ დაბრუნდი!

ანდრეის შვილი კვლავ ატატებული ჰყავდა. იგი პორტფელით მიაწვა კარს, შეაღო და სამზარეულოში შევიდა. სახეგანათებულმა უმცროსმა ქალიშვილმა მასთან მისასალმებლად მიირბინა. ოჯახის ყველა წევრს უხაროდა მისი დაბრუნება. ბუნებრივად მიაჩნდათ ის ფაქტი, რომ სახლიდან წასული უკან აუცილებლად ბრუნდებოდა.

ნადიამ ცერად გახედა კატას, რომელიც აშკარად ეჭვიანობდა მამის შვილის მიმართ გამოჩენილი ყურადღების გამო. იგი ფანჯრის რაფიდან ჩამოხტა, ოჯახურ ზეიმს შეუერთდა და კაცს ფეხებზე გაეხახუნა. როდესაც ანდრეიმ შვილი ძირს ჩამოსვა, გოგონამ შემთხვევით კატას კუდზე ფეხი დააბიჯა. კატამ ხმამაღლა დაიკნავლა და განზე გახტა. ნადიამ ამ პატარა შურისძიებით დატკბობა ვერც კი მოასწრო, რადგან მამამ ხელი მაგრად ჩაავლო, ჩაიცუცქა და კვადრატული სათვალის სქელი შუშებიდან გამოხედა. სახე ბრაზისგან დაღრეჯოდა.

– აღარასოდეს შეეხო მას.

ნადიას ტირილი მოუნდა, მაგრამ მხოლოდ ტუჩი მოიკვნიტა. კარგა ხანია იცოდა, რომ მამაზე ცრემლები არ მოქმედებდა.

ანდრეიმ ქალიშვილს ხელი გაუშვა და წამოდგა. გრძნობდა, რომ აღელვებისგან შინაგანად ხურდა. მან ცოლს შეხედა. ქალი იჯდა და ღიმილით შეჰყურებდა.

- უკვე ივახშმე?

- ჯერ ჩემს ნივთებს მივხედაე, ჭამა კი არ მინდა.

ცოლმა ქმარს ვერც კოცნა გაუბედა, ვერც ჩახუტება, ყოველ შემთხვევაში, ბავშვების თვალწინ. კაცი ასეთ საკითხებში სიმკაცრეს იჩენდა და მასაც სრულიად ესმოდა მისი.

- კარგად იმუშავე?

- მათ სურთ, ორი დღის შემდეგ კვლავ გავემგზავრო, ოღონდ არ ვიცი, რა ვადით.

იგი პასუხს აღარ დაელოდა - უკვე კლაუსტროფობია აწუხებდა - და სარდაფისკენ მიმავალი კარისკენ გაემართა. კუდაპრეხილი კატა კრუტუნით გაჰყვა უკან.

ანდრეიმ კარი მიხურა და კიბეზე დაეშვა. ახლა, როდესაც მარტო დარჩა, თავი უკეთ იგრძნო.

აქ, სარდაფში, უწინ ხანდაზმული ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. როდესაც ქალი გარდაიცვალა, კაცი ვაჟიშვილთან გადავიდა საცხოვრებლად, მათ ნაცვლად კი არავინ შემოუსახლებიათ. ოთახს მოსაწონი არაფერი ჰქონდა: ეს ნახევრად სარდაფი მდინარის ნაპირზე გადიოდა. აგურები სინესტისგან მუდამ სველი იყო. ზამთარში საშინლად ციოდა. კუთხეში „ბურჟუიკა“ იდგა - შეშის ღუმელი, რომელიც მოხუც ცოლ-ქმარს წელიწადში რვა თვის განმავლობაში ენთო. ამდენი ნაკლის მიუხედავად, სარდაფს ერთი უდავო უპირატესობა ჰქონდა: ოთახი, სადაც წინა მოსახლეების მიერ დატოვებული სკამი და ერთადგილიანი საწოლი იდგა, მხოლოდ მას ეკუთვნოდა. ზოგჯერ, როდესაც ამინდი შესაძლებლობას იძლეოდა, ანდრეი აქ ღამესაც ათევდა. მან ნავთის ლამპა აანთო. მალე კედელში გაკეთებული ხვრელიდან, რომელშიც „ბურჟუიკას“ მილი გადიოდა, კიდევ ერთი კატა შემოძვრა.

ანდრეიმ პორტფელი გახსნა. ქაღალდებსა და სადილის ნარჩენებს შორის მოსახრახნხუფიანი შუშის ქილა მოჩანდა. თავსახურავი მოხსნა. შიგნით, სისხლით გაჟღენთილ გაზეთ „პრავდის“ ნომერში, იმ გოგონას კუჭი იყო გახვეული, რომელიც მან რამდენიმე საათის წინ მოკლა. ანდრეიმ გაზეთი გაშალა. ცდილობდა, ხორცზე ქაღალდის ნაგლეჯიც არ დარჩენოდა. შემდეგ კუჭი კალისგან დამზადებულ თეფშზე დადო და ჯერ მოზრდილ ნაჭრებად დაყრა, შემდეგ კი - კუბებად. ამას რომ მორჩა, ღუმელი დაანთო. სანამ ისე გახურდებოდა, რომ მასზე ხორცის შეწვას შეძლებდა, მის ირგვლივ უკვე ექვსი კატა წრიალებდა. ანდრეი საქმეს შეუდგა. როდესაც ხორცს გვერდები შეუწითლდა, თეფშზე გადმოიღო. იდგა, კერძი ხელში ეჭირა და კატებს შეჰყურებდა, რომლებიც გამასპინძლების მოლოდინში ტუჩებს ილოკავდნენ. მათ საშინლად შიოდათ, საცაა გაგიჟდებოდნენ კიდეც შემწვარი ხორცის სუნისგან.

ცოტა ხნის შემდეგ ანდრეიმ გადაწყვიტა, რომ ისინი მეტად აღარ გაეღიზიანებინა და თეფში იატაკზე დადო. კატები მყისვე მისცვივდნენ მას და ჭამა დაიწყეს, თან კმაყოფილებისგან ხმამაღლა კრუტუნებდნენ.

***

ნადია სარდაფში ჩამავალ კარს შეჰყურებდა და იმაზე ფიქრობდა, რომ მამას ღვიძლ შვილებზე მეტად კატები უყვარდა. იგი მხოლოდ ორი დღით დარჩებოდა შინ. არა, მამაზე არ უნდა გაბრაზებულიყო. იგი არ უნდა დაედანაშაულებინა. ყველაფერში კატებს მიუძღოდათ ბრალი. მას თავში ერთი აზრი მოუვიდა. კატის მოკვლა ძნელი სულაც არ იყო. მთავარია, სასჯელი აეცილებინა თავიდან.

იგივე დღე ლევი და რაისა ვოროვსკის ქუჩაზე მდებარე სასურსათო მაღაზიის რიგის ბოლოში ჩადგნენ.

რამდენიმე საათი მაინც გავიდოდა, სანამ შიგნით მოხვდებოდნენ, შემდეგ ფულის გადასახდელად მოუწევდათ სალაროსთან დგომა, ბოლოს კი მესამე რიგი ელოდათ შეძენილი პროდუქტის ასაღებად. ასე რომ, კარგა ხანს გაატარებდნენ ისე, რომ ყურადღებას არავინ მიაქცევდა, ამასობაში კი ივანიც დაბრუნდებოდა სამსახურიდან.

მას შემდეგ, რაც გალინა შაპორინას ვერაფერი ათქმევინეს, გაჩნდა საშიშროება, რომ მოსკოვიდან უშედეგოდ წავიდოდნენ. რაისა ლამის ძალით გამოაგდეს ბინიდან და კარი ცხვირწინ მიუკეტეს. სანამ დერეფანში იმ მეზობლების გარემოცვაში იდგნენ, რომელთა შორისაც ინფორმატორებიც მრავლად იქნებოდნენ, კიდევ ერთ მცდელობას აზრი არ ჰქონდა.

არც იმის გამორიცხვა შეიძლებოდა, რომ გალინამ და მისმა ქმარმა უკვე შეატყობინეს სახელმწიფო უშიშროების თანამშრომლებს მათი ვიზიტის შესახებ. თუმცა ლევს ეს ნაკლებად სავარაუდოდ მიაჩნდა. გალინას აზრით, საუკეთესო გამოსავალი უმოქმედობა იყო. თუ ორგანოებს აცნობებდა, ყურადღებას მიიქცევდა და იქნებ ხელშეწყობაშიც კი დაედანაშაულებინათ. მხოლოდ ამით თუ ინუგეშებდა თავს. მათ მხოლოდ იმას მიაღწიეს, რომ ფიოდორი და მისი ოჯახი მიიმხრეს. ლევმა ყოფილ ხელქვეითს სთხოვა, რომ ნებისმიერი შეტყობინება ვოლსკში ნესტეროვის სახელზე გადაეგზავნა, ვინაიდან მის ფოსტას, დიდი ალბათობით, ამოწმებდნენ. მიუხედავად ამისა, ერთი ნაბიჯითაც ვერ მიუახლოვდნენ იმ პირის ვინაობის დადგენას, ვისაც ეძებდნენ.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, რაისა დაჟინებით მოითხოვდა ივანთან შეხვედრას.

სხვა გამოსავალი არც ჰქონდათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, დედაქალაქიდან ცარიელ-ტარიელი უნდა წასულიყვნენ. ლევი უხალისოდ დაეთანხმა ცოლის მოსაზრებებს. რაისამ ვერ მოახერხა, რომ ივანისთვის ბარათი გადაეცათ. მას ვერც წერილს გაუგზავნიდნენ, ვერც დაურეკავდნენ.

ამიტომ გონივრულ რისკზე წავიდნენ და აქ დალოდება გადაწყვიტეს. რაისამ ზუსტად იცოდა, რომ ივანი მოსკოვს იშვიათად ტოვებდა, და თუ გაემგზავრებოდა, უკანაც მალე ბრუნდებოდა.

რაც თავი ახსოვდა, შვებულება არასდროს აეღო. არც სოფელში, ბუნების წიაღში უყვარდა ყოფნა. და თუ მაინც არ მოვიდოდა სახლში, ეს მხოლოდ ერთადერთი მიზეზით თუ მოხდებოდა - მისი დაპატიმრებით. რაისას ამის გაფიქრებაც კი არ სურდა და მოუთმენლად ელოდა ამ შეხვედრას, მაგრამ ილუზიის ტყვეობაში არ იმყოფებოდა - ხვდებოდა, რომ რთული გამოცდა ელოდა. იგი ხომ ლევთან ერთად იყო, ადამიანთან, რომელიც ივანს უსაზღვროდ სძულდა, ისევე, როგორც МГБ-ს ყველა ოფიცერი, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე. მისი აზრით, კეთილი ოპერმუშაკები არ არსებობდნენ. მაგრამ რაისას იმდენად ლევისადმი ივანის დამოკიდებულება არ აღელვებდა, რამდენადაც საკუთარი - კოლეგის მიმართ. მართალია, ლევისთვის ივანთან ფიზიკურად არასდროს უღალატია, ინტელექტუალურად და ემოციურად ზურგს უკან მას ყოველთვის შეუბრალებლად კიცხავდა. იგი იმ მამაკაცს დაუმეგობრდა, რომელსაც ყველაფერი სძულდა, რაც ლევს მოსწონდა. ერთი მხრივ, თავზარსაც კი სცემდა ამ ორი, სრულიად განსხვავებული ადამიანის პირისპირ შეხვედრა. სასწრაფოდ უნდა დაერწმუნებინა ივანი, რომ ლევი შეიცვალა, სხვანაირი გახდა, რომ სახელმწიფოსადმი მისი ბრმა, უპირობო რწმენა ნამსხვრევებად იქცა. იმის ახსნასაც აპირებდა, რომ ცდებოდა თავის ქმარში, კარგად არ ესმოდა მისი. აი, თუ მამაკაცები დაინახავდნენ, რომ მათ შორის არც ისეთი დიდი განსხვავება იყო, როგორიც წარმოედგინათ... მაგრამ ამის იმედი ნაკლებად ჰქონდა.

არც ლევი იწვოდა ივანთან, რაისას მონათესავე სულთან, შეხვედრის სურვილით. საკუთარი თვალით უნდა ენახა, როგორ გაუხარდებოდათ მათ ერთმანეთის ნახვა. იმ კაცის სიახლოვე უნდა აეტანა, ვისაც რაისა, ალბათ, ცოლადაც გაჰყვებოდა, არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა რომ ჰქონოდა. ეს აზრი კვლავაც ტკივილს აყენებდა, თანაც განუზომლად

დიდს, ვიდრე საკუთარი უწინდელი მდგომარეობისა და სახელმწიფოს მიმართ რწმენის დაკარგვა. მას უსაზღვროდ სჯეროდა სიყვარულის. სწორედ ამ გრძნობის დახმარებით გაუძლო თავის სამუშაოს. ალბათ, ქვეცნობიერად სჭირდებოდა ეს სიყვარული, რომელიც ადამიანურ თვისებებს კიდევ უნარჩუნებდა. სწორედ სიყვარული დაეხმარა, მისაღები ახსნა მოეძებნა იმ სიცივისთვის, რომელსაც რაისა მის მიმართ ამჟღავნებდა. წამითაც არ დაუშვა, რომ რაისას იგი სძულდა. ბევრ რამეზე თვალს ხუჭავდა და საკუთარ თავს არწმუნებდა, რომ ყველაფერი ჰქონდა. მშობლებს ეუბნებოდა, რომ ისეთი ცოლი ჰყავდა, რომელზეც ყოველთვის ოცნებობდა.

აქ კი მართალი აღმოჩნდა - რაისა მისთვის კვლავაც აუხდენელი ოცნება იყო, ქალმა კი მხარი აუბა, თუმცა სინამდვილეში ამას საკუთარი უსაფრთხოების გამო აკეთებდა, ჭეშმარიტ გრძნობებს კი მხოლოდ ივანს ანდობდა.

ეს ოცნება ნამსხვრევებად რამდენიმე თვის წინ ექცა. მაგრამ რატომ არ უხორცდებოდა გულის იარა? რატომ ვერ ამბობდა მასზე უარს, როგორ ეს МГБ-სთან დაკავშირებით მოახერხა?

სახელმწიფო უშიშროების ერთგულებას შემცვლელი გამოუძებნა და ამ საქმის გამოძიებაში თავით გადაეშვა. მაგრამ რაისას გარდა, არავინ უყვარდა და ვერც ვერავინ ეყვარებოდა. გულის სიღრმეში ჯერაც არ გადასწუროდა იმედი, რომ ოდესმე რაისა მთელი არსებით შეიყვარებდა.

მართალია, ლევი ახლა ნაკლებად ენდობოდა საკუთარ გრძნობას, რომელმაც ერთხელ მას მტკივნეული დარტყმა მიაყენა, მაგრამ შინაგანი ხმა კარნახობდა, რომ ის და რაისა ასე ახლოს უწინ არასდროს ყოფილან. ნუთუ ეს მხოლოდ ერთად მუშაობამ მოიტანა? დიახ, ისინი ერთმანეთს აღარ კოცნიდნენ. აღარც სექსი ჰქონდათ. მას შემდეგ, რაც რაისამ მისდამი თავისი დამოკიდებულება გაამხილა, ეს არასწორ და უღირს საქციელად მიაჩნდა. ლევი საკუთარ თავს გამოუტყდა, რომ მათი უწინდელი სექსუალური გამოცდილება ცოლისთვის არაფერს ნიშნავდა.

უფრო მეტიც - შესაძლოა, არც კი სიამოვნებდა. თუმცა შექმნილი ვითარება - „შენ მე გყავარ, მე კი შენ მყავხარ“ - ერთადერთი იყო, რაც მათ ქორწინებას ამაგრებდა, ლევს მიაჩნდა, რომ სწორედ ის ყოფდა მათ. ადრე ლევი განასახიერებდა სახელმწიფოს, რომელიც რაისას ეზიზღებოდა, ახლა კი მხოლოდ საკუთარ საქციელზე აგებდა პასუხს ძალაუფლებაწარ-

თმეული და იმ სისტემიდან განდევნილი, რომელიც ქალს საშინლად სძულდა.

მათმა რიგმა თითქმის მაღაზიის კარს მიაღწია, როდესაც ქუჩის ბოლოში ივანს მოჰკრეს თვალი. მისთვის არ დაუძახიათ, რათა სხვების ყურადღება არ მიექციათ, არც რიგიდან გამოსულან. მხოლოდ გასცქეროდნენ, როგორ შევიდა იგი სადარბაზოში. რაისაც წასვლას აპირებდა, როდესაც ლევი მას ხელზე შეეხო - ბოლოს და ბოლოს, საქმე დისიდენტთან ჰქონდათ, რომელსაც იქნებ უთვალთვალებდნენ კიდეც. ლევს თავში გაუელვა, რომ ღრუ მონეტა, შესაძლოა, ივანს ეკუთვნოდა, თუ იგი ჯაშუში იყო. როგორ მოხვდა იგი რაისას ტანსაცმელში? ივანის ბინაში იხდიდა და შემთხვევით გამოჰყვა? ლევი ცდილობდა, ამაზე არ ეფიქრა, რადგან ხვდებოდა, რომ ეჭვიანობა კარგს არაფერს მოუტანდა.

მან ქუჩა ყურადღებით მოათვალიერა. ვერსად შეამჩნია აგენტები, რომლებიც სახლის ირგვლივ სათვალთვალო პუნქტებზე უნდა მდგარიყვნენ. შესაფერისი ადგილი კი მრავლად იყო - კინოთეატრის ფოიე, სასურსათო მაღაზიის რიგი, სადარბაზოების წინაფრიანი შესასვლელები.

ამ სახლისთვის თვალთვალი მარჯვე და გამოცდილ აგენტსაც კი გაუჭირდებოდა, ვინაიდან მისი არაბუნებრივი ქცევა შეუმჩნეველი არ დარჩებოდა: იგი მარტო იდგებოდა, თანაც უსაქმოდ და ადგილიდან ფეხს არ მოიცვლიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ლევს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ივანს არავინ უთვალთვალებდა. არც დამაჯერებელი არგუმენტის პოვნა უცდია და არც პანტომიმის გათამაშება, ვითომ საფულე შინ დარჩა - რიგი სწორედ მაშინ მიატოვეს, როდესაც მაღაზიაში უნდა შესულიყვნენ. მათი საქციელი ვინმეს შესაძლოა, საეჭვოდ მოსჩვენებოდა, მაგრამ ლევი იმედოვნებდა, რომ იქ მყოფთ გონიერება ეყოფოდათ და სხვის საქმეში ცხვირს არ ჩაყოფდნენ.

ისინი დაუბრკოლებლად შევიდნენ სახლში და კიბეს აუყვნენ. რაისამ კარზე დააკაკუნა.

შიგნით ნაბიჯების ხმა გაისმა და ვიღაცამ ნერვიული ხმით იკითხა: - ვინ არის?

- რაისა ვარ, ივან.

ივანმა ურდული გასწია და კარი ფრთხილად გააღო. რაისას დანახვაზე ეჭვი გაეფანტა და გაიღიმა. ქალმაც ღიმილითვე უპასუხა.

ლევი ჩაბნელებულ დერეფანში ორიოდე ნაბიჯის დაშორებით იდგა და მათ შეხვედრას აკვირდებოდა. რაისას ივანის ნახვა გაუხარდა. ორი-

ვენი თავისუფლად და ძალდაუტანებლად იქცეოდნენ. ივანმა კარი ფართოდ გააღო, ზღურბლს გადმოაბიჯა და ქალს გადაეხვია, როგორც ჩანს, უხაროდა, ცოცხალს რომ ხედავდა.

სწორედ ამ დროს ლევი შეამჩნია და ღიმილი კედლიდან ჩამოვარდნილი სურათივით გაუქრა. რაისას მოსცილდა და გაუბედავად შეხედა, თითქოს იმის დადგენა სურდა, ქალმა მახე ხომ არ დამიგოო. რაისამ მისი ორჭოფობა შეამჩნია და თქვა: - ჩვენ ბევრი რამის ახსნა მოგვიწევს.

– აქ როგორ მოხვდით?

- მოდი, ჯერ შინ შევიდეთ და იქ ვილაპარაკოთ.

ივანი ადგილიდან არ დაძრულა. ეტყობოდა, რომ ქალის სიტყვებმა ვერ დაარწმუნა. რაისა მას ხელზე შეეხო.

- დამიჯერე, გთხოვ.

ივანს პატარა ოთახი კარგად და გემოვნებით მოეწყო. იატაკი სარკესავით ბზინავდა.

ყველგან წიგნები ეწყო - ერთი შეხედვით, ნებადართული: გორკი, პოლიტიკური ბროშურები, მარქსი. საძინებლის კარი მიხურული იყო, სასტუმრო ოთახში დივანი არ იდგა. ლევი დაინტერესდა: - მარტო ვართ?

- ბავშვები ჩემმა მშობლებმა წაიყვანეს. ცოლი საავადმყოფოში წევს. ტუბერკულოზი სჭირს.

რაისა კვლავ ხელზე შეეხო.

– ძალიან ვწუხვარ, ივან.

- გვეგონა, დაგაპატიმრეს. მე ყველაზე ცუდს ველოდი.

- გაგვიმართლა. ურალის დასავლეთით გადაგვასახლეს. ლევმა ჩემს დასმენაზე უარი განაცხადა.

ივანი ისე გაოცდა, კაცი იფიქრებდა, ლევმა საგმირო საქმე ჩაიდინაო. სანამ იგი სტუმარს შემფასებელ მზერას არ აცილებდა, ლევი ენას კბილს აჭერდა, რათა რამე არ წამოსცდენოდა.

– უარი რატომ განაცხადეთ?

- იმიტომ, რომ იგი ჯაშუში არ არის.

- როდის აქეთ გახდა სიმართლე თქვენთვის ასე მნიშვნელოვანი?

რაისამ გააწყვეტინა.

- მოდი, ახლა ამაზე არ ვილაპარაკოთ.

- რატომ? თქვენ განა კვლავ VII 6-ში არ მუშაობთ?

- არა, ჩამომაქვეითეს და მილიციაში გადამიყვანეს.

- ჩამოგაქვეითეს? კარგად გადარჩენილხართ.

ეს უკვე შეკითხვა კი არა, ბრალდება იყო.

- ჩამოქვეითება და გადასახლება მხოლოდ გადავადებაა - ხანგრძლივი გაურკვევლობით დასჯა.

რაისამ მის დასამშვიდებლად დაამატა: - ჩვენ არავინ გვგითვალთვალებდა. დარწმუნებული ვართ.

- ამხელა გზა გამოიარეთ და მოსკოვში ჩამოხვედით. რატომ?

- შენი დახმარება გვჭირდება.

ივანი კვლავ გაოცდა.

- მე რით შემიძლია დახმარება?

ლევმა ჯერ პალტო გაიხადა, შემდეგ ჯემპრი და პერანგი, და ტანზე მიმაგრებული ქაღალდების ამოღებას შეუდგა. მან მოკლედ გააცნო ივანს გამოძიების მიმდინარეობა და შესთავაზა, საკუთარი თვალით ეხილა ყველა მტკიცებულება. ივანმა გამოართვა, მაგრამ არ წაუკითხავს, მხოლოდ მაგიდაზე დადო. რამდენიმე წამის შემდეგ წამოდგა და საგულდაგულოდ და ფრთხილად დაიწყო ჩიბუხის დატენა.

- როგორც ვხვდები, მილიცია გამოძიებას არ აწარმოებს?

- ყველა ეს მკვლელობა ან გახსნილია, ან მიჩუმათებული, ან ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანებზე, პოლიტიკურ მტრებზე, ლოთებსა და მაწანწალებზე გადაბრალებული. მათ შორის კავშირიც ვერ დაადგინეს.

- მაშასადამე, ერთად მუშაობთ...

რაისა წამოწითლდა.

- დიახ, ერთად ვმუშაობთ.

- ენდობი მას?

- ჰო, ვენდობი.

ლევი იძულებით დუმდა, სანამ ივანი მის ცოლს შეკითხვებს უსვამდა და მათ ურთიერთობას ეჭვქვეშ აყენებდა.

- და ამ დანაშაულის გამოძიებას თქვენ ორნი აპირებთ?

– თუ სახელმწიფო ამას ვერ აკეთებს, ეს პასუხისმგებლობა ხალხმა უნდა აიღოს, - მიუგო ლევმა.

- ეს კი ნამდვილი რევოლუციონერის გამოსვლაა, ოღონდ, თუ იმას დავივიწყებთ, ლევ, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე ამ სახელმწიფოსთვის კლავდით - ომში თუ მშვიდობიან დროს, გერმანელებს თუ რუსებს, ყველას, ვისზეც სახელმწიფო გეუბნებოდათ, შეიძულეთო. ახლა კი გინდათ დავიჯერო, რომ ოფიციალურ ხაზს გადაუხვიეთ და დამოუკიდებლად ფიქრობთ? ამას ვერ დავიჯერებ. ვფიქრობ, ეს მახეა. რაისა, ძალიან

ვწუხვარ, მაგრამ ასე მგონია, რომ მას მხოლოდ VII 5-ში დაბრუნება სურს. მან გაგასულელა, ახლა კი უნდა, მეც მათ ხელში აღმოვჩნდე.

- ის ასეთი არ არის, ივან. სამხილებს შეხედე. ყველა ნამდვილია და არა შეთითხნილი.

– კარგა ხანია, წერილობით მტკიცებულებებს აღარ ვენდობი. არც შენ უნდა დაიჯერო.

- მე ხომ საკუთარი თვალით ვნახე ერთი ბიჭის ცხედარი, მას კუჭი ამოჭრილი ჰქონდა, პირი კი ხის ქერქით ამოვსებული. გეუბნები, საკუთარი თვალით ვნახე-მეთქი, ივან. იქ ვიყავი, ვიღაცამ ბავშვზე სასტიკად იძალადა, ვიღაცას ამის კეთება სიამოვნებს და გაჩერებას არ აპირებს. მას ვერც მილიცია დაიჭერს. ვიცი, სრული უფლება გაქვს, არ გვენდო, მაგრამ ვერაფრით დაგიმტკიცებ, რომ ეს სიმართლეა. თუ არ მენდობი, ვწუხვარ აქ მოსვლის გამო.

ლევმა ნაბიჯი წინ გადადგა და ქაღალდების აღება დააპირა, მაგრამ ივანმა ხელი დააფარა.

– თვალს გადავავლებ. ფარდები ჩამოაფარეთ და ორივენი დასხედით, თორემ ძალიან მანერვიულებთ.

მას შემდეგ, რაც ოთახი გარე სამყაროს გამოეყო, ლევი და რაისა ივანის წინ მდგარ სავარძლებში ჩაეშვნენ და საქმის ყველაზე მნიშვნელოვანი დეტალების მოყოლას შეუდგნენ.

შემდეგ ლევმა საკუთარი დასკვნები შეაჯამა.

- იგი ბავშვებს ითანხმებს, რომ მასთან ერთად წავიდნენ. თოვლზე ნაფეხურები ერთმანეთის გვერდითაა გაჭიმული. ბიჭი დათანხმდა მასთან ერთად ტყეში შესვლას. და თუმცა დანაშაული შეშლილის ჩადენილს ჰგავს, ასეთი ადამიანი გამართულად, დამაჯერებლად ვერ ილაპარაკებდა, რაღაც სისულელეს იტყოდა და ბავშვებს დააშინებდა.

ივანმა თავი დააქნია.

- გკეთანხმებით.

- ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში ძალზე რთულია ოფიციალური ნებართვის გარეშე გადაადგილება, მას სამუშაო უნდა ჰქონდეს, თანაც ისეთი, რომელიც ხშირ მიმოსვლას გულისხმობს. მივლინების დამადასტურებელი და სხვა დოკუმენტებიც უნდა ჰქონდეს. იგი უნდა იყოს მისაღები, რესპექტაბელური გარეგნობისა და ჩვენს საზოგადოებაში ინტეგრირებული ადამიანი. და შეკითხვა, რომელზეც პასუხს ვერ ვპოულობთ...

– რატომ აკეთებს ამას?

– როგორ უნდა დავიჭირო იგი, თუ ვერ ვხვდები, ამას რატომ აკეთებს? არ ვიცი, რა ადამიანია, როგორ გამოიყურება. ახალგაზრდაა თუ მოხუცი? მდიდარი თუ ღარიბი? არც კი ვიცით, ვის ვეძებთ - გარდა ძირითადი ვარაუდისა, რომ მუშაობს და გარეგნულად მაინც ნორმალურ ადამიანს ჰგავს, მაგრამ ამის თქმა ხომ ნებისმიერ ადამიანზე შეიძლება.

ივანი აუჩქარებლად ეწეოდა ჩიბუხს და მოსმენილს აანალიზებდა.

- ვშიშობ, ვერაფრით დაგეხმარებით.

რაისა წინ გადაიხარა.

- მაგრამ შენ ხომ გაქვს დასავლეთში გამოქვეყნებული სტატიები მსგავსი დანაშაულებისა და მკვლელების შესახებ, რომლებიც მხოლოდ მათთვის გასაგები მოტივებით ხელმძღვანელობდნენ.

- ეს რას მოგცემს? დავუშვათ, მოგეცით კიდეც ორიოდე ასეთი სტატია. მაგრამ მათი საშუალებით ხომ იმ ადამიანის აზრთა მსვლელობას ვერ ჩასწვდებით. ადამიანის სახეს დასავლური ჟურნალისტიკის ორი-სამი სენსაციური მაგალითის გამოყენებით ვერ შექმნით.

ლევი სავარძლის საზურგეზე გადაწვა: არა, აქ ტყუილად მოვიდნენ, ეს დროის ფუჭი ხარჯვა იყო. მაგრამ ამჟამად სხვა საკითხი უფრო აინტერესებდა: შეუსრულებელი ამოცანის ამოხსნა ხომ არ დაისახეს მიზნად? ისინი უძლურნი იყვნენ ამ დანაშაულების სერიის წინაშე როგორც ინტელექტუალური, ისე მატერიალური კუთხით.

ივანი ჩიბუხს აბოლებდა, თან მათ რეაქციას აკვირდებოდა.

- მაგრამ ერთ კაცს ვიცნობ, რომელიც თქვენს დახმარებას შეძლებს. ეს პროფესორი ზაიცევია, პენსიაზე გასული ფსიქიატრი, МГБ-ს ყოფილი გამომძიებელი. იგი დაბრმავდა და სიბრმავემ მისი მსოფლმხედველობა ძირეულად შეცვალა. მას თქვენსავით აეხილა თვალი, ლევ. ამჟამად იატაკქვეშეთში ისე იცნობენ, როგორც რეჟიმთან მებრძოლ პიროვნებას. ეს ყველაფერი მას მოუყევით. გამორიცხული არ არის, თქვენი დახმარება შეძლოს.

- მისი ნდობა თუ შეიძლება?

- ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ადამიანის.

- რის გაკეთებას შეძლებს?

- თქვენ მას დოკუმენტებს წაუკითხავთ, ფოტოსურათებს აღუწერთ. შესაძლოა, გაერკვეს, ეის = მკვლელი: რამდენი წლისაა, როგორი აღზრდა აქვს მიღებული და ასე – სად ცხოვრობს?

- საკუთარ ბინაში მიღებაზე არ დაგთანხმდებათ. ძალიან ფრთხილობს. შესაძლოა, აქ მოვიდეს, თუ საერთოდ გადაწყვეტს ამ საქმეში ჩარევას. შევეცდები, დავარწმუნო, მაგრამ გარანტიას ვერ მოგცემთ.

რაისას გაეღიმა.

- გმადლობთ, ივან.

ლევი კმაყოფილი იყო: ექსპერტი გაცილებით სჯობდა ჟურნალისტურ ნაჯდაბნს. ივანი წამოდგა, ჩიბუხი მაგიდაზე დადო და ეტაჟერისკენ გაემართა, სადაც ტელეფონი იდო.

ტელეფონი.

ამ კაცს თავის პატარა, მოვლილ, კარგი ავეჯით გაწყობილ ბინაში ტელეფონიც ჰქონდა.

ლევმა ყურადღებით შეათვალიერა ოთახი. რაღაც არ მოეწონა. აქაურობა ოჯახურ სავანეს აშკარად არ ჰგავდა. მაშინ რატომ ცხოვრობდა ეს კაცი ამ შედარებით ფუფუნებაში? როგორ მოახერხა, რომ არ დააპატიმრეს? მას შემდეგ, რაც ისინი გადაასახლეს, მისი რიგი უნდა დამდგარიყო. ბოლოს და ბოლოს, VII ნ-ს მასზე დოსიეც კი ჰქონდა: ვასილიმ ხომ თვითონ უჩვენა ლევს ფოტოსურათები. როგორ აიცილა თავიდან ხელისუფალთა ყურადღება?

ამასობაში ივანი უკვე ტელეფონით საუბრობდა.

- პროფესორო ზაიცევ, მე ივან ჟუკოვი ვარ. ერთი საინტერესო ამოცანა მაქვს, რომელსაც თქვენ დაუხმარებლად ვერ ამოვხსნი. არა, ტელეფონით ვერ გიამბობთ. ახლა დაკავებული ხართ? ჩემთან ხომ ვერ მოხვიდოდით? დიახ, სასურველია, დაუყოვნებლივ.

უეცრად ლევი დაიძაბა. რატომ უწოდა ივანმა თანამოსაუბრეს პროფესორი, თუ ისინი ახლო მეგობრები იყვნენ? რატომ მიმართა სწორედ ასე, თუ სხვა რამ არ ჰქონდა ჩაფიქრებული? ეს არასწორი იყო. ყველაფერი არასწორი იყო.

ლევი წამოხტა, სავარძელი გადაყირავდა. მან ოთახი მანამ გადაკვეთა, სანამ ივანი რეაგირებას მოასწრებდა, ტელეფონს ხელი სტაცა და მასპინძელს სადენი ყელზე შემოახვია.

ახლა ლევი ბეჭებით კედელს მიყრდნობოდა და ლამის გაეგუდა მისკენ ზურგით მდგომი კაცი, რომელსაც სუნთქვა ეკვროდა და სიტყვის თქმას ვერ ახერხებდა. თავზარდაცემული რაისა სავარძლიდან წამოიჭრა.

- ლევ!

ლევმა თითი ასწია და ანიშნა, ხმა არ ამოიღოო, და ისე, რომ ხელი არ გაუშვია ივანისთვის, რომლისთვისაც ყელზე მაგრად შემოეხვია ტელეფონის სადენი, ყურმილი ყურთან მიიტანა.

- პროფესორო ზაიცევ?

ტელეფონი დუმდა. მეორე ბოლოზე ყურმილი უკვე დაედოთ. ისინი აქეთ მოემართებოდნენ.

- გაუშვი, ლევ!

მაგრამ ლევმა კიდევ უფრო მძლავრად მოუჭირა. ივანს სახეზე სისხლი მოაწვა.

– იგი ფარული ოპერმუშაკია. შეხედე, როგორ ცხოვრობს. შეავლე თვალი მის ბინას.

პროფესორი ზაიცევი არ არსებობს. ამით მხოლოდ სახელმწიფო უშიშროებას დაუკავშირდა: ისინი ახლა ჩვენს დასაპატიმრებლად მოქრიან.

– ცდები, ლევ. მე ვიცნობ ამ ადამიანს.

– იგი იატაკქვეშეთში ჩანერგილი ცრუ დისიდენტია. ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობით დაკავებული ადამიანების გამოვლენა ევალება და მათ წინააღმდეგ სამხილებს აგროვებს.

- ცდები-მეთქი, ლევ.

- გასაგებად გეუბნები - პროფესორი ზაიცევი არ არსებობს. ისინი აქ მოდიან, ძალიან ცოტა დრო გვაქვს!

ივანი სადენს ჩაეჭიდა, ამაოდ ცდილობდა ყულფის შესუსტებას. რაისამ თავი გადააქნია, მისი დახმარება სცადა და თვითონაც შეყო თოკის ქვეშ ხელი.

- გაუშვი, ლევ, თავის მართლების საშუალება მაინც მიეცი.

- განა შენი ყველა მეგობარი არ დააპატიმრეს, ამ ერთის, სწორედ ამ კაცის გარდა? ის ქალი გაიხსენე, ზოია - შენი აზრით, როგორ შეიტყო VII ნ-მ მისი სახელი? იგი ლოცვისთვის არ დაუჭერიათ. ეს მხოლოდ საბაბი იყო.

ივანი უმწეოდ აფართხალებდა ფეხებს. ლევს სულ უფრო უჭირდა მისი შეკავება. ასე დიდხანს ვეღარ გაუძლებდა.

- რაისა, შენ არასდროს მიყვებოდი შენი მეგობრების შესახებ. არასდროს მენდობოდი, მაგრამ დაფიქრდი, ვის მიენდე!

რაისამ ლევს შეხედა, შემდეგ მზერა ივანზე გადაიტანა. ლევი არ ცდებოდა - მისი ყველა მეგობარი ან მოკლეს, ან დააპატიმრეს. ყველა, გარდა

ერთისა. მან კვლავ გადააქნია თავი, უჭირდა დაჯერება. ეს ხომ პარანოია იყო, სახელმწიფოს მიერ შექმნილი პარანოია, როდესაც ნებისმიერ ბრალდებას, თუნდაც ყველაზე სულელურს, ადამიანის განადგურება და მოკვლა შეეძლო. მან თვალი მოჰკრა, რომ ივანი ცდილობდა, როგორმე კამოდის უჯრას მისწვდომოდა, და სადენს ხელი გაუშვა.

– მოიცა, ლევ!

– დრო არა გვაქვს!

- მოიცადე-მეთქი.

რაისამ უჯრა გამოსწია. შიგნით წერილების გასახსნელი ბასრპირიანი დანა იდო. ივანი სწორედ მის აღებას ლამობდა, რათა თავი დაეცვა. მის მდგომარეობაში ეს ბუნებრივი რეაქცია იყო. უჯრის სიღრმეში წიგნი მოჩანდა, რომანი „ვისთვისაც რეკავს ზარი“. რატომ უფრო საიმედო ადგილას არ დამალა? რაისამ წიგნი აიღო. იქიდან ფურცელი გადმოვარდა. მასზე სია, იმ ადამიანთა გვარები ეწერა, ვისაც ივანმა ეს წიგნი წასაკითხად ათხოვა. ზოგიერთი გვარი გადახაზული იყო. მეორე მხარეს იმათი სია ჩამოეწიკწიკებინა, ვისთვისაც მომავალში აპირებდა წიგნის გადაცემას.

რაისა ივანისკენ შეტრიალდა და სია სახესთან მიუტანა, რათა მას კარგად დაენახა. ხელი უთრთოდა. ნუთუ ამ ფაქტსაც ჰქონდა დამაჯერებელი და უცოდველი ახსნა? არა, მან უკვე იცოდა, ეს რასაც ნიშნავდა. აბა, რომელი დისიდენტი იქნებოდა ისეთი სულელი და უდარდელი, რომ იმ ადამიანთა სიები შეედგინა, რომლებმაც აკრძალული წიგნი წაიკითხეს. იგი წიგნებს სხვებს იმიტომ აძლევდა, რომ შემდგომში ეს მათთვის ბრალის სახით წაეყენებინათ.

ლევმა ხელები ერთმანეთს გადააჭდო. უმწეოდ მოფართხალე ივანი თავს ვერაფრით დაიძვრენდა.

- რაისა, შეტრიალდი.

ქალი დაემორჩილა და ოთახის შორეული კუთხისკენ გაემართა. წიგნი კვლავაც ხელში ეჭირა. ესმოდა, როგორ გამწარებით იქნევდა ივანი ფეხებს და ავეჯს ებღაუჭებოდა.

იგივე დღე ვინაიდან ივანი სახელმწიფო უშიშროების ოპერმუშაკთა სიაში ირიცხებოდა, მისი სიკვდილი აუცილებლად დაკვალიფიცირდებოდა როგორც რეჟიმთან მებრძოლი რომელიმე ანტისაბჭოთა ელემენტის მიერ ჩადენილი მკვლელობა, საზიზღარი დანაშაული. დამნაშავე მხოლოდ ხელისუფლების მოწინააღმდეგე სკეპტიკოსი თუ იქნებოდა, ამიტომ

სრულმასშტაბიანი გამოძიება ჩატარდებოდა. მისი გასაიდუმლოების საჭიროება არ არსებობდა. რაისასა და ლევის საბედნიეროდ, ივანს მტრები აუცილებლად ეყოლებოდა. იგი ხომ ხშირად ღალატობდა ცნობისმოყვარე მოქალაქეებს, ცენზურის მიერ აკრძალული ლიტერატურის დაპირებით მათ სატყუარას უგდებდა და ელოდებოდა, როდის გაებმებოდნენ მახეში, შემდეგ კი მხეცივით დააცხრებოდა თავზე. წიგნებითა და სხვა მასალით კი სახელმწიფო ამარაგებდა.

ბინიდან გასვლის წინ რაისამ გვარების სია დაჭმუჭნა და ჯიბეში ჩაიდო. ლევი მათ მიერ მოტანილ მასალას აგროვებდა. არ იცოდნენ, რა დრო დასჭირდებოდათ სახელმწიფო უშიშროების თანამშრომლებს ივანის სატელეფონო ზარზე რეაგირების მოსახდენად. მათ ბინის კარი გააღეს, კიბე ჩაირბინეს და სერიოზული სახით გარეთ მშვიდად გავიდნენ. კუთხეში მისულებმა უკან მიიხედეს და დაინახეს, რომ აგენტები უკვე შენობაში შედიოდნენ.

რაისასა და ლევის მოსკოვში ჩასვლას არავინ ელოდა. ასე რომ, თუ მათზე ეჭვს მიიტანდნენ, ეს უცებ არ მოხდებოდა. ოფიცრები, რომლებიც ივანის საქმეს იძიებდნენ, უკეთეს შემთხვევაში, ჯერ ვოლსკის МГБ-ს განყოფილებას დაუკავშირდებოდნენ, საიდანაც შეიტყობდნენ, რომ ისინი ტურისტულ ლაშქრობაში გაემგზავრნენ. ეს ფანდი მაშინ გაამართლებდა, თუ რომელიმე ზედმეტად ცნობისმოყვარე მოწმე სახლში შესულ ქალსა და მამაკაცს ვერ შეამჩნევდა. ამ შემთხვევაში მათ ალიბის საგულდაგულოდ შეამოწმებდნენ.

ლევმა იცოდა, რომ ეს მოსაზრებები არაფერს ნიშნავდა. ოპერმუშაკებს დანაშაულში მათი მონაწილეობის დამადასტურებელი სამხილები რომ ვერ მოეხელთებინათ, მართლა ტურისტულ ლაშქრობაში რომ ყოფილიყვნენ, მომხდარის გამო მათი დაპატიმრება მაინც შეეძლოთ.

სამხილების არსებობა-არარსებობა არაფერს ცვლიდა.

შექმნილ ვითარებაში მშობლების მონახულების მცდელობა თვითმკვლელობას ნიშნავდა, მაგრამ ვოლსკისკენ მატარებელი მხოლოდ დილის ხუთ საათზე გადიოდა. გარდა ამისა, ლევი აცნობიერებდა, რომ მშობლებთან საუბრის უკანასკნელი შანსი ეძლეოდა. მართალია, მოსკოვიდან გასახლების წინ მათ ერთმანეთთან დამშვიდობების შესაძლებლობა არ მისცეს, შემდეგ კი არც მათი ადგილმდებარეობა შეატყობინეს, რამდენიმე კვირის წინ ლევმა მაინც მოახერხა მშობლების მისამართის დადგენა. იცოდა, რომ სახელმწიფო უწყებები, როგორც წესი, ავტონომიურად

მოქმედებდნენ, და გადაწყვიტა, რომ თუკი სტეპანისა და ანას შესახებ შეკითხვით მიმართავდა საბინაო-კომუნალურ სამმართველოს, მასში საეჭვოს ვერაფერს აღმოაჩენდნენ და МГБ-ს ავტომატურად არ გადაუგზავნიდნენ. თუმცა სიფრთხილის ზომები მაინც მიიღო: სხვისი გვარით მიმართა და შეეცადა, რომ შეკითხვისთვის ოფიციალური სახე მიეცა: რამდენიმე გვარი დაასახელა, მათ შორის გალინა შაპორინა. მართალია, ყველა სხვა გვარი თვითონ მოიგონა, მშობლების საცხოვრებელი ადგილი მაინც დაადგინა. არც იმის გამორიცხვა შეიძლებოდა, რომ ვასილი მისგან ამგვარ მცდელობას ელოდა და ნაბრძანები ჰქონდა, მისთვის ზედმეტი დაბრკოლება არ შეექმნათ - იცოდა, რომ გადასახლებაში ლევის ერთადერთი სუსტი ადგილი მშობლები იქნებოდა, და თუ კანონის დარღვევაში მისი გამოჭერა სურდა, ხაფანგი სწორედ იქ უნდა დაეგო. მაგრამ, ლევის აზრით, ნაკლებად სავარაუდო იყო, რომ ოთხი თვის გასვლის შემდეგ მისი მშობლებისთვის სადღეღამისო თვალთვალი დაეწესებინათ. უფრო იქით იხრებოდა, რომ ოჯახი, რომელთან ერთადაც სხვა ბინაში შეასახლეს, МГБ-სთან თანამშრომლობდა. ასე რომ, მშობლები ისე უნდა მოენახულებინა, რომ მეზობლებს ვერც ვერაფერი დაენახათ და ვერც გაეგონათ. ახლა მის სიმარჯვეზე იყო დამოკიდებული როგორც მათი, ისე მშობლების უსაფრთხოებაც. თუ მას და რაისას დაიჭერდნენ, მის მშობლებს ივანის მკვლელობაში ხელშეწყობისთვის დააპატიმრებდნენ და მთელ ოჯახს გათენებამდე დახვრეტდნენ. მაგრამ ლევი მზად იყო რისკზე წასასვლელად. მათ აუცილებლად უნდა დამშვიდობებოდა.

ისინი ვორონცოვის ქუჩაზე მივიდნენ. საჭირო სახლი ძველი, რევოლუციამდელი შენობა აღმოჩნდა - იგი ასამდე პატარ-პატარა ოთახებად დაეყოთ, ერთმანეთისგან მხოლოდ თოკებზე ჩამოკიდებული გაქონილი ზეწრებით გაეტიხრათ. არავითარი პირობები - არც ცხელი წყალი იყო და არც დახურული ტუალეტები. ლევმა ფანჯრებიდან გამოყოფილი საკვამურები შეამჩნია: იქ შეშის ღუმლები იდგა, გათბობის ყველაზე იაფი და ბინძური საშუალება. ლევი და რაისა კარგა ხნის განმავლობაში სახლს შორიდან აკვირდებოდნენ. კოღოები შეუბრალებლად ესხმოდნენ თავს და ისინიც გამუდმებით იგერიებდნენ მათ და ხელისგულებს საკუთარი სისხლით ითხვრიდნენ. ლევი ხვდებოდა, რომ რამდენი ხანიც უნდა დაეყო აქ, გარეგნული ნიშნების მიხედვით, მაინც ვერ მიხვდებოდა, ელოდა თუ არა ბინაში ჩასაფრებული ხალხი. შიგნით უნდა შესულიყო. იგი რაისასკენ

მიბრუნდა, მაგრამ სანამ რამის თქმას მოასწრებდა, ქალმა დაასწრო: - აქ დაგელოდები.

რაისას რცხვენოდა. იგი ივანს ენდობოდა. კოლეგის შესახებ აზრი მის ხელთ არსებული წიგნებისა და სტატიების, დასავლეთის კულტურაზე მსჯელობის, დისიდენტების საუკეთესო ნაშრომების საზღვარგარეთ გადაგზავნის ფარული გეგმების ზეგავლენით ჩამოუყალიბდა.

მაგრამ ეს თავიდან ბოლომდე სიცრუე აღმოჩნდა - რამდენი მწერალი და რეჟიმის მოწინააღმდეგე გაება მათ დაგებულ მახეში? მის მიერ დამწვარი რამდენი ხელნაწერი დააკლდა მსოფლიოს? რამდენი მხატვარი და თავისუფლად მოაზროვნე მოქალაქე მიუყვანა და დააპატიმრებინა ჩეკისტებს? მისდამი სიმპათია იმიტომ გაუჩნდა, რომ ლევის სრული ანტიპოდი იყო. არადა, თურმე მხოლოდ ნიღაბი ეკეთა. დისიდენტი პოლიციელი აღმოჩნდა, პოლიციელი კი - კონტრრევოლუციონერი. დისიდენტმა უღალატა, პოლიციელმა გადაარჩინა. საკუთარ თავში ძალას ვერ პოულობდა, რომ ლევის გვერდით ერთგული და მოსიყვარულე ცოლივით მდგარიყო და მის მშობლებს დამშვიდობებოდა. ლევი მას ხელზე შეეხო.

- მინდა, ჩემთან ერთად წამოხვიდე.

სადარბაზოს კარი ღია იყო. შიგნით ცხელოდა. ჰაერი არ იძვროდა. წამსვე გაოფლიანდნენ და ტანსაცმელი ზურგზე მიეკრათ. ზემოთ მდებარე 27-ე ბინის კარი დაკეტილი აღმოჩნდა. ლევს არაერთხელ შეუღწევია სხვის საცხოვრებელში და იცოდა, რომ ძველი საკეტების გაღება თანამედროვეზე გაცილებით ძნელი იყო. მან ზამბარიანი დანის წვერით ჯერ დამცავი ფირფიტა მოხრახნა, შემდეგ კი დანის პირი ჭრილში შეყო, მაგრამ საკეტი გაჯიუტდა. ლევმა შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, ღრმად შეისუნთქა, თვალები დახუჭა და ხელები შარვალზე შეიწმინდა.

კოღოებს ყურადღებას არ აქცევდა - დაე, გამძღარიყვნენ მისი სისხლით. ბოლოს თვალი გაახილა. ყურადღება მოიკრიბე. საკეტი გატკაცუნდა და გაიღო.

სინათლე მხოლოდ ქუჩაში გამავალი ფანჯრიდან შემოდიოდა. ოთახი მძინარე სხეულების სუნად ყარდა. ლევი და რაისა ცოტა ხანს კართან იდგნენ, რათა სიბნელისთვის თვალი შეეჩვიათ. მალე სამი საწოლის მოხაზულობა გაარჩიეს: ორზე მოზრდილი წყვილები იწვნენ, მესამეზე სამ ბავშვს ეძინა. სამზარეულოში, იატაკზე დაგებულ ნოხზე, მაგიდის ქვეშ გაწოლილი ძაღლებივით, ორი ბალღი მოჩანდა. ლევი ფრთხილად დაიძრა მოზრდილებისკენ, მაგრამ მისი მშობლები მათ შორის არ აღმოჩნდნენ.

ნუთუ არასწორი მისამართი მისცეს? თუმცა ასეთი გაუგებრობა ხშირად ხდებოდა. იქნებ განზრახ შეიყვანეს შეცდომაში?

ლევმა კიდევ ერთ კარს მოჰკრა თვალი და იქით გაემართა. მის ფეხქვეშ იატაკის ფიცარი გაჭრაჭუნდა. რაისა უხმაუროდ და მსუბუქად მისდევდა. ახლომდებარე საწოლზე მოთავსებული წყვილი შეინძრა. ლევი გაშეშდა, მათ დამშვიდებას ელოდებოდა. საბედნიეროდ, მამაკაცსა და ქალს არ გაეღვიძათ. ლევმა გზა განაგრძო, რაისა კვლავ უკან მიჰყვებოდა. კაცი სახელურს სწვდა.

უფანჯრო ოთახში შუქი არ აღწევდა. ლევმა კარი ღია დატოვა, რათა რამე მაინც დაენახა. აქ ორი საწოლი იდგა, რომელთა შორის ვიწრო ღრეჩო მოჩანდა. მათ ჭუჭყიანი ზენარიც კი არ ყოფდა. ერთზე ორ ბავშვს ეძინა. მეორეზე ხანდაზმული წყვილი იწვა. ლევი მიუახლოვდა. ეს მისი მშობლები იყვნენ, ვიწრო, ერთადგილიან საწოლზე ერთმანეთს მიხუტებოდნენ. ლევი გაიმართა, რაისას მიუბრუნდა და წასჩურჩულა: – კარი მიხურე.

ჩამოწოლილ წყვდიადში ლევი ხელების ცეცებით გაემართა საწოლის გასწვრივ და მშობლების გვერდით იატაკზე დაჯდა. ესმოდა მათი სუნთქვა და უხაროდა, რომ ბნელოდა - იგი ტიროდა. ეს ოთახი მათი წინა ბინის სააბაზანოზე პატარა იყო. მათთვის სივრცე უკიდურესად შეეზღუდათ, განმარტოებაც კი არ შეეძლოთ. ისინი აქ გადმოიყვანეს, დაამცირეს, აქ უნდა დაელიათ სული, სანამ მათი შვილი გადასახლებაში იღუპებოდა.

მან მშობლებს ხელისგულები პირზე ერთდროულად დაადო. იგრძნო, როგორ იღვიძებდნენ - დაძაბულნი და შეშინებულნი. რამე რომ არ წამოეძახათ, ჩაიჩურჩულა: – ეს მე ვარ, ლევი. არ იხმაუროთ.

ცოლ-ქმარი მოდუნდა. ლევმა ხელები მოაცილა. მოხუცები საწოლში წამოსხდნენ. ლევმა სახეზე დედის ხელები იგრძნო. ქალი ვერაფერს ხედავდა, მაგრამ მაინც მიაგნო მას. თითები რომ ცრემლებმა დაუნამა, გაშეშდა და ძლივს გასაგონი ხმით დაუძახა შვილს: – ლევ...

დედის ხელებს მამისაც მიუერთდა. ლევმა ისინი სახეზე მაგრად მიიკრა. მან დაიფიცა, რომ გაუფრთხილდებოდა და დაიცავდა მათ და სიტყვა ვერ შეასრულა, მხოლოდ ამის თქმაღა მოახერხა: - მაპატიეთ...

- საპატიებელი არაფერი გაქვს, - მიუგო მამამ, - შენ რომ არა, სულ ასეთ პირობებში მოგვიხდებოდა ცხოვრება.

დედამ გააწყვეტინა. როგორც ჩანს, კითხვები არ ასვენებდა.

- გვეგონა, რომ დაიღუპე. ასე გვითხრეს, ორივე დააპატიმრესო.

– მოგატყუეს. ჩვენ ვოლსკში გადაგვასახლეს. ჩამომაქვეითეს, მაგრამ არ დავუპატიმრებივართ. ახლა მილიციაში ვმუშაობ. ხშირად გწერდით, ვიმედოვნებდი, რომ წერილები თქვენამდე მოაღწევდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ფოსტაში ანადგურებდნენ.

მათ გვერდით მწოლიარე ბავშვები შეირხნენ, საწოლმაც დაიჭრაყუნა. ყველანი მყისვე გაჩუმდნენ. ლევი დაელოდა, სანამ კვლავ არ გაისმა ბავშვების თანაბარი და მშვიდი სუნთქვა.

- რაისაც აქ არის.

მან მათი ხელები ცოლისკენ მიმართა. ოთხივენი ერთმანეთს გადაეხვივნენ. დედამ იკითხა: - ბავშვი?

– არა. მოეშალა, - სწრაფად დაამატა ლევმა, რათა შეხვედრა არ ჩაემწარებინა.

რაისას მოზღვავებული გრძნობისგან ხმა აუთრთოლდა.

- მაპატიეთ.

- რა შენი ბრალია.

ანა შეკითხვებს განაგრძობდა: - მოსკოვში დიდი ხნით ხართ? ხვალაც შევხვდებით?

- არა, ჩვენი აქ ყოფნა არ შეიძლება. თუ დაგვიჭერენ, ციხეში ჩაგვსვამენ. თქვენც ზედ მოგაყოლებენ. დილით ადრე მივემგზავრებით.

- იქნებ გარეთ გავსულიყავით სალაპარაკოდ?

ლევი ჩაფიქრდა. ბინიდან ისე ვერ გავიდოდნენ, რომელიმე მეზობელი რომ არ გაეღვიძებინათ.

- ვერ გავრისკავთ. გაეღვიძებათ. აქ ვილაპარაკოთ.

რამდენიმე წამი ყველანი ჩუმად იყვნენ. სიბნელეში ხელები ერთმანეთისთვის ჩაეკიდათ.

ბოლოს ლევმა ჩაილაპარაკა: - უკეთეს ბინას მოგიძებნით.

- არა, ლევ, მომისმინე. შენ ხშირად იქცეოდი ისე, თითქოს ჩვენი სიყვარული იმაზე იყო დამოკიდებული, რის გაკეთებას შეძლებდი ჩვენთვის. ბავშვობიდანვე ასეთი იყავი, მაგრამ ეს არასწორია. ახლა საკუთარ თავზე უნდა იფიქროთ. ჩვენ უკვე მოვხუცდით. რა მნიშვნელობა აქვს, სად და როგორ ვიცხოვრებთ. შენს შემოხმიანებას ველოდით და მხოლოდ ეს გვაცოცხლებდა. ახლა ერთად, ალბათ, უკანასკნელად შევიკრიბეთ. ვერაფერს გავაწყობთ და თავის მოტყუება საჭირო არ არის. ერთმანეთს დავემშვიდობოთ, სანამ ამის შესაძლებლობა ჯერ კიდევ გვაქვს. ლევ, მე შენ

მიყვარხარ და ვამაყობ შენით. მინდა, რომ ღირსეულ ხელისუფლებას ემსახურო.

ანა საოცრად მშვიდად ლაპარაკობდა.

- თქვენ ერთად ხართ და ერთმანეთი გიყვართ. მჯერა, რომ ბედნიერად იცხოვრებთ. ოდესმე ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება თქვენთვის და თქვენი შვილებისთვის. ამის დიდი იმედი მაქვს.

ეს აუხდენელი ოცნება იყო, მაგრამ დედას სჯეროდა მისი და ლევიც არ შესწინააღმდეგებია.

სტეპანმა ვაჟს ხელში წერილი ჩაუდო.

- ეს მრავალი თვის წინ დავწერე, მაგრამ გადმოცემა ვერ მოვასწარი, რადგან ქალაქიდან გაგასახლეს. ფოსტით გამოგზავნა კი არ მინდოდა. მაშინ წაიკითხე, როდესაც მატარებელში მშვიდობიანად ჩასხდებით. დამპირდი, რომ მანამდე ამას არ გააკეთებ. სიტყვა მომეცი.

– შიგ რა წერია?

- მე და დედაშენმა ბევრი ვიფიქრეთ მის შინაარსზე. წაიკითხავ, რისი თქმა გვინდოდა შენთვის, მაგრამ მიზეზთა გამო, ეს ვერ გავბედეთ. აქ ყველაფერს მიაგნებ, რაც ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ უნდა გცოდნოდა.

– მამა...

– აიღე, ლევ. ჩვენი გულისთვის.

ლევმა მამას წერილი გამოართვა და ისინი წყვდიადში ერთმანეთს უკანასკნელად გადაეხვივნენ.

6 ივლისი ლევი რაისასთან ერთად მატარებელს მიუახლოვდა. მოეჩვენა თუ ბაქანზე უფრო მეტი აგენტი იდგა, ვიდრე ეს ჩვეულებრივ ხდებოდა? ნუთუ მათ ეძებდნენ? რაისა ძალიან სწრაფად მიდიოდა. ლევი ცოლს ხელზე შეეხო და მანაც მორჩილად შეანელა ნაბიჯი. მშობლების წერილი ტანზე მიმაგრებულ საქმის მასალებში ჰქონდა ჩაჩურთული. ისინი თავიანთ ვაგონს მიადგნენ.

როდესაც ხალხით გაჭედილ მატარებელში ავიდნენ, ლევმა რაისას ყურში ჩასჩურჩულა: - აქ დამელოდე.

ქალმა თავი დაუქნია. ლევი პატარა და ვიწრო ტუალეტში შევიდა და უნიტაზის თავსახური დაუშვა, რათა აუტანელ სუნს ნაკლებად შეეწუხებინა. შემდეგ ქურთუკი გაიხადა, პერანგი შეიხსნა და უხეში ქსოვილისგან შეკერილი თხელი ჩანთა ამოიღო, რომელიც საგანგებოდ საქმის საიდუმლო დოკუმენტებისთვის გაემზადებინა. იგი ოფლს დაესველებინა და ქა-

ღალდზე არსებულ მელანს კაცის მკერდზე ღვლარჭნილი კვალი დაეტოვებინა.

ლევმა წერილს მიაგნო და ხელში შეათამაშა. დაჭმუჭნილ და გაჭუჭყიანებულ კონვერტზე არც სახელი ეწერა და არც - მისამართი. წარმოიდგინა, რამდენი იწვალეს მშობლებმა, რათა ამ წერილისთვის ცნობისმოყვარე მეზობლებს არ მიეგნოთ. ისინი ხომ მათ ნივთებშიც ხშირად იქექებოდნენ. ალბათ, ტანსაცმელში მალავდნენ და დღისითაც და ღამითაც რიგრიგობით დაატარებდნენ.

მატარებელი დაიძრა. ლევმა სიტყვა შეასრულა და ახლა წერილის წაკითხვის უფლებაც ჰქონდა. იგი დაელოდა, სანამ სადგურს არ გასცდნენ და მხოლოდ მერე გახსნა კონვერტი, რომელშიც ოთხად გაკეცილი ფურცელი იდო. მაშინვე იცნო მამის ხელწერა.

„ლევ, მე და დედაშენი არაფერს ვნანობთ. გვიყვარხარ. ყოველთვის ვიცოდით, რომ ოდესმე მაინც დადგებოდა ის დღე, როდესაც ამის შესახებ დალაპარაკება მოგვიწევდა. მაგრამ, ჩვენდა გასაოცრად, ეს დღე არასდროს დგებოდა. გვეგონა, რომ ამ საკითხს თვითონ წამოჭრიდი, როდესაც მზად იქნებოდი. შენ ამას არ აკეთებდი. ყოველთვის ისე იქცეოდი, თითქოს არაფერი მომხდარა. იქნებ ყველაფრის დავიწყება ამჯობინე? ამიტომ ჩვენც ვდუმდით. დავასკვენით, რომ ამგვარად საკუთარ წარსულში საბოლოოდ გაერკვიე. გვეშინოდა, ვაითუ, წარსული დაივიწყა, შეხსენებამ კი ტკივილი და იმედგაცრუება მოუტანოს-მეთქი. მოკლედ, ერთად ბედნიერად ვცხოვრობდით და არ გვინდოდა იმ კარგის დანგრევა, რაც გვქონდა. შეგიძლია, ამას სიმხდალე უწოდო.

კიდევ გიმეორებ, მე და დედაშენს ძალიან გვიყვარხარ და არაფერს ვნანობთ.

ლევ...

მან ქაღალდს თვალი მოსწყვიტა და თავი ასწია. დიახ, კარგად ახსოვდა, რაც მოხდა.

იცოდა, შემდეგ რაც ეწერებოდა. ამდენი წლის განმავლობაში მუდამ მის დავიწყებას ცდილობდა. იგი წამოდგა, ფანჯარა დაუშვა, ფურცელი დაკეცა, წერილი წვრილად დახია და გარეთ გადაყარა. ქარმა უსწორმასწორო ნაგლეჯები გაიტაცა და უკვალოდ გააქრო.

როსტოვის ოლქის სამხრეთ-აღმოსავლეთი თექვსმეტი კილომეტრი დონის როსტოვის ჩრდილოეთით იგივე დღე ოლქში მგზავრობის ბოლო დღე ნესტეროვმა ქალაქ გუკოვოში გაატარა. ახლა იგი ელექტრომატა-

რებლით როსტოვში ბრუნდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ გაზეთებში არაფერი ეწერა მომხდარ დანაშაულთა შესახებ, თანდათანობით ყველგან გავრცელდა ხმა, რომ ვიღაც მხეცურად ხოცავდა ბავშვებს. რაიონული მილიციის ცალკეული განყოფილებები ჯიუტად არ აღიარებდნენ მკვლელობებს შორის რამე კავშირის არსებობას, განსხვავებით უბრალო ადამიანებისგან, რომლებსაც არც სამართალდამცავ ორგანოებთან ჰქონდათ შეხება და არც თავი დანაგვიანებოდათ დანაშაულის ბუნების ათასგვარი თეორიით. ნესტეროვმა იმასაც კი მოჰკრა ყური, თითქოს რომელიღაც ნადირი ბავშვებს ქალაქ შახტის გარეუბნებში უსწორდებოდა. სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა მხეცზე საუბრობდნენ, ხალხი ზებუნებრივ მოვლენებზეც კი ალაპარაკდა. თვითონ მოისმინა, როგორ უყვებოდა ერთი შეშინებული ქალი მეზობლებს, რომ ეს ნადირი ნახევრად ადამიანი იყო, ველური ცხოველების მიერ გამოზრდილი ბალღი, რომელიც ჩვეულებრივ ბავშვებს ვერ იტანდა და მათ საკვებად იყენებდა. ერთ-ერთი სოფლის მოსახლეობა კი ყველაფერს ტყის სულს აბრალებდა და რიტუალებს ასრულებდა განრისხებული დემონის გულის მოსაგებად.

როსტოვის ოლქში მცხოვრებმა ხალხმა არაფერი იცოდა იმის შესახებ, რომ მათგან ასობით კილომეტრის დაშორებით მსგავსი დანაშაული ხდებოდა. ეგონათ, რომ წყევლამ მხოლოდ მათ უწია. ნესტეროვი ამ აზრს ნაწილობრივ იზიარებდა კიდეც. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ საზარელი მკვლელობების ეპიცენტრში იმყოფებოდა, რადგან მსგავსი რამ აქ ყველაზე ხშირად ხდებოდა.

მართალია, წამითაც არ სჯეროდა ჭორი მკვლელის ზებუნებრივი თვისებების შესახებ, მაგრამ ძალიან უნდოდა ერთ-ერთი ყველაზე სარწმუნო და გავრცელებული ვერსიის დაჯერება, თითქოს ამას ჰიტლერის მიერ შურის საძიებლად დატოვებული ფაშისტები აკეთებდნენ, ჯარისკაცები, რომლებსაც უბრძანეს, რაც შეიძლება მეტი რუსი ბავშვი დაეხოცათ. ისინი საგანგებოდდ გაეწვრთნათ რუსეთში საცხოვრებლად, აქაურ გარემოში ათქვეფილიყვნენ და განზრახ ხოცავდნენ ბავშვებს რომელიღაც უძველესი რიტუალის შესასრულებლად. ამით აიხსნებოდა დანაშაულის მასშტაბიც, გეოგრაფიაც, განსაკუთრებული სისასტიკეც და სექსუალური ძალადობის კვალის არარსებობაც. მკვლელი მარტო არ მოქმედებდა. მათი რაოდენობა ათ-თხუთმეტ კაცს შეადგენდა. ისინი ქალაქიდან ქალაქში დადიოდნენ და ბავშვებს განურჩევლად ხოცავდნენ. ეს ვერსია

ისე ფართოდ გავრცელდა, რომ მილიცია, ყველა საქმე გახსნილად რომ გამოაცხადა, გერმანული ენის მცოდნეების დაკითხვასაც კი შეუდგა.

ნესტეროვი წამოდგა, რათა ცოტა გაევლო და სისხლი აემოძრავებინა. უკვე სამი საათი სრულდებოდა, რაც ელექტრომატარებლით მგზავრობდა, რომელიც ნელი და მოუხერხებელი აღმოჩნდა, თვითონ კი ამდენ ხანს ჯდომას მიჩვეული არ იყო. ნესტეროვმა ვაგონი გაიარა, ფანჯარა გამოაღო და მოახლოებულ განათებულ ქალაქს გახედა. როგორც კი პატარა ბიჭის, სახელად პეტიას, მკვლელობის შესახებ შეიტყო, რომელიც მშობლებთან ერთად ქალაქ გუკოვოსთან მდებარე კოლმეურნეობაში ცხოვრობდა, დილიდანვე იქით გაეშურა და იოლად მიაგნო მათ სახლს. გენერალი მასპინძლებს გამოგონილი სახელით გაეცნო, თუმცა არ დაუმალავს, რომ ბავშვების მკვლელობის რამდენიმე მსგავს შემთხვევას იძიებდა. ბიჭის მშობლებს მტკიცედ სწამდათ, რომ ეს გერმანელი ჯარისკაცების ნამოქმედარი იყო, რომლებსაც მოღალატე უკრაინელები დაეხმარნენ ადგილობრივ საზოგადოებაში ასათქვეფად, რასაც შედეგად ბავშვების მასობრივი ხოცვა-ჟლეტა მოჰყვა. ბიჭის მამამ ნესტეროვს პეტიას მარკების ალბომი უჩვენა, რომელსაც ოჯახი საწოლქვეშ ხის ყუთში ინახავდა, და რომელიც მათთვის დაღუპული შვილის მოსაგონარ ერთგვარ სიწმინდედ ქცეულიყო. მშობლები მარკებს უცრემლოდ ვერ უყურებდნენ. მილიციამ მათ შვილის ცხედარი არ ანახვა, მაგრამ მაინც შეიტყვეს, თუ რა ჩაიდინა მკვლელმა. ბავშვს სხეული ისე დასახიჩრებოდა, თითქოს გარეულ მხეცს დაეგლიჯა, პირი კი მიწით ჰქონდა სავსე, რაც ბოროტი ადამიანის დაცინვას ჰგავდა. ბიჭის მამა დიდ სამამულო ომში იბრძოდა და იცოდა, რომ გერმანელ ჯარისკაცებს ნარკოტიკებს აძლევდნენ მათში სისასტიკისა და შეუბრალებლობის გასამძაფრებლად. დარწმუნებული იყო, რომ მკვლელებიც მსგავს გერმანულ ფხვნილს სვამდნენ. შესაძლოა, ისე მისჩვეოდნენ ბავშვების სისხლს, რომ მათ გარეშე ვეღარ ძლებდნენ. სხვაგვარად, როგორ შეიძლებოდა ასე გამხეცება?

ნესტეროვმა მშობლები ვერაფრით ანუგეშა, მაგრამ დაჰპირდა, რომ დამნაშავეს აუცილებლად დაიჭერდნენ.

მატარებელი როსტოვის სადგურში შევიდა. ნესტეროვი ვაგონიდან ჩამოვიდა.

დარწმუნებული იყო, რომ „სიკვდილის ზონის“ ეპიცენტრში მოხვდა, სადაც დამნაშავეს ფრთები გაეშალა. სანამ ოთხი წლის წინ ვოლსკში გადაიყვანდნენ, იგი როსტოვის მილიციაში მსახურობდა. ამიტომ საჭირო

ინფორმაციის შეგროვება არ გასჭირვებია. მისი გაანგარიშებით, მსგავს ვითარებაში რამდენიმე ათეული ბავშვი მოეკლათ, უმეტესობა კი სწორედ აქ, როსტოვის ოლქში. ნუთუ შესაძლებელი იყო, რომ ქვეყნის დასავლეთ ნაწილში გერმანელი აგენტები დარჩენილიყვნენ? ვერმახტის ჯარებს უდიდესი ტერიტორია ჰქონდათ ოკუპირებული. თვითონაც იბრძოდა უკრაინაში და საკუთარი თვალით ეხილა, რამდენ სიმხეცეს სჩადიოდა მათი არმია უკან დახევისას. გადაწყვიტა, წინასწარ რომელიმე ვერსია არ აეკვიატებინა და ეს მოსაზრებები დროებით გვერდზე გადაედო. მოსკოვში ლევის მისიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ეკისრებოდა. მას რამე მაინც უნდა შეეტყო დამნაშავის პიროვნებასთან დაკავშირებით, ნესტეროვს კი მკვლელის საცხოვრებელი ადგილის შესახებ, შეძლებისდაგვარად, ბევრი ფაქტი უნდა შეეგროვებინა.

შვებულების დროს ოჯახი დედასთან ჩაიყვანა, რომელიც ქალაქის ომის შემდგომი აღდგენის პროგრამის მიხედვით აშენებულ „ახალი სახლების“ მიკრორაიონში ცხოვრობდა.

მშენებლობისას მთავარი რაოდენობა იყო და არა ის, თუ როგორ პირობებში იცხოვრებდა ხალხი. სახლებში არც ცენტრალური წყალმომარაგების სისტემა არსებობდა, არც გათბობა და არაფრით განსხვავდებოდა ვოლსკში მდებარე მათი სახლისგან. მან და ინესამ მოილაპარაკეს, დედისთვის ეთქვათ, რომ ახალი ბინა მიიღეს. მოხუცს ეს ტყუილი ისე გაუხარდა, თითქოს იქ თვითონ უნდა ეცხოვრა. ნესტეროვი დედის სახლს მიუახლოვდა და საათს დახედა. საღამოს ცხრა საათი სრულდებოდა, არადა, დილის ექვს საათზე გამოსულიყო. თხუთმეტი საათი უსარგებლო ინფორმაციის შეგროვებაზე დაეხარჯა, მეტი დრო აღარ ჰქონდა. ხვალ შინ ბრუნდებოდნენ.

იგი ეზოში შევიდა. თოკებზე სარეცხი ეკიდა. მათ შორის თავის პერანგებსაც მოჰკრა თვალი და ხელით მოსინჯა. ყველა გამშრალიყო. გენერალმა გზა განაგრძო, დედის ბინის კარს მიუახლოვდა და სამზარეულოში შეაბიჯა.

ტაბურეტზე ინესა იჯდა. სახე გასისხლიანებოდა, ხელები შეკრული ჰქონდა. მის ზურგს უკან უცნობი მამაკაცი იდგა. ნესტეროვს არც უცდია იმის გარკვევა, თუ რა ხდებოდა ან ვინ იყო ეს უცნობი, და ბრაზმორეული მისკენ გავარდა. სულ არ ადარდებდა, რომ მას სამხედრო ფორმა ეცვა - მაინც მოკლავდა. გენერალმა მუშტი აღმართა, მაგრამ სანამ მტერს დასარტყმელ მანძილზე მიუახლოვდებოდა, ხელში საშინელი ტკივილი იგ-

რძნო. უეცრად შავი ხელკეტით შეიარაღებულ ორმოციოდე წლის ქალს მოჰკრა თვალი. ნესტეროვს ადრე უკვე ენახა იგი.

გაახსენდა კიდეც, სად - პლაჟზე, ორი დღის წინ. ქალს მეორე ხელში პისტოლეტი ეჭირა.

აგდებულად, თავდაჯერებით იქცეოდა, საკუთარი ძალაუფლებით ტკბებოდა. თანმხლებ ოფიცერს რაღაც ანიშნა. მან ნაბიჯი წინ გადმოდგა და იატაკზე ქაღალდების სქელი შეკვრა დააგდო. ეს ის დოკუმენტები აღმოჩნდა, რომლებიც მას ბოლო ორი თვის განმავლობაში შეეგროვებინა: ფოტოსურათები, პატაკები დანაშაულის ჩადენის ადგილებიდან, რუკები - ერთი სიტყვით, ყველაფერი ბავშვების მკვლელობების შესახებ.

- თქვენ დაპატიმრებული ხართ, გენერალო ნესტეროვ.

ვოლსკი 7 ივლისი მატარებლიდან ჩამოსული ლევი და რაისა ბაქანზე შეყოვნდნენ და დაელოდნენ, სანამ მგზავრები რკინიგზის შენობაში თვალს არ მიეფარნენ. საკმაოდ გვიანი იყო, თუმცა ჯერ არ ბნელოდა. თავს შიშვლებივით გრძნობდნენ. პლატფორმიდან ჩამოვიდნენ და ტყისკენ აჩქარებით გაემართნენ.

როდესაც იმ ადგილს მიუახლოვდნენ, სადაც წასვლისას აღფურვილობა დამალეს, ლევი შეჩერდა და სული მოითქვა. თავი უკან გადასწია, ხის კენწეროებს შეხედა და იმაზე დაფიქრდა, სწორად მოიქცა თუ არა, წერილი რომ დახია. მშობლებს დათვური სამსახური ხომ არ გაუწია? ხვდებოდა, რატომაც გადაიტანეს მათ ქაღალდზე თავიანთი აზრები და გრძნობები - სიმშვიდის მოპოვება სურდათ, მაგრამ რაისაც არ შემცდარა, როდესაც თქვა: ალბათ, შენც ივიწყებ დღისით მომხდარს და ასე ახერხებ ღამით დაძინებას.

არც კი იცოდა, რა ახლოს იდგა ეს ვარაუდი სიმართლესთან.

რაისა მას ხელზე შეეხო.

– კარგად ხარ?

როდესაც ცოლი წერილის შინაარსით დაინტერესდა, ლევმა ისიც კი გაიფიქრა, იქნებ მოვატყუო და ვუთხრა, რომ იგი ოჯახთან დაკავშირებულ დეტალებს შეეხებოდა, რომლებიც აღარ მახსოვდაო. მაგრამ რაისა აუცილებლად მიუხვდებოდა ტყუილს. ამიტომ გამოუტყდა, რომ წერილის ბოლომდე წაკითხვა არ მოინდომა, ნაკუწებად აქცია და ფანჯარაში გადაყარა. ახლა მშობლებს მშვიდად შეეძლოთ ძილი, რადგან გულზე მოეშვებოდათ. მისდა სასიხარულოდ, ცოლს მისი გადაწყვეტილების სისწორეში ეყვი არ შეჰპარვია და ამ საკითხს აღარ დაჰბრუნებია.

ლევმა და რაისამ ხელებით გადაყარეს ფოთლები და ფხვიერი მიწა და თავიანთი ნივთები ამოიღეს, შემდეგ კი იმ ტანსაცმლის გახდას შეუდგნენ, ქალაქში რომ ეცვათ. კვლავ ტურისტებივით უნდა გამოწყობილიყვნენ, რათა ეჭვი არავის აეღო და საკუთარი საფარველი თავისივე ხელით არ მოესპოთ. როდესაც ყველაფერი გაიხადეს, წამით გაირინდნენ და ერთმანეთს შეხედეს. ლევს უეცრად ცოლის დაუფლება მოუნდა. შესაძლოა, ამაზე საფრთხის განცდამ იმოქმედა, შესაძლოა, მისთვის დამახასიათებელმა ავანტიურიზმმა. მაგრამ არ იცოდა, რაისა რას ფიქრობდა ამის შესახებ და პირველი ნაბიჯის გადადგმას ვერ ბედავდა. ისე იდგა და ელოდა, თითქოს უწინ არასდროს წოლილიყვნენ ერთად, თითქოს პირველად დარჩენილიყვნენ პირისპირ და არ იცოდნენ, რა შეიძლებოდა და რა - არა. ბოლოს ისევ რაისა შეეხო ხელზე. ეს სრულიად საკმარისი აღმოჩნდა. მან ცოლი მიიზიდა და აკოცა. ისინი ერთად ხოცავდნენ, ერთად ცრუობდნენ, ერთად აწყობდნენ და ახორციელებდნენ გეგმებს, ახლა კი დამნაშავეებად ქცეულიყვნენ და მთელი სამყარო დაჰპირისპირებოდათ. სწორედ რომ დრო იყო მათ შორის ახალი ურთიერთობების გაფორმებისა და გამტკიცებისა. გული მხოლოდ იმაზე სწყდებოდათ, რომ სამუდამოდ აქ ვერ დარჩებოდნენ, ტყეში, რათა მხოლოდ აწმყოთი ეცხოვრათ და იმ გრძნობით დამტკბარიყვნენ, რომელსაც ერთმანეთის მიმართ განიცდიდნენ.

***

ლევი და რაისა ქალაქში ტურისტული მარშრუტის მხრიდან შევიდნენ. ბაზაროვის რესტორანს რომ მიუახლოვდნენ, კარი შეაღეს და მთავარ დარბაზში აღმოჩნდნენ. ლევი გაინაბა, ელოდა, რომ უკნიდან ვიღაცის მძლავრი ხელები სწვდებოდა, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. აქ არც აგენტები იყვნენ და არც მილიციელები. მშვიდად შეეძლოთ ყოფნა, ყოველ შემთხვევაში, დღეს მაინც. ბაზაროვი სამზარეულოში ფუსფუსებდა და თუმცა გაიგო მათი შემოსვლა, თავი არც კი მოუბრუნებია.

ისინი ზევით ავიდნენ და კარი გააღეს. იქვე, იატაკზე, ვიღაცის მიერ შეცურებული ბარათი ეგდო. ლევმა ჩანთები საწოლზე დაუშვა და ქაღალდი აიღო. ეს ნესტეროვს გამოეგზავნა დღეს.

„ლევ, თუ დაგეგმილ დროს დაბრუნდი, დღეს, საღამოს ცხრა საათზე, ჩემს კაბინეტში შევხვდეთ ერთმანეთს. იმ საქმის ყველა დოკუმენტი წამოიღე, რომელზეც ვმსჯელობდით.

ოღონდ ძალიან გთხოვ, არ დაიგვიანო“.

ლევმა საათს დახედა. მის განკარგულებაში ნახევარი საათი იყო.

იგივე დღე ლევი მილიციის განყოფილებაში კი მივიდა, მაგრამ მაინც ფრთხილობდა. თავისი ქაღალდები ოფიციალურ დოკუმენტებს შორის მოათავსა. ნესტეროვს კაბინეტის ფანჯრებზე ფარდები ჩამოეფარებინა, ასე რომ, შიგნით არაფერი ჩანდა. ლევმა კვლავ საათს დახედა: ორი წუთით დაეგვიანებინა. ვერ ხვდებოდა, რა საჭირო იყო ასეთი სიზუსტე. კარზე დააკაკუნა. ჯერ ხელიც არ ჩამოეშვა, რომ იგი გაიღო, თითქოს ნესტეროვი იქვე იდგა და მის მოსვლას ელოდა.

გენერალმა იგი მაშინვე შიგნით შეიყვანა და კარი ფეხით მიხურა. ეს საოცრად სწრაფად და მარჯვედ გამოუვიდა.

ნესტეროვი უცნაურად ჩქარობდა, ვერ ისვენებდა. მაგიდაზე იმ საქმის მასალები ეწყო, რომელსაც იძიებდნენ. მან ლევს მხრებში ხელები ჩაავლო და ხრინწიანი, ოდნავ მოგუდული ხმით უთხრა: - ყურადღებით მომისმინე და არ გამაწყვეტინო. როსტოვში დამაპატიმრეს და ყველაფერი მათქმევინეს. სხვა გამოსავალი არ მქონდა. ჩემი ოჯახი მძევლად აიყვანეს. რაც ვიცოდი, მოვუყევი. ვფიქრობდი, იქნებ დავარწმუნო და საქმე ოფიციალურად აღძრან-მეთქი. მათ ეს მოსკოვს შეატყობინეს. ცოტა ხანში კი ანტისაბჭოთა აგიტაციაში დაგვადანაშაულეს. მიაჩნიათ, რომ შენ სახელმწიფოს წინააღმდეგ პირადი წყენა გამოძრავებს და შურისძიება გსურს. ჩვენ მიერ შეგროვებული სამხილები არაფრად ჩააგდეს - დასავლეთის პროპაგანდისტული მანქანის ზეგავლენით გაყალბებული და შეთითხნილი უწოდეს. დარწმუნებულები არიან, რომ შენ და შენი ცოლი ჯაშუშები ხართ. არჩევანი არ მქონდა. ჩემს ოჯახს თავს მხოლოდ მაშინ დაანებებენ, თუ შენს თავს დავაჭერინებ და ჩვენ მიერ შეგროვებულ ყველა ცნობას გადავცემ.

ლევის გარშემო არსებული სამყარო შეზანზარდა და ნამსხვრევებად იქცა. მართალია, საკუთარ თავს ხშირად უმეორებდა, რომ საფრთხე მუდმივად ემუქრებოდა, არ ელოდა, მას ასე სწრაფად თუ შეეჩეხებოდა.

- როდის?

- ახლავე. შენობა ალყაშია. აგენტები თხუთმეტი წუთის შემდეგ შემოვლენ და აქვე, ჩემს კაბინეტში დაგაპატიმრებენ. ჩვენ მიერ მოძიებულ სამხილებსაც წაიღებენ. იქამდე კი უნდა გაიძულო და მოსკოვიდან ჩამოტანილი ინფორმაცია გათქმევინო.

ლევმა უკან დაიხია და საათს დახედა. ცხრის ხუთი წუთი იყო.

- უნდა მომისმინო, ლევ. კიდევ გაქვს გაქცევის შანსი. ყველაფერი რომ გამოვიდეს, არ გამაწყვეტინო და არც შეკითხვა დამისვა. გეგმა მოვიფიქრე. პისტოლეტს ჩამარტყამ და გონებას დავკარგავ. ამ კაბინეტიდან გახვალ, ქვედა სართულზე დაეშვები და კიბის მარჯვნივ ერთ-ერთ ოთახში დაიმალები. გესმის, ლევ? გამოფხიზლდი! კარი ღია დაგხვდება. როდესაც შიგნით შეხვალ, შუქი არ აანთო და კარი გასაღებით გადაკეტე.

მაგრამ ლევი არ უსმენდა, სულ სხვა რამეზე ფიქრობდა.

- რაისა?

- სანამ ვლაპარაკობდით, მას უკვე დააპატიმრებდნენ. ვწუხვარ, მაგრამ ამას არაფერი ეშველება. გამოფხიზლდი, ლევ, თორემ ყველაფერი დასრულდება.

- ისედაც დასრულებულია. მაშინ დასრულდა, როცა თქვენ მათ ყველაფერი უამბეთ.

- ლევ, ეს არც სყირდებოდათ. ჩემ მიერ შესრულებული სამუშაო ხომ ხელთ ჰქონდათ.

დოსიეც კი შეედგინათ ჩემზე. რაღა დამრჩენოდა. ნება მიმეცა, რომ ოჯახი ამოეხოცათ? შენ მაინც დაგაპატიმრებდნენ. ლევ, თუ გაბრაზებას თავს არ დაანებებ, გაქცევას ვერ მოასწრებ.

ლევმა მხრებიდან ნესტეროვის ხელები მოიცილა და კაბინეტში ბოლთის ცემას მოჰყვა, თან გამალებით ცდილობდა იმის მოფიქრებას, თუ როგორ მოქცეულიყო. რაისა დაეპატიმრებინათ.

ორივემ იცოდა, რომ ეს ადრე თუ გვიან მოხდებოდა, მაგრამ საფრთხეს განყენებულად და აბსტრაქტულად აღიქვამდნენ. ვერ აცნობიერებდნენ, თუ რას გამოიწვევდა ეს მათში. იმის გაფიქრებაზე, რომ ცოლს ვეღარასოდეს ნახავდა, კინაღამ სუნთქვა შეეკრა. მათი ურთიერთობა, გრძნობა, რომლებიც ერთმანეთს ორიოდე საათის წინ გაუმხილეს, კვლავ ჩაკვდა.

- ლევ!

ნეტავ რაისა როგორ საქციელს ელოდა მისგან? არ მოეწონებოდა, თუ გრძნობებს აჰყვებოდა. ისურვებდა, რომ გაქცეულიყო და მიზნისთვის მიეღწია, თავდაპირველად კი გენერლისთვის მოესმინა.

- ლევ!

– კარგი, მომიყევით თქვენი გეგმის შესახებ.

ნესტეროვი ლაპარაკს შეუდგა და იგივე გაიმეორა, რაც რამდენიმე წუთის წინ თქვა: - შენ მე პისტოლეტის სახელურს ჩამარტყამ და გონე-

ბას დავკარგავ. ჩემი კაბინეტიდან ქვედა სართულზე დაეშვები, მარჯვენა მხარეს ერთ-ერთ ოთახში დაიმალები და იქ შენობაში აგენტების შემოსვლამდე დარჩები. ისინი აქ ამოვლენ, ამ სართულზე. როგორც კი ჩაგივლიან, პირველ სართულზე ჩახვალ და უკანა ფანჯრიდან გადაძვრები. იქვე ჩემი მანქანა დაგხვდება.

აი, გასაღები. შენ მე ის ძალით წამართვი. ქალაქიდან უნდა გახვიდე. არსად შეყოვნდე, არავინ ეძებო, არ გაჩერდე, უბრალოდ გაემგზავრე. დროში მცირე ფორა გექნება. იფიქრებენ, რომ ფეხით წახვედი და ქალაქში იმალები. როდესაც მანქანის შესახებ შეიტყობენ, უკვე თავისუფალი იქნები.

- და რა ვუყო ამ თავისუფლებას?

- ეს საქმე გამოიძიე.

- მოსკოვში ტყუილუბრალოდ ჩავედი. მოწმემ საუბარი არ ისურვა. მე კვლავაც არ ვიცი, ვინ არის ის ადამიანი.

ეს სიახლე ნესტეროვისთვის სიურპრიზი აღმოჩნდა.

- ლევ, ვიცი, რომ ამ მკვლელობების გამოძიებას შეძლებ. მჯერა შენი. დონის როსტოვში უნდა გაემგზავრო. ის არის ყველა დანაშაულის ეპიცენტრი. დარწმუნებული ვარ, მთელი ძალისხმევა იქით უნდა მიმართო. ბავშვების მკვლელობის შესახებ ათასგვარი ჭორი დადის.

ზოგი ამტკიცებს, რომ ეს ყოფილი ნაცისტების გაკეთებულია.

ლევმა გააწყვეტინა.

- არა, ყველა ეს დანაშაული ერთმა კაცმა ჩაიდინა. მას თანამზრახველები არა ჰყავს.

სამაგიეროდ, სამუშაო აქვს. გარეგნულად ჩვეულებრივ ადამიანს ჰგავს. თუ დარწმუნებული ხართ, რომ მკვლელობების უმეტესობა როსტოვში მოხდა, მაშასადამე, იქ ცხოვრობს და მუშაობს. მისი სამსახური კი მკვლელობის სხვადასხვა ადგილის დამაკავშირებელი რგოლია. ის ქვეყნის მასშტაბით გადაადგილების შესაძლებლობას აძლევს - და ბავშვებს სწორედ ამგვარი მგზავრობის დროს ხოცავს. თუ მის პროფესიას დავადგენთ, ვერსად წაგვივა.

ლევმა საათს დახედა. მის წასვლამდე მხოლოდ ოთხი წუთიღა რჩებოდა. ნესტეროვმა რიგრიგობით დაადო რუკაზე თითი ორი ქალაქის აღმნიშვნელ წერტილებს.

- რა კავშირია როსტოვსა და ვოლსკს შორის? ამ ქალაქის აღმოსავლეთით ერთი მკვლელობაც კი არ მომხდარა. ყოველ შემთხვევაში, მათ

შესახებ არაფერი გაგვიგია. როგორც ჩანს, ეს მისი მარშრუტის დასასრულია. ან პირიქით, ათვლის წერტილი.

ლევი დაეთანხმა.

- ვოლსკში საავტომობილო ქარხანაა. ხეტყის სახერხი ქარხნების გარდა, სხვა მსხვილი საწარმო აქ არ არსებობს. აი, როსტოვში კი უამრავი ფაბრიკა-ქარხანაა.

ნესტეროვი ამ ქალაქებს ლევზე გაცილებით უკეთ იცნობდა.

- ავტოქარხანასა და „როსტსელმაშს“ ერთმანეთთან მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა აკავშირებს.

- „როსტსელმაში“ რა არის?

- სატრაქტორო ქარხანა. ყველაზე დიდი საბჭოთა კავშირში.

- ისინი ერთმანეთს სათადარიგო ნაწილებით ხომ არ ამარაგებენ?

- იქიდან სალტეები ჩამოდის „გაზ-20“-ისთვის, ძრავის დეტალები კი პირიქით, აქედან მიაქვთ სამხრეთში.

იქნებ სწორედ ეს იყო ის კავშირი, რომელსაც ეძებდნენ? მკვლელობები სარკინიგზო ხაზის გაყოლებაზე ხდებოდა სამხრეთიდან აღმოსავლეთისკენ და ზუსტად ემთხვეოდა გზაში არსებულ გაჩერებებს. ლევმა სწრაფად გადახარშა ეს ვერსია და თქვა: – თუ ავტოქარხანა სათადარიგო ნაწილებს უგზავნის „როსტსელმაშს“, მაშინ მათ ქარხანაში საქმის მიმწოლი უნდა ჰყავდეთ. ვიღაც უნდა ჩამოდიოდეს მათგან, რათა დარწმუნდეს, რომ ავტოქარხანა თავისი ვალდებულებების შესრულებას შეძლებს.

- ვოლსკში მხოლოდ ორი ბავშვი მოკლეს, თანაც შედარებით ცოტა ხნის წინ, არადა, ეს ქარხნები კარგა ხანია თანამშრომლობენ.

- ბოლო რამდენიმე მკვლელობა ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში მოხდა. ეს იმას ნიშნავს, რომ მან ეს სამუშაო ცოტა ხნის წინ მიიღო ან ახლახან დანიშნეს ამ მარშრუტზე. შრომის წიგნაკებიდან ამონაწერები გვჭირდება. თუ არ ვცდებით, მათ დანაშაულის ჩადენის ადგილებს შევადარებთ და იმ ადამიანსაც გამოვთვლით.

ისინი საქმის გახსნასთან ძალზე ახლოს იყვნენ. და რომ არა თვითონ მათზე დაწყებული ნადირობა, თავისუფლად მოქმედება რომ შესძლებოდათ, კვირის ბოლოსთვის მკვლელსაც დაიჭერდნენ. მაგრამ მათ არც ერთი კვირა ჰქონდათ და არც სახელმწიფოს მხარდაჭერა. ოთხი წუთიღა რჩებოდათ. საათი ათის თერთმეტ წუთს აჩვენებდა. ლევი აქ ვეღარ დარჩებოდა. მან მაგიდიდან მხოლოდ ერთი ფურცელი აიღო - მკვლელობების ჩამონათვალი ადგილისა და თარიღის მითითებით. მეტი არაფერი სჭირ-

დებოდა. ლევმა ფურცელი ოთხად გაკეცა და ჯიბეში ჩაიდო. ნესტეროვმა შეაჩერა და პისტოლეტი გაუწოდა. ლევმა იარაღი გამოართვა და შეყოვნდა. ნესტეროვმა ეს მაშინვე შეამჩნია და უთხრა: - სხვაგვარად ჩემი ოჯახი დაიღუპება.

ლევმა მას საფეთქელში დაარტყა და კანი გაუხეთქა. გენერალი მუხლებზე დაეცა. გონება ჯერ არ დაეკარგა. მან თავი ასწია.

- წარმატებას გისურვებ, ახლა კი მთელი ძალით ჩამარტყი.

ლევმა ხელი მოიქნია. ნესტეროვმა თვალები დახუჭა.

დერეფანში გამოვარდნილ ლევს გაახსენდა, რომ მანქანის გასაღები დაავიწყდა.

შეტრიალდა, უკან გაიქცა, ნესტეროვის კაბინეტში შეიჭრა, გენერალს გადააბიჯა და გასაღები აიღო. აგვიანებდა - თერთმეტის თხუთმეტი წუთი იყო და აგენტები უკვე შენობაში შემოდიოდნენ. ლევი ჯერაც კაბინეტში იდგა, სწორედ იქ, სადაც მისი დაპატიმრება იგეგმებოდა.

სირბილით გაუყვა დერეფანს და ქვედა სართულზე დაეშვა. უკვე ესმოდა ზემოთ ამომსვლელთა ფეხის ხმა. მესამე სართულზე მარჯვნივ შეუხვია და კარს ეცა. როგორც ნესტეროვი დაჰპირდა, იგი ღია აღმოჩნდა. სწრაფად შევიდა შიგნით და კარი სწორედ იმ დროს მიხურა, როდესაც ოპერმუშაკები ზედა სართულზე არბოდნენ.

ლევი სიბნელეში იდგა და ელოდა. ფარდები ჩამოფარებული იყო, ასე რომ, ქუჩიდან ვერავინ დაინახავდა. კვლავ მოესმა ფეხების ბრაგაბრუგი. კიბეზე ოთხი აგენტი მაინც ამოდიოდა. ერთი სული ჰქონდა, ამ ოთახში, შედარებით უსაფრთხო ადგილას დარჩენილიყო.

ფანჯრები ცენტრალურ მოედანს გადაჰყურებდა. ჩუმად გაიხედა. მოპირდაპირე მხარეს, მთავარი შესასვლელის წინ, რამდენიმე კაცი ნახევარწრეზე იდგა. სასწრაფოდ მოშორდა ფარდას. პირველ სართულზე უნდა ჩასულიყო, შენობის უკანა ნაწილში. ლევმა კარი გააღო და დერეფანი შეამოწმა. არავინ ჩანდა. ქვემოდან კიდევ ერთი ოპერმუშაკის ხმა ისმოდა. ლევი მეორე სართულზე დაეშვა. არც აქ იყო ვინმე, მაგრამ როგორც კი ფეხი შემდეგ საფეხურზე ჩადგა, ზევიდან შეძახილები მოისმა: ნესტეროვი აღმოეჩინათ.

კოლეგების ხმაზე სამმართველოს შენობაში აგენტების კიდევ ერთი ჯგუფი შემოიჭრა.

პირველ სართულზე ჩასვლა აღარ ღირდა. ლევმა ნესტეროვის გეგმაზე უარი თქვა და მეორე სართულზე დარჩა. მას ახლავე უნდა ესარგებლა

ოპერმუშაკების წამიერი დაბნეულობით, სანამ ისინი გონს მოეგებოდნენ, ჯგუფებად დაიყოფოდნენ და შენობის ჩხრეკას დაიწყებდნენ.

პირველ სართულზე ვეღარ ჩავიდოდა. ამიტომ დერეფანი გაირბინა და ტუალეტში შევარდა, რომელიც მხოლოდ შენობის უკანა მხრიდან მოჩანდა. მიწიდან საკმაოდ მაღლა მდებარე, ვიწრო ფანჯარა გამოაღო - კაცი გაჭირვებით გაეტეოდა. თავით უნდა გადამძვრალიყო. გარეთ გაიხედა. ქვევით არავინ იდგა. მიწამდე ხუთი მეტრი იქნებოდა. ფანჯარაში გაძვრა და ფეხებით რაფას დაეკიდა, ხელებით კი რამე საყრდენს ეძებდა, მაგრამ ვერაფერს მიაგნო. უნდა გადამხტარიყო და თავი ხელებით დაეფარა.

მიწაზე ხელისგულებით დაეცა. მაჯებში საშინელი ტკივილი იგრძნო. ამ დროს ყვირილი მოესმა და თავი ასწია. ზედა სართულის ფანჯარაში ოპერმუშაკი გადმომდგარიყო და მისკენ თითს იშვერდა. ლევი შეამჩნიეს. მან ტკივილს ყურადღება აღარ მიაქცია, წამოდგა და მეზობელი ქუჩისკენ გაიქცა, სადაც მანქანა იდგა. ტყვიებმა გაიზუზუნა, თავთან ჩაუქროლა და აგურის კედელს მოხვდა. ლევი დაიხარა და ისე განაგრძო სირბილით გზა. კიდევ რამდენჯერმე ისროლეს. მათი ხმა ექოსავით გავრცელდა ირგვლივ. ლევმა, როგორც იქნა, შენობის კუთხეს მიაღწია და შეუხვია. ახლა მსროლელი ვეღარაფერს დააკლებდა.

ავტომობილი სადგომზე იდგა და მას ელოდებოდა. იგი საჭეს მიუჯდა, ამნთების ჭრილში გასაღები შეყო და გადაატრიალა. ძრავამ ჩაახველა და დადუმდა. ერთხელაც სცადა. ამჯერად გაუმართლა და მანქანა დაიქოქა. ლევმა სიჩქარე გადართო და ავტომობილი დაძრა. გაზს ფრთხილად მოუმატა, რათა სალტეებს ღრჭიალი არ დაეწყო. მდევარს ვერ უნდა დაენახა, რომ მანქანით აპირებდა მიმალვას. ვინაიდან ეს მილიციის სატრანსპორტო საშუალება იყო, იმის იმედიც ჰქონდა, რომ თუ თვალს მოჰკრავდნენ, თავისიანი ეგონებოდათ და ძებნას კვლავაც ახლომახლო განაგრძობდნენ.

გზაზე არავინ მოჩანდა. ლევი საჭეს ჩაჰფრენოდა და გაზის სატერფულს აწვებოდა.

როგორმე ქალაქს უნდა გასცდენოდა. მანქანა ძაგძაგებდა. ნესტეროვი შეცდა: ასე როსტოვამდე ვერ ჩააღწევდა. ჯერ ერთი, რამდენიმე ასეული კილომეტრი უნდა გაევლო. მეორე - ავზში ცოტა ბენზინი ესხა და მარაგს ვერსად შეივსებდა. და მესამე - როგორც კი ოპერმუშაკები დაადგენდნენ, რომ მან მანქანა გაიტაცა, ყველა გზას გადაკეტავდნენ. ასე რომ, რაც შეიძლება შორს უნდა წასულიყო, შემდეგ კი მანქანა მიეტოვებინა, თავი სოფლის მიდამოსთვის შეეფარებინა და მატარებელში ჩაჯდომა ეცადა.

სანამ მანქანას მიაგნებდნენ, ჩანაფიქრის შესრულების შანსი კიდევ ჰქონდა.

იგი ერთადერთ მთავარ გზაზე გავიდა, რომელიც ქალაქიდან დასავლეთით მიემართებოდა.

ლევი გაზს დააწვა და უკანა ხედვის სარკეში ჩაიხედა. თუ მდევარი იფიქრებდა, რომ იგი უმანქანოდ იყო, მეზობელი სახლების შემოწმებას დაიწყებდა და მარაგში ერთი საათი ექნებოდა. ლევმა სისწრაფეს მოუმატა. მანქანა ახლა ზღვრული, საათში ოთხმოცი კილომეტრის სიჩქარით მიქროდა.

წინ ავტომობილი და მის გარშემო შეგროვილი ხალხი გამოჩნდა. მილიციას გზა გადაეკეტა.

ძალიან ოპერატიულად მოქმედებდნენ. ეს იმას ნიშნავდა, რომ აღმოსავლეთის მიმართულებითაც იგივე სურათი დახვდებოდა. მათ მთელი ქალაქი დაებლოკათ. ერთადერთი შანსი რჩებოდა - დაბრკოლების გარღვევა. თუ გზის გარდიგარდმო მდგარ მანქანას მთელი ძალით შეეჯახებოდა და განზე ისე გასწევდა, რომ საჭე არ გაჰქცეოდა, მაშინ გაივლიდა. ასეთ შემთხვევაში, სწრაფად ვეღარ დაედევნებოდნენ. ეს სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ადამიანის საქციელი იყო, მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა.

აგენტებმა სროლა აუტეხეს. ტყვიები მანქანას წინიდან ხვდებოდა და აქეთ-იქით ნაპერწკლებს ყრიდა, ერთი ტყვია საქარე მინას მოხვდა, ლევმა თავი დახარა. ახლა გზას ვეღარ ხედავდა, მაგრამ ავტომობილი სწორ გზაზე მიდიოდა და მას მხოლოდ ოდნავ უნდა დაეჭირა საჭე. წინიდან შუშას კიდევ რამდენიმე ტყვია მოარტყეს და ლევს წვრილი ნამსხვრევები შეეყარა. ის კი კვლავაც მიაქროლებდა მანქანას და შეჯახებისთვის ემზადებოდა.

უეცრად ავტომობილის წინა მხარემ დაიწია და განზე წავიდა. ლევი სავარძლის საზურგეს მიეჯახა. მან საჭის დამორჩილება სცადა, მაგრამ ვერაფერი გააწყო, რადგან ტყვიებს საბურავები გაეხვრიტა. მანქანა მოცურდა და გვერდზე აყირავდა. შუშის ნამსხვრევები აქეთ-იქით გაიფანტა. ლევი კარისკენ გადავარდა და გზის საფრიდან რამდენიმე მილიმეტრის დაშორებით აღმოჩნდა. მანქანა სრიალით მიიწევდა წინ და ასფალტზე ნაპერწკლებს ისროდა.

ბოლოს იგი მილიციის ავტომობილს შეეჯახა, კვლავ გადაყირავდა, გზაზე სახურავით დაეცა, რამდენჯერმე დატრიალდა, თხრილში გადა-

ვარდა და გაჩერდა. მორიგმა ბიძგმა ლევი სალონიდან სახურავზე ატყორცნა.

***

ცოტა ხნის შემდეგ ლევმა თვალი გაახილა. არ იცოდა, განძრევა თუ შეეძლო, ამის შემოწმების ძალაც კი აღარ შერჩენოდა. იწვა და ღამის ცას შეჰყურებდა. თავი ნელა, მძიმედ უმუშავებდა. მანქანაში აღარ იყო. ვიღაცას გადმოეთრია. უეცრად ადამიანის სახე გამოჩნდა, რომელიც ვარსკვლავებს გადაეფარა და ლევს ზემოდან დააცქერდა. ლევმა მზერა დაძაბა.

ეს ვასილი იყო.

დონის როსტოვი იგივე დღე არონს ძალიან მოსწონდა მილიციაში მუშაობა, იგი ამაღელვებლად და საინტერესოდ ეჩვენებოდა, ყოველ შემთხვევაში, კოლმეურნეობაში შრომას გაცილებით სჯობდა. იცოდა, რომ თანამშრომლებს ცოტას უხდიდნენ, სამაგიეროდ, არც კონკურენცია იყო დიდი. როდესაც საქმე სამსახურის შოვნას შეეხებოდა, წარმატების იმედი არ უნდა ჰქონოდა. ისეთი არაფერი სჭირდა.

სკოლაშიც კარგად სწავლობდა. ეგაა, რომ დეფორმირებული ზედა ტუჩით დაიბადა. სწორედ ასე უთხრა ექიმმა. ვერაფერს გააწყობდა. ზედა ტუჩის ნაწილი თითქოს ვიდაცას მოეყრა, შემდეგ კი ისე მიეკერებინა, რომ შუა ნაწილი ამოჰბურცოდა და წინა კბილები მოუჩანდა. კაცი იფიქრებდა, განუწყვეტლივ იცინისო. ეს მუშაობაში არა, მაგრამ სამუშაოს ძებნაში კი უშლიდა ხელს. ასე რომ, მილიცია საუკეთესო ვარიანტად ეჩვენებოდა, მით უმეტეს, რომ იქ ხალხი ყოველთვის აკლდათ. თუ აწყენინებდნენ და ზურგს უკან დასცინებდნენ, აიტანდა, რადგან ამას უკვე მისჩვეოდა. იქამდე მოითმენდა, სანამ თავი უმუშავებდა.

ახლა კი, შუაღამით, იგი რატომღაც ბუჩქებში იჯდა და, მიუხედავად იმისა, რომ კოღოები მწარედ ჰკბენდნენ, ავტობუსის გაჩერებას უთვალთვალებდა, იქნებ რამე უჩვეულოს წავაწყდეო.

არონისთვის არავის აუხსნია, რა სახე უნდა ჰქონოდა ამ „რამე უჩვეულოს“. იგი განყოფილებაში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა მილიციელი იყო - ახლახან შესრულებოდა ოცი წელი - და დაასკვნა, რომ ამ გზით ახალბედებს ერთგვარ გამოცდას უტარებდნენ, მათი ერთგულებისა და ბრძანებების შესრულების დონე აინტერესებდათ. მილიციაში ხომ ყველაზე მეტად მორჩილება და დამჯერობა ფასობდა.

ჯერჯერობით კი მხოლოდ გოგონას ხედავდა ავტობუსის გაჩერებაზე. ირგვლივ მეტი არავინ ჩანდა. ეს გოგონა თოთხმეტი-თხუთმეტი წლის თუ იქნებოდა, თუმცა აშკარად ასაკის მომატებას ცდილობდა, თანაც ნასვამი იყო. ბლუზაზე ზედა ღილები შეხსნოდა. არონმა დაინახა, როგორ გაისწორა მან თმა და ქვედაკაბა. ნეტავ რას აკეთებდა ავტობუსის გაჩერებაზე? დილამდე ხომ არაფერი ჩამოივლიდა.

გაჩერებას მაღალი მამაკაცი მიუახლოვდა. შლაპა ეხურა და გრძელი პალტო ეცვა. ბოთლის ძირივით სქელშუშიანი სათვალე ეკეთა. ხელში ძვირფასი პორტფელი ეჭირა. იგი განრიგის შესწავლას შეუდგა, თან ცხრილს თითს აყოლებდა. გოგონა, რომელიც აქამდე წყნარად იჯდა, წამსვე წამოდგა და მისკენ გაემართა. მამაკაცი კვლავ მშვიდად აკვირდებოდა განრიგს, ქალიშვილი კი მას გარშემო უვლიდა, პორტფელზე, პალტოსა და ხელზე ეხებოდა. კაცი ამ თამაშს თითქოს ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ცხრილს თავი დაანება და გოგონა ყურადღებით შეათვალიერა. მათ ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს, მაგრამ არონმა ვერაფერი გაიგონა. ქალიშვილი უცნობს აშკარად არ ეთანხმებოდა და უარის ნიშნად თავს აქნევდა. ბოლოს მხრები აიჩეჩა. როგორც ჩანს, შეთანხმდნენ. მამაკაცი შემოტრიალდა და თითქოს ბუჩქებში მიმალულ არონს გახედა. ნუთუ შეამჩნია? ალბათ, ვერა, რადგან სიბნელეში იჯდა, ისინი კი განათებულ ადგილას იდგნენ. მაგრამ აი, მამაკაცი და გოგონა პირდაპირ მისკენ გაემართნენ.

დაბნეულმა არონმა მიიხედ-მოიხედა - არა, იგი ვერ უნდა შეემჩნიათ. მაგრამ ასეც რომ ყოფილიყო, მისკენ რატომ უნდა წასულიყვნენ? მალე მათ შორის რამდენიმე მეტრიღა დარჩა.

არონს უკვე მათი საუბარიც ესმოდა. როდესაც წყვილმა გვერდით ჩაუარა და პარკის სიღრმისკენ აიღო გეზი, ჩრდილში მიმალული არონი წელში გაიმართა და შესძახა: - შეჩერდით!

მამაკაცი გაირინდა. შემდეგ მხრები უმწეოდ ჩამოუშვა და ნელა შემოტრიალდა. არონი ცდილობდა, დამაჯერებელი და მბრძანებლური ხმით ელაპარაკა.

– აქ რას აკეთებთ?

მას გოგონამ უპასუხა, რომელსაც შიში სულ არ ეტყობოდა: - ვსეირნობთ. ტუჩზე რა დაგემართა? რა საშინელებაა!

არონი შეცბუნდა და გაწითლდა. გოგონა მას დაუფარავი ზიზღით შესცქეროდა. არონი წამით გაჩუმდა, რათა თავი ხელში აეყვანა.

- თქვენ აქ, ალბათ, ჟიმაობას აპირებდით. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას. შენ კი მეძავი ხარ.

– არა, ჩვენ მხოლოდ ვსეირნობდით.

მამაკაცმა საცოდავი, ძლივს გასაგონი ხმით დაამატა: - ცუდი არაფერი ჩაგვიდენია. ერთმანეთს ვესაუბრებოდით.

- დოკუმენტები წარმოადგინეთ.

მამაკაცმა ნაბიჯი წინ გადმოდგა და ჯიბეებში ქექვას შეუდგა. გოგონა უდარდელი სახით იდგა და ერთ ადგილზე ტოკავდა, ჩანდა, რომ მსგავს ვითარებაში პირველად არ მოხვედრილიყო. არც შიში ეტყობოდა და არც წუხილი. არონმა მამაკაცის საბუთები შეამოწმა.

საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინა. ანდრეი ერქვა.

- პორტფელი გახსენით.

ანდრეი შეყოყმანდა. შუბლი ოფლის მსხვილი წვეთებით დაეცვარა. მაინც ჩავარდა.

ფიქრადაც ვერ გაივლებდა, თუ ეს ოდესმე მოხდებოდა, თუ გეგმა არ გაუმართლებდა. მან პორტფელი აიღო და გახსნა. ახალგაზრდა ოფიცერმა შიგნით ჩაიხედა, ხელიც ჩაყო. ანდრეი თავჩაქინდრული იდგა და ელოდა. როდესაც თავი ასწია, მილიციელს ხელში მისი გრძელი, დაკბილულპირიანი დანა ეჭირა. ანდრეის ტირილი მოუნდა.

- დანა თან რატომ დაგაქვთ?

- ბევრს ვმოგზაურობ. ხშირად მატარებელში მიწევს სადილობა. დანით შებოლილ ძეხვს ვჭრი. იაფფასიან და მაგარ ძეხვს. ცოლი ჩემთვის სხვას ვერ იმეტებს.

ანდრეი მართლა ხმარობდა დანას სადილობისა და ვახშმობისას. ოფიცერმა პორტფელში შებოლილი, იაფფასიანი და მაგარი, უსწორმასწოროგვერდებიანი ძეხვის ნაჭერიც აღმოაჩინა.

სწორედ ამ დანით ჩამოჭრილს ჰგავდა.

არონმა ახლა მოსახრახნხუფიანი, სუფთა და ცარიელი შუშის ქილა ამოიღო.

- ეს რაღად გინდათ?

- ზოგიერთი დეტალი, რომელიც ნიმუშის სახით გადამაქვს, მყიფეა, ზოგიც ჭუჭყიანი. ასე რომ, ქილა სამუშაოსთვის მჭირდება. მომისმინეთ. ვიცი, რომ ამ გოგონასთან ერთად არ უნდა მესეირნა. არ ვიცი, რა დამემართა. გაჩერებაზე ვიდექი, ავტობუსების ხვალინდელი განრიგი მაინტერესებდა. ამ დროს ეს გოგონა მომიახლოვდა. ხომ გესმით, ეს როგორ ხდე-

ბა - კაცი უეცრად გრძნობას აჰყვება ხოლმე. მეც ასე დამემართა, მაგრამ თუ პორტფელის ჯიბეში ჩაიხედავთ, იქ პარტბილეთი მიდევს.

ანდრეიმ პორტფელის გვერდით ჯიბეში მართლა აღმოაჩინა პარტბილეთი. მასთან ერთად კი ამ კაცის ცოლისა და ორი პატარა ქალიშვილის სურათი.

- ჩემი შვილები არიან. არ ღირს ოქმისა და მისთანების შედგენა, ოფიცერო. ყველაფერში ეს გოგონაა დამნაშავე. ის რომ არა, უკვე შინ ვიქნებოდი.

წესიერი მოქალაქე წუთიერ გრძნობებს აჰყვა. იგი ამ მთვრალმა და გარყვნილმა გოგონამ შეაცდინა. მამაკაცი კი თავაზიანად იქცეოდა: არც არონისთვის შეუხედავს კურდღლის ტუჩზე და არც საწყენი უთქვამს რამე. თანასწორივით ექცეოდა, თუმცა მასზე უფროსიც იყო, თანაც პარტიის წევრი, და პრესტიჟულ სამსახურშიც მუშაობდა. აშკარად მსხვერპლს ჰგავდა, ეს გოგონა კი - დამნაშავეს.

თავდაპირველად ანდრეის ეგონა, რომ გაება, ახლა კი იგრძნო, რომ მალე სამშვიდობოს იქნებოდა. მას კვლავ ოჯახური ფოტოსურათი დაეხმარა, რომელსაც ზოგჯერ ეყვიან ბავშვებს ანახვებდა, რათა დაერწმუნებინა, რომ მისი ნდობა შეიძლებოდა. თვითონაც ხომ მამა იყო.

შარვლის ჯიბეში უხეში თოკის გორგალი ედო, მაგრამ მას დღეს არ გამოიყენებდა, მომავალში კი მეტ მოთმინებას გამოიჩენდა. მშობლიურ ქალაქში მკვლელობას ვეღარ ჩაიდენდა.

არონმა ფოტოსურათი და პარტბილეთი ადგილზე დააბრუნა და უკვე მამაკაცის გაშვებას აპირებდა, როდესაც კიდევ რაღაც შეამჩნია: ამონაჭერი გაზეთიდან, ორად გაკეცილი. ამოიღო და გაშალა.

ანდრეიმ თავი ძლივს შეიკავა, როდესაც დაინახა, როგორ ეხებოდა ეს კურდღლისტუჩიანი იდიოტი მის ქაღალდს ბინძური თითებით. მზად იყო, გამოეტაცა კიდეც ხელიდან.

- დამიბრუნეთ, თუ შეიძლება.

მამაკაცს პირველად დაეტყო აღელვების ნიშნები. რატომ ანიჭებს ამ ქაღალდს ამხელა მნიშვნელობას? არონი ყურადღებით დააცქერდა გაზეთის გვერდს. იგი რამდენიმე წლის წინ ამოეჭრათ. სტამბის საღებავი უკვე გახუნებულიყო. არც ტექსტი ჩანდა, არც ნომერი - ეს ყველაფერი მოეჭრათ და ახლა ვერავინ დაადგენდა, მის წინ რომელი გაზეთის გვერდი იდო.

მხოლოდ დიდი სამამულო ომის დროს გადაღებული ფოტოსურათი დაეტოვებინათ: გერმანელების ალმოდებული ტანკის გვერდით საბჭოთა მეომრები იდგნენ, თავს ზემოთ ტრიუმფალურად აღემართათ ავტომატები, მათ ფეხებთან კი დახოცილი გერმანელი ჯარისკაცები ეყარნენ. ეს გამარჯვების აღსანიშნავი, პროპაგანდისტული ფოტოსურათი იყო.

დეფორმირებულტუჩიანი არონი მშვენივრად ხვდებოდა, რატომ დაებეჭდათ გაზეთში ეს სურათი - ჯგუფის ცენტრში მდგომი ლამაზი რუსი ჯარისკაცი მომხიბლავად იღიმებოდა.

მოსკოვი 10 ივლისი ლევს სახე გასივებოდა, თითის შეხებაზეც კი სტკიოდა. ჩაშავებულ მარჯვენა თვალს ვეღარ ახელდა. გვერდშიც ტკივილს გრძნობდა, თითქოს ნეკნები ჩამტვრეოდა. ავარიის ადგილზე მას პირველადი დახმარება გაუწიეს. როგორც კი ექიმები დარწმუნდნენ, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა, სატვირთო მანქანაზე დასვეს და შეიარაღებული დაცვა მიუყენეს.

სანამ მოსკოვში ჩავიდოდნენ, ყოველ შეჯანჯღარებაზე ისეთი განცდა ეუფლებოდა, თითქოს მუცელში ურტყამდნენ. ტკივილგამაყუჩებელს არ აძლევდნენ, რის გამოც რამდენჯერმე გონებაც კი დაკარგა. ასეთ დროს გუშაგები გვერდში ავტომატის კონდახს გაჰკრავდნენ ხოლმე - ეშინოდათ, ჩვენი მორიგეობის დროს არ ჩაგვაკვდეს ხელშიო. ლევს ხან აცხელებდა, ხან აცივებდა. მაგრამ ხვდებოდა, რომ ეს ტრავმები მხოლოდ დასაწყისი იყო.

მას არც ის ბედის ირონია გამორჩენია მხედველობიდან, როდესაც ლუბიანკის სარდაფში დასაკითხად ჩაიყვანეს და სკამზე მიაბეს. სახელმწიფოს დამცველი მის ტყვედ იქცა, თუმცა ეს საკმაოდ ხშირად ხდებოდა. აი, თურმე რას გრძნობდა ქვეყნის მტრად შერაცხილი ადამიანი.

კარი გაიღო. ლევმა თავი ასწია. ნეტავ ვინ იყო ეს კაცი მოყვითალო კანითა და ჩაყვითლებული კბილებით? მაშინვე მიხვდა, რომ ყოფილი კოლეგა იქნებოდა, ოღონდ სახელი ვერაფრით გაიხსენა.

- გახსოვვართ?

– არა.

- ექიმი ზარუბინი ვარ. ერთი-ორჯერ შევხვედრივართ. რამდენიმე თვის წინ თქვენს სახლშიც ვიყავი, როდესაც ავადმყოფობდით. ვწუხვარ, ასეთ ვითარებაში რომ გვიწევს შეხვედრა. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ არ ვიწონებ, როგორც მოგექცნენ. ყველაფერი სამართლიანად მოხდა.

იმას ვგულისხმობ, რომ არ მინდოდა ასე მოქცეულიყავით.

– როგორ მოვიქეცი?

- სამშობლოს უღალატეთ.

ექიმმა ლევს ნეკნები გაუსინჯა, რომელიც მის ყოველ შეხებაზე აუტანელ ტკივილს გრძნობდა.

- მითხრეს, რომ ნეკნები მთელი გაქვთ, ოღონდ ძლიერი დაჟეჟილობა მიგიღიათ. ვიცი, რომ ძალიან გტკივათ, მაგრამ თქვენი ტრავმები ქირურგიულ ჩარევას არ საჭიროებს. მიბრძანეს, ნაკაწრები დაგიმუშაოთ და სახვევები გამოგიცვალოთ.

- წამების წინ მკურნალობა ამ დაწესებულების განმასხვავებელი ნიშანია. ერთხელ უკვე გადავარჩინე ადამიანი, რათა იგი აქ მომეყვანა. ბროდსკისთვის ნება უნდა მიმეცა, რომ იმ მდინარეში თავი დაეხრჩო.

- არ ვიცი, ვისზე მელაპარაკებით.

ლევი გაჩუმდა. როდესაც ადამიანს ბედი ზურგს აქცევს, იგი საკუთარ საქციელს ნანობს.

ახლა კიდევ უფრო მკაფიოდ წარმოიდგინა, რომ დანაშაულის გამოსყიდვის ერთადერთი შანსი გაუშვა ხელიდან. დამნაშავე კვლავაც დაუსჯელად გააგრძელებდა მოკვლას და ამაში ოსტატობა და მოხერხება კი არ დაეხმარებოდა, არამედ ის, რომ სახელმწიფო მის არსებობას არ აღიარებდა, რაც მას იმუნიტეტს უსაზღვროდ უძლიერებდა.

ექიმმა ლევს ჭრილობები დაუმუშავა. ასეთი მზრუნველობის შემდეგ იგი სრულად აღიქვამდა იმ წამებას, რომელიც მალე დაიწყებოდა. დიახ, მათ ჯერ მკურნალობდნენ, რათა მეტი სიმძაფრით აღექვათ მათთვის მიყენებული ტკივილი. ექიმი ლევისკენ დაიხარა და ყურში ჩასჩურჩულა: - ახლა თქვენს მეუღლეს მივხედავ. თქვენი ლამაზი ცოლი მეზობელ საკანში სავარძელზეა მიბმული. სრულიად უმწეოა, რაც თქვენი ბრალია. ყველაფერში თქვენ იქნებით დამნაშავე, რასაც მას დავმართებ. იმ დღეს შევაძულებინებ, როდესაც გაგიცნოთ, და ამას ხმამაღლა ვათქმევინებ.

ლევს განსაზღვრული დრო დასჭირდა ამ სიტყვების აზრში ჩასაწვდომად, თითქოს ისინი უცხო ენაზე წარმოეთქვათ. მას ამ კაცისთვის არაფერი დაუშავებია. შეიძლება ითქვას, არც კი იცნობდა. მაშ, რატომ ემუქრებოდა რაისას? ლევმა წამოდგომა დააპირა, რათა ექიმს მივარდნოდა, მაგრამ სკამი იატაკზე მიემაგრებინათ, თვითონ კი სკამზე მიებათ.

ექიმმა ზარუბინმა უკან ისე დაიხია, თითქოს თავი ლომის გალიასთან ჰქონდა მიტანილი.

ხედავდა, როგორ გააფთრებით ცდილობდა ლევი ქამრებისგან თავის დაღწევას - კისერზე ვენები დაჰბეროდა, სახეზე სისხლი მოსწოლოდა, მიმქრალ თვალებში ტკივილი აღბეჭდოდა.

ზარუბინი ისეთი ინტერესით შეჰყურებდა ყოფილ ოპერმუშაკს, გეგონებოდათ, ქილაში მომწყვდეულ ბუზს აკვირდებაო. როგორც ჩანს, ამ

ადამიანს ჯერაც ვერ აღექვა საკუთარი მდგომარეობის სიმძიმე.

უმწეობა.

ექიმმა იატაკიდან თავისი პატარა ჩემოდანი აიღო და გუშაგის მიერ გაღებულ კარს მიუახლოვდა. ელოდა, რომ ლევი დაუძახებდა, შესაძლოა, მოკვლითაც დამუქრებოდა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა.

იგი დერეფანში გავიდა, რამდენიმე მეტრი გაიარა, მეზობელი საკნის ღია კარს მიადგა და შიგნით შეაბიჯა. რაისაც ისეთივე სკამზე იჯდა, როგორზეც მისი ქმარი. ისიც მასავით ქამრებით დაებათ. ექიმი აშკარად ტკბებოდა იმით, რომ ქალმა იცნო იგი. ალბათ, ნანობდა კიდეც, თავის დროზე მისი წინადადება რომ არ მიიღო. ახლა ამ დღეში ხომ აღარ ჩავარდებოდა.

სამწუხაროდ, ის ადამიანი არ აღმოჩნდა, ვინც ნებისმიერ ვითარებაში ახერხებს თავის გადარჩენას. არადა, ექიმს პირიქით ეგონა. ქალი ლამაზი იყო, მაგრამ ვერ მოახერხა საკუთარი უპირატესობის გამოყენება და მას ერთგულება ამჯობინა. ვინ იცის, იქნებ იმქვეყნიური ცხოვრებისა და სამოთხისაც სწამდა, სადაც ამას დაუფასებდნენ, მაგრამ აქ, დედამიწაზე, ამის იმედი არ უნდა ჰქონოდა.

ზარუბინს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ქალის სინანული აღაგზნებდა, და მოუთმენლად ელოდა, როდის გაიგონებდა სიტყვებს: მიშველეთ, დამეხმარეთ!

ახლა იგი ნებისმიერ წინადადებას დასთანხმდებოდა, ყველაფერს გააკეთებდა. შეეძლო, ამ ქალს ისე მოპყრობოდა, როგორც ჭუჭყს, და ისიც სიხარულით მეცხრე ცაზე იქნებოდა. სრულიად დაემორჩილებოდა მას. ექიმმა კედელში ჩატანებული გისოსებიანი პატარა ფანჯარა გასწია. იგი ვითომ სავენტილაციო სისტემის ნაწილს შეადგენდა, სინამდვილეში კი ის დანიშნულება ჰქონდა, რომ ერთ საკანში ნათქვამი მეორეში გაეგონათ. უნდოდა, ლევს ყველაფერი მოესმინა.

რაისამ დაინახა, როგორ მოირგო ზარუბინმა სახეზე მწუხარების ნიღაბი, თითქოს შემდეგი სიტყვებით თანაუგრძნობდა: აი, ჩემი წინადადება რომ მიგეღოთ...

მან ჩემოდანი იატაკზე დადგა და ქალის გასინჯვას შეუდგა, თუმცა დაპატიმრებისას მისთვის თითი არავის დაუკარებია.

- თქვენი სხეულის ყოველი ნაწილი უნდა შევისწავლო. ალბათ, ხვდებით, რომ ეს ჩემი მოხსენებისთვის მჭირდება.

რაისა უდავიდარაბოდ დააკავეს: რესტორანს ჯერ ალყა შემოარტყეს, შემდეგ კი აგენტები შიგნით შევიდნენ და იგი დააპატიმრეს. როდესაც ზურგს უკან ხელებშეკრული გაჰყავდათ, ბაზაროვმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ღვარძლიანად მიაძახა, რომ ჩადენილი დანაშაულისთვის იგი ყველაზე სასტიკ სასჯელს იმსახურებდა. სატვირთო მანქანისკენ მიმავალმა რაისამ არაფერი იცოდა ლევის შესახებ, სანამ ერთ-ერთმა ოფიცერმა მეორეს არ გადაულაპარაკა, რომ ისიც აიყვანეს. მის ხმაში გაჟღერებული კმაყოფილების მიხედვით ქალმა დაასკვნა, რომ ქმარს, ყოველ შემთხვევაში, გაქცევა მაინც უცდია.

სანამ ექიმი ტანზე ხელებს უფათურებდა, რაისა ღირსების შენარჩუნებას ცდილობდა და თავი ისე ამაყად ეჭირა, თითქოს მას ვერც კი ამჩნევდა. მაგრამ ზოგჯერ კაცისკენ თვალს მაინც აპარებდა. მის ზურგს უკან მდგომ გუშაგს მოულოდნელად ბავშვურად გაეცინა. ქალმა სცადა, წარმოედგინა, რომ ექიმისთვის მიუწვდომელ ისეთ ადგილას იდგა, რომ იგი თითსაც კი ვერ შეახებდა, მაგრამ ეს ვერ შეძლო. კაცის ხელი საოცრად ნელა მოძრაობდა მისი თეძოს შიგა მხარეს. რაისამ იგრძნო, რომ თვალზე ცრემლი მოადგა. ზარუბინმა სახე ახლოს მიუტანა, კისერზე აკოცა და კბილები ისე ჩაავლო, თითქოს კბენას აპირებდა.

ამ დროს კარი გაიღო და საკანში ვასილი შემოვიდა. ექიმმა სასწრაფოდ უკან დაიხია.

ვასილის სახეზე უკმაყოფილება დაეტყო.

– იგი დაჭრილი არ არის. თქვენ აქ არაფერი გესაქმებათ.

- მე მხოლოდ ამაში დარწმუნება მსურდა.

– თავისუფალი ხართ.

ზარუბინმა ჩემოდანი აიღო და გავიდა. ვასილიმ გისოსებიანი ფანჯარა დაკეტა, რაისას გვერდით ჩაცუცქდა და მის თვალებზე ცრემლი შეამჩნია.

- შენ ძლიერი ქალი ხარ და, ალბათ, ფიქრობ, რომ გაუძლებ. ისიც მესმის, რომ გსურს, მისი ერთგული დარჩე.

- მართლა გესმით?

- არა, ვცრუობ. არ მესმის. იმის თქმა მინდა, რომ შენთვისვე იქნება უკეთესი, თუ ყველაფერს ახლავე მომიყვები. შენ მე ურჩხული გგონივარ, მაგრამ თუ იცი, ეს ვისგან ვისწავლე? შენი ქმრისგან. ისიც ამ სიტყვებს უმეორებდა ეჭვმიტანილებს წამების დაწყებამდე.

ზოგჯერ ეს სწორედ ამ ოთახში ხდებოდა. თუმცა არც იმას დაგიმალავ, რომ მას გულწრფელად სწამდა საკუთარი სიმართლის.

რაისა მის წინ მდგომი კაცის მიმზიდველ ნაკვთებს უყურებდა და ვერ მიმხვდარიყო, ისევე, როგორც ვაგზალზე რამდენიმე თვის წინ, თუ რატომ ჰგავდა იგი მახინჯს. ვასილის უფერული და ძალიან ცივი თვალები ჰქონდა, ოღონდ არა უსიცოცხლო ან სულელური.

- ყველაფერს მოგიყვებით.

- მაგრამ იქნება კი ეს საკმარისი?

***

ლევს ძალა უნდა შემოენახა იმ დროისთვის, როდესაც მოქმედების დაწყების შესაძლებლობა მიეცემოდა. ასეთი მომენტი არა და არ დგებოდა. მას ბევრი პატიმარი ენახა, რომლებიც ტყუილუბრალოდ ხარჯავდნენ ენერგიას, კარზე მუშტებს აბრახუნებდნენ, ყვიროდნენ და შეუჩერებლივ დადიოდნენ წინ და უკან პატარა საკნებში. ყოველთვის უკვირდა, ასე რატომ იქცეოდნენ. ამას მხოლოდ ახლა მიხვდა, როდესაც მსგავს ვითარებაში აღმოჩნდა და საკუთარ თავზე გამოცადა ყველაფერი, რასაც ისინი გრძნობდნენ. მისი სხეული თითქოს ალერგიისგან იტანჯებოდა ამ ჩაკეტილ და შეზღუდულ სივრცეში. ამას ლოგიკასა და კეთილგონიერებასთან საერთო არაფერი ჰქონდა. არ შეეძლო ასე ჯდომა და უმოქმედობა.

ბორგავდა და ისე გამწარებით ცდილობდა თოკებისგან თავის დახსნას, სანამ მაჯები არ გადაეყვლიფა და სისხლი არ წამოუვიდა. მისი არსების ერთ ნაწილს გულწრფელად სჯეროდა, რომ ამას მაინც შეძლებდა. თუმცა საკუთარი თვალით ენახა მათ მიერ დაბმული ასობით ქალი თუ მამაკაცი, რომელთაგანაც ერთსაც ვერ მოეხერხებინა თოკის გაწყვეტა. გრანდიოზულ გაქცევაზე ფიქრით შეპყრობილი ყურადღებას არ აქცევდა იმას, რომ მსგავსი იმედი ისევე საშიში იყო, როგორც ნებისმიერი სახის წამება, რომლის გამოყენებაც მის წინააღმდეგ შეეძლოთ.

საკანში ვასილი შემოვიდა და გუშაგს ანიშნა, რომ სკამი ლევის წინ დაედგა. გუშაგმა ბრძანება შეასრულა და იგი პატიმრისგან ოდნავ მოშორებით მოათავსა. ახლა მათი მუხლები ერთმანეთს თითქმის ეხებოდა. ვასილი ლევს მიაჩერდა და უყურებდა, როგორ ცდილობდა იგი თოკების გაწყვეტას.

- მოდუნდი, შენს ცოლს ცუდი არაფერი მოსვლია. იგი მეზობელ საკანშია.

ვასილიმ ჟესტით ანიშნა გუშაგს გისოსებზე და მანაც გვერდზე გასწია იგი. ვასილიმ ხმამაღლა დაიძახა: - რაისა, ქმარს რამე უთხარი, თორემ შენ გამო ძალიან შეწუხებულია.

რაისას ხმა შორიდან სუსტ ექოსავით გაისმა: - ლევ...

ლევი სკამის საზურგეზე გადაწვა და ბორგვა შეწყვიტა, მაგრამ სანამ პასუხის გაცემას მოასწრებდა, გუშაგმა ღრჭიალით დახურა ფანჯარა. ლევმა ვასილის შეხედა.

- აზრი არა აქვს ჩვენს წვალებას. თავადაც იცი, რამდენი წამება მინახავს საკუთარი თვალით. ისიც მესმის, რომ აჯობებს, ყველაფერი ვთქვა. ნებისმიერ შეკითხვაზე გიპასუხებ.

- მე ისედაც ყველაფერი ვიცი. უკვე წავიკითხე შენ მიერ შეგროვებული დოკუმენტები.

გენერალ ნესტეროვსაც ველაპარაკე. მას ძალიან უნდოდა, რომ მისი შვილები ბავშვთა სახლში არ აღმოჩენილიყვნენ. მისი ნათქვამი რაისამაც დაადასტურა. ასე რომ, შენთან მხოლოდ ერთი შეკითხვა მაქვს. რატომ?

ლევი ვერაფერს მიხვდა. ბრძოლის ჟინი გაჰქრობოდა. მზად იყო, ყველაფერი ეთქვა, რისი გაგონებაც ამ კაცს სურდა. ამიტომ იმ დამნაშავე მოსწავლესავით ალაპარაკდა, მასწავლებელს რომ მიმართავს: - მაპატიე, არ მინდა, ეს უპატივცემულობაში ჩამეთვალოს, მაგრამ ვერ ვხვდები. შენ მეკითხები, რატომ...

– რატომ შეაგდე სასწორზე ის მცირედი, რაც დაგრჩა, რისი შენარჩუნების უფლებაც მოგეცით? რაღაც სულელური იდეის გამო?

- მკვლელობებს გულისხმობ?

- ისინი ყველა გახსნილია. უკლებლივ ყველა.

ლევმა არაფერი თქვა.

- არ გჯერა, არა? შენ ახლაც გგონია, რომ ვიღაც კაცი თუ ადამიანთა ჯგუფი დადის და ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ბიჭებსა და გოგონებს განურჩევლად ხოცავს?

- ვცდებოდი. ერთი თეორია მქონდა, რომელიც მცდარი აღმოჩნდა. უარს ვამბობ მასზე, დანაშაულსაც ვაღიარებ და ხელსაც მოვაწერ.

- შენ აღიარებ, რომ ყველაზე მძიმე დანაშაულში - ანტისაბჭოთა აგიტაციაში მიგიძღვის ბრალი. ეს დასავლეთის პროპაგანდისტულ ტრიუკს ჰგავს, ლევ. ამის გაგება შემიძლია. თუ დასავლეთზე მუშაობ, მოღალატე ყოფილხარ. ალბათ, ფული და ძალაუფლება შემოგთავაზეს, ანუ ის, რაც

დაკარგე. ამის გაგება, ასე თუ ისე, შემიძლია, მაგრამ ნუთუ მარტო ეს არის?

– არა.

- სწორედ ამიტომ ვშფოთავ. მაშასადამე, გულწრფელად გჯეროდა, რომ ეს მკვლელობები ერთმანეთს უკავშირდებოდა და ზნედაცემულებს, მაწანწალებს, ლოთებსა და სხვა არასასურველ ელემენტებს არ ჩაუდენიათ. სიმართლე გითხრა, ეს სიგიჟეა. მე შენ გვერდით ვმუშაობდი. ვხედავდი, როგორ გულმოდგინედ ასრულებდი სამუშაოს. აღფრთოვანებულიც ვიყავი შენით, ოღონდ მანამდე, სანამ ცოლის გამო თავი არ დაკარგე. ამიტომ, როდესაც შენი ახალი თავგადასავლების შესახებ მომახსენეს, თავდაპირველად ვერც კი დავიჯერე.

- ერთი თეორია მქონდა, რომელიც მცდარი აღმოჩნდა. არ ვიცი, მეტი რა გითხრა.

-– რატომ უნდა დაეხოცა ეს ბავშვები ვინმეს?

ლევი მის წინ მდგომ კაცს მიაჩერდა, მას, ვინც ორი ბავშვის მოკვლას მხოლოდ იმიტომ აპირებდა, რომ მათი მშობლები ვეტერინართან მეგობრობდნენ. კეფაში დაახლიდა ტყვიას და ამას არაფრად მიიჩნევდა. მაგრამ ვასილის ეტყობოდა, რომ ეს საკითხი მართლა აინტერესებდა.

რატომ უნდა დაეხოცა ეს ბავშვები ვინმეს?

ვასილის ნამდვილად არ ეყოლებოდა იმ კაცზე ნაკლები ადამიანი მოკლული, რომელსაც ლევი ეძებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ დანაშაულთა ლოგიკამ იგი ჩიხში მოაქცია. შესაძლოა, მას ერთი რამ ვერ გაეგო: თუ კაცს ადამიანების დახოცვა სიამოვნებდა, რატომ არ იწყებდა მუშაობას VII ნ-ში ან გულაგში? ამაში ლევიც დაეთანხმებოდა - თუ უამრავი კანონიერი და ლეგალური შესაძლებლობა არსებობდა სისასტიკისა და ძალადობისკენ მიდრეკილების დასაკმაყოფილებლად, რა საჭირო იყო უკანონობის ჩადენა? მაგრამ ვასილის სხვა რამ არ ასვენებდა.

ბავშვები.

მას თავგზას ის უბნევდა, რომ ამ დანაშაულთა მოტივისთვის ვერ მიეგნო. ბავშვის მკვლელობის წარმოდგენა არ უჭირდა, თუმცა მასში აზრს ვერ ხედავდა. რატომ, რისთვის უნდა მოეკლათ? ბავშვების დახოცვა სახელმწიფოებრივი აუცილებლობით არ იყო გამოწვეული. არც მითითება არსებობდა, რომ მათი სიკვდილი საერთო დიად საქმეს წაადგებოდა. არც მატერიალურ კეთილდღეობას უკავშირდებოდა. აი, სწორედ ეს ვერ გაეგო ვასილის.

- მე თეორია მქონდა, რომელიც მცდარი აღმოჩნდა, - გაიმეორა ლევ-მა.

- ვფიქრობ, მოსკოვიდან გასახლებამ, მძლავრი ორგანიზაციიდან დათხოვნამ, რომელსაც ამდენი წელი უანგაროდ ემსახურე, იმაზე დიდ შოკში ჩაგაგდო, ვიდრე ველოდით. ბოლოს და ბოლოს, ამაყი და თავმოყვარე კაცი ხარ. ამდენ დარტყმას ვერ გაუძელი და ჭკუაზე შეიშალე.

ამიტომაც დაგეხმარები, ლევ.

ვასილი წამოდგა და გაჩუმდა. სტალინის სიკვდილის შემდეგ სახელმწიფო უშიშროებას პატიმრებზე ძალადობა აუკრძალეს. ვასილი მაშინვე შეეგუა ახალ წესს - მასში თვითგადარჩენის ინსტინქტმა იძალა. მაგრამ ახლა მას ხელში ლევი ჩაუვარდა. ნუთუ განზე გადგებოდა და ამ კაცს განაჩენის მოსმენის შესაძლებლობას მისცემდა? განა ეს საკმარისი იქნებოდა? განა ეს დააკმაყოფილებდა?

გააცნობიერა, რომ მის წინ მჯდომი კაცისკენ ლტოლვა მისთვის უფრო სახიფათო გახდა, ვიდრე ლევისთვის. იგრძნო, რომ მისმა ჩვეულმა სიფრთხილემ ადგილი რადაც პირადულს, ერთგვარ ჟინს დაუთმო. ვასილიმ გუშაგი თითის დაქნევით მიიხმო.

- ექიმი ხვოსტოვი მომიყვანეთ.

თუმცა უკვე გვიან იყო, ხვოსტოვს სამსახურში მოულოდნელი გამოძახება სულაც არ სწყენია.

პირიქით, ძალიან აინტერესებდა, ასეთი რა მოხდაო. მან ვასილის ხელი ჩამოართვა და მისი არგუმენტები მოისმინა. გონებაში დააფიქსირა, რომ ვასილი ლევს პაციენტს უწოდებდა და არა პატიმარს, და მიხვდა, რომ ეს სიფრთხილის წინასწარი ზომა იყო, რათა ჯანმრთელობისთვის ფიზიკური ზიანის მიყენებაში არ დაედანაშაულებინათ. ექიმი მოკლედ გაეცნო პაციენტის აბდაუბდას ბავშვების მკვლელის არსებობის შესახებ და გუშაგს უბრძანა, ლევი სამკურნალო საკანში გადაეყვანა. ერთი სული ჰქონდა, გაეგო, რა იმალებოდა ამ უცნაური მტკიცების უკან.

ოთახი სწორედ ისეთი აღმოჩნდა, როგორიც ლევს ახსოვდა: პატარა და სუფთა, ტყავის წითელი სავარძელი მეტლახის იატაკზე მიემაგრებინათ, შუშის პატარა კარადებში ნაირგვარი შუშა, ფხვნილი და აბი მოეთავსებინათ, ზედ კი თეთრი ქაღალდის ვიწრო ზოლები მიეკრათ, რომლებზეც შავი მელნით აკურატულად მიეწერათ დასახელებები. სინზე ქირურგიული ხელსაწყოები ეწყო. სადეზინფექციო საშუალებების მძაფრი სუნი იგრძნობოდა. ლევი იმავე სავარძელზე დასვეს, რომელზეც ანატო-

ლი ბროდსკი იჯდა და მაჯები, კოჭები და კისერიც ისევ იმ ტყავის ქამრებით შეუკრეს. ექიმმა ხვოსტოვმა შპრიცი ქაფურის ზეთით გაავსო, ლევის პერანგს სახელო მოაყრა და ვენა გაუშიშვლა. ზედმეტი ახსნა-განმარტება საჭირო არ იყო. მას ეს უკვე ენახა ადრე. ლევმა პირი გააღო, რათა მისთვის რეზინის ნაჭერი ჩაედოთ.

ვასილი იდგა, სამზადისს შესქეროდა და აღგზნებისგან თრთოდა. ხვოსტოვმა ლევს ვენაში ზეთი შეუყვანა. რამდენიმე წამის შემდეგ ლევმა თვალები გადმოკარკლა. ახლა ციებიანივით კანკალებდა. დადგა მომენტი, რომელზეც ვასილი დიდხანს ოცნებობდა და გონებაში ხშირად წარმოიდგენდა. ლევი სასაცილო, სუსტ და საცოდავ ადამიანს ჰგავდა.

ისინი ყველაზე ძლიერი ფიზიკური რეაქციების ოდნავ შესუსტებას დაელოდნენ. ბოლოს ხვოსტოვმა თავი დააქნია, რითაც მიანიშნა, რომ დაკითხვის დაწყება შეიძლებოდა.

- ყური დაუგდეთ, რას იტყვის.

ვასილიმ ნაბიჯი წინ გადადგა და ლევს პირიდან რეზინის ნაჭერი გამოუღო. ლევმა აღებინა და თავი უმწეოდ ჩამოუვარდა მკერდზე. რამდენიმე შხეფი ვასილის შარვალზე დაეცა.

- როგორც ყოველთვის, მარტივი შეკითხვებით დაიწყეთ.

– რა გქვია?

ლევმა თავი აქეთ-იქით გააქნია, პირის კუთხეებიდან ნერწყვი წამოუვიდა.

- რა გქვია?

ისევ დუმილი.

- რა გქვია?

ლევმა ტუჩები შეარხია და რაღაც ჩაიჩურჩულა, მაგრამ ვასილიმ ვერაფერი გაარჩია და ახლოს მიუჩოჩდა.

– რა გქვია?

პაციენტს თითქოს მხედველობა დაუბრუნდა. მან წინ გაიხედა და თქვა: – პაველი.

იგივე დღე რა გქვია?

პაველი მან თვალი გაახილა და დაინახა, რომ ტყეში კოჭებამდე თოვლში იდგა, თავზე კი მთვარე ანათებდა. მისი ქურთუკი ჯვალოსგან ისე აკურატულად და სიყვარულით იყო შეკერილი, თითქოს მასალად თხელი გამოქნილი ტყავი გამოეყენებინათ. თოვლიდან ფეხი ამოსწია.

ფეხსაცმელი არ ეცვა. მათ ნაცვლად, ნაჭერშემოხვეულ ფეხებზე რეზინის ნაჭრები თოკით დაემაგრებინა. ხელები პატარა ბავშვისა ჰქონდა.

იგრძნო, რომ ვიღაცამ ქურთუკზე დაქაჩა და შეტრიალდა. მის უკან პატარა ბიჭი იდგა. მასაც ჯვალოს ტანსაცმელი ეცვა, ფეხებზეც თოკით შეკრული რეზინის ნაჭრები მოუჩანდა. ბავშვი თვალებს ჭუტავდა. ცხვირიდან წვინტლი სდიოდა. რა ერქვა ამ მოუქნელ, ერთგულ და მოსულელო ბიყს? ჰო, ანდრეი.

უეცრად თოვლში გაძვალტყავებულმა შავ-თეთრმა კატამ გაიფართხალა და ისე საშინლად დაიკნავლა, თითქოს რადაც უჩინარი ძალა აწვალებდა. იმავე ძალამ იგი ტყისკენ გაათრია.

კატას თათზე თოკი ჰქონდა მოჭერილი. ვიდაც ამ თოკს ექაჩებოდა და თოვლში მიათრევდა კატას, რომელიც გაშმაგებით ცდილობდა თავის დახსნას. პაველი დაედევნა. თოკი უფრო მძლავრად დაქაჩეს. პაველიც უფრო სწრაფად გაეკიდა. მოიხედა და დაინახა, რომ ანდრეი ძალიან ჩამორჩენილიყო.

მოულოდნელად იგი შეჩერდა. მის წინ თოკით ხელში სტეპანი იდგა, მამამისი, ოღონდ არა ახალგაზრდა და ღონიერი, არამედ ხანდაზმული, თითქმის მოხუცი, რომელსაც მოსკოვში დაემშვიდობა. სტეპანმა კატა ასწია, კისერი მოუგრიხა და მარცვლეულისთვის განკუთვნილ უზარმაზარ ტომარაში გადაუძახა. პაველი მას მიუახლოვდა.

- მამა?

- მე შენი მამა არა ვარ.

მან თვალი გაახილა და მიხვდა, რომ თვითონაც იმ დიდ ტომარაში იყო. თავზე სისხლი შეხმობოდა, პირი საოცრად გაშრობოდა. იგი სადღაც მიჰყავდათ. გრძნობდა, როგორ დახტუნავდა ვიღაც კაცის ზურგზე ტომარასთან ერთად. თავი ისე ძლიერ სტკიოდა, რომ აღებინა კიდეც, რაღაცაზე იწვა. ხელი ჩაყო და მკვდარი კატა აღმოაჩინა. გაწამებულმა და დაუძლურებულმა თვალები დახუშჭა.

ცეცხლის სითბომ გამოაღვიძა. ტომარაში აღარ იყო - რომელიღაც ქოხის მიწის იატაკზე იწვა.

ახლა უკვე ახალგაზრდა, დაღლილი და გაბოროტებული სტეპანი ცეცხლთან იჯდა და ხელში პატარა ბიჭი ეჭირა. იქვე ასევე გაახალგაზრდავებული ანა იდგა. ბავშვს ადამიანის აღარაფერი ეცხო, მოჩვენებას უფრო ჰგავდა ძვალზე გადაკრული ტყავითა და უშველებელი თვალებით.

სტეპანი და ანა ტიროდნენ. ანა მკვდარ ბავშვს თავზე ეფერებოდა, სტეპანი კი სახელს ჩასჩურჩულებდა: – ლევ...

გარდაცვლილი ბავშვი ლევ სტეპანოვიჩი იყო.

ბოლოს ტირილისგან თვალებდაწითლებული ანა პაველს მიუბრუნდა და ჰკითხა: - რა გქვია?

ბიჭმა ხმა არ გასცა. საკუთარი სახელი აღარ ახსოვდა.

– სად ცხოვრობ?

ბიჭი კვლავ დუმდა, რადგან არც ეს იცოდა.

- მამაშენს რა ჰქვია?

ბავშვს თითქოს თავი დასცარიელებოდა.

- შენს სახლს მიაგნებ?

პაველმა არ იცოდა, სად იყო მისი სახლი. ანა კითხვების დასმას განაგრძობდა: – ის თუ იცი, აქ რატომ ხარ?

მან უარის ნიშნად თავი გადააქნია.

- შენ უნდა მომკვდარიყავი, რათა მას ეცოცხლა. ხვდები?

არა, ვერ ხვდებოდა. ქალმა დაამატა: - მაგრამ ჩვენი შვილი ვერ გადავარჩინეთ. იგი მაშინ მოკვდა, როცა ჩემი ქმარი სანადიროდ იყო წასული. და რახან ცოცხალი აღარაა, თავისუფალი ხარ და შეგიძლია წახვიდე.

წასვლა შეეძლო, მაგრამ სად? არ იცოდა, სად იმყოფებოდა. არ ახსოვდა, საიდან მოვიდა.

აღარაფერი იცოდა. მეხსიერება წაშლოდა.

ანა წამოდგა, მიუახლოვდა და ხელი გაუწოდა. იგი გაჭირვებით წამოდგა, ბარბაცებდა, თავბრუ ეხვეოდა. რა დრო გაატარა ტომარაში? რამდენ ხანს მიჰყავდათ? მოეჩვენა, რომ რამდენიმე დღე. მოკვდებოდა, თუ ახლავე არ შეჭამდა რამეს. ქალმა ჭიქით თბილი წყალი მიაწოდა. პირველ ყლუპზე კინაღამ აღებინა, მაგრამ მეორეზე უკეთ გახდა. ანამ იგი გარეთ გაიყვანა, სადაც დასხდნენ კიდეც რამდენიმე საბანში გახვეულები. დაღლილ-დაქანცულმა ბიჭმა ქალს მხარზე თავი მიადო და დაიძინა. როდესაც გამოეღვიძა, მათ სტეპანი შეუერთდა.

- ვახშამი მზადაა.

სამზარეულოში შესულმა ბიჭს თვალი ვეღარსად მოჰკრა. ცეცხლზე იდგა დიდი ქვაბი, რომელშიც მოშუშული ხორცი ბუყბუყებდა. ანამ იგი ცეცხლთან მიიყვანა და დასვა, სტეპანმა კი საჭმლით სავსე ჯამი მიაწოდა. ბიჭმა ცხელ ბულიონს დახედა: ზედაპირზე დაჭყლეტილი რკო, თითების თეთრი სახსრები და ხორცის ნაჭრები დაცურავდა. სტეპანი და ანა

ბავშვს მიაჩერდნენ. სტეპანმა თქვა: - შენ უნდა მომკვდარიყავი, რათა ჩვენს შვილს ეცოცხლა. რადგან ის მოკვდა, ახლა შენ იცოცხლებ.

ისინი მას საკუთარ სისხლსა და ხორცს, საკუთარ შვილს სთავაზობდნენ. ბიჭმა ბულიონი ცხვირთან მიიტანა. იმდენ ხანს იყო მშიერი, რომ პირში მაშინვე ნერწყვი მოადგა. ინსტინქტმა იმძლავრა და მან კოვზისკენ გაიწვდინა ხელი.

სტეპანი ლაპარაკს შეუდგა.

- ხვალ მოსკოვში მივემგზავრებით. თუ აქ დავრჩებით, დავიხოცებით. ქალაქში ბიძა მყავს.

ის დაგვეხმარება. ეს ბოლო ვახშამია წასვლის წინ. ქალაქში ჩასვლამდე უნდა გვეყოს.

შეგიძლია, ჩვენთან ერთად წამოხვიდე. ან აქ დარჩე და შინ დაბრუნება სცადო.

რა უნდოდა აქ, როდესაც არ იცოდა, ვინ იყო, რა ერქვა და სად იმყოფებოდა? იქნებ არც არასდროს გახსენებოდა? რა უნდა ექნა, თუ მეხსიერება აღარ დაუბრუნდებოდა? ვინ მიხედავდა? რა უნდა ეკეთებინა? ჯობდა, ამ ადამიანებთან ერთად წასულიყო. კეთილი ხალხი ჩანდა. საჭმელიც ჰქონდათ და თავის გადარჩენის გეგმაც.

- თქვენთან ერთად წამოვალ.

- დარწმუნებული ხარ?

- დიახ.

- მე სტეპანი მქვია, ჩემს ცოლს - ანა. შენ?

ბიჭს სახელები საერთოდ აღარ ახსოვდა. იმ ერთის გარდა, რომელიც ცოტა ხნის წინ აქ მოესმა. შეეძლო, ის დაერქმია? ხომ არ გაუბრაზდებოდნენ?

- მე ლევი მქვია.

11 ივლისი რაისას ჩამწკრივებული მაგიდებისკენ უბიძგეს ხელი. თითოეულთან ორი ოფიცერი იჯდა.

ერთი დოკუმენტებს აწესრიგებდა, მეორე პატიმარს ჩხრეკდა. ქალებს კაცებისგან არ განასხვავებდნენ: ყველას ერთმანეთის თვალწინ, უხეშად ამოწმებდნენ. შეუძლებელი იყო იმის დადგენა, თუ რომელ მაგიდაზე იდო თქვენი დოკუმენტი. რაისა ჯერ ერთ მაგიდასთან მიაგდეს, შემდეგ მეორესთან გადაიყვანეს. ისე სწრაფად დაამუშავეს, რომ საჭირო ქაღალდების შევსება ვერ მოასწრეს. გუშაგმა იგი გვერდზე გასწია, რათა ხელი არ შეეშალა. იგი ხომ ერთადერთი ქალი იყო საკუთარი დაცვის თანხლე-

ბით, პროცესის საწყის სტადიას რომ გადაურჩა. დაკარგულ საბუთებში მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სახელწოდება და განაჩენი ეწერა. გარშემო მყოფი პატიმრები გაშტერებული სახით ისმენდნენ, თუ რაში იყვნენ დამნაშავენი: ასა, კრრს, ჯშ, კრპ, სსე, სმე - გაუგებარი აბრევიატურები, რომლებიც მათი დარჩენილი სიცოცხლის ბედს განაგებდა. განაჩენი პროფესიული გულგრილობით ცხადდებოდა: ხუთი წელი! ათი წელი! ოცდა-ხუთი წელი!

მაგრამ უნდა ეპატიებინა ზედამხედველებისთვის გულქვაობა - ისინი ძალიან ბევრს მუშაობდნენ. უამრავი პატიმარი უნდა მიეღოთ, შეემოწმებინათ და გაეტარებინათ. რაისამ შეამჩნია, რომ განაჩენის გამოცხადებას ყველა ერთნაირი გამომეტყველებით ხვდებოდა, მათ სახეზე უნდობლობა იკითხებოდა: ნუთუ მართლა? მომხდარი ცუდ სიზმრად ეჩვენებოდათ, თითქოს ისინი რეალობას მოსწყვიტეს და სრულიად ახალ და უცხო გარემოში გადმოისროლეს.

არ იცოდნენ, აქ რა წესები და კანონები მოქმედებდა, ხალხი რას ჭამდა, შეეძლოთ თუ არა დაბანა, რას ჩაიცვამდნენ, რისი უფლება ექნებოდათ. ერთი სიტყვით, ახალშობილებს ჰგავდნენ, რომელთაც არც არავინ დაიცავდა და არც ასწავლიდა.

გასანაწილებელი ოთახიდან რკინიგზის ბაქანზე გამოსული რაისა გუშაგს ხელით მაგრად ეჭირა. ქალი მატარებლისკენ არ წაუყვანიათ, იქვე დააყენეს და მოცდა უბრძანეს. სხვა პატიმრები კი იმ ვაგონებში აჰყავდათ, რომელითაც ადრე საქონელი გადაჰყავდათ, ახლა კი გულაგის პატიმრებისთვის გადაეკეთებინათ. მიუხედავად იმისა, რომ პლატფორმა ყაზანის ვაგზალს ეკუთვნოდა, იგი ისე მოეწყოთ, რომ ჩვეულებრივი მგზავრები ვერაფერს ამჩნევდნენ.

ლუბიანკის სარდაფიდან რკინიგზის სადგურში რაისა დახურული შავი სატვირთო მანქანით მიიყვანეს, რომელსაც გვერდზე „ხილი და ბოსტნეული“ ეწერა. მიხვდა, რომ ეს ხუმრობა არ იყო - სახელმწიფო თავისი მოსახლეობისთვის დაპატიმრებათა მასშტაბის დამალვას ცდილობდა.

არსებობდა კი ამ ქვეყანაში ერთი ადამიანი მაინც, ვისი ნაცნობი, ოჯახის წევრი ან ნათესავი არ დაეპატიმრებინათ? მაგრამ ყველასთვის ცნობილ ამ სიმართლეს კვლავინდებურად ჯიუტად მალავდნენ, თუმცა მათ მიერ შედგენილი რთული შარადა თავგზას ვეღარავის უბნევდა.

ერთი შეხედვით, ბაქანზე რამდენიმე ათასი პატიმარი იქნებოდა. ოცდაათ თუ ორმოც კაცზე გათვლილ ვაგონებში რამდენიმე ასეულ ადამიანს ისე ტენიდნენ, თითქოს რეკორდის დამყარება სურდათ. რაისას დაავიწყდა, რომ ძველი სამყაროს წესები აქ არ მოქმედებდა. ეს ახალი სამყარო თავისი წესებით ცხოვრობდა და ის, რომ ოცდაათ კაცზე გათვლილ ვაგონში სამასი პატიმარი ეტეოდა, აღარავის უკვირდა. ამ ხალხს თავისუფალი სივრცე აღარ სჭირდებოდა - ახალ სამყაროში იგი ძვირფასეულობად იქცა და მას მოფრთხილება სჭირდებოდა. ხალხის გადაყვანა არაფრით განსხვავდებოდა, მაგალითად, მარცვლეულის გადაზიდვისგან, ორივე შემთხვევაში ერთი პრინციპი მოქმედებდა: ბოლომდე გაავსე და ხუთი პროცენტის ტოლი დანაკარგი ივარაუდე.

ამ სხვადასხვა ასაკის, მოდურ ტანსაცმელში გამოწყობილ თუ ჩამოძონძილ ხალხს შორის მისი ქმარი არსად ჩანდა. წესების თანახმად, ოჯახის წევრებს ერთმანეთს აშორებდნენ და ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მდებარე ბანაკებში ანაწილებდნენ. სისტემა ამაყობდა, რომ მათ შორის ყოველგვარ კავშირს სპობდა. მხოლოდ ერთ რამეს ჰქონდა მნიშვნელობა - მოქალაქისა და სახელმწიფოს ურთიერთობას. რაისაც ხომ სწორედ ამას ასწავლიდა თავის მოსწავლეებს.

იგი ფიქრობდა, რომ ლევს სხვა ბანაკში გაგზავნიდნენ, და უკვირდა, რატომ ალოდინებდნენ ამდენ ხანს ბაქანზე. იგი ერთხელ უკვე იყო მსგავს ვითარებაში, როდესაც ვოლსკში ასახლებდნენ. ვასილის მათთვის გამოსამშვიდობებელი საჩუქარი მოემზადებინა, თვითონ კი სიამოვნებას განიცდიდა ცოლ-ქმრის გაუთავებელი დამცირებით, მათი ტანჯვით ტკბებოდა და პირველი რიგში სურდა ჯდომა, რათა არაფერი გამორჩენოდა.

უეცრად რაისამ დაინახა მისკენ მომავალი ვასილი, რომელსაც ვიღაც მხრებში მოხრილი კაცი მოჰყავდა. როდესაც მათ შორის მანძილი ხუთ მეტრამდე შემცირდა, ამ კაცში რაისამ თავისი ქმარი ამოიცნო. იგი გაოცებული მიაჩერდა მას, თვალებს არ უჯერებდა. ლევი ათი წლით მაინც დაბერებულიყო. ნეტავ ასეთი რა გაუკეთეს? როდესაც ვასილიმ ხელი გაუშვა, იგი კინაღამ წაიქცა. რაისა ქმარს მიეჭრა, მხარი შეაშველა და სახეში შეხედა. კაცმა იცნო. ქალმა ლოყასა და შუბლზე ხელი გადაუსვა.

- ლევ?

პასუხის გასაცემად ლევს დიდი ძალისხმევა დასჭირდა. მან ტუჩები ძლივს აამოძრავა და ერთადერთი სიტყვა წარმოთქვა: – რაისა.

რაისა მიუბრუნდა ვასილის, რომელიც მათ შეხვედრას აკვირდებოდა. ქალი საკუთარ თავზე გაბრაზდა თვალებზე მომდგარი ცრემლების გამო, რადგან სწორედ ამის მიღწევა სურდა მის წინ მდგომ კაცს. მათი შეჩერება სცადა, მაგრამ ისინი მაინც მოედინებოდა.

ვასილი კი იმედგაცრუებას ვერ მალავდა. არა, ის კი მიიღო, რასაც ვარაუდობდა - სასურველს ყოველთვის აღწევდა, უფრო მეტსაც კი, მაგრამ ელოდა, რომ ტრიუმფის მომენტი უფრო ტკბილი იქნებოდა. იგი რაისას მიუბრუნდა და უთხრა: - ჩვეულებრივ, ცოლსა და ქმარს ერთმანეთს აშორებენ, მაგრამ ვიფიქრე, რომ ერთად მოგზაურობა გერჩივნათ, დაე, ეს პატარა საჩუქარი იყოს ჩემგან.

ცხადია, მას ამ სიტყვების ღვარძლითა და ირონიით წარმოთქმა სურდა, მაგრამ ისინი თითქოს ყელში გაეჩხირა და ვერ ისიამოვნა. უეცრად მიხვდა, რომ ქალის თვალში საცოდავად გამოიყურებოდა. ყველაფრის ბრალი რეალური წინააღმდეგობის გაუწევლობა იყო. მამაკაცი, რომელიც ამდენ ხანს სძულდა, ახლა სუსტ, ნაცემ და წელში გადატეხილ არსებად ქცეულიყო.

ნაცვლად იმისა, რომ თავი ძლიერ, გამარჯვებულ ადამიანად ეგრძნო, უეცრად მიხვდა, რომ შიგნით რაღაც ჩაუწყდა. ამიტომ წინასწარ მომზადებული ტექსტის თქმის ნაცვლად, გაჩუმდა და ლევს მიაჩერდა. ეს რა გრძნობა იყო? ნუთუ კვლავაც მოსწონდა ყოფილი უფროსი? ამის გაფიქრებაც კი სულელურად და სასაცილოდ მოეჩვენა - მას ხომ მთელი არსებით სძულდა ლევი.

რაისას ეცნო ვასილის მზერა. ეს პროფესიული სიძულვილი კი არა, აკვიატებული იდეა იყო.

ასე უპასუხო სიყვარული გადაიქცევა ხოლმე საშინელ სიმახინჯედ. იოტისოდენა სიბრალულსაც კი არ გრძნობდა მის მიმართ, თუმცა ოდესღაც არც ამ კაცისთვის იქნებოდა უცხო ადამიანური გრძნობები. ვასილიმ მცველს თავი დაუქნია და მან ისინი მატარებლისკენ წაიყვანა.

რაისა ლევს ვაგონში ასვლაში დაეხმარა. ისინი უკანასკნელი პატიმრები აღმოჩნდნენ. მათ უკან კარი გრუხუნით მიიხურა და რაისამ იგრძნო, როგორ მიაშტერდათ სიბნელიდან ასობით თვალი.

ბაქანზე მდგომ ვასილის ხელები ზურგს უკან შემოეწყო.

- ჩემი განკარგულება ხომ გადაეცი?

მცველმა თავი დაუქნია.

- დანიშნულების ადგილამდე ცოცხალი ვერც ერთი ჩააღწევს და ვერც მეორე.

ასი კილომეტრი მოსკოვის აღმოსავლეთით 12 ივლისი რაისა და ლევი ვაგონის უკანა კედელთან მიყუჟულიყვნენ. ჩასხდომის შემდეგ სულ აქ ისხდნენ. რადგან ყველაზე ბოლოს ამოვიდნენ, მხოლოდ აქ თუ მოთავსდებოდნენ. ვაგონის გასწვრივ ჩამწკრივებულ სამიარუსიან თაროებზე ყველა მოსახერხებელი ადგილი უკვე დაეკავებინათ. ამ თაროებზე, დაახლოებით ოცდაათი სანტიმეტრი სიგანის ფიცრებზე, სამ-სამი კაცი ისე მიჰკვროდა ერთმანეთს, გეგონებოდათ, ჟიმაობენო, მაგრამ ეს კი არა, სუნთქვაც კი ჭირდა. ლევსა და რაისას იატაკში მუშტის სისხო ხვრელთან - ვაგონის ტუალეტთან ერგოთ ადგილი. არც ტიხრები ჩანდა სადმე, არც ფარდები, ამიტომ პატიმრებს ბუნებრივი მოთხოვნილება ერთმანეთის თვალწინ უნდა დაეკმაყოფილებინათ. სწორედ ამ აყროლებული ხვრელიდან ორმოცდაათ სანტიმეტრში მოთავსდნენ ლევი და რაისა.

თავდაპირველად, როდესაც ამ ჩახუთულ, ბნელ სივრცეში აღმოჩნდა, რაისა უმართავმა მრისხანებამ შეიპყრო. ასეთ პირობებში გამომწყვდევა საშინელ უსამართლობად, ვიღაცის ავადმყოფურ, ბოროტ განზრახვად მოეჩვენა. ბოლოს და ბოლოს, ისინი ბანაკებში სამუშაოდ მიჰყავდათ თუ დასახვრეტად? მაგრამ შემდეგ თავს ძალა დაატანა, რათა ამაზე აღარ ეფიქრა: აღშფოთება კარგს არაფერს მოუტანდათ. როგორმე ყველაფერს უნდა შეჰგუებოდნენ და თავი გადაერჩინათ. განუწყვეტლივ უმეორებდა საკუთარ თავს: ახალი სამყარო, ახალი წესები.

ამჟამინდელ მდგომარეობას ვერაფერს შეადარებდა. რისი იმედი უნდა ჰქონოდათ სრულიად უუფლებო პატიმრებს?

გარეთ გახედვაც არ შეეძლოთ, მაგრამ რაისა მაინც მიხვდა, რომ შუადღე გადასულიყო. მზის სხივებს ვაგონის რკინის სახურავი გაევარვარებინა. თითქოს ამინდიც კი ეხმარებოდა მცველებს და ასობით პატიმარი ნელი წამებისთვის გაეწირა ამ საშინელ სიცხეში. მატარებელი ნელა მიდიოდა და ფიცრული კედლების ღრიჭოებში ქარი არც კი უბერავდა. და თუ სუსტი სიო მაინც შემოაღწევდა ხოლმე, ისიც იმათი ნადავლი ხდებოდა, ვისაც თაროებზე უკეთესი ადგილი ეკავა.

უცნაურია, მაგრამ როგორც კი რაისამ ბრაზი მოთოკა, სიცხემ და სიმყრალემ ნაკლებად შეაწუხა. თავის გადასარჩენად პირობებთან მაქსიმალურად შეგუება იყო საჭირო. ერთ-ერთ პატიმარს ახალი წესების მიხედვით ცხოვრება არ მოესურვებინა. რაისამ არ იცოდა, კონკრეტულად რამ

მოკლა ეს შუახნის მამაკაცი. იგი ჩუმად გარდაიცვალა, ისე, რომ ვერავინ შეამჩნია. და რომც შეემჩნიათ, არავინ კრინტსაც არ დაძრავდა. წუხელ, როდესაც მატარებელი გაჩერდა და პატიმრები ქვევით ჩამოყარეს, რათა თავ-თავიანთი წილი ცოტაოდენი წყალი მიეღოთ, ვიღაცამ დაიყვირა, კაცი მოკვდაო. რაისამ უძრავად დაგდებულ სხეულს ჩაუარა და გაიფიქრა, ამ საბრალომ, ალბათ, გადაწყვიტა, რომ ახალ სამყაროს ვერ შეეგუებოდაო. იგი დანებდა და გაცვეთილი მექანიზმივით გაითიშა. სიკვდილის მიზეზი უიმედობა და სიცოცხლისადმი ინტერესის უქონლობა თუ იქნებოდა. შესაძლოა, დაასკვნა, რომ თუ სწორედ ეს იყო ახალი ცხოვრება, იგი არ იმსახურებდა იმას, რომ მისი გულისთვის ყველაფერს შეჰგუებოდა. მისი გვამი ვაგონიდან გადააგდეს. იგი რკინიგზის დამრეც ყრილზე დაგორდა და გაუჩინარდა.

რაისა ლევისკენ შეტრიალდა. ქმარს თვალები დაეხუჭა და ბავშვივით ეძინა მის გვერდით.

სიფხიზლის დროს კი მშვიდად გამოიყურებოდა, არც დისკომფორტს განიცდიდა, არც გაღიზიანება ეტყობოდა. სამაგიეროდ, ფიქრებით იყო სადღაც შორს, შუბლზე კი შიგადაშიგ ნაოჭები უჩნდებოდა, თითქოს რაღაც ძალზე მნიშვნელოვნის გაგება სურდა. რაისამ მისი სხეული დაათვალიერა და იდაყვის სახსარში მოზრდილ სისხლჩაქცევას მიაგნო. მაჯებსა და კოჭებზე ქამრებისგან გადახეხილი განიერი, წითელი ზოლები გასდევდა. იგი დაებათ. რაისამ არ იცოდა, ქმარს რა გადაეტანა, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, რომ ფსიქოლოგიური და ქიმიური ტრავმებისგან უფრო იტანჯებოდა, ვიდრე ფიზიკურისგან. რაისა მას თავზე მოეფერა, შემდეგ კი მისი ხელი პირთან მიიტანა და აკოცა. ეს იყო მისი მკურნალობის მეთოდი, მეტი არაფერი შეეძლო. ცოტა ხნის შემდეგ გამხმარი პურის ყუა და ხმელი, მარილიანი თევზის ნახევარი მოიტანა - ის, რაც საჭმელად დაურიგეს. ბევრი მშიერი პატიმარი თევზს დაჰყურებდა და უწყლობის გამო ჭამა ვერ გაებედა. წყურვილი შიმშილზე ძნელი ასატანი იყო. სანამ პატარა ნაჭერს ლევს შეაჭმევდა, რაისამ საგულდაგულოდ გაწმინდა თევზი მარილისგან.

ლევი წამოჯდა, წელში გაიმართა და პირველად ალაპარაკდა მატარებელში მოხვედრის შემდეგ. ძლივს გასაგონად ჩურჩულებდა. ამიტომ რაისა მისკენ დაიხარა და სმენა დაძაბა.

- ოქსანა კარგი დედა იყო. ვუყვარდი. მე კი მივატოვე ისინი. დაბრუნება არ მოვინდომე. ჩემს პატარა ძმას ძალიან უყვარდა კარტის თამაში.

სულ ვეუბნებოდი, დრო არა მაქვს-მეთქი.

- ვის შესახებ მიყვები, ლევ? ვინ არის ოქსანა? ან შენი ძმა? ვერაფერი გავიგე.

- დედაჩემმა მათ ეკლესიის ზარის წაღების უფლება არ მისცა.

– ანამ? ანას გულისხმობ?

– არა, ანა დედაჩემი არაა.

რაისამ ნაზად მიიდო მკერდზე ქმრის თავი, ეშინოდა, ვაითუ, გაგიჟდაო. ვაგონს თვალი მოავლო და უეცრად მიხვდა, რომ ლევის უმწეობა მათ სხვების სამიზნედ და იოლ ნადავლად აქცევდა.

პატიმრების უმეტესობა ისე იყო დაშინებული, რომ მათგან საფრთხე არ მოელოდათ, გარდა შორეულ კუთხეში, ზედა თაროზე მოთავსებული ხუთი მამაკაცისა, სხვებისგან განსხვავებით, შიშს რომ არ იმჩნევდნენ და თავს ისე გრძნობდნენ, როგორც საკუთარ სახლში. რაისა მიხვდა, რომ ისინი პროფესიონალი დამნაშავეები იყვნენ, ძარცვისა და ქურდობისთვის გასამართლებულები, რომლებსაც პოლიტიკურ პატიმრებთან - მასწავლებლებთან, ექთანებთან, ექიმებთან, მწერლებსა და მოცეკვავეებთან შედარებით, გაცილებით ლმობიერი სასჯელი მიეღოთ. ციხე მათთვის მშობლიური სახლივით იყო. აქაური წესები გაცილებით უკეთ იცოდნენ, ვიდრე გარეთ დარჩენილი დიდი სამყაროსი. მათ უპირატესობას მხოლოდ ფიზიკური ძალა კი არ განაპირობებდა, თუმცა არც ეს აკლდათ. რაისამ შეამჩნია, რომ მცველებმა თავიანთი უფლებების ნაწილი ამ ადამიანებს გადასცეს და მათთან თანასწორებივით ან თითქმის თანასწორებივით საუბრობდნენ. ყოველ შემთხვევაში, ისე, როგორც მამაკაცი ესაუბრება მამაკაცს. დანარჩენ პატიმრებს მათი აშკარად ეშინოდათ. გზას უთმობდნენ, ერიდებოდნენ. მათ შეეძლოთ, ჩამომხტარიყვნენ თავიანთი თაროებიდან, ტუალეტით ესარგებლათ ან წყალზე წასულიყვნენ, იმავდროულად, სულაც არ ეშინოდათ, რომ ძვირფას ადგილებს დაკარგავდნენ. მათთვის უცნობ ერთ მამაკაცს უკვე მოსთხოვეს, შენი ფეხსაცმელი მოგვეციო. როდესაც მან მიზეზი იკითხა, მიუგეს, რომ სანაძლეოში წაეგოთ. რაისამ ღმერთს მადლობა შესწირა, რომ მამაკაცს ეჭვქვეშ არ დაუყენებია ეს ლოგიკა: ახალი სამყარო, ახალი წესები.

მან უსიტყვოდ გაუწოდა მათ საკუთარი ფეხსაცმელი, სანაცვლოდ კი დახეული და ძირგახვრეტილი წყვილი მიიღო.

მატარებელი გაჩერდა. ვაგონებიდან ყვირილი გაისმა - ხალხი წყალს ითხოვდა, მაგრამ მცველები ან ყურადღებას არ აქცევდნენ მათ, ან დას-

ცინოდნენ და აჯავრებდნენ: წყალი! წყალი! წყალი!

თითქოს წყლის მოთხოვნა ბინძური და უღირსი საქმე ყოფილიყო. გუშაგები, როგორც ჩანს, მათ ვაგონთან შეკრებილიყვნენ. კარი გაიღო და პატიმრებს უკან დახევა უბრძანეს. შემდეგ იმ ხუთეულს უხმეს. ისინი თავ-თავიანთი ადგილებიდან ჯუნგლის მტაცებელი ცხოველებივით ჩამოხტნენ, ბრბოში გზა გაიკვლიეს და მატარებლიდან ჩავიდნენ.

რაისამ იგრძნო, რომ რაღაც ხდებოდა. თავჩაქინდრული იჯდა და მძიმედ სუნთქავდა. ცოტა ხანში გაიგონა, რომ ჩასულები უკან ბრუნდებოდნენ. ამას ელოდა. თავი ნელა ასწია და დაინახა, რომ მამაკაცები აუჩქარებლად ამოვიდნენ ვაგონში. ახლა ხუთივენი მას შესცქეროდნენ.

იგივე დღე რაისამ ქმრის სახე ხელისგულებს შორის მოიქცია.

- ლევ.

ხუთეული ახლოვდებოდა. ვერსად გაიქცეოდა - იატაკზე ყველგან პატიმრები ისხდნენ ან იწვნენ.

- ლევ, მომისმინე, უსიამოვნებას გადავეყარეთ.

ლევი არ განძრეულა. თითქოს ვერ ხვდებოდა, რა საფრთხეც ემუქრებოდათ.

- ლევ, გთხოვ. გევედრები.

კვლავ არავითარი შედეგი. რაისა წამოდგა და მოახლოებული მამაკაცებისკენ შეტრიალდა.

კიდევ რისი გაკეთება შეეძლო? ლევი კვლავ მობუზული იჯდა იატაკზე მის უკან. რაისას მარტივი გეგმა ჰქონდა: შეძლებისდაგვარად, დიდხანს უნდა შესწინააღმდეგებოდა.

მეთაურმა, ხუთეულიდან ყველაზე მაღალმა, ნაბიჯი წინ გადმოდგა და რაისას ხელი სტაცა.

ქალი ელოდა ამას და სცადა, მოძალადისთვის თავისუფალი ხელი თვალში დაერტყა. რაისამ ჭუჭყიანი და მოუვლელი ფრჩხილები კაცს კანში ჩაასო. თავში წამით გაუელვა, რომ თვალის ამოთხრაც შეეძლო, მაგრამ მხოლოდ სახის მოფხოყნა მოახერხა. მამაკაცმა იგი იატაკზე მოისროლა. რაისა პატიმრებს ზედ დაეცა, რომლებიც საჩქაროდ აქეთ-იქით მიმოიფანტნენ. ეს მათი ბრძოლა არ იყო და ამიტომ არც დახმარებას აპირებდნენ. რაისას მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონოდა. მან თავდამსხმელებისგან ცოტა შორს სცადა გაფოფხება, მაგრამ იგრძნო, რომ ვერ ინძრეოდა. ვიღაცას მისთვის კოჭში ჩაევლო ხელი. საიდანღაც სხვებიც მისწვდნენ, ასწიეს და გულაღმა დააწვინეს. ერთ-ერთმა ბანდიტ-

მა დაიჩოქა, ხელები გაუკავა და იატაკზე მიაჭერინა, მეთაურმა კი მუხლით ფეხები გააშლევინა. მას ხელში დაკბილული ფოლადის მსხვილი ნაჭერი ეჭირა, რომელიც უშველებელ კბილს ჰგავდა.

– ჯერ გაგჟიმავ, შემდეგ კი ამას გაგირჭობ.

მან ფოლადის ნაჭერზე მიუთითა. რაისა მიხვდა, რომ ის მას მცველებმა გადასცეს ახლახან.

რაისას განძრევა აღარ შეეძლო. მან თავი მიაბრუნა, რათა ქმრისთვის შეეხედა, მაგრამ ლევი იქ აღარ ჩანდა.

ლევს ტყეც გადაავიწყდა, კატაც, სოფელიც და უმცროსი ძმაც. მის ცოლს საფრთხე ემუქრებოდა. ვითარების შეფასება სცადა და გაუკვირდა, რომ მისთვის თავი მიენებებინათ.

ალბათ, ამ ადამიანებს უთხრეს, რომ ლევი თავს ცუდად გრძნობდა და მათთვის საფრთხეს არ წარმოადგენდა. ასე იყო თუ ისე, გაჭირვებით წამოდგა ფეხზე, რასაც ბანდიტებმა ყურადღება არ მიაქციეს. მეთაური უკვე შარვლის შესაკრავს იხსნიდა, როდესაც, როგორც იქნა, შეამჩნია, რომ ლევი ფეხზე იდგა, ეს უკანასკნელი უკვე გაშლილი ხელის მანძილზე იმყოფებოდა მისგან.

მეთაურმა ბოროტად ჩაიცინა, მკვეთრად შეტრიალდა და ლევს სახეში დაარტყა. მას აცილება ან თავის დაცვა არც უფიქრია, უსიტყვოდ მიიღო დარტყმა და ძირს დაეცა. ახლა ტუჩგახეთქილი იწვა ჭუჭყიან ფიცრებზე და გაიგონა, როგორ გაეცინათ ბანდიტებს. არა უშავს, იცინონ. ტკივილმა საბოლოოდ გამოაფხიზლა. თავდამსხმელები ძალზე თავდაჯერებულები და მოუმზადებლები იყვნენ - ღონივრები, ჯანმრთელები, მაგრამ მოუხერხებლები. ლევმა თავი მოიკატუნა, თითქოს დარტყმის შემდეგ გონზე კარგად ვერ მოსულიყო, ნელა წამოდგა და წელში გაიმართა. ბანდიტებისგან ზურგით იდგა და მათ ვერაფერს დაუშავებდა. მოესმა, რომ ვიღაც ანკესზე წამოეგო და მისკენ გამოემართა. მიიხედა და მეთაურს მოჰკრა თვალი, რომელსაც ფოლადის ნაჭერი აღემართა და მის მოკვლას აპირებდა.

მოულოდნელად ლევი სწრაფად გახტა გვერდზე, რაც თავდამსხმელისთვის აშკარად სიურპრიზი აღმოჩნდა. სანამ იგი წონასწორობის აღდგენას მოახერხებდა, ლევმა ყელში მუშტი უთავაზა და ხრიალი დააწყებინა. მეთაურს სუნთქვა შეეკრა. ლევმა მას ხელიდან ფოლადის ნაჭერი გამოსტაცა და დაკუნთულ კისერში ჩაარტყა, შემდეგ კი მთელი ტანით დააწვა და იარაღი რაც შეიძლება ღრმად ჩაიყვანა, თან გზადაგზა ხრტი-

ლებს, ვენებსა და არტერიებს შეუბრალებლად უნადგურებდა. ბოლოს ეს ერთგვარი ხანჯალი ამოაძრო. მეთაური იატაკზე პირქვე დაეცა, ამაოდ ცდილობდა კისერში გაჩენილი ხვრელის დაფარვას.

ლევისკენ ახლა ბანდის უახლოესმა წევრმა გაიწია. ლევმა მას კისერში წვდომის საშუალება მისცა, თვითონ კი ფოლადის იარაღი მუცელში გაურჭო და მთელი ძალით მაღლა და გვერდზე ასწია. მამაკაცს ხრიალი და ბუყბუყი აღმოხდა, მაგრამ ლევმა ფოლადის ნაჭერი ჭრილობაში სწრაფად დაატრიალა და კანი და ხორცი სულ დაუგლიჯა. ბანდიტმა ლევს ხელები გაუშვა და გაშტერებული მიაჩერდა თავის გამოფატრულ მუცელს. შემდეგ ფეხები მოეკვეთა და იატაკზე ჩაიკეცა.

ამასობაში ლევი დარჩენილ სამ ბანდიტს მიუბრუნდა, მაგრამ მათ ბრძოლისადმი ინტერესი განელებოდათ. მცველებთან გარიგება კი დაედოთ, მაგრამ საკუთარი ჯანმრთელობა ყველაფერს ერჩივნათ. შესაძლოა, მათ ბანაკში უკეთესი საჭმელი ან მსუბუქი სამუშაო შესთავაზეს. ერთერთმა მათგანმა, როგორც ჩანს, გადაწყვიტა, რომ მეთაურის ადგილის დაკავება შეეძლო და სწრაფად ჩაილაპარაკა: - ჩვენ შენთან საჩხუბარი არაფერი გვაქვს.

ლევს არაფერი უთქვამს. ხელები გასისხლიანებოდა, მუშტიდან ფოლადის ბასრი პირი მოუჩანდა. ბანდიტებმა უკან დაიხიეს. თავიანთი მოკლული და დაჭრილი თანამებრძოლები იქვე დატოვეს. ყველა ცდილობს, დამარცხება სწრაფად დაივიწყოს.

ლევმა რაისა წამოაყენა და გულში ჩაიკრა.

- მაპატიე.

უეცრად დაჭრილის ყვირილი მოესმათ, რომელიც შველას ითხოვდა. მეთაური, რომელსაც ლევმა ყელი გაუხვრიტა, უკვე მომკვდარიყო. მუცელგაფატრული ბანდიტი კი ჯერაც სუნთქავდა და ამაოდ ცდილობდა სისხლდენის შეჩერებას. ლევი მისკენ დაიხარა და თვალი შეავლო: დაჭრილი გვარიანად დაიტანჯებოდა, სანამ მოკვდებოდა. იგი შებრალებას არ იმსახურებდა.

მაგრამ დანარჩენი პატიმრებისთვის აჯობებდა, თუ ახლავე ჩაძაღლდებოდა. მისი ყვირილის მოსმენა არავის სურდა. ლევმა ბანდიტის გვერდით ჩაიმუხლა და სწრაფი მოძრაობით კისრის მალები გადაუმტვრია.

შემდეგ ცოლთან დაბრუნდა. ქალმა ჩაიჩურჩულა: - მცველებმა მათ ჩვენი დახოცვა უბრძანეს.

ლევმა მისი სიტყვები აწონ-დაწონა და თქვა: - მხოლოდ ერთი გამოსავალი გვაქვს - უნდა გავიქცეთ.

მატარებელმა სვლა შეანელა. როდესაც საბოლოოდ გაჩერდებოდა, გუშაგები კარს გააღებდნენ. როდესაც ნახავდნენ, რომ ლევისა და რაისას ნაცვლად ორი ბანდიტი იყო მოკლული, აუცილებლად მოინდომებდნენ ამის ჩამდენის ვინაობის გაგებას. რომელიმე პატიმარი აუცილებლად იტყოდა სიმართლეს წამების შიშის ან ჯილდოს მიღების გამო და მცველებს შესანიშნავი საბაბი მიეცემოდათ ლევსა და რაისასთან ანგარიშის გასასწორებლად.

ლევი ტყვეებს მიუბრუნდა. მათ შორის იყვნენ ორსულები, მოხუცები, რომელთა ასაკი გულაგში გადარჩენის შანსს არ იძლეოდა, მამები, ძმები, დები - ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული ადამიანები, რომლებიც თვითონაც ხშირად დაუჭერია და ლუბიანკაზე მიუყვანია, ახლა კი მათთვის დახმარება უნდა ეთხოვა.

- ჩემი სახელი და გვარი არაფერს გეტყვით. დაპატიმრებამდე ორმოცზე მეტი ბავშვის მკვლელობის საქმეს ვიძიებდი, რომლებიც ურალის მთებსა და შავ ზღვას შორის მოხდა. ბიჭები და გოგონები დახოცეს. ვიცი, რომ ძნელია, შეუძლებელიცაა ასეთი სისასტიკის დაჯერება, მაგრამ საკუთარი თვალით ვნახე ბავშვების ცხედრები და დარწმუნებული ვარ, ეს ერთი კაცის ჩადენილია. იგი ბავშვებს ფულის, სექსის ან სხვა რამე გასაგები მიზეზის გამო არ ხოცავს და კვლავაც გააგრძელებს მათ ჟლეტას. შესაძლოა, მისი მსხვერპლი ნებისმიერი ქალაქის ნებისმიერი ბავშვი გახდეს. ბრალად ის დამდეს, რომ მისი დაჭერა მინდოდა. ჩემი დაპატიმრება ნიშნავს, რომ მას ხელ-ფეხი გახსნილი ექნება და კიდევ არაერთ მკვლელობას ჩაიდენს. ჩვენ გარდა, მას არავინ ეძებს. მე და ჩემი ცოლი უნდა გავიქცეთ, რათა იგი შევაჩეროთ. მაგრამ ამას უთქვენოდ ვერ მოვახერხებთ. თუ დაცვას გამოუძახებთ, ჩვენი საქმე წასულია.

ვაგონში სიჩუმე ჩამოვარდა. მატარებელი თითქმის გაჩერდა. ნებისმიერ დროს შეეძლოთ კარის გახსნა და მაშინ აქ იარაღმომარჯვებული დაცვა შემოვიდოდა. ვის მოუბრუნდებოდა ენა იმ ადამიანის სიმხდალეში დასადანაშაულებლად, რომელიც ავტომატის ლულამიშვერილი სიმართლეს იტყოდა? მაგრამ ამ დროს ერთ-ერთი თაროდან ქალის ხმა გაისმა:
- მე როსტოვიდან ვარ. მსმენია ამ მკვლელობების შესახებ. ბავშვებს მუცელს ფატრავენ.

იმასაც ამბობენ, რომ ამას დასავლეთიდან ჩვენს ქვეყანაში ფარულად შემოსული ჯაშუშების ჯგუფი აკეთებს.

ლევმა მიუგო: - ვფიქრობ, მკვლელი თქვენს ქალაქში ცხოვრობს და მუშაობს, თუმცა მეეყვება, ჯაშუში იყოს.

საუბარში კიდევ ერთი ქალი ჩაერთო: - როდესაც იპოვით, მოკლავთ?

– დიახ.

მატარებელი გაჩერდა. გაიგონეს, რომ რკინიგზის მიწაყრილზე მათი ვაგონისკენ მცველები მოდიოდნენ. ლევმა დაამატა: - არა მაქვს მიზეზი, რომ თქვენი დახმარების იმედი მქონდეს, მაგრამ მაინც გთხოვთ, დაგვეხმაროთ.

ლევი და რაისა ჩაცუცქდნენ, რათა სხვა პატიმრებში ჩაკარგულიყვნენ. ცოლი ქმარს მოეხვია, რათა შემოსულებს მისი სისხლით დასვრილი ხელები არ დაენახათ. კარი გაიღო და ვაგონში კაშკაშა მზის სხივები შემოიყრა.

როდესაც დაცვამ ორი გვამი აღმოაჩინა, მომხდარის ახსნა მოითხოვა.

- ვინ მოკლა?

ყველა დუმდა. ლევმა ცოლის მხრის ზემოდან მცველები შეათვალიერა. ახალგაზრდები იყვნენ, ყველაფრისადმი გულგრილები. ნებისმიერ ბრძანებას შეასრულებდნენ, მაგრამ დამოუკიდებლად არაფერს მოიმოქმედებდნენ. ის, რომ საკუთარი ხელით არ მოკლეს ლევი და რაისა, იმას ნიშნავდა, რომ ასეთი ბრძანება არ მიუღიათ. ეს ფარულად, სხვისი ხელებით უნდა გაეკეთებინათ. თვითონ მკაფიო და არაორაზროვანი განკარგულების გარეშე თითსაც არ გაანძრევდნენ. თუმცა, თუ მცირე საბაბი მაინც ექნებოდათ, ამ შესაძლებლობით აუცილებლად ისარგებლებდნენ. ყველაფერი პატიმრების ქცევაზე იყო დამოკიდებული. მცველები მთელი ხმით უყვიროდნენ მათ, ვინც კარის სიახლოვეს აღმოჩნდნენ, ავტომატის ლულებს სახეში სჩრიდნენ, მაგრამ არავინ არაფერს ამბობდა. მაშინ გუშაგებმა ხანდაზმული ცოლ-ქმარი ამოირჩიეს. იფიქრეს, ამათ მაინც ავალაპარაკებთო.

- ვინ დახოცა ეს ადამიანები? რა მოხდა აქ? გვიპასუხეთ!

ერთ-ერთმა მცველმა ქალს ავტომატის კონდახი მოუქნია. მოხუცი ატირდა. ქმარი გუშაგებს შეეხვეწა, არ მოკლათო, მაგრამ მისთვის პასუხი არავის გაუცია. მეორე მცველი ლევს მიუახლოვდა. თუ წამოდგომას უბრძანებდა, მის დასისხლიანებულ პერანგს დაინახავდა.

ამ დროს გადარჩენილ ბანდიტთაგან ერთ-ერთი, ის, რომელმაც ლევს უთხრა, შენთან საჩხუბარი არაფერი გვაქვსო, თაროდან ჩამოხტა და გუშაგებს მიუახლოვდა. ახლა, ალბათ, კუთვნილ ჯილდოს მოითხოვდა. მან კი ხმამაღლა განაცხადა: - ამათ თავი დაანებეთ. ვიცი, აქ რაც მოხდა და მოგიყვებით.

მცველებმა ხანდაზმულ ცოლ-ქმარს და ლევს თავი დაანებეს.

– გვითხარი.

- ისინი კარტის თამაშის დროს წაკინკლავდნენ და ერთმანეთი დახოცეს.

ლევი მიხვდა, რომ ბანდიტებმა იგი თავიანთი გაუკუღმართებული ლოგიკის გამო არ გასცეს.

ისინი მცირე თანხის გამოც კი წავიდოდნენ გაუპატიურებასა თუ მკვლელობაზე, მაგრამ ჩაშვება-დაბეზღებაზე არასდროს დათანხმდებოდნენ. ეს სტატუსის საკითხი იყო. თუ ქურდები, მათი კრიმინალური საძმოს წევრები, შეიტყობდნენ, რომ სხვა პატიმრები რაღაც შეღავათის გამო გაყიდეს, ამას არ აპატიებდნენ და მოკლავდნენ.

დაბნეულმა მცველებმა ერთმანეთს გადახედეს, არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ და გადაწყვიტეს, ჯერ არაფერი მოემოქმედათ. მათ არსად ეჩქარებოდათ. „მეორე მდინარემდე“, წყნარი ოკეანის ნაპირზე რომ მდებარეობდა, კიდევ რამდენიმე კვირა უნდა ევლოთ. გზაში უამრავი შესაძლებლობა მიეცემოდათ, მანამდე კი ბრძანებას დაელოდებოდნენ, ახალ გეგმას მოიფიქრებდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა პატიმრებს გამოუცხადა: - სასჯელის სახით გვამებს აქ დაგიტოვებთ. ამ სიცხეში ისინი მალე გაიხრწნება, აყროლდება და ყოფა გეტირებათ. იქნებ მაშინ მაინც ამოიდგათ ენა.

საკუთარი მოსაზრებულობით კმაყოფილი მცველი ვაგონიდან ჩახტა. მას სხვებიც მიჰყვნენ.

კარი დაიკეტა.

ცოტა ხნის შემდეგ მატარებელი კვლავ დაიძრა. გატეხილსათვალიანმა ახალგაზრდა კაცმა ლევს გაბზარული შუშებიდან გამოხედა და ჩურჩულით ჰკითხა: – როგორ აპირებთ გაქცევას?

მას ჰქონდა ამის გაგების უფლება. გაქცევა ვაგონში მყოფი ყველა პატიმრის საერთო საქმედ იქცა. პასუხის ნაცვლად, ლევმა მას ფოლადის გასისხლიანებული ნაჭერი დაანახვა. მცველებს მისი წაღება დავიწყებოდათ.

ორას ოცი კილომეტრი მოსკოვის აღმოსავლეთით 13 ივლისი ლევი იატაკზე გაწვა და ხელი ვიწრო ხვრელში ჩაყო, რომელსაც პატიმრები ტუალეტად იყენებდნენ. ფოლადის ნაჭრის საშუალებით იმ ლურსმნების ამოძრობას ცდილობდა, ვაგონის ქვედა ნაწილის ფიცრებს რომ იკავებდა. ზემოდან ვერ მიუდგებოდნენ, რადგან ყველა ქვემოდან მიეჭედებინათ. მათთვის ხელის ჩავლება მხოლოდ მაჯაზე ოდნავ განიერი ამ ხვრელიდან შეიძლებოდა. ლევმა მოკლულ მეთაურს პერანგი გახადა და ხვრელის გარშემო არსებული სივრცე შეძლებისდაგვარად გაასუფთავა. თუმცა ეს არაფერს შველოდა. ლურსმანს რომ მისწვდომოდა, პირქვე უნდა გაწოლილიყო შარდითა და განავლით გაჟღენთილ ფიცრებზე.

სანამ ლურსმნებს ეძებდა, საშინელი სიმყრალისგან გული ერეოდა, თითებში ხიყვები ესობოდა. რაისამ დახმარება შესთავაზა, უთხრა, რომ ამას თვითონ გააკეთებდა, რადგან უფრო წვრილი მაჯა და თითები ჰქონდა. სამაგიეროდ, ლევი თავისი გრძელი ხელებით ზუსტად სწვდებოდა სამი ლურსმნის თავს.

მან ცხვირ-პირზე ნაჭერი მიიფარა, რათა ოდნავ მაინც დაეცვა თავი სიმყრალისგან, და ახლა მესამე, ბოლო ლურსმნის ამოძრობას ცდილობდა, ხეს კაწრავდა და ჩიჩქნიდა, თავის გარშემო პატარა ორმოს უთხრიდა, რათა შემდეგ ფოლადის ნაჭრით ჩასჭიდებოდა. პირველი ორი ლურსმნის ამოღებას დიდი დრო მოანდომა, რადგან ხშირად უხდებოდა მუშაობის შეწყვეტა, როდესაც რომელიმე პატიმარს მოსაქმება მოუნდებოდა.

ამ ბოლო ლურსმნის ამოძრობა ყველაზე ძნელი აღმოჩნდა. ეს ნაწილობრივ დაღლილობითაც აიხსნებოდა - უკვე გვიან იყო, ღამის პირველი თუ ორი საათი, - თუმცა, მხოლოდ ნაწილობრივ. ლევი თითის წვერებით ლურსმნის თავს კი მისწვდა, მაგრამ მას ჯიუტად არ უნდოდა ბუდიდან ამოსვლა. შესაძლოა, ლურსმანი ცერად ჩაეჭედებინათ, რადგან გვერდიდან ურტყამდნენ ჩაქუჩს. ლევს უფრო ღრმად და გრძლად მოუწევდა ფიცრის ამოჩიჩქნა. ასეთი სიჩქარით კიდევ ერთი საათი დასჭირდებოდა. ამის გაფიქრებისთანავე იგრძნო, რომ დაღლილობა მოეძალა. თითები დასისხლიანებოდა, ხელი სტკიოდა, ცხვირში საშინელი სუნი სცემდა. უეცრად ვაგონი შეირყა. ლევი გვერდზე გადავარდა და ფოლადის ნაჭერი ხელიდან გაუვარდა, რომელიც წკრიალით დაეცა შპალებს და სამუდამოდ დაიკარგა.

ლევმა ხვრელიდან ხელი ამოიღო. გვერდით რაისა ეჯდა.

- მორჩა?

- ჩამივარდა. ფოლადის ნაჭერი ჩამივარდა.

ლევი საკუთარმა უგერგილობამ გააცოფა. ახლა უიარაღოდ იყო დარჩენილი.

ქმრის დასისხლიანებული თითების დანახვაზე, რაისა ფიცრის ერთ ბოლოს ჩაეჭიდა და აწევა სცადა. პატარაზე კი ასწია, მაგრამ ეს ხელის შესაყოფადაც კი არ კმაროდა. ლევმა ხელები შარვალზე შეიწმინდა და ირგვლივ მიიხედ-მოიხედა, რათა რამე მაინც ეპოვა, რაც ლურსმნის ამოსაძრობად გამოადგებოდა.

- ფიცარი მთელ სიღრმეზე უნდა ამოვჩიჩქნო, რათა ბოლო ლურსმნის დაბოლოებამდე ჩავაღწიო.

რაისა ხედავდა, როგორ ჩხრეკდნენ პატიმრებს ვაგონში შემოყვანის წინ. ეჭვი ეპარებოდა, რომ ვინმეს მაინც აღმოაჩნდებოდა ლითონის პატარა საგანი მაინც. სანამ მოულოდნელად წამოჭრილი პრობლემის გადაწყვეტაზე ფიქრობდა, თვალში შორიახლოს დაგდებული გვამი მოხვდა. კაცი გულაღმა იწვა და პირი დაეღო. რაისა ქმარს მიუბრუნდა.

- რა სიგრძის და რამდენად მჭრელი ინსტრუმენტი გჭირდება?

- საქმე თითქმის დავასრულე. ყველაფერი გამომადგება, რაც ჩემს თითებზე მაგარი იქნება.

რაისა წამოდგა და იმ კაცის გვამს მიუახლოვდა, რომელიც მის გაუპატიურებასა და მოკვლას აპირებდა. ახლა არც აღშფოთებას გრძნობდა, არც სიამოვნებას. ზიზღისგან სახე შეეჭმუხნა, მკვდარ მეთაურს ყბებში ხელები ჩაავლო და ზევით აუწია, შემდეგ ფეხი დაუმიზნა, მაგრამ შეყოყმანდა და ხალხს გახედა. ყველა მას მისჩერებოდა. რაისამ თვალები დახუჭა და მიცვალებულს ქუსლი წინა კბილებში ღონივრად ჩაარტყა.

ლევი მისკენ გაფოფხდა, გვამს პირში ხელი ჩაუყო და გასისხლიანებული ღრძილიდან ამოჩრილი საკბეჩი კბილი ამოიღო. იდეალური ინსტრუმენტი არ იყო, მაგრამ დაწყებული სამუშაოს გასაგრძელებლად ნამდვილად გამოადგებოდა. იგი ხვრელთან დაბრუნდა და კვლავ მუცელზე გაწვა. შემდეგ კბილი თითებით დაიჭირა, ხელი ქვევით ჩაყო, დარჩენილ ლურსმანს მიაგნო და მის გარშემო ხის ჩიჩქნას შეუდგა.

მალე ლურსმანი ბოლომდე გაშიშვლდა. ლევმა კბილი ხელისგულში მოიქცია იმ შემთხვევისთვის, თუ ის კიდევ დასჭირდებოდა, და სცადა, თითები ლურსმნისთვის თავში მაგრად ჩაევლო, მაგრამ ისინი გასისხლიანებოდა და უსხლტებოდა. მან ხელი ამოიღო, შარვალზე საგულდაგულოდ შეიწმინდა, ზედ პერანგიდან მოხეული ნაჭერი შემოიხვია და ახლა

ასე სცადა მიზნის მიოწევა. შეძლებისდაგვარად, მშვიდად მოქმედებდა. ლურსმნის თავს ჩაეჭიდა, აქეთ-იქით აწვებოდა, აყანყალებდა და თანდათანობით ზევით ექაჩებოდა. და აჰა, ბოლო ლურსმანიც მის ხელში აღმოჩნდა. ფიცარს ხელი მოუფათურა და დარწმუნდა, რომ იქ მეტი ლურსმანი აღარ დარჩენილიყო. შემდეგ წამოიმართა და ხვრელიდან ხელი ამოიღო.

რაისა ფიცარს ორივე ხელით ჩაეჭიდა. მას ლევიც მიეხმარა. ახლა უნდა დარწმუნებულიყვნენ, რომ გზა ხსნილი ჰქონდათ. ფიცრის ზედა ნაწილი მაღლა აიწია, მაგრამ ქვედა თავის ადგილას დარჩა. ლევმა ხელები ფიცრის კიდეს ჩაავლო, იმდენზე ასწია, რამდენზეც შეეძლო, და ვაგონის იატაკის ქვეშ შპალებს მოჰკრა თვალი. მათმა გეგმამ იმუშავა.

იქ, სადაც უწინ ფიცარი იდო, ახლა ოცდაათი სანტიმეტრის სიგანისა და ერთ მეტრზე ოდნავ მეტი სიგრძის ნაპრალს დაეღო პირი. მასში კაცი თავისუფლად თუ არა, გაჭირვებით მაინც გაეტეოდა.

თუ სხვა პატიმრები დაეხმარებოდნენ, ფიცრის მომტვრევას შეძლებდნენ. მაგრამ ლევს შეეშინდა, რომ ხმაურს მცველების ყურადღება არ მიეპყრო და ამ იდეაზე ხელი აიღო. იგი ხალხისკენ შეტრიალდა.

- მინდა, ვინმემ ფიცარი დაიჭიროს, სანამ ხვრელში გავძვრებით და ქვევით ჩავხტებით.

მოხალისეები მყისვე გამოჩნდნენ. მათ რამდენიმე კაცი მიუახლოვდა. ისინი ფიცარს ჩაეჭიდნენ და ისე ეჭირათ, რომ ძირს არ დაშვებულიყო. ლევმა ყურადღებით შეათვალიერა ხვრელი. მასში გაძრომის შემდეგ ქვემოთ, მატარებლის ქვეშ უნდა ჩამხტარიყვნენ. ვაგონიდან მიწამდე მეტრი ან მეტრ-ნახევარი იქნებოდა. მართალია, შემადგენლობა ნელა მოძრაობდა, მაგრამ ეს სიჩქარეც საკმარისი იყო, რათა დაცემისას რამე მოეწიათ. მაგრამ დროის გაწელვას აზრი აღარ ჰქონდა. ახლავე ღამის სიბნელეში უნდა გაქცეულიყვნენ, თორემ გამთენიისას, როდესაც მატარებელი გაჩერდებოდა, მცველები მათ აუცილებლად შეამჩნევდნენ.

რაისა ლევს ხელებზე შეეხო.

- ჯერ მე გავძვრები.

ლევმა უარის ნიშნად თავი გადააქნია. მას ნანახი ჰქონდა პატიმრების გადასაყვანი ვაგონების ნახაზები. წინ კიდევ ერთი დაბრკოლება ელოდათ - ბოლო ხაფანგი, რომელიც სწორედ ამ გზით გაქცევის მსურველთათვის დაეგოთ.

- მატარებლის ბოლო ვაგონის იატაკის ქვეშ კაუჭებია ჩამოკიდებული. თუ ახლავე ჩავხტებით და დაველოდებით, როდის გაივლის მატარებელი, ეს კაუჭები გამოგვედება და გაგვათრევს.

- ვერსად გავექცევით? გვერდზე რომ გავიწიოთ?

- ისინი ასობითაა მავთულებზე ჩამოკიდებული. თავს ვერ დავაღწევთ და ავიბლანდებით.

– როგორ მოვიქცეთ? მატარებლის გაჩერებას ხომ არ დაველოდებით?

ლევმა გვამებს გახედა. რაისა გაოცებით მიაჩერდა ქმარს. ვერაფრით მიმხვდარიყო მის ჩანაფიქრს. ლევმა აუხსნა: - როდესაც ჩახტები, ერთ-ერთ გვამს ჩამოვაგდებ. იმედი ვიქონიოთ, რომ შენ ახლოს დაეცემა. სადაც უნდა აღმოჩნდეს, იქით გახოხდი, მის ქვეშ შეძვერი და ზემოდან დაიფარე.

როდესაც ბოლო ვაგონი ჩაივლის, კაუჭები გვამს ჩაეჭიდება და გაათრევს, შენ კი არ შეგეხება.

მან გვამები ხვრელთან მიათრია და დაამატა: - თუ გინდა, ჯერ მე წავალ. თუ არაფერი გამოვა, აღარ ჩახტები და აქ დარჩები. ბოლო ვაგონის კაუჭებისგან სიკვდილს ყველაფერი სჯობს.

რაისამ უარის ნიშნად თავი გადააქნია.

- ეს კარგი გეგმაა. გაამართლებს. მე პირველი ვიქნები.

იგი უკვე მზად იყო ხვრელში ჩასაძრომად, როდესაც ლევმა ერთხელაც გაუმეორა: - მატარებელი ნელა მიდის. დაცემა მტკივნეული იქნება, მაგრამ არც ისე სახიფათო.

დაშვებისთანავე გადაკოტრიალდი. შემდეგ გვამს ჩამოგიგდებ. ცოტა დრო გექნება...

- ყველაფერი გასაგებია.

- გვამამდე უნდა მიაღწიო და მის ქვეშ შეძვრე. იცოდე, ხელი ან ფეხი გარეთ არ დაგრჩეს.

ერთი კაუჭიც რომ გამოგედოს, თან წაგიყოლებს.

- გავიგე, ლევ.

ქალმა ქმარს აკოცა. იგი ცახცახებდა.

რაისა ხვრელში გაძვრა და შპალების თავზე დაეკიდა, შემდეგ ფიცარს ხელები გაუშვა, დაეცა და მაშინვე გაუჩინარდა. ლევმა ერთ-ერთ გვამს ხელი სტაცა და ხვრელში ჩატენა.

სხეული შპალებზე დაეხეთქა და ისიც გაქრა.

***

რაისა უხერხულად დაეცა და გვერდი იტკინა. ორიენტაცია დაკარგა და რამდენიმე წამი გაუნძრევლად იწვა. გონს მალევე მოეგო. უნდა ემოძრავა, ისედაც ცოტა დრო ჰქონდა. ლევის ვაგონი საკმაოდ დასცილებოდა. ქმრის მიერ ჩამოგდებული გვამი დაინახა და იქით გახოხდა.

მატარებლის სვლის მიმართულებით მოძრაობდა. შემდეგ უკან მიიხედა. შემადგენლობის ბოლომდე სამი ვაგონი რჩებოდა. კაუჭები არსად ჩანდა. იქნებ ლევი შეცდა? კიდევ ერთმა ვაგონმა ჩაიარა, რაისას კი გვამამდე ჯერ არ მიეღწია. აგვიანებდა. როდესაც ბოლო ვაგონის გამოჩენას რამდენიმე მეტრიღა აშორებდა, კაუჭებსაც მოჰკრა თვალი. ასობით ეკიდა მავთულებზე, სხვადასხვა სიმაღლეზე. მთელ სიგანეზე განეთავსებინათ. ვერსად გაექცეოდა.

რაისა მუხლებზე დადგა, სწრაფად გაფოფხდა და გვამთან მივიდა, რომელიც პირქვე იწვა.

მის გადასაბრუნებლად დრო აღარ ჰქონდა, ამიტომ ას ოთხმოცი გრადუსით შემობრუნდა, ზურგზე გაწვა და ფეხებით წინ მიცვალებულის ქვეშ ღრმად შეძვრა. ახლა ვერშემდგარი მოძალადე ზემოდან დასწოლოდა და თავი მის სახესთან მიეტანა. რაისა ცხედრის გაყინულ თვალებს მიაცქერდა, მოიკუნტა და დაპატარავება სცადა.

უეცრად რაღაც ძალამ გვამი მოჰგლიჯა. რაისამ ნემსკავების მსგავსი უამრავი მავთული დაინახა, რომლებზეც დაკბილული კაუყები ეკიდა. მიცვალებული ჰაერში ცოცხალივით აიწია და მავთულებზე მარიონეტივით ამოძრავდა. რაისა უძრავად იწვა რელსებს შორის. შემდეგ თავს ზემოთ ვარსკვლავები გაარჩია და ნელა წამოდგა. კაუჭებს გადარჩენოდა. იდგა და ნელა მიმავალ მატარებელს გასცქეროდა. მან შეძლო ამის გაკეთება. სამაგიეროდ, ლევი არსად ჩანდა.

***

ვინაიდან რაისაზე დიდი ტანი ჰქონდა, ლევმა გადაწყვიტა, რომ თავისთვის უფრო ზორბა მამაკაცის გვამი გადაეგდო. მხოლოდ ის თუ დაიცავდა კაუჭებისგან. მაგრამ მიცვალებული იმხელა აღმოჩნდა, რომ ხვრელში არ ეტეოდა. ტანსაცმელი გახადეს და გააშიშვლეს, მაგრამ საქმეს არც ამან უშველა. ამ დროისთვის რაისა უკვე რამდენიმე წუთის ჩამხტარი იყო.

სასოწარკვეთილი ლევი ხვრელში დაეკიდა და უკან გაიხედა. მატარებლის ბოლოში კაუჭებზე სხეული ირხეოდა - რაისასი თუ მკვდარი ბან-

დიტის? ამხელა მანძილზე ვერ არჩევდა.

მხოლოდ იმის იმედი ჰქონდა, რომ ეს მის მიერ მოკლული მოძალადე იყო. მან წინასწარ დასახული გეგმა შეცვალა და გადაწყვიტა, რომ თუ სწორად დაწვებოდა, კაუჭებზე ჩამოკიდებული გვამის ქვეშ მშვიდობიანად გაძვრებოდა. ლევი პატიმრებს დაემშვიდობა, მადლობა გადაუხადა და ქვევით ჩახტა.

იგი ფოლადის უშველებელი ბორბლებისკენ გადაკოტრიალდა, თავი ასწია და მატარებლის ბოლოს გახედა. კაუჭებზე ჩამოკიდებული სხეული სწრაფად უახლოვდებოდა. ცენტრიდან ოდნავ მარცხნივ ეკიდა. ლევმაც ამდენითვე გაიწია იქით. სხვა რაღა დარჩენოდა - შეძლებისდაგვარად მოკუნტული მიწაზე უნდა გართხმულიყო და დალოდებოდა. უკვე ბოლო ვაგონი მოდიოდა. თავი ოდნავ წამოსწია და დარწმუნდა, რომ კაუჭებზე რაისა არ ეკიდა.

გადარჩენილიყო. ახლა მასაც იგივე უნდა გაეკეთებინა. თავი მიწაში ჩარგო და თვალები დახუჭა.

გვამმა ზემოდან გადაუქროლა და მსუბუქად გაედო.

ამას მკვეთრი ტკივილი მოჰყვა - ერთ-ერთი კაუჭი მაინც გამოედო მარცხენა ხელზე. ლევმა მყისვე გაახილა თვალი. კაუჭს სახელო გაეხვრიტა და კუნთში შესობოდა. წამის მეათედში, სანამ მავთული დაიჭიმებოდა და ლევს თან გაიყოლებდა, მან მოასწრო, კაუჭს ხელი სტაცა და მოიძრო, თუმცა ზედ თავისი ხორცის ნაწილიც მიაყოლა. ჭრილობას მაშინვე ხელი დააფარა და იგრძნო, როგორ სდიოდა სისხლი. თავბრუც ეხვეოდა. იგი გაჭირვებით წამოდგა და მისკენ სირბილით მომავალი რაისა დაინახა. ტკივილი არაფრად ჩააგდო, ცოლს გადაეხვია და მკერდზე მიიკრა.

თავისუფლები იყვნენ!

მოსკოვი იგივე დღე ვასილი თავს შეუძლოდ გრძნობდა. ის გააკეთა, რაც უწინ არასდროს გაუკეთებია - სამსახურიდან ერთი დღით დაეთხოვა. ამგვარი, პოტენციურად სახიფათო ნაბიჯის გადადგმა არ ახასიათებდა. ერჩივნა, სამუშაოზე ეავადმყოფა. ვასილის ისე მარჯვედ მოეწყო ყოფითი პირობები, რომ დროის უმეტეს ნაწილს შინ მარტო ატარებდა. მეუღლე, ცხადია, ჰყავდა - დაუქორწინებლად ცხოვრებას აბა, ვინ გაბედავდა. მოქალაქეობრივი ვალი შვილების ყოლასაც მოითხოვდა. ეს წესი არც მას დაურღვევია და ცოლად ისეთი ქალი მოიყვანა, რომელსაც საკუთარი აზრი არ გააჩნდა ან, ყოველ შემთხვევაში, ხმამაღლა არ გამოთქვამდა. მან ვასილის ორი ბავშვი გაუჩინა - დასაშვები მინიმუმი, თუ არასასურ-

ველი შეკითხვების თავიდან აცილება გსურდათ. ცოლ-შვილთან ერთად ქალაქის გარეუბანში ცხოვრობდა, თუმცა თვითონ ცენტრში, კონსპირაციულ ბინაში ამჯობინებდა ყოფნას. აქ თავისუფლად შეეძლო საყვარლის მიყვანა, მაგრამ ამას ძალზე იშვიათად აკეთებდა.

მას შემდეგ, რაც ლევი ურალში გადაასახლეს, ვასილიმ პატაკი დაწერა, რომელშიც მისთვის რაისასა და ლევის გამოთავისუფლებული, 124-ე ბინის გადაცემას ითხოვდა. თხოვნა დაუკმაყოფილეს. გადასვლის პირველ დღეებში მთელი არსებით ტკბებოდა. ცოლი სპეცმაღაზიებში გაგზავნა, სადაც ქალმა ძვირფასი საჭმელ-სასმელი შეიძინა. შემდეგ წვეულება გამართა, რომელზეც სამსახურიდან კოლეგები მიიწვია, ოღონდ მეორე ნახევრების გარეშე, სადაც მისმა მოადგილეებმა ჭამეს, სვეს და მორიგი წარმატება მიულოცეს. ზოგიერთი მათგანი, უწინ ლევთან ერთად რომ მსახურობდა, მის დაქვემდებარებაში აღმოჩნდა. ბედის ასეთი ირონიისა და კეთილგანწყობის მიუხედავად, წვეულებამ სიხარული ვერ მოჰგვარა. შინაგან სიცარიელეს გრძნობდა. აღარავინ სძულდა. მის გარშემო არავინ დარჩენილიყო, ვისაც ხრიკებს მოუწყობდა. აღარც ლევის სამსახურებრივი წინსვლა, ეფექტიანი მუშაობა ან პოპულარობა აღიზიანებდა. ცხადია, კონკურენტები კიდევ ჰყავდა, მაგრამ მათ მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდა.

ვასილი ლოგინიდან წამოდგა და გადაწყვიტა, რომ სასმელი გუნებას გამოუკეთებდა. არაყი დაისხა და ჩაფიქრებულმა ჭიქა ხელში შეატრიალ-შემოატრიალა. პირთან მიტანას არ ჩქარობდა. ალკოჰოლის სუნმა კიდევ უფრო ცუდად გახადა და ჭიქა მაგიდაზე დადგა. ლევი მკვდარი იყო. მალე ოფიციალურად შეატყობინებდნენ, რომ ორმა პატიმარმა დანიშნულების ადგილამდე ვერ მიაღწია. სხვა მრავალი ადამიანის მსგავსად, ისინი გზაში დაიხოცებოდნენ ფეხსაცმლის, ტანსაცმლის, საჭმლის ან სხვა მიზეზის გამო ატეხილი ჩხუბის გამო. ადამიანი, რომელმაც იგი სახალხოდ დაამცირა, საბოლოოდ დამარცხდებოდა. ლევის არსებობა ვასილისთვის დაუსრულებელ სასჯელად ქცეულიყო. მაშ, რატომ ენატრებოდა იგი?

კაკუნი მოესმა. ელოდებოდა, რომ VII ნ ექიმს გამოგზავნიდა მისი ავადმყოფობის დასაფიქსირებლად. კართან მივიდა, გამოაღო და ზღურბლზე ორი ახალგაზრდა ოფიცერი დაინახა.

– ორი პატიმარი გაიქცა.

ვასილიმ იგრძნო, როგორ გაუქრა შინაგანი ყრუ ტკივილი, სანამ სახელის წარმოთქმას მოასწრებდა: - ლევი?

ოფიცრებმა დაუდასტურეს. ახლა ვასილი თავს გაცილებით უკეთ გრძნობდა.

ორასი კილომეტრი მოსკოვის სამხრეთ-აღმოსავლეთით იგივე დღე ისინი ხან გარბოდნენ, ხან მიაბიჯებდნენ, თან გამუდმებით უკან იხედებოდნენ. მათ სისწრაფეს ის განაპირობებდა, თუ რა უფრო მძლავრობდა მათში - შიში თუ დაღლილობა.

ამინდი აშკარად სწყალობდათ: ნაკლებად კაშკაშა მზეს შიგადაშიგ თხელი ღრუბლები ეფარებოდა, ამიტომ ძალიან არ ცხელოდა, ყოველ შემთხვევაში, პატიმრებით სავსე ვაგონში არსებულ სულის ხუთვასთან შედარებით. მზის მდებარეობის მიხედვით ლევი და რაისა ხვდებოდნენ, რომ გვიანი შუადღე იდგა, მაგრამ ზუსტი დრო არ იცოდნენ. ლევს არ ახსოვდა, სად და როგორ დაკარგა ან როდის წაართვეს თავისი საათი. ყველაზე უხეში გაანგარიშებით, ისინი საათში რვა კილომეტრს გადიოდნენ, მატარებელი კი - თექვსმეტს. ასე რომ, მათ შორის მანძილი, უკეთეს შემთხვევაში, ოთხმოც კილომეტრამდე იქნებოდა. მაგრამ არც იმის გამორიცხვა შეიძლებოდა, რომ ვიღაცამ მათი გაქცევის შესახებ დაცვას გაცილებით ადრეც შეატყობინა.

ისინი ტყიდან ღია ადგილას გავიდნენ. ახლა, როდესაც ხეებს თავს ვეღარ შეაფარებდნენ, მათი დანახვა რამდენიმე კილომეტრის სიშორიდანაც კი შეიძლებოდა. მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ და მოშიშვლებულ დაბლობზე განაგრძობდნენ სვლას. ღარტაფის ძირში პატარა მდინარე შეამჩნიეს, იქით გაემართნენ, მუხლებზე დაეცნენ და წყალს ხარბად დაეწაფნენ - პეშვით იღებდნენ და ხვრეპდნენ. როდესაც ეს არ ჰყოფნიდათ, სახეს პირდაპირ მდინარეში ყოფდნენ. წყურვილი რომ მოიკლეს, ლევმა გახუმრებაც კი სცადა: – ახლა სუფთა მაინც ვართ, თუ დავიხოცებით.

ხუმრობამ ხასიათი ვერ გამოუკეთა. სულაც არ იყო საკმარისი, რომ ისინი ყველაფერს აკეთებდნენ მკვლელის შესაჩერებლად. მათ მცდელობას არავინ დააფასებდა. საქმე ბოლომდე უნდა მიეყვანათ.

რაისას ყურადღება ლევის ჭრილობამ მიიქცია, რომელიც პირს არ იკრავდა. არც სისხლდენა ჩერდებოდა - კაუჭს კანისა და ხორცის მოზრდილი ნაჭერი მოეგლიჯა. მათ იარაზე პერანგის სახელო შემოეჭირათ, რომელიც სისხლით გაჟღენთილიყო. სახეშეჭმუხნილმა ლევმა სახვევი მოიხსნა.

– არა უშავს, მოვითმენ.

- ჰო, მაგრამ კვალს ტოვებს, რომლის მიხედვითაც ძაღლები ადვილად მოგვაგნებენ.

რაისა მდინარესთან მდგარ უახლოეს ხეს მიუახლოვდა. ქვედა ტოტებზე ვერცხლისფერი აბლაბუდა ირხეოდა. ქალმა ის თითებით ფრთხილად მოხსნა და ლევს გასისხლიანებულ წინამხარზე დაადო. წვრილ ვერცხლისფერ ძაფებთან შეხებისთანავე სისხლმა შედედება დაიწყო. რაისა რამდენიმე წუთის განმავლობაში კიდევ ეძებდა ობობას ქსელებს და მათ ერთმანეთზე ფენა-ფენად აწყობდა. მალე ჭრილობა მთლიანად დაიფარა აბრეშუმის წვრილი ძაფებით და სისხლდენაც შეწყდა.

- სანამ შევძლებთ, - თქვა ლევმა, - მდინარით უნდა ვიაროთ. ზემოდან ხეები დაგვიფარავს, წყალი კი სუნს გააქრობს.

მდინარე წყალმარჩხი აღმოჩნდა, ყველაზე ღრმა ადგილებშიც კი წყალი მხოლოდ მუხლებამდე სწვდებოდათ, თან ნელა მიედინებოდა, ასე რომ, ცურვას ვერ შეძლებდნენ და ფეხით უნდა დაეძლიათ იგი. მშიერი და დაღლილი ლევი ხვდებოდა, რომ დიდხანს ვერ გაძლებდნენ.

მართალია, მცველებს სულ არ ადარდებდათ, პატიმრები იცოცხლებდნენ თუ დაიხოცებოდნენ, გაქცევა მიუტევებელ დანაშაულად აღიქმებოდა. იგი არა მხოლოდ გუშაგების, არამედ მთელი სისტემის დაცინვასა და მასხრად აგდებას ნიშნავდა. როგორ უმნიშვნელო პირებსაც უნდა მოეწყოთ იგი, გაქცევის შემდეგ ისინი განსაკუთრებით საშიში დამნაშავეები ხდებოდნენ. ის ფაქტი კი, რომ ლევი და რაისა უკვე ჯაშუშებად ეღიარებინათ, იმას მოასწავებდა, რომ მათზე საკავშირო ძებნას გამოაცხადებდნენ. მატარებლის გაჩერებისთანავე მცველები კაუჭებზე ჩამოკიდებულ სხეულს აღმოაჩენდნენ, რის შემდეგაც ყველა პატიმარს გადათვლიდნენ, იმ ვაგონს მიაგნებდნენ, საიდანაც გაქცევა მოხდა და დაკითხვას დაიწყებდნენ. თუ პასუხს ვერ მიიღებდნენ, მსჯავრდადებულებს ცეცხლს გაუხსნიდნენ. ლევს მხოლოდ იმის იმედი უნდა ჰქონოდა, რომ რომელიმე პატიმარს ჭკუა ეყოფოდა და სიმართლეს დაუყოვნებლივ იტყოდა. მაგრამ, რომც ეღიარებინათ, ეს სულაც არ იძლეოდა იმის გარანტიას, რომ სხვა პატიმრებისთვის ჭკუის სწავლების მიზნით მთელ ვაგონს არ დახვრეტდნენ.

დევნას ლიანდაგების გასწვრივ დაიწყებდნენ. თან ძაღლებსაც წამოიყვანდნენ. ყოველ შემადგენლობაში ჰყავდათ რამდენიმე კარგად გაწვრთნილი ნაგაზი, რომლებსაც ადამიანებზე გაცილებით უკეთეს პიროებებში ამყოფებდნენ. თუკი მანძილი იმ ადგილებს შორის, სადაც გაქცევა

მოხდა და საიდანაც დევნა დაიწყო, საკმაოდ დიდი იქნებოდა, კვალის აღება ძაღლებსაც კი გაუჭირდებოდათ. იმის გათვალისწინებით, რომ თითქმის მთელი დღე არ შეუსვენიათ, მდევრები კი არ ჩანდნენ, ლევმა დაასკვნა, რომ სწორედ ასე მოხდა. ეს ნიშნავდა, რომ დაცვა ამ დასანანი ინციდენტის შესახებ მოსკოვს შეატყობინებდა. ძებნის ზონა გაფართოვდებოდა. საქმეში სატვირთო და მსუბუქ ავტომობილებსაც გამოიყენებდნენ, რაიონს, რომელშიც, სავარაუდოდ, ისინი იმყოფებოდნენ, სექტორებად დაყოფდნენ. ნადირობაში თვითმფრინავებსაც ჩართავდნენ. ძებნას ადგილობრივი მილიციის განყოფილებები და სამხედრო გარნიზონებიც შეუერთდებოდნენ, მათ MI 6 და შსს უხელმძღვანელებდნენ. ყველა შეეცდებოდა თავის გამოჩენას. მათი დაჭერისთვის ფულად ჯილდოსა და პრემიას დააწესებდნენ, ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს შეუზღუდავად გამოიყენებდნენ. ლევმა კარგად იცოდა, ეს როგორც ხდებოდა. თვითონაც არაერთხელ მიეღო მონაწილეობა ადამიანებზე ნადირობაში და კარგად იცნობდა მსგავსი ოპერაციების სტრუქტურას, სწორედ ეს იყო მათი ერთადერთი უპირატესობა. ჯერ კიდევ შინსახკომში ასწავლეს, თუ როგორ უნდა გადაერჩინა თავი მტრის ზურგში, ფრონტის ხაზს მიღმა. ახლა კი ეს ხაზი მისი საკუთარი ქვეყნის საზღვრად ქცეულიყო. ძებნის მასშტაბი მდევართა მოქმედებასა და მართვას გაართულებდა. ძებნა დიდ ტერიტორიაზე გაიმართებოდა, რაც ეფექტიანობას შეამცირებდა.

ლევს ყველაზე მეტად იმის იმედი ჰქონდა, რომ საძიებო ოპერაციას სულ სხვა ადგილას დაიწყებდნენ. ლოგიკის მიხედვით, მდევრებს უნდა ევარაუდათ, რომ ლევი და რაისა უახლოესი საზღვრისკენ, ანუ ბალტიის ზღვის სანაპიროსკენ დაიძვრებოდნენ, რათა თავი ფინეთისთვის შეეფარებინათ. ქვეყნის დატოვება ყველაზე ადვილად ნავით შეიძლებოდა. მაგრამ ისინი სამხრეთისკენ, რუსეთის შუაგულისკენ, როსტოვისკენ მიემართებოდნენ. აქედან ვერსად გაიქცეოდნენ და, ადრე თუ გვიან, მათ აუცილებლად დაიჭერდნენ.

წყალში ისე სწრაფად ვეღარ მიდიოდნენ, როგორც ხმელეთზე. ხშირად ბორძიკობდნენ და ეცემოდნენ, წამოდგომა კი სულ უფრო უჭირდათ. მოზღვავებული ადრენალინიც კი აღარ შველოდათ. ყველანაირად გაურბოდნენ საკუთარ ახლანდელ მდგომარეობაზე საუბარს - გრძნობდნენ, რომ დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დარჩენოდათ და გეგმების დაწყობას აზრი არ ჰქონდა. ლევის აზრით, მოსკოვის აღმოსავლეთით დაახლოებით ორას კილომეტრში იმყოფებოდნენ. მატარებლით თითქმის ორი დღე-ღა-

მე იარეს და ვლადიმირის სიახლოვეს იქნებოდნენ. თუ სწორად ანგარიშობდა, ახლა რიაზანისკენ მიემართებოდნენ. ჩვეულებრივ ვითარებაში აქედან როსტოვამდე მანქანით ან მატარებლით ერთ საათში ჩააღწევდნენ, მაგრამ მათ არც საჭმელ-სასმელი ჰქონდათ და არც ფული, ჭრილობები აწუხებდათ და ჭუჭყიანი ძონძები ეცვათ, თანაც სახელმწიფო უშიშროების ადგილობრივი თუ ცენტრალური ორგანოს ყველა ოპერმუშაკი მათ ეძებდა.

ლევი და რაისა შეჩერდნენ. წინ, მდინარის ორივე მხარეს, პატარა სოფელი, რომელიღაც კოლმეურნეობა განფენილიყო. წყლიდან რომ ამოვიდნენ, განაპირა სახლებიდან ხუთასი მეტრი აცილებდათ. უკვე გვიან იყო, ბინდდებოდა. ლევმა თქვა: - ზოგიერთი მოსახლე, ალბათ, ჯერაც ბოსტანში ან ეზოში მუშაობს. შეგვიძლია, მათ სახლში შევიპაროთ და საჭმელი და ტანსაცმელი მოვიპაროთ.

- ქურდობას აპირებ?

- აბა, ფული ჩვენ არა გვაქვს. თუ შეგვამჩნევენ, ხელისუფლებას ჩაგვაბარებენ. გაქცეული პატიმრების თავის სანაცვლოდ ჯილდოს აწესებენ ხოლმე, რაც გაცილებით აღემატება იმ თანხას, რომელსაც ისინი წლის განმავლობაში გამოიმუშავებენ.

– ლევ, შენ ძალიან დიდხანს მუშაობდი ლუბიანკაზე. ეს ხალხი სახელმწიფოს სიყვარულით ნამდვილად არ იწვის.

- სამაგიეროდ, სხვების მსგავსად ფული სჭირდებათ. ისინიც ხომ მხოლოდ თავის გადარჩენაზე ზრუნავენ.

- ჩვენ კიდევ ასეულობით კილომეტრი გვაქვს გასავლელი. გაიგე, რომ ამას მარტონი ვერ შევძლებთ. არც მეგობრები გვყავს, არც ფული გვაქვს, საერთოდ, არაფერი გვაქვს. უცნობი ადამიანები უნდა დავარწმუნოთ, რომ დაგვეხმარონ, ჩვენი საქმის სიმართლეში დავარწმუნოთ.

ეს ერთადერთი საშუალებაა. ერთადერთი შანსი. ჩვენი ერთადერთი იმედი.

- შეიგნე, რომ დევნილები ვართ, სახელმწიფო დამნაშავეები. ჩვენი დაფარვისთვის დახვრეტა ემუქრებათ. ერთ ადამიანს კი არა, რომელიც დაგვეხმარება, მთელ სოფელს. მათ უყოყმანოდ მიუსჯიან ოცდახუთ-ოცდახუთ წელს და დიდიან-პატარიანად ჩრდილოეთის ბანაკებში გაამწესებენ.

- სწორედ ამიტომაც დაგვეხმარებიან. შენ ამ ქვეყნის მოსახლეობის რწმენა დაკარგე, რადგან გარშემო ის ხალხი გეხვია, ვინც ძალაუფლებას

ფლობდა. სახელმწიფოსა და ამ სოფლებს კი საერთო არაფერი აქვთ. სახელმწიფოს არ ესმის მათი და არც აინტერესებს ისინი.

- ქალაქელი დისიდენტივით მსჯელობ, რაისა. რეალური ცხოვრება სულ სხვაა. გიჟები იქნებიან, თუ დაგვეხმარებიან.

- რა ცუდი მეხსიერება გქონია, ლევ. ნუთუ დაგავიწყდა, როგორ მოვახერხეთ გაქცევა?

პატიმრებს სიმართლე ვუთხარით. და ისინიც დაგვეხმარნენ. ყველა დაგვეხმარა, რამდენიმე ასეული ადამიანი, სწორედ იმდენი, რამდენიც, ალბათ, ამ სოფელში ცხოვრობს. ჩვენს ვაგონში მყოფთ აუცილებლად ემუქრება საერთო სასჯელი იმის გამო, რომ დაცვა არ გააფრთხილეს.

მიპასუხე, რატომ მოიქცნენ ასე? ასეთი რა შესთავაზე მათ?

ლევს არაფერი უთქვამს, რაისა კი განაგრძობდა: - თუ ამ ადამიანებს გავქურდავთ, ისინი ჩვენი მტრები გახდებიან, არადა, სინამდვილეში მეგობრები ვართ.

- გამოდის, ამაყად თავაწეულები უნდა შევიდეთ სიფელში, მთავარ მოედანზე დავდგეთ და ყველას ისე მივესალმოთ, თითქოს მათი ოჯახის წევრები ვიყოთ?

- სწორედ ასე უნდა მოვიქცეთ.

ისინი ერთად გაუყვნენ სოფლის გზას. კაცი იფიქრებდა, სამუშაოდან ბრუნდებიან და აქ ყოფნის სრული უფლება აქვთო. მათ მაშინვე მამაკაცები, ქალები და ბავშვები შემოეხვივნენ.

აქ სახლებს ხისა და თიხისგან აშენებდნენ, სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობა ჯერ კიდევ ორმოცდახუთი წლის წინ დასძველებოდათ. მათ მხოლოდ ერთი რამ მოეთხოვებოდათ - გაქცეულების ხელისუფლებისთვის ჩაბარება და ამის სანაცვლოდ გულუხვი ანაზღაურების მიღება. აბა, ამაზე უარი როგორ ეთქვათ? მათ ხომ არაფერი გააჩნდათ.

რაისამ გარშემო მყოფთა მტრულ სახეებს თვალი შეავლო და დაიწყო: - ჩვენ პატიმრები ვართ. მატარებლიდან გამოვიქეცით, რომლითაც ბანაკში მივყავდით, სადაც სიკვდილი გველოდა. ახლა მოგვდევენ. თქვენი დახმარება გვჭირდება, მაგრამ ამას ჩვენთვის არ გთხოვთ. უკვე შევეგუეთ იმას, რომ, ადრე თუ გვიან, დაგვიჭერენ და დაგვხოცავენ, მაგრამ მანამდე ერთი საქმე უნდა დავასრულოთ. ნება მოგვეცით, აგიხსნათ, რატომ გთხოვთ დახმარებას. თუ ჩვენი ნათქვამი არ მოგეწონებათ, როგორც მოისურვებთ, ისე მოიქეცით.

ხალხს ორმოც წელს გადაცილებული მამაკაცი გამოეყო. სახეზე ეტყობოდა, უბრალო გლეხი არ უნდა ყოფილიყო.

- როგორც კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ვალდებული ვარ, გითხრათ, რომ ჩვენთვის აჯობებს, მათ შესახებ ხელისუფლებას შევატყობინოთ.

რაისამ შეკრებილებს გადახედა. ნუთუ შეცდა? ნუთუ სახელმწიფომ მოახერხა და ყველა სოფელში ჩანერგა ინფორმატორები და დამსმენები? ამ დროს სხვა კაცის ხმა გაისმა: - ჯილდოს რას უპირებ? იმასაც ხელისუფლებას გადასცემ?

ხალხს გაეცინა. თავმჯდომარე გაწითლდა და მოიდუშა. რაისას გულზე მოეშვა, მიხვდა, რომ ეს კაცი სასაცილო ტიპი იყო, მარიონეტი, და რეალურ ძალაუფლებას არ ფლობდა. უკანა რიგებიდან ხანდაზმულმა ქალმა დაიძახა: - საჭმელი აჭამეთ.

მსჯელობა მაშინვე შეწყდა, გეგონებოდათ, ორაკულმა თავისი გადაწყვეტილება გამოაცხადაო.

ისინი ყველაზე დიდ ქოხში მიიწვიეს, მოზრდილ ოთახში შეიყვანეს, სადაც საჭმელს ამზადებდნენ, და წყალი შესთავაზეს. ღუმელში ცეცხლი ენთო. იქაურობა ხალხით გაივსო.

ბავშვები იატაკზე დასხდნენ, რათა უფროსებისთვის ხელი არ შეეშალათ, და ისე მიაჩერდნენ ლევსა და რაისას, როგორც ქალაქელი გოგობიჭები ათვალიერებენ ხოლმე ზოოპარკში ეგზოტიკურ ცხოველებს. მეზობელი სახლიდან ახალგამომცხვარი ცხელი პური მოიტანეს. სანამ სტუმრები ჭამდნენ, მათი სამოსი ცეცხლთან შრებოდა. ერთ-ერთმა მამაკაცმა მოუბოდიშა, რომ მათთვის ახალი ტანსაცმელი არ ჰქონდათ. მოულოდნელი გულუხვობისგან დაბნეულმა ლევმა პასუხად მხოლოდ თავის დაქნევა მოახერხა. ამ ადამიანებისთვის მას მხოლოდ თავისი მონათხრობის შეთავაზება შეეძლო. მან ჭამა დაასრულა, წყალი მოსვა და წამოდგა.

რაისა შეკრებილი მამაკაცების, ქალებისა და ბავშვების სახის გამომეტყველებას აკვირდებოდა. ლევმა თხრობა მოსკოველი ბიჭუნას, არკადის მკვლელობით დაიწყო, რომლის საქმის მიჩქმალვაც მას დაავალეს. არ დაუმალავს, როგორ შერცხვა, როდესაც ბავშვის ოჯახს არწმუნებდა, ეს უბედური შემთხვევაა და მეტი არაფერიო. შემდეგ ის გაიხსენა, როგორ გამოაგდეს VII 5-დან და ვოლსკში გადაიყვანეს. მკაფიოდ აღწერა საკუთარი გაოცება, როდესაც კიდევ ერთი მოკლული ბავშვი იპოვა, ერთი ერთზე რომ ჰგავდა წინა შემთხვევას. შემდეგ განაცხადა, რომ ვიღაც მსგავს

მკვლელობებს მთელ ქვეყანაში სისტემატურად სჩადიოდა. ამის გაგონებაზე ყველამ ისე ერთხმად შეჰყვირა, თითქოს ფოკუსი უჩვენესო. ლევმა ისინი გააფრთხილა, კიდევ რის მოყოლას აპირებდა. ამის გაგონებაზე ზოგმა მშობელმა საკუთარი შვილები იქაურობას სასწრაფოდ მოაცილა.

ლევს ჯერ თხრობა არ დაესრულებინა, მსმენელები კი უკვე ვარაუდს გამოთქვამდნენ, თუ ვის ეკისრებოდა პასუხისმგებლობა ამ ყველაფერზე. ყველა იმ აზრზე იდგა, რომ თუ კაცს ოჯახი ჰყავდა და სამუშაოც ჰქონდა, მსგავსს არაფერს ჩაიდენდა. მამაკაცებს უჭირდათ იმის დაჯერება, რომ მკვლელისთვის ჯერაც ვერ მიეგნოთ. ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ თვალებში ჩახედვისთანავე ამოიცნობდნენ დამნაშავეს. ლევმა დარბაზი მოათვალიერა და მიხვდა, რომ აქაურები სამყაროს სხვაგვარად აღიქვამდნენ. მან ბოდიში მოიხადა იმ რეალობის დახატვის გამო, რომელშიც ასეთი მკვლელის არსებობა ჩვეულებრივ ამბად მიიჩნეოდა. თუმცა მათი გამხნევებაც სცადა და მოკლედ უამბო იმის შესახებ, რომ, მისი აზრით, მკვლელი რკინიგზით გადაადგილდებოდა და დიდ ქალაქებში ჩერდებოდა. ბავშვებს კი იმიტომ ხოცავდა, რომ ეს ჩვეულებად გადაჰქცეოდა. მაგრამ ეს ჩვეულება მას ამ პატარა სოფელში ვერ მოიყვანდა.

მიუხედავად ამ განცხადებისა, რაისას ეჭვი ეპარებოდა, რომ ეს ხალხი მომავალშიც ასეთივე მიმნდობი და მეგობრული იქნებოდა უცნობების მიმართ. უწილადებდნენ კი საჭმელ-სასმელს მორიგ მგზავრს? თუ შეეშინდებოდათ, რომ მათ სოფელში ბოროტებას არ შემოეღწია?

აუდიტორიამ ლევის მონათხრობის საფასური საკუთარი უმანკოებით გადაიხადა. აქაურებს მკვლელობა და ძალადობა, ცხადია, ადრეც ენახათ, მაგრამ რას წარმოიდგენდნენ, თუ ბავშვის მკვლელობა ვინმეს სიამოვნებას ანიჭებდა.

გარეთ ჩამობნელდა, ლევი კი უკვე ერთი საათის განმავლობაში ლაპარაკობდა. თხრობის დასრულებას აღარაფერი აკლდა, როდესაც ქოხში ბავშვი შემოვარდა.

- ჩრდილოეთის ბორცვებზე სინათლე დავინახე. სატვირთო მანქანების ფარებია. ჩვენკენ მოემართებიან.

ყველანი მაშინვე წამოდგნენ. მათი სახის გამომეტყველების მიხედვით ლევი მიხვდა, რომ ეს კოლმეურნეობის მანქანები არ იყო.

- რა დრო გვაქვს? - იკითხა მან.

ამ შეკითხვით ლევმა, მისდა უნებურად, საკუთარი თავი მათთან გააიგივა, დაასკვნა, რომ საერთო მიზანი ამოძრავებდათ, თუმცა, შესაძლოა,

ცდებოდა კიდეც. აქაურებს შეეძლოთ ისინი ხელისუფლებისთვის გადაეცათ და სანაცვლოდ დაპირებული ჯილდო მიეღოთ, მაგრამ მოეჩვენა, რომ მსგავსი აზრი მხოლოდ მას მოუვიდა თავში. თავმჯდომარემაც კი მხარი დაუჭირა მათი დახმარების საერთო გადაწყვეტილებას.

ზოგი გარეთ გავიდა, რათა ყველაფერი საკუთარი თვალით ეხილა. დარჩენილებმა ბიჭს შეკითხვები დააყარეს.

– რომელ ბორცვზე?

- რამდენი მანქანაა?

- როდის დაინახე?

ბორცვზე სამი სატვირთო მანქანა და, შესაბამისად, სამი წყვილი ანთებული ფარი მოჩანდა.

ბიჭს ისინი მამამისის ბოსტნიდან დაენახა. ჩრდილოეთიდან მოდიოდნენ და სოფელს ორიოდე კილომეტრიც არ აშორებდათ. რამდენიმე წუთის შემდეგ აქ იქნებოდნენ.

გლეხების ქოხებში ვერსად დაიმალებოდნენ - აქაურებს არც ავეჯი გააჩნდათ, არც რაიმე ქონება. არადა, ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ყველაფერს საგულდაგულოდ გაჩხრეკდნენ და ნებისმიერ სამალავს აუცილებლად აღმოაჩენდნენ. საქმე ხომ სახელმწიფო დაცვის პროფესიულ ღირსებას შეეხებოდა. რაისამ ლევს ხელზე ხელი მოუჭირა: - გავიქცეთ! ისინი ჯერ სოფელს გადააქოთებენ. თუ აქაურები ეტყვიან, რომ აქ არ ვყოფილვართ, საკმაოდ შორს მოვასწრებთ გაქცევას და იქნებ ტყემდეც მივაღწიოთ. ამაში სიბნელეც დაგვეხმარება.

მაგრამ ლევმა უარის ნიშნად თავი გადააქნია. გრძნობდა, რომ მუცელში ყინულის ნატეხი გაუჩნდა. უეცრად ანატოლი ბროდსკი გაახსენდა. აი, თურმე რა იგრძნო მან, როდესაც უკან მოიხედა და ბორცვის თავზე ლევს მოჰკრა თვალი, შემდეგ კი მიხვდა, რომ მდევარი უახლოვდებოდა. თვალწინ წარმოუდგა, როგორ გაირინდა იგი წამით და გააცნობიერა, რომ მაინც დაეწივნენ. იმ დღეს იგი გაიქცა, მაგრამ ამათ ვერსად გაექცეოდა. ესენი დასვენებული, ადამიანებზე ნადირობაში გაწვრთნილი ჯარისკაცები იყვნენ, რომლებსაც სპეციალური აღჭურვილობა ჰქონდათ: შორსსასროლი შაშხანები, ოპტიკური სამიზნეები, მანათობელი რაკეტები და დაგეშილი ძაღლები.

ლევი მიუბრუნდა ბიჭს, რომელმაც პირველმა შეამჩნია მოახლოებული სატვირთო მანქანები.

- შენი დახმარება მჭირდება.

იგივე დღე ბიჭი ნერვიულობდა, ხელები უცახცახებდა. იგი ჩამოწოლილ წყვდიადში შუა გზაში ჩაცუცქდა და ტომრიდან გადმოყრილი მარცვლეულის შეგროვებას შეუდგა. უკვე ესმოდა სატვირთო მანქანების ძრავების ღმუილი და დატკეპნილ მიწაზე საბურავების ხმაური - მათ შორის ორასიოდე მეტრი რჩებოდა. ისინი სწრაფად უახლოვდებოდნენ. ბიჭმა თვალები დახუყა. იმედი ჰქონდა, რომ შეამჩნევდნენ. ვაითუ, ძალიან სწრაფად მოდიოდნენ და დროულად დამუხრუყება ვერ მოესწროთ? მუხრუჭების ღრჭიალი მოესმა. თვალი გაახილა და მაშინვე თავი მიაბრუნა, რადგან ძლიერმა შუქმა კინაღამ დააბრმავა. ბიჭმა ხელები ასწია. მანქანები შეჩერდნენ.

მოწინავის ბამპერი მას თითქმის ტანზე ეხებოდა. კაბინის კარი გაიღო და იქიდან ჯარისკაცმა დაიყვირა: - აქ რა ჯანდაბას აკეთებ?

– ტომარა გამეხა.

- აქედან დაიკარგე!

- მამაჩემი მომკლავს, ერთი მარცვალიც რომ დამაკლდეს.

- მე კი ახლავე მოგკლავ, თუ უკანმოუხედავად არ მოუსვამ!

ბიჭმა არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ბოლოს მაინც მარცვლეულის შეგროვება განაგრძო.

უეცრად მკაფიოდ გაიგონა ლითონის გატკაცუნება: შაშხანის ხმა ხომ არ იყო? მას არასდროს ენახა ცეცხლსასროლი იარაღი და არ იცოდა, როგორ ხმას გამოსცემდა. პანიკამ მოიცვა, მაგრამ კვლავ აჩქარებით განაგრძობდა ტომარაში მარცვლეულის ჩაყრას. ნუთუ ჯარისკაცები სროლას გაბედავდნენ? ის ხომ ჩვეულებრივი ბიჭი იყო, რომელიც მამის გამოტანებულ მარცვლეულს აგროვებდა. შემდეგ უცნობის მონათხრობი გაახსენდა ბავშვების მკვლელობის შესახებ. იქნებ ეს ჯარისკაცებიც ასეთები იყვნენ? მან ბოლო მუჭი ხორბალიც ჩაყარა ტომარაში, წამოხტა და სოფლისკენ გაიქცა. სატვირთო მანქანებიც დაიძრნენ. ისინი მას კლაქსონების ჭყვიტინით მისდევდნენ და აიძულებდნენ, უფრო სწრაფად გაქცეულიყო. ბიჭს ესმოდა, როგორ ხარხარებდნენ ჯარისკაცები, და თავქუდმოგლეჯით გარბოდა.

ლევი და რაისა იქ დაიმალნენ, სადაც, მათი აზრით, ჯარისკაცები ძებნას არ დაუწყებდნენ - სატვირთო მანქანების ქვეშ. სანამ ბიჭს სამხედროების ყურადღება სხვა რამეზე გადაჰქონდა, ლევი მეორე მანქანის ბორბლებს შორის შეძვრა, რაისა კი - მესამის. ვინაიდან არ იცოდნენ, რამდენ ხანს მოუწევდათ ასე ყოფნა, - შესაძლოა, მთელი საათიც კი, -

ლევმა ტკივილის შესამცირებლად ხელისგულებზე პერანგის ნაჭრები თვითონაც შემოიხვია და ცოლსაც მისცა.

კოლონა გაჩერდა თუ არა, ლევმა ფეხი წამყვანი ღერძის ნახევარ-ღერძზე შემოდო. ახლა სახე ლამის მანქანის ხის ძარაზე მიედო. როდესაც მიწაზე ჩამოხტომამდე ჯარისკაცები მასზე დააბიჯებდნენ, ფიცრები იზნიქებოდა. თავისი ფეხსაცმლის ჭვინტების ზემოდან ლევმა დაინახა, როგორ ჩაიცუცქა ერთი ჯარისკაცი გახსნილი ზონრის შესაკრავად. საკმარისი იყო, თავი მოებრუნებინა და, ყველაფერი დასრულდებოდა. მაგრამ ჯარისკაცი წამოდგა და ამხანაგებთან ერთად აჩქარებით გაემართა ერთ-ერთი სახლისკენ. ლევი გადარჩა. იგი ოდნავ შებრუნდა, რათა მესამე მანქანა დაენახა.

რაისა შიშს შეეპყრო, თუმცა მაინც ბრაზობდა. მართალია, ლევმა კარგი გეგმა მოიფიქრა, - უკეთესი თვითონაც არ მოუვიდოდა თავში, - მაგრამ წარმატება მთლიანად იმაზე იყო დამოკიდებული, გაძლებდა თუ არა იგი ასეთ მდგომარეობაში. მას ხომ სპეციალური მომზადება არ გაუვლია: არც წლების განმავლობაში უვარჯიშია, არც თხრილებში უხოხავს და არც კედლებზე გადაძრომა უსწავლია. არც ხელის კუნთები ჰქონდა ისე განვითარებული, რომ მანქანის ქვეშ ჩამოკიდებულს დიდხანს გაეძლო. უკვე საშინლად სტკიოდა წინამხრები. ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა მოეთმინა თუნდაც ერთი წუთი, საათზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

მაგრამ ვერც იმას შეეგუებოდა, თუ საკუთარი უღონობისა და სისუსტის გამო ტყვედ ჩავარდებოდა.

ტკივილისა და სასოწარკვეთილებისგან ლამის ატირებული რაისა მიხვდა, რომ მეტს ვეღარ გაძლებდა. ცოტა ხნით მაინც უნდა დაშვებულიყო მიწაზე და ხელები დაესვენებინა, მაგრამ დასვენების შემდეგაც კი ვერ ჩამოეკიდებოდა ერთ-ორ წუთზე მეტს, თანდათანობით კი ამასაც ვეღარ შეძლებდა. საჩქაროდ რამე უნდა მოეფიქრებინა, რათა მხოლოდ ღონის იმედი არ ჰქონოდა. აჰა, ლევის პერანგის ნაჭრები უნდა აეღო და მაჯები ხიდის ნახევარღერძზე მიება, მაგრამ ეს მანამ გამოადგებოდა, სანამ სატვირთო მანქანა არ ამოძრავდებოდა. ნებისმიერ შემთხვევაში, რამდენიმე წუთი მიწაზე, ბორბლებს შორის უნდა გაწოლილიყო მაჯების მისაბმელად. ამ დროს კი მისი შემჩნევა შეეძლოთ. რაისამ მიიხედ-მოიხედა, რათა ჯარისკაცების ადგილსამყოფელი გაერკვია. მძღოლი კაბინის გვერდით იდგა და მანქანას იცავდა. ქალი მის ჩექმებსაც ხედავდა და მისი სიგარეტის სუნსაც გრძნობდა. ეს ხელს აძლევდა კიდეც - არავინ იეჭ-

ვებდა, რომ მანქანის ქვეშ ვინმე იწვა. რაისამ ნელა და ფრთხილად დაუშვა ფეხები მიწაზე, ცდილობდა, არ ეხმაურა. მძღოლის ყურადღებას უმცირესი ჩქამიც კი მიიპყრობდა. მან ქსოვილი ხელისგულზე გაშალა და ღერძზე მარცხენა მაჯა მიიბა, შემდეგ მარჯვენაზე გადაერთო, თანაც ეს მარცხენა ხელით უნდა გაეკეთებინა. საქმეს რომ მორჩა, საკუთარი თავით კმაყოფილი ღერძზე ფეხის შემოდებას აპირებდა, როდესაც ჩუმი ღრენა მოესმა. გაიხედა და ძაღლის თვალებს წააწყდა.

ლევმა დაინახა, რომ მესამე სატვირთო მანქანის გვერდით ჯარისკაცი იდგა რამდენიმე ძაღლთან ერთად. იგი რაისას ვერ ხედავდა, ნაგაზებს კი სუნი ეკრათ, მოჰკრა კიდეც ყური მათ უკმაყოფილო ხმაურს. ცოლს ვერაფრით დაეხმარებოდა. თავი მიაბრუნა და მოულოდნელად ბიჭი შეამჩნია, სწორედ ის, მათ რომ გზაზე დაეხმარა. ბავშვი ინტერესით შეჰყურებდა იმას, რაც მისი სახლის ფანჯრებთან ხდებოდა. ლევი მიწაზე დაეშვა, რათა უკეთ დაენახა. ჯარისკაცი თავის ძაღლებთან ერთად უკვე წასვლას აპირებდა, მაგრამ ერთი ნაგაზი აშკარად ვერ ისვენებდა. როგორც ჩანს, რაისა დაინახა. ლევი ბიჭისკენ მიტრიალდა. მას კვლავ სჭირდებოდა მისი დახმარება. ხელით ანიშნა ძაღლებზე. ბიჭი მაშინვე გამოვარდა სახლიდან. ლევი უყურებდა და აღფრთოვანებას ვერ მალავდა ბიჭის თავდაჯერებულობის გამო, რომელიც უშიშრად მიუახლოვდა ძაღლებს. მათაც ყურადღება მაშინვე მასზე გადაიტანეს და ყეფა აუტეხეს. ჯარისკაცმა შესძახა: - აბა, ახლავე შინისკენ მოუსვი!

მაგრამ ბიჭმა ხელი ისე გაიწვდინა, თითქოს ერთ-ერთი ნაგაზისთვის თავზე ხელის გადასმას აპირებდა. ჯარისკაცს გაეცინა: - ფრთხილად, ხელი არ მოგაჭამოს.

შეშინებულმა ბიჭმა უკან დაიხია. ჯარისკაცმა ძაღლები წაიყვანა, ბიჭს კი კვლავ გაუმეორა, რომ შინ წასულიყო. ლევი ხელებზე აიწია და მანქანის ძარას მიეკრა. ამ ბიჭმა მათ სიცოცხლე შეუნარჩუნა.

რაისამ არ იცოდა, რამდენ ხანს ეკიდა ასე მანქანის ქვეშ. დრო საშინლად გაიწელა. ესმოდა, როგორ ჩხრეკდნენ ჯარისკაცები გლეხების ქოხებს: ავეჯს აყირავებდნენ, არც ჯამ-ყურჭელს უფრთხილდებოდნენ. შემდეგ ძაღლების ყეფა და სასიგნალო შუშხუნების შიშინი გაიგონა - ჯარისკაცები თავიანთ მანქანებთან ბრუნდებოდნენ. მათ ნაგაზები ძარაზე აახტუნეს და თვითონაც უკან მიჰყვნენ. აშკარად წასასვლელად ემზადებოდნენ.

რაისას აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა. მათმა გეგმამ გაამართლა. უეცრად ძრავების ღმუილი გაისმა. ხიდის ნახევარღერძი შეინძრა. რამდენიმე წამის შემდეგ ტრიალსაც დაიწყებდა, რაისა კი კვლავინდებურად ზედ იყო მიბმული. საჩქაროდ უნდა გაეთავისუფლებინა თავი, მაგრამ მაჯებით მიბმული, ნაჭრის შეხსნას ვერ ახერხებდა - ხელები დაჰბუჟებოდა, თითებს მგრძნობელობა დაეკარგა. გააფთრებით ცდილობდა გადარჩენას.

მანქანაში უკანასკნელი ჯარისკაცებიც აძვრნენ. სოფლის მოსახლეობა მოშორებით შეჯგუფებულიყო. რაისას კი არაფერი გამოსდიოდა. იგი გაიჭიმა, თითის წვერებით ძარას მიაწვა და ნაჭერს კბილებით ჩააფრინდა. კვანძი, როგორც იქნა, გაიხსნა, ქალი მიწაზე ზურგით დაეცა და ყრუ ხმა გამოსცა, რაც ძრავების ღმუილმა ჩაახშო. სატვირთო მანქანა წინ წავიდა, რაისა კი შუა გზაზე დარჩა. მას სახლების ფანჯრებიდან გამოსული სუსტი შუქი ეცემოდა და სატვირთო მანქანის უკანა ნაწილში მსხდომი ჯარისკაცები საცაა დაინახავდნენ კიდეც ქალს, რომელსაც განძრევის თავიც აღარ ჰქონდა.

ამ დროს შეჯგუფებული სოფლელები შეწყობილად დაიძრნენ წინ და რაისას შემოერტყნენ.

ახლა ჯარისკაცები უჩვეულოს ვეღარაფერს დაინახავდნენ. რაისა ხალხში ჩაკარგულიყო.

ის კი კვლავაც გზაზე იწვა და ელოდა. ბოლოს რომელიდაც კაცმა ხელი გაუწოდა და წამოდგომაში მიეხმარა. ლევი არსად ჩანდა. როგორც ჩანს, მან არ გარისკა, რათა ბოლო მანქანის მძღოლს არ შეემჩნია. ის, ალბათ, მოსახვევში შესვლას დაელოდებოდა. რაისა მის გამო არ წუხდა. ლევმა იცოდა, რასაც აკეთებდა. ყველანი დუმდნენ. ხმას არავინ იღებდა.

რაისამ იმ ბიჭს ჩაჰკიდა ხელი, რომელიც მათ დაეხმარა. მალე სირბილით მომავალი კაცის ფეხის ხმა მოესმათ.

მოსკოვი იგივე დღე მიუხედავად იმისა, რომ გაქცეულებს ასობით ჯარისკაცი და აგენტი ეძებდა, ვასილის ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მათ ვერ მიაგნებდნენ. მართალია, სახელმწიფო ამისთვის საჭირო ყველა ბერკეტს ფლობდა, მაგრამ ამჯერად იმ კაცთან ჰქონდათ საქმე, რომელსაც მტრის ტერიტორიაზე ფარულად მოქმედება და თავის გადარჩენა ბრწყინვალედ შეესწავლა. ზოგი ფიქრობდა, რომ ლევსა და რაისას ვიღაც დაეხმარა: ან მოღალატე მცველები, ან მათთვის უცნობი პირები, რომლებიც მათ რკინიგზის ხაზზე წინასწარ დათქმულ ადგილას დახვდნენ და გაქცევა მოა-

წყვეს. მაგრამ ამ ვარაუდს ლევთან ერთად ვაგონში მყოფი პატიმრების ჩვენება ეწინააღმდეგებოდა. წამების დროს მათ თქვეს, რომ ლევი და რაისა თვითონ, სხვების დაუხმარებლად გაიქცნენ. მცველებს ეს ინფორმაცია სულაც არ მოსწონებიათ, რადგან ეს მათ ქმედებას ჩრდილს აყენებდა. ჯერჯერობით, ძებნა, ძირითადად, სკანდინავიის საზღვრის, ბალტიის ზღვის ჩრდილოეთი სანაპიროს მიმართულებით მიმდინარეობდა. თავისთავად იგულისხმებოდა, რომ ლევი საზღვრის გადაკვეთას - სავარაუდოდ, მეთევზის ნავით - და მეზობელ ქვეყანაში გადასვლას შეეცდებოდა. იქ კი მაშინვე დაუკავშირდებოდა სხვადასხვა სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირებს, რომლებიც სიამოვნებით შესთავაზებდნენ პოლიტიკურ თავშესაფარს მის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სანაცვლოდ. სწორედ ამ მიზეზის გამო იქცა მათი მოძებნა უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო საქმედ. ლევს საბჭოთა რუსეთისთვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენება შეეძლო.

ვასილიმ მაშინვე უარყო აზრი იმის შესახებ, რომ ლევს გაქცევაში ვიღაც ეხმარებოდა.

არავინ იცოდა, რომელი მატარებლით წაიყვანდნენ პატიმრებს. ისინი გულაგში მიმავალ შემადგენლობაში უკანასკნელ წუთს, ნაჩქარევად და თვითნებურად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ჩასხეს. მან ეს საჭირო დოკუმენტებისა და პროცედურების გარეშე გაახერხა. ასე რომ, ერთადერთი ადამიანი, ვისაც მათი გაქცევის ორგანიზება შეეძლო, თვითონ იყო. ეს ნიშნავდა, რომ არსებობდა შანსი, თუნდაც მცირედი, მისთვის ბრალის წაყენებისა. ასეთ შემთხვევაში ლევს მისი საბოლოოდ განადგურება შეეძლო.

ჯერჯერობით, ვერც ერთ ჯგუფს ვერ მიეგნო გაქცეულების კვალისთვის. ქვეყნის ამ ნაწილში ლევსა და რაისას მეგობრები ან ნათესავები არ ჰყავდათ. ისინი სრულიად მარტო დარჩენილიყვნენ - ტანსაცმელი ჩამოსძენძოდათ, ჯიბეში კაპიკი არ მოეძევებოდათ. ვასილის გაახსენდა, რომ ბოლო საუბრის დროს ლევს თავისი სახელიც არ ახსოვდა. ახლა კი, როგორც ჩანს, გონზე მოსულიყო. ვასილის აუცილებლად უნდა დაედგინა, საით აეღო გეზი ლევს: ასე გაცილებით გაიოლდებოდა მისი დაჭერა, ვიდრე ალალბედზე ნახევარი ქვეყნის გადაქოთებით.

ვასილის ერთხელ უკვე განეცადა მარცხი საკუთარი ძმის დაკავებაში და თუ ლევსაც ვერ შეიპყრობდა, ამას აღარ აპატიებდნენ.

ვასილის არ სჯეროდა, რომ ლევი საზღვარგარეთ აპირებდა გაქცევას. მაგრამ დაბრუნდებოდა კი მოსკოვში? მართალია, აქ მისი მშობლები ცხოვრობდნენ, მაგრამ ისინი მას ვერ დაეხმარებოდნენ. პირიქით, სიცოცხლესაც გამოესალმებოდნენ, თუ ლევი მათთან მისვლას გაბედავდა. სტეპანსა და ანას ოცდაოთხი საათის განმავლობაში უთვალთვალებდნენ. მაგრამ იქნებ შურისძიება მოენდომებინა და ვასილისთან მოსულიყო ანგარიშის გასასწორებლად? ამ აზრმა სიამოვნება მოჰგვარა, ცოტა ხნით გაიტაცა კიდეც, მაგრამ მალევე უკუაგდო იგი. მისდამი ლევის სიძულვილში პირადული არაფერი იყო და უბრალო შურისძიების გამო იგი ცოლის სიცოცხლეს საფრთხეში არ ჩააგდებდა. ლევს გეგმაც ჰქონდა და მიზანიც, რაც მისთვის წართმეული საქმის გვერდებზე იმალებოდა.

ვასილი ლევისა და ადგილობრივი პოლიციის გადაბირებული ოფიცრის მიერ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში შეგროვებული დოკუმენტების შესწავლას შეუდგა. აქ იყო დახოცილი ბავშვების ფოტოსურათები, მოწმეთა ჩვენებები, სასამართლოს გადაწყვეტილებები გასამართლებულ ეყვმიტანილთა შესახებ. მართალია, დაკითხვის დროს ლევმა ხელი აიღო საკუთარ გამოძიებაზე, მაგრამ ვასილიმ იცოდა, რომ ეს თვალის ასახვევად გააკეთა. ლევს ყოველთვის რაღაცის სწამდა, ამჯერად კი ცოლთან ერთად ამ სულელური თეორიის ტყვეობაში იმყოფებოდა. მაგრამ კონკრეტულად რისი სჯეროდათ? იმის, რომ პასუხისმგებლობა ყველა ამ უმოტივო დანაშაულზე, რომლებიც ოცდაათზე მეტ, ერთმანეთისგან ასობით კილომეტრით დაცილებულ ადგილას მოხდა, ერთადერთ მკვლელს ეკისრებოდა? ეს თეორია სასაცილოდ კი ჟღერდა, მაგრამ გაქცეულებს ნებისმიერ მხარეს შეეძლოთ წასვლა. ვასილი ალალბედზე ვერ აირჩევდა მიმართულებას, რათა დამნაშავეებს იქ ჩასაფრებოდა და მათ გამოჩენას დალოდებოდა. საკუთარი უმწეობით გაბრაზებული კვლავ იმ რუკის შესწავლას შეუდგა, რომელზეც ეს ვითომდა ჩადენილი მკვლელობები რიცხვებით, ქრონოლოგიური თანამიმდევრობით აღენიშნათ: ვასილი ჩაფიქრებული სახით აკაკუნებდა თითებს ამ ციფრებზე, ცოტა ხნის შემდეგ კი ტელეფონის ყურმილს დასწვდა.

– ოფიცერი ფიოდორ ანდრეევი გამოიძახეთ.

დაწინაურების შემდეგ ვასილის საკუთარი კაბინეტიც ჰქონდა. მართალია, მისი ზომით ვერ დაიკვეხნიდა, მაინც ძალზე ეამაყებოდა, თითქოს ეს პლაცდარმი იყო, რომლის ყოველი კვადრატული მეტრი მძიმე ბრძოლით მოეპოვებინა. კარზე დააკაკუნეს და ოთახში ფიოდორ ანდრეევი შე-

მოვიდა, ვასილის ერთ-ერთი თანამშრომელი - ახალგაზრდა, ერთგული და შრომისმოყვარე, თუმცა არც ისე საზრიანი კაცი. მოკლედ, მას კარგი ხელქვეითისთვის საჭირო ყველა თვისება ჰქონდა. ახლა აშკარად ნერვიულობდა. ვასილიმ გაუღიმა და ხელით ანიშნა, რომ დამჯდარიყო.

- გმადლობ, რომ მოხვედი. შენი დახმარება მჭირდება.

- რა თქმა უნდა.

- უკვე გეცოდინება ლევ დემიდოვის გაქცევის ამბავი.

- დიახ, ყური მოვკარი.

- რა იცი ლევის დაპატიმრების მიზეზების შესახებ?

– არაფერი.

- ჩვენ გვეგონა, რომ იგი უცხოელებზე მუშაობდა, ინფორმაციას აგროვებდა, ანუ ჯაშუშობდა.

როგორც ჩანს, ასე არ არის. შევცდით. დაკითხვის დროს ლევს ჩვენთვის არაფერი უთქვამს.

ახლა ვფიქრობ, რომ ამ საქმეზე მუშაობდა.

ფიოდორი წამოდგა და მაგიდას მიუახლოვდა, რომელზეც საქმის მასალები იდო. ადრე უკვე ენახა ისინი. ლევმა ისინი ტანზე მიმაგრებული მოიტანა. უეცრად ფიოდორს ცივმა ოფლმა დაასხა. იგი მაგიდისკენ ისე დაიხარა, თითქოს პირველად ხედავდა ამ დოკუმენტებს, თან ცდილობდა, აღელვება არ დასტყობოდა. შეამჩნია, რომ ვასილიც მის გვერდით იდგა და ახლა ისინი ერთად მომუშავე პარტნიორებს ჰგავდნენ. ვასილიმ ნელა გაავლო თითი რუკაზე, მოსკოვის აღმნიშვნელ წრეზე გააჩერა და თქვა: - ორმოცდაოთხი.

ფიოდორი კინაღამ ცუდად გახდა. თავი მიაბრუნა და დაინახა, რომ ვასილი ჯიქურ მისჩერებოდა.

- ფიოდორ, ჩვენ ვიცით, რომ ცოტა ხნის წინ ლევი მოსკოვში დაბრუნდა. ვფიქრობ, ჯაშუშობა აქ არაფერ შუაშია. ეს მის მიერ წარმოებული გამოძიების ნაწილი იყო. იგი ფიქრობს, რომ მკვლელობა მოხდა. შენი ბიჭიც მოკლეს, ხომ ასეა?

– არა. იგი უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა. მატარებელმა გადაუარა.

– და ლევს ამ საქმეში გარკვევა უბრძანეს?

– დიახ, მაგრამ...

- და იმ დროს შენ დარწმუნებული იყავი, რომ შვილი მოგიკლეს, არა?

- დიახ, მაშინ ძალიან განერვიულებული ვიყავი და მიჭირდა...

- მაშასადამე, როდესაც ლევი მოსკოვში მკვლელობის გამოსაძიებლად ჩამოვიდა, შენი შვილის უბედური შემთხვევით არ დაინტერესებულა?

- არა.

- რა იცი?

- რა?

- რა იცი, შენი საქმით დაინტერესდა თუ არა?

ვასილი მაგიდასთან დაბრუნდა და საკუთარ ფრჩხილებს ისე დააცქერდა, თითქოს მის ყველაზე წმინდა გრძნობებს შეურაცხყოფა მიაყენეს.

- ფიოდორ, როგორც ჩანს, შენს თვალში ბევრს არაფერს წარმოვადგენ.

– ასე არ არის.

- უნდა ხვდებოდე, რომ თუ ლევი არ ცდება და ბავშვების მკვლელი მართლა არსებობს, ის კაცი უნდა შევიპყროთ. მინდა, რომ ლევს დავეხმარო, ფიოდორ. მეც მყავს შვილები. როგორც ოფიცერი და როგორც მამა, ვალდებული ვარ, ბოლო მოვუღო ამ საშინელ დანაშაულს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ შორის არსებული მტრობა მეორეხარისხოვანი ხდება. ლევის სიკვდილი რომ მნდომოდა, უბრალოდ, არაფერს გავაკეთებდი. ამჟამად ყველას ჰგონია, რომ ის და მისი ცოლი ჯაშუშები არიან. ბრძანებაც გაცემულია, რომ გაუფრთხილებლად გაუხსნან ცეცხლი. თუ ასე მოხდება, ვშიშობ, ეს საქმეც ჩაკვდება. ბავშვებს კი კვლავაც დახოცავენ. მაგრამ თუ ყველა ფაქტი ხელთ მექნება, იქნებ მოვახერხო უფროსობის დარწმუნება, რომ ნადირობა შეწყვიტონ.

თუ ასე არ მოვიქცევი, აქვთ კი ლევსა და რაისას თავის გადარჩენის შანსი?

– არანაირი.

ვასილიმ თავი კმაყოფილებით დააქნია. მაშასადამე, ლევს მართლა სჯეროდა, რომ ყველა მკვლელობა ერთ კაცს ჩაედინა. მან განაგრძო: – აი, რისი თქმა მსურს: მათ არც ფული აქვთ და დანიშნულების ადგილიდანაც ასობით კილომეტრის მანძილზე არიან.

– სად მოახერხეს გაქცევა?

ფიოდორმა მეორე შეცდომა დაუშვა: გაამჟღავნა, რომ, მისი აზრით, ლევი მკვლელის შეჩერებას ცდილობდა. ახლა ვასილის მისგან მხოლოდ ერთი რამის გაგება სურდა - ზუსტი ადგილის დასახელება. მან თითი მოსკოვის აღმოსავლეთით მდებარე რკინიგზის ხაზს დაადო და დაინახა, როგორ გააპარა ფიოდორმა თვალი ამ წერტილიდან სამხრეთისკენ. მაშა-

სადამე, ლევი სამხრეთისკენ მიემართებოდა, მაგრამ ვასილის ქალაქის სახელწოდება უნდა დაედგინა.

მან ფიოდორს მხარი აუბა და აგდებულად დაამატა: - მკვლელობების უმეტესობა სამხრეთშია ჩადენილი.

- თუ რუკის მიხედვით ვიმსჯელებთ...

ფიოდორმა ფრაზა შუაზე გაწყვიტა. მას საკუთარი თავის გაუცემლადაც შეეძლო მიენიშნებინა ვასილისთვის. მაშინ ისინი ერთად მიმართავდნენ ზემდგომ ორგანოებს, რათა ლევისა და რაისას შეპყრობის ბრძანება გაეუქმებინათ. ფიოდორი უკვე ფიქრობდა, როგორ დახმარებოდა გაქცეულებს. ამის მონახაზიც ჰქონდა: იგი მათ დამნაშავეებიდან გმირებად გადააქცევდა. მოსკოვში შეხვედრისას ლევს წამოსცდა, რომ მილიციის რომელიდაც ოფიცერი როსტოვში გამგზავრებულიყო იმაში დასარწმუნებლად, რომ მკვლელი ამ ქალაქში ცხოვრობდა.

ფიოდორმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს დოკუმენტებს ყურადღებით ეცნობოდა.

- თუ მკვლელობების კონცენტრაციის მიხედვით ვიმსჯელებთ, ჩემი აზრით, ეს დონის როსტოვი უნდა იყოს. ყველა ადრეული მკვლელობა სამხრეთში მოხდა. დამნაშავე ან ამ ქალაქში უნდა ცხოვრობდეს, ან მის სიახლოვეს.

- როსტოვში?

-- როგორ გგონიათ, შევძლებთ უფროსობის გადარწმუნებას?

- ჯერ მთელი სურათი მკაფიოდ უნდა წარმოვიდგინო. ძალიან დიდ რისკზე მივდივართ.

შეიძლება ითქვას, რომ საკუთარი ნებით ვყოფთ თავს ყულფში. ყველაფერი დანამდვილებით უნდა ვიცოდეთ. აბა, ერთხელაც მითხარი, რატომ ხარ ასე დარწმუნებული, რომ მკვლელი სამხრეთში ცხოვრობს?

ფიოდორი ლაპარაკს შეუდგა. ხან ერთ დოკუმენტს უჩვენებდა, ხან მეორეს. ვასილი წამოდგა, მაგიდას შემოუარა, პისტოლეტი ამოიღო და ფიოდორს გულში დაუმიზნა.

როსტოვის ოლქის სამხრეთ-აღმოსავლეთი 14 ივლისი ლევი და რაისა ერთი მეტრი სიმაღლისა და ორი მეტრი სიგანის ყუთში იწვნენ - ეს ცოცხალი ტვირთი კონტრაბანდულად სამხრეთში უნდა გადაეტანათ. მას შემდეგ, რაც სამხედროებმა კოლმეურნეობის ჩხრეკა დაასრულეს, სოფლის მოსახლეობის ნაწილმა ლევი და რაისა უახლოეს ქალაქში, რიაზანში ჩაიყვანა და იქ თავიანთ მეგობრებსა და ნათესავებს გააცნო.

პატარა, დახუთულ ბინაში, სადაც ჭერქვეშ სიგარეტის კვამლის ღრუბლები დაცურავდა, ლევმა ოცდაათკაციან აუდიტორიას მათ მიერ წარმოებული გამოძიების შესახებ უამბო. არავის შეჰპარვია ეჭვი იმაში, რომ ეს საქმე სასწრაფოდ უნდა დაესრულებინათ. იმაშიც დარწმუნდნენ, რომ მილიციას მკვლელის დაჭერის უნარი არ შესწევდა. თვითონ არასდროს მიემართათ მილიციისთვის დასახმარებლად ან ხელისუფლების ორგანოებთან პრობლემების გასარკვევად.

ყოველთვის მხოლოდ საკუთარი თავის იმედად იყვნენ. ახლაც მსგავს ვითარებაში აღმოჩნდნენ, ოღონდ საქმე უამრავი უცნობი ბავშვის სიცოცხლეს შეეხებოდა.

ყველა შეთანხმდა, რომ ლევი და რაისა სამხრეთში უნდა გადაეყვანათ. ერთ-ერთი მათგანი სატვირთო მანქანის მძღოლად მუშაობდა და რეგულარულად დადიოდა მოსკოვს, სამარასა და ხარკოვს შორის. ხარკოვიდან როსტოვამდე ხუთასი კილომეტრი, დღე-ნახევრის სავალი მანძილი რჩებოდა. ვინაიდან პირდაპირ როსტოვში ჩასვლა სახიფათო იყო, რადგან მძღოლი ვერაფრით დაასაბუთებდა, რომ იქ რამე საქმე ჰქონდა, გადაწყვიტეს, მეზობელ ქალაქ შახტიში ჩასულიყვნენ, სადაც მძღოლის ნათესავები ცხოვრობდნენ. საჭიროების შემთხვევაში, იგი განაცხადებდა, რომ მათ სანახავად მიდიოდა, თანაც როდესაც ეს ოჯახი მათ მონათხრობს მოისმენდა, აუცილებლად დაეხმარებოდა ლევსა და რაისას როსტოვში მოხვედრაში.

ცოლ-ქმარს ვიწრო და ბნელ ყუთში თითქმის დღე-ნახევარი უნდა გაეტარებინა. მძღოლს ბანანი, დელიკატური ეგზოტიკური ხილი გადაჰქონდა სპეცმაღაზიებისთვის. ეს მაღაზიები მაღალი თანამდებობის პარტიული მუშაკებისთვის იყო განკუთვნილი. იქ ზოგჯერ ლევი და რაისაც ყიდულობდნენ პროდუქტს. მათი ყუთი სატვირთო მანქანის წინა ბორტთან იდგა, გარშემო კი ძვირფასი ხილით დატვირთული კონტეინერები შემოეწყოთ. ყოველ სამ-ოთხ საათში მძღოლი მანქანას აჩერებდა, ყუთებს აქეთ-იქით სწევდა და მათ ამოსვლაში ეხმარებოდა, რათა სისხლი აემოძრავებინათ და გზისპირა ბუჩქებში ბუნებრივი მოთხოვნილებები დაეკმაყოფილებინათ.

ისინი სრულ წყვდიადში ყუთის საპირისპირო კუთხეებში თავშექცევით იწვნენ. რაისამ ქმარს ჰკითხა: - ენდობი მას?

- ვის?

- ჩვენს მძღოლს.

- შენ?

– არ ვიცი.

- რატომ მეკითხები?

- იმ ადამიანებს შორის, ვინც შენი მონათხრობი მოისმინა, მხოლოდ მას არ დაუსვამს შეკითხვა. როგორც ჩანს, ამან ვერ დააინტერესა, ან არ დაიჯერა. სხვებზე იმოქმედა, მასზე კი - არა. რატომღაც გულგრილი და უგრძნობი ადამიანი მგონია.

– სულაც არ არის ვალდებული, დაგვეხმაროს. ვერც იმას შეძლებს, რომ ხელისუფლებას ჩაგვაბაროს, შემდეგ კი მშვიდად დაუბრუნდეს ოჯახსა და მეგობრებს.

- შეუძლია, რამე მოიფიქროს. მაგალითად, თქვას, რომ გზაზე მანქანებს ამოწმებდნენ და დაგვიჭირეს. რომ ჩვენი დახმარება სურდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

- რას მთავაზობ?

- მორიგი გაჩერების დროს წავაქციოთ და ხელ-ფეხი შევუკრათ, საჭესთან კი შენ დაჯექი.

– სერიოზულად ამბობ?

– თუ გვინდა, მშვიდად ვიყოთ და მიზანს მივაღწიოთ, ერთადერთი გამოსავალი მისთვის მანქანის წართმევაა. მის დოკუმენტებსაც ავიღებთ. მაშინ ჩვენს ბედს კვლავაც ჩვენ განვკარგავთ, ვითარებას გავაკონტროლებთ, ახლა კი სრულიად უმწეონი ვართ. ისიც არ ვიცით, სად მივყავართ.

- განა თვითონ არ მასწავლიდი, რომ უცნობი ადამიანების სიკეთე და სულგრძელობა მერწმუნა?

– ეს კაცი სხვებს არ ჰგავს. ძალიან ამბიციური მეჩვენება. იგი ხომ გამუდმებით დელიკატესს ეზიდება. ალბათ, ფიქრობს: ეს მინდა, ის მინდა, ძვირფასი ქსოვილი და იშვიათი ხილი მჭირდებაო. ხვდება, რომ მისი ოცნების ახდენის შანსი მივეცით. იცის, რამდენად შეუძლია ჩვენი გაყიდვა. იმასაც აცნობიერებს, რა ელის, თუ ჩვენთან ერთად დააკავებენ.

- არ მინდა, გისაყვედურო, რაისა, მაგრამ შენ უდანაშაულო ადამიანზე ლაპარაკობ, რომელიც ჩვენს დასახმარებლად სიცოცხლეს საფრთხეში იგდებს.

- გარანტია გვჭირდება, რომ როსტოვში აუცილებლად მოვხვდებით.

- განა ყველაფერი ასე არ იწყება? თავდაპირველად გაქვს საქმე, რომლის გულისთვისაც სიცოცხლესაც კი გასწირავ. მალე ეს ის საქმე ხდება,

რომლისთვისაც მოკვლაც შეიძლება, ბოლოს კი უდანაშაულო ადამიანების გაწირვაც.

- მოკვლა აუცილებელი არაა.

- არა, აუცილებელია, ვინაიდან ხელფეხშეკრულს გზაზე ვერ დავაგდებთ. ეს გაცილებით სარისკოა. ან უნდა მოვკლათ, ან მივენდოთ. რაისა, ეს ის პირველი ნაბიჯია, რომლის შემდეგაც ყველაფერი ინგრევა. ამ ხალხმა შეგვიფარა, გვაჭამა, ახლა იქ მივყავართ, სადაც გვჭირდება.

თუ მათ თავს დავესხმებით და ერთ-ერთ მეგობარს საქმის უსაფრთხოების გამო მოვუკლავთ, ისევ იმ ადამიანად ვიქცევი, რომელიც მოსკოვში ყოფნისას ასე გძულდა და გეზიზღებოდა.

სიბნელეში ლევი რაისას სახეს ვერ ხედავდა, მაგრამ იგრძნო, რომ იგი იღიმებოდა.

- მამოწმებდი?

- მხოლოდ გესაუბრებოდი.

- ჩავაბარე გამოცდა?

- ეს იმაზეა დამოკიდებული, ჩავაღწევთ შახტიმდე თუ არა.

ხანგრძლივი დუმილის შემდეგ რაისამ იკითხა: - რა მოხდება, როდესაც ყველაფერი დასრულდება?

– არ ვიცი.

- საზღვარგარეთ გაშლილი ხელებით შეგხვდებოდნენ, ლევ. დაგიცავდნენ კიდეც.

- ამ ქვეყნიდან არასდროს წავალ.

- თუნდაც მან შენი განადგურება მოინდომოს?

– თუ საზღვარგარეთ გსურს წასვლა, ყველაფერს ვიღონებ, რომ გემზე ან ნავზე დაგსვა.

- შენ რაღას იზამ? მთაში დაიმალები?

- როგორც კი ის ადამიანი მოკვდება, შენ კი მშვიდობიანად დატოვებ ქვეყანას, ჩავბარდები.

არ მსურს დევნილობაში, იმ ადამიანებს შორის ცხოვრება, რომლებსაც ჩემგან მხოლოდ ინფორმაციის მიღება სურთ, სინამდვილეში კი ვძულვარ. არ მინდა, უცხოელად ვიქცე. არ შემიძლია. ამ შემთხვევაში ყველაფერი, რასაც მოსკოვში ის ხალხი ჩემზე ამბობს, სიმართლე იქნება.

- შენთვის ეს უმთავრესია?

რაისას ხმაში წუხილმა გაიჟღერა. ლევი ფრთხილად შეეხო მას ხელზე.

– ვერაფერი გავიგე, რაისა.

- ნუთუ ეს ასე ძნელია? მინდა, ერთად ვიყოთ.

ლევი დუმდა, ბოლოს კი თქვა: - მოღალატესავით ვერ ვიცხოვრებ. არ შემიძლია.

- მაშასადამე, მხოლოდ ოცდაოთხი საათიღა დაგვრჩა?

- ძალიან ვწუხვარ.

– თუ ასეა, ეს დრო სრულად უნდა გამოვიყენოთ.

- რამე იდეა გაქვს?

- ერთმანეთს სიმართლე ვუთხრათ.

- სიმართლე?

– თითოეულ ჩვენგანს აუცილებლად ექნება თავისი საიდუმლო. საკუთარ თავზე ამის თქმა დანამდვილებით შემიძლია. შენ კი არა? ისეთი რამ, რაც არასდროს მოგიყოლია.

- მაქვს.

- მაშინ ჯერ მე დავიწყებ. უწინ შენს ჩაიში ვაფურთხებდი. მას შემდეგ, რაც ზოიას დაპატიმრების ამბავი შევიტყვე, დარწმუნებული ვიყავი, რომ შენ გაეცი. ამიტომ დაახლოებით ერთი კვირა შენს ჩაიში ვაფურთხებდი.

- ჩემს ჩაიში აფურთხებდი?

- მთელი კვირის განმავლობაში.

- შემდეგ შეწყვიტე?

- ჰო, იმიტომ, რომ შენთვის სულერთი იყო.

– ეს არ შემიმჩნევია.

- სწორედაც. კარგი, ახლა შენი რიგია.

- სიმართლე გითხრა...

- სწორედ ესაა ამ თამაშის აზრი.

- არა მგონია, რომ ცოლად შიშის გამო გამომყევი. ვფიქრობ, განზრახ მეძებდი კიდეც, შემდეგ კი ისეთი სახე მიიღე, თითქოს შეგეშინდა. სხვა სახელი დაირქვი, მე კი არ გასვენებდი.

მაგრამ, ჩემი აზრით, ამის მიღწევა თვითონ გსურდა.

- უცხოელების ჯაშუში გგონივარ?

- შენ შესაძლოა, იმ ადამიანებს იცნობდე, რომლებიც დასავლეთის სადაზვერვო სამსახურებთან თანამშრომლობენ. იქნებ ეხმარებოდი კიდეც მათ. იქნებ ეს შენს ქვეცნობიერში იჯდა, როდესაც ცოლად გამომყევი.

- ეს საიდუმლო კი არა, ზოგადი მსჯელობაა. შენგან საიდუმლოს, რეალურ ფაქტს ვითხოვ.

- შენს ნივთებში ერთ მონეტას მივაგენი, რომელიც ორად იყოფა - მას მიკროფირის გადასატანად იყენებენ. მსგავსი რამ მხოლოდ ჯაშუშებს აქვთ.

- მაშინ რატომ არ თქვი ჩემზე უარი და საჯაროდ არ გამკიცხე?

- ასე ვერ მოვიქცეოდი.

- ლევ, ცოლად იმიტომ არ გამოგყოლივარ, რომ MI 6-ს მივჩოჩებოდი. ერთხელ უკვე გითხარი სიმართლე: შენი მეშინოდა.

- მონეტაზე რას იტყვი?

- ჩემი იყო...

რაისას ხმა ჩაუწყდა. თითქოს ფიქრობდა, ღირდა თუ არა გაგრძელება.

- მასში მიკროფირი არ მედო. როდესაც დევნილი ვიყავი, შიგ კალიუმის ციანიდს ვინახავდი.

რაისას არასდროს მოუყოლია ქმრისთვის, თუ როგორ გაჰქონდა თავი მას შემდეგ, რაც სახლი დაუნგრიეს და თვეების განმავლობაში აღმა-დაღმა დაეხეტებოდა - ეს მისი ცხოვრების ბნელი მხარე იყო. ლევი ელოდებოდა. უეცრად რატომდაც შეშფოთდა.

- დარწმუნებული ვარ, ადვილად წარმოიდგენ, რა ემართებოდათ ლტოლვილ ქალებს.

ჯარისკაცებს საკუთარი მოთხოვნილება უნდა დაეკმაყოფილებინათ. ისინი სიცოცხლეს სწირავდნენ და მათ წინაშე ყველა ვალში იყო. სწორედ ჩვენ ვიქეცით მათ საფასურად.

პირველივე შემთხვევის შემდეგ - რამდენიმე კაცთან - ისეთი ტკივილი ვიგრძენი, რომ გავიფიქრე: თუ ოდესმე მივხვდები, რომ მსგავსი რამ უნდა განმეორდეს, ღრძილებში ფხვნილს შევიზელ-მეთქი. მათ ჩემი მოკვლა ან ჩამოხრჩობა შეეძლოთ, მაგრამ მომავალში იქნებ დაფიქრებულიყვნენ საკუთარ საქციელზე, სანამ იმავეს სხვა ქალს გაუკეთებდნენ. ყოველ შემთხვევაში, მონეტა ჩემს თილისმად იქცა, ვინაიდან მას შემდეგ, რაც მისი ტარება დავიწყე, მსგავსი რამ თავს აღარ გადამხდენია. შესაძლოა, მამაკაცები გრძნობენ ქალს, რომელსაც ჯიბეში კალიუმციანიდი უდევს. ამან, ცხადია, ჭრილობები ვერ შემიხორცა - ასეთი წამალი არ არსებობს. სწორედ ამიტომ არ შემიძლია დაფეხმძიმება, ლევ.

კაცი დიდხანს იყურებოდა სიბნელეში, იქით, სადაც, მისი აზრით, ცოლი იწვა. ომის დროს ქალებს ჯერ ოკუპანტები აუპატიურებდნენ, შემდეგ - გამათავისუფლებლები. თვითონაც ჯარისკაცი იყო და იცოდა, რომ სახელმწიფო მსგავს ფაქტებზე თვალს ხუჭავდა, იგი ომის განუყოფელ ნაწილად და მამაცი მეომრებისთვის ღირსეულ ჯილდოდ მიაჩნდა. ზოგიერთი ქალი მართლა ყლაპავდა კალიუმციანიდს, რათა გაუსაძლისი ტანჯვა თავიდან აეცილებინა. ლევი ფიქრობდა, რომ მამაკაცების უმრავლესობა, შესაძლოა, მართლა ჩხრეკდა ქალებს იმის შიშით, რომ მათ დანა ან პისტოლეტი არ ჰქონოდათ, მაგრამ მონეტას ყურადღებას არავინ მიაქცევდა.

მან ცოლს ხელზე ხელი გადაუსვა. სხვა რისი გაკეთება შეეძლო? მოეზოდიშებინა? ეთქვა, რომ თანაუგრძნობდა? თვითონ ხომ გაზეთიდან საკუთარი ფოტოსურათი ამოჭრა, ჩარჩოში მოათავსა და კედელზე ჩამოკიდა, ამაყობდა კიდეც და ვერ ხვდებოდა, თუ რას ნიშნავდა ომი მისი ცოლისთვის.

- ლევ, მე კიდევ მაქვს ერთი საიდუმლო. შემიყვარდი.

- მე ყოველთვის მიყვარდი.

- ეს საიდუმლო არაა, ლევ. ასე რომ, სამი საიდუმლოთი გისწრებ.

ლევმა აკოცა და უთხრა: - მე ძმა მყავს.

დონის როსტოვი 15 ივლისი ნადია შინ მარტო იყო. დედა და და ბებიასთან წავიდნენ სტუმრად. თავდაპირველად თვითონაც გაჰყვა მათ, მაგრამ როდესაც სახლს მიუახლოვდნენ, თავი მოიკატუნა, თითქოს მუცელი ასტკივდა და უკან დაბრუნების ნებართვა აიღო. დედა დაეთანხმა და ნადია შინ გაემართა. უბრალო გეგმა ჰქონდა ჩაფიქრებული. სარდაფის კარის გაღება და იმის გაგება სურდა, რატომ ატარებდა მამა ამდენ დროს იმ ცივ და ნესტიან ოთახში. იქ ჯერ არასდროს ყოფილა. სამაგიეროდ, ხშირად დახეტიალებდა სახლის გარშემო, ნოტიო აგურებს ხელს ადებდა და იმის წარმოდგენას ცდილობდა, თუ როგორ გამოიყურებოდა სარდაფი შიგნიდან. ამ უფანჯრო ოთახს მხოლოდ ერთი სავენტილაციო ხვრელი ჰქონდა ღუმლისთვის. იქ შესვლა ყველას სასტიკად ეკრძალებოდა და გოგონას ამ აკრძალვის დარღვევა ფიქრადაც არასდროს მოსვლია. დღევანდლამდე.

მამა სამსახურის საქმეზე წასულიყო, მაგრამ მალე დაბრუნდებოდა, სავარაუდოდ, მეორე დილით. გოგონას ესმოდა, როგორ ამბობდა იგი, სახლში კარგა ხანია, რემონტია გასაკეთებელი, სარდაფში კი კარი უნდა გამოიცვალოსო. შემოსასვლელ კარზე, ყველა რომ სარგებლობდა და

ოთახებში სითბოს ინახავდა, არაფერს ამბობდა. პირველ რიგში სარდაფი აინტერესებდა. იქ მართლაც თხელი კარი ეკიდა, მაგრამ ნუთუ ეს ასე მნიშვნელოვანი იყო? იქ ორი დღის შემდეგ დაჰკიდებდნენ ახალ კარს, რომელსაც ვეღარ გააღებდა. ასე რომ, თუ აკრძალულ ოთახში მოხვედრა და ყველა შეკითხვაზე პასუხის მიღება სურდა, ეს ახლავე უნდა გაეკეთებინა. საკეტის ნაცვლად, იქ ჩვეულებრივი ზამბარიანი კლიტე ეყენა. ნადიამ ყურადღებით შეათვალიერა იგი და გადაწყვიტა, შეემოწმებინა, შეეტეოდა თუ არა მასში დანის პირი ენის გასაწევად. ასეც მოიქცა და გამოუვიდა.

ეს რომ მოაგვარა, ნადიამ კარი შეაღო. სიხარულით აღელვებულმა და, იმავდროულად, შეშინებულმა შიგნით შეაბიჯა და სახელურს ხელი გაუშვა. კარი მაშინვე ხმაურით მიიკეტა.

ქვემოთ სუსტი შუქი მხოლოდ საავენტილაციო ხვრელში დარჩენილი ღრეჩოდან შემოდიოდა, ზემოთ კი კარქვეშიდან. გოგონა დაელოდა, სანამ თვალს სიბნელეს მიაჩვევდა, კიბეზე დაეშვა და მამის საიდუმლო ოთახი მოათვალიერა.

საწოლი, ღუმელი, პატარა მაგიდა და სკივრი - არაფერი მისტიკური. იმედგაცრუებულმა ოთახს შემოუარა. კედელზე ძველი ლამპა ეკიდა, იქვე რამდენიმე გაზეთის ამონაჭერი მიემაგრებინათ. მიუახლოვდა. ყველა ერთმანეთს ჰგავდა: ალმოდებული გერმანული ტანკის გვერდით მდგარი რუსი ჯარისკაცი. ზოგიერთი სურათი ისე გადაეჭრათ, რომ მხოლოდ ჯარისკაცი მოჩანდა. ლამაზი იყო. ნადიამ ვერ იცნო. კოლაჟით გაოცებულმა იატაკიდან თუნუქის ჯამი აიღო, რომელიც, ალბათ, კატებისთვის დაეტოვებინათ, შემდეგ მზერა სკივრზე გადაიტანა. სახურავს ორივე ხელი ჩაავლო და აწევა სცადა, რათა შეემოწმებინა, ჩაკეტილი იყო თუ არა. ხის სახურავი მძიმე აღმოჩნდა, მაგრამ მიხვდა, რომ ღია დაეტოვებინათ. ნეტავ შიგ რა ინახებოდა? ნადიამ იგი ოდნავ უფრო მაღლა ასწია და უეცრად ზემოდან ხმაური მოესმა - შემოსასვლელი კარი გაჯახუნდა.

ვიღაც მძიმედ მოაბიჯებდა. დედის ფეხის ხმას არ ჰგავდა. ალბათ, მამა თუ დაბრუნდა დროზე ადრე. სინათლემ მოიმატა, როდესაც სარდაფისკენ მომავალი კარი გაიღო. ასე ჩქარა რატომ დაბრუნდა? ნადია შეშინდა და სკივრის სახურავი დაუშვა. ცდილობდა, არ ეხმაურა, თან მამის ნაბიჯებს უგდებდა ყურს, რომელიც კიბეზე ჩამოდიოდა. გოგონამ სახურავი დაუშვა და სასწრაფოდ საწოლქვეშ შეძვრა, ვიწრო სივრცეში შეი-

ყუჟა და ქვედა საფეხურს მიაჩერდა. აი, ისინიც - მამის დიდი შავი ჩექმები მისკენ მოემართებოდა.

ნადიამ თვალები დახუჭა. გახელისა ეშინოდა, რათა მამამისის გამძვინვარებული სახე არ დაენახა. ამ დროს საწოლმა გაიჭრაყუნა და ქვევით დაიწია. მამა ზედ იჯდა. გოგონამ თვალი გაახილა და ფრთხილად გაცოცდა გვერდით. ახლა, როდესაც მანძილი საწოლის ბადესა და იატაკს შორის შემცირდა, უფრო მიხვდა, ვიდრე დაინახა, რომ მამა ფეხსაცმლის ზონრებს იხსნიდა. კაცმა არ იცოდა, რომ მისი შვილი აქ იყო. როგორც ჩანს, ზამბარიანი საკეტი კარის მიხურვის შემდეგ საწყის პოზიციას დაჰბრუნებოდა. ნადიას ჯერჯერობით კი გაუმართლა, მაგრამ რაღაც უნდა მოეფიქრებინა. მამას აქ შესაძლოა, რამდენიმე საათი გაეტარებინა. მალე დედა დაბრუნდებოდა და შვილს შინ რომ ვერ ნახავდა, შეშფოთდებოდა. მშობლები, ალბათ, დაასკვნიდნენ, რომ მას გზა აებნა, და მის საძებრად წავიდოდნენ. თუ ყველაფერი ასე მოხდებოდა, იგი ჩუმად ავიდოდა ზევით, შემდეგ კი რამეს მოიგონებდა თავისი ადგილსამყოფლის შესახებ. სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, მანამდე კი ჩქამი არ უნდა გაეღო.

მამამ წინდები გაიხადა, ფეხის თითები აამოძრავა, წამოდგა და ლამპა აანთო. საწოლი გასწორდა. ოთახი უფრო განათდა. კაცი სკივრთან მივიდა. ნადიას სახურავის ჭრაჭუნი მოესმა.

ვერ დაინახა, მამამ იქიდან რა ამოიღო, მაგრამ იმას კი მიხვდა, რომ თავღია დატოვა, რადგან დახურვის ხმა აღარ გაუგონია. ნეტავ რის გაკეთებას აპირებდა მისი მამიკო? აი, იგი სკამზე დაჯდა და ფეხზე რეზინის ზოლის მიკვრას შეუდგა, შემდეგ კი თოკისა და ნაჭრების დახმარებით რაღაც ფეხსაცმლის მსგავსი მოახლაფორთა.

ნადიამ რაღაც იგრძნო, უკან მიიხედა და კატას მოჰკრა თვალი. მანაც შეამჩნია იგი, ზურგი გაზნიქა და ბალანი აბურძგნა. დანამდვილებით იცოდა, რომ ეს გოგონა აქ არ უნდა ყოფილიყო.

შეშინებული ნადია ახლა მეორე მხარეს მიტრიალდა, აინტერესებდა, მამა რამეს ხომ არ მიხვდაო. კაცი მუხლებზე დაეშვა და მისი სახე საწოლსა და იატაკს შორის აღმოჩნდა. ნადია დუმდა, განძრევას ვერ ბედავდა. მამას არაფერი უთქვამს, მხოლოდ საწოლი გადააყირავა გვერდზე.

- ადექი.

მაგრამ გოგონა ხელ-ფეხს ვეღარ ამოძრავებდა - სხეული აღარ ემორჩილებოდა.

- ნადია!

თავისი სახელის გაგონებაზე ნადია წამოდგა.

- კედელს მოშორდი.

გოგონა დამორჩილდა, ნაბიჯი წინ გადადგა, თავი ჩაქინდრა და მამის ფეხებს მიაჩერდა, რომელთაგანაც ერთი შიშველი იყო, მეორეზე კი რეზინა მიედოთ და ზედ ნაჭრები შემოეხვიათ.

კაცმა საწოლი თავის ადგილას დააბრუნა.

– აქ რატომ ხარ?

- მაინტერესებს, სარდაფში რას აკეთებ.

- რატომ?

- მინდა, შენთან მეტი დრო გავატარო.

ანდრეიმ იგრძნო, როგორ მოაწვა ნაცნობი გრძნობა - ისინი სახლში მარტონი იყვნენ.

გოგონას აქ მოსვლა ეკრძალებოდა: რამდენჯერ უთხრა ეს მისივე კეთილდღეობისთვის. ამ ოთახში იგი სულ სხვა ადამიანი ხდებოდა. მამამისი აღარ იყო. მან უკან იმდენით დაიხია, რის საშუალებასაც ოთახის ზომები აძლევდა და ზურგით კედელს მიეყრდნო.

- მამა...

ანდრეიმ თითი ტუჩებთან მიიტანა.

თავი ხელში აიყვანე.

მაგრამ იგი თავს ვეღარ აკონტროლებდა. ფრთხილად მოიხსნა სათვალე, დაკეცა და ჯიბეში ჩაიდო. შემდეგ კვლავ შეხედა ნადიას და მხოლოდ გოგონას ფიგურის ბუნდოვანი მოხაზულობა დაინახა - აღარც ის იყო მისი ქალიშვილი. მის წინ მორიგი ბავშვი იდგა, დანისლული, გაურკვეველი შესახედაობის ნებისმიერი ბავშვი.

- მამა...

ნადია მასთან მივიდა და ხელი ჩაჰკიდა.

- განა შენ არ მოგწონს ჩემთან ყოფნა?

ახლა იგი ძალიან ახლოს იდგა, ასე რომ, უსათვალოდაც მკაფიოდ ხედავდა მას, მის თმასა და სახეს. ანდრეიმ შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და კვლავ გაიკეთა სათვალე.

- ნადია, შენ უმცროსი და გყავს, რატომ მასთან არ თამაშობ? როდესაც შენხელა ვიყავი, სულ ჩემს ძმას დავდევდი კუდში.

- შენ ძმა გყავს?

– ჰო.

- მერედა სად არის იგი?

ანდრეიმ კედელზე მიუთითა, სადაც რუსი ჯარისკაცის ფოტოსურათები ეკიდა.

- რა ჰქვია?

- პაველი.

– რატომ არ გვესტუმრება ხოლმე?

- ის აუცილებლად მოვა.

როსტოვის ოლქი რვა კილომეტრი დონის როსტოვის ჩრდილოეთით 16 ივლისი ისინი ელექტრომატარებელში ისხდნენ, რომელიც უკვე გარეუბნებს და, შესაბამისად, მათი დანიშნულების პუნქტს - დონის როსტოვის ცენტრს უახლოვდებოდა. სატვირთო მანქანის მძღოლს მათთვის არ უღალატია. მან ისინი რამდენიმე საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე გაატარა და ქალაქ შახტიში ჩაიყვანა, სადაც ღამის გასათევად თავის სიდედრთან, სარა კარლოვნასთან დატოვა. ორმოცდაათ წელს გადაცილებული ქალი აქ თავის შვილებსა - მათ შორის გათხოვილი ქალიშვილიც იყო სამ ბავშვთან ერთად - და მშობლებთან ერთად ცხოვრობდა. ასე რომ, სამ ოთახში თერთმეტ სულს, სამ თაობას მოეყარა თავი: ყოველ თაობას ერთი საძინებელი ეკუთვნოდა. ლევი აქ მესამედ მოჰყვა თავისი გამოძიების პერიპეტიებს. ჩრდილოეთით მდებარე ქალაქების მოსახლეობისგან განსხვავებით, აქაურებს უკვე სმენოდათ ამ დანაშაულთა - ბავშვების მკვლელობათა შესახებ. სარას თქმით, მხოლოდ თითებზე ჩამოსათვლელი ადამიანები თუ არ იყვნენ საქმის კურსში. მიუხედავად ამისა, მათ კონკრეტულად არაფერი იცოდნენ. როდესაც ლევმა მსხვერპლთა სავარაუდო რაოდენობა დაასახელა, გაოგნებული აუდიტორია სიტყვის თქმას ვეღარ ახერხებდა.

დახმარება-არდახმარების საკითხი არც კი წამოჭრილა - ყველანი მაშინვე შეუდგნენ გეგმის შემუშავებას. ლევმა და რაისამ გადაწყვიტეს, დაბინდებას დალოდებოდნენ და ქალაქში ისე გასულიყვნენ, რადგან ღამით ქარხანაში ძალიან ცოტა ხალხი იქნებოდა. ამასთან, იმის ალბათობაც იზრდებოდა, რომ მკვლელი, შესაძლოა, შინ ყოფილიყო. ასევე გადაწყდა, რომ ქალაქში მხოლოდ სხვების თანხლებით გადაადგილებულიყვნენ - მათ ბებია და ბაბუა, აგრეთვე, სამი ბავშვი გაჰყვებოდნენ. ლევსა და რაისას მშობლების როლი უნდა შეესრულებინათ, ნამდვილი მშობლები კი შახტიში დარჩებოდნენ. ოჯახის იმიტაცია უსაფრთხოების ზომებით იყო ნაკარნახები. თუ მათზე უკვე როსტოვშიც ნადირობდნენ, თუ სახელმწიფო უკვე მიხვდა, რომ ისინი ქვეყნის საზღვრების დატოვებას არ

აპირებდნენ, ისინი ქალისა და მამაკაცის წყვილის ძებნას შეუდგებოდნენ. გარეგნობის რადიკალურად შეცვლის შესაძლებლობა მათ არ ჰქონდათ - მხოლოდ თმა შეიკრიჭეს და ახალი ტანსაცმელი ჩაიცვეს.

მაგრამ თუ მარტო ივლიდნენ, დიდი ოჯახის თანხლების გარეშე, მათი შემჩნევა მაინც ადვილად შეიძლებოდა. თუმცა რაისა ძალიან შეწუხდა, როდესაც შეიტყო, რომ ბავშვებიც მათთან ერთად წამოვიდოდნენ - საფრთხეში მათი ჩაგდება არ უნდოდა. ბოლოს ოჯახმა გადაწყვიტა, თუ საქმე ცუდად წავიდოდა და მათ დააკავებდნენ, ბებია და ბაბუა განაცხადებდნენ, რომ ლევი მათ დაემუქრა და ისინიც იძულებულნი გახდნენ, შვილიშვილების უსაფრთხოების გამო დასთანხმებოდნენ.

მატარებელი გაჩერდა. ლევმა ფანჯარაში გაიხედა. სადგურში ბევრი ხალხი ირეოდა. მათ შორის რამდენიმე პატრულიც მოჩანდა. შვიდივენი გადმოვიდნენ ვაგონიდან. რაისას ყველაზე უმცროსი ძმა ხელში აეტატებინა. სამივე ბავშვი წინასწარ გააფრთხილეს, რომ ეხმაურათ.

უფროსი ძმები მიხვდნენ, რაც მოეთხოვებოდათ და ხალისით დაეთანხმნენ, მესამე კი, პატარა, დაბნეული და ტუჩებმოკუმული შეჰყურებდა რაისას, საფრთხეს ინტუიციურად გრძნობდა და ეტყობოდა, რომ სახლში ყოფნა უნდოდა. მიუხედავად ამისა, მხოლოდ ძალზე გამოცდილი და დაკვირვებული ოპერმუშაკი თუ შეამჩნევდა, რომ აქ რაღაც ისე არ იყო.

პლატფორმაზეც და დარბაზშიც ბევრი შემმოწმებელი მოჩანდა, უჩვეულოდ ბევრი ჩვეულებრივი დღისთვის. აშკარად ვიღაცას ეძებდნენ. მართალია, ლევი საკუთარ თავს არწმუნებდა, ამხელა ქვეყანაში ჩვენ გარდა სხვებიც იძებნებიანო, შინაგანი ხმა კარნახობდა, რომ ეს მხოლოდ მათ გამო ხდებოდა. გასასვლელამდე ორმოცდაათი ნაბიჯიღა რჩებოდა.

„მხოლოდ ამაზე იფიქრე“, - უთხრა საკუთარ თავს. ცოტაც და, სამშვიდობოს იქნებოდნენ.

უეცრად წინ უშიშროების ორი შეიარაღებული თანამშრომელი გადაეღობათ.

- საიდან ჩამოხვედით და საით მიემართებით?

წამით რაისამ მეტყველების უნარი დაკარგა. თავიდან ყველა სიტყვა გაუფრინდა. რამე რომ არ შეემჩნიათ, ბავშვს ხელი შეუნაცვლა და სიცილით თქვა: - ისინი ისე შეუმჩნევლად მძიმდებიან!

მას ლევი შეეშველა: - მის დასთან ვიყავით სტუმრად. შახტიში ცხოვრობს. თხოვდება.

ბებიამ დაამატა: - კაცზე, რომელიც გაუთავებლად სვამს, რაც არ მომწონს. ვურჩიე, ასეთ სულელურ ნაბიჯს ნუ გადადგამ-მეთქი.

ლევმა მას ღიმილით მიმართა: - გინდა, ისეთ კაცს გაჰყვეს, რომელიც მარტო წყალს სვამს?

– ეგ თუ არ ჯობდეს!

ბაბუამ თავი დააქნია და თქვა: - დალიოს, მაგრამ ასეთი უშნო რატომ არის?

მოხუცებს გაეცინათ, მაგრამ ოფიცრები მათ არ აჰყვნენ. ერთ-ერთი მათგანი პატარა ბიჭს მიუბრუნდა.

– ამას რა ჰქვია?

შეკითხვა რაისას ეკუთვნოდა. მას კვლავ დაავიწყდა ყველაფერი. აღარაფერი ახსოვდა.

ბოლოს მეხსიერება დაძაბა.

- ალექსანდრი.

პატარა ბიჭმა თავი გადააქნია: - მე ივანი მქვია.

რაისას გაეცინა: - მომწონს, როდესაც ვაჯავრებ. განზრახ ავურევ ხოლმე ძმების სახელებს, ისინი კი ამის გამო ისე სასაცილოდ ბრაზობენ... ახალგაზრდა კაცს, რომელიც ხელში მიყირავს, ივანი ჰქვია.

ის კი მიხაილია.

ეს შუათანას სახელი იყო. რაისას გაახსენდა, რომ უფროსს ალექსეის ეძახდნენ, მაგრამ ტყუილში რომ არ გამოეჭირათ, ბიჭს ისეთი სახე უნდა მიეღო, თითქოს მართლა ალექსანდრი ერქვა.

- ჩემს უფროს ბიჭს კი ალექსანდრი ჰქვია.

ბავშვმა შესაპასუხებლად პირი დააღო, მაგრამ ბებიამ დაასწრო და თმა ალერსიანად მოუჩეჩა, მან კი გაბრაზებით აუქნია ხელი.

– ასე აღარ გააკეთო. უკვე დიდი ვარ.

რაისამ თავი ძლივს შეიკავა, რომ შვებით არ ამოესუნთქა. ოფიცრები განზე გადგნენ და მათ გზა დაუთმეს. გასასვლელისკენ პირველი რაისა გაემართა.

როდესაც სადგურის შენობა თვალს მიეფარა, ლევი და რაისა თანამ-გზავრებს დაემშვიდობნენ და ტაქსიში ჩასხდნენ. წამოსვლამდე სარასა და მის ნათესავებს გამოძიების პროცესში შეგროვებული ყველა მონაცემი შეატყობინეს - თუ რაღაც მიზეზის გამო ისინი მარცხს იწვნევდნენ და თუ მკვლელობა კვლავ მოხდებოდა, მათ საქმეს ეს ოჯახი განაგრძობდა. ისინი მკვლელის მოსაძებნად ახალ ჯგუფს ჩამოაყალიბებდნენ. მარცხის შემ-

თხვევაში, კიდევ ერთი ჯგუფი შეიქმნებოდა. ბავშვების მკვლელს არ უნდა ეცოცხლა. ლევი აცნობიერებდა, რომ ბრბოს მართლმსაჯულებას იყენებდა, სასამართლოსა და გამოძიების გვერდის ავლით, მნიშვნელოვანი მტკიცებულებების გარეშე. ადამიანს სიკვდილს მხოლოდ ირიბი სამხილების საფუძველზე უსჯიდნენ და სამართლიანობის აღსრულების სურვილით შეპყრობილნი იმ სისტემას ჰბაძავდნენ, რომელსაც ებრძოდნენ.

ლევი და რაისა „ვოლგის“ მარკის ტაქსის უკანა სავარძელზე ისხდნენ, რომელიც, ცხადია, ვოლსკის ქარხნის გამოშვებული იქნებოდა, და დუმდნენ. სიტყვები არც სჭირდებოდათ. გეგმა წინასწარ შეედგინათ. ლევს ქარხანა „როსტსელმაშის“ ტერიტორიაზე უნდა შეეღწია, კადრების განყოფილება მოეძებნა და შრომის წიგნაკებში გაკეთებული ჩანაწერები ენახა. ჯერ არ იცოდა, ამას როგორ მოახერხებდა და საკუთარი ინტუიციის იმედი ჰქონდა. ვითარების მიხედვით მოუწევდა მოქმედება. რაისა გარეთ, ტაქსიში უნდა დალოდებოდა და თუ მძღოლი რამეს იეჭვებდა, დაერწმუნებინა, რომ ყველაფერი კარგად იყო. მათ წინასწარ გადაუხადეს მას გვარიანი ავანსი, ასე რომ, პრობლემა არ უნდა შეჰქმნოდათ. როგორც კი ლევი მკვლელის ვინაობასა და მისამართს დაადგენდა, მძღოლი მათ იქ წაიყვანდა. თუ დამნაშავე შინ არ დახვდებოდათ, მაგალითად, მივლინების გამო, მისი ჩამოსვლის თარიღს გაარკვევდნენ, შახტიში გაემგზავრებოდნენ და მკვლელის დაბრუნებას სარას ბინაში დაელოდებოდნენ.

ტაქსი გაჩერდა. რაისა ლევს ხელზე შეეხო. ლევი ნერვიულობდა. მან ძლივს გასაგონად წაიჩურჩულა: – თუ ერთ საათში არ დავბრუნდი...

- ვიცი.

ლევი მანქანიდან გადავიდა და კარი გაიჯახუნა.

ქარხნის მთავარ შესასვლელთან მცველები იდგნენ, თუმცა განსაკუთრებული სიფხიზლით არ გამოირჩეოდნენ. მათ დანახვაზე ლევი მიხვდა, რომ MI b-მ ჯერ არ იცოდა, რომ მისი საბოლოო მიზანი სწორედ სატრაქტორო ქარხანა იყო. თუმცა ბოლომდე არც იმის გამორიცხვა შეიძლებოდა, რომ მთავარ შესასვლელთან მცველების რიცხვი განზრახ შეემცირებინათ, რათა იგი შიგნით შეეტყუებინათ. მაგრამ ლევს ამის ნაკლებად სჯეროდა. მათ შეეძლოთ გამოეთვლათ, რომ ისინი როსტოვში მიემართებოდნენ, მაგრამ კონკრეტული მისამართი არ ეცოდინებოდათ. იგი ღობეს გაუყვა და იმ ადგილს მიაგნო, რომელსაც ეძებდა - მთავარ შესასვლელს აქ აგურის შენობა ეფარებოდა. იგი ღობეზე აძვრა, ფრთხილად გადაევლო მავთულხლართს და ქვევით ჩახტა. უკვე შიგნით იყო.

ქარხნის კონვეიერი დღეღამის განმავლობაში წუთითაც არ ჩერდებოდა. აქ ახლა, სავარაუდოდ, ღამის ცვლა იწყებოდა და ცოტა ხალხი მოჩანდა. უზარმაზარ ტერიტორიაზე რამდენიმე ათასი კაცი მუშაობდა, ლევის გაანგარიშებით, არანაკლებ ათი ათასისა: ბუღალტრები, დამლაგებლები, მტვირთავები და უშუალოდ კონვეიერზე მდგარი მუშები.

ვინაიდან მეორე ცვლას ტერიტორია ჯერ არ დაეტოვებინა, ლევი დარწმუნებული იყო, რომ მასში უცხოს არავინ იეჭვებდა. იგი მშვიდად და ისე მიზანმიმართულად მიაბიჯებდა, თითქოს მთელი ცხოვრება აქ ემუშავა. ყველაზე დიდი შენობისკენ აეღო გეზი. იქიდან ორი მამაკაცი გამოვიდა.

მათ სიგარეტი გააბოლეს და მთავარი გასასვლელისკენ გაემართნენ. როგორც ჩანს, მუშაობა დაემთავრებინათ, მაგრამ მას მოჰკრეს თვალი და შეჩერდნენ. ლევს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა - მათ ხელი დაუქნია და მიუახლოვდა.

- მე მიმწოლი ვარ, ვოლსკის ავტოქარხანაში ვმუშაობ. მეგონა, უფრო ადრე მოვიდოდი, მაგრამ მატარებელმა დააგვიანა. ადმინისტრაციულ კორპუსს ხომ ვერ მიმასწავლით?

- მათ ცალკე შენობა არა აქვთ. მთავარი კანტორა აქ არის, ზედა სართულებზე. გაგაცილებთ.

- დარწმუნებული ვარ, თვითონაც მივაგნებ.

- არაფერია, მაინც არსად მეჩქარება.

ლევს გაეღიმა. უარს ვეღარ იტყოდა. ორი მამაკაცი ერთმანეთს დაემშვიდობა და ლევი არასასურველი ესკორტის თანხლებით ქარხნის მთავარ საამწყობო საამქროს გაუყვა.

როგორც კი შიგნით შეაბიჯეს, წამით ლევს ყველაფერი დაავიწყდა. უზარმაზარი სივრცე, მაღალი ჭერი და მანქანა-დანადგარების ხმაური რელიგიური დაწესებულებებისთვის დამახასიათებელ სასწაულებრივ შთაბეჭდილებას ახდენდა. ეს მართლა ახალი ტიპის ეკლესია იყო, სახალხო ტაძარი, და აქ წარმოქმნილი მოწიწების გრძნობა თავისი მნიშვნელობით მის მიერ გამოშვებულ მანქანებს უტოლდებოდა. ლევი და მისი თანამგზავრი გვერდიგვერდ მიაბიჯებდნენ და ერთმანეთს დროდადრო არაფრის მთქმელ ფრაზებს ეუბნებოდნენ. უეცრად ლევს გაუხარდა კიდეც, ესკორტი რომ მიჰყვებოდა - ეს იმას ნიშნავდა, რომ ორჯერ არავინ შეხედავდა.

ისინი საამქროდან ადმინისტრაციულ სართულზე მიმავალ კიბეს აუყვნენ. მამაკაცმა თქვა: - არ ვიცი, იქნება თუ არა შიგნით ვინმე. როგორც წესი, ღამის ცვლაში არ მუშაობენ.

ლევმა კვლავაც არ იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა. შეძლებდა კი მოტყუებით იმის მიღებას, რაც სჭირდებოდა? აუცილებელი ინფორმაციის კონფიდენციალურობის გათვალისწინებით, ეს ნაკლებად სავარაუდო ჩანდა. რა მიზეზიც უნდა მოეყვანა, ასე ადვილად ვერაფერს მიიღებდა.

აი, სახელმწიფო უშიშროების თანამშრომლის წიგნაკი რომ შერჩენოდა, ყველაფერს გაცილებით მარტივად მიაღწევდა.

მათ შეუხვიეს. მთავარ ოფისში მიმავალი დერეფნიდან საამწყობო კონვეიერის ხედი იშლებოდა. ლევს რაც უნდა გაეკეთებინა, ქვემოთ მყოფი მუშები ყველაფერს დაინახავდნენ.

მისმა მეგზურმა კარზე დააკაკუნა. ახლა ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, რამდენი ადამიანი დახვდებოდა შიგ. კარი ხანდაზმულმა კაცმა გააღო, გარეგნულად ტიპურმა ბუღალტერმა - კოსტიუმით, მიწისფერი სახითა და მჟავე გამომეტყველებით.

– რა გნებავთ?

ლევმა ოთახში ბუღალტრის მხარს ზემოდან შეიხედა. იქ სხვა არავინ ჩანდა.

ლევი შეტრიალდა და თავის თანამგზავრს მუცელში დაარტყა, რის გამოც იგი ორად მოიკეცა.

სანამ ბუღალტერი რამეს მოისაზრებდა, ლევმა ხანდაზმულ კაცს კისერზე ხელი მოხვია.

- ისე მოიქეცი, როგორც გეუბნები, და ცოცხალი დარჩები. გასაგებია?

მან თავი დაუქნია. ლევმა ხელი ოდნავ მოადუნა.

- ფარდები ჩამოაფარე და ჰალსტუხი მოიხსენი.

ლევმა შიგნით შეათრია თავისი მეგზური, ახალგაზრდა კაცი, რომელიც გონზე ჯერაც ვერ მოსულიყო, ხროტინებდა და ფილტვებში ჰაერის შეშვებას ცდილობდა. ბუღალტერმა ჰალსტუხი შეიხსნა და ლევს გადაუგდო, შემდეგ კი ფანჯრებთან მივიდა, რათა ფარდები ჩამოეფარებინა და დანარჩენი სამყაროსთვის უხილავნი გამხდარიყვნენ. ლევმა ახალგაზრდა კაცს ხელები ზურგზე ჰალსტუხით შეუკრა, თან ცალი თვალით ბუღალტერს გასცქეროდა. ეეჭვებოდა, რომ მას ან იარაღი ექნებოდა, ან განგაშის ასატეხი ღილაკი, რადგან აქ მოსაპარი არაფერი იყო. საქმეს რომ მორჩა, მოხუცი ლევს მიუბრუნდა.

- რა გნებავთ?

- შრომის წიგნაკები და მსგავსი ჩანაწერები.

გაოცებული ბუღალტერი დაემორჩილა და კარტოთეკის კარადა გახსნა. ლევი მიუახლოვდა და მის გვერდით გაჩერდა.

- აქ იდექით, არ გაინძრეთ და ხელები კარადაზე დააწყვეთ.

კარადაში ათასობით საქაღალდე მოჩანდა, რომლებშიც ინფორმაცია ინახებოდა როგორც ქარხანაში ამჟამად მომუშავე პერსონალის, ისე გათავისუფლებულ თანამშრომელთა შესახებაც. ოფიციალურად მიმწოლები არ არსებობდნენ, რადგან ეს წარმოებისა და განაწილების სისტემაში ხარვეზების არსებობაზე მეტყველებდა. ასე რომ, ამ კარტოთეკაში მათ, სავარაუდოდ, ვერ აღმოაჩენდა.

- სად ინახავთ მიმწოლთა პირად საქმეს?

ბუღალტერმა კარადა გამოაღო და თაროდან სქელი საქაღალდე ჩამოიღო. ყდაზე დიდი ასოებით ეწერა: კვლევითი განყოფილება. როგორც ლევი მიხვდა, მიმწოლი სულ ხუთი იყო. იგი დაძაბული შეუდგა ამ ადამიანთა ნამსახურობის სიის გაცნობას - გამოძიების წარმატებით დასრულებას ხომ ამ დოკუმენტებში არსებული ინფორმაცია განაპირობებდა. სად მგზავრობდნენ და როდის? თუ მივლინებათა და დანაშაულთა ჩადენის თარიღები ერთმანეთს დაემთხვეოდა, მკვლელი უკვე ხელში ჰყავდა. თუ ბევრი დამთხვევა აღმოჩნდებოდა, მას სახლში მიაკითხავდა და ბავშვების მკვლელობაში დაადანაშაულებდა. ლევს რატომღაც ეჭვი არ ეპარებოდა, რომ დამნაშავე გატყდებოდა და ყველაფერს აღიარებდა. მან სიას ზემოდან ქვემოთ თითი ჩამოაყოლა, თან გონებაში ჩაბეჭდილ თარიღებს ადარებდა. პირველი მიმწოლის მონაცემები არ ემთხვეოდა. ლევი წამით შეჩერდა და საკუთარ თავს ჰკითხა, მეხსიერება ხომ არ მღალატობსო. მაგრამ სამი თარიღი მტკიცედ ახსოვდა: ორი მკვლელობა ვოლსკში და ერთი - მოსკოვში. ეს კაცი კი იქ არასდროს ყოფილა და არც ტრანსციმბირული რკინიგზით უმგზავრია. ლევმა მეორე საქაღალდე გახსნა, პირადი ინფორმაცია გამოტოვა და პირდაპირ სამსახურის შესახებ ცნობებზე გადავიდა. ამ მიმწოლს მხოლოდ ერთი თვის წინ დაეწყო ქარხანაში მუშაობა. ლევმა პირველი ორი საქმე გვერდზე გადადო და ხელი მესამეს მოჰკიდა. კვლავ არავითარი თანხვედრა. ორი ადამიანიღა რჩებოდა. ახლა მეოთხე მიმწოლის რიგი დადგა.

ვოლსკი, მოლოტოვი, ვიატკა, გორკი - მოსკოვისკენ მიმავალ რკინიგზის ხაზზე მდებარე ქალაქები. შემდეგ, მოსკოვიდან სამხრეთისკენ, ტულა

და ორიოლი. უკრაინაში - ხარკოვი და გორლოვკა, ზაპოროჟიე და კრამატორსკი. ყველა ამ ქალაქში მკვლელობა მოხდა. მან საქაღალდე დახურა. სანამ პირად ინფორმაციასაც გადაავლებდა თვალს, მეხუთე საქაღალდეს გახედა. ძლივს მოიკრიბა ყურადღება და ქალაქების სიას გადახედა. მხოლოდ ორიოდე სახელწოდება ემთხვეოდა. ლევი მეოთხე საქაღალდეს მიუბრუნდა, პირველ გვერდზე გადაშალა და პატარა შავ-თეთრ ფოტოსურათს დააკვირდა. მამაკაცი სათვალეს ატარებდა.

ანდრეი ერქვა.

იგივე დღე ვასილი სასტუმროს ნომრის საწოლზე იჯდა, სიგარეტს ეწეოდა, ფერფლს იატაკზე ყრიდა და არაყს პირდაპირ ბოთლიდან სვამდა. თავს არ იტყუებდა: თუ უფროსობას დატყვევებულ ლევსა და რაისას არ მიჰგვრიდა, დაუყოვნებლივ შეახსენებდნენ ფიოდორ ანდრეევის მკვლელობას.

ასეთი იყო გარიგება, რომელიც მოსკოვიდან წამოსვლის წინ დაუდეს. ისინი დაუჯერებდნენ, რომ ფიოდორი ლევს ეხმარებოდა, და როდესაც ამის დამადასტურებელი უტყუარი სამხილები წარუდგინეს, მას, ვასილის, თავს დაესხა. მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ლევს ჩააბარებდა. VII 6-ში, ცოტა არ იყოს, დაბნეულობა სუფევდა, რადგან ჯერაც ვერ მოეხერხებინათ იმ წყვილის დაჭერა, რომელსაც არც იარაღი ჰქონდა და არც ფული, მაგრამ მაინც მოეხერხებინა გაუჩინარება. თუ ვასილი მათ დააკავებდა, ყველა ცოდვას შეუნდობდნენ.

ოფიციოზი უკვე მზად იყო, დაეჯერებინა, რომ ლევმა საზღვარი გადაკვეთა და დასავლელ დიპლომატებს დაუკავშირდა. ლევისა და მისი ცოლის ფოტოსურათები უკვე ყველა საელჩოში გაეგზავნათ. მათი მკვლელობის გეგმაზეც მუშაობდნენ. მაგრამ თუ ვასილი დაეხმარებოდა და ამდენ დავიდარაბას ააცილებდა, რაც დიდ თანხებსა და საერთაშორისო ურთიერთობების გართულებასაც უკავშირდებოდა, მას კვლავ წყალობის თვალით შეხედავდნენ.

ვასილის სიგარეტი ნოხზე დაუვარდა. რამდენიმე წამი მბჟუტავ ნამწვავს შესცქეროდა და მხოლოდ შემდეგ გასრისა ქუსლით. მანამდე იგი უკვე დაუკავშირდა როსტოვის VII 6-ს განყოფილებას და იქ მომუშავე ვიგინდარების ჯგუფს ფოტოსურათები გაუგზავნა, ოპერმუშაკებს შეატყობინა, რომ ლევი ან წვერით იქნებოდა, ან მოკლედ შეკრეჭილი თმით.

შესაძლოა, ის და მისი ცოლი ცალ-ცალკე გადაადგილდებოდნენ, სულაც სხვადასხვა გზით მგზავრობდნენ. ან რომელიმე მათგანი უკვე ცო-

ცხალიც აღარ იყო. ან, პირიქით, თანამზრახველთა ჯგუფთან ერთად მოძრაობდნენ. ოფიცრებს დოკუმენტებისთვის განსაკუთრებული ყურადღება არ უნდა მიექციათ, რადგან ლევს მათი გაყალბება შეეძლო.

სამაგიეროდ, ნებისმიერი პირი უნდა დაეკავებინათ, ვინც ოდნავ მაინც საეჭვოდ მოეჩვენებოდათ, ეჭვმიტანილის გაშვება-არგაშვების საბოლოო გადაწყვეტილებას კი ვასილი მიიღებდა. მან თავის დაქვემდებარებაში მყოფი ოცდაათზე მეტი კაცი საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე განათავსა და რამდენიმე შემოწმებაც ჩაატარა. ბრძანა, რომ ნებისმიერ თანამშრომელს ეცნობებინა თუნდაც ერთი შეხედვით უმნიშვნელო შემთხვევის შესახებაც კი, რათა პირადად გასცნობოდა მას. ასეთი პატაკები დღისითაც მოდიოდა და ღამითაც.

ჯერჯერობით, არაფერი ხდებოდა. ნუთუ ლევს კიდევ ერთი შანსი მიეცემოდა მის დასამცირებლად? ვაითუ, ის იდიოტი ფიოდორი შეცდა? იქნებ ლევი სულ სხვა მხარეს გაემგზავრა? ასეთ შემთხვევაში ვასილის ვეღარაფერი გადაარჩენდა.

კარზე დააკაკუნეს.

- შემოდით.

ზღურბლზე ლოყებაწითლებული და აქოშინებული ახალგაზრდა ოფიცერი გაიჭიმა, ხელში ფურცელი ეჭირა. ვასილიმ ჟესტით ანიშნა, რომ იგი მისთვის გადმოეცა.

ქარხანა „როსტსელმაში“. ადმინისტრაციული განყოფილება.

ორ თანამშრომელს თავს დაესხნენ, პირადი საქმეები გაიტაცეს.

ვასილი წამოდგა.

- ის აქ არის.

იგივე დღე ისინი გვერდიგვერდ იდგნენ, შესასვლელი კარიდან ორმოცდაათი ნაბიჯის დაშორებით.

ლევმა ცოლს ცერად გახედა. ქალმა არაფერი იცოდა მისი სულიერი მდგომარეობის შესახებ.

აღელვებისგან თავბრუ ისე ეხვეოდა, თითქოს ნარკოტიკი მიეღო. გულის სიღრმეში ელოდებოდა, რომ ნორმალურ მდგომარეობას დაუბრუნდებოდა, ყველაფერს სხვა ახსნა მოეძებნებოდა და არც საკუთარი ძმის სახლის წინ იდგებოდა.

ანდრეი ტროფიმოვიჩ სიდოროვი.

სწორედ ასე ერქვა მის უმცროს ძმას.

პაველ ტროფიმოვიჩ სიდოროვი.

ასე ერქვა ოდესღაც თვითონ მას, სანამ ბავშვობის სახელი ისე არ მოისროლა, როგორც გველი იცვლის ხოლმე კანს. ანკეტაში ჩაკრულმა ფოტოსურათმა დაადასტურა, რომ სწორედ ანდრეის ხედავდა. სახის ნაკვთები არ შესცვლოდა - კვლავ დაბნეული გამომეტყველება ჰქონდა. ახლა სათვალეს ატარებდა. აი, რატომ იყო ასეთი მოუხერხებელი - ახლომხედველობის გამო. მის მოუქნელ და მორცხვ ძამიკოს, სულ ცოტა, 44 ბავშვი მოეკლა. ეს უაზრობად ეჩვენებოდა, თუმცა მასში აზრს მაინც ხედავდა: თოკისგან გაკეთებულ ყულფს, დაღეჭილ ხის ქერქს, ნადირობას. კვლავ გადაეშვა წარსულში, რომლის დავიწყებასაც ასე ცდილობდა. ლევს გაახსენდა, როგორ ასწავლიდა უმცროს ძმას ხაფანგის დაგებას, როგორ ურჩევდა ხის ქერქის ღეჭვას შიმშილის გრძნობის მოსაკლავად. ნუთუ ეს გაკვეთილები იქცა ამ ფსიქოზური აშლილობისა და სიგიჟის შაბლონად? რატომ მანამდე ვერ ამჩნევდა ლევი ამ საშინელ მსგავსებას? თუმცა ეს სასაცილოც კი იქნებოდა. მსგავს გაკვეთილებს უამრავ ბავშვს უტარებდნენ, ნადირობასაც ასწავლიდნენ. მსხვერპლის დანახვისას ლევი ამ მნიშვნელოვან დეტალებს ვერ ამჩნევდა. იქნებ ამჩნევდა კიდეც? ნეტავ თვითონ აირჩია ეს გზა თუ გზამ აირჩია იგი? ამიტომ ხომ არ ჩაერთო გამოძიებაში, როდესაც თავისუფლად შეეძლო ეთქვა, რომ ეს მას არ ეხებოდა?

როდესაც ძმის შავ-თეთრ ფოტოსურათს მოჰკრა თვალი, გაოგნებული ლევი ანგარიშმიუცემლად სკამზე დაჯდა, შემდეგ კი აღელვებული შეუდგა თარიღებისა და ადგილების გადამოწმებას. შოკში იყო, მცირე ხნით საფრთხის შეგრძნებაც კი დაკარგა.

შეამჩნია, როგორ ეპარებოდა ბუღალტერი ტელეფონს. მაშინვე გამოფხიზლდა, ბუღალტერი სკამზე მიაბა, ტელეფონის სადენი გადაჭრა, ორივე მამაკაცს პირში ჩვარი ჩასჩარა და კაბინეტი დაკეტა. აქაურობას სასწრაფოდ უნდა გასცლოდა. თავი ხელში უნდა აეყვანა. დერეფანს მიუყვებოდა, როცა შეამჩნია, რომ სწორად ვერ მიდიოდა და აქეთ-იქით ქანაობდა. ბოლომდე ჯერაც ვერ გაეცნობიერებინა, რომ სამყარო თავდაყირა დადგა. ამიტომ საამქროდან გამოსული ინსტინქტურად მთავარი გასასვლელისკენ გაემართა. გვიან გაახსენდა, რომ გაცილებით უსაფრთხო იმავე გზით უკან დაბრუნება იყო, რომლითაც მოვიდა, მაგრამ ახლა გეზს ვეღარ შეცვლიდა - დაცვის ყურადღებას მიიპყრობდა. რაღა დარჩენოდა, მათთვის გვერდით უნდა ჩაევლო. ზურგზე ცივმა ოფლმა დაასხა. საბედ-

ნიეროდ, მცველებს მისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ. ლევი ტაქსიში ჩაჯდა, მძღოლს მისამართი უთხრა და დაამატა, რომ ჩქარა ევლო.

ხელ-ფეხი უკანკალებდა და ამას ვერაფერს უხერხებდა. ხედავდა, როგორ ეცნობოდა რაისა პირად საქმეს. მას უკვე შეეტყო მისი ძმის ამბავი, მათ შორის სახელიც, მაგრამ გვარი და მამის სახელი არ იცოდა. სანამ ქალი ყურადღებით ათვალიერებდა დოკუმენტს, ლევი მის რეაქციას აკვირდებოდა. რაისა ვერაფერს ხვდებოდა, ორისთვის ორი ვერ მიემატებინა. მაგრამ როგორ უნდა მიმხვდარიყო? მან ხომ ვერ გაბედა მისთვის სიმართლის თქმა.

ეს კაცი ჩემი ძმაა.

ვერაფრით გაიგებდნენ, რამდენი სული იმყოფებოდა ძმის სახლში. ყველაზე დიდ პრობლემას კი ისინი ქმნიდნენ. სავარაუდოდ, მათ არაფერი იცოდნენ ამ ადამიანის, ამ მკვლელის ბუნების, მის მიერ ჩადენილ დანაშაულთა შესახებ. ნაწილობრივ იმიტომ, რომ იგი საკუთარი სახლის სიახლოვეს არ კლავდა. მისი ძმა ორი სახით ცხოვრობდა: ერთ მხარეს სამაგალითო მეოჯახე კაცი იდგა, მეორე მხარეს - მკვლელი. ლევის სულშიც ორი ადამიანი თანაარსებობდა: ბიჭი, როგორიც ოდესდაც იყო, და ის, ვინც დიდობაში გახდა. ლევმა თავი გააქნია - ყურადღება უნდა მოეკრიბა, რათა ეს კაცი მოეკლა. სწორედ ამიტომ მოვიდა აქ.

როგორმე შეუმჩნევლად უნდა გასცდენოდა მათ. პისტოლეტი არც მას ჰქონდა, არც რაისას.

რაისამ იგრძნო ქმრის ყოყმანი და ჰკითხა: - რა გაწუხებს?

- ამ სახლში მცხოვრები სხვა ადამიანები.

- შენ ის ნანახი გყავს. მისი ფოტოსურათი ორივემ ვნახეთ. შეგიძლია, შიგნით შეაღწიო და ძილში მოკლა.

– ამას ვერ გავაკეთებ.

– ლევ, ის მეტს არ იმსახურებს.

- უნდა დავრწმუნდე. უნდა დაველაპარაკო.

- ყველაფერს უარყფფს. რაც უფრო მეტს ისაუბრებთ, მით უფრო გაგიჭირდება მისი მოკვლა.

- შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ მძინარეს ვერ მოვკლავ.

ლევმა რაისას სარას ნაჩუქარი დანა გაუწოდა.

- ეს არ დამჭირდება.

ქალმა ხელები ზურგს უკან დამალა.

– ლევ, ამ კაცმა ორმოცზე მეტი ბავშვი მოკლა.

- ამისთვის მე მას მოვკლავ.

- თავის დაცვა რომ გადაწყვიტოს? დანა აუცილებლად ექნება. იქნებ პისტოლეტიც ჰქონდეს.

შესაძლოა, ღონიერიც აღმოჩნდეს.

- ის მებრძოლი არაა. მორცხვია და მოუქნელი.

– რა იცი, ლევ? წაიღე დანა. უიარაღოდ როგორ მოკლავ?

მაგრამ ლევმა ძალით ჩაუდო დანა რაისას ხელში.

- დაგავიწყდა, რომ სწორედ ამას მასწავლიდნენ. მომენდე.

ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ლევი ცოლს ნდობის გამოცხადებას სთხოვდა.

- მე მჯერა შენი.

ორივემ იცოდა, რომ არც მომავალი ჰქონდათ, არც გაქცევის და ერთად ყოფნის იმედი დღევანდელი ღამის დასრულების შემდეგ. რაისა უეცრად მიხვდა, რომ მის ერთ ნაწილს უნდოდა, მკვლელი შინ არ დახვედროდათ, რომ მივლინებით ყოფილიყო წასული. მაშინ ორიოდე დღე კიდევ მოუწევდათ ერთად ყოფნა, ხაფანგებისგან თავის დაღწევა, სანამ კვლავ აქ დაბრუნდებოდნენ დაწყებული საქმის დასამთავრებლად. მას შერცხვა ამგვარი აზრების და მათი თავიდან მოცილება სცადა. ვინ მოთვლის, რამდენმა ადამიანმა ჩაიგდო სიცოცხლე საფრთხეში, რათა მათ აქამდე მოეღწიათ? მან ლევს აკოცა და წარმატება, იმ კაცის მოკვლა უსურვა.

ლევმა რაისა საფარში დატოვა და სახლისკენ გაემართა. ისინი წინასწარ მოფიქრებული გეგმის მიხედვით მოქმედებდნენ. რაისა ცოტა მოშორებით უნდა დარჩენილიყო და ოთხი თვალი და ოთხი ყური გამოება. თუ კაცი გაქცევას დააპირებდა, ამის შესაძლებლობა არ უნდა მიეცა. თუ ისე მოხდებოდა, რომ ლევი მიზანს ვერ მიაღწევდა, ის ადამიანი თვითონ უნდა მოეკლა.

ლევი კართან მიიპარა. შიგნიდან მკრთალი შუქი იღვრებოდა. ნუთუ ვინმეს არ ეძინა? მან ფრთხილად მოჰკიდა ხელი სახელურს. კარი გაიღო. გამოჩნდა მომცრო სამზარეულო და ქურა.

შუქი ნავთის ლამპიდან მოდიოდა: გაჭვარტლული შუშის მიღმა ნამცეცი ალი ციმციმებდა.

ლევმა ზღურბლს გადააბიჯა და სამზარეულოს გავლით სხვა ოთახში გავიდა. მისდა გასაოცრად, აქ მხოლოდ ორი საწოლი იდგა. ერთში ორ პატარა გოგონას ეძინა ტკბილად, მეორეში კი მხოლოდ მათი დედა იწვა. ანდრეი არსად ჩანდა. ნუთუ ძმის ოჯახში მოხვდა? და, მაშასადამე, თავი-

საშიც? და აქ მის რძალს, მოშორებით კი მის ძმისშვილებს ეძინათ? არა, ამას ვერ დაიჯერებდა. ალბათ, ქვევით კიდევ ცხოვრობდა ერთი ოჯახი. ლევი შეტრიალდა. მკერდზე თეთრლაქიანი შავი კატა ცივი მწვანე თვალებით მისჩერებოდა. მართალია, იმაზე აშკარად მსუქანი იყო, რომელზეც პატარაობისას ტყეში ნადირობდნენ, მაგრამ ერთმანეთს მაინც ძალიან ჰგავდნენ, ბეწვიც მსგავსი შეფერილობის ჰქონდათ. ლევს უეცრად მოეჩვენა, რომ ყველაფერი ესიზმრებოდა, მის გარშემო კი შორეული წარსულის ნატეხები ეწყობოდა. კატა სარდაფისკენ მიმავალ, ოდნავ შეღებულ კარის ღრეჩოში გაძვრა. ლევი უკან მიჰყვა.

კატა ვიწრო კიბის საფეხურების გავლით მკრთალად განათებულ სარდაფში ჩავიდა და გაუჩინარდა. ზედა ბაქნიდან ქვემოთ მდებარე ოთახი თითქმის არ ჩანდა. ლევი მხოლოდ ლოგინის კიდეს ხედავდა, რომელზეც არავინ იწვა. იქნებ ანდრეი შინ არ იყო? ლევი კიბეზე დაეშვა. ცდილობდა, არ ეხმაურა.

ძირს რომ მიაღწია, ფრთხილად გაიხედა კუთხიდან. მაგიდასთან ვიღაც კაცი იჯდა. თეთრი, სუფთა პერანგი ეცვა, სქელშუშებიანი კვადრატული სათვალე ეკეთა. საკუთარ თავს კარტს ეთამაშებოდა. უეცრად მან თავი ასწია. ანდრეი გაოცებულ ადამიანს სულ არ ჰგავდა. იგი წამოდგა. ლევმა მის გვერდით, კედელზე, გაზეთის ამონაჭრების კოლაჟს მოჰკრა თვალი.

ყველა ფოტოსურათზე თვითონ იყო გამოსახული - მოღიმარი ლევი ალმოდებულ ტანკთან, საბჭოთა კავშირის გმირი გამარჯვების მაუწყებელ პლაკატზე.

- პაველ, ამდენ ხანს სად იყავი?

უმცროსმა ძმამ ჟესტით ანიშნა მის წინ მდგარ სკამზე.

ლევი უეცრად მიხვდა, რომ უნდა დამორჩილებოდა, სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა. ვითარება უმართავი ხდებოდა. ანდრეი არც შეშფოთებული ჩანდა და არც მოულოდნელობისგან შემკრთალი. არც აღელვებისგან ებმოდა ენა და არც გაქცევას ცდილობდა. ეტყობოდა, რომ დიდხანს ემზადებოდა ამ შეხვედრისთვის. ლევი კი დაიბნა და თავს მოუსვენრად გრძნობდა.

უჭირდა, ძმის მოთხოვნას შესწინააღმდეგებოდა.

ლევი დაჯდა. ანდრეიც დაეშვა თავის სკამზე. ძმა ძმის პირისპირ - ერთად შეყრა ოცზე მეტი წლის შემდეგ. ანდრეიმ იკითხა: - თავიდანვე იცოდი, რომ ეს მე ვიყავი?

- თავიდანვე?
- შენ მიერ პირველი გვამის აღმოჩენისთანავე.
- არა.
- ვისი ცხედარი აღმოაჩინე პირველად?
- ლარისა პეტროვასი, ვოლსკში.
- ქალიშვილი, მახსოვს.
- არკადიც გახსოვს, მოსკოვში?
- მოსკოვში რამდენიმე იყო.

„რამდენიმე“ - როგორ მშვიდად წარმოთქვა ეს სიტყვა. თუ იქ მართლა რამდენიმე მკვლელობა მოხდა, მაშასადამე, ყველა მიუჩქმალავთ.

- არკადი წელს, თებერვალში დაიღუპა რკინიგზის ლიანდაგებში.
– პატარა ბიჭი?
– ოთხი წლის.
– ჰო. ისიც მახსოვს. ეს ხომ ცოტა ხნის წინ იყო. იმ დროისთვის მეთოდი უკვე გაუმჯობესებული მქონდა, მაგრამ შენ მაინც ვერ ხვდებოდი, რომ ეს მე ვიყავი? ვაღიარებ, რომ ადრე ჩადენილ მკვლელობებში სურათი არც ისე მკაფიოდ ჩანდა. ძალიან ვნერვიულობდი. ისე ვერ მოვიქცეოდი, რომ ყველა ყველაფერს მიმხვდარიყო. ისეთი რამე უნდა მომეფიქრებინა, რასაც მხოლოდ შენ მიხვდებოდი. ჩემს სახელს ხომ ვერ დავაწერდი? თუმცა მხოლოდ შენ გესაუბრებოდი.
- რას გულისხმობ?
- ძმაო, მე არასდროს მჯეროდა, რომ დაიღუპე. ყოველთვის ვიცოდი, რომ ცოცხალი იყავი.

მხოლოდ ერთი სურვილი მქონდა - შენი დაბრუნება.

რა ჟღერდა ახლა ანდრეის ხმაში - ბრაზი თუ სიყვარული? იქნებ ორივე ერთად? რა უნდოდა სინამდვილეში - ლევის დაბრუნება თუ მასზე შურისძიება? ანდრეიმ გაიღიმა და ეს ღიმილი ისეთი ფართო და გულწრფელი იყო, თითქოს ახლახან კარტში მოეგო.

- შენი მოუქნელი, უგერგილო და სულელი ძმა ერთში მართალი აღმოჩნდა - შენთან დაკავშირებით. ვცდილობდი დედაჩვენის დარწმუნებას, რომ ცოცხალი იყავი, მაგრამ მას ჩემი არ სჯეროდა. ეგონა, რომ ვიღაცამ დაგიჭირა და მოგკლა. ვეუბნებოდი, რომ ასე არ იყო, რომ ნადავლთან ერთად გაიქეცი. შევპირდი, რომ გიპოვიდი, პოვნის შემდეგ კი გულიდან ბრაზს ამოვიგდებდი და გაპატიებდი, მაგრამ ვერაფერი შევასმინე და ჭკუაზე შეიშალა. ავიწყდებოდა, ვინ ვიყავი. მაშინ ვეშმაკობდი და შენად

ვასაღებდი თავს. ასეთ დროს პაველს მეძახდა და დახმარებას მთხოვდა, როგორც შენ ეხმარებოდი ხოლმე მას ყოველთვის. ისე ვიქცეოდი, თითქოს მე - შენ ვიყავი. ასე გაცილებით მარტივი იყო და მასაც სიხარულით თვალები უბრწყინავდა. მაგრამ თუ შეცდომას დავუშვებდი, მაშინვე ყველაფერს ხვდებოდა, ბრაზდებოდა და მანამ მირტყამდა, სანამ მრისხანება არ გაუნელდებოდა. შემდეგ კვლავ დაგტიროდა. შენმა გაუჩინარებამ მასზე საშინლად იმოქმედა. ყველას ჰყავს ვიღაც, ვისი გულისთვისაც ცხოვრება ღირს. მისთვის ასეთი ადამიანი შენ იყავი. ჩემთვისაც. ჩვენ მხოლოდ ერთი რამ განგვასხვავებდა: მე ვიცოდი, რომ ცოცხალი იყავი.

ლევი მას ისე უსმენდა, როგორც აღფრთოვანებული პატარა ბავშვი უსმენს უფროსს, რომელიც მას სამყაროს მოწყობის შესახებ უყვება. არც ხელის აწევა შეეძლო, არც ადგომა, არც არაფრის გაკეთება - სიტყვასაც კი ვერ აწყვეტინებდა ძმას. ანდრეი კი განაგრძობდა: - სანამ დედაჩვენი თანდათანობით ჭკუაზე იშლებოდა, საკუთარ თავზე ზრუნვა ვისწავლე.

საბედნიეროდ, ზამთარი დასასრულს უახლოვდებოდა და ცხოვრება კალაპოტში დგებოდა.

ჩვენს სოფელში მხოლოდ ათი კაცი გადარჩა, თერთმეტი, შენი ჩათვლით. ბევრგან კი ყველა დაიხოცა. როდესაც გაზაფხულდა და თოვლი გადნა, გვამები ისე აყროლდა და გაიხრწნა, ახლოს ვერ მიეკარებოდი, ზამთარში კი წყნარად, მშვიდად და სრულიად უმოძრაოდ იწვნენ.

ყოველ საღამოს ტყეში მივდიოდი და შენ გეძებდი. კვალს ვპოულობდი, მივყვებოდი და გეძახდი, მაგრამ არ ბრუნდებოდი.

ლევის გონება ნელა არჩევდა ნაცნობ სიტყვებს და წინადადების აწყობას ცდილობდა.

ბოლოს გაუბედავად იკითხა: - ამ ბავშვებს იმიტომ ხოცავდი, რომ გეგონა, მიგატოვე, არა?

- მათ იმიტომ ვხოცავდი, რომ შენ ჩემი მოძებნა შეგძლებოდა. იმიტომ ვხოცავდი, რომ შინ დაბრუნებულიყავი. იმიტომ ვხოცავდი, რომ დაგლაპარაკებოდი. სხვა ვინ მიხვდებოდა, რომ ეს ყველაფერი ჩვენს ბავშვობას უკავშირდებოდა? ვიცოდი, რომ გამოძიება ჩემს კვალზე დაგაყენებდა. შენ ხომ ყოველთვის გეხერხებოდა კვალის წაკითხვა. შენ მონადირე ხარ, პაველ, მსოფლიოში საუკეთესო მონადირე. არ ვიცოდი, მილიციაში მუშაობდი თუ სადმე სხვაგან.

როდესაც შენი ფოტოსურათი ვნახე, „პრავდის“ ჟურნალისტებთან გასაუბრება ვცადე. მათ შენი სახელი ვკითხე. ავუხსენი, რომ ჩვენ დაგვაშო-

რეს, და რომ, ჩემი აზრით, პაველი გერქვა. მაგრამ მიპასუხეს, რომ ვცდებოდი, შენი პირადი ცხოვრების დეტალები კი გასაიდუმლოებული იყო.

ვეხვეწებოდი, ის მაინც მითხარით, რომელ დივიზიაში მსახურობს-მეთქი, მაგრამ არც ამ შეკითხვაზე მიპასუხეს. არადა, მეც ვიყავი ჯარისკაცი, მართალია, შენნაირი არა, არც გმირი, არც ელიტური არმიის წევრი, მაგრამ იმდენი კი ვიცოდი, რომ დავასკვენი: განსაკუთრებული დანიშნულების შეიარაღებულ ძალებში ირიცხებოდი. რადგან ასე გიფრთხილდებოდნენ, ისიც გამოვთვალე, რომ ომის შემდეგ ან ჯარში დარჩებოდი, ან სახელმწიფო უშიშროებაში მოხვდებოდი, ან მთავრობაში. ვგრძნობდი, რომ დიდი კაცი გახდებოდი - სხვაგვარად ვერც იქნებოდა - და ამ მკვლელობების შესახებ ინფორმაციაზე ხელი მიგიწვდებოდა. შესაძლოა, ასე არც მომხდარიყო, მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებული ვიყავი: თუ საკმარისი რაოდენობის ბავშვს მოვკლავდი, სადაც უნდა გემუშავა, ადრე თუ გვიან, ჩემი ნამოქმედარის კვალს წააწყდებოდი და აუცილებლად მიხვდებოდი, რომ ამას მე ვაკეთებდი.

ლევი წინ გადაიხარა. ძმა ალერსიანად ლაპარაკობდა, სათქმელს ზუსტად ასაბუთებდა. მან ჰკითხა: - ძმაო, მომიყევი, რა შეგემთხვა?

- სოფლიდან წამოსვლის შემდეგ? ის, რაც ყველას: ჯარში გამიწვიეს. ბრძოლაში სათვალე დავკარგე და გერმანელებს ჩავუვარდი ხელში. დავნებდი და მათ ტყვეობაში აღმოვჩნდი.

როდესაც რუსეთში დავბრუნდი, დამაპატიმრეს, დამკითხეს, მცემეს. ციხეში ჩასმით მემუქრებოდნენ. ვეუბნებოდი, სადაური მოღალატე ვარ, თითქმის ვერაფერს ვხედავ-მეთქი.

ნახევარი წელი უსათვალოდ დავდიოდი. საკუთარი ცხვირის იქით ყველაფერი გადღაბნილ ლაქად მეჩვენებოდა. ყოველ ბავშვში შენ გხედავდი. უნდა დავეხვრიტეთ, მაგრამ გუშაგები ყოველთვის გულიანად იცინოდნენ, როდესაც ავეჯსა და კედლებს ვეჯახებოდი და პატარა ბალღივით სულ ვეცემოდი. გადავრჩი. ძალიან სულელი და მოუხერხებელი ვიყავი, გერმანელების ჯაშუშად რომ ვეღიარებინე. კარგად გამომლანძღეს, გამლახეს და გამომიშვეს.

აქ დავბრუნდი, მაგრამ ხალხს მაინც ვძულდი, მოღალატედ მიმიჩნევდნენ. ეს სულ არ მადარდებდა. მე ხომ შენ მყავდი, ჩემი ცხოვრების მთავარი მიზანი შენი დაბრუნება გახდა.

- და მკვლელი გახდი?

– თავდაპირველად ამ ოლქში ვკლავდი, მაგრამ ექვსი თვის გასვლის შემდეგ ვაღიარე, რომ, შესაძლოა, სხვა ქალაქში ცხოვრობდი. ამიტომაც მიმწოლად დავიწყე მუშაობა, რათა მთელ ქვეყანაში მემოგზაურა და ყველგან დამეტოვებინა ნიშანი, კვალი, რომლის მიხედვითაც ჩემთან მოხვიდოდი.

- ნიშანი? კვალი? ისინი ხომ ბავშვები იყვნენ.

- თავდაპირველად ცხოველებს ვხოცავდი, აი, ისე, როგორც კატა მოვკალით მაშინ მე და შენ, მაგრამ ამან არ გაამართლა. მათ ყურადღებას არავინ აქცევდა. ყველას ფეხებზე ეკიდა. ისინი არავის ადარდებდა. ერთხელ ტყეში ბიჭი შემომხვდა. მკითხა, რას აკეთებო. ავუხსენი, რომ სატყუარას ვტოვებდი. ბიჭი იმდენივე წლის იყო, რამდენისაც შენ, როდესაც მიმატოვე. მაშინ მივხვდი, რომ ეს ბავშვი გაცილებით უკეთესი სატყუარა იქნებოდა. მკვდარ ბიჭს ხომ მაინც შეამჩნევდნენ? შენც მიხვდებოდი ჩემი ნაბიჯის მნიშვნელობას. როგორ გგონია, რატომ ვკლავდი ასე ხშირად ზამთარში? რათა თოვლში ჩემს კვალს წასწყდომოდი. განა ჩემი ფეხსაცმლის ნაკვალევს ისევე არ მიჰყვებოდი, როგორც მაშინ ტყეში იმ კატისას?

ლევი უსმენდა ძმის რბილ და ჩუმ ხმას და ეჩვენებოდა, რომ ის უცხო ენაზე ლაპარაკობდა.

- ანდრეი, შენ ოჯახი გყავს. ზემოთ შენი შვილები ვნახე, ისეთები არიან, როგორიც შენ მიერ დახოცილები. ორი შესანიშნავი ქალიშვილის მამა ხარ. ნუთუ ვერ ხვდები, რომ არასწორად იქცეოდი?

- ეს აუცილებელი იყო.

– არა.

უეცრად ანდრეი გაცხარდა და მაგიდას ორივე მუშტი დასცხო.

– ასეთი ტონით ნუ მელაპარაკები! უფლება არა გაქვს, გამიბრაზდე! არც კი გიცდია ჩემი მოძებნა! უკან არასდროს დაბრუნებულხარ! იცოდი, რომ ცოცხალი ვიყავი, მაგრამ ეს სულ არ გაინტერესებდა! დაივიწყე სულელი და მოუქნელი ანდრეი! ის შენთვის არაფერია! შეშლილ დედასთან ერთად დამტოვე გახრწნილი გვამებით სავსე სოფელში! რა უფლებით მასამართლებ?

ლევი ძმის ბრაზით დაღრეჯილ სახეს შეჰყურებდა, რომელსაც ნაცნობი აღარაფერი შერჩენოდა. ნუთუ ეს სწორედ ის ადამიანი იყო, რომელიც უკანასკნელად ჯერ კიდევ ბავშვობისას ნახა? რამდენი რამ, რამდენი ენით აუწერელი საშინელება გადაუტანია მის ძმას?!

მაგრამ სიბრალულისა და გაგების დროს კარგა ხნის წინ ჩაევლო. ანდრეიმ შუბლიდან ოფლი მოიწმინდა.

-- მხოლოდ ასე თუ გაიძულებდი, რომ მოგეძებნე. ეს ერთადერთი გზა იყო შენი ყურადღების მისაპყრობად. შეგეძლო, დაგეწყო მაინც ძებნა, მაგრამ ეს არ გააკეთე. შენი ცხოვრებიდან მომისროლე და ყველაფრის დავიწყება სცადე. მე კი ყველაზე ბედნიერი მაშინ ვიყავი, როდესაც ტყეში კატა დავიჭირეთ. ერთად ვიყავით, ერთ გუნდად, და ასეთ დროს სამყაროს უსამართლობასაც ვერ ვამჩნევდი, თუნდაც არც საჭმელი გვქონოდა და არც ცეცხლის დასანთები შეშა გაუსაძლის ყინვაში, მაგრამ შემდეგ შენ ჩემგან წახვედი.

- ანდრეი, მე არ მიმიტოვებიხარ. ძალით წამიყვანეს. ტყეში ერთმა კაცმა თავში ჩამარტყა, ტომარაში ჩამსვა და წამიყვანა. სხვაგვარად არასდროს მიგატოვებდი.

ანდრეიმ ჯიუტად გადააქნია თავი.

- დედაც ასე ამბობდა, მაგრამ ეს ტყუილია. შენ მიღალატე.

- მე კინაღამ მოვკვდი. ის კაცი, ვინც წამიყვანა, ჩემს მოკვლას აპირებდა, რათა ჩემი ხორცი თავისი შვილისთვის ეყმია, მაგრამ როდესაც სახლში მივედით, აღმოჩნდა, რომ მისი შვილი უკვე მომკვდარიყო. მე კი ტვინის შერყევა მქონდა და საკუთარი სახელიც არ მახსოვდა. დიდი დრო გავიდა, სანამ ყველაფერი გამახსენდებოდა. მაშინ უკვე მოსკოვში ვცხოვრობდით.

სოფლიდან გავემგზავრეთ, რათა თავი გადაგვერჩინა. მოგვიანებით შენც გამახსენდი და დედაც. ისიც, თუ როგორ ვცხოვრობდით ერთად. ყველაფერი გამახსენდა, მაგრამ რა მექნა?

არჩევანი არ მქონდა. ცხოვრება უნდა გამეგრძელებინა. ძალიან ვწუხვარ.

ლევი პატიებას ითხოვდა.

ანდრეიმ მაგიდიდან კარტი აიღო და აჭრას შეუდგა.

- შეგეძლო, მაშინ მოგეძებნე, როდესაც წამოიზარდე. გეცადა მაინც. მე ხომ გვარი არ შემიცვლია. რა უნდოდა ჩემს მოძებნას, მით უმეტეს, იმ ადამიანისთვის, ვისაც ძალაუფლებაც ჰქონდა.

იგი სიმართლეს ამბობდა. ლევს შეეძლო უმცროსი ძმის მოძებნა, მაგრამ ამჯობინა, წარსული აღარ გაეხსენებინა, ახლა კი მისმა ძმამ თავისი მკვლელობებით კვლავ გაკვალა მისი ცხოვრებისკენ მიმავალი გზა.

- ანდრეი, მთელი ცხოვრება წარსულის დავიწყებას ვცდილობდი. როდესაც წამოვიზარდე, მეშინოდა, ჩემს ახალ მშობლებს გული არ ვატკინო-მეთქი. მეშინოდა მათთვის წარსულის, იმ დროის გახსენება, როდესაც ჩემი მოკვლა უნდოდათ. ეს მათ ენით აუწერელ ტკივილს მიაყენებდა. ღამღამობით - ყოველღამ - ოფლში გაწურულს მეღვიძებოდა, მესიზმრებოდა, თითქოს გადაიფიქრეს და კვლავ ჩემი მოკვლა სურდათ. ძალას არ ვიშურებდი, რომ მათთვის თავი შემეყვარებინა. ეს ჩემთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი იყო.

- შენ ყოველთვის უჩემოდ გინდოდა ყოფნა, პაველ. ყოველთვის ჩემი მიტოვება გსურდა.

– იცი, აქ რატომ მოვედი?

- ჩემს მოსაკლავად. კიდევ რისთვის უნდა მოვიდეს მონადირე? მას შემდეგ, რაც მომკლავ, მე შემიძულებენ, შენ კი ეყვარებით. ყოველთვის ასე იყო.

- ძმაო, მე მოღალატეს მიწოდებენ იმის გამო, რომ შენი შეჩერება მსურს.

ანდრეი გულწრფელად გაოცდა.

- რატომ?

- იმიტომ, რომ შენ მიერ ჩადენილი მკვლელობები სხვებს დააბრალეს და ამ დანაშაულთა გამო, პირდაპირ თუ ირიბად, ბევრი უცოდველი ადამიანი დაიღუპა. გესმის? შენი ბრალეულობა სახელმწიფოსთვის დასანანი დაბრკოლებაა.

ანდრეის გამომეტყველების მიხედვით ძნელი იყო გამოცნობა, რაზე ფიქრობდა იგი, ბოლოს მან თქვა: - აღიარებას დავწერ.

მორიგი აღიარება! პმერედა რა ეწერებოდა შიგ?

მე, ანდრეი სიდოროვი, მკვლელი ვარ.

ძმა ვერაფერს მიხვდა. მისი აღიარება არავის სჭირდებოდა, არავის უნდოდა, რომ მას ბრალი ეღიარებინა.

- ანდრეი, აქ შენი აღიარების წასაღებად კი არ მოვედი, არამედ იმაში დასარწმუნებლად, რომ ვეღარავის მოკლავ.

- შენთვის ხელის შეშლას არ ვაპირებ. რაც მინდოდა, იმას მივაღწიე. მართალი აღმოვჩნდი.

გაიძულე, გული დაგწყვეტოდა იმის გამო, რომ ადრე არ მომძებნე. შენ რომ ეს გაგეკეთებინა, წარმოიდგინე, რამდენ სიცოცხლეს გადაარჩენდი.

- გიჟი ხარ.

- სანამ მომკლავ, მოდი, კარტი ვითამაშოთ. გთხოვ, ძმაო. ეს ყველაზე ცოტაა, რისი გაკეთებაც ჩემთვის შეგიძლია.

ანდრეიმ კარტი დაარიგა. ლევი იჯდა და მათ დასცქეროდა.

- გეხვეწები, ძმაო. მხოლოდ ერთი პარტია. თუ მეთამაშები, ჩემი მოკვლის უფლებას მოგცემ.

ლევმა თავისი კარტი აიღო. არა იმიტომ, რომ ძმის დაპირება ირწმუნა, არამედ აზრის მოსაკრებად და დასამშვიდებლად. უნდა წარმოედგინა, რომ ანდრეი ვიდაც უცნობი იყო. მათ თამაში დაიწყეს. ანდრეიმ ყურადღება მოიკრიბა, ძალიან კმაყოფილი ჩანდა. გვერდიდან რაღაც ხმაური გაისმა. შეშფოთებული ლევი იქით მიტრიალდა. კიბის ძირში, ბოლო საფეხურზე, მშვენიერი, თმაგაწეწილი პატარა გოგონა იდგა და კუთხიდან მორიდებით იყურებოდა. როგორც ჩანს, ესწავლებინათ, რომ ფარულად ყვრეტა ცუდი საქციელი იყო. ანდრეი წამოდგა.

- ნადია, ეს ჩემი ძმაა, პაველი.

- აი, ის, რომელზეც მიყვებოდი? ჩვენთან სტუმრად რომ უნდა მოსულიყო?

– ჰო.

ნადია ლევს მიუბრუნდა.

- თქვენ, ალბათ, მშიერი ხართ. შორიდან ჩამოხვედით?

ლევმა არ იცოდა, რა ეთქვა. მას ანდრეი შეეშველა.

- წადი, დაწექი.

- მე ხომ უკვე გავიღვიძე. ვეღარ დავიძინებ. ვიწვები თვალღია და თქვენს ლაპარაკს დავუგდებ ყურს. შეიძლება, აქ დავრჩე? ძალიან მინდა ბიძაჩემის გაცნობა. მე ხომ შენი ნათესავებიდან ჯერ არავინ მინახავს. გეხვეწები რა, მამიკო!

- პაველმა გრძელი გზა გამოიარა ჩემს მოსაძებნად. ბევრი სალაპარაკო გვაქვს.

ლევს გოგონა როგორმე უკან უნდა გაებრუნებინა. რეალური საფრთხე არსებობდა, რომ ეს ყველაფერი ოჯახური გაერთიანების ზეიმად ქცეულიყო: არაყი, ცივი ხორცის ნაჭრები მისაყოლებლად და შეკითხვები წარსულის შესახებ. ის კი აქ კაცის მოსაკლავად მოსულიყო.

- იქნებ ჩაი დავლიოთ, თუ გაქვთ?

- გვაქვს. მე უკვე ვიცი მომზადება. დედა ხომ არ გავაღვიძო?

ანდრეიმ მოკლედ უპასუხა: - არა, ეძინოს.

- მაშინ თვითონ მოვამზადებ.

– კარგი, ეგრე იყოს.

გაღიმებული გოგონა ზევით გაიქცა.

სიხარულით აღგზნებული ნადია კიბეზე ადიოდა. მამის ძმა სიმპათიური კაცი გამოდგა, ბევრი საინტერესო ამბავი ეცოდინებოდა. ის ხომ ჯარისკაცი იყო, ომის გმირი. იქნებ ისიც სცოდნოდა, როგორ გამხდარიყო გამანადგურებლის მფრინავი. შესაძლოა, ცოლი მფრინავიც კი ჰყოლოდა. მან სასტუმრო ოთახის კარი შეაღო და შეშინებულმა შეჰყვირა. სამზარეულოს შუაგულში გაუნძრევლად იდგა ძალიან ლამაზი დეიდა და ცალი ხელი ზურგს უკან წაეღო. იგი თითქოს არსაიდან გაჩნდა - გეგონებოდათ, ვიღაცამ გიგანტური ხელი ფანჯარაში შემოყო და ქალი ისე დასვა, როგორც თოჯინა სათამაშო სახლში.

რაისამ დანიანი ხელი ზურგს უკან დამალა. იგი უსაშველოდ დიდხანს იდგა გარეთ, სანამ ნერვებმა არ უმტყუნა. როგორც ჩანს, რაღაც გაუთვალისწინებელი მომხდარიყო და დაწყებული საქმე ახლა თვითონ უნდა დაესრულებინა. მან ზღურბლზე გადააბიჯა და შვებით ამოისუნთქა, როდესაც მიხვდა, რომ სახლში ცოტა ხალხი ცხოვრობდა. თვალი მოჰკრა ორ საწოლს, რომლებზეც დედა და მისი ქალიშვილი იწვნენ. მის წინ მდგარი გოგონა ვინღა იყო? აქ საიდან გაჩნდა? პატარას კმაყოფილი და ბედნიერი სახე ჰქონდა. მაშასადამე, პანიკისა და შიშის საფუძველი არ ჰქონდა. ჯერ არავინ მომკვდარიყო.

- მე რაისა მქვია. ჩემი ქმარი აქ არის?

- პაველს გულისხმობთ?

პაველი - რატომ უწოდებს საკუთარ თავს პაველს? თავის ძველ სახელს?

– დიახ...

- მე ნადია მქვია. მიხარია, რომ გაგიცანით. მამის ნათესავებს არასდროს შევხვედრივარ.

რაისა კვლავინდებურად გულმოდგინედ მალავდა დანიან ხელს ზურგს უკან. რომელ ნათესავებზე ლაპარაკობდა ეს გოგონა?

- სად არის ჩემი ქმარი?

- ქვემოთ.

- მინდოდა მისთვის მეთქვა, რომ უკვე აქა ვარ.

რაისა კიბისკენ გაემართა, დანა მეორე ხელში გადაიტანა და წინ გასწია, რათა ნადიას არ დაენახა, კარს ხელი ჰკრა და გააღო.

რაისა ძალიან ნელა დაეშვა კიბეზე. ქვემოდან აუჩქარებელი საუბრის ხმა მოესმა. მან დანა მოიმარჯვა. მთელი ტანი უცახცახებდა. საკუთარ თავს შეახსენა, რომ რაც უფრო დიდხანს იფიქრებდა, როგორ მოეკლა ეს კაცი, ამის გაკეთება მით უფრო გაუჭირდებოდა. რაისამ კიბე ჩაათავა და დაინახა, რომ მისი ქმარი კარტს თამაშობდა.

***

ვასილიმ ოპერმუშაკებს უბრძანა, სახლი ალყაში შეუმჩნევლად მოექციათ - ისე, რომ გაქცევა ვერავის მოეხერხებინა. მას სულ თხუთმეტი ოფიცერი ახლდა თან. ბევრი მათგანი ადგილობრივი კადრი იყო, რომლებსაც არ იცნობდა. იმის შიშით, რომ ისინი კანონის მიხედვით იმოქმედებდნენ და ლევსა და მის ცოლს დააპატიმრებდნენ, გადაწყვიტა, დაესწრო მათთვის, ინიციატივა თავის ხელში აეღო და მოესპო ყველა სამხილი, რომლებიც მათ სიმართლეს ამტკიცებდა. პისტოლეტმომარჯვებული ვასილი წინ დაიძრა. მას ორი ოპერმუშაკი მიჰყვა უკან, მაგრამ მან ჟესტით ანიშნა, რომ არ გაჰყოლოდნენ.

- ხუთი წუთი მადროვეთ. სანამ არ დაგიძახებთ, აქედან ფეხი არ მოიცვალოთ. გასაგებია?

თუ ხუთი წუთის შემდეგ არ გამოვჩნდი, სახლი შტურმით აიღეთ და ყველა დახოცეთ.

***

რაისას დანა კვლავ წინ გაეშვირა. ხელი ოდნავ უკანკალებდა. არა, ამის გაკეთებას ვერ შეძლებდა. ამ კაცს ვერ მოკლავდა. იგი იჯდა და მის ქმარს კარტს ეთამაშებოდა. ლევი მისკენ წამოვიდა.

- ამას თვითონ მოვუვლი.

- კარტს რატომ ეთამაშები?

- იმიტომ, რომ ის ჩემი ძმაა.

ზემოთ ხმაური გაისმა. შეშინებული პატარა გოგონა წიოდა. ვიღაც მამაკაცმა მას უხეშად დაუყვირა. სანამ ვინმე განძრევას მოასწრებდა, კიბის ბოლო საფეხურზე პისტოლეტშემართული ვასილი გამოჩნდა. წამით ისიც დაიბნა, როდესაც მაგიდაზე კარტს მოჰკრა თვალი.

- ამხელა გზა კარტის სათამაშოდ გამოგივლიათ. მე კი მეგონა, ეგრეთ წოდებულ ბავშვების მკვლელზე ნადირობდით. თუ ესეც თქვენ მიერ რე-

ფორმირებული საგამოძიებო პროცესის ნაწილია?

ლევი მიხვდა, რომ დრო ძალიან გაწელა. ახლა ანდრეის მოკვლას ვეღარ შეძლებდა. თუ გაინძრეოდა, ვასილი მას ტყვიას დაახლიდა, ანდრეი კი გადარჩებოდა. ახლაც კი, ამ გაერთიანების შემდეგ, რამაც, როგორც თვითონ ანდრეი ამბობდა, ეს მკვლელობები განაპირობა, ლევს არ სჯეროდა, რომ მისი ძმა შეჩერებას შეძლებდა. ლევი დამარცხდა. იგი ლაპარაკობდა, არადა, უნდა ემოქმედა. სრულიად გადაავიწყდა, რომ ბევრ ადამიანს მისი, ლევის სიკვდილი უფრო აძლევდა ხელს, ვიდრე მისი ძმის.

- ვასილი, უნდა მომისმინო.

- დაიჩოქე.

- გთხოვ...

ვასილიმ პისტოლეტი ასწია. ლევი მუხლებზე დაეცა. ახლა მორჩილება და ხვეწნა-მუდარა თუ შეეძლო, მაგრამ ეს კაცი მაინც არ მოუსმენდა - მას მხოლოდ პირადი შურისძიება ამოძრავებდა.

- ვასილი, ეს მნიშვნელოვანია...

ვასილიმ პისტოლეტის ლულა თავზე მიადო.

- რაისა, ქმრის გვერდით დაიჩოქე. სწრაფად!

ქალი ლევს შეუერთდა. ახლა გვერდიგვერდ იდგნენ, სწორედ ისე, როგორც მიხაილი და მისი ოჯახი ფარდულთან დახვრეტის წინ. რაისამ კეფაზე პისტოლეტი იგრძნო, ქმარს ხელი ჩასჭიდა და თვალები დახუჭა. ლევმა შესძახა: – არა!

პასუხად ვასილიმ მას პისტოლეტი თავში დამცინავად ჩაუკაკუნა.

– ლევ...

ვასილის ხმა ჩაუწყდა. რაისამ ქმარს ხელი უფრო მაგრად მოუჭირა. წამები ნელა გადიოდა.

ოთახში ჩქამი არ ისმოდა. არაფერი ხდებოდა. ლევმა თავი ძალიან ნელა მიაბრუნა.

დაკბილულპირიანი დანა ვასილის ზურგში ჩარჭობოდა და მუცლის გავლით გარეთ გამოსულიყო: ანდრეის დანა მშვიდად აეღო - ამასთან არც წაბორძიკებულა და არც დაცემულა - და უცნობისთვის სწრაფად, ზუსტად და მარჯვედ ეძგერებინა. ანდრეიმ ძმა სიკვდილს გადაარჩინა. ასეთი გახარებული და ბედნიერი ცხოვრებაში არასდროს ყოფილა, მაშინაც კი, როდესაც ტყეში კატა ერთად მოკლეს.

ლევი წამოდგა და ვასილის პისტოლეტი გამოართვა. ამ უკანასკნელს პირის კუთხეებიდან სისხლი წამოუვიდა. იგი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო,

მაგრამ თვალებში უკვე ჩაქრობოდა სიძულვილის ალი. ახლა გეგმებს აღარ აწყობდა. მან გაჭირვებით ასწია ხელი და ლევს მხარზე დაადო, თითქოს საუკეთესო მეგობარს ეთხოვებოდა, შემდეგ კი პირქვე დაემხო. ადამიანმა, მთელი ცხოვრება ლევის განადგურებას რომ შესწირა, სული განუტევა, მაგრამ ლევი არც შვებას გრძნობდა და არც კმაყოფილებას. მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ ბოლო, ყველაზე რთული დავალება უნდა შეესრულებინა.

ამასობაში რაისაც წამოდგა და ქმარს გვერდში დაუდგა. ანდრეი იქ დარჩა, სადაც იდგა.

ერთხანს არავინ განძრეულა. ლევმა ნელა ასწია პისტოლეტი და ძმას სათვალის ჩარჩოს ზემოთ, შუბლში დაუმიზნა. ახლა პატარა ოთახში პისტოლეტის ლულასა და ანდრეის თავს შორის ნახევარი მეტრიც არ იქნებოდა.

უეცრად ბავშვის შეძახილი გაისმა: - რას აკეთებთ?

ლევი შეტრიალდა. კიბის ქვედა საფეხურზე ნადია იდგა. რაისამ ქმარს გადაუჩურჩულა: - ლევ, ცოტა დრო გვაქვს.

მაგრამ ლევს გასროლა არ შეეძლო. ანდრეიმ თქვა: - ძმაო, მინდა, ეს გააკეთო.

რაისამ ხელისგული ქმრის ხელს ზემოდან დაადო. მათ ერთად გამოჰკრეს სასხლეტს თითი.

გაისმა გასროლა. ანდრეის თავი შეუქანდა, შემდეგ კი მთელი ტანით იატაკზე დაენარცხა.

სროლის ხმაზე სახლში შეიარაღებული ოპერმუშაკები შემოცვივდნენ და სარდაფისკენ გაემართნენ. რაისამ და ლევმა იარაღი ძირს დააგდეს. ოთახში შემოსული პირველი ოფიცერი ვასილის ცხედარს მიაჩერდა. ლევმა აცახცახებული ხელი ანდრეისკენ, თავისი უმცროსი ძმისკენ გაიშვირა და თქვა: - ეს კაცი მკვლელია, თქვენი მეთაური კი მისი დაპატიმრების მცდელობისას დაიღუპა.

ლევმა იატაკიდან შავი პორტფელი აიღო. უკვე იცოდა, შიგნით რა იდებოდა, მაგრამ მაინც გახსნა. იქ შუშის ქილა აღმოჩნდა, რომელშიც ქაღალდში გახვეული რაღაც იდო. მან თავსახური მოხსნა და ქილა მაგიდაზე, კარტზე გადმოაპირქვავა. ეს ძმის ბოლო მსხვერპლის გაზეთ „პრავდაში“ გახვეული კუჭი აღმოჩნდა. ლევმა ძლივს გასაგონი ხმით დაამატა: - ვასილი გმირივით დაიღუპა.

როდესაც ოპერმუშაკები მაგიდას შემოეხვივნენ, რათა ეს საშინელება საკუთარი თვალით ეხილათ, ლევმა უკან დაიხია. ნადია მას მისჩერებოდა. თვალებში მამის მძვინვარება უელავდა.

მოსკოვი 18 ივლისი ლევი გაჭიმული იდგა მაიორ გრაჩოვის წინ სწორედ იმ კაბინეტში, სადაც უარი განაცხადა მეუღლის საქციელის საჯაროდ დაგმობაზე. მაიორს იგი პირველად ხედავდა. არც არასდროს სმენოდა მის შესახებ, მაგრამ განყოფილებაში ახალი უფროსის გამოჩენას არ გაუოცებია.

სახელმწიფო უშიშროების ზედა ეშელონებში დიდხანს არავინ რჩებოდა. არადა, უკვე ოთხი თვე გასულიყო აქ მისი უკანასკნელად ყოფნის შემდეგ. ამჯერად გადასახლების ან გულაგში გაგზავნის იმედი არ უნდა ჰქონოდა. მათ, ალბათ, დღესვე დახვრეტდნენ.

მაიორმა გრაჩოვმა თქვა: - თქვენი უშუალო უფროსი ბერიას მიერ დანიშნული მაიორი კუზმინი იყო. ამჟამად ორივე დაპატიმრებულია, თქვენი საქმე კი მე გადმომცეს.

მაგიდაზე მის მიერ წარმოებული გამოძიების შელახული, ვოლსკში კონფისკებული დოკუმენტები ეწყო. გრაჩოვმა საბუთებს, ფოტოსურათებს, მოწმეთა ჩვენებებსა და სასამართლოს განჩინებათა ამონაწერებს გადახედა და განაგრძო: - იმ სარდაფში სამი კუჭი აღმოვაჩინეთ, ორისგან საჭმელი იყო მომზადებული. ისინი ბავშვებს ამოაჭრეს, თუმცა მსხვერპლთა ვინაობის დადგენა ჯერაც ვერ მოხერხდა. ვერც ცხედრებს მივაგენით... მაგრამ თქვენ სიმართლეს ამბობდით. ანდრეი სიდოროვი მკვლელი იყო. მის საქმეს თვალი გადავავლე. როგორც ჩანს, ნაცისტურ გერმანიასთან თანამშრომლობდა და შემთხვევით გაათავისუფლეს ომის შემდეგ, ნაცვლად იმისა, რომ დამსახურებული სასჯელი მიეზღოთ. ჩვენმა მხარემ უპატიებელი შეცდომა დაუშვა. იგი ნაცისტების აგენტი იყო და ფაშისტებზე გამარჯვების შემდეგ ჩვენთან შურისძიების მიზნით შემოგზავნეს. ამ შურისგებამ ჩვენს ბავშვებზე საშინელი თავდასხმების სახე მიიღო. მათ კომუნიზმის მომავალზე აღმართეს ხელი. მეტიც, ეს პროპაგანდისტულ კამპანიად აქციეს. სურდათ, მოსახლეობა დაერწმუნებინათ, რომ ჩვენს საზოგადოებაშიც შეიძლება დაიბადოს ასეთი ურჩხული. სინამდვილეში კი იგი სამშობლოს მოსწყვიტეს, თავში დასავლეთის გაუკუღმართებული აზრები ჩაუნერგეს და მოწამლული, უცხო გულით უკან დააბრუნეს. ყურადღება მივაქციე, რომ დიდი სამამულო ომის წინ მსგავსი მკვლელობა არასდროს მომხდარა.

იგი გაჩუმდა და ლევს შეხედა.

- სხვა აზრი ხომ არა გაქვთ?

- არა, ამხანაგო მაიორო. ზუსტად ისე ვფიქრობ, როგორც ბრძანეთ.

გრაჩოვმა მას ხელი გაუწოდა.

- თქვენ პატიოსნად ემსახურეთ სამშობლოს. დამავალეს, სამსახურში დაწინაურება და სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში მაღალი თანამდებობა შემოგთავაზოთ, რაც მომავალ პოლიტიკურ საქმიანობაში დაგეხმარებათ, თუ ამ მიმართულებით წინსვლას მოიუსურვებთ.

ახალი დროება დადგა, ლევ. პრობლემები, რომლებსაც გამოძიების პროცესში წააწყდით, ჩვენს ხელმძღვანელს, ხრუშჩოვს, სტალინური მმართველობისთვის დამახასიათებელ უპატიებელ გადაცდომად მიაჩნია. თქვენი მეუღლეც გათავისუფლებულია. ვინაიდან იგი უცხოეთის ჯაშუშზე ნადირობაში გეხმარებოდათ, მის ერთგულებაში ეჭვი არავის ეპარება. თქვენს პირად საქმეებში მაკომპრომეტირებელი ჩანაწერები წაიშლება. მშობლებს ძველ ბინას დაუბრუნებენ. თუ აღმოჩნდება, რომ იქ სხვა ცხოვრობს, მაშინ ახალი, უკეთესი ბინით უზრუნველყოფენ.

ლევი დუმდა.

– არაფერს იტყვით?

- ძალზე გულუხვი შემოთავაზებაა. ეს ჩემთვის დიდი პატივია. უნდა გითხრათ, რომ როდესაც ამ საქმეს ვასრულებდი, დაწინაურებაზე ან თანამდებობაზე არ ვფიქრობდი. უბრალოდ, ვიცოდი, რომ ის კაცი უნდა შემეჩერებინა.

- გასაგებია.

- თუ ნებას დამრთავთ, ამ წინადადებაზე უარს ვიტყვი და სხვა თხოვნით მოგმართავთ.

- განაგრძეთ.

- მსურს, რომ მკვლელობათა გამოძიების მოსკოვის განყოფილებას ვუხელმძღვანელო. თუ ასეთი რამ ჯერ არ არსებობს, მინდა, შეიქმნას.

- რისთვის არის საჭირო მსგავსი განყოფილება?

-– როგორც თავად ბრძანეთ, მკვლელობა ჩვენი საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ იარაღად იქცა. თუ მტერი თავის ცრუ პროპაგანდას ჩვეულებრივი მეთოდებით ვერ გაავრცელებს, ის არც არატრადიციულ საშუალებებზე იტყვის უარს. მიმაჩნია, რომ დამნაშავეობასთან ბრძოლა დასავლეთთან დაპირისპირებაში ახალ ფრონტად გადაიქცევა.

ისინი მას ჩვენი ჰარმონიულად განვითარებადი საზოგადოების წინააღმდეგ გამოიყენებენ. და როდესაც ამას დააპირებენ, მინდა, იქ დავხვდე და შევაჩერო.

- განაგრძეთ.

- გთხოვთ, გენერალი ნესტეროვი მოსკოვში გადმოიყვანოთ. ვისურვებდი, რომ მას ჩემთან ერთად ემუშავა ახალ განყოფილებაში.

გრაჩოვმა თხოვნა გაიაზრა და თავი დიდი ამბით დაუკრა.

***

რაისა მას გარეთ ელოდებოდა და ძერჟინსკის ქანდაკებას შესცქეროდა. შენობიდან გამოსულმა ლევმა ცოლს ხელკავი გამოსდო და დაუფარავად გამოხატა მის მიმართ სიყვარული ყველა იმ ადამიანის თვალწინ, რომლებიც ახლა, უეჭველია, მათ ლუბიანკის ფანჯრებიდან შესცქეროდნენ, მაგრამ ეს სულ არ ადარდებდა. ახლა აღარაფერი ემუქრებოდათ. უახლოეს მომავალში მაინც. ლევმა ძერჟინსკის ქანდაკებას შეხედა და უეცრად გააცნობიერა, რომ მისი ერთი გამონათქვამიც კი არ ახსოვდა.

ერთი კვირის შემდეგ

მოსკოვი

25 ივლისი

ლევი და რაისა ზოოპარკის სიახლოვეს მდებარე ბავშვთა მე-12 სახლის დირექტორის კაბინეტში ისხდნენ. ლევმა ცოლს გადახედა და ჰკითხა: - ამდენი ხანს რას აკეთებენ?

– არ ვიცი.

– რაღაც მოხდა.

რაისამ თავი გადააქნია: – არა მგონია.

- მგონი, დირექტორს არ მოვეწონეთ.

- მე ვერაფერი შევამჩნიე.

- ვინ იცის, ჩვენზე რას ფიქრობს.

– აბა, რა გითხრა.

- შენი აზრით, დადებითად განეწყო ჩვენ მიმართ?

- ამას მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, ისინი რას იტყვიან.

ლევი წამოდგა და შეწუხებული სახით ჩაილაპარაკა: - მან ხელი უნდა მოაწეროს.

- მოაწერს კიდეც. რა პრობლემაა.

ლევი კვლავ დაჯდა და თავი დააქნია.

- მართალი ხარ. უბრალოდ, ვნერვიულობ.

- მეც.

– როგორ გამოვიყურები?

- შესანიშნავად.

- ძალზე ოფიციალურად ხომ არა?

- დამშვიდდი, ლევ.

კარი გაიღო და ოთახში დირექტორი, ორმოცდაათიოდე წლის მამაკაცი შემოვიდა.

- მივაგენი.

ლევმა გაიფიქრა, ეს იდიომაა თუ მართლა მთელი შენობა გადააქოთაო. დირექტორი განზე გადგა. მის უკან ორი პატარა გოგონა იდგა, ზოია და ელენა, მიხაილ ზინოვიევის ქალიშვილები.

რამდენიმე თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ისინი სახლის გვერდით, თოვლით დაფარულ ეზოში, საკუთარი მშობლების დახვრეტას შეესწრნენ. ამ ხნის განმავლობაში გარეგნულად უარესობისკენ შეცვლილიყვნენ. წონაში დაეკლოთ, ფერი დაეკარგათ. უმცროსისთვის, ოთხი წლის ელენასთვის, თავი გადაეხოტრათ, უფროსისთვის კი, ათი წლის ზოიასთვის, მოკლედ შეეჭრათ. ალბათ, ტილების გამო.

ლევი წამოდგა. მას რაისამაც მიჰბაძა. ლევი დირექტორს მიუბრუნდა: - ცოტა ხნით მარტო ხომ ვერ დაგვტოვებდით?

დირექტორს თხოვნა არ მოეწონა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა, გავიდა და კარი გაიხურა.

გოგონებმა მაშინვე უკან დაიხიეს და ზურგით კედელს აეკრნენ, რათა უფროსებისგან თავი, შეძლებისდაგვარად, შორს დაეჭირათ.

- ზოია, ელენა, მე ლევი მქვია. გახსოვვართ?

შეკითხვას დუმილი მოჰყვა. გოგონებს გამომეტყველება არ შესცვლიათ. ცუდის მოლოდინში ორივენი შეშფოთებით შესცქეროდნენ მას. ზოიამ უმცროს დას ხელი ჩაჰკიდა.

- ეს ჩემი ცოლია, რაისა. ის მასწავლებელია.

- გამარჯობა, ზოია. გამარჯობა, ელენა. მოდი, დავსხდეთ. ასე უფრო მოხერხებულად ვიქნებით.

ლევმა ორი სკამი აიღო და გოგონებს დაუდგა, რომლებსაც აშკარად არ უნდოდათ, კედელს მოსცილებოდნენ, მაგრამ მაინც დასხდნენ, თუმცა არც ერთმანეთისთვის გაუშვიათ ხელი და არც ხმა ამოუღიათ.

ლევი და რაისა ჩაცუცქდნენ, რათა ერთ დონეზე აღმოჩენილიყვნენ. ოღონდ წინდახედულად მოიქცნენ და მათ ძალზე არ მიახლოებიან. გოგონებს ფრჩხილებქვეშ ჭუჭყი შავ ზოლად გასდევდათ, თუმცა, სხვა მხრივ, ხელები სუფთა ჰქონდათ. ჩანდა, რომ ბავშვები სასწრაფოდ მოეწესრიგებინათ მნიშვნელოვან სტუმრებთან შეხვედრის წინ. ლევმა ჩაახველა და დაიწყო: - მე და ჩემს ცოლს გვინდა, რომ სახლი შემოგთავაზოთ. ჩვენი სახლი.

– ლევმა მიამბო, აქ როგორ მოხვდით. ვწუხვარ, თუ ამის შესახებ საუბარი არ გსიამოვნებთ, მაგრამ მიგვაჩნია, რომ რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი უნდა გითხრათ.

- ვცდილობდი, თქვენი მშობლების მკვლელი შემეჩერებინა, მაგრამ ვერ მოვახერხე. იქნებ ვერც კი ხედავთ განსხვავებას ჩემსა და იმ ოფიცერს შორის, რომელმაც ეს საშინელი დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ დამიჯერეთ, მე სრულიად სხვანაირი ვარ.

ლევს ხმა ჩაუწყდა. მან წამით შეისვენა, რათა თავს მორეოდა.

- შესაძლოა, ფიქრობთ, რომ თუ ჩვენთან ერთად ცხოვრებას დათანხმდებით, ამით საკუთარ მშობლებს უღალატებთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მათ თქვენთვის მხოლოდ საუკეთესო ენდომებოდათ. ბავშვთა სახლში დარჩენა კარგს ვერაფერს მოგიტანთ. ვფიქრობ, ეს სხვებზე უკეთ იცით აქ გატარებული ოთხი თვის შემდეგ.

რაისამ ქმარს მხარი აუბა: - გთხოვთ, არცთუ იოლი გადაწყვეტილება მიიღოთ. ორივენი ძალზე ახალგაზრდები ხართ.

სამწუხაროდ, ისეთ დროში ვცხოვრობთ, როდესაც ბავშვებს დიდების შესაფერისად უწევთ მოქცევა. თუ აქ დარჩებით, რთული ცხოვრება გელით, რომელიც არა მგონია, ოდესმე უკეთესობისკენ შეიცვალოს.

- მე და ჩემს ცოლს გვინდა, ბავშვობა დაგიბრუნოთ, რათა კვლავ გიხაროდეთ ცხოვრება.

თქვენი მშობლების ადგილის დაკავებას არ ვაპირებთ. მათ ვერავინ შეგიცვლით. ჩვენ თქვენი მეურვეები ვიქნებით, მოგხედავთ, საჭმლითა და ბინით უზრუნველგყოფთ.

რაისამ გაიღიმა და თქვა: - სანაცვლოდ არაფერს ვითხოვთ. სულაც არ არის აუცილებელი, შეგვიყვაროთ. არც იმას ვფიქრობთ, რომ ახლავე მოგეწონებით, მაგრამ თუ ეს დროთა განმავლობაში მაინც მოხდება, ძალიან გაგვიხარდება. შეგიძლიათ, ჩვენს წინადადებას თუნდაც იმ მიზნით დათანხმდეთ, რომ აქაურობას მოსცილდეთ.

იმის შიშით, რომ გოგონებს უარი არ ეთქვათ, ლევმა დაამატა: – თუ არ მოგწონვართ, შევეცდებით, სხვა ოჯახი მოგიძებნოთ, რომელიც გიშვილებთ და თქვენს წარსულთან შეხება არ ექნება. თუ ეს გირჩევნიათ, გვითხარით. ფაქტია, რაც მოხდა, იმას ვერაფრით შევცვლი, მაგრამ უკეთეს მომავალს გთავაზობთ და სანაცვლოდ არაფერს ვითხოვთ. ერთად იცხოვრებთ. თქვენი ოთახი გექნებათ. თუმცა ყოველთვის გემახსოვრებათ, რომ სწორედ მე მოვედი თქვენს სახლში მამათქვენის დასაკავებლად. შესაძლოა, დროთა განმავლობაში წარსული ისე მძაფრად აღარ აღიქვათ, მაგრამ ეს არასდროს დაგავიწყდებათ, რაც აუცილებლად გაარ-

თულებს ჩვენს ურთიერთობას. ამის მიუხედავად, საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, მაინც კარგ ოჯახს შევქმნით.

გოგონები ჩუმად, ისხდნენ და ხან ლევს შესცქეროდნენ, ხან რაისას. სახეზე არაფერი ეტყობოდათ. ხელები კვლავ ერთმანეთისთვის ჩაეკიდათ.

რაისამ შენიშნა: - შეგიძლიათ, „დიახ“ გვიპასუხოთ, შეგიძლიათ - „არა“. თუ გვთხოვთ, სხვა ოჯახს მოგიძებნით. ყველაფერი მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული.

ლევი წამოდგა.

- მე და ჩემი ცოლი ცოტას გავისეირნებთ. იმსჯელეთ ჩვენს წინადადებაზე. ამ ოთახში არავინ შემოვა, ხელს არავინ შეგიშლით. ისე მოიქეცით, როგორც საჭიროდ ჩათვლით.

ნურაფრის გეშინიათ.

ლევი გოგონებს გასცდა და კარი გამოაღო. რაისა დერეფანში გავიდა. ლევი უკან გაჰყვა და კარი მიხურა. მათ ერთმანეთს ხელი ჩაჰკიდეს და აღელვებულები გასასვლელისკენ გაემართნენ. ასე საშინლად ცხოვრებაში არასდროს უნერვიულიათ.

***

დირექტორის კაბინეტში ზოია თავის პატარა დაიკოს გადაეხვია.

ავტორისაგან

ძალიან გამიმართლა, როდესაც ისეთი შესანიშნავი აგენტის მხარდაჭერა მოვიპოვე, როგორიც სენტ-ჯონ დონალდია PDF-დან. სწორედ მისი წაქეზებით დავწერე ეს წიგნი. დიდი მადლობა მას როგორც წაქეზებისთვის, ასევე ბევრი სხვა რამისთვისაც. უღრმეს მადლობას ვუხდი ჯორჯინა ლიუისსა და ალისა დანს ფასდაუდებელი დახმარებისთვის. ჩემს მრავალრიცხოვან შავად ნაწერს მშვენივრად ასწორებდა სარა ბალარდი, რომელიც იდეალურად უხამებდა ერთმანეთს კრიტიკასა და ქებას. დაბოლოს, თუმცა, ცხადია, დიდად ვარ დავალებული PDF-ისგან, მინდა მადლობა გადავუხადო ჯეიმზ ჯილს იმისთვის, რომ, როდესაც ჩემი დასრულებული წიგნი წაიკითხა, მითხრა, ყველაფერი ახლა იწყებაო, და მისი გადაწერა მაიძულა. იმ ეტაპზე ამგვარი ენთუზიაზმი ძალიან გამომადგა, რასაც გულწრფელად ვაფასებ.

შესანიშნავად გაართვეს თავი მოვალეობას ჩემმა რედაქტორებმა: სიუზანა ბაბონომ დიდი ბრიტანეთის სააგენტო „საიმონ ენდ შუსტერიდან“ და მიჩ ჰოფმანმა გამომცემლობა „გრანდ სენტრალ ფაბლიშინგიდან“. მათთან მუშაობამ დიდი სიამოვნება მომანიჭა. მადლობა აგრეთვე ჯესიკა კრეიგს, ჯიმ რუტმანსა და ნატალინა სანინას. ნატალინამ იმდენი სიკეთე გამოიჩინა, რომ რუსული სახელებისა და რუსეთში ცხოვრების პირობების აღწერისას დაშვებულ შეცდომებზე მიმითითა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბობ ბუკმანი CAA-დან, რომელიც არც რჩევას მაკლებდა და რობერტ თაუნიც გამაცნო. რობერტმა, ჩემმა საყვარელმა მწერალმა, დრო გამონახა და საკუთარი აზრი გამიზიარა წიგნის ბოლო ვარიანტის თაობაზე. ალბათ, ზედმეტია იმის თქმა, რომ ეს ჩემთვის შთაგონების წყაროდ იქცა.

პროფესიონალთა გარდა, ჩემი შესანიშნავი მკითხველებიც უნდა ვახსენო. უზარმაზარი დახმარება გამიწია ზოია ტროდმა. ალექსანდრა არლანგომ და დედამისმა, ელიზაბეტმა, ჩემი რომანის მრავალი ინკარნაცია წაიკითხეს და ყოველთვის ზუსტ და სასარგებლო შენიშვნებს მაძლევდნენ. სიტყვები არ მყოფნის მათთვის მადლობის გადასახდელად. ისე გამოვიდა, რომ სწორედ ალექსანდრამ, რომელიც „ქვერთი ფილმზში“ მუშაობდა მაიკლ კანთან, ემელინ იანგსა და კოლინ ვუდკოკთან, დამიყოლია, რომ კალმისთვის მომეკიდა ხელი. თავდაპირველად მათთვის სცენა-

რის წერა დავიწყე, მუშაობის პროცესში კი ანდრეი ჩიკატილოსა და მის გარშემო მომხდარი მოვლენების შესახებ წავაწყდი მასალას.

რომანისთვის საბოლოო სახის მიცემაში ბევრი ადამიანი დამეხმარა. მათგან, პირველ რიგში, ბენ სტივენსონს გამოვყოფდი. არასოდეს ისეთი ბედნიერი არ ვყოფილვარ, როგორიც ამ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში.

კიდევ რა წავიკითხოთ

ამ წიგნს ვერასდროს დავწერდი, სხვადასხვა ავტორთა მემუარებს, დღიურებსა და ისტორიულ მოგონებებს რომ არ გავცნობოდი. კვლევამ ძალიან გამიტაცა და წერაზე არანაკლები სიამოვნება მომანიჭა. საკითხები, რომლებსაც ამ წიგნში გაკვრით ვეხები, მათში საოცარი სიღრმისეულობით არის გაშუქებული. იმასაც გეტყვით, რომ მხოლოდ მე მეკისრება პასუხისმგებლობა რომანში მოყვანილი ისტორიული სიმართლისა და ფაქტების უზუსტობისა და თავისუფალი ინტერპრეტაციის გამო.

იანუშ ბარდაჩის მემუარები „ადამიანი ადამიანისთვის მგელია“ (დაწერილია ქეთლინ გლისონთან ერთად; გამომცემლობა „სქრიბნერი“, 2003) დამაჯერებლად გადმოგვცემს, თუ როგორ ცდილობდნენ ადამიანები თავის გადარჩენას სტალინის რუსეთის ბანაკებში. ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს ამავე თემაზე დაწერილი ანა აპელბაუმის „გულაგი“ („პენგუინი“, 2004) და ალექსანდრ სოლჟენიცინის „არქიპელაგი გულაგი“ („ჰარვილი“, 2003).

იმ დროის ისტორიული გარემოს უკეთ გასაცნობად ძალიან დამეხმარა რობერტ კონკვისტის „მწუხარების ალოობა“ („,პიმლიკო“, 2002), საიმონ სებაგ მონტეფიორეს „სტალინი“ (ფენიქსი“, 2004) და შეილა ფიცპატრიკის „ყოველდღიური სტალინიზმი“ („ოქსფორდ იუნივერსითი პრესი“, 1999).

რაც შეეხება რუსეთის პოლიციის მოქმედებას, ენტონი ოლკოტის „რუსულ საკითხავში“ (,როუმენ ენდ ლითლფილდი“, 2001) დაწვრილებით არის აღწერილი არა მარტო მართლმსაჯულების სისტემა, არამედ მისი ლიტერატურული ხორცშესხმაც. ძალიან გამომადგა ბორის ლევიცკის „ტერორის გამოყენება“ (ქოუვარდ, მაკგენ ენდ ჯეოჯერისგან“, 1972), რათა ჩავწვდომოდი, - ან მეცადა მაინც, რომ ჩავწვდომოდი - МГБ-ს დახვეწილ მაქინაციებსა და ინტრიგებს. დაბოლოს, რობერტ კალენის „სიკვდილის განყოფილება“ („ორიონი“, 1993) მკითხველს მკაფიო წარმოდგენას

შეუქმნის, თუ როგორ იძიებდნენ სინამდვილეში ანდრეი ჩიკატილოს დანაშაულებს.

ამ წიგნებიდან რომელიმეს განსაკუთრებით გამოყოფა გამიჭირდება.